780
1987/2

ISSN 0134-9848

1987/6

სპუტნიკი





ფელიქს ვარლამიშვილი. დღეობა

სპეცი

1987/6
ნოემბერი
დეკემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

ვასილ ბიკოვი. უბედურების ნიშანი. რომანი. დასასრული.
თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ 3

ბორის პასტერნაკი. ლექსები. თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა 101

ემილ დიკინსონი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ცაცა ბენაშვილმა 104

ბრიგორე ვიერუ. ლექსები. თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ 105

უილიამ ფოლკნერი. აბესალომ, აბესალომ! რომანი. დასასრული.
ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ 108

ხერბეი ესენინი. ანა სნეგინა. დასასრული. თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ 165

იუსტინას მარცინკევიჩუსი. იკაროსი. პიესა. თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა 170

როგერტ ლუის სტივენსონი. ერთი ღამის თავშესაფარი ანუ ამბავი ფრანსუა ვიიონისა. ინგლისურიდან თარგმნა მზია ტუღუშმა 188

სომერსეტ მოემი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა ვანო იმერლიშვილმა 194

ალექსანდრს ჩაკი. ლექსები. ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ 208

ედუარდ პეტიშკა. საიდუმლო. ჩეხურიდან თარგმნა დავით დემეტრაშვილმა 208

იანეზ მენარტი. ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა 215

ჰაინრიხ ჰაინე. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა 217

ივო ანდრიჩი. დაკეტილი ტარი. თარგმნა ნორა ხომერიკმა 218

ჯ. აპდაიკი. ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ. მოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბუხრაძემ 224

სამხრეთის ზღვების სიმღერები. ლექსები. თარგმნა ილია რურუამ 232

ლეონიდ ძუხოვიცკი. ღამისსათევი სხვის ბინაში. თარგმნა მზია ხეთაგურმა 242

წერილები

მზია ბაქრაძე. ფრანსუა ვიიონი და მისი ქართული თარგმანი 275

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი. „საუვარელო სკოტი". თარგმნა ლამარა თელიამ 288

მერი ჭელიძე. ერიხ ფრომის „ილუზიების მილმა მხარე" 294

ირინა სარიშვილი. ადამიანის ფაქტორი უ. ბლეიკის შემოქმედებაში 303

მაჰატმა განდი. დედაჩემი. ინდირა განდი. დედაჩემი. მინდი ენიდან
თარგმნა მერი ახათიანმა 307

ნონა გოგეჭიშვილი. ფელიქს ვარლამიშვილი 312

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი შანჯიკიძე
რუსუდან ქეგულაძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შაანაზარი
გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)
დავით ფერედიანი
ნუგზარ ფერეთელი
თამაზ ფივფივაძე
რევაზ ჭეიშვილი

გარეკანზე: ფელიქს ვარლამიშვილი. მეთევზეები.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

ვასილ ბიკოვი

უგედურების ნიშანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

13.5/3

15

ზამთარს გაზაფხულის პირი უჩანდა — შეწყდა ქარბუქები, დღისით დათბა, ეზოს მზიან მხარეს შუადღისას სახურავიდან წვეთვა იწყო, თუმცა ღამით ისევ მაგრად უჭერდა ყინვა, კუთხე-კუთხე ტკაცატკაცი კი გაჰქონდა. დილა ლაღი, მეწამულისფერი ალიონით იწყებოდა, სანახევროდ რომ შეეღება ცა, ტყიდან რუხი ნისლის მარმაშში იწვერებოდა; წითელი მზე, ძალას იკრებდა და მერე ხეთა, ბორცვთა, ბოძთა გაგრძელებული ჩრდილები ზოლ-ზოლად ჭრიდნენ მინდორზე სქლად დადებულ, ლელმადაკრულ ხრაშუნა თოვლს. ყინვიან დილის შორეთში ნაზი ნათელი მოჰფენოდა ტყის მორუხო სილუეტს, წარაფთა და ბუჩქნართა ძლივს შესამჩნევ სიჭრელეს, ხოლო მინდორი თვალს ჭრიდა კაცს დამაბრმავებელი სითეთრით. არ ციოდა, გაყუჩებულ გარემოს საღღესასწაულო კოპწია იერი დაჰკრავდა.

თუმცა სტეპანიდიას არ ეცალა ამ ლამაზი დარიანი ზამთრის დილისათვის, ვერც კი ამჩნევდა, ღუმელთან დაფაცურობდა, პირუტყვს თავი ვერ გაართვა და პეტროკს გადააბარა — ცხვრები დაარწყულე, ქათმები დააპურე, — თავად კი მინდვრის გადავლით ვისელკიში გაიქცა.

ძველ, დაბეკნილ თექურებში დატკეპნილ გაყინულ გზაზე სირბილი არ უჭირდა და ფიქრობდა, იქნებ შეღამებამდე ვერც დაებრუნდეო — ახლა ცხარე დღეები დაუდგა კოლმეურნეობას, რომელიც მაინც ჩამოაყალიბეს ერთი კვირის წინ. დილამდე ისხდნენ და თავისი გაიტანეს — ვისელკელების ნახევარზე მეტი დათანხმდა კოლმეურნეობაში შესვლაზე. ნოვიკი თავისებურად მართალი იყო, როცა ამბობდა, ერთს რომ განაკულაკებ, სხვებიც დაფიქრდებიანო. მართლაც დაფიქრდნენ, განსაჯეს და დათანხმდნენ. ახლა სამი დღის განმავლობაში ყოველდღე განმასაზოგადოებელი კომისია ეზო-ეზო დადიოდა, აღწერდა თესლეულს, ინვენტარს, ცხენებს, აღკაზმულობას. სტეპანიდა დილით მიირბენდა ხოლმე სოფლსაბჭოში. იქიდან ოთხნი მიდიოდნენ სოფლად და ყოველ ეზოს ჩამოივლიდნენ, არავინ გამორჩებოდათ — ტიროდნენ ქალები, ძარღვებდაძაბული ბებრები შეწუხებული იყურებოდნენ, ხმაჩაწყვეტილი ბალღები გაფაციცებით უმზერდნენ; აუწერელს არაფერს ტოვებდნენ. ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ ასე იყო საჭირო.

იმ დღეს სტეპანიდა ფიქრობდა, ალბათ სოფლსაბჭოში ვერ მივუსწრებ თავმჯდომარეს, სადმე სოფელში მომიწევს კომისიის დაწევაო, და ძალიან

დას. იხ. „საუნჯე", № 5.

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ3 რესპუბ.
ბიბლიოთეკა

გაუკვირდა, მეფსალმუნის ბოსლის მსგავსი ქოხის გრძელი კარი რომ შეაღო და ყველა თავის ადგილზე დახვდა. გაყუჩებული უჯდა მაგიდას ლევონი, მის პირდაპირ იჯდა ჯმუხი, შავჯუბაჩიანი კაცი, გვერდით კი კორნილა ჩანდა, რომელიც მასავით განმასაზოგადოებელი კომისიის წევრად იყო არჩეული; ფანჯრისკენ პირმიბრუნებული იდგა ვასია გონჩარიკი, რომელსაც წითელარმიელის მაზარა ეცვა. ოთახი თამბაქოს ბოლით იყო სავსე, ეტყობოდა, რომ კაცები რაღაც დაძაბულები იყვნენ, რაც სტეპანიდას არ გამოპარვია. იგი თავდაჭერით მიესალმა იქ მყოფთ:

— დილა მშვიდობისა.

— დილა მშვიდობისა, — გამოეპასუხა კორნილა.

— რა ჯანდაბის მშვიდობის დღეც ეგ არის, — თქვა ლევონმა და ცალი თვალი შეავლო სტეპანიდას. — საძაგელი დღეა, უარესი რომ აღარ იქნება.

სტეპანიდა ვერ მიუხვდა ნათქვამს.

— რადაო ვითომ? კარგი ამინდია.

— მეტისმეტად კარგიც, ადრიანი გაზაფხული დაგვიდგა. მაგრამ... წაიკითხე ერთი.

ლევონმა გაუწოდა პატარა, უკვე საკმაოდ დაჭმუჭვნილი რაიონული გაზეთი „ჩირვონი არატი". სტეპანიდამ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, ძლივს ამოიკითხა გაშლილად დაწერილი სათაურები: „მაღლა ავწიოთ ინდუსტრიალიზაციის დროშა", „დავდგეთ ახალ რელსებზე", „ხე-ტყის გაზიდვის გეგმას ჩაშლის საფრთხე ემუქრება". მეორე მხარეზე კი პატარა ნახატი იყო: ფეხებგაბიჯგული წითელარმიელი ხიშტზე აგებდა ჩასუქებულ, ფაშვგადმოგდებულ, ყბილებდაკრეჭილ ბურჟუას.

— არა, მანდ კი არა, — უთხრა კორნილამ. — აი, იქ, კუთხეში წაიკითხე.

მართლაც გაზეთის კუთხეში მომცრო ასოებით იყო გამოყოფილი სათაური: „სლობოდსკიე ვისელკიში თავზე ხელს უსვამენ კლასობრივ მტერს — კულაკს". სტეპანიდა ჩააშტერდა ამ სათაურის მომცრო ასოებს და ტუჩების ოდნავ ცმაცუნით შეუდგა კითხვას. შენიშვნაში ლაპარაკი იყო, რომ იმ დროს, როცა მთელ ქვეყანაში გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობს კულაკის, როგორც კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, ვისელკიში ამ ბრძოლას არად აგდებენ და მხოლოდ ერთი მტერი განაკულაკეს, ივან გუჟოვი, რომელსაც მოჯამაგირე ჰყავდა, თუმცა დაქირავებული მუშახელი ჰყავდა კიდეც სხვა შეურნეებსაც: ბოგატკა კორნილას, რომელთანაც ორი წლის განმავლობაში მოჯამაგირეობდა, ჰყავს უმკიდა ღატაკი კოლონდენოკი ფრუზინა, პროხორიხას, რომელიც სამი წელიწადი ზედიზედ ქირაობს მუშახელს მოსახვნელად, მოსამკელად და სათესად, ბოგატკა ლადიმირს, რომელმაც ცეხვისას დაიქირავა კაცი. ყოველივე ეს შეუძლიათ დაადასტურონ მოწმეებმა. „არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს!" — ასეთი მოწოდებით მთავრდებოდა ეს შენიშვნა. ხელს აწერდა ვილაც, იდუმალად და უბრალოდ: „წიგნიერი".

ახლა კი მიხვდა სტეპანიდა, რას დაელონებინა კაცები, განსაკუთრებით კორნილა და თავად თავმჯდომარე ლევონი. თვითონაც შიში შეეპარა და უნდოდა ერთხელ კიდევ წაეკითხა, დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი სწორად გაიგო, მაგრამ კორნილამ გაიწვდინა ხელი გაზეთისაკენ.

— ხომ ხედავ? მე ვარ კლასობრივი მტერი თურმე.

— მე კიდევ წამქეზებელი ვყოფილვარ! — ცალყბად ჩაიცინა ლევონმა.

სტეპანიდა მერხზე ჩამოჯდა. თუმცა გაზეთში სიმართლე ეწერა, მაგრამ

მაინც რალაც ვერ გაეგო, საითკენ მიჰყავდა ამ შენიშვნის სიმართლეს, ამაზე ფიქრი შემზარავი იყო.

— მერე ვინ არის ეს არამზადა? — დასახიჩრებული ხელის ხაში თითი დაჭერა მაგიდას ლევონმა.

— ხომ გითხარი, ვინც! ეს მისი ნახელავია! — ნერვიულობისგან ... მალავდა კორნილა, იგი მაგიდიდან წამოდგა. ფანჯრიდან ... ჩარიკმა. მოხდენილი, ტანადი ჩანდა წითელარმიელის ფორმაში, ქამარზე ეკიდა ნაგანის მძიმე ბუდე — ეს გამოსარჩევი ნიშანი იმისა, რომ მილიციაში მუშაობდა.

— წავალ რაიონში და ვიპოვი, ვინც არის.

— საძებარი არაფერია, — თავისას არ იშლიდა კორნილა. — ეს კოლონდენოკის ნახელავია. რაზედაც გინდა ნიძლავს ჩამოვალ.

— იქნებ კოლონდენოკიც იყოს, — თქვა ლევონმა, — ეგ ხომ ჩვენ წიგნიერი გვყავს. მაგრამ ეს არაა მთავარი.

— ამაზე მთავარი რა უნდა იყოს? — ცხარობდა კორნილა. — ცილისწამება დაწერეს, განა ეს შეიძლება?

— საქმეც ის არის, რომ არ არის ცილისწამება. სიმართლეა! ხომ დავიჭირავეთ მუშახელი? დავიჭირავეთ. მაშასადამე, მოჯამაგირეები გვყავდა.

ქოხში ყველა მიყუჩდა, წარბშეკრულები წინ იყურებოდნენ. მოჯამაგირის აყვანა რა არის და რაც მოჰყვებოდა ამ საქმეს, ყველამ იცოდა. არც სტეპანიდა იღებდა ხმას, თუმცა ესმოდა კი, რომ საჭიროა რაიმე იღონონ, ვინმესთან ხომ არ უნდა იჩივლონ ნეტა? მაგრამ გულში მაინც არ სჯეროდა, საქმე თუ ცუდად შეტრიალდებოდა, რადგან შენიშვნაში მოხსენიებულმა ხალხმა, მართალია, მეურნეობაში მოსაშველებლად მუშახელი კი დაიჭირავა, მაგრამ სადაური მტრები ესენი იყვნენ? ის კი არადა, მესაბოტაჟეებიც არ ეთქმოდათ, რადგან სხვებთან ერთად ისინიც შევიდნენ კოლმეურნეობაში, პროხორიხა კი ერთი მარტოხელა დედაბერია, რომელმაც ფარღალალა ქოხში გაატარა თავისი წუთისოფელი. განა სად შეუძლია თავად დათესოს და აიღოს ოთხი დესეტინა მიწის მოსავალი? ჰოდა, მანაც სხვა დაიჭირავა მინდვრის დასამუშავებლად, — სანახევროს თუ მესამედის საფასურად. ნეტა რა კლასობრივი მტერი ეგ არის?

— პოტაპი სადღაა? — იკითხა გონჩარიკმა.

— გაიქცა, ძაღლის ლეკვი! იცის იმ საზიზღარმა, რომ ახლა უჯობს თვალს მიეფაროს, — არ ცხრებოდა კორნილა. ლევონმა ხარბად მოქაჩა ბოლო ნაფაზი და ნამწვი იატაკზე მოისროლა.

— მე შევიკედლე! სოფლსაბჭოში შემოვუშვი... სალახანა! დამაცადოს ერთი!

— რა უნდა უქნა? — ჰკითხა კორნილამ. — ხომ არ გააგდებ.

— სოფლკორის დევნისთვის სისხლის სამართლის პასუხისგება გელის, — გაახსენა გონჩარიკმა.

— რა სოფლკორი ეგ არის?! ჯერ ადრეა მაგის სოფლკორობა. თუმცა აგერ დაწერა კია.

— პასუხისმგებელიცაა მაგ ნაწერზე. თუმცა პასუხს იმაზე არც აგებს! მოჩმახა და მორჩა. შენ კი გული იხეთქე აქ. შიშით იფიქრე, აქაოდა, რა მოჰყვებაო ამას. განა ამით დამთავრდება? — იკითხა კორნილამ.

— არა, არ დამთავრდება.

— დაბაში უნდა წავიდე, — თქვა ლევონმა, დასახიჩრებული სახე ასწია და გონჩარიკს მიაჩერდა. — ერთად წავიდეთ.

— მერე აღწერას რაღა ვუყოთ? — ჰკითხა სტეპანიდამ. — სოფლის ის ბოლო დაგვრჩა. თუ სხვა დროისთვის იყოს?

— არა, — თქვა ლევონმა, — თქვენ აღწერეთ, ჩვენ ... ...ოსთვის ჩამოვალთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი.

ნელა, მჭმუნვარედ ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა კორნილამ ქოხში, შეჩერდა, რაღაცას საზრობდა, რასაკვირველია, მის დღეში მყოფი ყველა გამწარდებოდა და სტეპანიდაც თანაუგრძნობდა. კორნილას რაღაცის თქმა სურდა, ხელებზე ახალთახალი ცხვრის ტყავის ხელჯაგები ჩამოიცვა. მერე ისევ გაიძრო. მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და კარის სახელურს წაეტანა. სტეპანიდა უკან მიჰყვა.

მიდიოდნენ ასე დუმილით, წინ კორნილა და უკან სტეპანიდა, ქუჩა გადაიარეს და ბორცვის იქით დაბლობში გაშლილ ვისელკის ბოლომდე მივიდნენ. კორნილას კარგა ხანს არ გაუღია ხმა, მიალაჯებდა გაყინულ თოვლში შავი თექურებით. ჯერ კიდევ ახალი თექურები იყო, ხეშეში და მძიმე, ავტომობილის სქელი რეზინის ყალოშებში ჩასმული. რა თქმა უნდა, ზოგჯერ კი დაუჭერია ვინმე დამხმარედ, თუმცა დიდი მიწის პატრონი არ იყო, მაგრამ სოფელში ყაირათიანი, ხელმოჭერილი კაცის სახელი ჰქონდა, ხეზე მუშაობა უყვარდა და ფუტკრის რამდენიმე ნაყარიც ჰყავდა. იმასაც ამბობდნენ, ძუნწიაო და თავის სოფლელს კი არა, ნათესავსაც არ გაიხდის მევალედო. კოლმეურნეობაში შესვლაზე უარი არ უთქვამს, ყველასთან ერთად ისიც შევიდა და ლევონი ბრიგადირად დასმას უპირებდა, რადგან კორნილას მეურნეობის გაძღოლა შეეძლო, სხვებს კი არ ჰგავდა. მაგრამ ახლა ეს პატარა წერილი გაზეთში!

— აი, ხომ იძახიან: ხელმძღვანელები, ხელმძღვანელებიო! — თქვა კორნილამ და სტეპანიდასკენ მიბრუნდა, ქალიც სირბილით ამოუდგა გვერდით. — მე კი გეტყვი, რომ შენიანზე, აქაურზე უარესი არავინ არის. არავინ მოგაყენებს იმდენ ზიანს, რამდენსაც შენი მეზობელი. შენიანი დაგლუპავს, თუ დაგლუპავს.

— იქნებ მაგრეც იყოს, — დაეთანხმა სტეპანიდა. — იმიტომ ,რომ ის უფრო ახლოსაა, გვერდით გყავს.

— კი, გვერდით გყავს, ყველაფერს ხედავს და შურით კვდება. მით უფრო, თავად ხელმოცარულია. ასეთ კაცს, შენ რომ ცხენს იყიდი, ის კი არ უხარია, არამედ შენ რომ ცხენი მოგიკვდება — ის, მართლა გეუბნები, კარგად ვიცნობ მე მაგ მეზობლებს, არმიაკი უნდა წაიფარო და პურის ნატეხი ისე შეჭამო, თორემ შურით მოკვდებიან. შურმა არ შეიძლება ვინმე არ დალუპოს. მე არც კულიაკი ვარ, არც მდიდარი. მიწაც ცოტა მაქვს .მაგრამ მუშაობა მიყვარს და წესრიგიც. ზოგიერთივით კი არა ვარ, რომ მიატოვებს, მიაგდებს საქმეს და წავა. თუ ხელი მოკიდე საქმეს, ბოლომდე მივიყვან კიდეც. მიწაზე საკუთარი შვილივით შემტკივა გული. მთელ ნაკვეთს ჩოქვით მოვივლი, თითოეულ ბელტს თითებით დავფხვნი. დაფანგულ მავთულს არ გავაჩერებ მიწაზე დაგდებულს, ავიღებ, გამომადგება. მაშ როგორ უნდა მოიქცეს მეურნე კაცი? არადა, თურმე ვილაცას თვალში ვეჩხირები.

— ნუთუ მართლა პოტაპმა დაწერა? — დაეჭვდა სტეპანიდა.

— მაშ ვინღა? წიგნიერი! გახსოვს, პროკოპიხაზე რომ მიუთითა? სელზე რომ თქვა?

ეს ამბავი სტეპანიდას კარგად ახსოვდა. პოტაპ კოლონდენოკის ამ საქციელზე, მგონი, მთელი წელიწადი არ დამცხრალა ლაპარაკი ვისელკიში კი არადა, მთელ რაიონშიც. აქა-იქ დავაც ატყდა: ზოგი ჭაბუკი კინალამ შეტაკება პოტაპზე აუგის მთქმელ ბებრებს. ზოგს შურდა მისი, რადგან კოლონდენოკი გაზეთში შეაქებს, მთელ ოლქში გაუთქვეს სახელი. ეს შარშანწინ, გვიან შემოდგომაზე მოხდა, როცა რაიონს სელის დამზადების საქმე კინალამ ჩაეშალა. სელმა ვერ იხარა, ტანი ვერ აიყარა, რადგან გაზაფხულიდანვე ჩაჭკნა, არადა, უნდა ჩაებარებინათ და გლეხებმაც გადასახადი ვერ გადაიხადეს. ოლქიდან ორი რწმუნებული ჩამოვიდა და ლევონთან ერთად კარდაკარ დადიოდნენ, რომ სელი შეეგროვებინათ, მაგრამ რას შეაგროვებდნენ, როცა ყველამ ისე ჩაბარა, ღერიც არ დაუტოვებია თავისთვის. ჯარა და საქსოვები უქმად ედოთ. როგორმე რომ თავი დაეძვრინათ გეგმისაგან, ძველ თოკებს ცარავდნენ. ბებერ პროკოპიხას კი ძველი თოკიც არ აღმოაჩნდა. რწმუნებულებს შეეცოდათ მარტოხელა დედაბერი, რომელიც ტირილით თავს იკლავდა. ბედს ემდუროდა, თავის სიბერესა და ავადმყოფობაზე ჩიოდა, მაგრამ როგორც კი კომისია გაყინული ქოხიდან ეზოში გამოვიდა, პოტაპკა კოლონდენოკი, ნაჩვევი რომ იყო უფროსების სიახლოვეს ტრიალს, მივიდა უფროს რწმუნებულთან, ახალგაზრდა კაცთან, შავი თახვის პალტო რომ ეცვა, და უჩურჩულა, დედაბერს ბოსელში სელი აქვს გადამალული. ჯერ არ დაუჯერეს, მაგრამ მაინც შეიხედეს გამოცარიელებულ ქარლია ბოსელში. პოტაპკა კი კოჭზე აძვრა და საიდანღაც, სახურავს ქვემოდან ჩამოათრია სამი ამოხვეტა მშვენიერი ხარისხის სელის ბოჭკო. ეს უკვე საბოტაჟი იყო და თუმცა პროკოპიხა თავს იმართლებდა, ყველაფერი შემომეხია და ეს დასამარხი საცვლებისათვის შემოვინახეო, ოქმი შეუდგინეს და სამართალში მიცემაც დაუპირეს. სამართალში ,მართალია, არ მიუციათ ,შეიბრალეს დედაბერი, მაგრამ პოტაპ კოლონდენოკი კი ძალიან შეაქო კლასობრივი სიფხიზლისათვის რაიონულმა გაზეთმა „ჩირვონი არატმა"! სწორედ ამ შემთხვევის მერე შემოუშვა ლევონმა სოფლსაბჭოს ქოხში კოლონდენოკი და დედამისი, რომლებიც მანამდე აბანოში იყვნენ თავშეფარებულნი. თავად პოტაპს კი სოფელში წიგნიერი შეარქვეს — ნაწილმა ქებითა თუ შურით, ნაწილმა კი დაცინვით. პოტაპმა კი, ეტყობა, თავისებურად გაიგო ეს, ერთი-ორჯერ გაზეთში პატარ-პატარა ცნობები დაბეჭდა ვისელკელებზე: ერთი ეხებოდა იმას, რომ სოფელში კარგად მუშაობს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლა, ხოლო მეორე — თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნაცრის შეგროვება ნიადაგის სასუქად.

სტეპანიდა და კორნილა მიუახლოვდნენ წაფერდებულ ქოხს, გამოფუღუროვებული სახურავი რომ ჰქონდა. კორნილამ ხელი წაავლო შიგნიდან დაკეტილ კუტიკარს. აქ ცხოვრობდა ბორის ბოგატკა, მრავალშვილიანი ლატაკი, რომელიც ლამის სულ ბოლო ჩაეწერა კოლმეურნეობაში და მაშინვე გაქრა სოფლიდან. ამბობდნენ, სადღაც გადავიდაო. კარი რომ ვერა და ვერ გააღო, კორნილამ ისე შეანჯღრია, კინალამ თავის ბოძებიანად ჩამოაგდო და გააღო კიდეეაც. სტეპანიდა და კორნილა მონაგვიანებულ, ნარეცხით გადაქარცებულ ეზოში შეეიდნენ და ცივ წინკარში ქოხის კარს მიადგნენ.

— დილა მშვიდობისა. არის აქ ვინმე? — დაიძახა კორნილამ.

ცოტა ხნის მერე ღუმელს იქიდან გამოვიდა ბორისის ცოლი ლიზავეტა. ქალს ჯვალოწაფარებული ბალღი ეჭირა ხელში, გათხუპნული სახით, რომ მიკვროდა ლიზავეტას ძვალტყავა მკერდს. ლიზავეტამ ალბათ ტირილისგან ჩაწითლებული თვალები მიაპყრო შემოსულთ.

— ლიზავეტკა, უნდა ავწეროთ, რაც კოლმეურნეობაში [illegible] გადოებას მიეკუთვნება, — სტეპანიდა ცდილობდა ალერსიანად [illegible] ლიზავეტას ამ სიტყვებზე სახე უცებ რისხვით აენთო.

— აწეროთ, არა? აწერეთ! აი ესენი აწერეთ! აბა, მანია, თეკლა, განულია, აქეთ მოდით! აი, ესენი წაიყვანეთ, აწერეთ, აჭამეთ და ასეთ მაგ თქვენს კომუნაში...

ღუმელს იქიდან გამოძვრა და დედას მისცვივდა ორი ფეხშიშველა პატარა ბალღი, დაბებკილი ხიფთნები რომ ეცვათ, და შეშინებულები ჩააფრინდნენ ჭუჭყიან ქვედაკაბაში. ღუმელს ქვემოდან ისმოდა ქათმების დაფეთებული კაკანი, რაღაც სუნით ყარდა იქაურობა და სიმყუდროვეც არ იგრძნობოდა ამ გავერანებულ ქოხში.

— კარგი, კარგი, — უთხრა კორნილამ. — აქ სპექტაკლს ნუ გაგვიმართავ. ბორისი სად არის?

— განა ვიცი, სად არის ბორისი? ჩემთვის არ უთქვამს, სად წავიდა. თუ კოლმეურნეობაში ჩაეწერა, იმას აუწერეთ ქონება. მე არც შევდივარ და არც ძროხას დაგანებებთ! ძროხა ჩემია, მამაჩემმა მზითევში მომცა. რა უფლება გაქვთ ჩამომართვათ.

— დაწყნარდი, ლიზავეტა! — ახლა სტეპანიდაც გაბრაზდა. — ძროხას არ ავწერთ. ცხენს ჩავწერთ მხოლოდ. ჰოდა, აღკაზმულობასაც. თესლეულსაც.

— არა მაქვს თესლეული. არც ცხენი გამაჩნია.

— როგორ თუ არა გაქვს? — ყური ცქვიტა კორნილამ. — ხომ გყავდა შავრა ცხენი.

— მყავდა და აღარა მყავს. ჭირი მოგჭამა, მაშ!

— გაასაღეთ განა? გაყიდეთ, ხომ?

— გინდაც გაგვეყიდა, — ცრემლები მოიწმინდა ლიზავეტამ. — მაშ რა, ტყუილად მიგვეცა კომუნისათვის? ან ჩვენ კი გვაჩუქა ვინმემ თუ? ფულით ვიყიდეთ.

— ბრიყვი ხარ და მეტი არაფერი! — უთხრა კორნილამ. — მოდი და ჩამოაყალიბე ამისთანებთან კოლმეურნეობა! ჯერ ჭკუა უნდა ასწავლო! კულტურა უნდა შეიძინო. აი, ქოხი მიულაგებელი გაქვს, ბალღები მოუვლელი გყავს. სიზარმაცე ვერ დაგიძლევია, ახალგაზრდა კი ხარ! ბალღების გაჩენა იცი, მეტი არაფრის თავი არა გაქვს.

— როგორიც ვარ, ისეთი ვარ.

— წამოდი, გვიჩვენე, სად რა გაქვს, რომ ყაჩაღებივით ყველაფერს არ ვეცეთ.

— მე არაფერსაც არ გიჩვენებთ. თავად ნახეთ.

ქალმა ბალღს ჯვალოში შეფუთვნა დაუწყო და კორნილამაც მეტი ველარ მოითმინა, ძირს დააფურთხა.

— აბა იცოდე, ავწერთ და მერე არ იყოს შენი ბუზღუნი!

კორნილა და სტეპანიდა ისევ ეზოს გაბინძურებულ ბოლოში გავიდნენ. კორნილამ მოათვალიერა იქაურობა.

— სად რა აქვთ ამათ? იქ, ეტყობა, ნაქურდალი ექნებათ.

მაგრამ ვერ მოასწრეს ძველი. კუთხეებჩამპალი ნაგებობისკენ გადახვევა, რომ ქუჩიდან აქოშინებული ბავშვის ხმა მოისმა.

— ძია კორნილა, მამამ თქვა, სოფლსაბჭოში მოვიდესო.

ჭიშკრის მიღმა იღლიებამდე შალშემოხვეული იდგა ოლეჩკა. სირბილისაგან წამოჭარხლებული მისი ცხვირი დაინახა, სტეპანიდა მიხვდა, რაღაც მომხდარიყო.

— რა გაუჭირდათ ასეთი? — ყურები ცქვიტა კორნილამ.

— აი, იქ მოვიდნენ... დაბიდან ძია მოვიდა. აი, ის, შავსაყელოიანი.

— კოსმაჩოვი?

— ჰო, მეორეც ახლავს. მამამ თქვა...

კორნილას სახე მოელრუბლა, დაძაბული რაღაცაზე ჩაფიქრდა და გაბრაზებულმა შეიგინა:

— ერთი შენი დედაც! ასეც ვიცოდი.

მეტი არაფერი უთქვამს, ბაჯბაჯით გაეჩქარა მოყინულ ქუჩაზე. სტეპანიდა ძლივს ეწეოდა. შორიახლოს ოლეჩკა მისდევდა ქოშინით.

სოფლსაბჭოსთან თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, ცხენები არსად ჩანდნენ, იქნებ სადმე ეზოში ეყენათ? სამივე ერთად შევიდა ქოხში და სუსხიც შეიტანეს. სტეპანიდამ მაინცდამაინც მარდად ვერ მოიხურა მძიმე კარი და მაშინვე კუთხისკენ გაიხედა. იქ უკვე იჯდა ორი კაცი: ფანჯარასთან კოსმაჩოვი და მაგიდასთან, მარქსის სურათის ქვეშ, ვიღაც უცნობი, მტკიცე, გაპარსული სახე რომ ჰქონდა და მბზინვარე ტყავის ქურთუკის მხარზე გარდიგარდმო გადაჭიმული ღვედი უჩანდა — ნაგანი თუ ეკიდა? კაცი წინ იყურებოდა, თავისივე გადაჭდობილ თითებს მისჩერებოდა, გულგადასაყოლებლად ცერებს ატრიალებდა. კოსმაჩოვს შავსაყელოიანი ხიფთანი ეცვა. შეფიქრიანებული მისჩერებოდა ზღურბლს; სარკმლების შუა კედელთან თავჩალუნული და იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი მერხზე იჯდა და ნერვიულად ქაჩავდა შინაურულ თამბაქოს ლევონი. გვერდით ვასია გონჩარიკი ეჯდა. ყველანი უგუნებოდ იყვნენ და ხმას არ იღებდნენ, ეტყობოდათ, საფიქრალი გასჩენოდათ. მათი უგუნებობა წამსვე გადაედოთ შემოსულთაც, რომლებიც ჩუმად მიესალმნენ იქ მყოფთ და ზღუბლთან მერხზე ჩამოსხდნენ.

— კრება იქნება თუ რა? — თქვა ცოტა ხნის შემდეგ კორნილამ, უფრო მეტად იმისთვის, რომ ქოხში გამეფებული უხერხული სიჩუმე დაერღვია.

— განკულაკება გვექნება! — წაიბურტყუნა ლევონმა.

— როგორ? აკი განვაკულაკეთ უკვე?

— განვაკულაკეთ, მაგრამ ყველანი არა! — თქვა სხაპასხუპით ლევონმა, რომელსაც ხმა უწყდებოდა, და ფანჯრისაკენ მიტრიალდა. — ხომ გითხარით, ერთით ხარ დამთავრდება-მეთქი ეგ საქმე.

მაგიდის ბოლოში მჯდარი კოსმაჩოვი გვერდზე მიბრუნდა, მერე ისევ იდაყვით დაეყრდნო მაგიდას, ეტყობა, ისიც ძლივს იკავებდა მღელვარებას, თუმცა გარეგნულად ცდილობდა მშვიდი და, როგორც ყოველთვის, გონებადამჯდარი კაცის იერი შეენარჩუნებინა, მაგრამ ვერ კი გამოსდიოდა. უცებ ლევონმა ყოვლად უმიზეზოდ ბრაზიანად და უწმაწურად შეიგინა და ნამწვი იატაკზე მოისროლა. უცნობ კაცს მაგიდიდან თავი არ აუწევია, წარბშეკვრით მიაპყრო ლევონს დინჯი, დაჭინებული მზერა, მერე კოსმაჩოვს შეხედა. ამის პასუხად კოსმაჩოვი ლევონს მიუბრუნდა და ყვედრებით უთხრა:

— კლასობრივი ბრძოლის დროს პირადულზე მაღლა დადგომა უნდა შეგეძლოს.

ისევ ჩამოდგა სიჩუმე, ელვონებოდა, ქოხში მყოფნი ალბათ სუნთქავდნენ. სტეპანიდა დაკიჟრებული თითებით ნერვიულად სრესდა ტყაპუჭის ყიდის ნაკერს და ფიქრობდა, ალბათ რაღაც გაუგებრობაა, სადაცაა ყველაფერი გაირკვევა და უბედურებაც აგვცდებაო.

— მაშ, ვინ განვაკულაკოთ? — იკითხა ამ სიჩუმეში შინაგანად დაძაბულმა კორნილამ. ლევონი მკვირცხლად გამოტრიალდა ფანჯრიდან.

— აი, ვინც დაქირავებული შრომით სარგებლობს! ვინც გაზეთში გამოჭიმეს! მიხვდი? — დაიყვირა ძან, ვერ გაიგებდი, რატომ ბრაზობდა — განკულაკებულებისადმი ბოღმისა და თუ მათ მიმართ თანაგრძნობის გამო.

კორნილამ ფართო ყბები მოკუმა და ნელა ჩაღუნა თავი. ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე ადგა და მძიმედ, უსიტყვოდ წაჩანჩალდა კარისკენ. როცა მის უკან კარი მიიხურა, სტეპანიდას გული ტკივილით შეეკუმშა: ეს რა ხდებაო?

— როგორ, ესეც? — იკითხა ქალმა ყველას მისამართით, ოდნავ მთრთოლვარე ხმა მღელვარებისაგან დაძაბვოდა.

— ესეც, ლადიმირიც, პროხორიხაც, — მიუგო ლევონმა.

— უნდა განვაკულაკოთ?

— მაშ, დავაჯილდოვოთ თუ რა!

სტეპანიდას ციებიანივით ააკანკალა, ტყაპუჭს ქვემოთ წამსვე ოფლით დაეცვარა ზურგი, თვალებზე ბინდი გადაეფარა, ერთ წუთს ვერც მოისაზრა, რა ეთქვა მათთვის ან თავად რა ეფიქრა. ისინი კი ყველა, ვინც აქ იყო — მაგიდასთან მჯდომი კაცი, მის ახლოს კოსმაჩოვი, ცალთვალა ლევონი და გონჩარიკიც კი — გაფაციცებით დუმდნენ, თითქოს მხოლოდ იმას ელოდნენ, თუ რას იტყოდა ქალი, ჰოდა. სტეპანიდამაც, თუმცა სულაც არ იყო ამის გუნებაზე, გაიცინა. გაიცინა არაბუნებრივი სიცილით, თავადვე შეაშინა თავისივე სიცილმა, იგრძნო, საცა იყო, უსიამოდ ჩაუწყდებოდა ხმა.

— ბრიყვები ხართ! — დაიყვირა სტეპანიდამ, რომელმაც უცებ შეწყვიტა სიცილი. — რეგვენები! ვინ უნდა განაკულაკოთ? მაშინ ყველა განაკულაკეთ! ყველა, უკლებლივ, ალარც კოლმეურნეობა იქნება საჭირო. ალარც რაიმე საზრუნავი გვექნება. მოდით, ყველა განვაკულაკოთ! მეც ასევე — პან იახიმოვსკის მოჯამაგირე. — აი, ისიც —უმიწაწყლო გონჩარიკიც! ყველანი! ერთიც არ დატოვოთ!

სტეპანიდას ციებიანივით აძაგძაგებდა, ამღვრეული თვალები მოავლო იქ მყოფთ, ფიქრობდა, აი ახლა მოეგებიან გონს, მიხვდებიან თავიანთი განზრახვის უაზრობას, იმას, რომ ასე უსამართლოდ იქცევიანო, მაგრამ ყველანი მშვიდად ისხდნენ თავიანთთვის, ტყესაკაფის ჯირკებივით მაგრად და უძრავად.

— წყნარად, დეიდა, — მართლაც ძალზე მშვიდად თქვა კოსმაჩოვმა. — პოლიტიკაში თანმიმდევრულობაა საჭირო.

— რა თანმიმდევრულობა? — სტეპანიდა თავდაკარგული წამოხტა მერხიდან, ყველაზე მეტად სწორედ ამ კაცის სიმშვიდემ გააბრაზა. — რა თანმიმდევრულობაზე მელაპარაკებით? განა სამართლიანობას გვერდი უნდა ავუქციოთ? აი, უკვე ღატაკებს მივდექით! ეს არის სამართალი? ჭკვიანი ხალხი ხართ, განა ვერ ხედავთ? ერთი გლეხებს ჰკითხეთ... რომელიც გინდათ უმეცარ ბერიკაცს შეეკითხეთ და ის გეტყვით, რომ არ შეიძლება ასე! არ შეიძ-

ლება თავისიანმა თავისიანი გაწიროს! თუ სწავლამ გამოგაჩერჩეტათ და აღარაფერი გესმით, ვერაფერს ხედავთ... ირგვლივ ყველა ხედავს, თქვენ კი?...

სტეპანიდა უთავბოლოდ, არეულ-დარეულად ყვიროდა, ხან ბრალდებდა, ხან ამუნათებდა მათ, თუმცა უმთავრესად შავტყავისპალტოიან უცნობს მიმართავდა, რათა აქაურობისათვის უცხო კაცს, როგორც ჩანს, [illegible] გაეგო, რომ უსამართლობა ხდება, და გამოქომაგებოდა. სტეპ[illegible] თლიანობა სწყუროდა. მაგრამ ქოხში ისევ დუმდნენ და არც ის კაცი იღებდა ხმას. ჯიუტად მალავდა თვალებს, ქალისთვის არც შეუხედავს. მაშინ სტეპანიდამ უფრო ხმამაღლა იყვირა:

— შეიძლება გაგიყდეს კაცი! ლევონ! მოსკოვში უნდა წახვიდე, თვით კალინინთან მიხვიდე. შენ ხომ ჩვენიანი ხარ, აქაური, როგორ შეიძლება ასე! უნდა ვიჩივლოთ. ასე ხომ არ იქნება! ეს ადამიანური საქციელი არაა, არც ბოლშევიკური! ეს აშკარა გადახრაა! ამით ხომ თავად ვვნებთ საკუთარ თავს!

— აბა, წყნარად, დეიდავ! — დაუყვირა ბრაზით კოსმაჩოვმა. — რას დგახართ, ამხანაგო გონჩარიკ? დაამშვიდეთ მოქალაქე!

ვასია ფანჯრიდან მოტრიალდა და ჭაბუკურ, ლოყაწითელ სახეზე ისეთი ტანჯვა და დაბნეულობა აესახა, სტეპანიდა უცებ შედგა და მერე ხელი ჩაიქნია.

— ჯანდაბას იყავით ყველანი! რაც გინდათ, ის ქენით! მაგრამ უჩემოდ!

ქალი მიტრიალდა, კარს მიაწყდა და გარედან გაიჯახუნა, მაგრამ კარი არ დაიკეტა. მაშინ სტეპანიდა ოხვრით მოტრიალდა უკან და მაგრად მიკეტა.

სტეპანიდა გატკეპნილ გზას მიუყვებოდა თავისი იახიმოვშჩინისაკენ და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა გაყინულ, ქარისგან აქერცლილ ლოყებზე. ვერ დაწყნარებულიყო და არ იცოდა, რა ექნა, არაჩვეულებრივი სიცხადით კი გრძნობდა, რომ ახლავე უნდა ელონა რაიმე, სადღაც უნდა გაქცეულიყო, ვინმესთვის უნდა მიემართა.მაგრამ სად გაქცეულიყო და ვისთვის მიემართა?..

იქნებ ნოვიკს მიადგეს? რაც უნდა იყოს, მათი სოფლელია, ამბობენ, ახლა დიდი კაციაო. ამას წინათ ხომ მხოლოდ გუჟზე ილაპარაკა და სხვა არავინ დაუსახელებია, იგი ხომ იცნობს ამ ხალხს, იცის, რა კულაკებიც ესენი არიან. უნდა იჩივლოს მასთან, რათა გააუქმოს განკულაკების ბრძანება. მერე რა, რომ გაზეთში დაბეჭდეს? აბა ისიც ნახონ, ვისი დაწერილია — ერთი აჯამი ბიჭია, უბედური ცვედანი, არც ბიჭი ეთქმის, არც გოგო, მურდალი ვინმეა. განა მას უნდა დაუჯერონ?

სტეპანიდამ ხუტორში მიირბინა და ბოსელში შეიხედა, სადაც ყოველთვის დაფუსფუსებდა ხოლმე საქონელთან პეტროკი, მაგრამ ახლა არ დაუხვდა იქ და ბოსელთან ვერც მარხილს მოჰკრა თვალი... შეშაზე ხომ არ წავიდა ნეტა? კარგა ხანია აპირებდა, ამბობდა: სანამ ცხენი არ ჩამოურთმევიათ, შეშას მაინც მოვზიდავო. მოზიდოს მერე. სტეპანიდამ ქოხში შეირბინა. ზანდუკის კუთხეში გადამალული ჰქონდა ცხვირსახოცში გამოკრული სამმანეთიანი. შავი დღისათვის ინახავდა, მაგრამ, ეტყობა, ამაზე შავი დღე არც დაუდგება. ცოტა იფიქრა და ყალთიც გამოიტანა, შიგ ახალთახალი თავშალი ჩაადგო, პურს ნაჭერი ჩამოაჭრა. განა ახლოს არის პოლოცკი, ვინ იცის, როდის მიაღწევს იქამდე? მაგრამ დაბიდან კი ვინმე წაიყვანს. ლეიბასთან შეირბენს, მეეტლე კაცია, იქნებ იმან წაიყვანოს. თუ ფული არ ეყოფა საამისოდ, ვალად დაიდებს და მერე გაისტუმრებს. ყვერცხებით ან სხვა რამით გადაუხდის. ლეიბა დამ-

ყოლი კაცი იყო, გაზაფხულამდე ან ზაფხულამდე მოიცდიდა. ლანძღვა იმან არ იცოდა და ყველრება სხვებივით.

უკვე გვიანი იყო. მზე დასავლეთის ღრუბლებში ჩაესვენა, ყინვა მოტყდა, ღამით, ეტყობა, დათბებოდა. ცაცხვის ფოთლებში ყვავები დამსადგრიყვნენ და ძიძგილაობა გაემართათ, ისმოდა ყრანტალი, ეტყობა, ამბორიალებენ, ფაჭარავს ლელმა ან ქარი ამოვარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეპანიდა ჩქარობდა. დრო რომ დაეზოგა, გზიდან ბილიკზე გადაუხვია, ნორჩი ფიჭვნარი გადაჭრა და ამით ნახევარი კილომეტრით შეიმოკლა გზა. ბილიკი მაინცდამაინც დატკეპნილი არ იყო — რამდენიმე წყვილ ფეხს გაევლო თოვლზე, — მაგრამ ახლა, ლელმისა და ყინვების შემდეგ, თოვლი კარგად იდო, მხოლოდ შუაგულ ფიჭვნარში იყო ცოტათი ფაშარი, და სტეპანიდას ერთი-ორჯერ ფეხი ჩაუვარდა თოვლში. ქალს დასცხა, კისერთან ცოტათი შეიხსნა თავშალი და, დროდადრო ჩხვლეტია ტოტების ასაცდენად თავდახრილი, ტევრში მიიკვლევდა გზას შარაგზისკენ, თან ფიქრობდა: ნეტა ლეიბა მაინც დამხვდებოდესო შინ, ვაითუ სადმე წავიდა, მაშინ დაბაში უნდა გავათენო ღამე ან უკან დავბრუნდე, ხუტორშიო.

ის იყო ბორცვიდან გზის დატკეპნილ თოვლზე უნდა ჩამოერბინა, რომ წინ, გზისპირა ფიჭვებში ორი კაცის ჩრდილი გაკრთა. თუმცა ბნელოდა და ქალმა მხოლოდ ის დაინახა, რომ ერთ-ერთი წაიკუზა და სწრაფად განზე გაუხვია, ხოლო მეორე, ბრგე, ჯანიანი კაცი, მოკლე ქურთუკი რომ ეცვა და შავი ბანჯგვლიანი ქუდი ეხურა, მისკენ გამოემართა.

— საით გაგიწევია, სტეპანიდავ? — ვითომ აქ არაფერიო, ძალზე მშვიდად ჰკითხა მან ქალს. სტეპანიდამ მაშინვე იცნო გუჟის უმცროსი ვაჟი ზმიტერი. გუჟები ერთი კვირის წინათ განაკულაკეს, ქონება ჩამოართვეს, მაგრამ ჯერჯერობით არსად წაუყვანიათ. ახლა ამ ზმიტერმა გადაუღობა სტეპანიდას ბილიკი და ქალიც შეჩერდა, არ იცოდა, რა ეპასუხნა მისთვის. — საით გარბიხარ-მეთქი. გეკითხები.

— დაბაში მივდივარ. მერე შენ რა?

— დაბაში რა გინდა.

— საქმე მაქვს.

— რა საქმე გამოგიჩნდა ამ ღამეში?

— რა მოხდა ასეთი?

— ის, რომ ახლავე უკან გაბრუნდები. გაიგე?

— რატომ უნდა გავბრუნდე უკან? რაო, არ შეიძლება დაბაში ჩავიდე თუ რა?

გუჟი ახლოს მივიდა სტეპანიდასთან, ეტყობა, ფიქრობდა, ქალი უკან გაბრუნდება ან განზე გადგებაო. მაგრამ სტეპანიდა ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და მრისხანედ შესცქეროდა ამ ცოტა ნასვამ თეთრწარბებიან ყმაწვილს. თუმცა მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი — ვერც მეტისმეტ ბოღმას, ვერც მუქარას, — მხოლოდ თვალები ჰქონდა ცივი და მეტად გაფაციცებული.

— ამაში რა გაქვს? — ქალათისკენ გადააკანტურა თავი გუჟმა და, სანამ ქალი პასუხს მოასწრებდა, ხელიდან გამოგლიჯა ქალათი. — თავშალი, პური... ეს რალაააა? ფული? ფული გამოგვადგება.

გუჟმა სტეპანიდას ცხვრისახოცი, რომელშიც სამანეთიანი იყო გამოკრული, შავი მაუდის ბრიჯებში ჩაიტენა და უცებ ბილწად შეიგინა.

— ახლა კი მოუსვი აქედან! ხუტორისაკენ მოკურცხლე! ეჰ, შე აქტივისტო, ძენი ასე და ისე...

— რას შვრები? აბა რას სჩადიხარ? იცოდე, ვიყვირებ, შე ყაჩაღო შენა! — ავიშვიშდა სტეპანიდა. გუჟმა ჯუბაჩის კალთიდან მტკიცე ხელით ამორ რაღაც და სტეპანიდამ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ფიცარზე შავი ლულა მიეჭირა. გუჟის დიდი ხელი მჭიდროდ შემოჭრილ კონდახს.

—ბედი შენი, რომ ნათესავად მომხვდები! თორემ... ხომ მიხვდი?

სტეპანიდა დიახაც მიხვდა, თუმცა კი დაგვიანებით. მით უმეტეს, რომ იქვე ტევრში ვიღაც კიდევ მიმალულიყო, ტოტებს არხევდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ბილიკზე მათ შეხლას.

სტეპანიდა მიტრიალდა და ფიჭვნარის სიღრმისაკენ გასწია, ხუტორისაკენ, ერთხელაც არ მოუხედავს უკან. ეშინოდა, ზურგში არ დამახალონ ტყვიაო. იცოდა, ზმიტერი ყველაფერს იკადრებდა. ყმაწვილობაში ბაღებს აჩანაგებდა, პატარებს აწვალებდა, კვლებს ქელავდა ვისელკიში. როცა მისმა მეზობელმა კორნილამ ძაღლი გაიჩინა და ზმიტერს ღამღამობით ბაღების გაჩანაგებას არ ანებებდა, მან ძაღლი დაიჭირა, დაახრჩო და ვაშლის ხეზე ჩამოუკიდა კორნილას. სიბრალული რა იყო, თავის დღეში არ იცოდა. თავის უფროს, კეთილ და ნამუსიან ძმას კი არა ჰვავდა ან მკაცრ, მაგრამ პატიოსან მამას, რომელიც პეტროკს შორეულ ნათესავად ერგებოდა.

— სიტყვა არავისთან დაგცდეს, იცოდე! გაიგე! თორემ ცეცხლს წაგიკიდებ! შენ მე კარგად მიცნობ, — უკვე შორიდან მოესმა სტეპანიდას.

სტეპანიდა გალახული ძაღლივით ბრუნდებოდა თავის ხუტორში და წყენისა და უძლურების ცრემლები ახრჩობდა. თავი სად უნდა გამოყოს! ბრიყვი დედაკაცივით გაძარცვეს მისი სახლიდან ერთ ვერსზე, ფული წაართვეს, რაც ებადა. მერე ვინ? ისევ მისიანმა, რომელსაც ჯერ კიდევ ცხვირმოუხოცელს ემუქრებოდა, საძოვარზე პატარებს ნუ ჩაგრავ, თორემ ჭინჭრით დაგსუსხავ, იცოდეო. ახლა ჭინჭრით მას ველარაფერს დააკლებ — ახლა თავად დაგსუსხავს, თანაც ისე, რომ ბოღმისაგან სულს ამოგიტრიალებს. საშმანეთიანი კი არ ენანებოდა, შეურაცხყოფილი იყო, რომ ამ თავხედურ მუქარას უნდა დამორჩილებოდა, რადგან იცოდა, ეს კაცი ყველაფერს იკადრებს. თუ დასჭირდა, სახლ-კარს გადაუბუგავს ან ფიჭვნარში მოკლავს.

მაშ როგორ მოიქცეს, მოითმინოს?

სტეპანიდა ისეთი ხასიათისა არ იყო, რომ მოეთმინა. მაინც მოიფიქრებს რაიმეს, რაღაცას იღონებს. უწინარეს ყოვლისა, პეტროკს მოუყვება, ხვალ კი გონჩარიკთან ჩაირბენს, სოფლსაბჭოში. ხომ არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, როგორმე მოარჯულებენ ამ ტყის ყაჩაღებს.

სანამ ხუტორს მიაღწევდა, დაღამდა კიდეც. ქოხის გაყინულ სარკმელში მშვიდად ბრწყინავდა ჭრაქის წითელი შუქი — ბავშვები გაკვეთილებს უსხდნენ. პეტროკი ეზოში არწყულებდა ცხენს, ეს-ეს არის რომ გამოეხსნა მარხილიდან, რომელიც შეშისსაჭრელზე იდგა სამი მსხვილი მორით, ეტყობა, ვერძის ხევიდან მოეზიდა პეტროკს. თუ დაზოგვით იხმარებდნენ, გაზაფხულამდე იკმარებდა. მაგრამ შეშისთვის, სხვა დროს რომ ასე გაუხარებდა გულს, ახლა ყურიც არ უთხოვებია. ქალი პეტროკს მივარდა.

— პეტროკ! ჰაი, პეტროკ!..

ეტყობა, პეტროკმა მაშინვე იგრძნო, ცოლის თავს კარგი ამბავი არ იყო —

სტეპანიდას ბევრჯერ როდი მიუმართავს მისთვის ასეთი ხმით. კაცმა თოვლზე მიაგდო სათლი და შეშფოთებული შეეგება ცოლს.

— პეტრა, რა ხდება ეს! — უთხრა ქალმა და წაისლუკუნა. პეტროკი დაბნეული იდგა ცოლის წინ.

— ვინ გაწყენინა, რა იყო?..

— ისინი ხომ დაგვხოცავენ. ქოხსაც გადაგვიწვავენ. ეს-ეს-ეს-ეს-ულები არიან! კალათი წამართვეს.

პეტროკი უცებ გაშრა, წარბი შეიკრა და ჩუმი ოხვრით ამოღერღა:

— მაშ, როგორც ჩანს, შენც დაგიხვდნენ?

— რაო, შენც გაგძარცვეს თუ?

— მეც... ფიჭვნარში, არა?

— ფიჭვნარში.

პეტროკმა მოიხედა, ღობეს მიადგა და ცოტა ხანს ყური მიუგდო, თან მახლობელ ღარტაფისკენ იყურებოდა.

— გამიგონე... ყური მიგდე. სიტყვა არავისთან დაგცდეს! და, იცოდე, არსად შეყო ცხვირი. იჯექი შინ, იმიტომ, რომ... ჩემზედაც დამუქრებულები არიან: კრინტი რომ დავძრა, ფადაგვბუგავენ.

სტეპანიდა ნაძვის ხორკლიან მორზე დაჯდა მარხილზე, რადგან ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდა. მაშ პეტროკი მოიგდეს ხელთ და ახლა ცოლს უბრძანებს, ჩუმად იყავით, თუ არადა... მართლაც რომ შემზარავი საფიქრალია, რა მოხდება, თუკი... სადღა იცხოვრონ მაშინ? საით აიბარგონ ბავშვებიანად?

პეტროკმა დაარწყუტა ცხენი და ბოსელში შეიყვანა. ცოტა ხანს ფათურობდა იქ და ისევ ეზოში გამოვიდა. უკვე მთლად დაღამდა. საკუჭნაოს კუთხიდან მძაფრმა, თბილმა ქარმა დაუბერა. ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა, ძალაგამოცლილი, ნამტირალევი სტეპანიდა მორზე იჯდა და ფიქრობდა: რა უნდა ვქნათო? როგორც ჩანს, ის და პეტროკი უბედურებას ვერსად გაექცევიან, ნეტა კი ბავშვები გადაურჩნენ. მათ ნაზ გულებს არ დასუსხავდეს. მერე, რაღა თქმა უნდა, მათაც გადახდებათ გადასახდენი, ამდენი რომ არის ცხოვრებაში, მაგრამ დაე, როცა წამოიზრდებიან, მაშინ. ახლა კი ჯერ ადრეა, ახლა სტეპანიდა მზად იყო თავისი სხეულით დაეფარა ისინი ცხოვრების ღვარძლიანი კლანჭებისაგან.

— აი, ჩემო დედაკაცო, რა ხიფათში გავებით! — მიუახლოვდა ცოლს პეტროკი. — აბა ამას ვინ იფიქრებდა! აი მეც... მივდივარ და ის იყო, ცხენმა შარაგზიდან გადაუხვია, გზის მოჭრას აპირებდა, რომ გამოვარდა და ცხენი მომეცით! რომელი ცხენი, ვერა ხედავ, შეშა მიმაქვს-მეთქი. მომეცით და მორჩა. ცხვირთან ლულა მომაჭირა. წაიყვანდა კიდევაც, მაგრამ ჭაპანი იყო სუსტი და ასე ვუთხარი, ხომ ხედავ, დაგლეჯილია-მეთქი ჭაპანი... ნახა და გამანება თავი. ასე მითხრა, ნათესავი ხარ, რაც უნდა იყოსო. ოჰ, შენ კი ჩაძაღლდი, რად მინდა ასეთი ნათესავი! მაგრამ რამე რომ იყოს, არ დაგვინდობენ, გადაგვწვავენ. ასეთი ხალხია, გააფთრებულები არიან, რა ენაღვლებათ? დასაკარგი არაფერი აქვთ. ტყის შგლებივით არიან.

— ძმებია იქ თუ?

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი! მაგრამ მარტო არ არის. მე აკი დავინახე...

— მერე რა უნდა ვქნათ? ხმა ჩავიკმინდოთ?

— მაშ რა! ვიჩივლოთ? ბალღები მაინც შეიბრალე!

სტეპანიდა ხმას არ იღებდა. ბალღებს, რაღა თქმა უნდა, შეიბრალებს, მაგრამ მას ვინღა შეიცოდებს? ქალი აბუჩად აიგდეს და ახლა კი თავადვე ქირდოს საკუთარი თავი, ითმინოს, რაც ველარ ითმენს, ხმა ჩაიქმინდოს, როცა გულიდან საცაა ცვირილი აღმოხდება? განა შეიძლება ეს?

იმ გრძელ ქარიან ღამეს სტეპანიდას თვალი არ მოუხუჭავს, [illegible] დო ღუმელს იქით, თავის საფიქრალს ფიქრობდა. შფოთიანი, [illegible] აწამებდა, აუარებელი კითხვა უტრიალებდა, რომელზედაც პასუხი ვერ მოეძებნა. ბოროტება და სიკეთე აირია ქვეყანაზე, თუ ერთი ბოროტება მეორე უფრო დიდ ბოროტებას შეენაცვლა? ან იქნებ თავად მასში შეიცვალა, გადასხვაფერდა, გაიბზარა, გაცამტვერდა რაღაც? ბევრი რამ ვერ გაეგო ქალს, მაგრამ ერთ რამეს კი კარგად გრძნობდა: ასე არ უნდა იყოს, ეს არაა ადამიანური, მაშ საჭიროა რაიმე იღონოს, კი არ უნდა იწვეს, ელოდოს და შეურიგდეს ამას — ხვალვე უნდა ვისელკიში გაიქცეს ან დაბაში, ოლქში, პოლოცკში, კეთილი ხალხი იპოვოს. თვალწინ სულ ნოვიკი ედგა, რომელიც მხოლოდ გუჟის განკულაკებას მოითხოვდა, სხვებზე კი სიტყვაც არ უთქვამს. სტეპანიდას გუჟის საწინააღმდეგოდ ხმა არ მიუცია და მერე ძალიან ეცოდებოდა ბებერი გუჟები, მაგრამ ახლა, ფიჭვნარში გუშინდელი შეტაკების მერე ზმიტერთან, გაუქრა მათდამი სიბრალული. დაე, განაკულაკონ, დაე, სოფლიდან გაასახლონ ეს მგელი, რომ მისი სახსენებელიც არ იყოს აქ. უიმისოდ მეტი სიწყარე იქნება.

მაგრამ სხვებმა რა დააშავეს?

სხვებზე რომ ფიქრობდა, სტეპანიდას გული სტკიოდა, განსაკუთრებით ანიუტა ლადიმიროვა, ბებერი პროხორიხა და კორნილა რომ მოაგონდებოდა. კორნილასთან სტეპანიდას ძველთაგანვე განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა, რაც კინაღამ მათ საერთო ბედად იქცა. მაგრამ არ იქცა.

სტეპანიდა მაშინ ქალიშვილი იყო, ბებერ იახიმოვსკისთან მუშაობდა, ვისელკიში ცხოვრობდა და სამუშაოზე ყოველდღე დადიოდა იახიმოვშჩინაში: დილაადრიანად, განთიადისთანავე დგებოდა და შარაგზის გადავლით ხუტორისაკენ გარბოდა ხოლმე. ორი ბოლხა ჰყავდა მოსაწველი და საძოვარზე გასადენი, ლორებისა და ბატების სალაფავიც უნდა მოემზადებინა — აქ ბლომად ჰყავდათ ლორებიცა და ბატებიც, რომლებიც გოლგოთაზე, ნაწვერალზე ბალახობდნენ. ბებერი იახიმოვსკი თითქმის არ აქცევდა ყურადღებას საოჯახო საქმეებს, მიწაყრილზე ან კიდევ ღუმელს იქით ხვნეშოდა თავისთვის და სტეპანიდა ისე დიასახლისობდა, როგორც ეპრიანებოდა. მის გარდა ხუტორში სხვა მოჯამაგირეებიც იყვნენ, მაგრამ ისინი მინდორში მუშაობდნენ, იქ კი სტეპანიდას არაფერი ესაქმებოდა. ხუტორის კარ-მიდამოც კმაროდა მისთვის, ბოსტნისა თუ საქონლის წყალობით არც ზამთარში ჰქონდა მოსვენება და არც ზაფხულობით. განა ძალიან სასიამოვნო იყო ამ ხუტორში წელის წყვეტა, მაგრამ რა უნდა ექნა უმიწაწყლოსა და უმზითვოს, ვისელკიში უფროსი ძმის გულცივ, მცირემიწაწყლიან ოჯახში სამადლოდ შეკედლებულ საცოდავ გოგოს.

ერთხელ ადგომა დაუგვიანდა და კარტოფილის ნათესების გადავლით სწრაფად გარბოდა დაცვარულ ბილიკზე შარაგზისაკენ. კორნილას ეზოდან სახლის პატრონის გაბრაზებული ხმა მოესმა, იქვე კორნილას ოჩანი ძროხა აწყდებოდა აქეთ-იქით, არ უჯერებდა პატრონს. კორნილა ერთი წლის დაქვრივებული იყო, ორი ბავშვი დარჩენოდა და ოჯახში ქალის საქმეს თავად

აკეთებდა, რასაც მაინცდამაინც მარჯვედ ვერ ახერხებდა და სოფელში ქალები დასცინოდნენ, როგორ რეცხავდა თეთრეულს და ზელდა პურს, ზოგიც გულით თანაუგრძნობდა. სტეპანიდა შეჩერდა, მიხვდა, რომ ძროხა მოწველას არ ანებებს და კორნილა საწველელით ხელში დასდევს, ხან მუშტრით და ხან შეგონებით, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია. სტეპანიდა გაუბედავად შევიდა ჭიშკარში და წყნარი ხმით მოეფერა შეშფოთებულ ძროხას. ძროხა თანდათან დამშვიდდა, კორნილამ წინკარიდან მარილმოყრილი პური გამოიტანა და ქალიც შეუდგა მოწველას. ძროხას ცოტა ჰქონდა რძე, სტეპანიდამ ხელად გამოწველა და ღიმილით გაუწოდა საწველელი კორნილას, მაგრამ იმან არ გამოართვა და როგორღაც უცნაურად მიუახლოვდა ქალს: ახალგაზრდა, ლონიერ მამაკაცს ფართო მკერდზე პერანგი გაღეღოდა, ჩასკვნილი იყო და ჯანიანი. სტეპანიდას ცოტა კი შეეშინდა, მაგრამ კაცის მიბნედილ თვალებში უმწეობა და თითქმის დაბნეულობა ამოიკითხა, მისი ხელები აირიდა და გაიცინა.

— რას შვრები, კორნილა? გონს მოდი...

ეტყობა, ამან გამოაფხიზლა კორნილა, ღობეს მიადგა და ზურგშექცეული იდგა ერთხანს, თუმცა ჭიშკრისაკენ გასასვლელს გადაღობებოდა და ქალი შეცბუნებული იყო: რა ვქნაო? კორნილა ისევ მიტრიალდა ქალისკენ და სევდანარევი ხრინწიანი ხმით უთხრა:

— ნეტა ჩემი ცოლი იყო...

ქალს ისევ გაეცინა.

— ჰოდა, გამომიგზავნე მაჭანკლები, რაღას უცდი?...

— გამომყვები? — ისევ გაუფაციცდა მზერა კორნილას.

— ვიფიქრებ. იქნებ გამოგვყვე კიდევაც. ჯერ არ ვიცი...

სტეპანიდამ მართლაც არ იცოდა, გაჰყვებოდა თუ არა, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, კორნილა კარგი მუშაკი იყო, მაგრამ ქვრივი და თან ორშვილიანი, სტეპანიდა კი ქალიშვილი ქალი. ბიჭებიდან არავინ ჰყავდა შეთვალებული, არც არავის უთხოვია ჯერ ცოლად გაყოლა მისთვის. სხვა რა გზა ჰქონდა? რამდენიმე თვეს ელოდა, რაღას არ ოცნებობდა, რაღა არ წარმოიდგინა, შეძაგდა კიდეც თავისი თავი და კორნილაც. მაგრამ მაჭანკლები კორნილას არ გამოუგზავნია, ხოლო მარხვა რომ ჩათავდა, კუხნალეიდან ასაკგადასული შინაბერა ვანძია ჩამოიყვანა და იგი შეუდგა კორნილას ოჯახში დიასახლისობას. სტეპანიდამ ცოტა კი წაიტირა ბალიშში და დამშვიდდა, თუმცა არ დავიწყნია ის პატარა შემთხვევა კორნილას ეზოში.

ჰოდა, იქნებ ახლა კორნილას ღმერთი სჯის ამისთვის?

მაგრამ არა, განა ამისთანა რამისთვის დასჯის? მაშინ ლადიმირსა და ბებერ პროხორიხას რისთვისღა უხდის ღმერთი? ან კიდევ გუჟებს... ბოლოს და ბოლოს, კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლაც ყველაფერი ამ გუჟის გამო ატყდა? ეგ რომ არ გაჯიქებულიყო კრებაზე, ვინმე რომ გამოეწვია, მაშინ ალბათ აღარც ნოვიკი ჩამოვიდოდა და განკულაკებას აღარ მოითხოვდა. და არც განაკულაკებდნენ, ხმის მიცემის დროს რომ გონჩარიკს ხელი არ აეწია. ჰოდა, გუჟი რომ არ განეკულაკებინათ, აღარც ის შენიშვნა დაიბეჭდებოდა გაზეთში და მაშინ... იქნებ არც დანარჩენებისათვის ეხლოთ ხელი.

მაშ, ვისთვისღა ატყდა ეს ამბავი? გუჟის გამო? ნოვიკისა? თუ ვასილის დამყოლობა გახდა მიზეზი? ნუთუ ყველაფრის მიზეზი ერთი აწეული ხელია? რომ იფიქრო, შეგეშინდება კიდეც, ისე ბევრი რამ ჰკიდია ზოგჯერ ცხოვრე-

ბაში ერთ სიტყვაზე, ხელზე თუ ვისიმე უწყინარ გამოხედვაზედაც კი. განსაკუთრებით ამ დროში, რარიგ წინდახედული, ულვარძლო, სამართლიანი უნდა იყოს ადამიანი! იმიტომ რომ ახლობლისადმი სიბოროტე შეიძლება კიდევ უფრო მეტი ძალით შემოგიბრუნდეს და თავადვე დაგატყდეს თავს. ეს, ალბათ ნახე გულისტკივილი.

დილით სტეპანიდა მოწყვეტილი, ფიქრებით გაწამებული წამოდგა, ბავშვები სკოლაში უნდა გაეშვა, თორემ სულაც არ ადგებოდა. გოჭსა და ცხვარს პეტროკიც დააპურებდა, კიდევ კარგი, რომ ძროხას ჯერ არ მოეგო და გამოსაწველი არ ჰყავდა. ჭრაქის შუქზე ერთი თუჯია კარტოფილი დაფცქვნა და ღუმელი გაახურა. ბავშვებს ისევ ეძინათ — დილის ტკბილი ძილით ფშვინავდა ფედკა, ფენეჩკაც მიყუჩებულიყო, მთელი ღამე რომ ბორგავდა ლოგინში. პეტროკი ეზოში გასულიყო და ალბათ საქონელს დასტრიალებდა თავს. სტეპანიდას შემჩნეული ჰქონდა, რომ მისი ქმარი უწინდელზე მეტხანს ატარებდა ცხენთან, რაკი იცოდა, რომ მალე უნდა დაშორებოდა. ენანებოდა კარგი ცხენი, სულ ოთხი წელი იყო, რაც შეიძინეს და ახლა უნდა ჩაებარებინათ... სტეპანიდას კარგად ესმოდა პეტროკისა. ამასობაში დილაც დადგა. ფანჯრებში სოსანისფრად შემოიჭრა განთიადი, ქოხში ცეცხლი ჰფენდა შუქს და სტეპანიდამ ჭრაქის ჩაქრობა დააპირა, რომ სწორედ ამ დროს ფანჯარაზე მოაკაკუნეს. სტეპანიდას ჯერ პეტროკი ეგონა, მაგრამ არა, მეტისმეტად შეშფოთებული და მკვეთრი კაკუნი იყო, შეშინებული ვინმე თუ აკაკუნებდა. სტეპანიდამ იფიქრა, თუ რამე უნდა, მასპინძელიც ხომ იქვეა, ფანჯარასთან მივიდა და გათოშილი, შემლხვალი მინის იქით მაშინვე დაინახა მიწაყრილთან მდგარი ქალის ლანდი.

— დეიდავ... — ყრუდ მოისმა ფანჯრის მიღმა თითქოს იმქვეყნიური ხმა და სტეპანიდამ იცნო ანიუტკა. მან სასწრაფოდ გააღო წინკარის კარი, ანიუტკა ქოხში შემოვარდა, მერხზე დაეცა და გულჩაწყვეტით მოჰყვა მოთქმას. ბლუშის შავი გრძელი პალტო შეხსნოდა, თავშალი კეფაზე მოქცეოდა, გაშლილი ქერა ნაწნავი მხრებზე ჩამოშლოდა. — ოჰ, დეიდა, ოჰ, რა უბედურება გვჭირს...

სტეპანიდა უკვე მიხვდა. გუშინ სოფლსაბჭოში ნათელი გახდა, რა უბედურებაც ემუქრებოდა ლადიმირს, ანიუტკას და მის უფროს ძმებს. სტეპანიდა შეეცადა დაეწყნარებინა ყმაწვილი ქალი. მაგრამ ანიუტკა უცებ ზეზე წამოიჭრა, ტირილი შეწყვიტა, სახიდან ცრემლები მოიწმინდა და თქვა:

— ოჰ, დეიდავ, ღამით ხომ ანტიპი და ანდრეი წაიყვანეს. მილიცია მოვიდა და წაიყვანა. ყველაფერი გადააქოთეს, გუჟის ზმიტერსაც ეძებდნენ. მაგრამ იგი ეშმაკია, გაიპარა, ჩვენები კი დაიჭირეს და სადღაც წაიყვანეს...

— ასე, ასე, ასე, — იმეორებდა ანგარიშმიუცემლად სტეპანიდა, რომელიც რაღაცას ხვდებოდა. — შენი ძმები გუჟთან იყვნენ?

— ოჰ, დეიდავ, განა ვიცი, სად იყვნენ, მაგრამ ეს დღეები სადღაც იკარგებოდნენ. ზმიტერმა რომ მოაკითხათ, მას მერე დაიკარგნენ, ორი ღამე არ ყოფილან შინ. დღეს კი... იქნებ გაიგეთ კიდეც, რა მოხდა ღამით შარაგზაზე? უბედურება მოხდა. ამბობენ, კოსმაჩოვს ვილაც შარაგზაზე დახვდა, კიდევ იმას, პოლოცკიდან რომ არისო, ჰოდა, ესროლესო. აი იქ, ფიჭვნარში. ასე თქვეს. კოსმაჩოვი დაიჭრაო, კიდევ კარგი, ცხენმა გადაარჩინა, დაბამდე სულ ჭენებ-ჭენებით ჩამოვიდაო. ჰოდა, მილიციაც ფეხზე დადგა, ოჰ, ღმერთო, რა ამბავი იყო! ღამით... ძმები დაბრუნდნენ თუ არა, თავზე დაგვადგნენ.

ეროვ. ბიბ. ბ. ბერძნიშვ. სახ. საბ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ტყაპუჭებს იხდიდნენ, რომ მოგვიკაკუნეს. ეკითხებიან ბიჭებს — სად იყავითო? იმათ უთხრეს — შინო. მაშინ მე შემეკითხნენ. მე რა უნდა მეთქვა, აკი არაფერი ვიცი.

ამ ამბით გაოგნებული სტეპანიდა მერხზე დაეშვა, გაბეზრდა, როგორ აერია ყველაფერი გულშიც და თავშიც. მაგრამ ნელ-ნელა [illegible] ქეხვდა, რა საშინელი ამბავი მომხდარიყო. იგრძნო, რალაც კავშირი [illegible] საშინელ შემთხვევასა და იმას შორის, რაც ვისელკიში ხდებოდა, ფიჭვნარში გუშინდელი შეხვედრის შემდეგ. ქალი დუმდა, შესცქეროდა ანიუტკას, ცოტათი რომ დაწყნარებულიყო და თავშალს ისწორებდა. ამ არაჩვეულებრივ მოვლენათა აზრი თანდათან სწვდებოდა მის გონებას. ღუმლის იქიდან ბავშვები წამომდგარიყვნენ. ფედკას შარვალი ჩაეცვა, ჯვალოდან თავი გამოეყო, იდგა ასე და ნამძინარევ სახეზე შიში ასახვოდა.

ანიუტას კი ლაპარაკი არ შეუწყვეტია, სასოწარკვეთილი იმტვრევდა ხელებს:

— არ ვიცი, ახლა რა უნდა ვქნა! მამაჩემი ტირის, მეუბნება: ეს რა მიყავით, შვილებმა ამ სიბერეშიო? ხოლო ანტიპი და ანდრეი რომ წაიყვანეს, მას მერე სულ მიწას ურახუნებს თავს, აღარ შემეძლო ყურება და თქვენკენ გამოვიქეცი. რა ვქნა ახლა, დეიდა?

რა ქნას? ნეტა აცოდინა, რა უნდა ქნას! მაგრამ ახლა, ეტყობა, ველარაფერს გააწყობ. უკვე გვიან არის! ასეთი რამ რომ მოხდება, რალა უშველის. ცხვირსაც ვერსად შეყოფ. თანდათან მიხვდა სტეპანიდა, რა ხდებოდა ფიჭვნარში, როცა იგი დაბაში გარბოდა, რატომ გააჩერეს: იმათ განა სამმანეთიანი ანალვლებდათ, ისინი ე ლ ო დ ნ ე ნ. ჰოდა, სტეპანიდა ხელს შეუშლიდათ. მაგრამ არ ვინდა გაბედო ასეთი რამ, მიხვიდე აქამდე! ახლა კი... რა მოხდება ახლა?

16.

სტეპანიდა თანდათან დამშვიდდა, გონება მოიკრიბა, მაგრამ უსამართლობის შეგრძნება ერთთავად გულს უკლავდა და თუმცა ესმოდა, რომ იმ ღამისა და შარაგზაზე იმ შემთხვევის მერე უკვე გვიანღაა რაიმე იღონოს, მაგრამ რალაც ბოლომდე ართქმული და ბოლომდე შეუცნობელი თხულობდა ახსნას, გამოსავალს ან შეცნობას, თუნდაც საკუთარი თავის დასამშვიდებლად.

უკვე კარგა რომ გაშორდა ლადიმირის ეზოს, შეამჩნია, რომ იახიმოვშჩინაში კი არა, ვისელსკის მეორე ბოლოში მიდის, მაგრამ აღარ მობრუნებულა. მის წინ ნაცნობი ადგილი იყო, აქ ოდესღაც მათი ქოხი იდგა, ახლა კი უსაყუდროდ ითოშებოდა ქარში ოთხი არყის ხე და სახლ-კარის მიჯნასთან კიდევ წვრილი ტოტები გაეშალათ ჩამწკრივებულ ალუბლის ხეებს. ქოხი აღარ იყო, კარგა ხანია დამპალიყო, მისი ნარჩენები შეშად იხმარეს, ხოლო ბოსტანი მეზობლის, დემიან ბოგატკას ხელში გადავიდა. რომლის მზრუნველმა ხელმა კოხტად შემოარაგვა იგი არყის ხის ღობით. მაგრამ სტეპანიდას ფეხი არ შეუჩერებია თავის ყოფილ სახლთან, გზა განაგრძო — ჩაუარა მისთვის ასე კარგად ნაცნობ ქოხებს, ძელურ კედლებს, ღობეებს, ხეებს; მელანიასეული ნეკერჩხლის მსხვილ, ქუჩაში გამოჩრილ ტოტებსაც აუარა გვერდი. მერე ბორცვიდან დაეშვა და იმდენი იარა, სანამ ავსიუკოვის ქოხთან ახალთახალ მესერს არ წაადგა. აქ ახლა სკოლა იყო და აქ გახლდათ სწორედ, თავადაც კვირაში სამი დღე წერა-კითხვის სასწავლად რომ დარბოდა. ახლა აქ მისი ფედკა,

ფენია და კიდევ ოცდაათიოდე ბავშვი სწავლობდა. ოთხრიგად ჩამწკრივებულები რომ ისხდნენ, თითო კლასზე მერხების თითო მწკრივი მოდიოდა. სტეპანიდა მკერდით მიეყრდნო მესერს და ჩაფიქრდა. ბალღებმა დე, ახწავლონ, იქნებ მათმა ხვედრმა აჯობოს მათივე ძმობლების ხვედრს, სწავლა [illegible] ავმევთ და ხალხში გამოიყვანთ. მისი სწავლა კი მორჩა. მეტს აღარ წავა კურსებზე. ანიუტკას გამგზავრების შემდეგ ველარ შეძლებს უიმისოდ [illegible] მერხს, ვერ შეძლებს სკოლის ზღურბლის გადავლას. ამ შემოდგომის დამდეგს ანიუტკამ დაიყოლია ამ კურსებზე შესულიყო, უმტკიცებდა, სოცხვილია, წერა-კითხვის უცოდინარი იყო, როცა მთელი ქვეყანა სწავლობსო. თავად ანიუტკა ძალიან ცდილობდა კარგად ესწავლა და სტეპანიდა მიუხვდა, რისთვისაც — გონჩაროვმა ჯარში გაწვევამდე დაბაში ოთხი კლასი დაამთავრა. ჰოდა, ანიუტკა როგორღა ჩამორჩებოდა? პატარა გოგო რომ იყო, არ ჰქონდა შესაძლებლობა სწავლისა, ხოლო თექვსმეტისას და მერე ოჯახში დიასახლისობა მოუწია, რადგან დედა ჭლექით გარდაეცვალა, მამას ქალი აღარ უთხოვია. ხოლო ტყუპი ძმები, ანტიპი და ანდრეი რატომღაც არ ჩქარობდნენ ცოლების მოყვანას, შეითვალებდნენ ვინმეს და ველარ წყვეტდნენ საქმეს. ახლა, ეტყობა, აღარ დაცოლშვილდებიან.

უცებ სკოლიდან ბავშვების მხიარული ჟრიამული მოისმა, სტეპანიდა მიხვდა, რომ შესვენება დაიწყო და თავადაც დაიძრა ადგილიდან, აქ რაღას დაუდგებოდა, ნელა გაუყვა ქუჩას და უკან ბორცვზე ავიდა. მედავითნეს ქოხს რომ ჩაუარა, იფიქრა, ლევონს ვნახავო, იქნებ ახალი რამე იცოდეს, რაც მე არ გამიგონიაო, რაიმე მითხრას ეგებ, იქნებ დამამშვიდოსო რაიმე ამბით, თუმცა სოფლსაბჭოს სამყოფში არავინ იყო. მოჩანდა მხოლოდ ბოლქვა-ბოლქვა ავარდნილი მტვერი — ეს პოტაპ კოლენდენოკი გალეული ცოცხით გვიდა ტალახიან, კაცმა არ უწყის, როდიდან მოურეცხავ იატაკს და სტეპანიდა ზღურბლთან შეჩერდა.

— განა ლევონს არ შემოუვლია?

— არა, არ შემოუვლია.

კოლონდენოკი ყურადღებას არ აქცევდა ქალს და დაუზოგავად ატრიალებდა ცოცხს — ზღურბლს ახვეტდა სილასა და ნაგავს. სტეპანიდამ მის ერთთავად გალურჯებულ შიშველ ფეხებზე ჯერ კიდევ ვარგის, თუმცა ნახმარ წაღებს მოჰკრა თვალი. მაგრამ ლევონისა არ იყო.

— რაო, სად იშოვე წაღები?

— რეკვიზირებულია, — წვრილი ხმით მიუგო პოტაპმა და ავარდნილი მტვრის ბოლქვიდან მტრულად გახედა სტეპანიდას.

— იმუყაითე, იმუყაითე, შე ქეციანო! — მიახალა გაბრაზებულმა სტეპანიდამ.

სტეპანიდა ღობეს მიუყვებოდა და ფიქრობდა, აგერ ცხოვრობს ჯერ კიდევ ახალგაზრდა და წიგნიერი კაცი (მეტისმეტად წიგნიერიც კი — სამი თუ ოთხი კლასი დაამთავრა), რომელიც თითქოს ყველაფერში პატიოსნად იქცევა, როგორც დრო უკარნახებს, ისე, მაგრამ სოფელში ხალხს აბოროტებს მხოლოდ და თვალში არავის მოსდის. აი, გაზეთშიც დაწერა, რაც მოხდა, ალბათ სწორადაც, მაგრამ საბოლოოდ როგორ მოატრიალა საქმე მისმა ნაწერმა? სტეპანიდას სიტყვებიც არ ეყოფოდა, რომ ყველაფერი ეთქვა მისთვის, რასაც განიცდიდა. მაგრამ ზიზღის მეტს არაფერს გრძნობდა ამ უსიტყვო, თავისი ასაკისთვის მეტისმეტად ზორბა ყმაწვილისადმი, რომელსაც ბევრი არაფერი

გაეგებოდა იმისა, თუ რა შედეგი მოჰქონდა მის მუყაითობას. იგი ზმიტერი არ იყო. ზმიტერს დაინახავდი თუ არა, მაშინვე შეატყობდი, რისი ჩამდენიც იქნებოდა, მაგრამ ახა გამოიცან, ეს ჩუმჩუმელა ხვალ რას მოიფიქრებდა. ქალს მოაგონდა, რომ სოფლის ბალღებიც კი არასოდეს არ ეთამაშებოდნენ მას და თუმცა ბუნებით ბოროტი არ იყო და მაინცდამაინც არავისთვის უწყენინებია, ტოლები მუდამ გვერდს უვლიდნენ ხოლმე. მუდამ მარტო იყო, მარტო — სოფელში, სკოლისაკენ მიმავალი თუ მინდორში ხახიოის მწყემსავი. ცოტათი რომ წამოიზარდა, უფროსების რთული საქმეების ყურისგდება დაიწყო, არ გამოტოვებდა არც ერთ კრებას, დილიდან გვიან ღამემდე სოფლსაბჭოში იყო ატუზული და პირდაღებული, ხმისამოუღებლად უსმენდა ყველას ლაპარაკს. ნეტა რას ფიქრობდა ამ დროს?

— ოჰ, შენ კი გაგისკდა მიწა, შე საძაგელო! — ჩაიბურტყუნა განერვიულებულმა სტეპანიდამ.

უკვე ვისელკის ბოლო ქოხებს ჩაუარა, უკვე განაპირას ლადიმირის დაობლებული, გამოცარიელებული, ჭიშკარმოფლეთილი ეზოც გამოჩნდა, რომ უცებ გონჩარიკის ქოხიდან ქალის შემზარავი კივილი გაისმა. სტეპანიდა შეკრთა და შუა ქუჩაში გაჩერდა. ქოხის კუთხიდან ვასილის დედა, ულიანა გამოვარდა. ქალი შემზარავად გაჰკიოდა მხოლოდ ერთ სიტყვას — „ხალხნო, ხალხნო!“ — და გააფთრებით ირტყამდა მკერდში მუშტებს. სტეპანიდა რომ დაინახა, მივარდა, თან ერთთავად რაღაცას გაჰყვიროდა, რას — სტეპანიდას ვერ გაეგო, ერთი რამ ცხადი იყო — რაღაც საშინელი ამბავი მომხდარიყო. ულიანა ტირილითა და მოთქმით უთითებდა ქოხზე, მოშიშვლებულ, სქლად ყინვადადებულ მინებიან ფანჯრებზე. სტეპანიდა სირბილით გაექანა იქითკენ და უკვე ეზოდანვე მოესმა ასეთივე შემზარავი ხმა ქოხიდანაც — ტირილით იჭაჭებოდა ულიანას ბიჭი იანოჩკა. მოფლეთილი კარებიდან სტეპანიდა წინკარში შევარდა და ქოხის ნახევრად ღია კარი მოაღო, იფიქრა, ალბათ იანკას ჭირს რაიმე უბედურება და ვუშველიო, მაგრამ ქოხის ჩამოღამებულ, უცნობ სივრცეში პირველად ვერ მოისაბრა, სად ტიროდა ბავშვი.

სამაგიეროდ სხვა რამ დაინახა, რამაც წუთით გააქვავა შუა ქოხში თავზარდაცემული ქალი.

ფანჯარასთან, ცარიელ მაგიდის ბოლოზე მკერდით დაყრდნობილი, უძრავად იჯდა ვასია გონჩარიკი, როგორც ყოველთვის, თავის წითელარმიელის ფორმაში — მაზარითა და ღვედებითურთ — და მხარზე არაბუნებრივად ჩამოეგდო ქერა, აჩეჩილი თავი. ქოხის აშმორებულ ჰაერში ცხადად იგრძნობოდა ახლახან გასროლილი ტყვიის შემაშფოთებელი სუნი, იატაკზე მაგიდასთან ეგდო ნაგანი. ხოლო ღუმლის რომელიღაც კუთხეში ტირილით იფხრიწებოდა სამი წლის იანოჩკა.

17.

ჰოდა, სწორედ ამ წელიწადს მოელო ბოლო ვისელკელი გონჩარიკების ისედაც მცირერიცხოვან ბედუკულმართ მოდგმას.

ყმაწვილის გალეული სხეული, მუცელზე ტანსაცმელაჩაჩული, მერხთან ეგდო მესრის ძირში. პეტროკი თავზარდაცემული იყო ამ მკვლელობით და ვერ გაეგო, როგორ მოხდა, როგორ გაჩნდა ღამით ხუტორში მუნჯი მწყემსი ბიჭი. რა დასჭირდა აქ? პეტროკს თითქოს ენა წაერთვა. ცხოვრებაზე წუწუნ-

საც თავი გაანება, შიშით იყო შებოჭილი ისევე, როგორც სტეპანიდა, გაშტერებული მდუმარედ რომ იჯდა თავის ფიცრის ტახტზე სარკმლის ქვეშ.

გერმანელები კარგა ხანია დაშოშმინდნენ, ალბათ დაიძინეს [illegible] კარვებში. მხოლოდ გუშაგს არ ეძინა, ხან ზღურბლთან, სახურავს [illegible]ბული იდგა, ხან ჩუმად მიდი-მოდიოდა ეზოში. როცა ფანჯარაში [illegible] ტანი გაიცრიცა, როგორც ყოველთვის, სამზარეულოდან მოი[illegible] ჩხარუნი — კარლამ თავის საქმეს მიხედა. პეტროკს ძილღვიძილში ჩაესმა ეს ხმა. ახალ-ახალ უბედურებისა და თავზარისათვის უნდა მომზადებულიყო. განა სხვას რას მოელოდა ახალი ღამისაგან? მაგრამ როგორც კი კასრიდან ფეხები ჩამოკიდა და ღამით გამშრალი ჯლანები მოიძია, შარაგზის მხრიდან შორეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი რახრახი მოესმა — ასე ხოგჯერ მოტოციკლეტები რახრახებდნენ, რომლებიც კარგა ხანია შარაგზაზე აღარ დადიოდნენ. მაშასადამე, ხიდი უკვე მზად ყოფილა, რაკი შარაგზაზე მოტოციკლეტები დაქრიანო, ნაღვლიანად გაიფიქრა პეტროკმა. რახრახი დროდადრო მიყოვდებოდა, მაგრამ მაშინვე უფრო ხმამაღლა ისმოდა; აი ახლა მთლად ახლოდან მოისმა (ალბათ უკვე ციცხვებს გადაღმა) და უცებ შეწყდა. ვიღაც ჯერ კარლას გამოელაპარაკა, მერე კი კართან მდგომ გუშაგს. პეტროკი სუნთქვაშეკრული აყურადებდა. ადრე აქ მოტოციკლები არ ჰქონიათ, მაშ ეს შორიდან მორახრახდა, ეტყობა, რაღაც ბრძანება მოიტანა. იქნებ ახლა რაიმე შეიცვალოს ხუტორში? როგორც ჩანს, მართლა შიკრიკი მოსულიყო: ქოხის კარზე, სადაც ოფიცერი ბინადრობდა, ნელა მიაკაკუნეს, მერე კარი გაიღო და ისევ დაიკეტა. გერმანელთა ჩუმი საუბარი საკუჭნაოში თითქმის არ ისმოდა. სამაგიეროდ, იქიდან რომ გამოვიდნენ, გუშაგმა ეზოში რაღაც გასძახა და კარავთან ჩოჩქოლი ატყდა — გაისმა გერმანელების ფეხების ბრაგაბრუგი, ყვირილი, ვიღაცები გარბოდნენ. თითქოს განსაკუთრებული საგანგაშო არაფერი ჰქონდათ, უბრალოდ, ფიცხლად წამოხტნენ ვიღაცის უდროო დროს ბრძანებაზე, თუ რა იყო?

პეტროკი სარკმელს აეკრა — ძალიან სურდა, გაეგო რა ხდებოდა იქ. სტეპანიდა კი ყველაფრისადმი გულგრილი გამომეტყველებით იჯდა თავის ლეიბზე, მხრებით კედლის ძელებს მიყრდნობილი. თვალები მოხუჭული ჰქონდა. მაგრამ ქუთუთოების კრთომაზე ატყობდა პეტროკი, რომ ქალს არ ეძინა და მასავით ყურგამახვილებული აყურადებდა. რა ხდებოდა ეზოში.

ამჯერად მხოლოდ ორმა თუ სამმა გერმანელმა დაიბანა საჩქაროდ პირი ჭასთან, სხვები კარვებიდან უკვე მაზარაჩაცმულები გამოდიოდნენ, ის კი არადა, შაშხანებიც ეჭირათ ხელში, ზოგს ზურგჩანთა მოეგდო, ხელში ჩანთა დაეჭირა და თითქოს ვიღაცის მოლოდინში დამდგარიყვნენ სამზარეულოსთან, ყბედობდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ. ერთი რამ აშკარად ეტყობოდათ: არც საუზმობას აპირებდნენ და არც სამუშაოზე წასვლას. სწორედ ამან აფიქრებინა პეტროკს ის, რამაც შეაცახცახა.

— დედაკაცო, ჰა, დედაკაცო, გეყურება? მიემგზავრებიან!

— როგორ არა, ელოდე, როდის გაემგზავრებიან.

— ღმერთმანი, მიემგზავრებიან-მეთქი! შეხედე, ხარახურა გამოზიდეს კარვიდან. აი მანქანაში გადააქვთ...

მართლაც კარვიდან ყუთები, ფუთები, ტანსაცმელი გამოზიდეს და უკანა, ძარიდან შეჰყარეს მანქანაში. წუთის შემდეგ ორმა სალდათმა პალო ამო-

აძრო მიწიდან, კარვის დაჭიმული კუნი ჩაიჩუტა, დანაოჭდა და მიწაზე დავარდა.

— აჰა, აიხვეტნენ და ეს არის, ოჰ, მადლობა უფალს! — მოულოდნელმა სიხარულმა აიტანა პეტროკი, სტეპანიდამაც წამოიწია და სარკმელში გადაიხედა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ქალმა ვანა ის დაინახა, რომელიც გაახარა.

— წევს... წაეფარებინათ მაინც რამე. პირუტყვივით დაუგდიათ... მხეცები.

რასაკვირველია, სტეპანიდა ამას იანკაზე ამბობდა. მაგრამ პეტროკს იქით გახედვისაც კი ეშინოდა, მესრის ძირისკენ, სადაც ყმაწვილის გალეული სხეული იდო, რომელთანაც, ეტყობოდა, ახლა არც ერთ გერმანელს არაფერი ესაქმებოდა. მოკლეს და დააგდეს. მაგრამ რისთვის? რასაკვირველია. ყრუ-მუნჯის მოკვლა ძნელი არაა — ვერც გუშაგის შეძახილს გაიგონებს და ვერც ვერაფერს იტყვის. მაგრამ რატომ უნდა მოეკლათ? რა დაუშავა ამათ?

პეტროკი ფიქრობდა, ალბათ გერმანელები იანკასაც წაიყვანენო — რაკი მოკლეს, მაშასადამე, მიზანიც ჰქონდათ რაიმე, გასართობად ხომ არ მოუსწრაფავდნენ სიცოცხლეს. მაგრამ გერმანელები მანქანაში ტვირთავდნენ თავიანთ ქონებას და მოკლულს არც ერთი მათგანი ახლოსაც არ გაჰკარებია. მხოლოდ ერთი ზორზოხი გერმანელი, მაზარა რომ ეცვა, ზურგზე ჩანთა მოეკიდა და ტყავის ქამარზეც შაშხანა ეკიდა, სამზარეულოსაგან მოშორებით გაჩერდა, შორიდან გახედა მესრის ძირს, როგორც პეტროკს მოეჩვენა, თითქოს ამოიოხრა და ისევ მანქანისკენ გაბრუნდა. კარლა მიუხედავად ასეთი სამზადისისა, თავისი ყოველდღიური საქმიანობით იყო გართული: შეშას ამატებდა, ურევდა ქვაბს, რომელშიაც იხარშებოდა რაღაც და მისი ოხშივარი მესრის გიდალმა მინდორში მიჰქონდა ქარს. ამ ოხშივარის ბრალი იყო, რომ პეტროკმა გვიან შენიშნა საზიდარი, შეუმჩნევლად რომ მიუახლოვდა ჭიშკარს და მანქანასთან გაჩერდა. საზიდრიდან ჩამოხტა გუჟი, რომელსაც ისევ ის წითელი ტყაპუჭი ეცვა და ხელში შაშხანა ეჭირა.

სწორედ იმ წუთს წინკარიდან გამოჩნდა შავი მუშამბის ლაბადიანი ოფიცერი, იგი საფეხურზე შეჩერდა და მეპატრონის თვალი მოავლო ეზოს, გუჟმაც თვალისწამში მასთან მიირბინა და ულაზათოდ გაეჯგიმა, თითქოს „სმენაზე" დგომა უბრძანესო. „აი, ახლა კი მიაკერებს!" — გაიფიქრა ნიშნის მოგებით პეტროკმა, მოაგონდა მისი გუშინდელი შეტაკება ფელდფებელთან. მაგრამ, ეტყობა, დღეს რაღაც შეიცვალა გერმანელებისა და პოლიციების ურთიერთობაში, ოფიცერი თავდაჭერილად იყურებოდა აქეთ-იქით. სარკმლიდან პეტროკი მის თვალებს ვერ ხედავდა, რადგან ოფიცრის ჩლიქისებური საჩიხი ეფარებოდა, მაგრამ სახე ოფიცერს, ეტყობოდა, უწყინარი და მშვიდი ჰქონდა. გუჟი რაღაცას უხსნიდა, ის კი იშვიათად თუ ჩაურთავდა სიტყვას, ყურს უგდებდა, მერე ახლოს მივიდა გუჟთან და ხელი ასწია. პეტროკმა წამით ისევ განიცადა ღვარძლიანი სიხარული: ახლა კი მიაკერებს! მაგრამ არა, არ გაურტყია. რამდენიმეჯერ მოწონებით მოუთათუნა ხელი მხარზე — გუტ, გუტო, უთხრა. სწორედ ისევე, როგორც პეტროკს მოუთათუნა გუშინ ფელდფებელმა, როცა ოფიცრების კლოზეტი მოუწონა, რაც უკვე, ყველაფერზე ეტყობათ, ალარ დასჭირდებათ. მაშ რაღაც აამა პოლიციამ, რაღაცით დაიმსახურაო, გაიფიქრა პეტროკმა და ხელად ჩაუმწარდა სიხარული — გუჟის მოსვლა კარგს არაფერს უქადდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოფიცერმა შეაქო. ისევ ახალი სისაძაგლის მოლოდინში უნდა ყოფილიყო.

ამასობაში გერმანელებმა სასწრაფოდ ჩატვირთეს თავიანთი ქონება მანქანაში, ქოხიდან თეთრი დასაკეცი საწოლები გამოიტანეს და მანქანაზე თავიანთი ვეება სამზარეულოს მიბმას შეუდგნენ. ასე ხუთიოდე კაცი [illegible]ული მიაგორებდა მას ჭიშკრისაკენ, შიგ ყველაფერი ტრიალებდა, [illegible] ცეცხლი იყრებოდა და ირგვლივ კვამლის სუნი იდგა, ქარი [illegible] დამოზე ატრიალებდა ოხშივრის ბოლქვებს, გუჟიც ხელს აშველებდა მათ, ხოლო პეტროკი სარკმელთან იდგა და ფიქრობდა: „მოიწყვიტეთ წელი, აგორეთ და იყავით, მე კი არც წამოვალ და არც აქედან გამოვალ, თუ, რასაკვირველია, ძალით არ გამომაგდებენ. ნეტა მეტად ალარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა, თქვე გულპილწებო. ქათმები დამიხოცეთ, ძროხა შეთქვლიფეთ, ბიჭი მოკალით — რატომ, რისთვის? განა ადამიანი ამას იზამს? თუ კაცისა არ გეშინიათ, ღმერთისა მაინც გეშინოდეთ, ღმერთი ხომ ყოვლის მხილველია. ერთხელაც იქნება ამოგაშხამებთ სხვის მიწა-წყალზე ავაზაკობას“.

ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერს მორჩნენ. სალდათები მანქანაზე ბრეზენტის ქვეშ შეძვრნენ, ფელდფებელმა უკანასკნელად ერთხელ კიდევ შემოირბინა ეზო და კაბინაში შეგორდა. სახლის პატრონები, მადლობა ღმერთს, არ გახსენებიათ, არ გამომშვიდობებიან. მაშასადამე, არ ესაჭიროებოდათ ეს და არც, მით უმეტეს, სახლის პატრონებს. ნარვალებზე მძიმე რყევა-რყევით უზარმაზარი მანქანა სამზარეულოიანად გაგორდა შარაგზაზე. ის იყო, გულსმოშვებულმა პეტროკმა დააპირა პირჯვარი გადაეწერა, რომ უცებ ცაცხვებქვეშ ჭიშკარში გამოჩნდა საზიდრებში შებმული წითელი ცხენი, უშნოდ რომ ატრიალებდა წინარას. საზიდარზე სადავეებს ეჭაჩებოდა პოლიცაი კოლონდენოკი. გუჟს წამსვე უტიფარი გაუხდა ქცევა, კარგი მეპატრონესავით უთითებდა, როგორ შემოსულიყო და ეზოში სად დამდგარიყო. გაბრაზებულმა პეტროკმა ღვარძლიანად ჩაიფურთხა ფეხებში.

— შენი დედა... ერთმა ვერ მოასწრო წასვლა, რომ უკვე მეორე გამოჩნდა...

მაგრამ რა გაეწყობოდა, მიხვდა, რომ ფარდულში სულ ვერ იჯდებოდა, ეზოში უნდა გამოსულიყო.

— აბა?! — თვალი მიაშტერა გუჟმა. — ბანდიტებთან შეკარი პირი, ხომ?

— მე?! — სახტად დარჩა პეტროკი.

— შენ. მაშ ვინ. აი გერმანელების რაზმი მთელი ღამე ფეხზე იდგა.

— რაო? მერე მე საიდან მეცოდინება, ფარდულში ვიჯექი. ესენიც ხომ ხედავდნენ.

— ხედავდნენ?! — გამოაჯავრა გუჟმა და ცერა თითი მესერს ატაკა. — მაშ ეს როგორ გაჩნდა აქ?

— მე რა ვიცი?

— არ იცი, ხომ? — გუჟმა ფეხი შეინაცვლა და შაშხანა მეორე ხელში დაიჭირა. — აბა შენს დედაკაცს დაუძახე!

— სტეპანიდა! — დაუძახა პეტროკმა და კიბიდან განზე გადგა.

წინკარში გამოჩნდა სტეპანიდა, თავშალი ნიკაპქვეშ მაგრად შემოეჭირა და კარებში შედგა, შემცივნებული, ბამბულაში იფუთნებოდა.

— ამასთან ერთად მწყემსავდი ხომ ძროხებს? — თავი გაიქნია მესრისკენ გუჟმა.

— ვმწყემსავდი, ჰო, — თქვა წყნარად სტეპანიდამ და ხელები ბამბულას სახელოებში შემალა.

— კოსმაჩოვი მოვიდა, ხომ აი, მასთან, მურყნარში?

— ვინ კოსმაჩოვი? — თვალები მაღლა აიღო სტეპანიდამ;

— სწორედ ის კოსმაჩოვი. აქ დაყიალებს სადღაც, პარტიზანობას აჩაღებს. მე მაგას ვეჩვენები პარტიზანობას

— მე არავინ მინახავს. არავინ არ მოსულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ ეს რაღად დაუდგა ტყვიას წინ?

— მე რა ვიცი, რატომ?

— შენ არ იცი, ამან არ იცის! — ბრაზით აენთო გუჟი, ხელიდან ხელში მარჯვედ გადაიტანა შაშხანა და მუქარით აიქნია ჰაერში. — სულელი არ გეგონოთ. მოხარშულს გიცნობთ ორთავეს, განსაკუთრებით შენ, აქტივისტო დედაკაცო. ვიცი, იმ შაშხანამ შენი ხელი გამოიარა, — გრგვინავდა გუჟი და თან სტეპანიდას გამგმირავ ღვარძლიან მზერას არ აშორებდა. სუნთქვაშეკრული ქალი დაძაბული გაჰყურებდა სადღაც შორს, ცაცხვების ძირებს.

— თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება, — ჩაურთო სიტყვა პეტროკმა. — მაგრამ თუ არ იცი და ისე აბრალებ, დიდი ცოდვაა. ჩვენ აგერ ფარდულში ვისხედით. ლამის პატიმრები ვიყავით. თუ რამე ,მოხდა...

საზიდარი ეზოში იდგა. წითური ცხენი თავჩაქინდრული თვლემდა ხელნაში, იქვე მდუმარედ იდგა და რაღაცას ელოდებოდა პოლიკაი კოლონდენოკი, მაზარაზე ტყავის ქამარი რომ შემოერტყა, თვალები გადაეტრიალებინა და, როგორც ჩანდა, თავის ფიქრებში ჩაფლულიყო. მაგრამ როგორც კი გუჟი საზიდრისკენ შებრუნდა, პოლიკაი მაშინვე სმენად იქცა.

— კეთილი, — თქვა გუჟმა. — მერმისთვის იყოს, ახლა არა მცალია. აბა ერთი ეს ბიჭი საზიდარზე შედე, — მშვიდად უთხრა მან პეტროკს და მესრისკენ გაემართა, კოლონდენოკმა სადაეები საზიდარზე, თივის ბულულზე შეაგდო.

შიშით სულგაპარული პეტროკი მფრთხალად მიუახლოვდა ყმაწვილის განრთხმულ სხეულს, შავ, უხეშ სამოსში რომ იყო გახვეული. ბიჭს თავი გადაგდებული ჰქონდა, საფეთქელზე, ყურის ახლოს, ტალახის ან იქნებ სისხლის კოშტი მიხმობოდა; მოტიტვლებულ, მიწით მოთხვრილ მუცელზედაც შეხმობოდა ნალვენთი სისხლი. პეტროკი გაუბედავად შედგა, არ იცოდა, როგორ მოეკიდა ხელი მოკლულისათვის. მაგრამ კოლონდენოკს ბევრი არ უფიქრია, შიშველ, ჭუჭყიან კოჭებში ჩაავლო ხელები იანკას და მორივით გულგრილად წაათრია საზიდრისაკენ. ყმაწვილს ხელები უნიათოდ გადაეშალა, გამხდარ, წვრილ კისერზე თავი ისე შეერხა, თითქოს ცოცხალი იყო. „ღმერთო, ღმერთო! — შეძრწუნდა პეტროკი და თავტანდაკარგული მიჰყვა უკან, — რა ხდება ეს!“

— მოჰკიდე ხელი, რას დამდგარხარ! — დაუღრიალა შორიდან გუჟმა, როცა ორივენი საზიდართან გაჩერდნენ. თუმცა თავად ახლოს არ მისულა, ქალალდის ნაგლეჯში პაპიროსის გახვევას შეუდგა.

პეტროკმა და კოლონდენოკმა ასე თუ ისე ასწიეს იანკას გაფიჩხებული სხეული და საზიდარში გვერდიდან ჩააგორეს. კოლონდენოკმა ცოტათი თივა წააყარა, თუმცა მაინც ჩანდა, რომ საზიდარში მოკლული იდო. პეტროკმა იფიქრა, ახლა კი წავლენო, და გზიდან მოეცალა, მაგრამ გუჟმა მიაძახა:

— შენც ჩვენთან წამოხვალ!

— სად?

— სამუშაოზე, მაშ სად! აგარაკზე მზე უკვე მოგეკიდათ, ახლა სამუშაოს

მოჰკიდეთ ხელი. ხიდია დასამთავრებელი. მაშ როგორ? აი დაბელები მერამდენე დღეა წელს იწყვეტენ, თქვენ კი ბატონებივით სხედხართ აქ გერმანელებთან.

„ნეტა შენ გამყოფა ღმერთმა მთელი სიცოცხლე ასე ბატონივით, შე დოლრიალავ!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა პეტროკმა, იცოდა, [illegible] წევდა მაინც. ამას ვერ დაიყოლიებ, რაც გინდა ეხვეწო, განსაკუთრებით [illegible] მერე, რაც აქ მოხდა, ამ სახლ-კარში. კიდევ კარგი, რომ სულაც არ დაატუსალა და მხოლოდ სამუშაოზე მიდენის.

პეტროკი საზიდარს მიჰყვებოდა, თან გუნებაში დედის სულს უტრიალებდა პოლიციის. პოლიციები გაქანებულ საზიდარზე შეხტნენ. კოლონდენოკი ცხენს უძღვებოდა, გუჟი კი უკან იჯდა, მიწამდე ჩამოეშვა გრძელი ფეხები და პეტროკს ადევნებდა თვალს, რომ არ გაქცეულიყო. მაგრამ სად გაიქცეოდა? ნახევარი სიცოცხლე აქ გაატარა, ორი შვილი აქ გაზარდა, ამდენი საზრუნავი, შიში, მწუხარება და სულ მცირედი სიხარულიც აქ გამოიარა. სად გაიპარებოდა ახლა? იგი ხომ უძლური, სხვაზე დამოკიდებული კაცი იყო და მთელი სიცოცხლე იძულებით აკეთებდა იმას, რასაც ეტყოდნენ. ამათ ხომ ძალა აქვთ, მას კი რაღა შერჩა? წყვილი ნაჯაფი ხელი, რევმატიზმიანი ფეხები და უკან მოტოვებული სამოცი წელი. აბა რას დაუპირისპირებდა იმათ მტაცებლურ ნება-სურვილს? იქნებ ცოტა ეშმაკობას და ისიც გერმანელებთან, თორემ ამათთან რა ოინები გაგივიდოდა, ესენი თავისიანები იყვნენ, თავისიანს კი ვერ მოატყუებ, ის კი არადა, გერმანელებთანაც სტეპანიდას ხრიკმა კინაღამ უბედურება დაატეხათ. ისევ ისა სჯობს, ხრიკებს თავი ანებო კაცმა და უზაკველად, აშკარად იმოქმედო.

შარაგზაზე რომ დაეშვა, საზიდარმა ფართო, ყვითელ გუბურას შემოუარა და მიწაყრილზე ავიდა, პეტროკი კი გზისპირა თხრილის გასწვრივ ბილიკს გაუყვა. ამის მერე უკვე მალე ფიჭვნარი იწყებოდა, მის იქით მოჩანდა მოსახვევი და ხიდიც იქვე იყო. ნეტა დაიქცეს ეს წყეული ხიდი, რამდენი უბედურება დაატყდა თავს მის გამო იახიმოვშჩინასო, ფიქრობდა პეტროკი. რა კარგი იყო, ყუმბარებმა რომ აყარა და ორი თვე არავის გაუვლია აქ. ახლა კი... ახლა ჯოჯოხეთი იქნება მალე, ასეა ნამდვილად.

მაგრამ ხიდამდე არ მისულან, მოსახვევამდეც არ მიუღწევიათ. შარაგზის იქით, ფიჭვნარში, სადაც ოდესღაც ვისელკელი გლეხები და დაბელები სამეურნეო საჭიროებისათვის სილას თხრიდნენ, სამი ოთხთვალა იდგა და რამდენიმე კაცი ზანტად ტვირთავდა მას. კოლონდენოკმა გზის პირისაკენ გადაუხვია და ცხენი შეაყენა. გუჟი საზიდრიდან ჩამოხტა. კაცებმა შეწყვიტეს თხრა, რომელიღაც მათგანმა და მის კვალდაკვალ სხვებმაც გაუბედავად მოიძრეს ქუდები და ხმის ამოუღებლად გაიჭიმნენ პოლიციის წინაშე.

— ასე ნელა რატომ თხრით? — მკაცრად იკითხა გუჟმა. — რამდენი ოთხთვალა გაგზავნეთ?

— მგონი, ექვსი, — ორმოდან უპასუხა ხანში შესულმა კაცმა, ჭალარა წვერი რომ მოსდებოდა სახეზე.

პეტროკმა იცნო ზაგრიაზიელი იგნატ დუბასეი. ოდესღაც, ჯერ კიდევ კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე, დუბასეის ცხვრის ტყავი გამოჰყავდა და პეტროკი სწორედ ამ ტყაპუჭის შესაკერად, ახლა რომ მხრებზე მოეგდო, ხშირად აკითხავდა მას. პეტროკი ადგილზე ტოკავდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ყველასავით მასაც მოეხადა ქუდი თუ მდგარიყო ასე. მაგრამ

სხვებისაგან რომ არ გამორჩეულიყო, მანაც წყნარად მოიხადა მაუდის კეპი.

— თორმეტი ოთხთვალაა საჭირო, თორემ სულს ამოგხდით, იცოდეთ! — უცებ გამხეცდა გუჟი. — უნდა გაინძრეთ და უქნაროობას შეეშვათ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის კი არ შრომობთ! თამბაქოს მოწევაში გაგყავთ დრო, ხომ?

— ჩვენ ხომ...

— არავითარი თამბაქო! დაბინდებამდე გზატკეცილი სილით უნდა დაფარონ. შენ! — მიუგდო გუჟმა კოლონდენოკს, — ჩამოხტი ცხენიდან და თვალყური ადევნე. არავინ აოსად წავიდეს, იცოდე! მე მუშაობა მჭირდება, მუშაობა!

კოლონდენოკმა სადავეები საზიდარზე დადო და თივიდან თავისი გრძელი შაშხანა გამოაძრო. მის ადგილზე გუჟი დაჯდა, რომელმაც მკაცრი, მძულვარებით სავსე მზერა მოავლო ორმოსა და იქ მიყუჟულ სამ კაცს და გზისპირზე პეტროკი შეამჩნია.

— შენ, ბოგატკა, ამათ მიეხმარები! ჰოდა, შნელ, შნელ, შნელ! გასაგებია?

საზიდარი გუჟიანად მდინარისკენ დაიძრა, კაცებიდან რომელიღაცამ ჩუმად შეიგინა ,ვიღაცამ მთელი გულით ამოიოხრა. პეტროკი ფხვიერი ფერდობიდან ორმოს ძირისკენ დაეშვა და ნიჩაბს წამოავლო ხელი, რომლის წამტვრეული სახელური იქვე სილიდან ამოჩრილიყო. ზემოთ დაუტვირთავი ოთხთვალა იდგა, ხოლო იქვე, მის მახლობლად იღლიაში ყარაულისდარად შაშხანაამოჩრილი კოლონდენოკი გაშეშებულიყო ბოძივით. თვალები ისევ შუბლქვეშ მოქცეოდა, ეტყობოდა, ფიქრებით შორს იყო აქედან.

ვერ იტყოდი, რომ ახლა უფრო სწრაფად შეუდგნენ სილის ამოყრას და ოთხთვალაში ჩაყრას. ძნელი იყო მაღლა ამოყრა, ორმოც საკმაოდ გაღრმავდა, გზასთან ახლოს სილა უკვე გამოუთავდათ და ახლა უფრო იქით და იქით თხრიდნენ. პეტროკი მალე გახურდა, მაგრამ მალევე დაიღალა, მკერდმა უსიამოდ დაუწყო ჩხვლეტა, ჰოდა, შეანელა ტემპი და მერე კი საერთოდ ჩაჩერდა. მაგრამ როგორც კი ერთი-ორჯერ მშვიდად ამოისუნთქა, ფლატეზე მაშინვე შეტოკდა კოლონდენოკი.

— თხარე!

— იცი, ისა... არაქათი გამიწყდა... დავისვენებ...

— თხარე-მეთქი!

— იცი, რა... შვილო...

„შვილმა" უკვე შაშხანა მოიმარჯვა და საკეტი გააჩხაკუნა, სადაცაა გაისროდა, პეტროკს შეეშინდა, მისი ხელები თავისთავად ჩააფრინდნენ ნიჩაბს, ცოტა სილა შეყარა ოთხთვალაზე და კოლონდენოკმაც დაუშვა შაშხანა. „ო, რა საზიზღარია! — გაიფიქრა პეტროკმა. — რატომ არ მიახრჩო ნეტა პატარაობაში დედამისმა? ეს ხომ გუჟზე უარესია. გუჟს წაეჩხუბები მაინც, ან როგორმე თავს იმართლებ მასთან, ეს კი არაფერს დაგაცლის. მაშინათვე შაშხანას სტაცებს ხელს".

ოთხი ოთხთვალა რომ გაივსო, პეტროკი ძლივს გასწორდა წელში. დატვირთული ოთხთვალა გზაზე გადიოდა, ეტყობა, მეტი ოთხთვალა ალარც იყო, ცოტათი შეიძლებოდა სულის ამოთქმა. მაგრამ გახარება ვერ მოასწრო, რომ მოსახვევში ისევ აკაკუნდა ბორბლები და მალე ახალმა მეფორნემ დაახევინა უკან ცხენს. მოხერხებულად მოაყენა ოთხთვალა. ეს ვისელკელი კორნილა იყო. როგორც ყოველთვის, ენაძვირი და წარბშეკრული, თუმცა საკმაოდ კარგად ჩაცმული — ოდნავნახმარ მაუდის ხიფთანში გამოწყობილი. ამ ბოლო

დროს შავი გაჩეჩილი წვერი მოუშვა, პაპად მოჰქონდა თავი, თუმცა ხუთი წლით უმცროსი იყო პეტროკზე, წლების განმავლობაში არ ელაპარაკებოდნენ და არ ესალმებოდნენ ისა და პეტროკი ერთმანეთს, მაგრამ ახლა კორნილამ, ორმოში პეტროკი რომ დაინახა, თავშეკავებულად დაუკრა თავი.

— დილა მშვიდობისა, — უთხრა და პეტროკიც თავისთვისვე მეფეულად-ნელად სიხარულით ალაპარაკდა:

— აჰა, დილა მშვიდობისა... შენც გამოგრეკეს განა ცხენიანად, ჰა?

— ვცდილობთ, მაშ, — წვერებში ჩაიბურდღუნა კორნილამ და ოთხთვალადან ნიჩაბი აიღო. — ჩქარობენ, ხიდი სჭირდებათ.

— ვის სჭირდება, მაგრამ ჩვენ თუ გვკითხავენ — ნეტა ცეცხლი წაეკიდოს და დაიწვეს ბარემ...

კორნილამ თვალი შეავლო პეტროკს და ცერად გახედა კოლონდენოკს, ყურდაცქვეტილი რომ უსმენდა მათ ლაპარაკს. იმიტომაც პოლიციის გასაგონად ხმამაღლა თქვა:

— კი, კი, უნდა დავეხმაროთ გერმანელთა არმიას. მაშ როგორ?

პეტროკი გაჩუმდა, არ იცოდა, როგორ გაეგო მისი სიტყვები; თუ უცხოსავით განსჯიდი, გულწრფელად ლაპარკობდა, თითქოს ასეც ფიქრობდა. მაგრამ პეტროკმა ხომ იცოდა, რა ეშმაკი კაცი იყო ეს კორნილა, მასთან უბრალოდ ვერ ილაპარაკებდი. რაც არ უნდა ეთქვა, გუნებაში მუდამ რაღაც თავისი ჰქონდა, რაზედაც პირდაპირ არაფერს იტყოდა. ასეთი გულჩახვეული გახდა ამ ათიოდე წლის წინ, როცა კოლმეურნეობიდან გარიცხეს და განაკუნლაკეს. თუმცა არ გაუსახლებიათ და დაბაში დაიწყო მუშაობა; ჯერ არტელმრეწში, მერე კი ოთხიოდე წელი სახანძრო რაზმში იმუშავა. როგორც ჩანდა, კოლმეურნეების წევრებზე ცუდად არ ცხოვრობდა, იქნებ მათზე უკეთესადაც კი იყო.

შუადღემდე და ნაშუადღევსაც სულმოუთქმელად თხრიდნენ; ოთხთვალები ხიდზე მიდი-მოდიოდნენ, ახლოს ჰქონდათ საზიდი. ის, ვინც ცხენზე იჯდა, ცოტათი მაინც ისვენებდა ხიდიდან პატარა გზაზე მიმავალი, ხოლო პეტროკი და დუბასეი, რომლებსაც ცხენები არ ჰყავდათ, წუთითაც ვერ ითქვამდნენ სულს და ფიქრობდნენ, ალბათ ქანცგაწყვეტილები დავვარდებითო. იგნატს მსუბუქად მაინც ეცვა, ძველი მაუდის ხიფთანში იყო, პეტროკი კი კარგა ხანია ოფლად გალვრილიყო თავის ტყაპუჭში და ფიქრობდა, ალბათ ისევ ვერ გადავურჩები ფილტვების ანთებასო — ერთხელ ხომ გაცივდა ხე-ტყის დამზადებაზე, მორებს რომ ეზიდებოდა ტყის ტევრიდან, დატვირთული მარხილი გაუტყდა და მაშინ იყო, ოფლი რომ ღვარა და წელი მოიწყვიტა. სამი დღის შემდეგ სოფელში, უცხო ხალხის ხელში, სადაც ხე-ტყის დამამზადებლებს ბინა დაედოთ, სიცხე მისცა და ეგონა, ალბათ ველარც გადავრჩები ცოცხალიო. იქნებ მართლაც ვერ გადარჩენილიყო, საავადმყოფოში რომ არ წაეყვანათ. ხოლო საავადმყოფოში, როცა მოიკეთა, კმაყოფილიც კი იყო, რომ ავად გახდა და წასასვლელი არსად ჰქონდა, იწექი და იყავი შენთვის, სასმელ-საჭმელი რიგიანი გაქვს და ადამიანური მოპყრობაც არ გაკლია, ტყეში კი არ ხარ, ყინვაში, ცხენებითურთ, ჩაუცმელი და ფეხებდასველებული. ბოლო დროს ხე-ტყეს ყოველ ზამთარს ამზადებდნენ, დონბასს მაღაროს სამაგრები სჭირდებოდა, და პეტროკსაც ბედმა გაუღიმა, რომ ავად გახდა. მართალია, მერე კარგა ხანს ვერ მოვიდა ჯანზე, მაგრამ მაშინ უფრო ახალგაზრდა იყო და თანდათან გამომჯობინდა, ხოლო გაზაფხულზე ყველაფერმა გაუარა. მაშინ ექიმები ადგ-

ნენ თავს, საავადმყოფოში იწვა. ახლა კი? ავად რომ გახდე, ვინ მოგარჩენს? მოვა და მიგახვრიტავს ეს ჭკუანაღრძობი კოლონდენოკი, იტყვის, გერმანელების წინაშე დანაშაული მიუძღვისო.

იგნატ დუბასეი, პეტროკის გვერდით რომ თხრიდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა ორმოში. პეტროკმა ყური მიუგდო: ბერიკაცი ჩუმად ლანძღავდა, ამ ხნის კაცი აქ მომაგდეს, სხვები კი შინ დარჩნენ, მათ ხელი ალაყურებენ ახლებსო. პეტროკს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და, ჰკითხა: რატომო?

— ჰე, რატომ და შინნახადი არაყით ამოუვსეს ეს პირი ამ გულპილწებს, არაყს ახლა ძალა აქვს.

არაყს რომ ძალა აქვს, პეტროკმა უკვე იცოდა და დუმილით დაეთანხმა. მაგრამ ყველაფერში ფხა უნდა ჰქონდეს კაცს, განა ყველას შეუძლია არაყის გამოხდა. ხელსაწყოც საჭიროა.

— არაყის სახდელი, ჭირი იმას და, ალარა მაქვს. ახლა სად იშოვი კაცი აი თუნდაც კლაკნილას? — დაიჩივლა პეტროკმა განზრახ და პასუხის მოლოდინში გაყუჩდა.

— აჰ, არაყის სახდელი! აი, ჩვენებური ტიმკა რუკატი რომ არის, იგი ომამდე ფულის ხათრით რას არ გაგიკეთებდა კაცს. ახლა კი არ ვიცი, გაგიკეთებს თუ არა. ახლა ფული რაში სჭირდება?

— აი ისა, თელებს ქვემოთ რომ ქოხი უდგას? განაპირას რომაა, იქ, მგონი, ყარყატის ბუდეც არის...

— ჰო, ყარყატის ბუდესთან. კარგი ქოხი უდგას. ყავრით გადახურული.

პეტროკს სურდა რაღაც დაეზუსტებინა, მაგრამ გზიდან მათ ლაპარაკს კოლონდენოკმა მოჰკრა ყური და დაუწივლა:

— ნუ ლაპარაკობთ! თხარეთ!

— ვთხრით, ვთხრით, მე შენი... — ჩუმად ჩაიბურტყუნა დუბასეიმ და ხმამაღლა, უკვე გულმოსაგებად მიმართა პოლიციის: — შვილო, მოსასაქმებლად მინდა... ჰო, ტყეში, ჰა?

— თხარე!

— მოსასაქმებლად-მეთქი, შვილო...

— ორმოში.

— როგორ თუ ორმოში? ადამიანი ვარ მეც... უნდა...

მაგრამ კოლონდენოკი თითქოს დაყრუებულიყო, თვალები გადაეკარკლა და ეტყობოდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. ბერიკაცმა ნიჩაბი სილაში ჩაარჭო, გაბანჯგლული სახე დაეღრიჯა და ორმოდან ფლატეთი აძვრა ბორცვზე, საცა ნორჩი ფიჭვნარი იწყებოდა.

— უკან! — დაუწივლა გზიდან კოლონდენოკმა. მაგრამ დუბასეიმ უკვე ფიჭვნარს მიაღწია და პეტროკი ქვემოდან მის შავ, აჩეჩილ ქუდსღა ხედავდა, უცებ ეს ქუდი უცნაურად აფრიალდა ზემოთ, და იმავ წამს გზიდან შაშხანამ იქუხა, ხოლო კოლონდენოკი, წვრილი ფეხები რომ გაეჩაჩხა, ხელახლა ტენიდა შაშხანას. — უკან.

ბებერი დუბასეი ფლატეზე ჩამოცურდა, სილა ჩამოშალა. პეტროკი შეძრწუნდა, ალბათ მოკლული თუაო. მაგრამ, არა, მგონი, ცოცხალი იყო, თუმცა შიშით გაფითრებულიყო და ქუდიც ალარ ეხურა. ძირს ჩამოცოცდა, მოდუნებული ფეხები მაშინვე ვერ გამართა.

— თხარეთ! სწრაფად! შნელ! — წოდა პოლიციაი და შაშხანა ორივე ხელით ეჭირა.

ჩინდაკარგული, ცრემლით სავსე თვალებით მოათვალიერა დუბასეიმ ორმო, ბრმად მოიძია გვერდით ნიჩაბი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! — ჩუმად ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები. — ეს რა არის? ეს რა ხდება? მე ხომ მამამისთან ვმეგობრობდი. ერთად გაგვიწვიეს ჯარში. მაგისი მამა ხომ კაცური კაცი იყო...

„ჰოი, რა ასპიტია, — ფიქრობდა პეტროკი და ძალაგამოცლილი არჭობდა სილაში ნიჩაბს. — ნეტა პატარაობისას რაიმე სენმა რად არ მოგუდა ეს ოხერი? რამდენი კარგი ადამიანი დაიღუპა, ეს კი ცოცხალია და მტარვალობს. რა უსამართლოა ეს საწუთრო..."

პეტროკს არც ახსოვდა მისი ბალღობა, მგონი, ისიც ისეთივე იყო, როგორც სხვა ბავშვები, მაგრამ სკოლაში სიარული რომ დაიწყეს, ერთხელ მთელი სოფელი აალაპარაკა. ეს მაშინ მოხდა, უმცროსმა ლუკაშენოკმა რომ მაგრად სცემა, როცა სხვენზე დაიჭირა უბეში ამოდებული მოპარული შეშით. შობის წინ სოფელში მითქმა-მოთქმა ატყდა, სხვენში ხორცეულის მარაგი იკარგებაო. ჯერ იყო და კორნილას ბებერ, ზარმაც კატას დააბრალეს და კინაღამ ღობის მარგილით მოუღეს ბოლო. მართლაც მოკლავდნენ, კატას რომ არ ემარჯვა და ნეკერჩხლის კენწეროზე არ ამძვრალიყო. საღამომდე იქ იჯდა კატა, დილით კი აღმოჩნდა, თურმე ის არაფერ შუაშია და ათი წლის პოტაპკა კოლონდენოკია, გამუდმებით რომ აცარიელებს სოფლელების სხვენებს. მაშინ მართლა მაგრა მოხვდა ბრაზიანი და ღონიერი ლუკაშენოკისაგან, ერთი კვირა ლოგინიდან არ ამდგარა, ხოლო მერე სკოლაში სიარულს თავი გაანება და კარგა ხანს არიდებდა თავს ხალხს. თუმცა ხალხს კი თანდათანობით მიავიწყდა პოტაპკას ბავშვური შეცოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, პოტაპს არ დავიწყნია და ახლა თავისი ოინებისთვის სხვებზე იძიებდა შურს.

კოლონდენოკმა კაცებს არც თამბაქოს მოწევა დაანება და არც დასვენება, ოთხთვალები განუწყვეტლივ მოდიოდნენ და კაცებიც ერთთავად თხრიდნენ და თხრიდნენ. ორმო გალრმავდა, კაცის სიმაღლე გახდა, ხელი კარგა მაგრა უნდა მოგექნია, რომ ოთხთვალაში ჩაგეყარა სილა, მაგრამ ხელები უკვე აღარ ემორჩილებოდათ. დუბასეი უქუდოდ მუშაობდა, შიშველ თავზე ქარი ჭაღარა ღინღლს უთამაშებდა, თვალები კი ცრემლით ჰქონდა სავსე და მალულად იწმენდდა დაკოჟრებული ხელით. მაღლა, გზაზე ბოძივით დაყუდებულიყო კოლონდენოკი. ეტყობოდა, სციოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეყო, მაზარის კალთებს ქარი უფრიალებდა და წაღებზე სცემდა, მაგრამ ორმოს არა და არ სცილდებოდა.

ასე იყო თუ ისე, საღამომდე მიაღწიეს, თუმცა ქანცი კი მთლად გაუწყდათ, ვერც დაითვალეს, იმდენი ოთხთვალა დატვირთეს. როცა მოსაღამოვდა და ორმოში ბინდი ჩამოწვა, გზაზე გუჟი გამოჩნდა, წითელი ტყაპუჭი მკერდზე გაეღეღა, ოფლიანი სახე გაწითლებოდა, თვალები მტაცებლურად ანთებოდა, — აშკარა იყო, არაყი ჰქონდა ნახული.

— გენუტ, უქნარებო! დღეისათვის გენუტ, ხვალ კი როგორც გვიბრძანებენ: ან აქ მოხვალთ, ან კარტოფილს ამოიღებთ. აბა, დაიშალენით, სახლებისაკენ!

ამ ბრძანების გაგონებაზე პეტროკს მუხლები მოეკვეთა და სადაც იდგა, იქვე ჩაჯდა, სილიან ფერდობზე, მთლად გამოსცლოდა ძალა, თანაც მთელი დღის უჭმელიც იყო. დუბასეი ნელ-ნელა ამოხოხდა ორმოდან და ძლივს გა-

ალწია ფიქვის ძირამდე, სადაც მისი ტყვიით გახვრეტილი ქუდი იდო. ცოტა ხნის შემდეგ პეტროკიც ამოძვრა ორმოდან.

უკვე დალამებულიყო, გახურებული სხეული პეტროკს სწრაფად გაუცივა ქარმა. იგი წაიღუნა და რაც შეიძლება სწრაფად წავიდა ხუტორისაკენ. უკვე მიხვდა, თუ ასე გაგრძელდა, ველარ გაძლებს, დაეკვეთ[illegible] ჩქარა დაეცემა, იქნებ უკეთესიც იყოს. თუმცა სიკვდილისა [illegible] ცოცხლე უნდოდა ჯერ. თუნდაც იმისთვის, რომ მოსწრებოდა, როგორ გააპანღურებდნენ ბოლოს და ბოლოს ამათ, როგორ ააბლავლებდათ რუსული ჩექმა. რომ ააბლავლებდათ, აშკარა იყო. სხვანაირად არ შეიძლება, როგორ იქნება ასე არ მოხდეს. სამწუხარო ის არის, ვაითუ ვერ მოესწროს...

უკვე წყვდიადი იდგა. პეტროკი რომ თავის სიცოცხლეჩამკვდარ სახლკარში მიჩანჩალდა. წინკარს რომ მიადგა, აირია, დაავიწყდა, საით უნდა წასულიყო, ქოხისაკენ თუ ფარდულისაკენ. მაგრამ აი ქოხის კარი თავად გაიღო, პეტროკმა სტეპანიდა დაინახა და ზღურბლზე გადააბიჯა. აქ უკვე ყველაფერი მილაგებული იყო და თავის ადგილას იდგა, როგორც გერმანელების მოსვლამდე, ღუმელში ცეცხლი ენთო, ჭუჭრუტანებიდან ცეცხლის შუქი გამოდიოდა, თბილოდა. პეტროკი ტყაპუჭიანად დაეშვა ღუმლის პირდაპირ მერხზე.

სტეპანიდამ საჭმელი უხსენა. მაგრამ პეტროკი უკვე შეგუებოდა შიმშილს და ჭამაზე აღარც ფიქრობდა. სხეული მხოლოდ ერთს სთხოვდა — დაწოლილიყო საკუთარი ქოხის მოულოდნელად მოპოვებულ სითბოში, მაგრამ არ ჰქონდა ამისი უფლება. დღეს, იმ ორმოში მიხვდა, რომ თუ სურს ცოტა ხანს ცოცხალი დარჩეს და უკეთეს დროს დაელოდოს, უწინარეს ყოვლისა ხვალინდელ დღეზე უნდა იზრუნოს.

— ერთი ვიოლინო მომიტანე! — მისუსტებული ხმით უთხრა ცოლს.

— ვიოლინო? რად გინდა? რაო, დაუკრავ თუ?

— მოვრჩი უკვე დაკვრას.

მეტი არაფერი უთქვამს და სტეპანიდა კვარით ხელში ფარდულისკენ გაემართა, მალე იქიდან ვიოლინო და ხემი გამოიტანა. პეტროკს ისევ არაფერი უთქვამს ცოლისათვის, ვიოლინოიანად გავიდა ეზოში, ბილიკით გადაიარა ბოსტანი, ღობეზე გადაძვრა და ღარტაფისკენ გაეშურა.

მერე მინდვრისთვის უნდა შემოევლო და ღარტაფის ბოლოში გასულიყო. იქ, ვერძის ხევს გადაღმა, ტყის ძირას მდებარეობდა ზაგრიაზიე, სადაც თელის ქვეშ შეყუჟულ ქოხში ცხოვრობდა ტიმკა რუკატი, კაცი, რომელიც რას არ (გაგიკეთებდა, თუკი გასამრჯელოს მისცემდი.

18.

ბედმა თუ შემთხვევამ ამოსუნთქვის საშუალება მისცა სტეპანიდას, თითქოს ყველაზე საშინელს მცირე ხნით ააცილა და ისიც ცოტათი გამხნევდა. თორემ იყო წუთები, როცა უკვე სიცოცხლეს ეთხოვებოდა და მხოლოდ იმას ნანობდა, მეტისმეტად მშიშარა რომ გამოდგა და ასე ცოტა რამის გაკეთება შეძლო გერმანელების საკენოდ, მაგრამ ისიც, რისი გაკეთებაც გაბედა, ყოველთვის როდი გამოუვიდა კარგად, უხეში და სულელური საქციელი იყო. სულელურად გამოეცალა ხელიდან ბობოვკა, თავისი უყურადღებობით დაკარგა ქათმები. ის კი არადა, იანკაც ნამდვილად მისი მიზეზით დაიღუპა: უფრო მკვიანური იქნებოდა, როგორმე გაეგებინებინა ყმაწვილისათვის, ხუტორთან

ახლოს მოსვლა საშიშია. მაგრამ რას გააწყობს კაცი, თუ სწორი აზრი ხშირად გვიანლა მოგდის თავში, როცა უკვე უსარგებლოა.

ასე იყო თუ ისე, ჯერჯერობით ცხოვრება გრძელდებოდა, დღეისთვის რაიმე საჭმელი უნდა გქონოდა, ხვალინდელ დღეზე უნდა გეზრუნა და არა მარტო იმაზე, როგორმე საღამომდე გაგეძლო ცოცხალს. სიცივეებმ [illegible] მერამდენე დღე იყო, ზედიზედ იქუფრებოდა შემოდგომის ზეცა [illegible] და ,კარტოფილი კი ბოსტნის ბოლოში გროვად ეყარა. პეტროკმა ვერ მოიცალა საიმისოდ და სტეპანიდამ ფიქრის შემდეგ ნიჩაბს წამოავლო ხელი. არ იყო ეს ძნელი საქმე, თუმცა სუფთა მამაკაცურ საქმიანობად ითვლებოდა — ორი ურემი კარტოფილის შეფუთნას რა უნდოდა. სტეპანიდამ მოასწორა გროვა, მოხვეტა, ნამჯა მჭიდროდ შემოუწყო ირგვლივ და მიწის შემობარვასაც შეუდგა.

ოჯახში მეტი ალარაფერი ჰქონდა საშფოთავი. ბოსელში თანდათან მოიყარა თავი ექვსმა დედალმა, სხვები, ეტყობა, გერმანელებმა შეჭამეს. გუშინ დილით, როგორც კი პოლიცაებმა პეტროკი წაიყვანეს და ეზოს გაეცალნენ, სტეპანიდა უწინარეს ყოვლისა ღარტაფისაკენ გაიქცა, მაჩვის სოროში თავისი დამშეული გოჭი მოინახულა. გოჭს ისე გაუხარდა მისი დანახვა, რომ ფეხებში ჩაუვარდა და ,როცა სტეპანიდამ გამჭლეულ ჩავარდნილ მუცელზე მოფხანა, შიმშილიც კი დააავიწყდა. მთელი გზა, ღარტაფიდან რომ მოაჩიქჩიქებდა სტეპანიდა, ხმა არ გაულია გოჭს, მერე კი ძუნძულით გარბოდა ბილიკზე ხუტორისაკენ და ეტყობოდა, ძალიან უკმაყოფილოც დარჩა, რომ ისევ თავის ვიწრო ვადალობილში შეაძვრინეს. იქ სტეპანიდამ ძლიშაზე აჭამა კარტოფილი, არც შერეული სალაფავი დაუშურებია მისთვის, ერთი თუჯია წყალიც დააალევინა და გოჭიც დაწყნარდა.

შემობარვა არ იყო ძნელი, თუმცა, რასაკვირველია, პეტროკი უფრო ჩქარა გააკეთებდა ამას. მაგრამ იგი დილიდანვე სხვა საქმით იყო დაკავებული. ალიონზე ამდგარი კარგა ხანს აჩხაკუნებდა არაყისსაბდელ მოწყობილობას, მერე კი სადღაც დაიკარგა, მერე ისევ გამოჩნდა, აიღო სათლი, სამხრეულები და ლუდის გადატანას შეუდგა. ქალი ფიქრობდა, ალბათ ფარდულში ან კარაპანში მაინც მოეწყობაო, მაგრამ იგი უფრო შორს წავიდა და ცოლისთვისაც არ დაუბარებია, საით. როცა ყველაფერი მოაწყო, მაშინღა მოვიდა და ასანთი ითხოვა. ხმა მთლად ჩახრინწოდა, დაღლილი და ბატანჯული ჩანდა. ასეთი კარგა ხანია არ ყოფილა. ცოლმა ორი ასანთი მისცა და უთხრა, დიდხანს ნუ დაეყუდები იმ სუსხში, გარეთ ნესტია და ცივა, თუ გვერდებს გაიცივებ, არაყის გამოხდა რას გიშველისო.

— ეჰ, ჯანდაბას, იყოს ერთი, — მოღლილად ჩაიქნია ხელი პეტროკმა. — სულ ერთია უკვე...

სტეპანიდამ კვალის ცალი მხარე მიწით დაფარა, მერე ნიჩბით მოაშანდაკა, მიწის ფენა ნამჯას მიუსწორა. მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც არ უნდა ეკეთებინა — სახლის საქმე თუ გოჭის მოწყობა — იანკაზე ფიქრი ვერ მოეშორებინა. ახლა ძალიან ნანობდა, რომ იმ საღამოს ღარტაფთან შეხვდა მას, ნეტა სადმე ბარდებში ეძოვებინა იანკას, რაში სჭირდებოდა ხუტორთან მოახლოება. მაგრამ, ეტყობა, რაღაც ბოროტი ძალა ეზიდებოდა საშიშროებისაკენ, რამაც იმსხვერპლა კიდევაც სტეპანიდას თავი ვერ დაეხსნა იმის მწარე შეგნებისაგან, რომ მის დაღუპვაში მასაც მიუძღოდა რაღაც წილი. თუმცა კარგად ესმოდა, რომ შაშხანის ჭაში ჩაგდების საქმე მეტს სხვას არავის ეხებოდა,

პეტროკსაც კი, და ამ საქმეს იანკას ვერაფრით ვერ უკავშირებდა. სტეპანიდა ხვდებოდა, რას უნდა მიეყვანა ღამით ყმაწვილი ღარტაფში. ალბათ იანკა მაჩვის სოროსკენ მიდიოდა, მაგრამ ხუტორთან ასე ახლოს რა უნდოდა? განა ღარტაფის მეორე ბოლოდან ვერ გააღწევდა იქამდე? ნუთუ ვერ გრძნობდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი?

ჯერაც არ მოეთავებინა შემობარვა, რომ ეზოდან [illegible] ვილაც იძახდა. ვინ უნდა გამოჩენილიყო აქ ამ დროს, ამას დიდი ფიქრი არ სჭირდებოდა, რასაკვირველია, ის ავსულები იყვნენ. მთლად დაძაბულმა და ცუდის მომლოდინე სტეპანიდამ მიწაში ჩაარჭო ნიჩაბი, ბოსტანი გადაიარა და შეშის საჭრელთან მივიდა.

არ მოტყუებულა, სწორედ ასე იყო. იმ ადგილას, სადაც ამას წინათ გერმანელთა სამზარეულოს კვამლი ამოდიოდა, ახლა საზიდარი იდგა ნაცნობი, თავჩაქინდრული, ხელნაში შებმული ცხენით, ხოლო გუჟი და კოლონდენოკი მის სახელს გაიძახოდნენ და უკვე ფანჯრებში იჭვრიტებოდნენ. საზიდართან ქამარზე შაშხანაგადაკიდული იდგა პოლიციაი ანტონ ნედოსეკა, სახეზე გულგრილი, მოწყენილი გამომეტყველება რომ ასახვოდა.

— აი ისიც! — თქვა გუჟმა სტეპანიდას დანახვაზე. — პეტროკი სადღაა?

— განა აქ სადმე არ არის? მაშინ არ ვიცი, — იცრუა ქალმა, მაშინვე მიხვდა, რომ ამჯერად მასთან კი არა, ხუტორის პატრონთან მოსულიყვნენ.

— გაგვიღე კარი! — უბრძანა გუჟმა. მაგრამ აღარ დაიცადა, თავად გადააგდო რაზა და ჯახუნით გააღო კარი.

სანამ სტეპანიდა უკან მისდევდა, გუჟმა მოასწრო ფარდულში შეხედვა, წინკარს თვალი მოავლო, ის კი არადა, თავისი ფართო, ხორციანი ცხვირით რაღაც მიყნოს-მოყნოსა და ქოხში შევარდა. იქ ოთხივე ფანჯარაში სათითაოდ გაიხედა.

— სად არის პეტროკი?

— ხომ გითხარით, არ ვიცი-მეთქი. აი კარტოფილს ვფუთნიდი.

— აჰ, არ იცი, ხომ? მაშ, ჩვენ ვიცით — არაყს ხდის. სად ხდის მერე? — გაფაციცდა უცებ გუჟი. სტეპანიდას მოუბრუნდა და ხელად ჩამოაბნელა ფანჯრების შუქი. სტეპანიდას არც მისი გადარწმუნება უცდია და არც ფიცილი დაუწყია, არ ვიცი, სად არის პეტროკი, ესღა თქვა წყნარად:

— ჩემთვის არ დაუბარებია.

გუჟი დაფიქრდა რაღაც აწონ-დაწონა და ფართო ყბები მგელივით ავად ააკაპუნა.

— დამაცადე, შე ფლიდო. შენა! შენთვისაც მოვიცლი! იცოდე, ჩამოგახრჩობ და დიდადაც დავტკბები!

— რისთვის მერე? — თავი არ აუღია, მშვიდად დაინტერესდა სტეპანიდა, რომელიც ზღურბლს არ მოშორებია. მასაც უნებლიეთ მოეკუმა ყბები, მაგრამ არ შეიმჩნია და მიწას ჩააშტერდა. - გერმანელების წასვლის შემდეგ გასუფთავებული იატაკი დაუნდობლად მოთხვარეს პოლიციაებმა ტალახიანი ჩექმებით. ჯანდაბასო, ფიქრობდა სტეპანიდა, არ მენანება იატაკი, ერთი ამ გერმანელთა ლაქიას უნდა გავცე პასუხი, და უფრო მკვახედ გაუმეორა, — რისთვის-მეთქი?

— თავადაც იცი, რისთვისაც! თქვენ! — დაულრიალა გუჟმა თავის დამხმარეებს. — აბა ერთი სახლ-კარი მიჩხრიკ-მოჩხრიკეთ. სადღაც აქვე ხდის არაყს.

კოლონდენოკი და ნედოსეკა კარს მიაწყდნენ. გუჟი კი მაგიდასთან დაჯდა და სტეპანიდას რისხვისა და მუქარის თვალით შესცქეროდა.

— ხომ იცი, რომ ჩამოსახრჩობი ხარ, როგორც ბოლშევიკების აქტივისტი ქალი. და კიდევ კუდს სწევ! რისი იმედი გაქვს?

— არაფრის იმედიც არა მაქვს. მე ერთი უმეცარი ქალი ვარ.

— შენა ხარ უმეცარი ქალი? მერე კოლმეურნეობა ვინ [illegible] ვინ ერეკებოდა დედაკაცებს ქოხ-სამკითხველოში? უმეცარიო! განკულაკება დაგავიწყდა განა?

— განკულაკებას, შენ, რა თქმა უნდა, ვერ დაივიწყებ! — ჩაფიქრებით უთხრა სტეპანიდამ და ღუმელს მიეყრდნო. უკვე სძლია თავს და თამამად გაუსწორა თვალი პოლიციის.

— ვერა, ვერ დავივიწყებ! კუბოს კარამდე მემახსოვრება. და სხვებსაც მოვაგონებ. ვწუხვარ, რომ ლევონი არ არის. ისეთ საქმეს ვუზამდი!.. როგორ წააძრო მამაჩემს ჩექმები!

— ისა სჯობს, დაივიწყო ეგ ამბავი, — უთხრა ცოტა დუმილის შემდეგ სტეპანიდამ. — ასე გიჯობს. უფრო მშვიდად იქნებოდი.

— ო, ამას უკვე, ბებრუხანავ, ვერ დავივიწყებ! ვერ დავივიწყებ, ვისი წყალობით ვიგემე იმდენი სიმწარე უცხო ქვეყნებში. იცი, რად მოვედი ახლა აქ? — გუჟი დაძაბული იყო, ძლივს იკავებდა გააფთრებას. — შენ გგონია, გერმანელებს მინდა ვემსახურო და იმიტომ? მიმიფურთხებია გერმანელებისათვის. ზოგ-ზოგ ვინმეს უნდა გავუსწორდე. კოლმეურნეებს, თქვენი დედა კი ვატირე! იმიტომ, რომ სანამ მამაჩემი სოლოვკამდე მიაღწევდა, თქვენ აქ განცხრომაში იყავით!

— რა განცხრომაში ჩვენ ვიყავით! ვმუშაობდით...

— მერა რა მოიპოვეთ? — გამოცოცხლდა გუჟი. — ასე გინდათ თქვენ! რას მიძვრებოდით კოლმეურნეობაში? შენ ხომ აგიტაციას ეწეოდი, კოლმეურნეობაში შედითო?

— არ იყო ძნელი აგიტაციის გაწევა, განა არ იცი?!

— მაშ, რაღა ოხრობისთვის შეხვედით, თუ არ იცოდით და არც გაგეგებოდათ? მუცლის ამოსაყორად, ხომ? ახლა გაძეხით თქვენი საკადრისით და დაჭკვიანდით, ხომ?

— ჭკვიანები მაშინაც ვიყავით. მაგრამ მიწის ნაკლებობაც ცუდია. როგორ შეგვენახა ბავშვები ორი დესეტინა მიწით?

— ჰოდა, სამოც ასეულზე უკეთ მოეწყვეთ, ხომ? ორი დესეტინა არ ყოფნიდათ თურმე! აი ახლა გერმანელები იმდენ მიწას მოგცემენ, რამდენიც გსურთ, ოცდაათ ჰამდე. რასაკვირველია, იმათ, ვინც დაიმსახურებს. ვინც გერმანელ ხელისუფალთ აამებს.

— შენ ნამდვილად მოგცემენ. დაიმსახურე უკვე!

— მე? რა ჯანდაბად მინდა მე მიწა? ბავშვობიდანვე მეზიზღება. მიმიფურთხებია მიწისთვის.

— მაშ, რისთვის ცდილობ?

— უყურე, რა ჭკვიანი ვინმეა! ყველაფერი გინდა იცოდე! აი თუნდაც იმისთვის ვცდილობ, რომ ძალაუფლება მომანიჭონ. ძალაუფლებისათვის! მთელი სიცოცხლე ქვეშევრდომი ვიყავი, უუფლებო ადამიანი. არაფერი არ შემეძლო. ახლა კი ძალაუფლება გამაჩნია! სრული ძალაუფლება. მე ხომ ახლა თქვენთვის სოფლსაბჭოზე მაღლა ვდგავარ. რაიკომზე მაღლა. ის კი არადა. სახკომსაბ-

ჭოზედაც. რომელ თქვენგანსაც მოვისურვებ, მივახვრეტ. მე ყველაფერს მანდობენ. დაჯილდოებაც შემიძლია. აი, შენ. რა გჭირდება? ძროხა ხომ, გერმანელებმა რომ დაგიკლეს? გეყოლება ძროხა! ხვალვე მოვაყვანინებ. გოჭი გინდა? გოჭიც იქნება. ცხენი არა გყავს? ხვალვე წყვილ ცხენს მოგგვრი ვისელკიდან. ვისაც მინდა, წავართმევ და მოგგვრი. აბა რა გეგონა?

— სხვისთვის წართმეული ჩვენ არ გვჭირდება.

— შენ არ მოგცემ. შენ ხომ მტერი ხარ! გერმანიის მტერი. შენ ვგონია, არ ვიცი, ვის ხელში გამოიარა იმათმა შაშხანამ? სულელმა გერმანელებმა ტყუილად მიაწერეს სხვებს. მეც კვერი დავუკარი, ვიფიქრე, დაე, ასე იყოს-მეთქი! თავად კი კარგად ვიცი, რომ შენი ნახელავია ეს, სტეპანიდა. მე აქ რაღაც მისაჩხრეკ-მოსაჩხრეკი მაქვს ერთ ადგილას, ხომ იცი, სად ერთ ადგილას, ხომ იცი, სად?

გუჟმა თითქმის წამოიყვირა ეს სიტყვები, სტეპანიდას მკაცრი, უმოწყალო მზერა მიაპყრო და ქალიც, ცოტა არ იყოს, შეცბა, ნუთუ რაიმე იყნოსა ამ გერმანელთა ლაქიამ? გუნება აემღვრა, იფიქრა, რაღაც გაიგო ამ კაცმა, იქნებ თავად დაინახაო ან ვინმემ თუ უთხრაო. თუმცა თავს ირწმუნებდა, არაფერი ეცოდინებაო. აშინებდა? ცდიდა? იქნებ ასეც იყო, მაგრამ სტეპანიდა მაინც ვერ დამშვიდებულიყო.

— აი პეტროკი შენზე ჭკვიანია, — თქვა გუჟმა, ცოტა რომ იყუჩა და დამშვიდდა, მერე მაგიდიდან წამოხტა. — არაყის გამოხდას მიჰყო ხელი. სწორადაც მოიქცა! მხოლოდ არ იფიქროს, მე დამემალოს. თავს წავაცლი და ვიტყვი, უთავოდ დაიბადა-მეთქი. ვიოლინო გადაცვალა კლაკნილაზე და ჰგონია, ვერავინ გაიგებს. რას დამემალება, მე ხომ აგენტურა მყავს.

წინკარში ნაბიჯების ხმა გაისმა, ზღურბლზე გრძელფეხება კოლონდენოკმა და ჩასხმულმა, მხარბეჭიანმა ნედოსეკამ გადმოაბიჯეს.

— რაო?

— აქ არსად არაა! — დაიწრიპინა კოლონდენოკმა.

ნედოსეკამ ჯერ დიდი შეშფოთება გამოისახა სახეზე და მერე ხელების ქნევით ვრცლად ახსნას მოჰყვა:

— საგულდაგულოდ მოვჩხრიკეთ ყველაფერი. ფარდულიც, ბოსლებიც. არ არის და არა. ვინ იცის, სად გადაიკარგა.

— ცუდად გიჩხრეკიათ! — შეაწყვეტინა გუჟმა. — კეთილი. ახლა არა მცალია, თორემ...

გუჟმა ერთხელ კიდევ სასწრაფოდ გაიხედა ყველა ფანჯარაში და შაშხანა მოიმარჯვა.

— ნედოსეკა, ყარაულად დარჩები აქ! იჯექი და დაელოდე! მოვა, აბა სად დაიკარგება. ამას კი, — სტეპანიდაზე ანიშნა, — ზღურბლიდან არსაით გადააბიჯებინო ფეხი. მოვა თუ არა, მაშინათვე მაცნობე. გაიგე?

— გავიგე, ჰო, — ყოყმანით უთხრა პოლიციამ.

— მაშ ასე! წავედით, პოტაპ! შენ კი კარგად დაიხსომე, რაც გითხარი, — მიუგდო სტეპანიდას გამოსამშვიდებლად. — სანამ გვიანი არ არის.

სტეპანიდა ლუმელთან იდგა და ფანჯრიდან უყურებდა, როგორ მოაბრუნეს საზიდარი, როგორ შეახტნენ დაძრულს და როგორ გავიდნენ ჭიშკრიდან.

— დაჯექი, რას დამდგარხარ.

— აჰა. ისა... დავჯდები, თორემ ნათხოვარი ფეხები კი არა მაქვს.

ნედოსეკა მოკრძალებით ჩამოჯდა მერხზე, ამოიოხრა, ორივე ხელით დაეყრდნო შაშხანის ლულას, დამსკდარი კონდახი რომ ჰქონდა.

— არაყისთვის მოხვედი თუ ისე? — ჰკითხა სტეპანიდამ.

ნედოსეკას მიამიტ, საერთოდ სასიამოვნო, სწორწარბებიან სახეზე ვითომ შეცბუნება გამოეხატა.

— ვინ იცის! ეგ ან არაყისთვის მოდის ან სხვა რამისათვის. ჩვენ ... გვეუბნება.

— ნუთუ არასოდეს არ გეუბნებათ?

— არა-ა, — მრგვალი თვალები ააფახულა ნედოსეკამ. — მართალია, ურიები რომ დავარბიეთ, მაშინ კი გვითხრა. დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი მოგვცა: რამდენი ვაზნა უნდა წაგველო და ვინ სად ვმდგარიყავით. ვის ალყა დაგვერტყა, ვის კიდევ მათი ხარახურისათვის მიგვეხედა.

— ისინი კი სადღა წაიყვანეს?

— გარეკეს. ზონდერრაზმმა კარიერში გარეკა. იქ კი...

— ყველანი? — ყურადღება დაძაბა სტეპანიდამ, რომელსაც სისხლი გაეყინა.

— ჩათვალე, რომ თითქმის ყველა. ცოტანიღა დარჩნენ.

„აი ამათ უკვე მიიღეს თავისი!“ — ძრწოლვით გაიფიქრა სტეპანიდამ. ზაფხულის მიწურულს როგორღაც ყური მოჰკრა, ხალხი ჰყვებოდა: გერმანელებმა დაბაში მდინარის ახლოს სამი ქუჩა გამოჰყვეს და ყველა ებრაელი იქ შეყარესო. ერთნი ამბობდნენ, მალე მოუღებენ ბოლოს, სულ ერთია, ამოხოცავენ, უნდა გაიქცა-გამოიქცნენო. მეორენი ამტკიცებდნენ, ალბათ არ მოსპობენ, გერმანელებიც ადამიანები არიან, ღმერთი ხომ სწამთო — ეს ქამრის ბალთებზეც აწერიათო. დიახაც დამაჯერებლად მსჯელობდა გონიერი ხალხი და ყურის მგდებლებიც ჰყავდათ. აკი როცა ადამიანს რაიმე სურს, გამართლებას მუდამ მოუძებნის, ჯერ თავს დააჯერებს, მერე სხვებსაც, ან კიდევ პირიქით. ჰოდა, აი იმდენი ქნეს, რომ კარიერამდე მიაღწიეს.

— რამდენი ადამიანი დაიღუპა ტყუილუბრალოდ, ამ ცოცხალ ჭირს კი ხელს არავინ ახლებს, ტყვიაც კი არ მოიძებნა მაგისთვის. შენს მეგობარზე გეუბნები, კოლონდენოკზე. წინათაც არამზადა იყო და ახლა ხომ არის და არის, — უთხრა სტეპანიდამ.

— არამზადაა, ჰო, — უბრალოდ დეთანხმა ნედოსეკა. — თავდაპირველად გუჟს მისი მოკვლა უნდოდა. ქოხში მიადგა ღამით, მე კი სადარაჯოდ დამაყენა. მერე მოილაპარაკეს და შეიყვარეს ერთმანეთი. მეორე დღეს შაშხანაც მისცა. ასე ხდება ხოლმე.

— სწრაფად ხდება. ჯერ წითელარმიელის ფორმაც არ გასცვეთია. როგორიც თავისიანებთან იყო...

— მე ასე ვფიქრობ: აბა, სად უნდა წასულიყო? იგი ხომ აქ ყველას სძულდა თავიდანვე. რა ვქნა? პოლიციის იქით გზა არ ჰქონდა.

— პოლიციის იქით მართლაც არ ჰქონდა გზა, — ქვერი დაუკრა სტეპანიდამ. — პირდაპირ იქით იყო მისი გზა. შენ რაღამ მიგიყვანა მათთან? ან იქნებ მოგეწონა? — გაბედა და ჰკითხა სტეპანიდამ.

— მომეწონა კი არა! — გულწრფელად გამოტყდა ნედოსეკა. — ჩემს მტერს არ ვუსურვებ!

მან დარდიანად ამოიოხრა და სქელი კონდახით ნელა აფხიკა იატაკის ფიცრები.

— ვიფიქრე, ალბათ მოეწონა-მეთქი, რაკი ასეთი გულმოდგინება შეგატყვე.

— იგულმოდგინებ! გუშინ ხიდზე გერმანელმა უფროსმა ამას უყვირა, აი, ამ გუჟს. ეს კიდევ მე დამემუქრა, მოგკლავო. ერთი ზაგორანელი კაცი საზიდრით გამეპარა.

— დაიცა, მიგახვრეტს კიდეც, — უთხრა ქალმა. [illegible] წესი გაქვთ, მა რა იქნება, ან კიდევ ჩვენები მოგკლავენ. [illegible]

— იქნებ ასეც მოხდეს, — დაეთანხმა ნედოსეკა. — მაგრამ რა გაეწყობა? მე დაღუპული კაცი ვარ, — დაასკვნა და უცებ სთხოვა: — იქნებ რაიმე მაჭამოთ, დეიდაჩემო? დღეს პირში ლუკმა არ ჩამიდევს.

სტეპანიდა გაოცდა: პოლიციის ეთხოვა, ასეთი რამ ახლა იშვიათი იყო. გუჟი, რასაკვირველია, თხოვნას არ დაუწყებდა, ეს კი პირდაპირ ბატკანივითაა. ღუმელში სტეპანიდას თუჯია ედგა შჩით, პეტროკისათვის ინახავდა, მაგრამ ახლა, მცირე ფიქრის შემდეგ, ღუმლის კარი გამოიღო და თუჯია გამოსწია.

— რატომ დილით არ ისაუზმე?

— ვერ მოვასწარი, ღამით გუჟმა დავალებისათვის წამომაგდო. ყუმბარას ეძებდნენ. იპოვი, როგორ არა...

— რა ყუმბარა?

— აი, იმას, დაბომბვის მერე რომ ხიდთან დარჩა. რომ არ აფეთქდა. ვიღაცამ ცი გააპარა. ეტყობა, დასჭირდა.

— მერე რა, თუ გააპარა?

— ჰოდა, ხიდქვეშ რომ შედოს და აფეთქოს? ვინღა აგებს პასუხს? პოლიცაი, რაღა თქმა უნდა. რატომ ვერ მიაქცია ყურადღებაო.

სტეპანიდამ ჯამში შჩი დაუსხა და კვერის ნატეხი მაგიდაზე დაუდო. ნედოსეკამ ღუმელს მიაყუდა შაშხანა, რომელიც აშკარად ხელს უშლიდა, და მადიანად შეუდგა ღორის ქონით შეკმაზული შჩის ხვრეპას. თანდათან გახურდა, ნაცრისფერი მაუდის ხიფთანი გულზე მოიღელა, თუმცა კეპი არ მოუხდია; გამოცოცხლდა, თითქოს თავის ოჯახში იყო, ბიჭივით ალალი სახე გაუხდა. სტეპანიდა ჩუმად ადევნებდა თვალს და მოაგონდა ნედოსეკას დაბელი ცოლისძმა, რომლის ქოხშიც დაბინავდა ომის წინ ანტოსი. ცოლისძმა იმ ქოხში კარგა ხანია არ ცხოვრობდა, სამოქალაქო ომის შემდეგ ჯარში დარჩა და მთელი ომის წინა წლები იაპონიის საზღვარზე მსახურობდა, მეთაური იყო. ზოგჯერ ნედოსეკა სიამაყით უჩვენებდა ხოლმე მის წერილებსა და ფოტოსურათებს, რომლებშიც სამხედრო ფორმის ფერად დანაკერებზე ორი შპალი ეკეთა — დიდი ჩინი დაემსახურებინა. რასაკვირველია, ანტოსისა შურდათ, მით უმეტეს, რომ ცოლისძმა ზოგჯერ ას ან ორას მანეთს უგზავნიდა ხოლმე დღესასწაულების წინ, რაც სწორედ რომ სულზე უსწრებდა მრავალშვილიან ოჯახს.

— შენი ცოლისძმა მომაგონდა, — უთხრა სტეპანიდამ, ნედოსეკამ რომ კითხვით შეხედა.

— ცოლისძმა? იმას რა უჭირს! ის ახლა კარგად გრძნობს თავს, მე კი? მე ხომ მის გამო ვარ ამ დღეში... — ნედოსეკამ იდაყვი შეარხია, რომელზედაც სახვევი ეკეთა. — ყველაფერი მისგან მჭირს.

— ვინ გაიძულა მერე?

— ვინა და გუჟმა. რა უნდა მექნა ბაბა? ეს სჯობდა მიწაში ჩავწოლილიყავ? ასეთი ცოლისძმა რომ გეყოლება... ოდესღაც პატივისცემა და დაფასება არ მაკლდა, ახლა კი? ახლა ხსნა ერთია მხოლოდ — პოლიციაში შესვლა.

— ვშიშობ, ვერ იხსნი თავს.

— იქნებ ვერც ვიხსნა. ვინ იცის? კაცმა რომ იცოდეს, რა ელის, მაგრამ არ იცის და რა ქნას.

— იქნებ ასეც უჯობს, რომ არ იცის, — უთხრა სტეპანიდამ. — თორემ ისეთ საქმეებს იზამდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეპანიდა ლუმელთან იდგა, დროდადრო ფანჯარაში იყურებოდა, როკი ხომ არ მოდისო, და ებრალებოდა ეს მოწუწუნე პოლიციელი. მართლაც ისეთ საქმეში გაეება, საეჭვო იყო, მშვიდობიანად დაეხსნა თავი.

— თუ ჩამოგიხრჩვია ვინმე? — ჰკითხა ქალმა.

— არა-ა. ჯერ კიდევ არა. ღმერთმა ნუ ჩამომახრჩობინოს, საშინელებაა!

— რომ გიბრძანონ?

— თუ მიბრძანებენ, რა უნდა ვქნა, მოვალე ვარ!

— შენიანებსაც გაიმეტებდი?

— ჩემიანებს რადა? არა-ა. აი, კომუნისტებს, ბანდიტებსაც.

— მერე შენი ცოლისძმა რას გეტყოდა? ახლა აქ რომ მოსულიყო? გიფიქრია თუ არა ამაზე?

— მიფიქრია. კარგს არაფერს მეტყოდა.

— მერე, რომ დაიჭირონ და შენ გიბრძანონ მისი ჩამოხრჩობა? ჩამოახრჩობდი ცოლისძმას?

— დიდი უცნაური ქალი ხარ, დეიდაჩემო! დისციპლინისა არაფერი გაგეგება. თუ გიბრძანებენ, ჩამოახრჩობ კიდევაც, თორემ თავად ჩამოგახრჩობენ.

— შენ ხომ შვილების მამა ხარ.

— სწორედ იმიტომაც, რომ შვილების მამა ვარ. შვილები რომ არა, იცი, რას ვიზამდი! ტყეში გავიქცეოდი. თორემ ექვს ბავშვიანად სად წაუხვალ ამათ.

— აი, რამდენს ცდილობ შვილების ხათრით, ხოლო როცა ისინი გაიზრდებიან და ჭკუაში ჩავარდებიან, გგონია, მადლობას გეტყვიან?

— ვინ იცის ,გააჩნია რომელი, — დაიბნა ნედოსეკა და კოვზი დადო.

— ისინი ხომ მთელი სიცოცხლე შენს წყევლაში იქნებიან.

— როგორ თუ წყევლაში? — გაოცებით დაახამხამა თვალები ნედოსეკამ. — მე ხომ მათთვის... მათი სიკეთისათვის ვიტანჯები და ვჩადი ყოველივე ამას.

— ანტოსკა! — თავისსავე მოულოდნელად უთხრა სტეპანიდამ თითქმის თანაგრძნობით, გული აუჩვილა მისმა უგუნურებამ. — ისა სჯობდა, მათთვის რომ მომკვდარიყავი.

— მე?

— შენ, ანტოსკა! შენ მთელ მათ ცხოვრებას ღუპავ. უწინარეს ყოვლისა კი საკუთარ თავს.

— არა, ამაში ვერ დაგეთანხმები, — გაიფხორა ნედოსეკა. — საკუთარ თავს იქნებ ვღუპავ, მათ კი არა-ა. რას შეჭამდნენ ახლა, მე რომ არ ვყავდე? ორი ტომარა ფქვილი მივუთრიე. სამი წყვილი წაღა. პალტოები. მე სხვებივით კი არა ვარ — დალევის მეტი რომ არაფერი ახსოვთ. მე მათზე ვზრუნავ. ექვსი ბავშვი სახუმარო საქმე როდია. უფროსი მხოლოდ მეთხუთმეტეშია... შენთვის ლაპარაკი ადვილია, დეიდაჩემო მე კი... აგერ კიდევ ცოლისძმა გამიხდა თავში საცემი. ეჰ, ცოლისძმა რომ არა...

სტეპანიდა მეტად აღარ შეპასუხებია, მხოლოდ მის არეულ-დარეულ ახსნა-განმარტებას უსმენდა და გულში ფიქრობდა, რა სულელი კაცია, ან იქნებ სულაც არამზადაცა. მისდამი თანაგრძნობა მყის ბრაზით შეეცვალა: ცხოვრება ამნაირებს ჭკუას ვერ ასწავლის, ვერც ვერაფერს გაუგებენ ესენი ცხოვრებას, რადგან თავიანთი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავენ. [illegible] ასეთი ბრმანი არიან ყოველგვარი ადამიანურობისადმი. [illegible] საკუთარ თავზეღა ზრუნავენ და თუ დასჭირდათ, ბავშვებს ახოცავენ ხელს. ღმერთო ჩემო, რა გამოვა მათი შვილებისაგან, რას უანდერძებენ მათ ასეთი მამები? ისა სჯობდა, დროზე მოეკლათ ეს კაცი, სხვასაც ნაკლებს ავნებდა და თავისიანებსაც. მის შვილებსაც ასე უჯობდათ, თავგადაკლული მზრუნველობით რომ არც ფქვილს აკლებს და არც ფეხსაცმელს...

19

პეტროკი არაყს ხდიდა.

ხუტორის ახლომახლოს ამოარჩია ყველაზე მოფარებელი კუნჭული, მაჩვის სოროს გადაღმა გაშლილი, ქოფა ნაძვნარიანი პატარა ღრანტე, მყუდრო, მიეარდნილი, მიყრუებული ალაგი. პეტროკმა პატარა, ვიწრო მდელოზე ნაძვებს შორის დადგა თავისი მარტივი მოწყობილობა: ბრაგიანი ქვაბი და ნაკადულის ცივი წყლით სავსე თავლია კასრი, კარგა ხანს იჯახირა, სანამ სპილენძის კლაკნილას თავის ადგილას მოარგებდა და ბოლოს პატარა კოცონიც გააჩაღა. ფრთხილად მოუკიდა ასანთს და ჯერ ფიჩხსა, მერე კი არყის ხის შეშის ღერებსაც ხელად მოედო ცეცხლი, წინდახედულმა პეტროკმა რომ ხუტორიდან წამოიღო ერთი იღლია. ალის ხარბი ენები მარდად ლოკავდნენ ძველ, გამჭვარტლულ ქვაბს. ხმელ შეშას კვამლი ცოტა ჰქონდა და პეტროკმაც დილას აქეთია პირველად ახედა კმაყოფილებით ნაძვის კენწეროებს ზემოთ შემოდგომის ლეგა ცას. ფიქრობდა, შორიდან ვერ შემნიშნავენ ალბათ ამ მდელოზე, თუ შემთხვევით არ წამადგა თავს ვინმეო. შეშა სწრაფად აბრიალდა. პეტროკი მუხლებზე ჩაჩოქილი იდგა ქვაბის წინ და მზრუნველად ასწორებდა მუგუზლებს, რომ ქვემოდან წაჰკიდებოდა ცეცხლი. თავადაც ითბობდა ჯანს, რადგან, თუმცა ქარი არ ქროდა, ქვემოდან ტყის სინოტივე მოდიოდა და მუხლები და ხელები ეთოშებოდა. საამო იყო სითბოს სიახლოვე. საჭიროც იყო თვალყური ედევნებინა, რომ დროზე მოეკლო ცეცხლისთვის, თორემ ბრაგა მიიწვებოდა და წყალში ჩაეყრებოდა მთელი შრომა. რა თქმა უნდა, პეტროკი პირველად არ აკეთებდა ამ საქმეს და ცოტაოდენი გამოცდილებაც გააჩნდა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, კოლმეურნეობაში შესვლამდე. ბოლო დროს, ომის წინ იშვიათად თუ ვინმე გამოხდიდა არაყს, უფრო მეტად საჭმელზე ზრუნავდა ხალხი. ქვაბი ნელ-ნელა ხურდებოდა, რასაკვირველია, ტყეში, კალოს სახლში ან ფარდულში გამოხდა უფრო იოლი და მოსახერხებელი იქნებოდა. მაგრამ აბა ახლა იქ ვინ მიჰყოფდა ხელს ამ საქმეს?

ამ ბოლო დღეებში პეტროკმა ბევრჯერ ინანა გუნებაში, ასე მოუხერხებელ ადგილას რად მიდგას ხუტორი — ასე ახლოს რად არის გზასთან. მშვიდობიან დროს ცუდი როდია, იქნებ უკეთესიც კი არის შარაგზასთან, სოფელთან და დაბასთან სიახლოვე. თუმცა ომისწინა წლებში უპირატესობაც დაკარგა, რადგან ხუტორელებმა სოფლებში დასახლება იწყეს, ვისელკიში სწრაფად დაგრძელდა ქუჩა ხუტორული ნაგებობებისაგან და იმ ზაფხულს სწორედ მისი იახიმოვშჩინას რიგმა მოაწია. უკვე დაშალეს და გადა-

ზიდეს კალო, თიბვის ალოობას მორჩებოდნენ თუ არა, მთელი ხუტორის გადატანასაც აპირებდნენ. მაგრამ ომმა შეუშალა ხელი და ახლა მათი შურდა, ვინც სოფლელებში გაერია და მასავით განზე არ დარჩა. თუმცა ახლაც არის ისეთი კუთხეები, სადაც ძველებურად ქრისტეს უბეს შეყუჟულებივით ცხოვრობენ. თუნდაც ზაგრიაზიე ვთქვათ, თუმცა დაბიდან მაინცდამაინც შორს არ არის, მაგრამ ჭაობს გადაღმაა მიმალული და უბედურებას [illegible] გუჟიც კი იშვიათად თუ შეივლის იქ, ხოლო გერმანელები თვალითაც [illegible] უნახავთ. მის იახიმოვშჩინაში კი გერმანელები სულ რამდენიმე დღეს იყვნენ, მაგრამ ოჯახი კი დაუქციეს. ჯანდაბას ოჯახი, უარესი უბედურება რომ არ დატრიალებულიყო — ყმაწვილი, უწყინარი ობოლი ბიჭი არ მოეკლათ. თავად პეტროკი და სტეპანიდაც ხომ ძლივს გადაურჩნენ დაღუპვას. ჰო, გერმანელები კი მოკიდნენ და წავიდნენ, მაგრამ ახლა ამ გუჟის ხელში გაძლება როგორ გინდა, ვერაფერს ვერ გამოაპარებ და თანაც წარსული ამბებითაცაა გაბოროტებული. თუმცა ტყუილად კია შარზე, რადგან სტეპანიდას იმ საქმეში ბრალი არა აქვს, სწორედ სტეპანიდა იყო განკულაკების წინააღმდეგი. მაგრამ გუჟი მაინც გადაეკიდათ, მათთან სიარულს არ იშლის და სამუშაოდაც ერეკება ცოლ-ქმარს. ეტყობა, არც მოეშვება მათ, სანამ მთლად არ გაიცლის სიქას ეს გაიძვერა და არაკაცი, ეს დასაბმელი ძაღლი. ახლა, ეშმაკსაც წაუღია და, პეტროკს არც პური ენანება, არც შრომა, ოღონდ კი არაყით ამოუვსოს გუჟს გაუმაძღარი ყელი.

პეტროკი შესცქეროდა, როგორ ცეკვავდნენ ქვაბზე ცეცხლის ენები და ფიქრობდა: ღმერთო ჩემო, რა ტრიალებს ქვეყანაზე! რა საშინელი ომია, რა საზარლად დაიწყო ყოველივე, ნეტა რაღა მოხდება? სასტიკი დროა: თუმცა ომამდეც არ აკლდათ გასაჭირი, ხან რას ებრძოდნენ და ხან რას. პეტროკი კარგად ვერ ერკვეოდა ბრძოლათა სირთულეებში ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ რაც მის სოფელს შეეხებოდა, ამ საქმეში ყველა უმაღლეს რწმუნებულზედაც კი მეტი გაეგებოდა. მათ ზოგჯერ მოსწონდათ ანტოს ნედოსეკას კრებებზე გამოსვლა, ფიქრობდნენ ალბათ, რა შეგნებული კაციაო! მაგრამ პეტროკმა იცოდა, ნედოსეკა ასე შეგნებულად იმიტომ გამოდიოდა, რომ ამ დღეებში განცხადება შეიტანა, როგორც მრავალშვილიან და მცირემიწაწყლიან კაცს, დახმარება მომეცითო. ჰოდა, ამისთვის ირჯება. ხოლო თუ ბორის ბოგატკამ მისცა ხმა კოლმეურნეობის სასარგებლოდ, სულაც იმიტომ კი არა, რომ მისი ჩამოყალიბება ეჩქარებოდა, არამედ იმიტომ, რომ გუჟისთვის მოეკლა გული, რადგან ძველთაძველი მტრობა ჰქონდა მასთან და გუჟს ისე ეშინოდა კოლმეურნეობისა, როგორც ეშმაკს ავგაროზისა. ის კი არადა, მისი სტეპანიდაც, თუმცა მთელ სოფელში ახალი ცხოვრების მომხრედ მოჰქონდა თავი, თუ კაცი დაუკვირდება, უფრო მეტად თავისთვის და, რასაკვირველია, მისთვის, პეტროკისათვისაც, ცდილობდა, რადგან დარწმუნდა, რომ ორი დესეტინით თავს ვერ გაიტანდნენ. ჯანს შეაკლავდნენ მხოლოდ. მაგრამ აი როგორ შემოტრიალდა საქმე: ბორისი მამინათვე ლენინგრადში გაიქცა ნათესავებთან, გუჟი განაკულაკეს და გაასახლეს, ახლა კი ყველასა და ყველაფრისათვის პეტროკ ბოგატკამ უნდა ზღოს, ვისი ცოლიც ოდესღაც ღარიბკომში მოხვდა და კრებებზე პრეზიდიუმში იჯდა. ნეტა კი არ წაამწარებდნენ ყველაფერს.

პეტროკმა ორ მუგუზალს ადგილი მოუნაცვლა ქვაბს ქვემოთ და გვერდითაც არყის ხის შეშის ღერი მიუდო, იფიქრა, ეტყობა, საცაა დაიწყებს

წვეთვასო. სპილენძის ლიტრიანი ქარგა ხანია მილის წვეროს ჰქონდა შედგმული, მაგრამ ჯერჯერობით მშრალი იყო, კლაკნილაადან წვეთიც კი არ გადმოღვრილიყო. პეტროკმა ისევ აიხედა მაღლა. ღარტაფის ნაპირას, ნაძვნარში შეშფოთებით აწრიალდა ქაჭაჭი, აჩემებული ჭარტალებდა, და პეტროკმაც ყური ცქვიტა — ვინმე ხომ არ მოიპარება ღარტაფისკენ? ... ქნებ მე რომ მხედავს, იმიტომ ჭარტალებსო? გული რომ დაეშვიდებინა, წამოდგა და ნაძვნარში გაიხედა — თითქოს ახლომახლო არავინ იყო. მაგრამ ქაჭაჭი არ ცხრებოდა. ხან უახლოვდებოდა, ხან კიდევ გან-გან უფრენდა მდელოს და ჭარტალს არ იშლიდა, თითქოს საშიშროებას ხედავდა. პეტროკი დაიხარა და ნაძვნარის ტევრში გაძვრა. მან ნაკადულთან თვალი მოჰკრა რუდკას, მწყემს იანკას ძაღლს. უპატრონოდ და ობლად დარჩენილი რუდკა, ეტყობა, ამ არემარეში დაეხეტებოდა, აგერ კოცონს წაადგა და, პეტროკი რომ დაინახა, მკვირცხლად ააქიცინა კუდი, თან გაბარებული, კითხვით აღსავსე მზერას არ აცილებდა კაცს.

— რაო? რას დამდგარხარ? აქ მო, — ჩუმად მოუხმო პეტროკმა რუდკას. ძაღლიც მორჩილად გასხლტა ნაძვებში და მდელოზე გამოხტა, მაგრამ კოცონთან არ მისულა, მოშორებით დაყუნცდა. — რაო, გშია განა? არაფერი არა მაქვს, დასალევი მექნება. საჭმელი კი არ გამაჩნია, — სიამოვნებით გამოესაუბრა ძაღლს პეტროკი, თითქოს ადამიანს ელაპარაკებოდა. თუმცა რუდკა, ეტყობა, მზად იყო იმითაც დამშვიდებულიყო, რომ ნაცნობი ნახა; მან თავი ჩუჩყიან თათებზე დაიდო და მოღლილი თვალებით შეაცქერდა ცეცხლს.

მაგრამ აი, მგონი, უკვე დადგა ის საამო წუთი, როცა მილიდან გამომდინარე პირველი წვეთები საამურად აწკაპუნდა. წკრიალით დაეცა სპილენძის ტოლჩის ფსკერს. პეტროკმა იმავე წამს გამოხვეტა ქვაბს ქვემოდან დაუმწვარი მუგუზლები, ახლა ნაკვერჩხლების სუსტი ცისფერი ალიც კმაროდა, დიდი ცეცხლი აღარ იყო საჭირო. ამასობაში მილიდან წვეთებით დენამ იხშირა, ის კი არადა, ძაფივით წვრილ ჭავლად წამოვიდა კიდეც; ქვამლის სიმყრალეს სპირტის საამო სუნიც შეერია. ახლა კი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოკიდებოდი ცეცხლს, ერთთავად ერთ ზომაზე უნდა გქონოდა: ქვაბი არც უნდა გაცივებულიყო და არც გადახურებულიყო, თხლე რომ არ მიმწვარიყო. ცოდნა და ოსტატობა აქ არანაკლებ საჭირო იყო, ვიდრე ვიოლინოს დაკვრისას. პეტროკი აღელდა კიდეც, ხან აჩოჩებდა მუგუზლებს ქვაბქვეშ, ხან კი განგან სწევდა; ქვამლისაგან თვალები ეცრემლებოდა, დაკოჟრილი ხელებით იმშრალებდა და წამდაუწუმ ტოლჩაში იხედებოდა, ბევრი მოგროვდა თუ არაო? ბოლოს, ნახევრამდე რომ გაივსო ტოლჩა, ცრემლივით ანკარა სითხე ფრთხილად გადაასხა ძველ ლიმონათის ბოთლში: ეს პირველი ნახადი, ყველაზე მაგარი, დაენანა გუჟის გაუმაძღარი ყელისთვის და იფიქრა, იქნებ ერთხელ მეც მერგოსო ან ვინმე კარგი კაცისთვის შევინახავო. ამიტომ პეტროკმა დაჭმუჭვნილი ქაღალდი დაუცო ბოთლს და მდელოს კიდეში, ასკილის ბუჩქს მიაშურა. იქ პატარა ორმო ამოჩიჩქნა, ბოთლი შიგ ჩაჩურთა, მერე გულმოდგინედ წააყარა მიწა და ზემოდანაც შმორიანი ფოთლები წააფარა. იყოს, იქნებ მაგისი დროც დადგესო.

სანამ პეტროკი ცეცხლთან ფუსფუსებდა, რუდკას თვალი არ მოუშორებია, მომლოდინე მზერას აყოლებდა თითოეულ მის მოძრაობას, მოთმინებით ელოდა გამასპინძლებას, მაგრამ პეტროკი აბა რით გამასპინძლებოდა, თაეადაც მოშივდა არაყის ხდაში.

სამი ბოთლი კიდევ გამოვიდა. მერე სქელმა მოწითალო სითხემ იწყო წურწური, ეტყობა, ქვაბის ფსკერზე დურდოლა დარჩენილიყო. უნდა მორჩომოდა ამ საქმეს, პეტროკმა მუგუზლები მიყარ-მოყარა, ნაკვერჩხლები დააკანა, ქვაბი ასკილის ბარდებში გადაათრია, იქ საგულდაგულოდ ჩაფალა ფოთლებში და ზემოდანაც ნაძვის ტოტები წააყარა. კლაკნილა, როგორც ამ ... რატის ყველაზე ძვირფასი ნაწილი, და კასრიც შინ უნდა წაეღებინა ... ალი ჯერ კიდევ თბილი. მღვრიე არაყი უბის ჯიბეებში ჩაიტენა, ბოლოს ნაკვერჩხლიდან თამბაქოს მოუკიდა და აუჩქარებლად გასწია ბილიკისაკენ.

სანამ ნაკადულის გაყოლებით ღარტაფს გადაივლიდა, რუდაკა უკან მისდევდა, მაგრამ ხუტორის მოსახვევში უცებ შეჩერდა. პეტროკი მოტრიალდა და ჩუმად მოუხმო. რუდაკა ხტუნვა-ხტუნვით დაეწია ბერიკაცს და მერე ალარც ჩამორჩენია. ეტყობა, თავაზიანი, წყნარი ძაღლი იყო, ადამიანებს აფასებდა და მიუწვევლად არავის შეეჩხირებოდა.

ბოსტნის გადავლით ფარდულს რომ მიუახლოვდა, პეტროკს კაცის ხმა მოესმა, ვერ გაარკვია, ვინ უნდა ყოფილიყო, თითქოს ქოხში ლაპარაკობდა; პეტროკმა ყური მიუგდო, მაგრამ ხმა მიწყდა და პეტროკმა იფიქრა, ალბათ მომეჩვენაო — აბა სტეპანიდას გარდა ახლა ვინ იქნებოდა შინ? მაგრამ ცოტათი მაინც შეეპარა შიში და შეშისსაპობთან შედგა, კასრი ნაფოტებზე მიაგდო, კლაკნილა შეშის უკან მოისროლა და სამი არყით სავსე ბოთლიც იქ მიაყოლა. ეს უფრო საიმედო ადგილი იყო, იმიტომ რომ, ვინ იცის, ვინ შეეხეტებოდა ქოხში, გერმანელები თუ არა, პოლიციელები მაინც შეყოფდნენ იქ თავს, რაც კიდევ უფრო უარესი იყო. პეტროკმა სახეზე დაცანცული, გულგრილი გამომეტყველება აისახა და წინკარში შეაბიჯა.

დიახ, სწორედ ასე იყო, არ შემცდარა. ქოხში ორი ხმა ისმოდა: ერთი სტეპანიდასი იყო, ხოლო მეორე... პეტროკმა უცებ ვერ მოისაზრა, ვისი იყო ის მეორე ხმა, და გაუბედავად შეაღო ქოხის კარი.

— აი, მოვიდა, ჩვენ კი ლოდინში უკვე იმედი გადაგვიწყდა.

„ოჰ, ესენი რომ არ დამლოდებოდნენ — მთის გადაღმა მგელს სული ამოხდებოდა დარდით", — გაიფიქრა პეტროკმა, პოლიციელი ნედოსეკა რომ დაინახა. პოლიციელი მერხიდან წამოდგა და შეეგება, ფართო ხელი გაუწოდა, პეტროკმაც წყნარად ჩამოართვა და მაშინვე იაზრა: „მაშ, უყნოსიათ და ეგ არის! რა მიხვედრილები არიან. მოფიქრებას ვერც კი მოასწრებ, ამათ უკვე იციან!".

— თუ სამუშაოზე მეძახით, ვერ წავალ, — უთხრა პეტროკმა. — გუშინ გავწყდი წელში. სიცა გამვარდა.

— ჰოდა, ნურც წახვალ, — მყის დაეთანხმა პოლიციელი. — დღეს არცა ხარ საჭირო, გერმანელები გაემგზავრნენ. რაო, გამოხადე, ხომ? — ჰკითხა უცებ და ყურადღებად ქცეული გაიყუჩა.

პეტროკი მიხვდა, რას გულისხმობდა პოლიციელი, და უარის თქმა დააპირა, უნდოდა მოეტყუებინა, მაგრამ ჯერ სტეპანიდას შეხედა, ღუმელთან რომ მიმდგარიყო. ცოლმა დაიჭირა ქმრის მზერა და ჩუმად უთხრა:

— ხომ ხედავ, გელოდება. გუჟიც იყო, უკვე იციან.

ეს მერამდენედ შეიკურთხა გამწარებულმა პეტროკმა გუნებაში. რა გაეწყობა! რასაკვირველია, გუჟს გვერდს ვერ აუვლი ამ საქმეში, თუმცა იქნებ უკეთესიც კია, რომ ყველაზე უფროსი პოლიციელი არ არის, არც არაფრის ახსნა სჭირდება და არც თავის მართლება. მაგრამ პეტროკი მაინც საკუთრივ

გუჟისთვის აპირებდა არაყის მიცემას, რომ მას ცოდნოდა, ვინ მისცა და იქნებ იმაზედაც მოლაპარაკებოდა, რისთვისაც აძლევდა. ეთხოვნა, გულს ნუ გამიწყალებთ მუშაობით, გერმანელებს ბინაში ნუ ჩამიყენებთ, ცოლს ნუ გადაჰკიდებიხარ, თავი გაანებეო. განა ცოტა საქმე ჰქონდა ფუფუთან! ახლა კი აი, ნედოსეკას უნდა მისცეს არაყი, ის კი თავად შეხუხავს.

პეტროკმა ცოტა შეიცადა, მერე ქოხიდან გამთვიდა და შემისაპობზე შეშის ხორიდან ორი ჯერ კიდევ თბილი ბოთლი ამოათრია. გადაწყვიტა, მესამე ბოთლი ჯერჯერობით შეენახა და არ მიეცა. უკან რომ ბრუნდებოდა, იფიქრა, იქნებ გამიჯანჯლდესო ნედოსეკა, მითხრას, ცოტაათ, მაშინ თავი ხომ უნდა ვიმართლო, ფიცით ვუმტკიცო, რომ სულ ეს არის, მეტი არ გამომიხდია, რადგან მოწყობილობა არ მივარგა და არც გამოსახდელი გამაჩნია რამო. მაგრამ მისდა გასაოცრად ნედოსეკას სიტყვაც არ უთქვამს, ბოთლები გალიფეს ჯიბეებში ჩაიტენა, — მაშინვე მუხლებზე ჩამოუცურდა.

— კარტოფილისა არის თუ პურის? — მხოლოდ ამით დაინტერესდა პოლიცაი.

— პურისა არის. ვეცადე, რაც შემეძლო, მაშ როგორ! ახლა ხომ იცი, ყველას უნდა ეამო კაცმა, განსაკუთრებით ხელისუფალთ, — უთხრა პეტროკმა.

— ხელისუფლების გული მუდამ უნდა მოიგო, გინდ საბჭოთა ხელისუფლება იყოს, გინდ გერმანელებისა, მაშ, როგორ? — ოხვრით დაასკვნა ნედოსეკამ და კარის სახელურს ხელი წაატანა. — აბა ნახვამდის!

პოლიცაი წავიდა, თითქოს კმაყოფილიც ჩანდა იმითაც, რაც მისცეს, პეტროკმა ფანჯრიდან თვალი გაადევნა და მერე დაღლილი დაეშვა მაგიდასთან მდგარი მერხის ბოლოში. სტეპანიდა ღუმელში შეძვრა თუჯიაში ჩარჩენილი წვნიანის გამოსაღებად.

— შენა გგონია, ორი ბოთლით აუბამ მაგათ თვალებს? — ჰკითხა გესლიანად ქმარს და ალმაცერად შეხედა.

— რაო, არ ეყოფათ თუ?

— თავად იცი. ნეტა კიდევ არ მოგთხოვოს.

— მომთხოვს და არ მივცემ. რაო, სპირტის ქარხანა მაქვს თუ რა?

— ერთი კია, უკვე იციან, რომ არაყს ხდი. კლაკნილა რომ ვიოლინოზე გადაცვალე, არც ის გამოპარვიათ. ასე ამბობენ, აგენტურა გვყავსო.

— ხედავ, თურმე რა ყოფილა! აგრეთაც სული გაძრომიათ მაგათ აგენტურას!

— აი, ის ყუმბარა კი ვერა და ვერ იპოვეს. ხიდთან იდო და ვიღაცამ აწაპნა.

— ყუმბარა? ნეტა ვის რაში სჭირდება.. .ნუთუ კორნილამ? მართლა კორნილა იზამდა მაგას, — თქვა პეტროკმა ფიქრის შემდეგ. — იმას ყველაფერი სჭირდება, რასაც დაინახავს, შინ მიათრევს ხოლმე.

პეტროკი იმავ ადგილას იჯდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ნედოსეკა მოკალათებულიყო, და შჩის ხვრეპდა. გრძნობდა, როგორ გაწყვეტოდა ქანცი, თითქოს ავად გამხდარიყო, ხიხინი დაეწყო, ალბათ კვამლის ბრალი თუ იყო, მაგრამ ამ ბოლო დღეებში პირველად იგრძნო კმაყოფილება გუნებაში, რომ საქმე გააკეთა და მით ცოტაოდენი სიმშვიდე მოიპოვა, თუმცა არ იცოდა, დიდხანს გასტანდა ეს თუ არა. დღეისთვის კი ნამდვილად გამოისყიდა თავი, დღეს ალარ შეაწუხებს გუჟი. თიხის ჯამიდან შჩი რომ მთლად შეხვრიპა,

პეტროკმა იფიქრა, ახლა ჯერ ერთს გავაბოლებ და ჩემი ქოხის ოჯახურ სითბოში ცოტას დავისვენებო, მერე გამოჩნდება, რა უნდა გავაკეთოო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, სტეპანიდამ ახლაც მასზე უკეთ იცოდა. ჯერ რა უნდა ეკეთებინა და მერე — რა.

— კარტოფილის ბურტი ჯერაც ვერ ჩავათავეთ. ამათ არ დამაცალეს დღეს. არც პური გვაქვს, დასაფქვავია, — წამოიწყო ლუმელთან მჯდომმა სტეპანიდამ.

— კარტოფილს არ ეგვიანება, ჯერ არ მოყინავს.

— პურს რაღა ვუყოთ? საჭმელადაც არა გვაქვს.

— ხვალ დაეფქვავ, — უთხრა პეტროკმა.

ჭამის შემდეგ პეტროკი მთლად მოითენთა და ძალა აღარ ჰქონდა, საქმისთვის მიეყო ხელი. თუნდაც ძალზე საჩქარო საქმე ყოფილიყო.

— მერე ხვალ რომ ორივენი სამუშაოდ გაგვრეკონ? ხიდზე ან კარტოფილის სათხრელად? ან სულაც სადმე სხვაგან? — არ ეშვებოდა სტეპანიდა.

— არ გაგვრეკავენ.

— როგორ თუ არა, რაო, გაგათავისუფლა თუ? გამოიბრუნება და ისევ მოგვაკითხავს, განა მოგვეშვება.

იქნებ მოაკითხოს კიდეც გუქმა, უშაროს, დაემუქროს, მაგრამ პეტროკს ისე გაუწყდა ილაჯი ამ საშინელ დღეებში, ძალა აღარ ჰქონდა რაიმეს გაკეთებისა. ჭამას რომ მორჩა, თამბაქო გაახვია, ნაკვერჩხლიდან მოუკიდა და ლუმელს იქით წალასლასდა.

— ახლავე გავაკეთებ...

ჯღანებიც არ გაუხდია, ისე მიწვა. გახვეული პაპიროსიც ბოლომდე მოუწეველი დარჩა, ძილმა წაიღო. ის იყო, თვალები მოხუჭა, რომ ეზოში მისგან მივიწყებული რუდკა აყეფდა და ვიღაცის ნაბიჯების ხმაც გაისმა; პეტროკი ძილისგან გამოერკვა და თავდამძიმებული ფანჯარას მიაწყდა. ეზოში, ჭის გადალმა ვიღაც მესერზე აბამდა მკერდვიწრო ქურანა ცხენს. ქოხისკენ რომ მობრუნდა, პეტროკმა კოლონდენოკი იცნო — მაზარა ეცვა და ვიწრო, მოხრილ ზურგზე შაშხანა მოეგდო.

— გაწყდეს თქვენი სინსილა! — გამწარებით მიაკრულა პეტროკმა, მიხვდა, რა საჭიროებაც მოიყვანდა ამ პოლიციის ხუტორში.

რუდკა არ ცხრებოდა — ჯერ ცხენს უყეფდა, ფხიზლად რომ ატოკებდა ყურებს, თუმცა ადგილიდან არ იძროდა, მერე კი კოლონდენოკს აუტეხა ყეფა. უცებ პოლიციაი შეჩერდა და ხელი შაშხანაზე წაივლო, პეტროკი, როგორც იყო, ისევე უტყაპუჭოდ გამოვარდა კიბეზე და ძაღლს დაუტატანა.

— რუდკა, მოეცალე! მოეცალე-მეთქი, უჭკუო, ოჰ, მე შენ გიჩვენებ!.. არ ესროლო, ეგ არ გიკბენს! — მიუბრუნდა პოლიციას, რომელიც უკვე ვაზნას დებდა სავაზნეში. ეტყობა, ბოლოს რუდკაც მიხვდა, რას უპირებდნენ და შეშის ხორის კუთხეში თვალს მიეფარა. იქიდან ისევ დაუყეფა, თუმცა ისე გაავებით აღარ და კოლონდენოკმაც ვიწრო, ჩამოვარდნილ მხარზე შეიგდო შაშხანა.

— არაყისთვის მოვედი, — არც აკივა, არც აცხელა, ისე განაცხადა პოლიციამ, ფერმკრთალ, მოწყენილ სახეზე ფერი არ შეცვლია.

— აკი მივეცი! ნედოსეკას გავატანე ორი ბოთლი, — აფორიაქდა პეტროკი. — რაო, ფაბრიკა მაქვს თუ რა?

— გუქმა ასე თქვა, ორი ბოთლი კიდევო, თორემ ხვალ რეპრესია იქნება.

— რა იქნებაო? — ვერ მიხვდა პეტროკი.

— რეპრესია. ანუ ჩამოგახრჩობთ. ან იქნებ ტყვიით გაგაგორეთ! — დაეჭვდა კოლონდენოკი. — არა, მგონი, ჩამოგახრჩობენ. აბა, გამახსენდა — ჰო, ჩამოგახრჩობენ. რეპრესია ჩამოხრჩობას ნიშნავს.

— აი, საკვირველება! — ხელები გაშალა პეტროკმა. — ეს ყველანი მოგიტანო მერე? აკი მივეცი, რაც მქონდა. ნედოსეკამ ხომ...

— მაშინ ქუდი დაიხურე.

— რათა?

— დაბაში წამოხვალ. გუჟმა ასე თქვა: თუ არაყი არ მოგცეს, კინწისკვრით აქ მომგვარეო. სარეპრესიოდო.

— ჰო?...

აბა რა უნდა გაეწყო პეტროკს ამ ავაზაკებთან? იყუჩა, იფიქრა და ცხადად მიხვდა, რომ არც არაყის გამოხდაა გამოსავალი. არა, არაყი ვერაფერს უშველის, პირიქით, მთლად არ მოუღოს ბოლო სხვა რამეზე უფრო სწრაფადაც.

პეტროკს ხმა აღარ გაუღია. უხმოდ ჩავიდა ეზოს ნოტიო მიწაზე თავისი ჯღანებით, ამკარად, დაუფარავად მიფრატუნდა შეშისსაპობთან და ხორად დაყრილი თხმელის ღერებიდან მესამე ბოთლი ამოათრია.

— აი, ხომ ხედავ! აკი ამბობდი, არა მაქვსო! — ბოროტად შესჭყივლა კოლონდენოკმა და ხელიდან ბოთლი გამოგლიჯა. — მეორე ბოთლი სადღაა?

— არა მაქვს! ღმერთი და რჯული, მეტი არაფერი გამაჩნია. თუ გინდათ, გამჩხრიკეთ. იცით, ცოტა გამოვხადე. გამოსახდელი არ მივარგოდა.

— კარგი, კარგი, — მოლბა ცოტა ფიქრის შემდეგ კოლონდენოკი. — მე გადავცემ და დაე, თავად გადაწყვიტოს...

პოლიციამ ახსნა ცხენი და გარდიგარდმო მოახტა, გრძელი ფეხი მეორე მხარეს მოისროლა. ცხენმა მკვირცხლად გაქუსლა შარაგზისაკენ, ხოლო ბოსტნიდან ეზოში კარტოფილით სავსე კალათით ხელში სტეპანიდამ გადმოაბიჯა.

— ისევ მომაკითხეს. — ნაღვლიანად დაუდასტურა პეტროკმა.

— ისევ არაყისთვის მოგაკითხეს?

— ხომ გეუბნებოდი? აწი მაგათ ვეღარ მოიშორებ...

— აგრემც სარი გარჭობიათ ყელში! მე მეტი არა მაქვს.

— უარესი იქნება შენთვის.

— ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, — უთხრა ცეცხლმოკიდებულმა პეტროკმა, თუმცა ხმაში სიმტკიცე არ ეტყობოდა. მართლაც გული არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ცუდი რამ დაემართება, სულ იმას ფიქრობდა, იქნებ ახლაც დავუძვრე ამათ ხელიდანო..

20

მოსალამოებულზე, შებინდებისას, პეტროკმა ხვნეშა-ხვნეშით, ცოლთან კინკლავის შემდეგ აფოცხა ღუმელზე გამომშრალი ჭვავი და ფარდულში გაეშურა. უნდა დაეფქვა, რომ საჭმელადაც ყოფნოდათ და არაყის გამოსახდელადაც. უკვე ცხადი იყო, რომ ვერც უპუროდა და ვერც უარაყოდ თავს ვერ გაიტანდნენ.

ძველისძველი დოლაბები ჰქონდა, თხელი, გადახეხილი. სალტეებშე-

მორტყმული ქვებითურთ, ძალზე მსხვილად ფქვავდა. მხოლოდ ეს სიკეთე ჰქონდა, ითლი სატრიალებელი იყო. პეტროკი ატრიალებდა სახელურს, ზოგჯერ თუ ჩაუმატებდა თბილ მარცვლებს და ერთთავად სხვადასხვა ფიქრებშიიყო ჩაფლული. უფრო მეტად ცუდზე ფიქრობდა, და ახლა ეს ცუდის მალოდინზე აკვიატებული ფიქრები ისევე უფუთფუთებდნენ თავში, ერეოდნენ ქინქლა ფუთფუთებს ზაფხულის დღეს.

ნეტა ვის გაუხარებს გულს ომი, პირიქით, ყველასათვის მწუხარების მომტანია. მაგრამ თუ მწუხარება გადამთიელს, გერმანელს მოაქვს, რა საოცარიც ეგ არის, ეს ხომ ქამიანობასა და ჭირივითაა, ამ დროს ვის გაუნაწყენდები კაცი? ხოლო როცა ამ ჭირს შენიანი, შენი სოფელი, აქაური დაგატეხს, ვისიც პაპის პაპის სახელიც კი იცი, ვინც ახლა გადაგვარდა და ის ალარ არის, რაც მთელი სიცოცხლე იყო, მხეცად, ამ ოკუპანტების, გერმანელების ყმად იქცა, ამაზე რალა უნდა თქვა? ან იქნებ ისინი უცებ გახდნენ მხეცები, ადამიანური რამ თუ გააჩნდათ, ჩაიკლეს და იძულებულები არიან ასე მოიქცნენ?! ან იქნებ არც იყვნენ ადამიანები, მხოლოდ თავს აჩვენებდნენ ასეთად მთელი ომამდელი წლების განმავლობაში და ომმა გამოაღვიძა მათ სულში მხეცი? პეტროკი ბუნებით ვისელკელთა უმრავლესობასავით წყნარი, ჩუმი კაცი იყო: ზომიერად ფრთხილი, სხვების დამფასებელ-პატივისმცემელი, ცოტათი მორწმუნე და ღვთისმოსავი. წინაპრებიც ასეთები ჰყავდა. პაპამისი არასოდეს უხეშ სიტყვას არ ჰკადრებდა არა მარტო თავისიანებს, თავის სოფლელებსაც და დაბელებსაც, პირუტყვსაც არ შეაგინებდა, ახლა რომ იციან ყმაწვილმა ბიჭებმა ცხენისა თუ ძროხის ყვირილი და ლანძღვა. ან განა ვისმე რაიმეს ავნებდა ან სხვისას ხელს ახლებდა ეზოსა თუ მინდორში. ახლა კი?.. კიდევ კარგი, ასეთ სირცხვილს არ მოსწრებია, არ უნახავს. რა ხდება ქვეყნად ამ ომში...

პირველად, გერმანელები რომ შემოვიდნენ, პეტროკი დაბაში დადიოდა ხოლმე ამბების გასაკითხ-გამოსაკითხად, მარილის, ნავთის, ასანთის საშოვნელად, „ახალი წესრიგის" სანახავად და, რაც მთავარია, იმის გასაგებად, რა ხდებოდა ქვეყანაზე, და იმის სავარაუდოდ, ამას რა მოჰყვებოდა. ერთხელ სახანძროსთან, ნეკერჩხლის ჩრდილში შეიყარა თავი რამდენიმე გლეხმა; ისხდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ. არ ჰქონდათ მაინცდამაინც მხიარული ბაასი — ერთთავად ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ. რამდენიმე დღის წინ რაიონში ვიღაც დიდჩინიანი კაცი ჩამოვიდა, წითელი ფრენჩი ეცვა და სახელოზედაც წითელი სახვევი ეკეთა, ასე ამბობდნენ, ახალმა ხელისუფლებამ დანიშნა, აქაურიაო. გლეხებს მოეწონათ, რომ მათი უფროსი გერმანელი, ვიღაც უცხო კაცი კი არა, მათიანი, აქაური იქნებოდა. ცოტა ხნის მერე ახალი უფროსი ყოფილი რაიაღმასკომის ქვის შენობაში დაბინავდა, იქ ნახეს გერმანელთა თარჯიმანიც, ყოფილი მასწავლებელი სვენტკოვსკი, ერთი უსაჩინო უცოლო კაცი, რამდენიმე წელიწადი ხიდთან, ებრაელ რიგას მდგმურად რომ იყო. მთავარ პოლიციად მაშინვე გუეი დადგა, მანამდე რომ მხოლოდ შიგადაშიგ გამოჩნდებოდა ხოლმე დაბაში. მალე სახელოზე პოლიციელის სახვევი გაიკეთა ანტოს ნედოსეკამაც, რამაც ძალზე გააოცა დაბელები, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერაფერს ცუდს ვერ იტყოდა ამ კაცზე. მესამე პოლიციის გამო კი ბევრი აშკარად გამოთქვამდა აღშფოთებას, რადგან ვისელკიში კარგა ხანი სძულდათ იგი, მაგრამ პოტაპ კოლონდენოკი, ეტყობა, უკვე შეჩვეული იყო, სოფლელები რომ აღმაცერად უცქეროდნენ და მაინცდამაინც არ აქ-

ცევდა ყურადღებას ამას. ახლა იგი მხოლოდ გერმანელებს უწევდა ანგარიშს და კიდევ თავის უშუალო ხელმძღვანელს, უფროს პოლიციაის გუჟს. ხოლო გუჟის ამბავს ვინ გაიგებდა, ვის უსწორებდა იგი ანგარიშს — ძველს თუ ახალს? ათი წელი არ გამოხენილა — შორეულ დონბასში ეუფლებოდა ცოდნას და ნეტა ვისთვის ისწავლა იქ? ახლა კი აშკარად [illegible] მინიჭებული უფლებებით, გერმანელ მეთაურებთან ერთად [illegible] ებრაელები, მიითვისა მათი ქონება და უსირცხვილოდ გამოჭიმული იმ წითელ ტყაპუჭში, სულ ცოტა ხნის წინათ სარაიონო მიწათმოქმედების განყოფილების გამგეს, ეფიმ კაცს რომ ეცვა.

აი, ესეც შენიანი უფროსი!

აბა ასე როგორ შეიძლებაო, ფიქრობდა პეტროკი და სახელურის მოძრაობის მიხედვით ირწეოდა დოლაბებთან — ხან წინ, ხან უკან. მთლად ჩამობნელდა, ჭრაქიც არ დაანთეს, სტეპანიდა ნავთს იზოგავდა და პეტროკსაც არ ჰქონდა ცოლთან კინკლავის თავი, ბნელშიაც კარგად ფქვავდა. აბა ასე როგორ შეიძლებაო, ისევ ეკამათებოდა თავის თავს ფიქრებში პეტროკი, რომ თავისიანი თავისიანს დაერიოსო? სოფელში ხომ ათადან-ბაბადან მოყოლებული ხალხს შორის კეთილი ურთიერთობა ფასობდა. იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ ვინმე გადაგვარებულს გაებედა მეზობელზე ხელის აღმართვა, მტრობა ან კიდევ დავა მასავით მხვნელ-მთესველ ადამიანთან. რასაკვირველია, ყველაფერი მომხდარა, უმისოდ ცხოვრება როგორ იქნება, მაგრამ უმეტესად მიწისთვის — ნათესებზე, სათიბებზე ან პირუტყვზე თუ აუტყდებოდათ დავა. ახლა კი აბა ვილას სჭირდება მიწა? რა ხანია მის გამო მტრობასაც ბოლო მოელო. წინათ ახალგაზრდა კაცი მოხუცს ისე როგორ ჩაუვლიდა გვერდით, ქუდი არ მოეხადა, ახლა კი აი სწორედ ის ახალგაზრდები ქუდიანად აცლიან თავებს ხალხს. არც არაფრის შიში არ გააჩნიათ — არც ღვთის რისხვისა ,არც ადამიანური განსასჯელისა. თითქოს ძველთაგანვე ასე მოსდგამდეთ, თითქოს მარტო ძალა კი არა, სიმართლეც მათ მხარეს იყოს. ან იქნებ მათ სიმართლეც არ სჭირდებათ, სისხლმოწყურებული გერმანული ძალაც ჰყოფნით? მზად არიან სიმართლეს მიაფურთხონ, თუკი იგი ხელს შეუშლის მათ სისხლიან ბოროტმოქმედებას. თუმცა სიმართლე მაინც წინ ელობებათო, გაიფიქრა პეტროკმა, თორემ ყოველთვის გერმანელებისკენ რადა აქვთ თვალი, სინდისს არაყით რად იხშობენ ან შაშხანაზე რად იტაცებენ ხოლმე ხელს, როცა სოფლელ დედაკაცებთან შეხლა-შემოხლის დროს დამაჯერებელ სიტყვას ვერ პოულობენ. კაცები კი მათ არ ედავებოდნენ, კაცები დუმდნენ.

პეტროკმა თითქმის მეოთხედი ჩამოფქვა, გახურებულ ქვებთან დაყრილი რბილი, თბილი ფქვილი ხელით მოსინჯა და იფიქრა, რაკი შევუდექი დაფქვას, ბარემ გვარიანად ჩამოვფქვავ, რომ პურადაც იკმაროს და გამოსახდელადაც. დოლაბების ყრუ გუგუნში მაშინვე ვერ გაიგონა სტეპანიდას ძახილი, ქოხიდან რომ უხმობდა და როცა მოესმა, მაშინვე მიხვდა, რომ ცოლი, ეტყობა, კარგა ხანია ეძახდა და ხმაც შეშინებულისა ჰქონდა. პეტროკმა სახელურს ხელი უშვა და იმავ წამს მთელი სახლი შესძრა წინკარში ბრახუნმა — ვილაცა მაგრად აბრახუნებდა კარზე, თან ბოხი ხმით ივინებოდა:

— სახლის პატრონო, შენი დედა ვატირე! გააღე კარი!

პეტროკი მიხვდა, გარედან უბრახუნებდნენ, წინკარში გავიდა, აკანკალებული ხელით მოიძია რაზა და ამოაგდო. კარი მოიფლითა და კინალამ წააქცია. პეტროკი აერიდა კარს. წინკარში ჯერ ვეება, გაბანჯგლული ვილაც შე-

მოვარდა, მერე სხვები მოჰყვნენ. პეტროკს არაყის, ხახვისა და კიდევ რაღაც უცხო, საძაგელი სუნი ეცა. იგი გაღებულ კართან იდგა და ხმას არ იღებდა, მათ კი თვითონ მიაგნეს კარს და მოაღეს იგი, წინკარში სტეპანიდას გახეხილი ღუმლის კაშკაში ალის წითელი ათინათი აბრიალდა და ოთხი დაუპატიჟებელი სტუმარი ფეხების ბრაგუნით, ჭშენითა და სველი ტანსაცმლის სურით შეცვივდა ქოხში.

— სახლის პატრონო! — კვლავ დაიღრიალა ბოხი ხმით გაბანჯგლულმა და პეტროკმაც ყურადღება დაძაბა, ცდილობდა მიმხვდარიყო, ვინ იყო ეს კაცი. მაგრამ ვერაფრით ვერ შეიცნო, ეტყობა, უცნობი ხალხი ეწვია.

— მე აქა ვარ, — წინკარიდან მიაძახა პეტროკმა.

— შუქი, შუქი აანთე!

— აბა ახლა შუქი სად არის? ეძიე, რამდენიც გინდა. აი, ღუმლიდან თუ...

— ჰოდა, ღუმლიდან მოიტა! კვარს მოუკიდე!

პეტროკი ქოხში შევიდა, ამ უცხო ხალხს რომ გაეჭედა, და ზღურბლს აეტუზა, უკვე შეშინებული იყო, ვაითუ ღამეულ სტუმრობას კეთილი ბოლო არ ექნესო. სტეპანიდა ფაციფუცით ამაგრებდა წნეხზე გრძელ, ანთებულ კვარს, მალე მისმა შუქმა ოთხ გაფაციცებულ, ზორზოხ ფიგურას მიაჭიტა, ქოხში რომ დააბოტებდნენ, თან კედლებს ათვალიერებდნენ და სკამებსა თუ მაგიდაზე აცეცებდნენ ხელებს. მაგრამ ვერავინ იცნო. იმ ზორზოხამ, პირველი რომ შემოვარდა წინკარში, კვარი აინთო თუ არა, პეტროკს ცხვირა, გაჯაგრული სახე მიაპყრო.

— შენა ხარ სახლის პატრონი?

— სახლის პატრონი ვარ, რასაკვირველია...

— ბანდიტები თუ შემოიჭრნენ ხოლმე აქ? თქვი ჩქარა!

— რომელი ბანდიტები? — ვერ მიხვდა პეტროკი. — ჩვენგან სულ ახლახან წავიდნენ გერმანელები, ერთ კვირას იდგნენ აქ.

ორი კაცი მერხზე ჩამოჯდა, შაშხანები მუხლებში ჩაიდგეს, ორი კი შუა ქოხში დარჩა.

— ლორი გაქვს? — იკითხა ცხვირამ და პეტროკმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ მეორე, წინ რომელიც იდგა, გვერდით შემოტრიალდა და პეტროკის დასანახად თეთრშემოსაკრავიანი ხელი გამოაჩინა. „აჰა, მაშ პოლიცაი ყოფილა!“ — მიხვდა პეტროკი, რომელმაც არც იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ამათთან, რა ეთქვა.

— ნეტა ერთი, ლორზე რას ჩააცივდი? — რაღაცნაირი საამო, გულღია ხმით დატუქსა პოლიცაიმ ცხვირა და პეტროკს ჩაცინებით ჰკითხა:

— არაყი გაქვს?

—საიდან მექნება? არა მაქვს არაყი, — ამოღერღა პეტროკმა ჩახრინწული ხმით. სტუმრებმა შეთქმულებივით გადახედეს ერთმანეთს.

— ნუ ძუნწობ! — წყენა დაეტყო პოლიცაის. — დადგი ერთი ბოთლი და ალარც ვიჩხუბებთ.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ გამაჩნია. რაო, მოვიტყუებ თუ რა? — პეტროკი შეეცადა რაც შეიძლება გულწრფელად ეთქვა და ალბათ ამიტომაც გამოერია სიყალბე ხმაში. სტუმრებსაც, ეტყობა, არ გამოპარვიათ ეს და კიდევ უფრო გაოცდნენ.

— უყურე ერთი, — უთხრა მცირედი შეყოვნების შემდეგ პოლიცაიმ ცხვირას. — უარს გვეუბნება!

— რაო, თავი ხომ არ მოგძულებია? ამის გემო თუ იცი?

სანამ პეტროკი რაიმეს მიხვდებოდა, ცხვირამ ნაგანი იძრო და იმისი ცივი ლულა ცხვირის ძირში ატაკა. დენთის ნატიტუსალის მძაფრი სუნისაგან პეტროკი უნებლიეთ შეაშმუხნა.

— ჩქარა მოიტა არაყი!

— აკი არა მაქვს-მეთქი, — უძლურად იცავდა თავის ნათქვამს პეტროკი, თუმცა უკვე კარგად იცოდა, მის სიტყვებს არავინ დაიჯერებდა.

— რომელ არაყზე ამბობთ, — გაცხარდა უცებ სტეპანიდა, აქამდე რომ მდუმარედ მიყუჟულიყო ღუმლის სიახლოვეს ჩრდილში. — საიდან უნდა მოგიტანოთ ამ კაცმა?

— გუჟს ხომ გაუჩინა საიდანღაც, — წყნარად, თითქმის ალერსიანად უთხრა თეთრშემოსაკრავიანმა პოლიციაიმ. — ჩვენთვის კი ენანება. არ არის ეს კარგი საქციელი.

— რომელ გუჟს? ვინ გითხრათ?

— კოლონდენოკმა გვითხრა, — დაუზუსტა პოლიციაიმ და პეტროკი მიხვდა: ალბათ ესენი კრინკიდან ჩამოსული პოლიციაიები არიანო. რაღა თქმა უნდა, ხიდი უკვე შეაკეთეს და ახლა კრინკელებიც ივლიან აქ, ვიაზნიკელებიც და კიდევ ბევრი სხვაც ახლომახლო თუ შორეული სოფლებიდან, ყველანი იახიმოვშჩინაში შემოუხვევენ, რომელიც საუბედუროდ აქვეა, გზის პირას. პეტროკი შეძრწუნდა, რად წამოვიწყე ეს არაყის გამოხდაო? განა მთელი ოლქის ძალლების გამოთრობას შევძლებო? ან მაგისი დრო სადა მაქვს, ან პური, ან ამ ჩემი ნაჯაფარი ხელებით რა უნდა გავაწყოო?

— კოლონდენოკი ერთი თვე იქნება, აქ არ გამოჩენილა, — გაბედულად იცრუა სტეპანიდამ და პოლიციაიებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— როგორ თუ არ გამოჩენილა?

— ისე. არ მოსულა აქ. იქნებ სადმე სხვაგან იშოვა.

— ცრუობ, — გაეღიმა თეთრშემოსაკრავიან პოლიციაის. — კოლონდენოკმა ტყუილი არ იცის.

— აბა გაჩხრიკეთ! — დაიყვირა უცებ ცხვირამ. — ყველაფერი გაჩხრიკეთ! კვარი წაიღეთ და ყველგან მოჩხრიკეთ — წინკარშიც, ბოსელშიც...

— ასე ხომ გადაწვავთ ხუტორს. აბა როგორ შეიძლება ცეცხლის ტარება. ხომ არ გაცოფებულხართ! — ხმამაღლა აქვითინდა სტეპანიდა.

მაგრამ ორნი, მერხზე რომ ისხდნენ, ცქვიტად წამოხტნენ, კვარს ხელი სტაცეს და ღუმლიდან მოუკიდეს. კვამლით ახრჩოლებულ სიმყრალეში აციმციმებულმა შუქმა გაანათა მათი გაუპარსავი, შეშუპებული სახეები, ეტყობოდა, ორივენი მაგრად გადაკრულში იყვნენ და აბა რა სიფრთხილეს დაიცავდნენ. კვარით ხელში მიაშურეს წინკარს, ისიც მოისმა, ფარდულში როგორ შეძვრნენ, კარიდან სუსხი შემოიჭრა, პეტროკი ჟილეტისამარა იყო და მხრებში შეაჟრჟოლა. ორმა, ქოხში დარჩენილმა, უტია გზა სახლის პატრონს.

— აბა ერთი აქ მო! — მკაცრად უბრძანა პეტროკს ცხვირამ. პეტროკმა ხმისამოუღებლივ გადააბიჯა ქოხის შუაგულისაკენ, იგი ყველაფრისათვის მზად იყო ახლა. — არაყს იძლევი თუ არა?

— არა მაქვს-მეთქი, — თქვა პეტროკმა თითქმის გულგრილად, რადგან ესმოდა, რომ ფიცით-მტკიცით ვერაფერს გააწყობდა. გამობრუჟულებს ისე დაბრმავებოდათ თვალები, მისი სიტყვები არაფერს ნიშნავდა მათთვის. არაყი სჭირდებოდათ, სხვა არაფერი ,აინტერესებდათ.

— რომ გიპოვოთ ?

— იპოვით და თქვენი იყოს, — მორჩილად უთხრა პეტროკმა, თუმცა იგრძნო, რომ კარგად ვერ გამოვიდა ნათქვამი: ხომ შეიძლება იფიქრონ, თითქოს სადღაც მალავს. თუმცა სადაც გადამალული აქვს, იმას, მთელი სახლ-კარი და ღარტაფიც რომ გადააბრუნონ, მაინც ვერ იპოვიან.

— თუ ვიპოვეთ, იცოდე, მაგ საძაგელი სიცრუისათვის ტყვეს ამოგიღებ საჩუქრად, — დაჰპირდა პოლიციაი.

— და თუ ვერ ვიპოვეთ, მაინც ძალლივით წაგაკლავთ, — ღვარძლიანად დაუზუსტა ცხვირამ. — ასე, რომ კარგად მოიფიქრე.

— რა გაეწყობა, თქვენი ნებაა — მხრები აიჩეჩა პეტროკმა, მიხვდა, რომ არავითარი გამოსავალი არ გააჩნდა. — არა მაქვს და რა ვქნა.

ცოტა ხანს იყუჩეს, როგორც ჩანს, პოლიციაები ელოდებოდნენ, რას იტყოდნენ ისინი, ვინც ფარდულის გასაჩხრეკად იყვნენ წასულნი. სტეპანიდამ კვარი გამოცვალა, რომ ქოხი უფრო განათებულიყო, აქ უკვე სქლად იგრაგნებოდა კვამლი და ტრუსის სუნი იდგა. პეტროკი შიშობდა, ვაითუ ფარდულში ან წინკარში რაიმეს ცეცხლი წაუკიდონო. აბა რა სიფრთხილის იმედი უნდა ჰქონოდა მთვრალებისაგან? იმ ორთაგან, ქოხში რომ დარჩნენ, თეთრშემოსაკრავიანი პოლიციაი უფრო ნაკლები მთვრალი ან ნაკლები მგლეჯელი ეჩვენა და ამიტომ მას მიუბრუნდა:

— ნუ ეძებთ, ღმერთი-რჯული, არა მაქვს. განა მენანება, ღმერთმანი...

— ბანდიტებს უნახავ, ხომ? — დაუღრიალა ცხვირამ. — ჩვენ კი ბრაწი, არა? ხალხის წინაშე ჩვენი დამსახურების სამაგიეროა?

— ნეტა ერთი, რა მორალს უკითხავ მაგას, — კვლავინდებურად გულთბილად უთხრა პოლიციაიმ. — ტყუილად რად კარგავ დროს. მიაყენე კედელზე, სიცოცხლე მოუნდება და მონახავს არაყს!

პოლიციაიმ ამის თქმაზე გულკეთილად გაიცინა და ჩაწიკწიკებული ფართო კბილები გააელვა.

„ესეც შენი კეთილი კაცი!“ — გაიფიქრა გულგატეხილმა პეტროკმა, რომელიც აპირებდა მისთვის ეთხოვნა, ნუ მიგდებთ აბუჩად, დამიჯერეთ, არა მაქვს არაყი. უცებ პეტროკს გაუარა თავისი სახლ-კარის გადაწვის შიშმა. ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა — როგორმე თავი დაეღწია ამ უბედურებისათვის, თუმცა ფიქრობდა, ალბათ ვერ მოვახერხებ, ვერ დავუძვრები ხელიდან ამათო.

ჩაბნელებული წინკარიდან კვარებით შემოცვივდა ის ორი, შავქუდიანები და შაშხანებიანები.

— რაო, ვერ იპოვეთ?

— არა, ვერაფერი ვერ ვნახეთ, ბნელა და, მგონი, მაგდაგვარი არაფერი არ უნდა ჩანდეს. ეტყობა, ფქვავს, დოლაბებში ფქვილი ყრია.

— აჰა, მაშ ფქვავს, ხომ! — გამხეცდა ცხვირა. — ნეტა ვისთვის გინდა გამოხადო არაყი, რომ ფქვავ! ჩვენთვის არა აქვს თურმე! აბა კედელს მიეყუდე! ცოცხლად!

პეტროკს თვალთ დაუბნელდა, სისუსტით იყო თუ შიშით, წაბარბაცდა. იგრძნო, ალბათ ახლა მოხდება მოსახდენიო. ვილაცამ ძლიერად უჯიკავა ზურგში, მერე გვერდში, შეუცნობლად გადადგა ნაბიჯი წინ და ორ ფანჯარას შორის შუა კედელთან აღმოჩნდა. ცხვირა წინ დაუდგა, მოხერხებულად გაჩაჩხა ფე-

ხები და აუჩქარებლად ასწია მაღლა ხელი, რომელშიაც ის მყრალი ნაგანი ეჭირა.

— აბა რას სჩადიხართ, მტარვალებო, რას ერჩით ამ ქალს? — დაიყვირა ღუმელს იქიდან სტეპანიდამ და ცხვირამ ჩამოუშვა ხელი.

— აჰ, შეგეცოდა, ხომ! იქნებ არ მოვკლათ? მაშ წყალი ამთარა მოგვიტა! აბა სწრაფად!

სტეპანიდა უფრო ხმამაღლა ავიშვიშდა.

— საიდან უნდა მოვიტანოთ, არაყი არ გაგვაჩნია, ისე გენახოთ თქვენი ცოლები, როგორც ჩვენ არაყი თვალით გვენახოს...

— ხმა ჩაიკმინდე! — დაულრიალა ცხვირამ, პოლიციელებმა სტეპანიდას მკლავებში ჩაავლეს ხელი და წინკარისაკენ მოისროლეს. იქ სტეპანიდამ ერთი კი შეჰყვირა ჩუმად და მიყუჩდა. „მოკლეს", — შეძრწუნდა პეტროკი, რომელიც თვითონ უკვე ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. — მაშ ასე, სამამდე ვითვლით! — გამოუცხადა ცხვირამ და კვლავ დაუმიზნა ნაგანი. — გვაძლევ თუ არა? ერთი... იცოდე, ზუსტად ვისვრი, მიზანს არ ვაცდენ. ორი... აბა, გვაძლევ თუ არა?

„ნუთუ მართლა მომკლავენ ეს ძაღლები?" — ფიქრობდა პეტროკი და გაშეშებული მისჩერებოდა მჭრელად გამომკრთალ ნაგანის ლულას, მისგან სამიოდ ნაბიჯზე რომ ირხეოდა. — ნუთუ ეყოფათ გამბედაობა? ან იქნებ მაშინებენ? ოლონდ ჩქარა კი მორჩნენ. თუ მესვრი, მესროლე, ჯანდაბას შენი თავი, სულ ერთია, ეტყობა, არ მიწერია ამ ომს გადარჩენა და ჩემი შვილების ნახვა". — დაბნეულად ფიქრობდა პეტროკი და დიდი ხნის გაუპარსავ ლოყებიდან ნიკაპზე ცრემლები ჩამოსწურწურებდა.

— სამი! — დაიღრიალა ცხვირამ.

პეტროკს სახეში წითელი ალი ეცა, ყურები თითქოს საცობებით დაეცო და უცებ ვერც კი იაზრა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია და ფეხზე დგას, როგორც იდგა, ფანჯრებშუა, კედლისაკენ ზურგშექცეული. მხოლოდ ნახევარი წუთის შემდეგ აზრიალებულ ყურებში თითქოს შორიდან ჩაესმა პოლიციების დავა:

— ნეტა ერთი, რას ელოლიავები და ხარჯავ ვაზნებს! შუბლში მიარტყი და წავიდეთ!

— რა გვეჩქარება! ისე უნდა მოვაქციო, როგორც ღმერთმა კუ! მაშ, მითხარი, სადა გაქვს არაყი? დიდხანს იქნები ხმაჩაკმენდილი?

პეტროკი უკვე აღარ აძლევდა პასუხს — თითქმის დაყრუებულს და გახევებულს, აღარც სახლ-კარი ადარდებდა, აღარც ცოლი და აღარც საკუთარი თავი, რადგან თავის დაცვის ყოველგვარი ძალა გამოსცლოდა. ისინი, მის პირდაპირ ისევ დაფუსფუსებდნენ: ერთი კონა-კონა კვარით აშუქებდა ქოხს, კვამლი სქლად იგრაგნებოდა ქოხში და ლია კარიდან ბოლქვებად გადიოდა წინკარში. ამ სტუმრების დაღრეჯილი ჩრდილები კედლებსა და ჭერზე დათამაშებდა. კვარის ალი ხან წამოინთებოდა, ხან ძლივს ბუუტავდა. პეტროკს ცრემლიან თვალებს უბრმავებდა და შიგადაშიგ ნაგანიანი ჯალათის ჯმუხ ფიგურას მკვეთრად ანათებდა.

— სადა გაქვს არაყი? იტყვი თუ არა? აჰ, ხმას არ იღებ, ხომ?...

მეორე გასროლა თითქოსდა უფრო ხმამაღლა გაისმა, ყურში რაღაცა ძლიერად გაუტკაცუნდა, პეტროკს ფეხთ მოეკვეთა და მერხის ბოლოს დაასკდა. კარგა მაგრად მიარტყა გვერდი, ხელები იატაკზე რაღაც სველზე მოუხვ-

და: ძალზე სტკიოდა ყური. პოლიციამ დიდხანს აღარ დააცალა, მკერდში წიხლი ჰკრა, ლეკვივით წაათრია ქეჩოთი და ისევ კედელს მიაყუდა, რომ არ დაცემულიყო. მთლად ძალაგამოცლილი პეტროკი ზურგით მიეყრდნო [illegible] ბებულ გაზეთს სწორედ იმ ადგილას, სადაც შავად მოჩანდა სამი ჩატყვლეული

„ღმერთო ჩემო, რა დავაშავე?“

— აი შე ხუტორელო არამზადავ! კულაკის ტილო! ძუნწობ, [illegible] მიიღეს...

„ოღონდ ჩქარა კი მოხდეს, რომ არ გავიტანჯო... სწრაფად...“ — უტრიალებდა თავში პეტროკს. მან გადაყლაპა მლაშე ნერწყვი და ისევ იგრძნო სევდანარევი გულგრილობა საკუთარი თავისა და საერთოდ ცხოვრებისადმი. თუმცა უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ ვერც მოასწრო ძალ-ღონის მოკრება და დაძაბვა, რადგან ისევ გაისმა სროლა, ის მყრალი, ცეცხლოვანი რაღაც სახეში ეცა — ერთხელ, ორჯერ ,სამჯერ — დააბრმავა და დააყრუა. მერე მუხლები მოეკეცა და ნელ-ნელა ჩაცურდა იატაკზე, გზადაგზა ზურგით ახია გაზეთი.

ეტყობა, ერთხანს გრძნობადაკარგული იყო, მკერდში რაღაც უჭერდა, სული ვერ ამოეთქვა, თვალით ვერაფერს ხედავდა ამ ამყრალებულ წყვდიადში და ცნობიერების რომელიღაც ნაწილით შეიგრძნო მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. რატომღაც ცოცხალია... საიდანღაც, თითქოს შორეთიდან მის ყურამდე მოაღწია მისივე მტარვალების ხმამ:

— ნეტა რას ელოლიავები! გაათავე და გავსწოთ აქედან!

— დაე, თავად ჩაძაღლდეს!..

— მომეცი მე...

— დაიცა! კიდევ გამოგვადგება, — ჩამოიშორა პოლიციაი ცხვირამ, პეტროკისაკენ გადაალაჯა და ოდნავ დაიხარა მის თავთან — ხომ გაიგე, ღვთის გლახავ? ჩვენ არაყი გვესაჭიროება. არაყი-მეთქი, გესმის თუ არა? დღეს თუ არა, ხვალ იყოს. ბლომად მოიმარაგე, იცოდე. გაიგე? თუ არადა, მოვალთ და — გამოემშვიდობე სიცოცხლეს.

„ნუთუ არ მომკლავენ?“ — თითქმის შიშით გაიფიქრა პეტროკმა, ახლად ცნობიერებადაბრუნებულივით მოწყვეტით წამოიწია. კედელს მოეჭიდა, ჯერ ცალ მუხლზე დადგა და კვამლით გამურული ქოხი მოათვალიერა. ყველა კვარი დამწვარიყო უკვე, ღუმელშიაც ძლივს ბჟუტავდა ცეცხლი, შეშა მინავლებულიყო და უკანასკნელი მუგუზლები იატაკის გატალახიანებულ ფიცრებს მეწამულ ათინათს ფენდა. ოთხივე პოლიციაი ერთიმეორის მიყოლებით მიეფარა მოფლეთილ კარს, საიდანაც ჟანტი სიცივე ატანდა და პეტროკს შეაკრთოლა. ძლივს დადგა მეორე მუხლზე, მთლად აკანკალებული შიშის, სიცივისა და ენითუთქმელი შეურაცხყოფისაგან, — რისთვის, რა დამიშავებიათ?

— დედაკაცს წყალი დავასხათ?

— ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი. თავად მობრუნდება.

ეს იყო ბოლო სიტყვები, რაც პოლიციაებმა თქვეს უკვე წინკარში, მერე ფანჯრებთან გაიარეს, მათი ნაბიჯების ხმა თანდათან მიყუჩდა და ხუტორშიც სიჩუმემ დაისადგურა.

21.

როგორც იყო, პეტროკი წამოიმართა ფეხზე და ჩამოტყაულ კედლებზე მოჭიდებული გაჩანჩალდა წინკარში — აქ ეგულებოდა სტეპანიდა. ცოცხა-

ლი, ან იქნებ უკვე მკვდარიც. ზღურბლს რომ გადააბიჯა, ჰანდბუნდში მისი შიშველი ტერფები დაინახა — სტეპანიდა მიწაზე გაშლილ კარტოფილის გროვაზე იწვა. პეტროკისდა გასაოცრად ქალი თავად წამოდგა ფეხზე და მთვრალივით ბარბაცით მიღოღდა ღუმლამდე. პეტროკის გამოლაპარაკებაზე პასუხი არ გაუცია. მხოლოდ ზოგჯერ ჩუმად თუ დაიკვნესებდა. პეტროკმა ხან წყალი მიაწოდა ცოლს, ხან ტყაპუჭი წააფარა, ხან [illegible] ქოფქვამდა მწარედ გულამომჯდარი, წყევლიდა პოლიციაიებს, გერმანელებს, ომს. წინკარის კარი არც კი გაუხურია, ჯანდაბას, დე მოვიდნენ, მცემონ, გადაწვან აქაურობა — სულ ერთია, ამათთან სიცოცხლე აღარ შეიძლებაო. როგორც ჩანს, საერთოდ მორჩა მისი სიცოცხლე, რა საჭიროა ამდენი წვალება, ძალა გამოცლილი აქვს და, კაცმა რომ თქვას, დიდად საჭიროც არ არის. სულ ერთია, ესენი ადამიანურ, თავისით სიკვდილს არ აღირსებენ, ძალით მოუთავებენ ხელს. ჯერ, რაღა თქმა უნდა, ისე დაამცირებენ, როგორც მოეპრიანებათ, იქამდე მიიყვანენ, თავად ჩამოახრჩობინებენ თავს, იმიტომ რომ სხვა რაღა დარჩენია ადამიანს, ვისთვისაც ცხოვრება — წამებაა?

იმ ღამეს საერთოდ არ დაწოლილა პეტროკი, ცოტა ხნით მიიკუნჭა მაგიდის კუთხეში, ჩათვლიმა თითქოს, ხელებზე თავდაყრდნობილმა, და განთიადისას გამოფხიზლდა თითქმის შეშინებული: ახალი დღე იწყებოდა, რას მოუტანდა იგი? თუმცა ამკარა იყო, ახალ ტანჯვა-წამებას მოუტანდა ან იქნებ სიკვდილსაც, იმიტომ რომ აბა რამდენჯერ უნდა გაითამაშონ მკვლელობა, ბოლოს და ბოლოს ხომ აუხდენენ მუქარას. ჯანდაბას, სიკვდილი, პეტროკს უკვე აღარ ეშინია მისი, დაე მოკლან, მხოლოდ ჩქარა კი. ასე ცხოვრება შეუძლებელია. ეს ხომ სიცოცხლე არ არის.

ღუმელს იქით სტეპანიდა, ეტყობა, ცოტათი მიწყნარდა, აღარ კვნესოდა, იქნებ ჩათვლიმა კიდეც, ჰოდა, პეტროკი ფარდულში გავიდა, თავისი ტყაპუჭი მოიძია, კასრზე იდო, დოლაბებთან. ჭვავი აღარ დაუფქვავს — არც პურად და არც არაყისთვის — მეტს აღარ დაფქვავს და აღარც მოახაშებს. დაე, თავად დაფქვან და გამოხადონ. პეტროკმა მოათავა არაყის გამოხდა, თუ სხვა საშველი არ არის, ვერც არაყი იხსნის. ისა სჯობს, უბრალოდ ასე, უმიზეზოდ მოკლან, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანია.

პეტროკი წინკარიდან ეზოში გამოვიდა, კარიც არ გამოუხურავს, რაღა საჭირო იყო? ახლა კარი ზედმეტია, სულერთია, მაინც გააღებენ და საცა უნდათ, იქ შევლენ. მაშ ვისღა სჭირდება ახლა კარი?

შემოდგომისეული ნაგვიანევი განთიადი ძლივს მოიკვლევდა გზას გრძელი ღამის შეგუბებულ წყვდიადში; მინდორზე რუხი ბინდი გადაჭიმულიყო, ღარტაფის პირას შიშველი ბუჩქები მოჩანდა და ყოველივეს მჭვუნვარე და უკაცრელი იერი ედო; მძაფრ ქარს შმორის სუნი და სუსხი მოჰქონდა. ცაცხვის დაღრეკილ ტოტებზე შემორჩენილი დამჭკნარი ფოთლები საცოდავად თრთოდნენ, მთელი ღამე ნაყარი სველი ფოთლები სქლად მოფენოდა გზას, ეზოში მოლს მოყროდა, ჭის გვიმის ძელს და მესრის ძირში მერხს მიკვროდა.

ამ ღამით რაღაც შეიძრა პეტროკის ცნობიერებაში, საბოლოოდ გატეხა, არივ-დარია მისი საზრუნავით სავსე ფიქრები, ახლა აღარ იცოდა, რა ექნა და საიდ წასულიყო, უნდოდა სადმე შორს გასცლოდა ხუტორს, იმიტომ, რომ გრძნობდა, აქ ისევ იგივე უბედურება დაატყდებოდა თავს, ისევ გამოჩნდებოდნენ ის შაშხანიანები და ისევ იმ დღეში ჩავარდებოდა.

გზაზე გამოჩენისა ეშინოდა, იქიდან იყო ახლა მთავარი ხიფათი მოსა-

ლოდნელი: როგორც ყოველთვის, ახლაც სურდა სადმე კუთხეში მიკუნჭვა და უცხო, მტაცებელთა თვალებს მოფარება. პეტროკი შეშისსაპობისაკენ გაემართა, ნაღვლიანად შეავლო თვალი ბოსლის მოღებულ კარს, ახლა იქ ალარ ება მათი ბობოლა, არაყის შეშის ღერები უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი მიწაზე, თავისი ადგილიდან ჩამოგდებული მორიც იქვე ეგდო. შეშისსაპობიდან გახედა ნაცნობ ბილიკს, გადაქელილი ბოსტნის გადავლილ-ტეხილ ფისაკენ რომ მიჰყავდა, და თავისსავე მოულოდნელად დაადგა მას, უკვე იცოდა, სადაც მიდიოდა. მოსუსტებული ფეხებით გადაიარა თხმელის ბარდები, ქვემოთკენ დაუყვა ღარტაფს, მაჩვის სოროს გასცდა ფერდობზე, ნაკადულის მეორე მხარემდე ქვებზე გადაირბინა და ბოლოს მეორე, პატარა ღარტაფის სათავეს, ნორჩი ნაძვნარია გაუელ ტევრს მიადგა.

ნაცნობ კორდზე სინოტივე და სიცარიელე სუფევდა, გუშინდელი კოცონის სველი ფერფლი ერთ მუჭა რუხ გროვად იდო სამ გაბოლილ ქვას შორის, ასკილის ფართო ბუჩქის ძირში, ტოტებზე აქა-იქ რომ ესხა შემჭკნარი ნაყოფი, პეტროკმა თავისი ქვაბი დაინახა, ნოტიო ფოთლები რომ ეყარა, და გაიფიქრა: ჯანდაბას, იყოს აქ და დაჟანგდესო! მე მეტად ალარ შეეხები ამ ქვაბს, არაყის გამოხდასაც ბოლო მოელოო. მერე მიიხედ-მოიხედა, ბუჩქთან ჩაჯდა და გუშინდელ მომტვრეულ ტოტს ქვემოთ ფოთლები გადაქექა, მიწით მოთხვრილი ბოთლი ტალახიანი ყელით ამოათრია და ტყაპუჭის გრძელბეწვიანი კალთით გაწმინდა. ისინი იქ სვამდნენ და ილხენდნენ, პეტროკს კი გემოთიც არ გაუსინჯავს. უფრთხილდებოდა, ცდილობდა კარგი არაყი გამოეხადა. ვისთვის მერე? ვისთვის ზრუნავდა სულელი? საკუთარ თავისთვის, რასაკვირველია, მაგრამ განა ასე უნდა საკუთარ თავზე ზრუნვა? ოჰ, შე სულელო ბებერო!

პეტროკმა ბოთლიდან ჭალალის საცობი ამოაძრო და ფრთხილად მოსცა ჯერ ერთი, მერე მეორე ყლუპიც. მართლაც რომ კარგი იყო პირველნახადი არაყი, კარგი ჭნა, რომ მათ არ მისცა, დაე ის თხლე დალიონ, ის მღვრიე წუნწუხი სვან. ეტყობა, მათთვის სულ ერთია, პირველ ნახადს კი საკუთარ თავს მიართმევს, ბა სხვა ვინღა ჰყავს მასპინძელი? კიდევ რითი დაიამოს თავი, თუ პაპიროსით არა და აი, ამ გასაჭირის გამო გამოხდილი მწარე სითხით, თუმცა ფიალა არ გააჩნია და ნამდვილი ლოთივით ბოთლის ყელიდან წრუპავს, მაგრამ რას იზამ ამ წყეულ დროში — სიკვდილს რომ მოანატრებს კაცს, ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებისათვის კი გამოუსადეგარია.

პეტროკმა ცოტა კიდევ გადაჰკრა, სული მოითქვა და გაიფიქრა, მაინც რა საძაგლობაა რამის შეუტანებლად სმაო, ბოთლი კინალამ შორს. ღარტაფში მოისროლა, მაგრამ გადაიფიქრა, დაენანა არაყი. აზრები უკვე მოუდუნდა და შეუმსუბუქდა, თავისი უბედურება ახლა უიმედო ალარ ეჩვენებოდა, როგორც დალევამდე, საამო თავდაჯერებულობა დაეუფლა, სხეულში ძალაც კი შეემატა. რა თქმა უნდა, არამაზადები არიანო, ფიქრობდა პეტროკი პოლიციებზე, მაგრამ არც მე ვარ სულელი და დოყლაპია ვინმე, მეც რაღაც გამეგება ცხოვრებისა და ომისაც კი, თუმცა, შეიძლება ითქვას, ომი არც მინახავსო. გაგებით კი გამეგებაო. მე მათ უფლებას არ მივცემ, ზურგზე შემომასხდნენ და საითაც სურთ, იქით გამაჭენონ, კიდევ შემიძლია თავის დაცვაო. აი არაყზე ვთქვათ, თუ გინდათ: განა მათ მივაქვავე ეს ჩემი საუკეთესო არაყი, დასახვრეტად დგომასაც გავუძელი, სიკვდილსაც თვალებში ჩავხე-

დე, ჰოდა, ავიტანე კიდეც, გავკერპდი და აი, ნახეთ, გავუშვი თუ არა ისინი ხახამშრალნი. მაგათ სარი უნდა ჩათხარო კაცმა ყელში.

არც კი მოუთვალიერებია თავისი კორდი, ისე ვაძვრა პეტროკი ნაძვის დაბალ ჩხვლეტია ტოტებქვეშ, ბილიკზე გამოვიდა და იმ სიჩუმეში აუჩქარებლივ წარანჩალდა შინისკენ. ბოთლი, რომელშიც [illegible] არაყი ჩარჩენილიყო, არ გადაუგდია, ხელში ეჭირა და ფიქრობდა [illegible] კიდევ მოვსვამ და ნაკადულში მოვისვრიო. ნაკადულის მოსახვევთან, სადაც მკვეთრად უხვევდა ბილიკიც, შეჩერდა, რადგან რუდკა შემოეფეთა; ძაღლს, ეტყობა, გაუკვირდა ეს მოულოდნელი შეხვედრა, მაგრამ მაშინვე სიხარულით ააქიცინა კუდი.

— ჰო, რაო? რაო, რუდკა? — ჩუმად გამოელაპარაკა პეტროკი.

ახლა სწორედ კარგი იყო ვისმესთან გამოლაპარაკება, მაგრამ აბა ვის გამოლაპარაკებოდა? რუდკამ ყურადღებით მიაპყრო თავისი მიუხვედრელობით გატანჯული მზერა და ჩუმად დაიწკმუტუნა, თითქოს რაღაცას სთხოვდა.

— მშიერი ხარ? რასაკვირველია, გშია, აბა, წავიდეთ. აქ, ხომ ხედავ, ნამცეცი არაფერია. ხედავ, ხომ? — პეტროკი შეეცადა ცარიელი ჯიბე ამოებრუნებინა. — არ არის-მეთქი. ქოხში ვიშოვით რამეს, წამოდი, შინ გაჭმევ.

პეტროკმა გზა განაგრძო ბილიკზე. გადაწყვიტა, ამჯერად კი უსათუოდ რაიმე უნდა ვაჭამო რუდკასო, რომელიც, ეტყობა, გუშინდლიდან აქ, ღარტაფში ელოდებოდა მას. გუშინ კოლონდენოკმა არ დააცალა, გააგდო ძაღლი და კიდევ კარგი, არ მოკლა შეშისსაპობზე. თავად პეტროკიც ხომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს, მოგონებაც კი ზარავს იმისა, რაც გადაიტანა.

— აი, ძმაო, დახე, რა ცხოვრება დაგვიდგა! — პეტროკმა რუდკას მოხედა და შესჩივლა. ძაღლმა ყურადღებით შეხედა კაცს და გულმოდგინედ შეიქშუხნა პატარა, ბუჩქა წარბები. — რა ცხოვრებაა ეს! ძაღლებს ცემენ, როგორც ადამიანებს და ადამიანებს კი ძაღლებივით ხოცავენ. ადამიანთა მოდგმა პირუტყვს დაემსგავსა, ჩემო ძმაო.

თუმცა რა, მათ მხოლოდ გაწამება ატკბობთ შენი, სისხლის გამოშვება შენთვის. უსისხლოდ ხახა უშრებათ. არყითაც ვერ ჩაისველებენ, ისე. არა, ვერ მოილბობენ. მათ სისხლზე არაყი უნდა დააყოლებინოს, ხოლო არაყს რომ გადაყლურწავენ, ისევ სისხლზე უჭირავთ თვალი. ამ წრეზე დადიან. ოჰ, მხეცები, მხეცები...

პეტროკი უკვე მტკიცედ მიაბიჯებდა ბილიკზე, გადაწყვეტილი ჰქონდა, უსათუოდ ეჭმია რაიმე ძაღლისთვის, რადგან რუდკა მთლად დაობლდა, ეტყობა, ხალხისაც ეშინოდა და ამ ღარტაფში ეპოვა თავშესაფარი, სადაც გუშინწინ ღამით თავისი პატრონი დაკარგა. მაგრამ იანკა აღარ მოვა, იგი ახლა შორსაა, ალბათ ცაშია. ბიჭის უცოდველ სულს ალბათ სამოთხე არ აცდებოდა. ჩვენი ცოდვილი სულები კი სად მოხვდება ნეტა?

პეტროკს მთლად არ შეუსვამს პირველნაზადი არაყი, გონივრულად იფიქრა. ალბათ სამყოფი დავლიე უკვე და დანარჩენით სტეპანიდას მოვარჩენო. ისეთი საშინელი ღამე გამოიარა, ახლა მისთვის მისწრებაა ერთი სირჩა არაყი, იქნებ ღონე მისცეს, მხნეობა შემატოს. ერთი სირჩა პირველნაზადი არაყი წამალია და არცთუ ცუდი წამალი, მაგაზე ექიმებიც არ ამბობენ უარს, ექიმებმა იციან მაგისი ფასი. ექიმებმა ყველაფერი იციან, რა უნდა დალიო, ან რა უნდა დააყოლო. არც პეტროკს აწყენდა ახლა საუზმე, მოშივდა, განსაკუთრებით გადანახუნზე.

— იქ შევჭამთ, — დაჰპირდა პეტროკი ძაღლს, უკან რომ მოსდევდა. — ახლა კი შევჭამთ.

ოფლად გალვრილი პეტროკი ძლივს ადგომოდა ეიცაბი ბილიკზე. ფლატეს ზემოთ და ლარტაფს თავი დააღწია. ძაღლი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, საითაც მიდიოდა პეტროკი. და კარგა შორს გაუსწრო წინ. თუმცა ეს მაინც არ შორდებოდა. პეტროკი კი ფიქრობდა, შინ რომ მივალ, მაშინვე კარტოფილს ლორზე შევწვავ თუ კიდევ დამრჩა კასრში ლორიო. მივა, გაფცქვნის კარტოფილს და შეწვავს, სტეპანიდასაც აჭმევს და რაიმეს ამ უპატრონო რუდკას საჭმელადაც გამოძებნის. აბა მაშ ვინ უნდა აჭამოს ძაღლს? ეტყობა, სადღაც ლარტაფში მოკლეს იანკა და ამიტომაც ტრიალებს ძაღლი მის ახლომახლო. ახლა რუდკა აქაურ ძაღლად ითვლება, ხუტორისაა.

უცებ რუდკა რატომღაც შედგა ბილიკზე, კისერი წაიგრძელა და კუდიც დაძაბა. პეტროკი წაბარბაცდა, უცებ ვერ შეაჩერა ნაბიჯი, და თავი ასწია. უკვე გამოჩნდა ლობის გადალმა მისი სახლ-კარი, იქ, ეზოში კი უცებ წითური რაღაც გაკრთა, თითქოს მესერზე საფენი შეარხია ქარმა, მაგრამ ეს საფენი არ იყო. პეტროკმა თითებით მოისრისა თვალები და ყურადღებით ჩააშტერდა. სწორედ ისე იყო, როგორც დანახვისთანავე იფიქრა, თუმცა არ სურდა თავს გამოტეხვოდა. მისთვის დაესწროთ. ეზოში, მესერთან უკვე იდგნენ და თავს იქნევდნენ ქღალი და შავრა ცხენები და თუმცა მათ სიახლოვეს არავინ მოჩანდა, პეტროკი მიხვდა, ისინი უკვე მოსულიყვნენ.

პეტროკი კინალამ ატირდა წყენის, სიმწრისა და შიშისაგან, უცებ რომ დაეუფლა მას. ბილიკზე გადააბიჯა და მიიხედ-მოიხედა. ძალა აღარ ჰქონდა სახლისკენ წასვლისა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რაც ელოდა იქ. მაგრამ სად უნდა წასულიყო? ტრიალ მინდორში? ვერძის ხევში? ჭაობში? თუ ლარტაფში დაბრუნებულიყო?... მერე ქოხში ხომ ავადმყოფი, ნაცემ-ნაგვემი ცოლი რჩებოდა, კარტოფილიც იქ ჰქონდა და მთელი ხაბაკ-ხუბაკიც. პოლიციელები სასტიკად აზღვევინებენ სამაგიეროს. განა მათგან თავს დაიხსნი?

მაგრამ ფეხებმა მაინც უკან გააბრუნეს, ის კი არადა, ცოტათი წაიხარა კიდეც, თავი მხრებში ჩაიძვრინა და ბარბაცით გაუყვა ბილიკს ლარტაფისაკენ.

თუმცა უახლოეს ბუჩქამდეც ვერ მიაღწია, რომ უკანიდან პირველი მუქარით სავსე ხმამაღალი ძახილი მოესმა:

— პეტროკ, შეჩერდი! შეჩერდი-მეთქი, შენი... უკან დაბრუნდი!

იმწამსვე თითქოს ზედ პეტროკის თავზე გაიტკაცუნა შაშხანის ტყვიამ, ახლოს რომ გაუარა, ლარტაფისპირა ბუჩქის ძირში ნელა ჩავარდა ბალახში მისგან წაწყვეტილი რტო. პეტროკი უცებ გამოფხიზლდა და საბოლოოდ მიხვდა, რომ ვერ გაიქცევა. ასე ვერ დაეძალება.

მართლაც ისინი უკვე ბოსტნის გადავლით მოკლე გზით გამორბოდნენ. პეტროკი ჯერ შეჩერდა, მერე კი უკან გატრიალდა. ისინიც შეჩერდნენ ლობის გადალმა, მისი ნახელავი ოფიცრის კლოზეტთან, შაშხანამომარჯვებულები, თუ გაიქცეოდა პეტროკი, მაშინვე მიეყოლებინათ ზურგში ტყვია. მაგრამ პეტროკი არ გარბოდა. იგი განწირულივით მოღოღავდა ბილიკზე სიკვდილის შესაგებებლად, მთლად დაჭიმულიდა შეძრული, სავსე უტყვი წყენით: რა დავაშავეო? თანაც ახლა ბოთლი ყელით უჭირავს ხელში, სტეპანიდასთვის რომ მიჰქონდა. ბოთლში ცოტა არაყი თქაფუნებდა, მაგრამ ვინღა აღირსებდა სტეპანიდას მას. პეტროკმა ხელის გაუქნევლად მოისროლა ბოთლი გვერდზე და წამით სიხარულმაც გაუელვა იმის გაფიქრებაზე, რომ იმათ წვე-

თიც არ ერგებათ, დაე, ბალახში დაიღვაროს. სასოწარკვეთილი უფრო და უფრო მტკიცედ მიაბიჯებდა პოლიციელებისაკენ, რომლებიც თავადაც იძროდნენ ღობის გადალმა, რომ ბილიკზე დაეგლოთ თავი მისთვის — წინ ტყვეებიანი გუჟი მოუძღოდა, ხოლო შაშხანაშემართული კოლონდენოკი უკან მოსდევდა. პეტროკმა თითქმის ფიზიკურად შეიგრძნო, რომ ესენი მტრულად [illegible] მოსულები და შედგა.

— ჰო, რაო? რა გინდათ ჩემგან? — შესძახა სუსტი ხმით და მზერაგაყინული ცრემლიანი თვალები მიაპყრო მათ. ყელში რაღაც ბურთივით მოაწვა, გაშეშებული იდგა ბილიკზე, ღობიდან ხუთ ნაბიჯზე.

— აბა ახლოს მოდი! — მშვიდად, მუქარანარევი ხმით უთხრა გუჟმა. პოლიციის გრძელი სახე, ახლა რომ ფხიზელს უგავდა, გაუხევდა და პეტროკმა იგრძნო, რომ მორჩა მისი საქმე, ამჯერად თავს ვეღარ დაიძვრენს.

— რა გინდათ? რას გადამეკიდეთ? რა ჭირი გინდათ? თქვენ ქვემძრომებო, გერმანელების კუდებო...

— აბა წყნარად იყავი! — დაუღრიალა გუჟმა და შაშხანა შემართა. — თორემ...

— რაო, რას მიზამთ? დამხვრეტთ? მესროლეთ, ჯანდაბას თქვენი თავი! — მოულოდნელი სიმტკიცით, რამაც თვითონვე შეაძრწუნა, დაუყვირა პეტროკმა და ჰაერში მუშტებად შეკრული ხელები აიქნია. — მესროლეთ!!

— მაგას მოვასწრებთ, — უფრო წყნარად განუცხადა გუჟმა. — მოდი აქ!

— არ მოვალ! არც მოვალ და არც არაფერს მოგისმენთ. არამზადებო!

გუჟმა მშვიდად გადაიგდო მხარზე შაშხანა და კოლონდენოკს თავით ანიშნა.

— აბა ერთი მიაკერე მაგას!

გრძელფეხება, გამხდარი კოლონდენოკი მსუბუქად გადაახტა ღობის ზემოთა ლატანს, გადაქექილი კარტოფილის კვლები გადაიარა, პეტროკთან მივიდა და ხელი მოუქნია. პეტროკს ყური აუზრიალდა, ხუტორი თითქოს შექანდა და მოულოდნელად კარტოფილის ხეშეშ, ცივ ღეროებზე დაეარდა.

— ადექი!

— ახლავე! ახლავე! ავდგები... კიდევ ავდგები. მაგრამ რატომ მცემთ? რაო, ადამიანი არა ვარ?

მაგრამ პეტროკმა ფეხზე წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ მეორე დარტყმამ მარჯვენა ყურში მეორე გვერდით მოისროლა და ატალახებულ, გაქელილ კვალში მიიგდო.

— სადა გაქვს არაყი?

— არაყი კი არა, ის არ გინდათ! — თქვა პეტროკმა და მიწაზე სისხლი გადმოაფურთხა, ეტყობა დარჩენილი კბილებიც დაუმტვრიეს. — აი, მომირთმევია! — ატაკა მან გუჟს ბრაწი. — მცემეთ, რამდენიც გინდოდეთ! მე თქვენი არ მეშინია! არც თქვენი ჰიტლერისა! იმასაც ბრაწს მივართმევ! ყელში სარი უნდა ჩაგთხარონ ყველას!

კოლონდენოკი ისევ მივარდა პეტროკს და ხელი მოუქნია, მაგრამ გუჟმა ღობის იქიდან დაუყვირა:

— შეჩერდი! — ჯერჯერობით ეყოფა! ჩვენ მაგას ისა... საჩვენებლად დავსჯით.

— რეპრესია, ხომ? — ჰკითხა წვრილი ხმით კოლონდენოკმა.

— რეპრესია. თოკით ჩამოვახრჩობთ — თქვა გუჟმა და ისიც ღობეს გადაევლო. — აბა წამოდექი!

— არ ავდგები. მესროლეთ!

— ადგები-მეთქი, ბებერო ჯირკო! არაყი უკვე გაანიავე, ხომ? ვისაც არ ეკუთვნოდა, იმათ დაურიგე, ხომ? შენიანებს კი ბრაწი დაუტოვე. [illegible] ახლა კი ნამდვილად კარგად მიგბეგვავ. მოტყუებისათვის, ფიურერ[illegible] ხყოფისათვის. იცი თუ არა შენ, ფიურერის ლანძღვისათვის როგორ მოგხვდება?

— რაც გინდათ, ის მიყავით. მიმიფურთხებია ფიურერისათვისაც გერმანულ სიფათში! შენთვისაც, შე მოღალატევ!

— ატ!

გუჟმა ჩექმიანი ფეხი ატაკა მკერდში, პეტროკმა შეპყვირა და გვერდმოკრუნჩხული ჩაემხო კვალში. რამდენიმე წუთს ვერც სულის მოთქმა შეძლო და ვერც სიტყვის თქმა, სუნთქვა შეეკრა, თვალები აუბრელდა. კვდებოთ რა არის? ნეტა კი მალე მომელოს ბოლო, რომ არ ვიწვალო. ო, გაუელვა თავში, ფიქრით რეაგირებდა იმ არასაშურველ ხვედრზე, სიცოცხლის ბოლო წუთებში რომ ერგო.

— ადექი!

მაგრამ წამოდგომა პეტროკს არ შეეძლო ისევე, როგორც რაიმეს დაყვირება, სასოწარკვეთილი, ნაპირზე გამორიყული თევზივით აღებდა მხოლოდ პირს.

— ადექი!

პეტროკმა თავს ძალა დაატანა და ერთი-ორჯერ ჩაისუნთქა ჰაერი. გუჟმა ისევ შეანჯღრია უხეშად, იმან და კოლონდენოკმა პეტროკი ფეხზე წამოაყენეს, იღლიებში ხელი წაავლეს და ბოსტანზე გადაათრიეს, შეშისსაპობზე მიიყვანეს. პეტროკი ძლივს ადგამდა ღონეგამოცლილ ფეხებს, ქუდი მიწაზე დარჩა, თმის ნაცვლად თეთრ ბუსუსებშემორჩენილი თავი ცივ ქარში გაეყინა. მაგრამ, ეტყობა, ამიერიდან მას აღარც ქუდი დასჭირდებოდა, აღარც უძლური ჯანი, აღარც თავი. აღარც თვითონ ენაღვლებოდა რამე. იმასღა ფიქრობდა: კიდევ რა ვუთხრა გულსაკლავი ამ არამზადებსო? მაგრამ თითქოს ჯიბრზე, საჭირო, თავიდათავი სიტყვები ვერ მოეფიქრებინა და უდრტვინველად ამასღა ბუტბუტებდა:

— დაიცადეთ... ნახავთ... თქვენი დროც მოვა!..

— ეს შენი დრო მოვა ახლა! ეს შენ დაგვაცადე ცოტა, — ფარული მუქარით დაჰპირდა გუჟი.

თუმცა მეტად აღარ უცემიათ პეტროკი, ეზოში მესერთან მიბმულ ორ ცხენთან მიიყვანეს. კოლონდენოკს ისევ ხელი ჰქონდა მისთვის ჩაკიდებული, გუჟმა კი რატომღაც ქოხში შეირბინა. „სტეპანიდაც ხომ არ უნდა წამოიყვანონ?“ — გაუელვა პეტროკს. ფიქრობდა, ახლა ნახავს სტეპანიდას და ერთად გაემართებიან უკანასკნელი გოლგოთისაკენ, სადაც სიკვდილი ელოდება. მაგრამ მალე გუჟი მარტო გამოვარდა წინკარიდან.

— მაშ ასე, შეჯექი ცხენზე! — დაუყვირა მან კოლონდენოკს. — დრო ცოტა გვაქვს.

სანამ თავის თავჩაქინდრულ ცხენს მოახტებოდა, კოლონდენოკმა ჭიშკართან, ცაცხვებქვეშ მიიყვანა პეტროკი და დაუჭყიტლა:

— აბა მოუსვი იქით! — შარაგზისკენ აუქნია ხელი.

პეტროკი იდგა, სუსხმა და ცინცხალმა, ნესტიანმა ქარმა ცოტათი სული მოათქმევინა, გონს მოიყვანა, იმ გულფიცხობის მერე პირველად გაუელვა თავში შემაშფოთებელმა ფიქრმა: საით? სად მივყავაროო? ის ორი ცხენებზე ჯდებოდა, რომ ეზოდან გასულიყვნენ, თავად კი ჭიშკარში იდგა და ნაბიჯიც ვერ გადაედგა. ნეტა რად უნდა გაჰყვეს თავისი ნებით სატანჯველად, დაე, აქვე მოკლან, საკუთარი სახლის ზღურბლთან, თავისი [illegible] საბოლოოდ რატომ უნდა აამოს მათ?

— აბა, წავედით!

— არ წამოვალ. მომკალით...

— როგორ თუ არ წამოხვალ? — გულწრფელად გაუკვირდა გუჟს, თან ცხენით გარს შემოუარა პეტროკს. — ისეთ „არ წამოვალს" გიჩვენებ, დამდუღრულივით გავარდე, წინ.

გუჟმა ბრაზით გადაუჭირა პეტროკს თავზე წნელი. თითქოს მდუღარე გადავლებოდეს მელოტზე, პეტროკი შებარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— არ წამოვალ, არამზადებო! რაც გინდათ, მიყავით და არ წამოვალ!!

შეურაცხყოფილი პეტროკი ისევ აიტაცა თავზეხელაღების მრისხანე ტალღამ, ძალა შემატა, მან გადაწყვიტა, არ დამორჩილებოდა ამათ. ფეხსაც არ მოიცვლის აქედან, თუ სურთ მოკლან, დაე, აქვე მოუღონ ბოლო.

გუჟმა ცხენი მიატრ-მოატრიალა ეზოში, ეტყობა არ იცოდა, რა ექნა ამ ხუშტურებიან ბერიკაციისათვის, თუმცა მეტად ალარ უცემია, კოლონდენოკს მიაძახა:

— წადი და სადმე ბაწარი მონახე!

„შემბოჭავენ? თუ ჩამომახრჩობენ? დაე, რაც უნდათ, ის მიყონ, ოღონდ ნურსად წამიყვანენ. დაე, მომკლან, ოღონდ შინ მომკლან", მწარედ ფიქრობდა პეტროკი, უკვე გამზადებული სიკვდილის შესაგებებლად. სტეპანიდა მაინც ველარ ნახა, ალბათ მოკლეს.

— რაკი არ გსურდა კარგად მოგქცეოდით, ახლა ჩამოგაკონწიალებთ! — დაემუქრა გუჟი. გრძელი ფეხები, რომლებზედაც ტალახიანი ჩექმები ეცვა, ცხენის მუცელთან უკონწიალებდა. — პოლიციისა და ფიურერის შეურაცხყოფისათვის.

„მასე იყოს! მასე იყოს! ასეთ ცხოვრებას ეგ მირჩევნია!" — ფიქრობდა პეტროკი. გუჟისთვის ალარ უპასუხნია. ალარც თავისი სახლკარისა და ეზოსაკენ მოუხედავს, ფიქრობდა. შეწყალებას ამათ არა ვთხოვ, რაც არ უნდა ცუდი მიქნანო. ნეტა კი გაუძლოს, ნეტა კი დიდხანს არ აწვალონ.

— ხელები! ხელები! — ყურთან დასჭყივლა კოლონდენოკმა და პეტროკს ალარც დალოდებია, თავად ჩაეჭიდა ჯერ ერთ ხელზე, მერე მეორეზე, ორთავე მუცელზე დაუკრიფა და გრძელი თოკის ბოლოთი შეუკრა. პეტროკს ესმოდა ქშენა, ხედავდა, დაძაბული როგორ დახრილიყო მის წინ და არ ეურჩებოდა, ეს იყო, ბაწარს რომ შეხედა, გაიფიქრა: აი, თურმე რაში უნდა გამომდგომოდაო... ეს მისი სადავე იყო. ოდესღაც, კოლექტივიზაციის დროს, ძველი სადავე კოლმეურნეობას ჩააბარა, ახალი კი საკუჭნაოში გადამალა. ზოგჯერ ძროხას აბამდა იმით ან კიდევ საზიდარს ამაგრებდა. უფრო მეტად კი წინკარში, მსხვილ ლურსმანზე ეკიდა. ახლა აგერ ხელები გაუთოკეს ამ სადავეთი. ხომ გამოადგა!

კოლონდენოკმა, როგორც იქნა, განასკვა ბაწარი და მეორე ბოლო პირუტყვის ჩლიქებში გადაქელილ, ავტომობილის ბორბლებით აყრილ ტალახ-

ზე დააგდო; პეტროკს გაუკვირდა: ნეტა რატომო? მაგრამ იმწუთშივე მიხვდა ყველაფერს — პოლიციამ მეორე ბოლოს ხელი ჩაავლო და ცხენზე შეჯდა.

— აბა წავედით! — ცოცხლად! — მბრძანებლობდა გუჟი, თუმცა ამთგან შორს არ წასულა. დაიძრა მხოლოდ კოლონდენოკი, სადაც ტალახში გაიშალა, გასწორდა, ჰაერში ჩამოეკიდა, დაიჭიმა და მძლავრად მოეჭიმა პეტროკს ხელებზე. — გეუბნები, ცოცხლად-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჟმა კვლავ უცხუნა წნელი თავზე, ტკივილისაგან გამწარებული პეტროკი, დაჭიმულ ბაწარს რომ არ წაეტაცა, იძულებული გახდა სირბილით მიჰყოლოდა კოლონდენოკს, პოლიციაი ფერდებში წიხლს სცემდა ცხენს, გუჟი კი წნელის ქნევით უკნიდან ერეკებოდა.

— სწრაფად! სწრაფად! შე ყეყეჩო ბოლშევიკო!

პეტროკი კი ვერ ეწეოდა. ფორხილობდა, თითქმის ეცემოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ჯლანები ტალახში ჩარჩა, მაგრამ ახლა გზაზე დაცემას სიკვდილი უჯობდა. და ისიც გარბოდა ხტუნვა-ხტუნვით, კრუნჩხვა-კრუნჩხვით, ბაწარი ხელებზე ტყავს უყვლეფდა, შარაგზისაკენ მიაპწიალებდა. სახე კვლავ ცრემლებმა დაუსველა და მძაფრი პირქარიც ვერ უშრობდა.

— არამზადებო! მკვლელებო! მკვლელებო! — ქარისაგან მოგუდული ხმით ყვიროდა პეტროკი. — დაიცადეთ! მოვა ჩემი ფედკა! ის გიჩვენებთ სეირს! ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ... დაბრუნდება ჩემი ვაჟი...

22

პეტროკი მოისრა, გაქრა ამ ქვეყნიდან ისევე, როგორც გაქრა მისთვის ხუტორი, სტეპანიდა, გოლგოთა და მთელი ქვეყანა. მხოლოდ მოგონებალა დარჩა მასზე. თუკი ვინმეს კიდევ ახსოვს მისი ადამიანური ტანჯვანი, დიდი თუ პატარა უბედურებანი; მთელი სიცოცხლე ერთი რამ სურდა მხოლოდ — სიმშვიდე. იცოდა, თავად ლობიო კაცი იყო, ბევრის მორჩილი და ისლა სწყუროდა, როგორმე გარიდებოდა წუთისოფლის დიდ მოვლენებს, მიყუჩებულიყო და ისე დალოდებოდა მათ გადავლას. რასაკვირველია, ახირებული და მიამიტური იყო ეს ვარაუდი. ცხოვრება თავისებურად სჯიდა, მკაცრი საუკუნის სასტიკი კანონების სადარად. და აი ერთხელ შემთხვევამ ინება და პეტროკ ბოგატკა კინალამ ადამიანური დრამის ეპიცენტრში ჩაითრია.

პეტროკმა კი რა ქნა?

კარგია ეს თუ ცუდი, პეტროკი გარკვეული თვისებების მატარებელი ადამიანი იყო, ახალი ეპოქის ცუდად შემგუებელი და ისე იქცეოდა, როგორც მისი ხასიათის კაცს მართებდა. თუმცა იქნებ ამის წყალობა იყო, რომ ასე გატანჯა ცხოვრებამ.

...იმ წელიწადს შობიდან მოყოლებული უხვად თოვდა, ხოლო ნათლიღებამდე სამი დღით ადრე ისეთი ქარბუქი ამოვარდა, მგონი სამყაროს დასაბამიდან რომ არ მოსწრებიან აქ. ეზო თოვლით დაიფარა. რამდენიმე დღეს ცხვირს ვერ გამოყოფდი ქოხიდან. მაგრამ წყალი ხომ უნდა მოეტანათ, შეშა ხომ უნდა დაეჭრათ, პირუტყვისათვის ხომ უნდა მიეხედათ, ამიტომ პეტროკი ბოსლის კარის შელებამდე იძულებული იყო ჯერ კარი გამოეთხარა თოვლიდან და ისე შემძვრალიყო. მაგრამ ნახევარი საათის მერე მთელი შრომა წყალში იყო ჩაყრილი — ეზოში ერთიანად აჩხორილიყო სქელი, ქარისაგან გაქვავებული თოვლი.

თუმცა იმ დღეს თოვლი მაღლიდან არ ცვიოდა, უფრო მეტად ქვემოდან

უბერავდა. ეზოში კარგა გრძელი სქელი ნამქერი მოყარა, ბოსლიდან მოყოლებული შეშისსაპობამდე, ცოტა უფრო პატარა კი — ჭასთან. მესრის ძირში. ჭის გვიმის წვერი ნამქერის სიმაღლეზე იყო. პეტროკმა ძლივს მიაღწია იქამდე სათლით ხელში, მაგრამ წყლის ამოღება შეუძლებელი იყო — გვიმში შავად მოჩანდა მხოლოდ ვიწრო ხვრელი. პეტროკმა [illegible] შეიგინა. ისედაც ვერ იყო გუნებაზე, რადგან წეღან ცოლს წაეჩხუბა, [illegible] ბურზე. ასე მეტისმეტად რომ უფრთხილდებოდა სტეპანიდა, რომელიც კარტოფილსა და ქატოს ურევდა შიგ და ისეთი მაგარი და უგემური გამოსდიოდა, კაცი პირში ვერ ჩაიდებდა. რასაკვირველია, სტეპანიდა უმიზეზოდ არ იქცეოდა ასე: ხაროში ჭვავი ერთ ტომარაზე ცოტა მეტილა დარჩენოდათ, გაზაფხულამდე და ბალახის ამობიბინებამდე კი ოთხი თვე მაინც იყო დარჩენილი. ხბა როგორ არ უნდა გაფრთხილებოდა ბურს! მაგრამ ასეთი სიფრთხილით კაცი გაზაფხულამდეც ვერ მიაღწევდა, მანამ გაჭიმავდა ფეხებს, პეტროკს კი ცოტა ხანს სიცოცხლე კიდევ სურდა და დღეს სწორედ ამაზე წალაპარაკდნენ.

ჭასთან თოვლი რომ მობეკნა, სათლი ჯაჭვზე მიაბა და ისიც მაშინვე გაეჩხირა თოვლიან ხვრელში, ისე რომ, წყალი ვერ ამოიღო. ჯოხი უნდა ჰქონოდა, რომ ჩაეტენა. პეტროკმა უკან მიიხედა და ასევე გაშეშებული დარჩა ჭასთან. ფეხდაუკარებელ თოვლზე შარაგზიდან სამი კაცი მოიკვლევდა გზას. ერთმანეთს უკან მოჰყვებოდნენ და ნელა მოდიოდნენ, ქარი გააფთრებით აცლიდა მათ ფეხებიდან თოვლს, მერე მთელ მინდორს მოატარებდა და ფიჭვნარისაკენ მიჰქონდა; იქ კი, შარაგზაზე შავად მოჩანდა ორი მსუბუქი ავტომანქანა. მათ ახლოს ვიღაც ფუსფუსებდა. ჰო, რასაკვირველია, მინამქრული იყო ალბათ იქაურობა. იქ, ზამთრობით მუდამ ნამქრავდა ხოლმე, განსაკუთრებით ფიჭვნარის მისასვლელთან, ახლა ალბათ მსუბუქი მანქანა ვერ გამოაღწევსო, გაიფიქრა პეტროკმა, ხელჯაგი გაიხადა და ცხვირი მოიხოცა. აშკარა იყო, რომ შარაგზიდან მოსულები ხუტორისაკენ მიემართებოდნენ. უნდა მიგებებოდა სტუმრებს.

ჭიდან რომ მსუბუქი, თოვლიანი სათლი ამოიღო, პეტროკმა პირი მოარიდა ქარს და ცოტა შეიცადა, სანამ ის ხალხი ჭიშკარს მიაღწევდა. წინა უკვე მოახლოვდა, ლაღად მოაბიჯებდა ძლიერი, ფართო ნაბიჯებით, ყინვიანი დღის მზით გაბრწყინებული შავი ტყავის ჭურთუკი ეცვა, იღლიის ქვეშ ასეთივე შავი პორტფელი ამოეჩარა. ჭიშკართან პეტროკმა მეორეც დაინახა, შუატანის კაცი იყო, შავი თახვის პალტო ეცვა და თოვლით დაფიფქული კრაველის ქუდი ეხურა; ქარისაგან დაწითლებულ სახეზე პატარა შეკრეჭილი ულვაში უჩანდა, რომელზედაც ასევე დაფენოდა ფიფქი. მესამე გრძელი, წითელარმიელის მაზარა ეცვა და ყურებჩამოშვებული მუზარადი ეხურა, ქამარიც ერტყა ნაგანითურთ, მისი ნაბიჯების თანახმად ნელა რომ ერხეოდა მარჯვენა თეძოსთან.

— შეიძლება თქვენთან, მასპინძელო? იქნებ ცოტა ჯანი გაგვეთბო?

— რატომაც არა! ასეთი ნამქერი დევს და, რაღა თქმა უნდა, — უპასუხა პეტროკმა რომელიც მიხვდა, რომ ეს უფროსობა იყო და, ეტყობოდა, დიდი უფროსობაც — ოლქიდან თუ უფრო ზემოდან.

მან ლატანისაგან შეკრულ ჭიშკრის თავს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ვერ გააღო, მხოლოდ ცოტათი გადაიწია ღრმა თოვლში ჩაფლული კარი, სტუმრები ერთმანეთის მიყოლებით ძლივს შემოეტივნენ და ეზოში შემოვიდნენ.

მერე პეტროკმა ისინი წინკარში შეიყვანა, სადაც ჩექმების ბრაგაბრუგით ჩამოიყარეს შეყინული თოვლი. ქოხის კარი რომ შეაღეს, ფარდის უკნიდან სტეპანიდა გამოვარდა, ხელში ჩვრით: ზღურბლზე ამდენი უცნობი კაცის დანახვაზე მოულოდნელობისაგან „ვაიო" შესძახა და იმავ წამს უკან მიაწყდა ღუმელის იქით. იქ მეორე დღეა იწვა ავადმყოფი ფენია, რომელიც გაციებულიყო, ახველებდა და სკოლაში არ გაეშვათ: ბუმრობა ხომ არ იყო ამ ქარბუქში სამი კილომეტრი დაბაში ჩანჩალი. ფედია კი სკოლაში წავიდა. სანამ პეტროკი გარეთ დატრიალებდა, სტეპანიდას ღუმელი გაეხურებინა, მაგრამ ქოხში ჯერ კიდევ გრილოდა და კვამლის სუნი იდგა. შეშას ცუდად ეკიდებოდა. ნედლი თხმელა ხრჩოლავდა, ძუნწად იმეტებდა სითბოს.

პეტროკმა დაბურა კარი. სტუმრები თანდათან მოშინაურდნენ. უფროსმა, ულვაშამ, ღუმელთან დათოვლილი ქუდი დაიფერთხა და მელოტი თუ სუფთად გადაპარსული თავი გაიშიშვლა; იგი წყნარად დაჯდა მერხზე და იდაყვით მაგიდის კუთხეს ჩამოეყრდნო. გვერდით მოკრძალებით მიუჯდა სამხედროფორმიანი, ნაგანი რომ ეკიდა, მუზარადი არ მოუხდია. მესამემ კი, ტყავის ჟურთუკი რომ ეცვა, როგორც კი შენიშნა, როგორ ბჟუტავდა ცეცხლი ღუმელში, მაშინვე მასთან დაიბარა და დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

— ეჰ, რა უნიათოდ უკიდია! ხმელი შეშა შემოგაკლდათ ალბათ, არა, დიასახლისო?

ღუმელს იქიდან სტეპანიდა გამოვიდა უთავშლოდ, დაბამბული ფუფაიკა ეცვა, თავშეკავებით აათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმრები.

— აბა ვინ მოგვცა ხმელი შეშა? ნედლით ვახურებთ ღუმელს.

— ნედლი შეშა არ ვარგა, — თქვა უცნობმა და ღუმელში ქარცხით შეანძრია სველი ღერები. — ნედლი შეშა ასე არ უნდა დააწყოთ, ერთმანეთზე კი არ უნდა შეახონხლოთ, სივრცე უნდა დაუტოვოთ. მე ეს ცოდნა ოდესღაც ციმბირში შევიძინე. მოეკიდება, სხვა რა გზა აქვს—მისწი-მოსწია თხმელის მსხვილი ღერები, მერე ღუმლის კარი მიხურა — მჭიდროდ კი არა, ჭუჭრუტანა დატოვა და პეტროკისაკენ მოიხედა, მოკრძალებით რომ იდგა ზღურბლზე.

— კოლმეურნეობის წევრი თუ ხარ, მასპინძელო? თუ ერთპიროვნულ მეურნეობას ეწევი?

— კოლმეურნეობის წევრი ვართ, მაშ როგორ! — ჩვეულებრივ პეტროკის ნაცვლად გამოეხმაურა სტეპანიდა. — დაარსების დღიდანვე.

— მერე როგორ ცხოვრობთ? შეძლებული თუა თქვენი კოლმეურნეობა?

— შეძლებული კი არადა, ღარიბი კოლმეურნეობაა.

— ორნი ცხოვრობთ?

— ორნი და ორი ბავშვიცა გვყავს. ვაჟი სკოლაში წავიდა, გოგო კი აგერ ავად გაგვიხდა. ახველებს.

ღუმელს იქით ფენიას მართლაც აუტყდა ხველა, ქოხში ყველა გაჩუმდა და ყური მიუგდეს. ის, ვინც მაგიდას უჯდა, ამ ხნის განმავლობაში არც განძრეულა, მხოლოდ ფენიას ხველაზე ასწია შავი წარბი და ღუმელთან ჩამოფარებულ ჯვალოს ფარდას შეხედა.

— ისეთი ამინდია, ოლად გაციებდება კაცი, — თქვა ბისმა ამხანაგმა, ღუმელს რომ უჯდა, ისევ გაალო ღუმელის კარი და თხმელის წვრილი ჯოხით დაიწყო შიგ ფათური, თავის ჭკუით უნაცვლებდა შეშის ღერებს ადგილს.

— მართლაც — იმწამსვე გამოეპასუხა სტეპანიდა. — იცით, ფეხსაცმელები დაეხა. თექურები არა აქვს, დაფხრეწილი გამაშებით დარბის, ფეხი

გაუცივდა და მეორე დღეა აგერ სიცხიანი წევს, თან ახველებს.

— იოლი როდია გლეხის ბავშვებისათვის სწავლა. — ოხვრით შენიშნა ლუმელთან მჯდომმა სტუმარმა და გაპარსული, მტკიცენიკაპიანი სახე მაგიდისკენ აბრუნა. — ესენი კი მაინც სწავლობენ. აი, რას ნიშნავს ცოდნისაკენ სწრაფვა, ხალხში გამოსვლის სურვილი.

პეტროკმა იფიქრა, ალბათ ახლა ის, ხნითაც და იქნებ ლაბორატორიებითაც უფროსი კაცი, იტყვის რაიმესო, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს, ისევე ჩუმად იჯდა მაგიდასთან და ლუმელს შეცქეროდა. სახე დაღლილი ჰქონდა, შეფიქრიანებული, ფიქრითა და ყურადღებით თითქოს შორს იყო აქედან.

— არა უშავს, დეიდა, — მხნედ უთხრა ლუმელთან მჯდომმა. — ხუთწლედს რომ შევასრულებთ, ფეხსაცმელიც გვექნება და სხვა ბევრი რამეც. უფრო მხიარულად ვიცხოვრებთ. ჯერჯერობით კი უნდა ვიმუშაოთ.

— აკი ვმუშაობთ. ვცდილობთ, რაც შეგვიძლია. ხელგაუჩერებლად. პანებთან როდი ვიწყვეტდით ასე წელს.

— იმიტომ, რომ მაშინ პანებისათვის ირჯებოდით, ახლა კი საკუთარი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის შრომობთ.

— მართლაც. არც სახელმწიფო გვტოვებს გულნაკლულს. აგერ ემტეესი რამდენ სამუშაოს ასრულებს. ნახევრად მან გადახნა მიწები. აი, ცოტა მეტი წესრიგი კი საჭიროა.

— ეს უკვე თქვენზე ჰკიდია, — მტკიცედ უთხრა სტუმარმა. — ყველასაგან ერთად და თითოეულისაგან ცალ-ცალკე.

— განა ჩვენ არ გვესმის? აი, ტანსაცმელი არ გაგვაჩნია. წინათ სელი გვქონდა მაინც, ახლა კი მთელ სელს ვაბარებთ, ჩვენთვის არაფერს ვიტოვებთ. ჩითი მაინც მოგვცენ, ბავშვებს პერანგები შეეუკეროთ, — აწუწუნდა სტეპანიდა. ეტყობა, უკვე მიხვდა, რომ სტუმრები უფროსები იყვნენ. პეტროკს ჭკუაში არ დაუჯდა მისი საქციელი: ნეტა რა ალაპარაკებს? უფროსობაა თუ არა, მაინც უცხოები არიან, რად ახვევს თავს საკუთარ საზრუნავს? არ აცლის ხალხს ჯანი გაითბონო. პეტროკი მოკრძალებით იდგა ზღურბლთან, ფიქრობდა, სტუმრები თვითონ აგვიხსნიან რაღა-რაღაცებს, მათთვის შეკითხვებით თავის გაბეზრება ახლა სულაც არაა საჭიროო.

მაგრამ, ეტყობა, სტეპანიდა მთლად გათამამდა, ლაპარაკმა გაიტაცა და უკვე ჩივილს მოჰყვა, ხალხისთვის აქამდე შალის დამზადების საფასურიც არ გადაუხდიათო. უკვე მესამეჯერ დაჰპირდათ სმიკი, ვადებიც დანიშნა, ფული კი მაინც არ ჩანსო. პეტროკი ისევ შეიჭმუხნა უხერხულობისაგან — უცხო ხალხია ეს ხალხი, იქნებ პოლოცკიდან და ვიტებსკიდანაც კი არიან ჩამოსულები და რა იციან აქაური წესებისა, ან ვილაც დამზადების რწმუნებულ სმიკს საიდან იცნობენო. მელოტი გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან, თვალებმილულული, ეტყობა, თბებოდა ქოხში. არადა, თურმე ესმოდა ყოველივე, რასაც სტეპანიდა ამბობდა, ხოლო როცა ქალმა ფული ახსენა, თვალები გააბილა და წყნარად უთხრა ლუმელთან მჯდომს:

— ჩაიწერეთ.

კაცმა გახსნა პორტფელი და ლურჯ, თხელ რვეულში რამდენიმე სიტყვა ჩაიწერა.

— ჰოდა, ისა კიდევ... სელის მოსაყვანად მთლად უვარგის მიწას იძლევიან, თიხნარს, ასე ამბობენ, მაინც ამოვაო, მაგრამ როგორ ამოვა, როგორც კი დაგვალავს, ორთავე ხელით რომ მოეჭიდო, ვერ ამოგლეჯ, არც სიმაღლე-

ში იზრდება, მეჩხერიცაა, აქა-იქ ამოყრილი, მესამე ნომერია, მეტი არა...

„უჰ, გარეკა უკვე! — გაიფიქრა პეტროკმა თითქმის ბრაზით, — დაიქოქა რაღა...“

მაგრამ სტუმრები ყურს უგდებდნენ ქალის ლაპარაკს და არ აწყვეტინებდნენ, ყურადღებითაც კი უსმენდნენ. მელოტმა თვალები გააბილა და ჯიქურ მიჩერებული ფხიზლად უსმენდა ქალს, თუმცა კი ხმას არ იღებდა. [illegible] კი, ტყავისქურთუკიანმა, მხოლოდ ერთხელ შეაწყვეტინა, ჰკითხა [illegible] კოლმეურნეობას, და უკვე თავად. შეხსენებაც არ დასჭირვებია, რაღაც ჩაინიშნა რვეულში. სტეპანიდამ, ეტყობა, იგრძნო მათი კეთილგანწყობილება, მოჰყვა და მოჰყვა, რაც სწყენია კოლმეურნეობის წესრიგის გამო თუ რაიონისაგან, და ბოლოს, როგორც იქნა, საუზმეც მოაგონდა.

— იქნებ უჭმელები ხართ, კარტოფილი ხომ არ მომეხარშა ხიწიწით?

მაგიდასთან მჯდომი მელოტი ახლა კი შეირხა, მტკიცედ თქვა „არაო“, და სამხედროს, მაზარიანს მიუბრუნდა.

— ერთი ნახეთ იქ...

მაზარიანი ხელად გავარდა წინკარში. ხოლო ღუმელთან მჯდომმა გააღო ღუმლის კარი, საიდანაც ზომიერი სითბო გადმოიფრქვა — შეშას მოჰკიდებოდა.

— აი, ხომ ხედავთ? ციმბირული, მხიარული ცეცხლი გაჩაღდა! — თქვა ხალისიანად სტუმარმა.

ამ დროს ღუმელს იქით ისევ დაახველა ფენიამ, სტეპანიდა ფარდის უკან გავიდა, ხოლო მაგიდასთან მჯდომმა მელოტმა კაცმა დაფიქრებით, მძიმედ ამოიოხრა. სტეპანიდამ დააწყნარა გოგო და მალე მობრუნდა სტუმრებთან. ტყავისქურთუკიანი სკამიდან წამოდგა და ლამის ნახევარი ქოხი გადალობა თავისი ფართო ზურგით.

— ბავშვს მკურნალობა სჭირდება, ექიმი თუ გყავდათ?

— აბა ვის მოვიყვანდი ამ ქარბუქში! იქნებ თავად გამოკეთდეს. აი რძე რომ გვქონდეს, კარგია, ძროხა გაგვიშრა, გოგო კი მის მეტს პირს არაფერს აკარებს, — შესჩივლა სტეპანიდამ.

— ცუდია, თაფლი უნდა უყიდოთ.

— ჰმ, მაგის ფული ვინ მოგვცა. ის კი არადა, დაზღვევის ვალიც არ გადაგვიხდია ჯერ...

წინკარიდან ჩექმების ბრაგაბრუგით შემოვიდა სამხედროფორმიანი და რაღაც თქვა, მაგიდასთან მჯდომი მაშინვე წამოდგა და პალტოს საყელოს შეკვრა დააპირა, მაგრამ იმწამსვე შეჩერდა და ღილები შეიხსნა. პეტროკმა ვერ დაინახა, რა ამოიღო ჯიბიდან, მეორე, ტყავისქურთუკიანი ჩამოეფარა სწორედ ამ დროს. მაგრამ მალე მიხვდა. სტეპანიდამ ყოყმანით თქვა:

— არა-არა! როგორ გეკადრებათ, რა საჭიროა, — მაგრამ იმწამსვე მთრთოლვარე ხმით მადლობა გადაუხადა: — მადლობელი ვარ, რაკი ეგრეა....

— რძე და წამალი იყიდეთ, — წყნარად უთხრა უფროსმა.

მას მელოტ თავზე უკვე კრაველის მაღალი ქუდი ეხურა. პალტოს კალთა კალთაზე გადაიგდო და კარისკენ გაემართა. პეტროკი განზე გადგა, ისე დარცხვენილად გრძნობდა თავს, ფიქრობდა, ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოსო. რატომ გამოართვა სტეპანიდამ ფული, თითქოს მათხოვარი იყოს — უცხო კაცისაგან აიღო, ისიც უფროსებისაგან, მერე რა, რომ გოგოს წამლისთვის უნდა, მაინც არ იყო მოსაწონი საქციელი.

— მადლობელი ვარ. მაგრამ როგორ დაგიბრუნოთ? ის მაინც ვიცოდე, ვისი მოვალე ვარ? — დაბნეული ლაპარაკობდა სტეპანიდა და უკან მისდევდა სტუმრებს.

— არ არის აუცილებელი, რომ დამიბრუნოთ, — მტკიცედ უთხრა კრაველისჭუდიანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს ხომ ვალია.

— არც ისე დიდი ვალია.

— ის მაინც მაცოდინა, საიდანა ხართ.

პალტოიანი უკვე წინკარში გადიოდა, მეორე, ტყავისჭურთუკიანი კაცი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. სამხედრომ კი ორივენი წინ გაატარა, მალულად უკან მოიხედა და ჩუმად ჩასჩურჩულა სტეპანიდას:

— მინსკიდან არის. ამხანაგი ჩერვიაკოვია.

სტეპანიდა რამდენიმე წამს თითქოს გაშეშდა მუჭში დაჭერილი თუმნიანით, პეტროკს კი ლამის მუხლები მოეკვეთა. ოჰ, ეს რა ქნა, ვის სთხოვა მოწყალება! ეს ხომ თავად რესპუბლიკის ხელმძღვანელია. მან კი გაუბა, ეს სელიო, ეს ფულიო... მაგრამ სტუმრები წინკარიდან უკვე გადიოდნენ და თუმცა ძალზე უხერხულად გრძნობდა თავს, უნდა გაეცილებინა ისინი.

გარეთ ისევ ფიფქავდა, მაგრამ ახლად დათოვლილზე ყველაფერი კარგა შორზე ჩანდა. შარაგზაზე, ფიჭვნართან ორი მსუბუქი მანქანა იდგა და მის სიახლოეს რამდენიმე კაცი ტრიალებდა, ეტყობა, გზა იქ უკვე გაეწმინდათ და წასვლა შეიძლებოდა.

ჭიშკართან ქარისაგან პირშექცეული ჩერვიაკოვი შეჩერდა.

— მადლობელი ვარ გათბობისათვის, მასპინძელო. გამოჯანმრთელებას ვუსურვებ შენს გოგოს, — წყნარად თქვა მან.

პეტროკი დაბნეული იდგა თოვლში, არ იცოდა, მადლობა გადაეხადა თუ არა. თითქოს ენა წაერთვა, კრინტი ვერ დაძრა, საჭირო სიტყვები ვერ იპოვა. მაშინ ჩერვიაკოვმა თავის თანაშემწეს რაღაც ჰკითხა და იმანაც დააზუსტა:

— რა გვარი ხარ?

— ბოგატკა, — უთხრა პეტროკმა და დაირცხვინა. პირველად იყო, საკუთარი გვარისა რომ შერცხვა, ისე არ ესადაგებოდა ამ წუთას იგი ამ უბადრუკ, თოვლით დაფარულ ეზოს.

— მაშ მდიდრულ ცხოვრებას გისურვებთ, ამხანაგო ბოგატკა, — უსურვა გამომშვიდობებისას ცაკის თავმჯდომარემ, მერე სამთავემ თავი წაუღუნა ქარს და თავიანთ ძველ ნაკვალევს გაუყვნენ შარაგზისაკენ.

პეტროკი დაიბნა და ისევ ვერაფერი ამოღერღა. შესცქეროდა ამ ხალხს და მღელვარებით იმეორებდა ფიქრებში: „რა გაგვამდიდრებს, აბა რამ უნდა გაგვამდიდროს!!.“ ახალი ძალით შეიპყრო ძველმა საზრუნავმა: საკუჭნაოში ოთხიოდე ფუთიღა შემორჩათ ჭვავი, იქნებ ემყოფინათ ჭინჭრისა და მჟაუნას შემოსვლამდე, ცოტა მეტი კარტოფილი რომ ჰქონოდათ. მაგრამ კარტოფილი გაუთავდათ, ამ ზაფხულს ისეთი პირი უჩანდა, მისი კარგი მოსავლის იმედი არ უნდა ჰქონოდათ — წვიმამ დაასველა და ღეროებში ჩალპა — ვინ იცის, რითი გაიტანდნენ თავს ახალ მოსავლამდე?

23

და მაინც, როგორც იყო, მიატანეს გაზაფხულამდე, კუჭი არ გამოძღომიათ, უფრო მეტად მშივრები იყვნენ, მაგრამ თბილმა, მზიანმა დღეებმა და

მწვანე ბალახმა მოუსწროთ. სტეპანიდა ახალი ჭინჭრის წვნიანის კეთებაში დახელოვნდა, თუ კარგად შეაზავებდი ღორის ქონით, არა უშავდა რა საჭმელად. პურის საქმე უფრო ცუდად ჰქონდათ — არ იყო პური. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევონ ბოგატკამ მოახერხა შრომადღეებზე დამატებით გაენაწილებინა სამი ბუტი კარტოფილი და პეტროკმა [illegible] სოდ ერთი საზიდარი შემჭკნარი, ნახევრად ამოსული კარტოფილი [illegible] სხვა რა გზა ჰქონდათ, ქერის ფქვილგარეულ კვერებს აცხობდნენ, თუმცა ქერს ბურღულადაც იტოვებდნენ წვნიანისათვის.

ბოლოს იძალა ზაფხულმაც. მაისში ბარაქიანი წვიმები მოვიდა ჰექაქუხილით. საშემოდგომო ნათესებმა თიხნარშიც კი აიყარა ტანი. საშემოდგომო ყანა სწორედ რომ შარაგზის აქეთა მხარეს, ღარტაფის, ხუტორის სიახლოვეს და მთელი გოლგოთის გაყოლებით იყო. ზოგჯერ, თუ იქით მოხვდებოდა ან დრო დარჩებოდა, პეტროკი თვალს გადაავლებდა ხოლმე ყანას და უხაროდა, რომ ამ წელიწადს ჭვავის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. თუ ზაფხულში არ დაგვალავდა, თუ წვიმები არ დაალპობდა, რაიმე საშველი იქნებოდა. სათიბები მზად იყო უკვე და ლევონი გლეხებს ვერძის ხევში ღელესთან „ცელის სასინჯად" უყრიდა თავს. მიუჩვევლობისგან იყო თუ იმიტომ, რომ უჭმელობით დასუსტებულიყო, პეტროკს მესამე გამოსათიბზე სული შეეხუთა, მკერდში ჩხვლეტა დაუწყო, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ეს დასაწყისში იყო, თორემ მერე, როგორც კი საერთო ფერხულში ჩაებმება, ყველაფერი გაუვლის, რით არის სხვაზე ნაკლები ვითომ? აი, ლევონი ავიღოთ თუ გინდა, ხელზე სამი თითიღა აქვს შერჩენილი და როგორც კი ცელის ტარს ჩასჭიდებს მათ, გიჟივით იქნევს ცელს. თიბვის დროს არავის არ სურს სუსტი და ულონო გამოჩნდეს, მთელ ძალ-ღონეს იკრებენ და ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, ცდილობენ სხვებს არ ჩამორჩნენ. იმ შაბათ სალამოს დაინაწილეს ნაკვეთები, დაადგინეს, რომელი ბრიგადა სად გაიშლებოდა სახვალიოდ მოლაპარაკდნენ, განთიადისთანავე უნდა დაეწყოთ, სანამ მზე დააჭერდა. ლევონმა სალამოსათვის ცელების კარგად მოპირვა ითავა და დაუბარა, ხვალ დაუგვიანებლივ მოდითო. დღის ბოლოსათვის შედეგების შეჯამებას აპირებდნენ და რომელი ბრიგადაც ბევრს მოთიბავდა, დაფის წითელ მხარეზე გამოსწერდნენ, ხოლო რომელიც ნაკლებს — შავ მხარეზე. მეორე ბრიგადას უფრო იოლი გასათიბი ნაკვეთი შეხვდა, ნაძვნარიდან მოყოლებული, სადაც ბალახი ხშირი, თუმცა ნაკლებად ტანაყრილი იყო. ახლა კი გაუსწრებდნენ მესამე ბრიგადას და წითელ დაფაზე მოხვდებოდნენ.

ასე შეთანხმდნენ და გვიან სალამოს დაიშალნენ მედავითნის ეზოში, სადაც სამი წელია კოლმეურნეობის კანტორა იყო გამართული. პეტროკი თავის იახიმოვშჩინაში მიიჩქაროდა, ცელის მოპირვა უნდა მოესწრო. სალესი არ უვარგოდა — მოკლე იყო, ხის სახელურში ჩაჭედილი, ასეთის პატრონი სანამ ცელს მოპირავ, სხვები კარგა შორს გაგისწრებენ. მაგრამ ლევონი დაჰპირდათ, დილით დაბაში შევიძენ და ორმოცდაათ სალესს წამოვიღებ ყველას სამყოფად, სოფლის მაღაზიაში ფული უკვე გადახდილია, მაგ საქმეს წყალი ალარ გაუვალ. ცხენით ერთი საათი დამჭირდება, მეტი არაო.

პეტროკმა იმ ახალი სალესის იმედით ძველი ალარ წამოიღო, მაგრამ თიბვას რომ შეუდგა, მალე იგრძნო, რომ ცელი დაუბლაგვდა, ლევონი კი ჯერაც არსად ჩანს. სხვებმა ორი გამოსათიბი გალიეს უკვე, ნაძვნარის თავზე მზე ალიმართა, თუმცა ცვარი ჯერ არ შეშრობოდა ხშირ ბალახს, ასე კარგად

რომ წვებოდა გალუნულ, მჭიდრო მწკრივებად. პეტროკი უკვე ხშირ-ხშირად იყურებოდა ნაძვნარის პირისკენ, თავმჯდომარე ხომ არ მოდის ხელში სალესებითო, მაგრამ ლევონი არსად ჩანდა. უკვე საუზმობისას, მთიბავებმა რომ რამდენიმე პირი ოფლი შეაშრეს, ნაძვნარიდან გამოვარდა, და, თითქოს რაღაცამ შეაშინაო, მაშინვე შეჩერდა ლევონის უმცროსი ბიჭი მატეიკა. პეტროკმა ჯერ იყო და იფიქრა, თავმჯდომარემ ხომ არ გამოატანა სალესებიო, მაგრამ ბიჭს ხელში არაფერი ეჭირა. ახლოს რომ მოვიდა და ერთმა მთიბავმა უხეშად ჰკითხა, მამაშენი სად არისო, ბიჭი ბალახებში დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და აკანკალებული უხმოდ ატირდა.

— რა მოხდა? რა მოგვიდა?

— მამა წუხელ... დაიჭირეს..

მთიბავები გახევდნენ, ახლოს მყოფებმა უხმოდ ჩაარჭვეს ცელები მიწაში, შორეულებმა კვალი ჩაათავეს და სათითაოდ მობრუნდნენ ნაძვნართან, უკვე მიმხვდარიყვნენ, რაც დამართოდა ლევონს. როგორ მოხდა ეს? ლევონ ბოგატკა? რისთვის?

ბიჭი როგორღაც დაამშვიდეს, ღონეგამოცლილებმა არეულად თიბეს საუზმემდე. თუმცა უფრო მეტად ისხდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და ნაირ-ნაირ ვარაუდებს გამოთქვამდნენ. უმრავლესობა ამტკიცებდა, რაღაც შეცდომაა, ლევონს ვინ დაიჭერდა, მტერი ის არ არის და მავნებელი, თავის დღეში თავისიანებს არ გადადგომია, ომშიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდა. აშკარაა, რაღაც გაუგებრობაა, შეცდომა, გაერკვევიან, ვისი საქმეც ეგ ხრის, და ერთ-ორ დღეში გაანთავისუფლებენო.

პეტროკი რომ ცელიანად მიჩანჩალდა ხუტორში, სტეპანიდა არ დაუხვდა შინ. არც შუადღისას დაბრუნებულა. ქმარმა არ იცოდა, სად გაქრა მისი ცოლი, რა საქმეზე წავიდა. ლევონის ამბავმა ყველა დააბნია, ხალხი თითქოს დარეტიანდა, აღარც იცოდნენ, რა ეფიქრათ და რა მოემოქმედათ. ნაშუადღევს პეტროკი სათიბად აღარ წასულა, გუნება წაუხდა, სტეპანიდაზე შიშობდა, ისიც არ დაიჭიროონო.

სტეპანიდამ სალამოთი მოირბინა, აფორიაქებული იყო, გეწეწილ თავზე თავსაფარი არ ეხვია, ჩითის კოფთა ოფლით დასველებოდა, თურმე უკვე მოევლო დაბა, რაიკომი, მილიცია, უნდოდა გამოერკვია, რად დაიჭიროს ლევონი, თუმცა ვერაფერი კი ვერ გაეგო. არავინ არაფერი არ უთხრა. ყველანი პირქუშად დუმდნენ, აღმასკომის თავმჯდომარეს, კაპუსტას კი წაჩხუბებოდა, რადგან მისთვის ლევონის გამოსარჩლება ეთხოვა და უარი მიეღო. ღონეგამოცლილი ქალი ეზოში მიწაყრილზე დაჯდა და ქმრის აღელვებულ შეკითხვებზე ძუნწად პასუხობდა. მერე დაფიქრდა, ცოტათი დამშვიდდა და გადაწყვიტა:

—ხელმოწერები უნდა შევაგროვო.

— რა ხელმოწერები? — გაოცდა პეტროკი.

— ლევონზე. რომ ჩვენიანია, ბოლშევიკია, მავნებელი არ არის.

პეტროკი გაჩუმდა და დაფიქრდა.

— მერე რას იზამ?

— მერე შინსახკომში მივიტან. დაე გამოარკვიონ.

იმავე საღამოს სტეპანიდამ ფენკას რვეულში სამი გვერდი ააჭრელა, ქიმიური ფანქარი თან წაიღო და ვისელკიში გავარდა. მალე მინდვრიდან ძროხა უნდა დაბრუნებულიყო, მოსაწველი იყო, დიასახლისი კი, კაცმა არ იცის, სად გაქრა. სტეპანიდამ ვისელკიში ყველა ეზო მოირბინა, ღამით დაბრუნდა

დაღლილი, აფორიაქებულმა ცოტა წაისაქმა ოჯახში და დასაძინებლად მიეგდო, პეტროკიც გვიან დაწვა, თუმცა სახვალიოდ ახალი მდელოს მოთიბვის დაწყება ჰქონდათ დაგეგმილი, ნაძვნარს იქით კარგა შორს იყო და დილით ძალიან ადრე უნდა ამდგარიყო. განთიადისას, როგორც კი აღმოსავლეთით ცა სოსანისფრად შეიღება, პეტროკი ადგა, სტეპანიდა კი უკვე ადგა, იყო ქოხში. უკვე გაქცეულიყო. ძროხა ფენიას უნდა გაედენა, მაგრამ გოგოს ისე ტკბილად ეძინა, პეტროკმა ცოტა შეიცადა და მერე თავად გადენა. ფიქრობდა, რაკი დიასახლისმა ხელი აიღო ოჯახზე, ეს ოჯახის გაჩანაგებას ნიშნავსო.

სტეპანიდამ მართლაც ხელი აიღო ოჯახზე. იმ დღის მერე სამი დღე ისე გავიდა, პეტროკს თითქმის არ უნახავს ცოლი, დილით ან საღამოთი თუ გამოჩნდებოდა წამით და მერე აღარ იყო შინ. ქალმა სამი სოფელი მოირბინა და მართლაც საკმაო ხელმოწერები შეაგროვა; კოლმეურნეებს ეცოდებოდათ ლევონი, რადგან გულღია, ალალი, უწყინარი კაცი იყო. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ იგი მტერია ან მავნებელი. ხალხს ვერაფრით გაეგო რატომ დაიჭირეს ეს კაცი ამ გაცხარებულ დღეებში და კოლმეურნეობა უხელმძღვანელოდ დატოვეს. თუმცა ხელმძღვანელობას ხელი მოჰკიდა მესამე ბრიგადის ბრიგადირმა, ზაგრიაზიელმა ავტუხმა. ჰოდა, უცნაური ამბავიც მოხდა: ეს კაცი, რომელიც მუდამ კარგად ეწყობოდა ხოლმე ლევონს და თითქოს თავისდღეში ჩხუბი არ მოსვლია მასთან, ახლა მის შუამდგომლობაზე ხელს არ აწერდა („აბა საიდან ვიცი მე, მავნებელია თუ არა ლევონი? რაკი ორგანოებმა დააპატიმრეს, 'ალბათ რაღაც იციან"). სტეპანიდას ბევრი არ უხვეწნია მისთვის, გაბრაზდა, შე „ავო ძაღლო", უთხრა, ასე ეძახდნენ ავტუხს ზოგჯერ სოფელში, და ტყის გადაჭრით რაიონში გავარდა.

გვიან დაბრუნდა იქიდან, უკვე ძროხების მინდვრიდან გამორეკვის დრო იყო. პეტროკიც მაშინ მოჩანჩალდა სათიბიდან, დაღლილი და გაავებული, ხელ-ფეხ მოწყვეტილი, ბრაზობდა ცხოვრებაზე, ცოლზე, სამუშაოზე. უსიტყვოდ მოიჭრა ქონი კასრიდან, გამხმარი პურიც დაალბო, აბა რა ექნა, ძალზე მოშიებული იყო, დაღლილობისაგან ფეხები ეკეცებოდა. და სწორედ იმ წუთს ეზოში თვალი მოჰკრა ცოლს. სტეპანიდა ნელა, კოჭლობით მოდიოდა ჭიშკრიდან, ცალ ფეხს მოითრევდა. პეტროკს გაახსენდა, ამ ორიოდე დღის წინ რომ შესჩივლა ცოლმა, ქუსლი მტკივა, ალბათ ხიწვი თუ შემესოო, აღდგომის აქეთია ფეხშიშველი დავრბივარ ტყეში, მინდვრებში თუ სათიბებში, ახლა კიდევ — სოფელ-სოფელო. სტეპანიდა ძლივს მიჩლახუნდა მიწაყრილამდე და დაეცა; ცოტა ხნის მერე პეტროკი მივიდა მასთან, კაცს გამხმარი ქერქი ჩაედო უკბილო პირში და იმას იღეჭებოდა;

— ჰო, რაო? რა გითხრეს? — ჰკითხა ცოლს.

— არაფერი. უკან დამიბრუნეს, — ქალმა ფეხებში მიუგდო ოთხად დაკეცილი ქაღალდი.

— ოჰ-ოჰ! ახლა რაღა უნდა ვქნათ?

— განა მე 'ვიცი?

სტეპანიდა შეეცადა ამდგარიყო, მაგრამ იმავე წამს ისევ დაეშვა მიწაყრილზე — ქუსლი უჩირქდებოდა და სტკიოდა, უჯოხოდ ქოხშიც ვერ შეაბიჯა. იმ საღამოს პეტროკმა და მისმა ქალიშვილმა, როგორც იყო, მოწველეს ძროხა, მერე პეტროკმა მესრის ძირში ოროვანდის დიდი ფოთოლი მოწყვიტა და გასივებულ, გახურებულ ტერფზე შემოადო ცოლს. სტეპანიდა უჩვეულოდ გაავდა, არაფერი თვალში არ მოსდიოდა, რაღაცას ებუზღუნებოდა

ქმარსა და ფენიასაც კი, მაგრამ პეტროკს ესმოდა მისი და გული არ მოსდიოდა, იცოდა, უბედურება ადამიანს უკეთესს როდი ხდის. თავად ამწყვდევდა ქათმებს, აჭმევდა გოჭს, ჭიდან წყალიც მოზიდა და ის იყო, წინკარში მერხზე მიწია, ამ დღეებში ღამით იქ ეძინა ხოლმე, რომ სტეპანიდამ ღუმელის იქიდან მოუხმო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— პეტროკ, ერთი აქ მოდი!

პეტროკმა დაღლილობას სძლია, უხალისოდ ადგა და ღია კარით საცვლებისამარა მიჩანჩალდა ცოლთან.

— პეტროკ, მინსკში უნდა წახვიდე, — წყნარად, მაგრამ მტკიცედ უთხრა ცოლმა.

— მინსკში?

— ჰო, ამხანაგ ჩერვიაკოვთან.

პეტროკი უკვე მიხვდა, რაც სურდა ცოლს, და დარეტიანებულივით ხმას არ იღებდა — ხუმრობა ხომ არ არის მინსკში წასვლა. ის ხომ თავის ცხოვრებაში მხოლოდ სამჯერ იყო ნამყოფი პოლოცკში, თანაც ორჯერ — ახალგაზრდობაში, მეფის დროს, თუმცა არც სტეპანიდას შეუძლია წასვლა, აბა სად უნდა წავიდეს ფეხმტკივანი ქალი; ისე კი ლევონი მართლაც ეცოდებოდა პეტროკს. როგორ შეიძლება არ დაეხმარო კაცს? მაგრამ რომ არ იცის, როგორ დაეხმაროს!

— ხვალვე წახვალ. ორი თუმნიანი ვისესხე კორნილასაგან. მინდოდა თავად წავსულიყავი, მაგრამ, ხომ ხედავ...

— მერე სად ვიპოვი იქ ჩერვიაკოვს? ალბათ ოლი არ იქნება მისი ნახვა. ქალაქია, ხომ იცი!

— მთავრობის სახლია იქ. გაზეთებში აკი წერდნენ, მთავრობის სახლი ავაშენეთო. ჰოდა, ჩერვიაკოვიც იქ იქნება.

— ჰმ... მერე სად მივაკითხო? მე რა... ხომ იცი, ერთხელაც კი არ ვარ ნამყოფი!

— ჰოდა, ახლა წახვალ. მერე რა! იკითხავ და მიგასწავლის ხალხი. მაშ რა, ხომ არ უნდა დაიღუპოს ის კაცი?

პეტროკი ხმას არ იღებდა. რაღა თქმა უნდა, ცუდია, როცა კარგი ადამიანი იღუპება, ცოდოა. მაგრამ საკუთარი თავიც ებრალება, იმიტომ რომ, ეშმაკმა იცის, სად არის ის მინსკი, ან მთავრობის სახლი როგორ იპოვოს. როგორ შევიდეს შიგ? ოდესღაც ყური მოუკრავს კაცებში, რომ ორშაში უნდა გაემგზავროს. მერე უნდა გადაჯდეს, ბილეთი შეიძინოს. ის მაინც იცოდეს, რამდენი დაუჯდება, ალბათ საკმაო ფული. პეტროკი გაოგნებული იყო, ამ საღამოს რაც უთხრა ცოლმა, მაგრამ იცოდა, თუ სტეპანიდა გულში რაიმეს ამოიჭრიდა, უკან ალარ დაიხევდა. რაღა გზა აქვს, უნდა გაემგზავროს.

— იცოდე, არავის უთხრა. თუ გიკითხეს, ბრიგადირს ვეტყვი, ექიმთან წავიდა-მეთქი. ავად არის-მეთქი.

— მაგრამ...

— რა „მაგრამ?" ის ხომ ჩვენი ნაცნობია, ის ჩერვიაკოვი. იქნებ გამოესარჩლოს. რომ ნახავ, გაახსენე, ზამთარში ნათლიღებას ჩვენთან რომ გასათბობად შემოიარეთ-თქო, თუმნიანი რომ გვასესხე-თქო. ჰოდა, ვალსაც დაუბრუნებ.

— ეს კი ასეა, მაგრამ მაინც...

ძალიან არ სურდა პეტროკს იმ უცნობ გზას დადგომოდა და ქვეყნის და-

სასრულს წასულიყო. მინსკში, ცაკის თავმჯდომარესთან; როცა წარმოიდგენდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა თავზარი ეცემოდა.

24

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მეორე დილით პეტროკი ვაგონის კიბით მინსკის გაჭედილ ბაქანზე ჩამოდიოდა.

ცალი ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა სრიალა რკინის სახელურს, ხოლო მეორე ასევე მაგრად ჩაეჭიდა გულმოდგინედ თავმოკრულ უხეში ტილოს აბგისათვის, რომელშიც პურის ნატეხი, ლორის ქონის ნაჭერი, ერთი თავი ხახვი, ორი მრგვალად მოხარშული კვერცხი ედო. იქ ჰქონდა აგრეთვე ცოტა მარილი და აბგის ძირში ედო ქალალდში შეხვეული ძველი, გაშავებული, წვერწატეხილი დანა. პეტროკს ამ შემთხვევისათვის ყველაფერი ჩაეცვა, რაც კი საუკეთესო გააჩნდა: სუფთად გაწმენდილი, ნახმარი მაუდის შარვალი, სტეპანიდას გარეცხილი სატინის ხალათი, რომელიც დაკერებული კი იყო საყელოსთან, მაგრამ საკერებელი არ მოჩანდა, რადგან ზემოდან გამოხუნებული, შინნაქსოვი მაუდის პიჯაკი ეცვა, რომლის შიგნით, ქინძისთავით შეკრულ ჯიბეში ედო სტეპანიდასეული შუამდგომლობა, ოცდაშვიდი კაცი რომ აწერდა ხელს. იქ იდო თუმნიანიც. მეორე თუმნიანი პეტროკმა ლეპელში დაახურდავა ბილეთის ყიდვის დროს; მორჩენილი ფული უკან გასამგზავრებლად უნდა შეენახა.

ნელა მიჩანჩალებდა პეტროკი ხალხით გაჭედილ ბაქანზე მოყაყანე და მოფუსფუსე ადამიანებს შორის. მისთვის ასე უჩვეულო რომ იყო, ორთქლმავლის საყვირის ხმა და ვაგონების მაზუთიანი ბორბლებიდან უცებ ფრუტუნით გადმოფრქვეული ორთქლი აკრთობდა. ნამთვრალევივით, თავი თითქოს უგუგუნებდა, და ხალხით სავსე ვაგონში გატარებული უძილო ღამის ბრალი იყო თუ ამ ქალაქური რიარიისა, თავბრუ ესხმოდა. კიდევ კარგი, რომ ვაგონში თავისიანს, ხონოპენიჩელ კაცს შეხვდა, რომელმაც აუხსნა, დაახლოებით საით უნდა წასულიყო, თორემ წარმოდგენა არ ჰქონდა, სადგურიდან საითკენ უნდა გაეწია. ამიტომ პეტროკი გვერდითი ქუჩის ვიწრო ტროტუარს გაუყვა, სახლების კედლებს ეტმასნებოდა, ქუჩის კუთხეებში გამოშვერილ გრძელ თუნუქის მილების ბოლოებს ეხეთქებოდა. კიდე-კიდე სიარულისა ეშინოდა, რადგან ქვაფენილზე დგანდგარითა და ბრახაბრუხით ერთიმეორის მიყოლებით მიემართებოდნენ ტრამვაები — ღმერთმა ნუ ქნას, დაეჯახოს კაცს, მოკლავს და ის იქნება. ამიტომ პეტროკი სახლებს ეკვროდა, სადაც ფანჯრებისა და კარების გაუთავებელი რიგი ენაცვლებოდა ერთმანეთს; ზოგ ფანჯარაში რაღაც საქონელი იყო გამოდგმული, მაგრამ პეტროკს არც გაუხედავს იქით. ერთი ღია კარიდან საჭმლის გემრიელი სუნი გამოვიდა, პეტროკი შეჩერდა და შეიხედა, ეტყობა, სასადილო იყო: პატარ-პატარა მაგიდებს ოთხ-ოთხი კაცი უსხდა და თეთრი თეფშებიდან რაღაცას შეექცეოდნენ. მერე პეტროკს ხვდებოდა ხალხი, ცხელ-ცხელი გოგორა პურები რომ ეჭირათ ხელებში, ზოგი იქვე ატეხდა და გზაში ჩუმად მიილეჭებოდა. დაბალი, გაქუცული შინობის გაყოლებით მოყაყანე ხალხის გრძელი რიგი გაჭიმულიყო, რომლის დასაწყისი ღია კარში იკარგებოდა, ფირნიშზე „პური" ეწერა ვეებერთელა ასოებით. პეტროკი გაოცდა, რა ბევრი ხალხი დგასო რიგში, და საჩქაროდ აუარა გვერდი. წუთის შემდეგ, სანამ ტრამვაის ხაზების გადაკვეთამდე მივიდოდა, სადაც ვიღაც კაცი მარჯვნივ გადახვევას მიუთითებდა, მიხვდა, რა ცუდი ქნა,

გაზაფხულის მზეზე გამომხმარი ჩექმები რომ ჩაიცვა, რადგან უწყალოდ მოუჭირა თითებზე და სიარული აღარ შეეძლო. ასე რომ სცოდნოდა, ბარემ უხამლოდ წამოვიდოდა. მაგრამ აქ ვერავინ ნახა ფეხშიშველი მოსიარულე, ყველას ეცვა ფეხსაცმელი, განა სოფელი იყო. სტეპანიდაც არ მოეშვა: ჩაიცვი ფეხთ, აბა როგორ შეიძლება ქალაქში უხამლოდ სიარული, აი, ჩაიცვა თავისდა საწამებლად.

თუმცა მალე აღარც ახსოვდა ფეხსაცმელი, ან შეეგუა ან კიდევ მიავიწყდა გაოცებულ-აღფრთოვანებულს, ორი ქუჩის კუთხეში რომ დაეუფლა ვეება რუხი შენობის დანახვაზე, რომლის სართულების დათვლას თავი ველარ გაართვა: ამართულიყო დიდებული ფასადი უთვალავი ფანჯრებითურთ, შუაში დიდი, მოედნისებური ეზოთი, სახურავიდან ფართო და, გრძელ სუფრასავით გადმოფრიალებდა დროშა. იქვე, კედელზე ცოტათი ქვემოთ გამოსახული იყო ბელორუსიის რესპუბლიკის ქვის გერბი. პეტროკი მიხვდა, რომ თავისი აქ ჩამოსვლის მიზანს მიადგა — ეს იყო მინსკის მთავრობის სახლი.

პეტროკმა ნაბიჯი შეაჩერა — ძალ-ღონე უნდა მოეკრიბა. ეს ხომ სოფლსაბჭო არ იყო და არც რაიალმასკომი, სამ ნაბიჯს რომ გადადგამ ქუჩიდან და კარს მიადგები, ზღურბლზე ხარ უკვე. აქ კი? აბა ერთი სინჯე და გამოიცან, ეზოში გამოსულ ამ მრავალრიცხოვან კართაგან რომელში უნდა შეხვიდე, მერე კიდევ იქ დაცვაც დგას, განა უსაბუთოდ გაგატარებენ? უნდა სთხოვო. პეტროკმა იგრძნო, რა თავსატეხიც გაუჩნდა, ისედაც ვერაფერი გაბედული იყო და ახლა მთლად გამოეცალა გამბედაობა. ნელ-ნელა მიუყვებოდა სახლსასაზღვეს და კარებისაკენ ეჭირა თვალი — ნეტა რომელში უნდა შევიდეო? ფიქრობდა, იქნებ ვინმემ ქუჩიდან გადმოუხვიოს აქეთკენო, რომ იმას მივყვე უკანო. მაგრამ ქუჩიდან არავის გადმოუხვევია, ყველა ტროტუარზე მიდიოდა. ვინ იცის, რა დრო გავიდა, სადღაც უკვე მზე ამოიწვერა, თუმცა აქ მზეს ვინ დაინახავს, ნახევარ ცას სახლები ეფარება. მიწაზე ყველგან სქელი და გრილი ჩრდილია განფენილი, როგორც ნაძვნარში იცის ხოლმე დილაობით.

ჰოდა, ვერც გადაწყვიტა პეტროკმა ვერაფერი და ვერც გაბედა. გასცდა ფართო ეზო-მოედანს, სამი მხრით სახლებით რომ იყო შემორტყმული, კიდევ ცოტა გაიარა და გვერდით ძალიან ლამაზი, წითელი აგურით ნაგები ეკლესია დაინახა. სხვა დროს ალბათ თვალს დაიტკბობდა იმისი ცქერით, ახლა საამისოდ არ ეცალა. უკვე მღელვარებამ აიტანა და ქინძისთავს ქვემოთ სტეპანიდას ქალალდებზე მოიცეცა ხელი. უნდოდა ქისა ამოელო, თამბაქო გაებოლებინა, მაგრამ გადაიფიქრა, მიტრიალდა და კვლავ მთავრობის სახლისკენ გაემართა.

ამჯერად მისი ფასადის თვალიერება და კარის შერჩევა არ დაუწყია, კუთხიდან მაშინვე იქითკენ მიტრიალდა, რომელიც უფრო ახლოს იყო, ფართოდ ჩამწკრივებულ ქვის კიბის იქით. კიბეზე და კართან თითქოს არავინ იდგა, თუმცა რომ დააკვირდა, პეტროკმა მინის იქით რაღაც თეთრი შენიშნა, რაც ოდნავ შეირხა, მაგრამ მერე გაირინდა გაფაციცებული. ეს მილიციელი იყო. პეტროკმა თეთრი პერანგით იცნო, ზედ ირიბად რომ გადაეჭიმა რევოლვერის ბუდის შავი ღვედი და თავზე თეთრი ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა. ეტყობა, მილიციელიც მინის იქიდან უთვალთვალებდა პეტროკს, რომელიც უკვე შუა ეზოში მოდიოდა, თუმცა ნაბიჯს კი უფრო და უფრო ანელებდა. პეტროკი კი ძალას ატანდა ფეხებს, ჯიუტად რომ ლამობდნენ იქითკენ გადახვევას, სადაც ხალხი ირეოდა, და მილიციელის თვალი ვერ მისწვდებოდა. ჰოდა, ისე

მოხდა, რომ ფეხებმა სძლიეს წადილს — პირდაპირ გზიდან გადაუხვიეს და სიხარულით გულმოშვებული პეტროკი ეზოდან უკან, ქუჩისკენ, ტროტუარისკენ გაემართა.

ქუჩაში რომ გავიდა, დაძაბულობამ გაუარა, ამოიხვნეშა, იგრძნო, რომ ისე გაღვრილა ოფლად, თითქოს ვერძის ხევში ყოფილიყოს სათებად. ერთხანს ფეხებს თავისით მიჰყავდათ, არც იცოდა, სად მიდიოდა. თავს [illegible] თებდა, ასე გაუბედავი რადა ვარო, ან ამ საქმეში რად გავერიეო, ტუქსავდა თავს, უმადლო ვინმე ვარო, შთაგონებდა, არ არის საჭირო არც აღელვება და არც შიშით. რა მოხდა მერე, თუ მილიციელი დაინახა? რისა შეეშინდა, განა ცუდი განზრახვით მოვიდა აქ? ის უნდოდა ეკითხა მხოლოდ, ამხანაგი ჩერვიაკოვი როგორ ვნახოო ან ქალალდები მაინც როგორ გადავცეო. განა თავისი სურვილით მოვიდა აქ ან საკუთარი პირადი ინტერესის გამო? იგი ხომ საერთო საქმისათვის, ასე ვთქვათ, კოლმეურნეთა დავალებითაა. თავად არაფერ შუაშია, ის კი არადა, თითქმის უცხოა. გადასცემს ქალალდს და უკანვე გაბრუნდება, რა აქვს საშიში? და მიუხედავად ამისა, პეტროკმა მაინც ვერ მოახერხა ამ ახირებული მღელვარების დაძლევა, ასე შეიძლებოდა სადმე უცხო ქალაქში ამოეყო თავი და მთავრობის სასახლეც დაკარგვოდა თვალთაგან. ამას რომ მიხვდა, პეტროკი შეჩერდა, ცოტათი მოადუნა მარჯვენა ფეხი, რომელიც ალბათ უკვე მთლად გადაეყვლიფა, და პიჯაკის სახელოთი სახეზე ოფლი მოიწმინდა. არა, მაინც უნდა მივიდეს მილიციელთან, რომ ჰკითხოს მხოლოდ და მეტი არაფერი. საშიში რა აქვს?

პეტროკი ისევ მოტრიალდა, შეეცადა ფეხსაცმელზე ნაკლებად ეფიქრა. მისდა საუბედუროდ, ახლა ადამიანურმა ბუნებრივმა საჭიროებამ შეახსენა თავი. მაგრამ მაგისთვის სად ეცალა და ითმენდა. ამ ვეება შენობის კუთხეში ნაბიჯი შეანელა, რომ უცებ არ აღმოჩენილიყო კარის წინ. უგულისყუროდ გასცდა ყვავილნარს და მღელვარებისაგან თავდაკარგული გატრიალდა კიბისაკენ, შიშით არც გაუხედავს იქითკენ. ხოლო როცა გაიხედა, კინალამ წაიბორძიკა — იმ მაღალი კარის პარლმალთან უკვე ორი თეთრებჩაცმული მილიციელი იდგა, რომლებიც უსიტყვოდ მიაჩერდნენ პეტროკს, თითქოს მასლა ელოდებოდნენ. პეტროკმა კურდღელივით ასფალტზე წრე მოხაზა და კინალამ სირბილით მოუსვა ისევ ქუჩისკენ. სანამ მთავრობის სახლს ჩაუვლიდა, ერთთავად იმას ცდილობდა, დაფიქრებული კაცის ივრი მიეღო, ვისაც აქ სრულებით არაფერი ესაქმება.

ამჯერად იგი შორს გასცდა წითელ ეკლესიას და მეტად აღარ შეჩერებულა.. ახლა რომ შემდგარიყო, ეს იმას ნიშნავდა, უკან, ისევ იმ სახლისაკენ გატრიალებულიყო, ამისი თავი კი უკვე აღარ ჰქონდა. ბუნებრივი საჭიროება ისევ აიძულებდა მოეძია ადგილი და არ იცოდა, სად მოეძია. ისლა მოახერხა, რომ ქისა ამოიღო და თამბაქო შეახვია. პირველმა ნაფაზებმა ცოტათი დაამშვიდა და პეტროკმა გულჩაწყვეტით უკვე მერამდენჯერ გაიფიქრა: აბა რა მინდოდა, რომ მოვდიოდი? მოურჩებოდა ფეხი სტეპანიდას და ის წამოვიდოდა. იგი ყოჩაღი ქალია, მილიციელის დანახვა ნირს ვერ შეუცვლიდა. თუმნიანიც ხომ მან ივალა. რის დაბრუნებასაც კაცმა არ იცის როგორ შეძლებს პეტროკი, ხელმოწერებიც შეაგროვა, თუმცა ვის მისცემენ, არც კი იციან.

პეტროკმა ცოტათი სული მოითქვა, თამბაქო გააბოლა, სიმფრთხალეს სძლია და გაუყვა ხალხმრავალ ქუჩას, თან აქეთ-იქით იყურებოდა. ირგვლივ

მრავალსართულიანი შენობები აღმართულიყო. უთვალავი ფანჯრები, აივნები, ფინიშები ჰქონდათ, ორივე მხარეს ხალხით გაჭედილი ტრამვაებიც მიგრუხუნებდნენ. უცებ ერთ-ერთი მათგანის თავზე სადენებმა ბღუჯა-ბღუჯა ნაპერწკლები გაჰყარეს, პეტროკს შეეშინდა. ცეცხლი არ მოეკიდოსო, მაგრამ ცეცხლი არაფერს მოსდებია და თითქოს არც რომელიმე გამვლელს [illegible] ყურადღება, ყველას თავის საქმეზე მიეჩქარებოდა. ამასობაში [illegible] ევლად იქცა დღედ, სახლების თუნუქის სახურავების თავზე მცხუნვარე მზე ამოგორდა, ტროტუარებზე ჩრდილები დავიწროვდა და აუტანლად ჩამოცხა. პეტროკი მაუდის ტნასცმელში სულს ძლივს ითქვამდა, თუმცა ცდილობდა კი მოეთმინა, პიჯაკს არ იხდიდა — საბუთების და ფულის დაკარგვისა ეშინოდა. დიდხანს მიჩანჩალებდა კოჭლობით ტროტუარზე ტრამვაის რელსების გასწვრივ, ალბათ ბევრი გზაც გ[illegible]ია, ერთთავად იმედოვნებდა, სადმე ან ბუჩქებს წავაწყდები, ან ღრანტეს, ან კიდევ უშენ ადგილსო, სწორედ ეს სჭირდებოდა. მაგრამ ქუჩას ბოლო არ უჩანდა, დიდი თუ პატარა სახლებიც დაუსრულებელ მწკრივებად გაჭიმულიყვნენ — ერთსართულიანებიც გამოერეოდა ხოლმე, როგორც დაბაშია, მაგრამ დიდ აგურის შენობებს შორის იყვნენ მომწყვდეულები. ყოველმხრივ ფანჯარა და კარი მოჩანდა, ფანჯარა და კარი, ზოგ კარში ტროტუარიდანაც შეიძლებოდა შესვლა, იქ რაღაცას ყიდდნენ, მაგრამ პეტროკი ერთს კი შეიხედავდა შეწუხებული და გაეცლებოდა. ფეხი უფრო და უფრო მეტად სტკიოდა, ტერფს ახლა მოლრეცით ადგამდა და თავის თავს ლანძღავდა, რატომ არ გავპოხე წაღებიო, დარბილდებოდა და იქნებ ფეხი აღარ გადამყვლეფოდაო. მაგრამ ლეპელისკენ მიიჩქაროდა, რომ მატარებელზე არ დაგვიანებოდა, ჰოდა, ახლა გაწამდა კაცი. გრძნობდა, რომ დრო გადიოდა და ეს კიდევ უფრო აღელვებდა, რადგან ჯერ არაფერი გაეკეთებინა. რასაც ეძებდა, ისიც ვერ ეპოვა. ერთხელ რომელიღაც ჩამოფხაჭნილ, ამყრალებულ ჭიშკარში შეიხედა, მაგრამ ეზოში ბავშვები და ქალები დაინახა, ვიღაც ქალი თეთრეულს ფენდა თოკზე და რომ მოიხედა, ყურადღებით დააკვირდა პეტროკს. მან კი უხერხულად იგრძნო თავი, უკან გატრიალდა და სასწრაფოდ დაადგა ქუჩას. კიდევ კარგი, არაფერი ჰკითხეს, რა უნდა ეპასუხნა?

ქუჩის მეორე მხარეს მაღალ ხეთა კენწეროები ახასხასდა მწვანედ, და გახარებულმა პეტროკმაც ფეხს აუჩქარა, მაგრამ მალე ისევ ნელა წავიდა: იქაურობაც სავსე იყო ხალხით — ერთნი მშვიდად ისხდნენ მერხებზე, ზოგი კითხულობდა, იქვე ბავშვები თამაშობდნენ, ზოგიც ჩრდილმოფენილ ბილიკზე დასეირნობდა. ქუჩაზე მის პირდაპირ ვიღაც ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, ბანჯგვლიანი ძაღლი მოჰყავდა თასმით, ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა და პეტროკს გაუკვირდა: ნეტა რატომო? მზიანი დარი იდგა, ცაზე ღრუბელი არ ჭაჭანებდა. კაცი შედგა, წამებით სახედალრეჯილმა მიმოიხედა ქუჩაში და ისევ წაჩანჩალდა იქითკენ, სადაც ქუჩა გორაკისაკენ უხვევდა. ლამაზად შეღებილ სახლს უკან, მორკალული ფანჯრები რომ ჰქონდა, ვეება რუხი შენობა გამოჩნდა, ასე რომ ჰგავდა მთავრობის სახლს. ქუჩის ამ მხარეს გაჭიმულიყო მაღალი ფიცრული ღობე, რომლის იქით მოჩანდა ეზო, ხოლო ეზოს ბოლოში, გორაკის ძირში — წაბლის ხეები. ეზოს ჭიშკარი მოფლეთილი იყო, თუმცა შიგ არავინ ჩანდა, სადღაციდან მხოლოდ წყლის ჩხრიალი ისმოდა. პეტროკმა გაუბედავად შეიხედა ჭიშკარში. წაბლების ხშირ ჩრდილქვეშ ლითონის ტუმბო იდგა, იქვე ვიღაც ფეხშიშველი, ჭრელსარაფნიანი გოგო და-

ფუსფუსებდა. იქით მოჩანდა რაღაც ფარდულები, იასამნისა და ანწლის ჩამავებული ბარდები, ქვემოთ შამბნარი ღაღანებდა. ეტყობოდა იქ იქნებოდა, რასაც ეძებდა.

პეტროკი რომ შევიდა, შეშინებული გოგო მოსწყდა სპილენძის ტაშტს, რომელშიაც თოჯინების რაღაცებს რეცხდა, და მკვირცხლი თვალებით აშტერდა კაცს; პეტროკმა ის უთხრა, რაც ენაზე მოადგა: ბიბლიოთეკა

— შეიძლება წყალი დავლიო?

— შეიძლება, — ხალისით მიუგო გოგომ, გამხდარი, მზემოკიდებული მხრები აიჩეჩა და ტუმბოს მეორე მხარეს გავარდა.

პეტროკმა იფიქრა, ალბათ სახლში შევაო ტოლჩის გამოსატანად, მაგრამ ამის გაფიქრება იყო და ტოლჩა უკვე ხელში ეჭირა, გოგომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააჭირა ტუმბოს ბერკეტს და წყლის გამჭვირვალე ჭავლმა ხელად აავსო ტოლჩა. პეტროკი ჩქარ-ჩქარა სვამდა, თან აგზნებულ მზერას ხან ფარდულს ირგვლივ, ხან ბარდებში აცეცებდა. როგორც ჩანდა, არ შემცდარიყო: მართლაც, ეზოს კუთხეში ჩეჩმა მიკუნჭულიყო.

გოგო რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ პეტროკს უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, რომ ეპასუხნა. ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ თითქმის სირბილით გაეშურა გაბარდული ბილიკით ეზოს შორეულ კუთხისაკენ.

უკან რომ ბრუნდებოდა, გოგო აღარ იყო ეზოში, ტუმბოსთან მისი სპილენძის ტაშტი იდგა, ბალახმოდებულ ქვებზე წყალი მოჩხრიალებდა. პეტროკს გაუხარდა, გოგო რომ არ დაუხვდა — მაინც შერცხვა ამ პაწია ქალაქელის წინაშე და თითქმის ბედნიერად იგრძნო თავი, როცა ქუჩაში გავიდა. მაგრამ აქ ისევ გაახსენდა თავისი სადარდებელი: ახლა რაღა უნდა ქნას? ძალიან აწუხებდა საქმე, რისთვისაც ჩამოვიდა, ნუთუ ასე ხელცარიელი უნდა გაბრუნდეს უკან? სტეპანიდა რაღას ეტყვის მაშინ? კარგად იცოდა, სტეპანიდა რასაც ეტყოდა.

სიმხნევეშემატებული პეტროკი უკან, მთავრობის სახლისაკენ გაბრუნდა. ამჯერად მტკიცედ ჰქონდა განზრახული: რაც უნდა მოხდეს, მილიციელთან მივალ და ვკითხავო. ხომ არ დაიჭერენ ამისთვის, იქნებ არც კი გათათხონ, თუმცა გასათათხი მართლაც კი იყო. მაგრამ პეტროკი თავაზიანად ჰკითხავს, როგორ უნდა ვნახოთ ამხანაგი ჩერვიაკოვიო, თუ ახლა არა, იქნებ მერე, პეტროკი დაიცდის. ხოლო თუ საერთოდ არ შეიძლება მისი ნახვა, მაშინ იქნებ ამხანაგმა მილიციელმა გადასცეს ცაკის თავმჯდომარეს გლეხების შუამდგომლობა თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე. აკი კარგი თავმჯდომარე ჰყავდათ — პარტიული, კარგი მეურნე — მაშ რაღად დააპატიმრეს? ეს იმათ უყვეს ყველაფერი, ადგილობრივმა უფროსებმა, განა მათ რაიმე ესმით? მაგრამ ამხანაგი ჩერვიაკოვი კი უნდა გაერკვეს, იგი გულითადი კაცია და დიდი ძალაუფლებაც გააჩნია. ალბათ დასჯის იმათ. ტვირთად აწვა უკანდასაბრუნებელი ვალიც, პეტროკი ისეთი ადამიანი როდია, სხვისი ფული მითვისოს, ასეთი რამ თავის დღეში არ უქნია. არც სტეპანიდაა ასეთი ქალი. სხვა საქმეში იქნებ ასეც მოიქცეს და ისეც, მაგრამ ფულში არა, ტყავიდან გაძვრება, ვალს კი არ შეირჩენს.

ძალზე კოჭლობით, მაუდის პიჯაკში მთლად ოფლად გაღვრილი, ტილოს ჩანთით ხელში პეტროკმა ეკლესიას ჩაუარა და მისთვის უკვე კარგად ნაცნობი შენობის კუთხეს მიაუახლოვდა. უცებ გზა გადაუჭრა ფართო ეზოდან გამოქროლილმა ორმა მსუბუქმა ავტომანქანამ, ძლივს მოასწრო გვერდზე გახ-

ტომა და თვალის შეევლება. არა, ჩერვიაკოვი არ იჯდა შიგ. წინ ვიღაც სათვალიანი მამაკაცი გაჭიმულიყო მედიდურად, უკან კი რამდენიმე სამხედრო ქუდიანი პირი იჯდა. გიმნასტურები ეცვათ, ყაწმის ღვედები მხრებზე გადაეჭიმათ. სწრაფად გაქანდნენ საითკენღაც ჭუჩაში, ტრამვაის თაგის დავლით. ფართო ეზო ისევ გამოცარიელდა, არც კართან, არც მინის ფანჯარაში ხელიერი არ ჭაჭანებდა, პეტროკი დაიბნა კიდეც: ახლა რა უნდა ვქნა, — შენობაში ხომ არ შევიდეო? რა თქმა უნდა, დილით უნდა ეკითხა, როცა აქ კაცი იდგა. ახლა კი როგორ მოიქცეს? იდგეს აქ, კარზე დააკაკუნოს თუ პირდაპირ შეაღოს კარი?

პეტროკმა გაუბედავად დააბიჯა კიბეზე, თითქოს ლანჩებით სინჯავდა ყოველ საფეხურს. ფართო, ქვის კიბით მაღლა ავიდა და იქვე, მახლობელ კარს მიადგა. შემთხვევით შეეხედა მინაში და შიშით შეკრთა — კარიდან ვიღაც ქანცგაწყვეტილი კაცი შემოსცქეროდა: ჭალარა წვერი ჯაგარივით მოსდებოდა სახეზე, ტუჩები ტანჯვით მობრეცოდა, შუბლი ოფლით დაცვაროდა და სიცხისაგან ოფლდასხმულ ცხვირის წვერზე წვინტლი ეკიდა. პეტროკმა მოიწმინდა ოფლი, ცოტა შეიცადა, გაუბედავად შეეხო კარის ფართო სახელურს და მაგრად მოჰქაჩა, მაგრამ კარი არ დაემორჩილა. მაშინ პეტროკი გარედან მიაწვა, მაგრამ ისევ ამაოდ. ამ დროს მინის იქით რაღაც ჩრდილი გაკრთა და პეტროკს მოესმა ყრუ, გაურკვეველი ლაპარაკი — რასაკვირველია, ეს იყო მილიციელი, ნაცნობი თეთრი პერანგი რომ ეცვა და თეთრი, საჩიხქვემოთ ვარსკვლავმიბნეული ქუდი ეხურა. იგი რაღაცას ამბობდა, მაგრამ პეტროკს არ ესმოდა და ისევ კარის შეღებას ლამობდა. მაშინ მილიციელმა განზე გაბიჯა და პეტროკის გვერდით თავისუფლად გააღო გვერდით მდებარე კარი.

— რა გინდოდათ, მოქალაქე?

ეტყობა, ეს დილანდელი ახალგაზრდა კი არა, სხვა მილიციელი იყო, სიმპათიური შესახედაობის, შავთვალწარბა, ნაგანის ფართო ღვედი კოხტად რომ გადაეჭიმა მხარზე. მკერდის მარცხენა მხარეზე ჩუმად უწკარუნებდა რაღაც ნიშანი, ხელით კი ღია მძიმე კარს იჭერდა, შემოდითო, ეპატიჟებოდა პეტროკს. მაგრამ პეტროკს უკვე აღარ სურდა შესვლა, მას ჩანთა ფეხებთან დაედო და მთრთოლვარე თითებით საჩქაროდ იხსნიდა ოფლით გაპოხილ ჯიბეს, საიდანაც ფრთხილად ამოაძვრინა შუამდგომლობის დაჭმუჭნილი ქაღალდი.

— მე ამხანაგი ჩერვიაკოვი მინდოდა. აი აქ წერია...

მილიციელს ცნობისმოყვარეობა აესახა სახეზე, კარიდან გამოვიდა, ქაღალდი გამოართვა და სტეპანიდას აცაბაცა ნაწერს თვალი გადააგლო.

— დაგაგვიანდა, ძიავ.

— ხომ არ დამეცადა?

— დიდხანს მოგიწევს ლოდინი.

— ჰო, — თქვა ნაღვლიანად პეტროკმა, ჯერ კიდევ კარგად ვერ ჩამხვდარიყო ნათქვამს. როგორც ჩანს, მილიციელი დასცინის. მაგრამ თუ არ დასცინის, მაშინ როგორ მოიქცეს? — კიდევ... ვალიცა მაქვს. იცით, თუმნიანი მასესხა და უნდა დავუბრუნო... .

— რა თუმნიანი, ვის?

— აი, ამხანაგ ჩერვიაკოვს. ვალი მაქვს-მეთქი მისი.

მილიციელს ლამაზ სახეზე წუხილი აესახა, თითქოს მუცელი ასტკივდაო, ეტყობა, მასაც სურდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო რაღაცას.

— ჰმ, ისესხა... ახლა რაღა გასახსენებელია ეგ! გუშინ დავასაფლავეთ ჩერვიაკოვი.

— რაო, გარდაიცვალა? აი, თურმე რა...

მილიციელს შენობაში უხმეს, პეტროკი კი ისევ კართან დარჩა. როგორც ჩანს, მართლაც მორჩა თავის საქმეებს. უკან უნდა გაბრუნდეს. მან გულმოდგინედ ჩაიჩურთა ჯიბეში სტეპანიდას ბედნავსი ქალალდები და კიბიდან ჩახტა აილო. გარეთ ისეთი სიცხე იყო, პეტროკს გულზე შემოუვიდა და უცებ დაავიწყდა, საით უნდა გაეხვია, რომ სადგურში მისულიყო. თავი თითქოს დაენისლა და ეს ნისლი სადგურამდე არ გაფანტვია, არც მატარებლის ბილეთის რიგში დგომისას, არც ორშისკენ მიმავალი მატარებლის ბოლოში კედლის ძირში მერხზე ჯდომისას. ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, უცხო იყო მისთვის, გულისამრევი და ძალიან უნდოდა შინ, გოლგოთის კიბეზე მდგარ, თავის ბედშავ კარმიდამოში, ღარტაფში, თავის ჭაობებსა და კოლბოხებში დაბრუნება, იმ თავის პატარა კუთხეში ამ ვეება დედამიწაზე, კაცის გახარება რომ არ სჩვევია...

25

იმ ღამით სტეპანიდას თითქმის არ უძინია, დროდადრო თუ წავიდოდა ბუნანში, თავი ფიქრებით ჰქონდა დამძიმებული, უფრო მეტად კი აღშფოთებული და შეურაცხყოფილი იყო და იმიტომ: ეს რა ჩაიდინეს იმ არამზადებმა! თუმცა სტეპანიდას რატომღაც მათი არ ეშინოდა. გადამთიელი გერმანელების შიში ჰქონდა, მაგრამ ესენი ხომ მისიანები იყვნენ, პატარაობიდან იცნობდა, და კარგად კი იცოდა, რა ხალხიც იყო, ვერაფრით ვერ ეგრძნო მათდამი შიში. გუჟისაც კი არ ეშინოდა. ასე ეგონა, ეს კაცი უფრო მეტად ყვირის, აშინებს და იმუქრება, თორემ ცუდის გამკეთებელი მაინც არ არისო. ისინიც კი, კინალამ რომ მოკლეს სტეპანიდა, თუმცა უცნობები, საიდანღაც მოხეტებულები არიან, მაგრამ მაინც აქაური ხალხია და ჩვენებურად ან რუსულად ლაპარაკობენ. მართალია, ომია, მაგრამ ხალხი მაინც ასე რამ გამოცვალაო.

ესმოდა, ეზოში რომ სცემდნენ პეტროკს, გუჟი რომ მიდი-მოდიოდა, ეცადა წამომდგარიყო, მაგრამ თავბრუ დაეხვა და, რომ არ დაცემულიყო, ისევ დაწვა. ცრემლგამშრალი თვალებით შესცქეროდა გამჭვარტლულ ჭერს, ისმენდა ყვირილს ეზოდან და ფიქრობდა, არა, მათთვის ამის პატიება შეუძლებელია. ასეთი რამ არ ეპატიებათ, ასეთი რამ არავის არ ეპატიება.

თავს ცუდად გრძნობდა, ძალზე სტკიოდა, თავის მარჯვენა მხარე, უმტკივნეულოდ თმასაც ვერ შეხებოდა, ეტყობა, ის ადგილი დასივებოდა. „თავი ხომ არ გამიტეხეს?“ — ფიქრობდა შიშით, მაგრამ იმავე წამს პეტროკისაკენ გაურბოდა ფიქრები. სად წაიყვანეს? თუ არ მოკლავენ, ეკლესიის სარდაფში დამწყვდევენ, ახლა დატუსაღებულები იქ მიჰყავთ. ალბათ პეტროკიც იქ არის. მერე რა ქნა ისეთი, რომ დაიჭირეს? იმიტომ, რომ არაყით ვერ მოიგო მათი გული? ან იქნებ სტეპანიდას გამო, აქაოდა, რატომ გამოექომაგეო? ამისთვის, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ორივე დაეპატიმრებინათ. მაგრამ პირველად ალბათ სტეპანიდას დაიჭერდნენ.

მგონი, სტეპანიდამ უკვე სავსებით იგემა რაც უნდა ეგემა განგების ძალით. თითქოს ჯერ კიდევ არც ეცხოვრა ამ გაჭირვებულ, ღვთის მიერ შექმნილ დედამიწაზე. სულ რაღაცისთვის ემზადებოდა, სამერმისოდ სდებდა რაღაცას, რადგან ეს ჩავლილი წლები თითქოს უკეთესი მერმისისათვის სამზა-

დისი იყო. სპობდნენ ერთპიროვნულ მეურნეობებს, ატარებდნენ კოლექტივიზაციას, სიხარულისა და სიამის დროც აღარ რჩებოდათ, ფიქრობდნენ: აბა უშავს, როცა ყველაფერს მოვაგვარებთ, მაშინ გაგვიტკბება ცხოვრება. მაგრამ მერე ხუთწლედების შესრულება იყო საჭირო, კლასობრივი მტერს ებრძოდნენ — სულ გაჭირვებაში, შიმშილ და შფოთში იყვნენ [illegible] ზრუნავი ჰქონდათ იმაზე, თუ რა ეჭამათ, ახალი კარტოფილის [illegible] როგორ ემყოფინათ. ბავშვების ტანსაცმელი არ ჰქონდათ, ფეხსაცმელს ვერსად იშოვიდი. ძნელი იყო ცხოვრება და იმასღა ფიქრობდა, ნეტა კი შვილები წამომაზრდეინათ. მაგრამ წამოიზარდნენ ბავშვები და ომიც დაიწყო.

ვინ იცის, რამდენხანს გასტანს ეს ომი, როგორ უნდა გადაიტანოს, რომ შვილების ნახვას მოესწროს? ალბათ უკვე აღარც ერთისთვის შესწევს ძალა და აღარც მეორისათვის, აღარ შეუძლია. მაგრამ მაშ რაღა შეუძლია? რიღასი თავი აქვს?

მისდა სასიხარულოდ თუ საუბედუროდ, სტეპანიდამ კარგად იცოდა, რისი ძალაც ჰქონდა მოჭარბებულად, რაზედაც ხელს ვერ ააღებინებდნენ, გინდაც სიკვდილის პირას მიეყვანათ. თავის გაჭირვებულ ცხოვრებაში ქალმა მაინც შეიცნო სიმართლე და ნამცეც-ნამცეც მოიპოვა საკუთარი ადამიანური ღირსება. ის კი, ვინც ერთხელ თავს ადამიანად იგრძნობს, პიროტყვად ველარ იქცევა. ცხოვრებაში ბევრმა რამ, განსაკუთრებით უბედურებამ და მწუხარებამ დაარწმუნა, რომ ხალხთან სიკეთით უნდა იცხოვრო, თუ გსურს, რომ შენც ადამიანურად მოგექცნენ. ეტყობა, ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ სიკეთეს სიკეთით მიუზღავს, ბოროტებას სიკეთით ვერ გადაუხდის. ბოროტება ბოროტების გარდა სხვას ვერაფერს წარმოშობს, სხვას ვერაფერს იქმს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადამიანური მადლი უძლურია ბოროტებასთან. ბოროტება მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს და მხოლოდ სასჯელის ეშინია. მხოლოდ მისაგებელის გარდაუვალობას ძალუძს მოთოკოს მისი მტაცებლური ზნე, დააფიქროს იგი. ეს რომ ასე არ იყოს, დედამიწაზე ისეთივე ქაოსი გამეფდებოდა, ბიბლიაში რომ არის აღწერილი.

სტეპანიდას ხშირად გაეგონა გერმანელებზე: კულტურული ერი არისო. იქნებ სხვა საქმეში კულტურულებიც არიან, მაგრამ განა კულტურული ადამიანი თავს ნებას მისცემს, ასე აშკარად ძავაზაკოს, როგორც გერმანელები იქცევიან? სტეპანიდას არ წაუკითხავს მათი წიგნები, ვერც მათ დიდ პოლიტიკაში ერკვეოდა. ქალი ნაჩვევი იყო პატარათი დიდი განესაჯა, ქვეყნიერება — თავისი სოფლით, და არც ცდებოდა. იცოდა, რომ კარგი ადამიანები უნამუსოდ არც თავის ნებით მოიქცევიან და არც იძულებით. უნამუსობა და სიფლიდე — არამზადების იარაღია. მარტო ის, რომ გერმანელები მის მიწაწყალზე შეიარაღებულები მოვიდნენ, იმას ნიშნავდა, რომ სიმართლე მათ მხარეზე არ იყო. მართალ კაცს იარაღი არ სჭირდება. გარდა ამისა, საკმარისია ნახო, ვისთან ერთად არიან, რომ მიხვდე, ვინ არიან თავად. სტეპანიდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაემორჩილება მათ, რადგან თავად ადამიანია, ისინი კი მხეცები არიან.

ტკივილებით გაწამებულ სტეპანიდას ცოტათი ჩასთვლიმა, ის კი არადა, იქნებ წაეძინა კიდეც. მაგრამ სადღაც ახლოდან ძაღლის ყეფა ჩაესმა და შეკრთა, რუდაა ყეფდა ეზოში, მგონი შეშისსაპობთან. მაგრამ ვის უყეფდა ძაღლი, ვინ გაივლიდა ახლა ქოხის მახლობლად? შეშფოთებულმა ქალმა თავი წამოსწია და ღუმლის იქიდან გამოიხედა. ქოხი მთლად ჩაბნელებული

იყო, ძლივს ბეუტავდა შელი ჰოპირდაპირე ფანჯარაში და სწორედ იმ ფანჯარაზე მოაკაკუნეს ჩუმად და დაჟინებით.

სტეპანიდას გული შეუქანდა, შეეცადა წამოდგომას, ორივე ხელით მოეჭიდა ღუმელს და ფანჯარაზე თვალმიშტერებული ღუმელს იქიდან გამოვიდა, მაგრამ ფანჯარაში არაფერი ჩანდა. თუმცა ჩუმი კაკუნი ისევ ისევ ... ნებით განმეორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ არის მანდ? — აკანკალებული ხმით იკითხა ქალმა და გაირინდა.

— გაგვიღე. დედილო. თქვენიანები ვართ.

— რა გინდათ?

— გაგვიღე, რა!

— არ გაგიღებთ. მარტო ვარ ქოხში ავადმყოფი ქალი, ვერ გაგიღებთ.

რუდკამ, ეტყობა, პატრონის ხმას მოჰკრა ყური და უფრო თამამად აყეფდა, ახლოს მოვარდა ზღურბლთან. სტეპანიდას ისიც უნდოდა ეთქვა, რომ პეტროკი არ არის შინ, რომ არაყი არ გააჩნიათ და სარკ ექნებათ, რომ არ არის კარგი ღამით მიუკაკუნო ავადმყოფ დედაბერს, მაგრამ იფიქრა, ჩემი სიტყვები მათ ვერ შეაჩერებსო. იქნებ ახლავე შემოამტვრიონ კარი ან ფანჯარა და წუხანდელი ხელახლა განმეორდეს. მაგრამ, მისდა გასაოცრად, მეტად ადარ დაუკაკუნებიათ, ჩუმად მოითათბირეს ერთმანეთში რაღაც და, ეტყობა, წავიდნენ, რადგან რუდკა ახლა შორიდან ყეფდა — ღობესთან თუ ცაცხვებქვეშ, ჭიშკართან. სტეპანიდა ერთხანს იდგა და ყურს უგდებდა, მერე იფიქრა, ეს პოლიცია არ იქნებოდაო. აბა მაშ ვინ იყო? ეტყობა, არც აქაურები იყვნენ, იმიტომ, რომ რუსულად ლაპარაკობდნენ. ვინ უნდა ყოფილიყვნენ? იქნებ წითელარმიელები ან პარტიზანები? ამ ერთი კვირის წინ ყური მოჰკრა, ზაბერედინის ტყეებში დიდი პარტიზანული ძალა იყრის თავსო. ერთ წყნარ ღამეს იმ მხარეს ნახევარი ცა აბრიალდა, რაღაც ზღართანით ჩამოვარდა და მთელ ტყიან მხარეს გრგვინვის ექომ გადაუარა. მაშასადამე, პარტიზანებს, წითელარმიელებს, პარტიულებს არ სჭირდებათ, რაღაცას უმზადებენ ამათ, არა, არაფერს შეარჩენენ გერმანელებს. იქნებ ფეოდორიც ურევია მათ შორის, რაიმე ამბავს მოუტანდნენ ბიჭისას. ოჰ, რა ქნა ეს, სულელმა! ქოხში უნდა შემოეშვა ისინი.

ამ პატარა ამბავმა მთლად შეაშფოთა სტეპანიდა, ფანჯარასთან მივიდა და დაორთქლილი ფანჯრიდან ყურმიგდებული გასცქეროდა შემოდგომის ღამის წყვდიადს. არა, არსად აღარავინ ჭაჭანებდა. რუდკაც დამშვიდდა, ეტყობა, სტუმრები უკვე შორს იყვნენ.

სტეპანიდას აღარ დასძინებია და არც უცდია დაძინება. დანარჩენი ღამე ფანჯარასთან მჯდომმა გაატარა, აქედან აყურადებდა გაურკვეველ სიჩუმეს. თავი ისევ სტკიოდა, მაგრამ თითქოს შეეგუა ამ ტკივილს; ფანჯრებში რომ განთიადი გაიკრიცა, მაშინღა ადგა. იგრძნო, რომ მეტად აღარ შეუძლია იჯდეს ხუტორში და გაურკვევლობით ეწამოს. ისიც ეყოფა, რომ არ იცის რამ ჩაყლაპა ფედია და ფენია, ახლა კიდევ — პეტროკიც. არა, სადმე უნდა წავიდეს, რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

რუდკა მიყუჩებულიყო ხუტორში ან იქნებ გაქცეულიყო კიდეც აქედან. განთიადისას კი გადაღობილში გოჭი აწრიალდა. სტეპანიდას კედლიდან მოესმა მისი წრიალი და გააბსენდა — მეორე დღე იყო, უჭმელი ჰყავდა. გოჭზე საზრუნავმა ძალა შეჰმატა, ქოხიდან წინკარში გამოვიდა, ხელით მოიძია ზღურბლთან ძველი თუჯია და დოლაბებიდან ახვეტილი ქატო ჩაყარა შიგ. ფრთხილად,

გაუბედავად გამოაღო კარი, რომელიც თურმე გუშინდელს აქეთ არ დაუკეტია და ისევ მოაგონდა, წუხელ ფანჯარაზე რომ მოუკაკუნეს. მათ თურმე კარის შემოღება არ უცდიათ. არა, ესენი პოლიციაები არ იქნებოდნენ, ვინმე უცხოებმა თუ შემოიარეს. ისევ ააფორიაქა სინანულმა: რატომ არ შემოვუშვი ქოხში. ხელიდან გავუშვი ერთადერთი შემთხვევა, ფელეტონი [illegible] გამეგო.

სტეპანიდამ გოჭს საჭმელი დაუდგა, მაგიდაში კვერცხი [illegible] რუდკასთვის, მერხზე დაჯდა და დაფიქრდა: აწ როგორღა მოვიქცეო? ჯერ თავად პეტროკის ამბავი უნდა გაეგო, თუკი მისი ქმარი კიდევ ცოცხალი იყო. მაგრამ ამას მხოლოდ დაბაში თუ გაიგებდა, აქ აბა ვინ რას ეტყოდა? მაშ, დაბაში უნდა წავიდეს.

ცოტა ხანს იჯდა, მერე წამოდგა და საკუჭნაოში გავიდა. კასრის ფსკერზე მარილში ორი ნაჭერი ქონი დარჩენილიყო, ერთი ამოიღო, ქვითკირის ღუმელს იქით, გატეხილი დოქის ძირში ხუთიოდე კვერცხი ისევ ელაგა, თაროზე შარშანდელს აქეთ იდო ალუბლის ნაყენის დამტვერილი ბოთლი, ყველაფერი ეს პატარა მსუბუქ კალათაში ჩააღაგა, ამ კალათით დადიოდა ომამდე დაბაში, და წინკარიდან გამოვიდა.

გარეთ, ისევე როგორც საერთოდ ამ დღეებში, ყინავდა, ქარიანი დღე იყო, მაგრამ ალარ წვიმდა, ალბათ განთიადისას თუ გადაიღო. ეზოში და გზაზე ტალახი იდო. სტეპანიდას თავი ისევ სტკიოდა, დაღუნვა უჭირდა, თავზე თბილი თავშალი მოიხვია და ბამბუღა ყველა ღილზე შეიკრა. ფეხზე ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა და ყინვების დაწყებამდე ფეხშიშველი დადიოდა, მერე კი ჯლანებს იცვამდა ან კიდევ ზაფხულში გამომხმარ ქალამნებს, სადღაც, ღუმელს იქით რომ ეყარა. ახლა, ამ ტალახში ქალამნებს ხომ არ ჩაიცვამდა და ფეხშიშველი დაადგა შარაგზას. ქოხი არ დაუკეტია, ბოქლომი ვერ იპოვა, ამიტომ ნახვრეტში ნაფოტი გაუყარა, მოსაპარი ალარაფერი ჰქონდა, პოლიციაებს კი რა ბოქლომი შეაკავებდა.

კიდე-კიდე მიუყვებოდა გზას, ხან ტალახში მიტოპავდა, ხან სველ ბალახში, თავქვე რომ დაეშვა, მოყვითალო გუბეს შემოუარა და შარაგზაზე პატარა მიწაყრილზე ავიდა. აქ მას მერე არ ყოფილა, მუნჯმა იანკამ ფიჭვნარს გადაღმა გერმანელები რომ დაინახა. ახლალა შეამჩნია, რომ ბევრი რამ შეცვლილიყო. ჯერ ერთი, ბოძებზე მაღლა გაჭიმული სადენები ისევე გუგუნებდნენ, როგორც ომამდე, და უკან დახევისას კი დაწყვიტეს. მაშ უკვე გაუკეთებიათ ტელეფონი, რომლითაც ახალი, გერმანელი ბატონები ლაპარაკობენ. შარაგზა ოთხთვალების, ავტომობილების ბორბლების, ცხენების ფლოქვების და ადამიანების ფეხის ახალი ნაკვალევებით იყო ერთიანად გადათხრილი. მაშ ხიდიც გაუკეთებიათ. იქვე მახლობლად, წინ, ფიჭვნარისაკენ საზიდარი იძროდა. თეთრი ცხენი მარდად მიაბიჯებდა ხელნაში. ხოლო საზიდარზე მჯდომი გლეხი ერთთავად მათრახს უქნევდა და კიდევ უფრო სწრაფად მიერეკებოდა. სტეპანიდამ იფიქრა, ვერ მოვუსწარი, თორემ ამ საზიდარს გავყვებოდი, და უკან მოიხედა, კიდევ ხომ არ მოდის რამეო.

უკან მეტი არაფერი მოდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ წინ, ფიჭვნარის მოსახვევიდან გამოიჭრა მანქანა, რომელსაც კიდევ მოჰყვა მეორე მანქანა და მერე მესამეც. სტეპანიდას ეზოში რომ ედგა, იმ მანქანაზე მომცრო მანქანები იყო, მაგრამ ისეთივე მძიმე და ზორზოხები, პირთამდე დატვირთულები. სტეპანიდა თხრილში გადავიდა, რომ მათ თვალს მოშორებოდა, და წინ მინას

მიაშტერა მზერა, ცდილობდა გაერჩია, ვინ იჯდა შიგ: თუმცა აბრეშუმივალებულ მინაში სახეები კარგად არ ჩანდა, მაგრამ იმას მაინც მიხვდა, რომ მანქანაში გერმანელები ისხდნენ: მოჩანდა მუქი, ფერადდანაკერებიანი საყელოები და საამბრეულების ღია ფერის კუთხეები მათ მხრებზე. შოფრის გვერდით მჯდომს კი მაღლა მოეგდო ქუდი. პირველმა მანქანამ გვერდით ჩაუქროლა სტეპანიდას და ბენზინის ბოლი მიაფრქვია. მას მეორეც მოჰყვა, ხოლო მესამეს ღია ძარაში ქალმა სამ ახალგაზრდა გერმანელს მოჰკრა თვალი, იქიდან მუსიკის საამო ჰანგები მოისმოდა — ერთი მათგანი ჩუმად უკრავდა პატარა გარმონზე, პირთან რომ მიედო. მანქანა რომ სტეპანიდას გაუსწორდა, ჭაბუკმა გერმანელმა, მხიარული, ქარისაგან აღაჟღაჟებული სახე რომ ჰქონდა, დაუყვირა:

— მატკა, გიპ იაიკა!

— მატკა, შპეკ! — აიტაცა მეორემაც და სტეპანიდას რაღაც თეთრი ნაკბეჩი, ნაჭურჩალი ესროლა, რამაც ქალამდე ვერ მიატანა და ქუჩის ტალახში მოიღო ტყაპანი.

სტეპანიდას კრინტიც არ დაუძრავს პასუხად, შესცქეროდა, ამ მხიარულმა და თავგასულმა ჭაბუკებმა როგორ ყოყოჩურად ჩაუქროლეს გვერდით მას, გაწამებულ დედაბერს, სხვის დედას, რომელიც კინაღამ მოკლეს ამ ორი ღამის წინ, და ძალვიც არ შესტოკებია სახეზე. იქნებ უცნაური კი იყო, მაგრამ ახლა ქალს აღარ ეშინოდა მათი და რომ გამოლაპარაკებოდნენ, ალბათ სიტყვასაც არ ეტყოდა პასუხად. სტეპანიდას შემეცნებაში ეს ხალხი მაინც ვერ იქცა ხალხად, ურჩხულებად დარჩა, რომლებთანაც ლაპარაკი ამაო იყო. ქალმა ინანა კიდეც, იმ ღამით ჭაში კიდევ სხვა რამეც რატომ არ ჩავაგდეო, ქოხი რატომ არ გადავწვიო — გამობუგულიყვნენ შიგ თავიანთ ოფიცრიანადო. მაშინ ძალიან ფრთხილად ვიქცეოდი მათთან, მეტისმეტად მეშინოდაო. მერე რატომო? განა ახლა შიშია კაცის მეგზური? აი, როგორ ეშინოდა პეტროკს, მათი გულის მოგებასაც კი ცდილობდა, იქნებ ავიცდინო ყველაზე უარესიო, მაგრამ რას მიაღწია ამით? უმიზეზოდ დაიჭირეს და ალბათ ან მოკლავენ, ან ჩამოახრჩობენ.

რამდენი სიმწარე უგემია სტეპანიდას პეტროკის ხელში, რამდენჯერ მოსელია მასთან ჩხუბი, მაგრამ ახლა ისე ეცოდება, ლამის იტიროს. აბა რა დაუშავა კაცმა გერმანელებს? ვის რაში შეეცილა? თუ ვინმეს არ დახმარებია, მხოლოდ იმიტომ, რომ ალბათ არ შეეძლო, მაშასადამე, ხასიათი აქვს ასეთი. მაგრამ ცუდის გაკეთება მას არ შეუძლია. ახლანდელი დროისათვის მეტისმეტად კეთილი კაციც არის, ის კი არადა, ძველი დროისათვისაც. ისეთი ბუნებისაა, თავისას გაგატანს, შენი კი არ უნდა. უფრო ადვილად დათმობს, ვიდრე საწადელის მიღწევას ეცდება. არც ჩხუბი უყვარს, ოღონდ მშვიდად ამყოფე და სხვა არა უნდა რა. მერე განა სიმშვიდით ცხოვრებაში რაიმეს გაიტანს? პეტროკს არც არაფერი გაუტანია.

სტეპანიდას მოაგონდა ოდესღაც მინსკში, ჩერვიაკოვთან რომ გააგდო პეტროკი და ეს უკვე მერამდენედ იგრძნო სინდისის ქენჯნა: აბა რა პეტროკის საქმე ეს იყო? მაგრამ თავად არ შეეძლო წასვლა — მთელი კვირა-ნახევარი ცალ ფეხზე დაჩლახუნებდა ეზოში.

კარგა ხანია პეტროკზე ეჭვობდა: იქნებ არც გადაუცია ქალალდი? იქნებ ვერ ნახა, ან ვერ მიუსწრო, ან დაფრთხაო?! შეკითხვებით გული გაუწყალა, მაგრამ პეტროკი მაინც თავისაზე იდგა: მილიციელს მიეეცო. ერთი სიტყვით,

ყველაფერი მოგვარებულია, ახლა მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო — უნდა დაველოდოთო.

თუმცა ლოდინი სტეპანიდას არ სჩვეოდა და როგორც კი [illegible] მორჩენის გზას დაადგა, ჯოხდაბჯენილი გავარდა დაბაში, დალანძლა [illegible] ხელმძღვანელობა, მასაც დაემუქრნენ, ლევონს შენც მიგაყოლებენ, მაგრამ არ შეშინებია. სტეპანიდა მასწავლებელსაც გამოექომაგა, აი იმას, [illegible] სოფლის დირექტორი რომ გახდა, — ამას წინათ გერმანელებმა რომ ჩამოახრჩვეს, მაშინ კი მასწავლებელი ერთი თვის მერე ჩამოვიდა პოლოცკიდან დაბაში. გამოუშვეს. იქნებ დამნაშავე არ იყო და იმიტომ, ან იქნებ სტეპანიდას გამოქომაგებამ უშველა. ხელი წააშველა თუნდაც — ზოგჯერ წყალწაღებულ კაცს ჩალაც უშველის.

თუმცა ლევონი აღარ დაბრუნებულა, ეტყობა, დაიღუპა. ახლა ლევონის დარდი ვისა აქვს.

გერმანელები ადამიანებად არ თვლიდნენ მათ, ისე უყურებდნენ და ეპყრობოდნენ, როგორც პირუტყვს, ალბათ საჭიროა ასევე მოექცეს გერმანელებსაც. სიძულვილით, ზიზღით, ქედმოუხრელად, საცა კი გაგივა. მით უმეტეს, რომ სხვანაირად მათთან მოქცევა კარგს არაფერს გიქადის. ამაში სტეპანიდა პეტროკის ამბავმა დაარწმუნა.

შარაგზით გადაიარა ქალმა ნაძვნარი, მოსახვევში ქვიშაში ღრმად ამოთხრილ ორმოს დახედა და ბოლოს შორიდან დაინახა დაბის განაპირა სახლები, სახანძრო კოშკის სახურავი და ჭუჩის გადმომყურე გაშიშვლებული ალვის ხეები. ზოგ საკვამურიდან ჭარი კვამლის ნაცარა ბოლქვებს გლეჯდა. დილა იყო, დაბაში ღუმლები ენთოთ. მას მერე, რაც ებრაელები ამოხოცეს, ბევრი ქოხი დაცარიელდა, ზოგში ვიღაც ვიგინდარები შესახლდნენ ან კიდევ პოლიციამ დაიკავა. გარეგნულად ცოტა რამ შეიცვალა დაბაში, სადაც ალბათ ახლაც ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობს. ომამდე რომ იყო, ისეთი. სამაგიეროდ შარაგზა კი შეცვლილიყო — გზის მიწაყრილი ახალი იყო, მდინარეზე ახლად აგებული ყვითელი ხიდი ჩანდა — შუაზაფხულს აქეთია, რომ არ ჰქონიათ აქ, მიწაყრილიც მაშინ ყუმბარებით იყო დანგრეული, გეგონებოდა, ღორებს აუჩიჩქნიათო. ახლა კი, ხედავ, ალუმართავთ. ახალი აუგიათ, რომ იმგზავრონ, მანქანები ალმოსავლეთისაკენ, ფრონტისაკენ გალალონ, არმიას ყველაფერი საჭირო მიაწოდონ. ეტყობა, ბევრი სჭირდება არმიას, რაკი აი ასეთი პატარა შარაგზაც გახდა საჭირო, დაჭაობიანებულ პატარა მდინარეზე გადებული მოკლე, ოცი ნაბიჯის სიგრძე ხიდითურთ. ეტყობა არ იქნებოდა უიმისობა.

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სტეპანიდა ხიდს და ერთგვარი შინაგანი ძრწოლით გადადგა ნაბიჯი ახლად დაგებულ თეთრ ფიცრებზე, ხელით მოსინჯა გარანდული მოაჯირი. ყველაფერი ხისა იყო, უხეშად და მტკიცედ ნაჭედი, მსხვილი ჭანჭიკებითა და ქანჩებით შეკრული, ეტყობა, სადიდხანოდ ნავარაუდევი. მაშასადამე, აივლ-ჩაივლიან ამიერიდან ამ ხიდზე გერმანელები, პოლიციელები ხალხს დაიჭერენ და ამ ხიდით გადაატარებენ დაბამდე, ვის ტელეფონის ბოძებზე ჩამოჰკიდებენ, ვის ეკლესიის სარდაფში გამოამწყვდევენ ან დაბის იქითა მხარეს კარიერში ჩამარხავენ. ძალზე საჭირო ხიდია, კაცი ვერაფერს იტყვი, სიცოცხლეს გაგიმწარებს, ისეთია.

მერე რა კარგი იყო იმ რამდენიმე თვეს, აქ რომ შიშველი ხიმინჯები ჩანდა ამოჩრილი, მიწაყრილების ხვიმირებს პირი დაეღოთ და ყოველი

გამვლელი როდი გაბედავდა ორიოდე მონჯღრეული ხარიხის იმედით მდინარის მეორე ნაპირას გადასვლას. მაშინ ცოტა ხნით მაინც იცხოვრეს მოსვენებით, ღამღამობით არავინ უმტვრევდათ კარს, გერმანელები ხუტორში კი არა, ვისელკიშიც არ ჩანდნენ. ახალი ხელისუფლება აქამდე ვერ წვდებოდა.

სტეპანიდამ ხიდი გადაიარა და უცებ ფეხი შეაჩერა, რადგან ახლად გაუელვა: რა მოხდება, ეს ხიდი რომ გადავწვაო?! რაც უნდა იყოს ომი, იქნებ წაბრიალებოდა ცეცხლი, დამწვარიყო და დადგებოდა ისევ ისეთივე ლაღი ცხოვრება, უიმისოდ რომ იყო. მართლაც, ფიცრებს რომ ნავთი მოასხას, აი ის, პეტროკმა დაბაში რომ იშოვა...

სტეპანიდა კვლავ ხიდზე დაბრუნდა და შიშველი ფეხებით ალაგ-ალაგ მოსინჯა ფიცრები — არა, ჭირი მაგას და, ეტყობა, იმისთანაა, ვერ დაწვავ. ზაფხული რომ იყოს, კიდევ ჰო, ახლა კი სველია, ნოტიო და თანაც ნედლი ხისა, არ წაეკიდება ცეცხლი... აი ყუმბარა რომ მოატანინა აქ!.. ამ მოულოდნელმა აზრმა ისე გააოგნა სტეპანიდა, ალარც ახსოვდა, გზას რომ ადგა და ისიც ველარ გაეხსენებინა, სად მიდიოდა და რისთვის. მოაგონდა, ამას წინათ რა უთხრა პეტროკმა, უცებ გონება გაუნათდა და მიხვდა, მართალი იყო მისი ქმარი! სტეპანიდა ძალიან კარგად იცნობდა ვისელკელ კორნილას და დიდი დარწმუნება არ ჭირდებოდა იმაში, რომ ყუმბარას სწორედ ის ჩაიგდებდა ხელთ. მაგრამ კორნილა... ან იქნებ ახლა დაიყოლიოს სტეპანიდამ? ძალიან კი შეეხვეწება!

სტეპანიდა შარაგზითვე უკან გამოტრიალდა, მდინარის ნაპირიდან ფიქვნარისაკენ გადაუხვია, იმის იქით კი, იახიოვშჩინას პირდაპირ მეორე მხარისაკენ მოსახვევი იყო — ბორცვით ახვიდოდი და ვისელკის მიადგებოდი.

შარაგზაზე არავინ შეხვედრია, მხოლოდ უკან, შორს მოჩანდა ვიღაც აჩქარებით მიმავალი, დაბელი ვინმე თუ იყო. ვისელკის გზაზე რომ გავიდა, მაშინვე შემოხვდა მისი კბილა ალექსანდრინა. ორივენი ერთდროულად გათენდნენ, ორივემ ზამთარში, ნათლიღებას დაიწერა ჯვარი ეკლესიაში. ისიც მოაგონდა, რომ იმ დღეს ალექსანდრინას მამის შავრა ულაყს სწორედ ამ ხიდზე დაგებული ფიცრის ხვრელში ჩაუვარდა ფეხი და მოიტეხა, ისეთი ურგები ხიდი იყო. ალექსანდრინას თავშლის ბოლოები იღლიაში გამოეკრა, ნელა მოდიოდა და ხელში აყვანილი მოჰყავდა სუსტი, გამხდარი, ძალზე თბილად ჩაცმული ბიჭუნა. ერთმანეთს მიესალმნენ.

— რა ხანია არ მინახიხარ, სტეპანიდა, სადა ხარ და როგორ ცხოვრობ?

— არა მიშავს, იცი... ახლა ყველა ერთნაირად ვართ, — ცოტა არ იყოს, დაიბნა სტეპანიდა ამ უეცარი მოკითხვით. არ იცოდა, რა ეპასუხა და საჩქაროდ კითხვითვე მიუბრუნდა. — შენ როგორღა ხარ?

— ოჰ, სტეპანიდა, დიდი სადარდებელი დამატყდა თავს, აი, ბიჭი ექიმთან მიმყავს, რაღაც საჭმელმა აწყინა და საშველი ალარ არის, მეხუთე დღეა იტანჯება. — ენაწყლიანად ალაპარაკდა ალექსანდრინაც. მაშინვე მიავიწყდა თავისი კითხვა. — ესღა მაკლდა, ახლა ისეთ დღეში ვარ, — ქალმა შიშით გახედა გზას და ჩუმად უთხრა: — იცი, ჩემი ვიტია დაბრუნდა, მეთაურია, ძლივს გათავისუფლებულა...

— ვიქტორი! რაო, ომიდან დაბრუნდა? — გაოცდა სტეპანიდა.

— ოჰ, რას ამბობ, რა ომი! ძლიერი კონტუზია აქვს, თავი სტკივა, ხელები უკანკალებს, ოჰ, რას ჰყვება, რომ იცოდე, რა სიმწარე უნახავს ფრონტზე...

— გაჭირვება, არა?

— ოჰ, ნული იტყვი! თურმე ტანკებით სრესენ ხალხს, ჩვენებს კი შაშხანების მეტი არაფერი გააჩნიათ, ჰოდა... ტყეში მიმოიფანტნენ, ზოგი ტყვედ ჩავარდა, ზოგი კიდევ შინ დაბრუნდა, ვინც ახლოს იყო...

— უყურე ერთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეპანიდა ყურს უგდებდა, მაგრამ უნებლიეთ კი დაიძაბა, ამ თავის ძველი ამხანაგის ლაპარაკიდან რაღაც არ დაუჯდა ჭკუაში, გაიფიქრა, ვიქტორი თუ დაბრუნდა, ჩემი ფედკა სადღაა? ფედკა ისეთია, შინ არ გამოიქცევა, არც ტყვედ დანებდება, და რაკი მისგან არაფერი ისმის... მაშ უკვე ცივ მიწაში წევს მისი ფედკა.

გული ეტკინა შვილზე სტეპანიდას და ალექსანდრინასი შეშურდა: კანტუზიანი კი არის, მაგრამ ხომ დაბრუნდაო. ალექსანდრინას ამ უფროსის გარდა ხუთი კიდევ ჰყავს შინ, მისი ქოხი სავსეა ბავშვებით, სტეპანიდასი კი გამოცარიელებულია. ორი შვილი ჰყავდა და ისინიც... ალარავინ შემორჩა!

ასეთ ნაღვლიან ფიქრებში გართულმა მიაღწია ვისელკის, მაგრამ ჭუჩას კი არ გაუყვა — ბოსტნების თავიდან ბილიკზე გადაუხვია და იქვე, მახლობლად, ნეკერჩხლის ძირში შეყუჟულ ბელელს მიადგა, აქედან ხელის გაწვდენაზე იყო კორნილას ქოხი. ათი წელი იქნებოდა, სტეპანიდა კორნილასთან არ მისულიყო, კოლექტივიზაციის მერე ალარ მიუკითხავს და ახლა ნახა, რომ ამ ხანში კორნილას კარმიდამოს სიძველე კი არ დატყობია, განახლებულა კიდეც. მაღალი, კოხტა ღობის იქით ჯაჭვმა გაიელარუნა და ავად აყეფდა ძალლი: სტეპანიდა შედგა. შეეშინდა ახალი ფიცრებისაგან შეკრული მაგარი ჭიშკრის შელება. იფიქრა, ალბათ გამომხედავს ვინმეო. არ უნდოდა, ვანძია გამოსულიყო, კორნილას მაღალი, გამხმარი ცოლი, რომელთანაც თავიდანვე ვერ გააბა ურთიერთობა. ჩხუბით არ უჩხუბიათ, მაგრამ ერთხელაც არ გამოლაპარაკებიან. ერთიმეორეს. ხოლო თუ გზაზე ან დაბაში სადმე შეხვდებოდნენ, უცნობებივით დუმილით აუვლიდნენ გვერდს ერთმანეთს.

ერთ წუთს ჭიშკრიდან გასცქეროდა კორნილას ქოხს, ლამაზ პარმალს, პატარ-პატარა შემინულკვადრატებიანი ვერანდა რომ ჰქონდა და ახალი ჩალის სახურავით იყო გადახურული; ირგვლივ ერთთავად საკარმიდამო მინაშენები მოჩანდა ნაირ-ნაირი ბოსლები თუ საკუჭნაოები. სტეპანიდამ გაიფიქრა, წმინდაწყლის კულაკური კარმიდამოაო. ცუდად როდი დასახლებულა კორნილა, თუმცა ღმერთმა იცის, სად მუშაობდა — დაბის სახანძროში მგონი, მაგრამ, რაც მთავარია, ეტყობოდა, დრო ბევრი ჰქონდა. ხოლო მუყაითობა ამ კაცს მუდამ თავს გადასდიოდა.

კორნილამ სადღაც გვერდიდან, მიშენებული ფარდულის კუთხიდან გამოჰყო თავი. შორიდან მოაჩერდა და სტეპანიდამ ამ შავწვერა, მხარბეჭიან კაცში ძლივს იცნო კორნილა, უნდობლად ჩაფიქრებული ნელა რომ მოვიდა ჭიშკართან და ორი თუ სამი მძიმე რკინის საკეტი გადასწია.

— თითქოს ციხესიმაგრეში ცხოვრობ, — გაეხუმრა ქალი, თუმცა სახე სერიოზული ჰქონდა. ეტყობა, კორნილამ იგრძნო, რომ ხუმრობა ნაძალადევი იყო და არაფერი უპასუხა, ისე შემოუშვა ეზოში. მერე ასევე გულმოდგინედ ჩაკეტა ჭიშკარი. — საქმე მაქვს შენთან, — უთხრა სტეპანიდამ. — მაგრამ იცოდე, არავინ...

— ჰო, წამოდი საკუჭნაოში. სწორედ იქ...

კორნილა აუჩქარებლად წაუძღვა სტეპანიდას, ჩაატარა გაავებით ბორ-
რენალი ძაღლის გვერდით, მერე წინკარის კუთხეს გაუარეს და ერთად გა-
ვიდნენ ეზოში, სადაც ბოსლის კედელთან ნებვის გროვა იყო, მერე კიდევ
რომელიღაც ყორესთან გაუხვიეს და ბოლოს თავი ამოყვეს გვერდიანი ნაგე-
ბობის ღია კართან, მოხორილი რომ იყო უთვალავი ხისა და რკინის ნამტვრე-
ვებით, ფიცრებით, ჯირკვებით, მორებით, გეჯებით; კედლებზე ეკიდა იარაღე-
ბი და რკინეულობა, კართან კი სადურგლო დაზგა იყო გამართული, დაზგას-
თან, დაბალ გეჯაზე იდო ძველი ბამბუკა, ხოლო გვერდით — საზიდრის ბორ-
ბალი, რის შესაკეთებლადაც ეტყობოდა, გარჯილიყო კორნილა. როგორც კი
შევიდნენ, მასპინძელი მაშინვე გეჯაზე ჩამოჯდა და იარაღებსა და ბორ-
ბალს წამოაგლო ხელი. კორნილა არაფერს ეკითხებოდა და ქალიც კარში
იდგა, არ იცოდა, რით დაეწყო სათქმელი.

— მუშაობ?

— ვმუშაობ. მაშ რა ვქნა...

— შინ ხომ მშვიდობაა?

— ჰო, თითქოს მშვიდობაა.

— ჩემი პეტროკი კი დაიჭირეს, გუშინ.

— ცუდია, თუ დაიჭირეს, — თქვა კაცმა კვლავინდებურად ცივი ხმით,
ბორბლიდან თავი არც აუღია, მხოლოდ მძიმე ჩაქუჩი თითქოს უფრო
მძლავრად დაჰკრა ფერსოს. — მაშ დასაჭერი ყოფილა.

— სწორედ რომ ტყუილად დაიჭირეს.

— ტყუილად არავის იჭერენ.

სტეპანიდას მაინცდამაინც არ ეხალისებოდა მასთან კინკლაობა, კარგა
ხანია იცოდა, რა მძიმე, გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგრამ მაინც ფიქრობ-
და: თუ არ მითანაგრძნობს, ეგებ გაუკვირდეს მაინცო? მაგრამ კორნილა არ
გაოცებულა, თავის ფიქრებში გაერთო ან კიდევ თავის საქმეს მიაპყრო მთე-
ლი გულისყური. ნუთუ ასეთი სქელკანიანი გახდა?

— სათხოვარი მაქვს შენთან, — პირდაპირ უთხრა სტეპანიდამ, იფიქრა,
ასე სჯობს — ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, საქმითვე დავიწყებო.

— რა სათხოვარი? — ისევ ისე ცივად, მშრალად ამოღერღა კაცმა და
დიდრონი, ღონიერი თითებით გადაუჭირა სალტე ფერსოს, თან დაძაბვისაგან
მაუდის ქურთუკის საყელოს ზემოთ კისერი გაუწითლდა.

— დამითმე ყუმბარა.

კორნილამ, მგონი, ახლაღა შეავლო თვალი ქალს ალმაცერად, მის შავ,
გაბანჯგლულ წარბებს ქვემოთ შიში გამოკრთა. გაურკვევლად ჩაიზმუვლა
რაღაც წვერებში.

— ვიცი, შენ რომ აიღე ყუმბარა. აი, ხიდთან რომ იდო, ის. ჰოდა, მე და-
მითმე-მეთქი.

— ბევრი იცი შენ, — ესღა უთხრა კორნილამ.

— დამითმე. შენ რად გინდა? ასეთ დროს გულის ხეთქვის მეტს არაფერს
მოგიტანს.

— შენ რაღად გინდა?

— მჭირდება.

— მერე ვინ გითხრა, რომ მე მაქვს?

— არც არავინ. თავად მივხვდი. მე ხომ ძალიან კარგად გიცნობ, კორნილკა.

ქალი გაჩუმდა და სუთქვაშეკრული ადევნებდა თვალს კაცის ხელში, ფართო ხელების მოძრაობას, ახალ, თეთრი ხის ფერსოს რომ ძალისძალად აცმევდა რეზინის სალტეს. კორნილამ სატეხი მოიშველია, [illegible] და ჩაქუჩის რამდენჯერმე დარტყმით ჩამოაცვა ფერსოს. მერე [illegible] ამოიოხრა.

— ჰოდა, რაო, საქონელი გინდა უფასოდ წაიღო?

— უფასოდ? — გაოცდა სტეპანიდა. მას მართლაც თავში აზრად არ მოსვლია, რა ფასი უნდა შეეძლია კორნილასათვის? ან რა საფასური უნდა გაეღო ამ საკვირველ საქონელში?

— უფასოდ ახლა რწყილსაც არ მოგაკვლევინებენ, — ჩაიბუზღუნა კორნილამ, — ისეთი დროა ახლა. ომია!

— იცი რა, ფული...

— ეე, რა ფული, რის ფული! რა თავში ვიხლი ახლა ფულს...

— აი, ორიოდე გირვანქა ქონი მაქვს, ხუთიოდე კვერცხიც...

— თქვა რაღა! კვერცხით! კვერცხი მეც მომეძებნება. საერბოკვერცხოდ!

„ჰოი, რა ძუნწი ვინმეა!“ — გულში გაბრაზდა სტეპანიდა. ეს ისევ ის ძველი კორნილა იყო, ვინცო, ასე ამბობდნენ, ზამთარში თოვლს არ მოგცემს კაცსო. კიდევ კარგი, რომ არ იუარა, ყუმბარა არ ამოიღიაო.

სტეპანიდა მიუხვდა კორნილას და გულში გაუბარდა. სხვაფრივ როგორმე მოაგვარებდა საქმეს.

მაგრამ როგორ?

— მე ასე მგონია, გერმანელებს არ ემხრობი, არა? ალბათ კაცად დარჩი.

— მე ყოველთვის კაცი ვიყავი. არც მათი მომხრე ვარ და არც სხვისი. საკუთარ თავს ვემხრობი.

— არადა, ყუმბარა კი აიღე. ეტყობა, იცოდი, რომ გამოგადგებოდა.

— რა თქმა უნდა, ვიცოდი, ხომ ხედავ, გამოადგა კიდეც ვიღაცას.

— მე გამომადგა, კორნილა!

— ჩემთვის სულ ერთია. გინდაც შენ გამოგადგეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. კორნილა ისევ ბორბალს ატრიალებდა ხელში, თუმცა გასაკეთებელი უკვე აღარაფერი ჰქონდა.

— ეგ, მაშ რა მოგცე? ფული არა მაქვს. ძროხა გერმანელებმა შემიჭამეს, ქათმები ამომიხოცეს. ხუთიოდელა დამრჩა. ჩემი ქმარი გუჟმა დაიჭირა და დაბაში წაიყვანა. რაღა უნდა გამაჩნდეს? — დაბნეული იყო სტეპანიდა.

— მერე ბურვაკი? — ჰკითხა უცებ კორნილამ და მეორეჯერ შეავლო მსუსხავი მზერა. — თუ ისიც არა გყავს?

— გოჭილა დამრჩა, ჰო. გაზაფხულისა არის, — დაიბნა სტეპანიდა და დადუმდა: გოჭს ხომ არ მომთხოვს ნეტაო?

— კარგია, რომ დაგრჩენია, — თითქოს გულგრილად უთხრა კორნილამ, წამოდგა, კუთხეში მივიდა, იქ რკინებიდან გრძელი, გაღუნული მავთული ამოფთრია და მის ლურსმნებად დაჭრას შეუდგა.

— დამრჩა, ჰო. მაშ... კეთილი, წაიყვანე გოჭი. მოგცემ.

— ნახევარი ფუთი იქნება?

— იქნება ნახევარი ფუთი. კარგი გოჭია, ნაპატიები, — ჩაწყვეტილი

ხმით შეაქო ქალმა და თვითვე გაუკვირდა, ნუთუ მიეცემ გოჭსო? მერე მე რა-ღა დამრჩებაო?

— ჰო, თუკი გოჭს მომცემ. — ცოტათი გამოცოცხლდა კორნილა. — ეს-კი, ის... ამ დროში კარგი საქონელია! მაგრამ რაში გჭირდება?

— ეს უკვე ჩემი საქმეა, მჭირდება!

— ჰო, გასაგებია. იქნებ ტყეში უნდა ვინმეს? გასავლიანი საქონელია, კარგი რამეა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კორნილა დაფიქრდა, მერე კარში გაიხედა, ძალლს დაუტატანა და სტეპანიდას ჩუმად მოუხმო ხელით, უკან მომყეო. ეზოს დაბალ ჭიშკარზე გადაძვრნენ და მოცხარის, ხურტკმელის და ახლადტანაყრილი ალუბლის ბუჩქებმოდებულ სახლს უკან ეზოში გავიდნენ. ღობის ძირში, ოროვანდებსა და ჭინჭრებს შორის კორნილამ ასწია დატკეპნილი ბარდის ფენა. გამოჩნდა ოღაც მოგრძო, მრგვალი საგანი, ბოლოში თუნუქის ნაჭერმიდუღებულ როდინს ჰგავდა. ეს ყუმბარა იყო.

— ოჰ! — თავდაჭერილი სიამაყით თქვა კორნილამ და სასწრაფოდ ისევ წაეფარა ბარდის ფენა. — ნახევარი ცენტნერი იქნება. რა ძალისა არის!

სტეპანიდა ცოტათი აღელდა, იქნებ პირველად იგრძნო, რა საფრთხეც ელოდა. მაგრამ გვიანლა იყო უკან დახევა — დაე, წაიყვანოს კორნილამ გოჭი.

— შევაბამ ცხენს... მხოლოდ რომ დალამდება, მაშინ მოგიტან.

— რასაკვირველია, სალამოს მომიტანე, — ჩუმად ღაეთანხმა სტეპანიდა.

აფორიაქებული სტეპანიდა დაბინდებამდე გამოვიდა ეზოში, ჭიშკარში გაიხედა, მესრის ძირში დადგა და და ერთთავად ვისელკის გზას გასცქეროდა. იცოდა, რომ ჯერ ადრე იყო, რომ კორნილა, სანამ მთლად არ დაბნელდებოდა, არ წამოვიდოდა, თავადვე უთხრა ეს, კორნილა კი დარბაისელი კაცი იყო და სიტყვას არ გადავიდოდა. მაგრამ სტეპანიდას გული არ უდგებოდა ქოხში, დღეს პირში ლუკმა არ ჩაედო, არც ღუმელი დაუნთია, ისე მოუთმენლად ელოდა კორნილას მოსვლას, იმიტომ, რომ ღმერთმა ნუ ქნას და — პოლიციაი რომ დასხმოდა თავს! მაშინ რაღა უნდა ექნათ ორთავეს?

სტეპანიდა პოლიციაის დღეს უკვე შეხვდა დაბაში; კორნილასაგან ვისელკიდან პირდაპირ დაბაში გასწია, მაინც მივიდა ეკლესიის აკლდამის სატუსაღოსთან. იმ ხნის განმავლობაში, რაც კი დაბაში არ ჩასულა, პოლიციაები იქ კარგად და მკვიდრად მოწყობილიყვნენ — ეკლესიის ნახევრად დანგრეულ ქვის საძირკველზე ყავრის საღგომი დაეშენებინათ, მძიმე კარი შეებათ და მის წინ შაშხანიანი გუშაგი დაეყენებინათ. სტეპანიდამ ამ გუშაგში ანტოს ნედოსეკა იცნო და გაუხარდა კიდეც, იფიქრა, ბედმა გამიღიმაო. ქალმა წვიმის დიდ გუბეს შემოუარა და მოედნიდან მაშინვე იმ კარს მიაშურა, იფიქრა, რაც შეიძლება ალერსიანად გამოეკითხავ ანტოსს პეტროკის ამბავს, იქნებ კალათის გადაცემაც მოვახერხოო. მაგრამ ნედოსეკამ შორიდანვე შეაჩერა სტეპანიდა გაბრაზებული ყვირილით:

— უკან გაბრუნდი! არ შეიძლება!

— მე ვარ, იახიმოვშჩინელი ბოგატკა, — სტეპანიდა შეჩერდა, რადგან იფიქრა, ნედოსეკამ ვერ მიცნოო. მაგრამ ნედოსეკას ბოშასავით შავტუხა სახეზე წარბიც არ შერხეულა — ისეთივე უკარება და მკაცრი ჰქონდა.

— გითხარი, უკან გაბრუნდი-მეთქი! ნება არა გაქვს.

— მე მხოლოდ ის მინდა ვიკითხო, აქ არის თუ არა პეტროკი?

— გეუბნები, აკრძალულია-მეთქი! უკან წადი!

„ოჰ, გაგაგიჟა ღმერთმა! — გაიფიქრა ბრაზით სტეპანიდამ და საგონებელში ჩავარდნილმა კალათი ხელიდან ხელში გადაიტანა. — ოღონდა ვქნა ახლა?..“

— მხოლოდ ეს მითხარი, სად ჩასვეს? — ჰკითხა ბრაზიანმა ქალმა. მაგრამ ნედოსეკა ასეთი დაბღვერილი ჯერ არ ენახა, თითქოს გამოეცვალათ, სხვა კაცი იყო. სტეპანიდა ცოტა ხანს იდგა და მერე შეეცადა შეუმჩნევლად მიახლოებოდა გუშაგს.

— ახლოს არ მოხვიდე! იარაღს გესვრი! — გამხეცდა პოლიციელი და ხელი იტაცა მხარზე გადებულ ნაცნობ შაშხანაზე, მომტვრეული და რკინით მიმოქლონებული კონდახი რომ ჰქონდა.

სტეპანიდა ცოტა ხანს ჩუმად იდგა, მერე უკან გაბრუნდა. პატარა ატალახებული მოედნის მეორე მხარეს გაემართა. აქ, კოპწიად შეთეთრებულ ქვის აივნიანი სახლი ახლა პოლიციის გამგეობას დაეკავებინა. ქალმა იფიქრა, იქნებ ვინმე ნაცნობი ვნახო იქ და იმას ვკითხოო, მაგრამ შორიდანვე კიბეზე ვილაც მაზარიანს და შაშხანიანს მოჰკრა თვალი. ეტყობა, ესეც გუშაგი იყო. გაუბედავად გადასჭრა მოედანი და ტელეგრაფის ბოძთან შეჩერდა. ბალახში, მშრალ ადგილას დადო კალათი და დაელოდა, იქნებ გუჟი ან კოლონდენოკი გამოჩნდნენ, რომ მათ ვკითხო პეტროკის ამბავი. მაგრამ თითქოს ჯიბრზე, გამგეობიდან არავინ გამოდიოდა — ალბათ არ ეცალათ ანდა იქ არ იყვნენ. სტეპანიდა მაინც იდგა ქარში, თან წვიმაც წვრილად ცრიდა. თავშალი დაუსველდა, სველი ხელები გაეყინა, მაგრამ მაინც მოთმინებით ელოდა და თვალს არ აშორებდა პოლიციის დაკეტილ კარს. მაშინვე ვერ გაიგონა ვილაცის ფეხის ხმა ტალახში და უცებ რომ მიიხედა, დაინახა მასწავლებელი სვენტკოვსკი, აჩქარებული ნაბიჯებით რომ მიემართებოდა პოლიციისაკენ. თუმცა მასწავლებელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ იცნო სტეპანიდა ან ვერ დაინახა, ის კი არადა, თავიც ჩალუნა, რომ არ მისალმებოდა. მაგრამ სტეპანიდას მოაგონდა, რომ სვენტკოვსკი არ იყო ბოროტი კაცი და როგორც უკანასკნელ იმედს, მას მიაშურა, იქნებ ორიოდე სიტყვა მითხრასო.

— გამარჯობათ..

— გაგიმარჯოთ, — მიუგო ცივად სვენტკოვსკიმ, თუმცა არ შეჩერებულა. მაშინ სტეპანიდამ ბოძის ძირში დადებულ კალათს ხელი წამოავლო და ტალახში გამოეკიდა მასწავლებელს.

— იქნებ პეტროკ ბოგატკასთვის გადაგეცათ ეს კალათი, ალბათ აქა ჰყავთ, არა?

— ჰო, აქ არის, — უთხრა სვენტკოვსკიმ, შიშით შეხედა გაამგეობის შენობას და თითქმის ნაბიჯიც არ შეუნელებია; სტეპანიდას შეეშინდა, ვაითუ ვერ შევაჩეროო, ახლავე გამშორდეს და ველარც დავეწიოო.

— იქნებ გადაგეცათ... კვერცხები დევს შიგ და ქონი...

სვენტკოვსკიმ უხმოდ გამოართვა ხელიდან კალათი თან გალეულ, ცხვირწაწვეტებულ სახეზე წვრილი თვალები შეშფოთებით მიმოაცეცა მოედანზე.

— ჰო, ახლავე გაეცალეთ აქაურობას! ახლავე-მეთქი, ჩქარა! — მიუგდო ყინიანი ჩურჩულით.

გახარებული სტეპანიდა ცოტათი შეცბა, რაკი ყოფილი მასწავლებლის სიტყვებში ფარული შეშფოთება იგრძნო. წუთით თვალი გააყოლა მის მოხ-

რილ ზერგს, მასწავლებელს შავი მაუდის პალტო ეცვა, რომელსაც ადერ ათი წელიწადია არ იხდიდა. იგი მიადგა პარმალს, შეჩერდა, ტალახიანი ჩექმა-რკინის ნაჭერზე გაიფხიკა, ქუდსქვეშოდან ერთი კი გამოხედა სტეპანიდას, კარს მიეფარა. ქალი ახლალა ჩახვდა. მის სიტყვებში რაღ ძალუნა მუქარა, რომ მასწავლებელს სიბოროტით კი არ მოსვლია ეს, არამედ თანაუგრძნობდა [illegible] იმიტომ. ეტყობა, იქ რაღაც მომხდარიყო, რაღაცისთვის მიეკვლიათ და სტეპანიდასაც ხიფათი ელოდა.

მაგრამ სტეპანიდას ახლა სახიფათოდ არ ეცალა, თავზე ხელაღებული გეგმა ჰქონდა დასახული, სულელურ რისკს ვერ გასწევდა დაბაში პოლიციების ცხვირწინ და ამიტომ ჯერ აუჩქარებლივ, მერე და მერე კი უფრო და უფრო სწრაფად გააბიჯა დაბის ქუჩით შარაგზისაკენ. ეტყობა, უნდა იჩქაროს, ალბათ დრო ცოტალა დარჩა, ხოლო საქმე და საზრუნავი თავსაყრელი აქვს. როცა გზაზე გარბოდა, იმაზე ფიქრობდა, ნეტა რა უნდა მომხდარიყო და სად მოხდაო, ჩემს სახლში თუ კორნილასთანო? ან იქნებ პეტროკს წამოსცდა რამეო? მაგრამ განა პეტროკმა რამე იცოდა? სტეპანიდამ დიდი ხანია ხელი აიღო სულელურ დედაკაცურ ჩვევაზე, ქმარს რომ ყველაფერს ჩაუკაკლაავენ ხოლმე, იქნებ იმიტომაც, რომ პეტროკი მაინცდამაინც არ იზიარებდა მის მოსაზრებებს და აშკარა უნდობლობით ეკიდებოდა ცოლის განზრახვებს. ბევრი რამ საკუთარი შიშითა და რისკით გააკეთა სტეპანიდამ, ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნდა. პეტროკი ჯერ ბუზღუნებდა, მერე კი შეეჩვია ცოლის დამოუკიდებლობასა და პირველობაც დაუთმო. ორთავენი კარგად გრძნობდნენ თავს. ღმერთს ნუ ექნა, შაშხანის ამბავი გაეგო პეტროკს, შიშით სულს დალევდა. კარგად მოიქცა სტეპანიდა, რომ ყველაფერი დაუმალა. ქალი კარგა ხანია დარწმუნდა, რომ საიდუმლოდ მხოლოდ ის ამბავი შეინახება, მარტო ერთმა რომ იცის და სხვამ არავინ ამქვეყნად, და ისიც ყოველთვის არა. ახლა ისეა მოწყობილი ქვეყანა და ხალხიც ისეთია.

სტეპანიდამ ნაბიჯი მხოლოდ მაშინ შეანელა, თავის ეზოს რომ მიაღწია. აქ შვებით მოითქვა სული, რაკი ყველაფერი უცვლელად დაუხვდა და კარის ხვრელში გარჭობილი ნაფოტისთვისაც ხელი არავის ეხლო. ქალმა იფიქრა. იქნებ სვენტკოვსკიმ ისე, ტყუილად მითხრა, რომ შეევშინებინე, ან პოლიციისთვის მოვეშორებინეო. მაგრამ დახშული ხმა კი ჰქონდა შეთქმულივით, და თითქოს გაფრთხილებაც ისმოდა მის ხმაში. ეტყობა, მართლაც რაღაც ამბავია. ალბათ კიდევ მოხდება რაიმე.

წუთით შევიდა ქოხში, მერე ეზოში გამოვიდა და კორნილას დაუწყო ლოდინი, თვალმიშტერებული გასცქეროდა რუხ ბინდს, ფართოდ გადაშლილი მინდვრის თავზე რომ დედდებოდა და მინდვრის მიღმა ბნელში ახვევდა ვისელკის ქოხებს, ბორცვზე ამავალ გზას, ტელეგრაფის ბოძების გასწვრივ შარაგზას. შედარებით კარგად მოჩანდა ხუტორისაკენ ახლოს გზის ნაწილი, მაგრამ თანდათან ისიც გამქრქალდა, წყვდიადში ჩაიძირა, მერე კი საერთოდ გაქრა თვალთაგან.

ეზოში, სტეპანიდას გვერდით, აქეთ-იქით დარბოდა დაობლებული რუდკა. ქალი რომ შეჩერდებოდა და შორეთს მიაცქერდებოდა, ძაღლიც მის ფერხთით გაირინდებოდა, თავისი ძაღლური საგონებლისაკენ ყურმიპყრობილი. სტეპანიდამ უცებ თითქოს თავისი თავი სხვისი თვალით დაინახა და გაოცდა: ეს რა ავიტეხეო? შაშხანა ხომ არაა, ჭაში რომ ჩავაგდო და მორჩა საქმე. ეტყობა, ყუმბარას ასე ადვილად ვერ შეინახავ, ხათაბალაში არ გაებას. თავი-

დათავი ის არის, ამ ავაზაკებს არ მოხვდეს თვალშიო. მერე კი იქნებ რამე გაახერხოს. ცოტა ხნის მერე, თუ საჭირო გახდა, მოიცდის, მოითმენს, თავის საათს დაელოდება: ნეტა კი ის ხიდის ამბავი გამოვიდოდეს და მერე რაც იქნება, იქნება, სტეპანიდას ათ ეშინია.

მაგრამ მაინც ეშინოდა. შეკრთა კიდეც, როცა რუდკა უცებ სიბნელეში აწკავწკავდა, დაიღრინა და დაიძაგრა. სტეპანიდამ ჩუმად დასტაცა, ფეხიც დაუბაკუნა, რუდკა მიყუჩდა და ქალიც, რაკი უკვე ნამდვილად იცოდა, ვინც მოვიდა, ჭიშკრისაკენ გაემართა. შორიდანვე მოესმა ნარვალებში ბორბლების ჩუმი რახრახი, ცხენის დაღლილი ქშენა და მალე ცის განათებულ ფონზე გამოჩნდა ხელნაში შებმული ცხენის თავი. ხოლო მის გვერდით ჩაფსკვნილი კორნილა მოალაჯებდა სადავით ხელში.

— მე უკვე გელოდებოდით, — ჩუმად უთხრა სტეპანიდამ, საზიდარს რომ შეეგება.

— ნეტა რას მელოდი? როგორც კი დაბინდდა, შევაბი ცხენი და მოვედი. რა შორი გზა ეგ ყარი.

— შორი არ არის, მაგრამ...

სტეპანიდას უნდოდა ეთქვა, ახლა ისეთი დროა, პატარა გზაზედაც შეიძლება ხიფათი შეემთხვეს ყაცსო — ან გერმანელებს გადააწყდეს ან პოლიციელებსო, ერთთავად რომ გამორჩენაზე დაეხეტებიანო. ან კიდევ ვინმე ავკაცი დაგადგება კვალზე და დაგასმენს, ახლა უბედურების აკიდებას რა ბევრი სჭირდებაო. მაგრამ არაფერი უთქვამს, არ უნდოდა გუნება აეშალა თავისთვის და კორნილასთვისაც. ხომ მშვიდობით მოვიდა და მორჩა, სხვა რაღა უნდა.

— სად გინდა შეინახო? — ჩაიბურდღუნა კორნილამ, ცაცხვებქვეშ შეიყვანა საზიდარი და სადავე მოქაჩა.

— სად?

მართლაც სად უნდა დამალოს ყუმბარა? ალბათ ქოხი არ გამოდგება საამისოდ, იქ მაშინვე იპოვიან, მაშ, სხვა შესაფერისი ადგილი უნდა მონახოს სახლის მახლობლად, რომ ერთთავად თვალი ადევნოს. სტეპანიდას მოაგონდა ბოსლის უკან, ეოლოს ბუჩქებში გაბადრული ნაღვარევი, იქვე ფიჩხით სავსე ორმოც იყო, სწორედ რომ მისაყრელიც ექნება და დრომდე სამალიც.

— ბოსლის უკან წამოიღე.

— კი ბატონო, მე რა, ჩემთვის სულერთია.

კორნილამ მოაბრუნა საზიდარი და ნელ-ნელა წაიყვანა ცხენი მესრის გაყოლებით, ღარტაფისაკენ. სტეპანიდა წინ მიუძღოდა სიბნელეში და გზას უჩვენებდა.

— აქ ღობეა, ცოტა მოშორებით იარე, აქ ჯირკია. აბა ახლა კი პირდაპირ მომყე.

სტეპანიდა კარგა ხანს მტკიცედ მიაბიჯებდა ბნელში, აქ თითოეული ბალახის ღეროს იცნობდა, ხოლო კორნილა ნელ-ნელა მიღოღიალებდა მის უკან ლაგამის ჟღარუნითა და აჩუ-აჩუს ჩუმი ძახილით. ასე მიაღწიეს თვალშეუვალ წყვდიადში ბუჩქნარს, ჩაბნელებულ კედლად რომ აღმართულიყო ღარტაფის კიდეზე.

— აქ სადღაც დიდი ორმოა, — სტეპანიდა დაიხარა და ხელებით მოჩხრიკა ბალახი. — ახლავე ავყრი ფიჩხს.

— მოდი, ჯერ მოვხსნათ, — უთხრა კორნილამ. — მე ავიღებ, შენ კი მომეშველე. რაც უნდა იყოს, მძიმეა...

მიადგნენ საზიდარს, კორნილამ ორთავე ხელით ასწია თივიდან ყუმბარა, სტეპანიდამ კი იღლიაში დაიჭირა მისი ცივი რკინის კუდი.

— მძიმეა ეს ოხერი!

— მაშ რა გეგონა! სამაგიეროდ ძალაც გააჩნია. ჭურვი კი არ არის, მძლავრი რამეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი, წვიმისაგან გალიპული ყუმბარა სველ ბალახზე ფრთხილად დაწვა, კორნილა ორმოში ჩავიდა და ყუმბარა თავისკენ მისწია.

— იცი, ამას პატარა ისა... წუნი აქვს. — ქშენით უთხრა კორნილამ, და წელში გასწორდა.

— ნუთუ წუნი აქვს? — სმენა დაძაბა სტეპანიდამ.

— თუმცა დიდი არაფერია. ვინმე სამხედრო ხელად გაასწორებს. პატარა წუნი აქვს, — აჩქარებით არწმუნებდა კორნილა.

— რატომ მაშინვე არ თქვი?

— შენ რა გინდა? განა შენთვის სულერთი არ არის? შენ ხომ არ იხმარ, სპეციალისტი კი გაასწორებს. აი, ვინმე სამხედრო პირი.

— სად ვიშოვო ახლა სამხედრო პირი...

სტეპანიდას მეტი არაფერი უთქვამს, იფიქრა, რაიმე არ წამომცდეს ამ კორნილასთანო, მისი გეგმებისა სხვამ არავინ არაფერი უნდა იცოდეს. თუმცა კორნილა უცხო არ არის. ქალს ესმოდა, რომ მარტო ამ საქმეს თავს ვერ გაართმევდა, შემწე დასჭირდებოდა. მაგრამ გამოჩნდება ვინმე ხელის გამმართავი. არ შეიძლება არ მოიძებნოს ახლა თუ არა, მერე. ყუმბარა კი იყოს და...

— სველი რომ არის, ეგ არაფერია? ხომ არ დანოტივდება? — ჰკითხა სტეპანიდამ.

— არაფერია. მუხტი ხომ რკინაში დევს, — დარწმუნებით უთხრა კორნილამ და ქალმა იფიქრა, ალბათ იცის ამ კაცმაო: არმიაშიც უმსახურია და პოლონეთის ომშიც ნამყოფია, ამბობდნენ, თითქმის ვარშავამდე მიაღწიაო.

ყუმბარას ხმელი ფიჩხი წააფარეს, ორმოს გვერდით რომ ეწყო — შარშან ზაფხულს პეტროკმა გამოხიკა ღარტაფის ბოლოში, რომ ბუჩქები ხარ გაბარდულიყო და ბოსტანი არ დაეჩრდილა. სტეპანიდას ახლა სასაცილოდ მოეჩვენა მისი გარჯა, ამ დრომ სულ სხვა საზრუნავი მოიტანა. თუმცა ფიჩხი მაინც გამოადგა.

— იდოს და იყოს აქ, — თქვა მოღლილი ხმით კორნილამ, ორმოდან რომ ამოძვრა. — ბურვაკი სხდლაა?

— შემოლობილში მყავს, ფარდულში. ირგვლივ უნდა მოეუაროთ, კვალი რომ...

— ჰო, რასაკვირველია, კვალი...

კორნილამ ისევ ალვირში ჩაავლო ხელი ცხენს, სტეპანიდა წინ წაუძღვა, ამ წვიმიან წყვდიადში გუმანით გაიყვანა კორნილა ბოსტნის გადავლით და ღობეს ლატანი ააძრო, რომ საკუჭნაოში შეეყვანა. ცარიელმა საზიდარმა ჩუმად, უხმაუროდ გადაიარა კვლები, ცხენი მსუბუქად მიაბიჯებდა რბილ მიწაზე, შეშისსაპობთან შეჩერდნენ.

— აი, აქ არის. ახლავე მოვბრუნდები!

ოროვანდებისა და ჭინჭრის სველ ბარდებში სტეპანიდამ ხელით მოიძია შემოლობილის დაბალი კარი, გადასწია საბრჯენი და სიბნელიდან მაშინვე ფეხებში მიუგორდა თეთრი ჩიკორი. გოჭი სიხარულით ღრუტუნებდა და მკვრივ დინგს სველ ტერფებში ჩრიდა ქალს. სტეპანიდას შეეცოდა გოჭი, რამდენი

ვაი-ვაგლახი გადაიტანა მისთვის და ახლა სხვას უნდა მისცეს. მაგრამ თავს ძალა დაატანა და ჩაიხშო სიბრალული. ახლა, როცა ყველაფერი ოხრად რჩებოდა, სად ჰქონდა ამ ბრიყვი არსების შეცოდების თავი, სხვა რამ იყო უფრო მეტი საყალალო და თავსატეხი.

გოჭი მიენდო ხელებში, ქალმა ასწია, გულში ჩაიკრა მისი მძიმე, თბილი სხეული და საზიდრისაკენ წაიყვანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბა სად უნდა ჩავსვა?

— ტომარაში. ტომარა წამოვიღე...

ჰო, რასაკვირველია, კორნილას ტომარა წამოეღო, თორემ სხვაფრივ როგორღა წაიყვანდა გოჭს საზიდარით? ოღონდ კი ჩამასმევინა შიგნ, გაიფიქრა სტეპანიდამ. ამ სიბნელეში მაინცდამაინც მარჯვედ ვერ ჩააყოფინა გოჭს თავი ტომარაში, გოჭიც. ეტყობა, მიხვდა, რასაც უპირებდნენ, ფეხები გაფშიკა, აწრიალდა და სტეპანიდამ ძლივს შეიკავა ხელში.

— ჰო, რაო? კარგი, წყნარად იყავი, სულელო!

კორნილამ კი მარჯვედ ჩააყოფინა თავი ტომარაში გოჭს, საზიდრის ბოლოში მიაგდო და თივა წააფარა. გოჭმა ყურისწამლებად დაიყვირა სიბნელეში.

— ჩუმად, შე ოხერო! პატარაა და ჭყვირის...

— არც ისე პატარაა! — ლაბის ეწყინა სტეპანიდას. — გაზაფხულის კარგი ბურვაკია.

— მე კი მეგონა... თორემ...

ეტყობა, კორნილა გულნატკენი იყო, ალბათ გოჭი მეტიმეტად პატარა მოეჩვენა. მართალია, ტანი არ არის ჯერ, მაგრამ მის ყუმბარასაც, აკი თავად გამოტყდა, წუნი აქვს და შეკეთებაც სჭირდება, წყენით გაიფიქრა სტეპანიდამ, არადა, ვინ არის მისი შემკეთებელი?

— კარგად ნაპატიები, წყნარი, ძალიან სანდომიანი ბურვაკია. ეს რომ არ მჭირდებოდეს, თავის დღეში სხვას არ დავუთმობდი.

— კარგი, კარგი — უთხრა კორნილამ და ამით მორჩა ლაპარაკს.

მოხვევის დროს საზიდრის ბორბლები, ცოტა 'არ იყოს, აჭრიალდა, სტეპანიდამ ასწავლა, როგორ გასულიყო ეზოდან. კორნილამ ცხენი ჭიშკრისკენ წაიყვანა და შეჩერდა.

— ჰო, შენ ჩუმად იყავი, თუ რაიმე მოხდა, მე შენ არც მინახიხარ და არც არაფერი გამიგია.

— რაო, პატარა ხომ არა ვარ? — მიუგო სტეპანიდამ და ბრაზით გაიფიქრა, შენზე სულელი ხომ არ გვინივარო...

კორნილა ნელა გაუდგა ჩაბნელებულ გზას, ჯერ ისმოდა, როგორ იბრძოდა და ცდილობდა ხმის მოწვდენას გოჭი, მაგრამ თანდათან ყოველივე მიყუჩდა. რუდკამ, აქამდე რომ კუთხეში მიმალულიყო, პატრონთან მიირბინა და გაუბედავად დაიწკავწკავა სიბნელეში.

— აი ხომ ხედავ?! — გამოელაპარაკა ძაღლს სტეპანიდა. — ახლა რაღა მოხდება?

ქალმა ახლაღა იგრძნო, როგორ გათოშილიყო ნოტიო სუსხში. დასველებულიყო, განსაკუთრებით ქვედატანი გალუმპვოდა, მაგრამ მას უკვე გაურკვეველი შფოთი დაუფლებოდა და წუთითაც აღარ შეეძლო მოსვენებით ყოფნა. საითკენღაც მიისწრაფოდა, სანამ სიწყნარე იყო, სურდა რაიმე ეღონა, რომ მოეახლოვებინა ის საათი, როცა შარაგზაზე ზათქი იგრიალებდა, როცა ნაფოტებად იქცეოდა ეს წყეული ხიდი. მაშინღა შეაკეთონ. დაე, გამოგზავნონ თა-

ვიანთი რაზმი, მორეკონ ხალხი. ალბათ სანამ ხალხს შეყრიან, მანამ დრო გავა, დაზამთრდება და მაშინ კი ჩვენები აჩვენებენ სეირს. სტეპანიდას ბევრჯერ გაუგონია კაცებისაგან, ჩვენები მუდამ ზამთარს ელოდებიან ხოლმეო, ანუ იყო ფინელებთან ან კიდევ უფრო ადრე, ფრანგებთან ომშიაცო. ზამთარი მუდამ ხელს უმართავს ჩვენებს. სტეპანიდაც ისწრაფვოდა შეშველებოდა ჩვენ- რითაც შეეძლო, არ მჯდარიყო გულხელდაკრეფილი. დიდ ორმაში [illegible] ძალა ჰქონდა დამალული, ამ ხიდს ნაფოტებად აქცევდა. მხოლოდ როგორ შეედო მის ქვეშ?

მოაგონდა, რომ ძველ ხიდს ქვემოთ ფერდობები ჰქონდა, სადაც ზოგჯერ ბიჭბუჭები აძვრებოდნენ ხოლმე და გზაზე ცხენების დასაფრთხობად მგლებივით ყმუოდნენ. აი იქ იქნებოდა ბომბის შედება მარჯვე. ახალი ხიდი კი როგორია ნეტა? დაბაში რომ მიდიოდა სტეპანიდა მხოლოდ ერთხელ შეჩერდა ხიდზე და არაფერს არ დაკვირვებია იქ. იქნებ მთლად ამოავსეს, მოასწორეს ხიდის ქვეშ ყველაფერი, მაშინ სადღა შემოდოს ბომბი? ზემოდან, ფიცრებზე ხომ არ დადებს, იქ ხან ქვეითად და ხან არაქვეითად მიდი-მოდის ხალხი.

სტეპანიდას მეტად უშფოთებდა გულს ამაზე ფიქრი, ქოხში ცოტა ხანს დაჰყო. მერე ისევ ეზოში გამოვიდა და შარაგზაზე დაეშვა. მთლად ჩამობნელებულიყო, წვიმა ხან ცრიდა, ხან არა. ჩაუდგომლად ქროდა ქარი. სტეპანიდას მოსახვევამდე არც მიურბენია, მინდვრისკენ გაუხვია და თუ სირბილით და თუ სიარულით დაადგა მოკლე გზას, რომ ჩქარა მისულიყო. ჯერ იყო და ნაწვერალები ჩხვლეტდა ფეხებზე, მერე ფიჭვნარს იქით, ცვრიან ბალახს შემოუარა და კიდე-კიდე გაუყვა მინდორს. გადაიარა პატარა ჭაობი, ისლმოდებული თხრილი და ხიდის მახლობლად ქვიშაყრილზე ავიდა.

სველი თავშალი კეფაზე მოიგდო და აქაურობას დააყურადა. სიარულში გამთბარიყო, გულიც აფორიაქებოდა, მაგრამ, ეტყობა, რომ შარაგზა, რაკი ღამე იყო, გამოცარიელებულიყო და სიწყნარეც სუფევდა.

ცოტა არ იყოს, ეშინოდა, აქ ვინმეს არ გადავაწყდეო, მით უმეტეს, ნაცნობი თუ შემხვდა ვინმე, თავი რით ვიმართლოო? მაგრამ თითქოს საშიში ალარაფერი იყო. ქვემოთ, ქვიშაყრილთან მჭრალად ბზინავდა წყალი, სტეპანიდა ახლადაზვინული ქვიშის ფერდობით ჩავიდა წყალთან და შედგა, თვალგაუტან წყვდიადს მიშტერებოდა ხიდს ქვემოთ, სადაც ახალთახალი ხიმინჯები ჩაემწკრივებინათ. ამ სიბნელეში ძლივს რომ მოჩინდა თეთრად, ზემოდან კი შავი მორები ეფინა. ქალმა გუმანით შეატყო, ზვინსა და ხიდს შორის იმდენი სივრცე კი იქნებოდა, რომ ბევრი დატეულიყო, ასე რომ, ყუმბარა შეეტეოდა, არ იყო მაინცდამაინც დიდი.

გული რომ შეიჯერა, სტეპანიდა შარაგზაზე ავიდა და ფიჭვნარისაკენ გასწია. ჯერჯეროობით ყველაფერი მარჯვედ აეწყო და ეს ამხნევებდა, მაგრამ ამღამინდელმა დაზვერვამ ქანცი გაუწყვიტა, ოფლად იყო გაღვრილი ბამბეულში, ნელა მილასლასებდა შარაგზის კიდე-კიდე. ფიჭვნარს რომ გასცდა, თავის მინდვრისაკენ მიუხვია, თან ფიქრში ერთთავად იმეორებდა: ნეტა კი არ ჩამეშლებოდეს ეს საქმე, ნეტა კი მოვასწროო. ნატვრად გახდომოდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, უკვე ძალა ალარ შესწევდა ამ სურვილს წინ ალდგომოდა. თუმცა კარგად იცოდა, რომ საჯახირო ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა, დამხმარეები უნდა მოენახა, უწინარეს ყოვლისა კი სპეციალისტი, სამხედრო ვინმე, რომ ყუმბარა წესრიგში მოეყვანა.

ხვალვე უნდა ჩავირბინო ვისელკიშიო, გაიფიქრა, ალექსანდრინას უნდა

მივაკითხო, მისი ვიქტორი ხომ მეთაურია, იმას ეცოდინებაო. რომ რამე თქვას, გომურში ხუთიოდე დედალი ჰყავს და იმით გადაუხდის, ავადმყოფი კაცია, კონტუზია აქვს, ალბათ მისთვის ქათმის ხორცის ბულიონი წამალია. სტეპანიდა შეეხვეწება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27

ინათა თუ არა, სტეპანიდა ღუმელს იქიდან გამოვიდა, თავშალი გაისწორა, ბამბულა გადაიკალთა. როგორც იქნა, გაილია ღამე და ღამეული ზმანებებიც თან გაიყოლა, მასვე გაჰყვა ფიქრებიცა და მარტოობაც. დაიწყო დღე, ამ დღეს სტეპანიდას ელოდა ბევრი საქმე და არნახული, კაცმა რომ თქვას, საზარელი საზრუნავი... სტეპანიდა ერთთავად ამ სადარდებელს შეეპყრო. სიზმარშიაც კი ყუმბარას ხედავდა და მის ამბებს განიცდიდა. ესიზმრა, ვითომ ციცაბო მთაზე ადიოდა მძიმე ტვირთით, რომელიც ქვემოთკენ ეწეოდა, ხოლო ფეხები უცურდებოდა, როგორც ტალახში სიარულისას, ხელებით ვერაფერს ჩასჭიდებოდა. ის კი მაინც მიბობღავდა და მიბობღავდა მთაზე. აი, სადაცაა წვეროსაც მიაღწევს, ფლატეს კიდეც გამოჩნდა, ქალმა ცოტათი მაინც უნდა მოიკრიბოს ძალა, თუნდაც ორი ნაბიჯი წარსდგას. მაგრამ ამ დროს გონება ებინდება და უკვე სხვა სიზმარს ხედავს...

სტეპანიდამ თვალი გაახილა და მიხვდა, რომ დილა დგებოდა.

მაინცდამაინც არ ჩასცივებია ამ აბურდული სიზმრის აზრის გამოტანას, ცხადშიაც არანაკლებ ასწეწოდა საქმეები. საზრუნავი აშურებდა, ამიტომ წინკარში გავიდა, ზანდუკიდან ძველი, ცოტათი კუთხეგაგლეჯილი ქალათა გამოიღო, საკუჭნაოდან ჯიბეში ორი მუჭა ხორბალი ჩაიყარა, პეტროკს რომ დაუფქვავი დარჩა, და ქარი მოაღო. გარეთ შემოდგომის ყინვიანი, ნოტიო დილა იდგა, ცაცხვებს ზემოთ ქარი გაწეწილ ღრუბლებს მიერეკებოდა, მაგრამ წვიმას გადაეღო და გოლგოთას მიღმა შორი ტყის სილუერჯე მკაფიოდ ასახულიყო ჰორიზონტზე, ასე იცოდა აცივების წინ, ხოლო ზამთრის პირას — ყინვების დადგომამდე. სტეპანიდა შეშისსაპობს გასცდა და გომურის ჰაიჰარად მიხურული კარი მოსწია. ქათმები ლატანზე ისხდნენ ჩამწკრივებულები: სამი — პირით კარისკენ, სამი კი — კედლისკენ პირმიბრუნებული. კუთხეში ნამჯაზე იდო ორი ახლადდადებული კვერცხი და დიასახლისს გული აუჩვილდა: საცოდავი, ჩერჩეტი ქათმები, კვერცხსაც კი დებენო! რა ხანია საკენკი არ დაუყრია მათთვის, რასაც ეზოში და ბოსტანში იპოვიდნენ, თავი იმითი გაჰქონდათ და ახლა, რაკი მათ წინაშე დანაშაული იგრძნო, სტეპანიდამ უბიდან ხორბალი ამოიღო და დაუყარა. ქათმები ფრთების ფართხუნით და კრიახით ჩამოფრინდნენ ქანდარიდან და ზღურბლს მიაწყდნენ.

სტეპანიდა საკენკს უყრიდა ქათმებს და სანამ ისინი ერთმანეთის დასწრებით კენკავდნენ, ფიქრობდა: რომელი წავიყვანოო? ყოველ მათგანს წიწილობიდან იცნობდა, ერთმანეთისაგან ეერითაც არჩევდა და მოკაზმულობითაც იცოდა, რომელი როდის როგორ კვერცხს დებდა. ყველაზე კარგი კვერცხისმდებელი ჭრელი, შავთავა დედალი იყო, რომელსაც რაღა თქმა უნდა, სტეპანიდა არ წაიყვანს. ყველაზე ცუდი მდებელი კუდმოკლე, ფეხებგაბანჯგლული ახალი დედალი იყო, მეტად უხორცო და მფრთხალი, მას ახლაც ორივე მხრიდან კორტნიდნენ და სულ ბოლოს ახერხებდა აკენკვას. მაგრამ ასეთი გაჩხინკული ქათმებისაგან რა საჭმელი გამოვა? ჰოდა, სტეპანიდამაც ყვითელი, წყნარი დედალი აირჩია, არც უარესი და არცთუ უკეთესი. ქალმა

მშვიდად ჩაავლო ზემოდან ფრთებში ხელი და დედალიც არ შეურჩებია, თავისი პატრონის ნაცნობ ხელებს მიენდო. სტეპანიდამ ჩვრით შეუკოჭა ფეხები და კალათში ჩააგდო. მერე წინკარში შებრუნდა, ზანდუკს ზემოთ საკიდიდან ნახმარი ჩითის თავშალი ჩამოიღო და კალათას შემოახვია.

სანამ გარეთ გავიდოდა, თვალი მოავლო წინკარის უბადრუკ [illegible] კუთხეებს, მწვანე, წითელი ყვავილებით მოხატულ ზანდუკს. მაგრამ [illegible] რაფერი ნახა ძლვნად მისართმევად ვარგისი ამ ომისგან გაძარცულ სახლში. თუ ვიქტორი ერთ ქათამს არ იკმარებს, სტეპანიდას არც ერთი არ დაენანება, დაე, მიირთვას, ოღონდ კი ეს ერთადერთი სურვილი აისრულოს, რასაც ახლა მთელი მისი ცნობიერება დაუპყრია, რაც უკანასკნელ ძალას აცლის და იქნებ სიცოცხლეც წაართვას. ქალს ისეთი საშუალება ჩაუვარდა ხელთ, ყველას რომ არ ხვდება წილად. იგი გახდა მისი მთავარი მიზანი და ეცდება ხორცი შეასხას. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ყველაფრის თავად გაკეთებას ვერ შეძლებს. მაგრამ ხალხს დაიხმარს. უნდა დაეხმაროს. მთავარია, საჭირო ხალხი მოძებნოს — არამზადები და მშიშრები რად უნდა, ჰოდა, მაშინ პეტროკიც გაიგებს, ასე და ასე მოხდაო შარაგზაზე. ეს არის, როგორმე მოახერხოს ეს საქმე.

სტეპანიდა, რასაკვირველია, გრძნობდა, რომ ხალხის შოვნა გაუჭირდებოდა. ისა ჯობდა, სათვალავში ჰყოლოდა ვინმე მამაკაცი, ნეტა შინ ყოფილიყო ფედკა ან პეტროკი მაინც. ქალმა ისევ ინანა გუნებაში, როცა მოაგონდა, იმღამინდელი უცნობი მგზავრები რომ არ შეუშვა ქოხში, იქნებ სწორედ ისინი დახმარებოდნენ? მაგრამ აბა ვის შეუძლია წინასწარ გამოიცნოს, რა შეიძლება მოხდეს? განა სტეპანიდამ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი? ახლა კი ხვდება ვარაუდით. მაგრამ კაცი რას არ ივარაუდებს, საქმით კი ცოტა რამ თუ დასტურდება.

სუსხიან ღამით გაყინული ტალახი გზაზე შიშველ ფეხებს უთოშავდა და შედარებით მშრალ, ბალახმოუდებელ ადგილას ცდილობდა გავლას. ბალახი დაცვარულიყო და კიდევ უფრო მეტად ეთოშებოდა ფეხები, ვიდრე ტალახში. ავდრიანი გვიანი დილა იყო, ზეცა თანდათან მოიწმინდა, ქარ-ყინვიანი დღე იწყებოდა. მაგრამ სტეპანიდა ვერც დილას ამჩნევდა, ვერც ყინვას გრძნობდა, იმის ფიქრებში იყო, როგორ სჯობია მივუდგე ვიქტორს, რომ დავიყოლიოთ. ერთ დროს ვიქტორი სანდომიანი, ხათრიანი ყმაწვილი იყო, ხშირად შემოირბენდა ხოლმე ბალ-ლიბაში ხუტორში, ფედკასთან მეგობრობდა. ერთხელ სტეპანიდამ ორივე დატუქსა ასანთებით თამაშისათვის: რვა კოლოფი შემოეფცქვნათ საფილთა თოფედ და სტეპანიდას შეეშინდა, თვალები არ ამოიწვან და არ დასახიჩრდნენო. თუმცა რომ წამოიზარდნენ, ფედკა და ვიქტორი დასცილდნენ ერთმანეთს: ვიქტორი ერთი წლით ადრე წავიდა სამხედრო სამსახურში და ომის წინ მეთაური გახდა, დანაკერებზე სამი სამკუთხედი ებნია. აი ის კი მართლაც მოუხერხებდა ყუმბარას რაიმეს. კორნილამ აკი თქვა, სულ უბრალოდ არის დაზიანებული, სპეციალისტი ხელად გაასწორებსო.

სტეპანიდამ გადაირბინა გამოცარიელებული შარაგზა და ასეთივე ტალახიან გზას კიდე-კიდე გაუყვა ვისელკისაკენ. საცა იყო ვისელკის განაპირა ქოხებს მიადგებოდა. ბოსტანს გადაღმა სულ ბოლო ეზოში ამელიანოვის ბიჭები ფორანში ცხენს აბამდნენ და ქარმა სტეპანიდას ყურამდე მიიტანა მამაკაცის ხმით ნათქვამი გინება. ბექზე გზა უფრო მომშრალი იყო, მაგრამ ორმოში დამდგარ ტბორის წყალს ქარი ატლაშუნებდა; სტეპანიდამ მას გვერდი აუქცია, ხოლო ისევ გზაზე რომ გამოვიდა და წინ გაიხედა, წამით გაქვავდა. ვისელკის

ქუჩიდან მის შემხვედრად სამი კაცი მოდიოდა; ორი მაშინვე იცნო, პოლიცაები გუჟი და კოლონდენოკი იყვნენ, ხოლო მესამე... მესამე მათ შუა მოდიოდა თავჩაქინდრული და ზურგზე ხელებშემოწყობილი; თვალის შევლებითაც შეატყობდი, რომ დაპატიმრებული იყო. სტეპანიდას გული ცუდი წინაგრძნობით შეუფრთხიალდა მკერდში, რადგან მოეჩვენა... თუმცა ეშინოდა გულშიაც კი წარმოეთქვა მისი სახელი, რაკი ჯერ მთლად-ალ სჯეროდა, სურდა შემცდარიყო, ფიქრობდა: დაე ნაცნობი ვინმე იყოს ეს კაცი, მეზობელი, ნათესავი, მხოლოდ ის არაა. ფეხი შეანელა და უცხოს ნაბიჯებით მიდიოდა ამ კაცების შესაგებებლად, თან თვალწინ უფრო და უფრო მკვეთრად ესახებოდა ნაცნობი იერი: რუხხიფთანიანი ჯმუხი კაცი, ფართო მხარბეჭიანი, მძიმე, დინჯი ნაბჯებით მიმავალი. ისიცა და პოლიცაებიც აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ ტალახში — წინ გუჟი, უკან კოლონდენოკი, — და სტეპანიდამ იფიქრა, ნეტა ამათთვის თავი დამალწევინა და თუნდაც აქვე მიწამ ჩამიტანოს, ოღონდ კი ამათი შეხვედრა ამცდესო. მაგრამ კაცებმა უკვე დაინახეს ქალი და შორიდანვე საგანგებო ყურადღებით მიაჩერდნენ. როცა მოახლოვდნენ, პატიმარმაც ახედა ქალს. იგი კორნილა იყო.

სტეპანიდა მაინც მიდიოდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ერთი ვერ იცნო, მხოლოდ ფეხები თანდათან ეკეცებოდა და თავს ძალას ატანდა ნაბიჯი გადაედგა. ქალი ასევე აუვლიდა გვერდს, სიტყვასაც არ ეტყოდა და არც კი მიესალმებოდა მათ, კორნილას რომ არ შემოეხედა მისთვის. ამ კაცს გარეგნულად მშვიდ, წვერმოდებულ სახეზე ახლა ისეთი ნაღველი და ფარული შიში ასახვოდა, სტეპანიდა უნებლიეთ შეჩერდა. მაშინვე შედგა გუჟიც.

— საით გაგიწევია, აქტივისტო ქალო?

— სოფელში მივდივარ, ვანა ვერ ხედავ? — უთხრა ქალმა, ქვეშქვეშ შეხედა და გაიფიქრა: ახლა კი ჩავვარდი, მეც წამიყვანენო. მაგრამ გუჟმა კალათაზე ანიშნა.

— რა გაქვს შიგ?

— ქათამი.

— აბა! — უფროსმა პოლიციამ მომთხოვნელად გაუწვდინა ხელი და ქალმაც მისცა კალათა. ზუსტად ათი წლის წინანდელი ამბავი განმეორდა, მხოლოდ ახლა მეტად საზარელი იყო. — ასე, აიღე, პოტაპ. მივალთ და თავს წააწყვეტ. გამოგვადგება, — თქვა მან თითქმის მშვიდად და კალათა კოლონდენოკს გადასცა. მერე მიუბრუნდა ქალს და თვალი თვალში გაუყარა, მის მზერაში ფარული მუქარა გამოსჭვიოდა. — ისევ დაწოწიალობ, ხომ?

— რაო, არ შეიძლება თუ? — ჰკითხა ქალმა, რომელიც უკანასკნელ ძალას იკრებდა, ამ უტიფარი მზერისთვის გაეძლო. ფიქრობდა, ახლა ალბათ კორნილას ამომიყენებს გვერდით და დაბაში წამიყვანსო. ეს საშინელება იქნებოდა. ეტყობა, გუჟი რამდენიმე წუთს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

— ჰო-ჰო, იწოწიალე! — რაღაცნაირი იდუმალი გესლით უთხრა მან ქალს და კორნილასაკენ მიბრუნდა. მაგრამ კორნილა უკვე აღარ უცქეროდა ქალს, სადღაც ცვრიანი მინდვრის მოქურუხებულ შორეთს გასცქეროდა. — ნაბიჯით იარ!

კაცები შარაგზას დაადგნენ, ქალი კი ბარბაცით ძლივს წაჩანჩალდა ვისელკისაკენ. კორნილას დატუსაღება ლახვარივით მოხვდა გულზე, ეს ხომ ჩაუშლიდა გეგმებს, ფიქრობდა: ნუთუ ყოველივე ჩამიფლავდება და ჩემს ჩა-

ნაფიქრს განხორციელება არ უწერიაო? მაგრამ რატომ მეც არ დამატუსაღეს. ან იქნებ ისინი ყუმბარას ეძებდნენ და კორნილამ არ გასცაო. არც გასცემს. მაგრამ რომ წამოსცდეს? წამებას დაუწყებენ. ძალლებს დააწყვეტენ და განა გაუძლებს? რა უნდა ვქნა ახლაო? ფიქრობდა.

სტეპანიდა გვიან მიხვდა, რომ ალექსანდრინასთან წასვლას ... ჰქონდა და საერთოდ აღარაფერი ესაქმებოდა ვისელკიში. ... თავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა. მაგრამ სად და როგორ გადაერჩინა თავი?

ვისელკის პირველივე ქოხამდე მიაღწია თუ არა, გაუბედავად მოიხედა უკან, პოლიცაები კორნილათურთ უკვე ფიქვნარს უახლოვდებოდნენ. სტეპანიდა შეჩერდა, ფეხი შეანელა და იმავე გზით საჩქაროდ გაიქცა უკან. ახლა შინ მისვლა იყო საჭირო, საკუთარ კედლებში დაბრუნება. თითქოსდა იქაურობა შემატებდა გულდაჯერებულობასა და სიმშვიდეს.

ამასობაში პოლიცაიები და კორნილა მოსახვევს იქით ფიქვნარს მოეფარნენ. სტეპანიდამ გადაირბინა შარაგზა, ქშენაავარდნილმა, სირბილითა და ჩქარი ნაბიჯებით მიაღწია ეზოს, ქოხსა და საკუჭნაოს გაცდა, შეშისსაპობი გადაიარა და გომურს იქით ლარტაფის კიდესთან მიირბინა. საიდანღაც ოუდკა გამოხტა, სიხარულით აწკმუტუნდა მშიერი ძაღლი, მაგრამ ქალს ახლა მისთვის არ ეცალა — ყუმბარა უნდა გადაემალა. ბოსტანშივე, როცა დაინახა, ფორნის ნაკვალევს როგორ დაეღარა კვლები და ნალარები ნაკაცამდე მიდიოდა, შეშფოთდა, ხოლო ორმოში რომ ჩაიხედა, შეშისაგან კინაღამ იქვე წაიქცა — ორმოზე წაყრილი ფიჩხის გროვაში ყუმბარის ყვითელი რკინის კუდი ამოჩრილიყო. მოხერხება ხომ უნდოდა ასე უგერგილოდ დამალვას — ვინც კი აქეთ გაივლიდა, მაშინვე დაინახავდა, რისთვისაც წაეფარებინათ ფიჩხი. თუმცა, რასაკვირველია, ღამით დამალეს, ღამით კი აბა ხეირიანად რის გაკეთებას მოახერხებს კაცი.

სტეპანიდა საჩქაროდ გაიქცა ქოხში და შეშისსაჭრელიდან ძველი ნიჩაბი აიღო, იფიქრა, ახლა ყველაფერს ისა სჯობს, ყუმბარა მიწაში ჩავფლაო. მაგრამ სად უნდა ჩაფლას? ბოსტანში? ბოსლის უკან? ფლატეს კიდეზე? ალბათ ფლატეს ნაპირას, ბუჩქნარში აჯობებს, იქ რბილი, ბალახმოუდებელი მიწაა და შეიძლება ნაგავი და ჩამოცვენილი ფოთლები წააყაროს. იდოს თავისთვის. მართლაც ვერავინ იპოვის სტეპანიდას მეტი. საიმედო ადგილია.

წინანდელი ორმოს მახლობლად თხმელნარში ბალღის სამარესავით ვიწრო, სამიოდე ნაბიჯის სიგრძე ახალი ორმოს ამოთხრას შეუდგა. პირველად ოოლად წავიდა საქმე, ნეშომპალა ადვილად მოჰყვებოდა ნიჩაბს. პირველი ფენა რომ ააცალა, ქალი წელში გაიმართა. უფრო ღრმად კი ფესვებმა გაუჭირეს საქმე, ყველა მიმართულებით მოსდებოდნენ ნიადაგს უხეშ კვანძებივით. სტეპანიდა ნიჩბით ჩეხდა მათ, ხელით გლეჯდა, რამდენიმეს მოტეხვაც სცადა. მაგრამ ფესვები მხოლოდ იღუნებოდნენ და თეთრ, დაკვანძულ ხვეულებს აჩენდნენ, ქალს სახეში, თავსა და მხრებზე მიწას აყრიდნენ. ოფლადგაღვრილი ქალი ერთსა თუ ორ საათს იჩიჩქნებოდა ორმოში, სანამ მუხლებამდე არ ამოთხარა მიწა და საჩქაროდ არ გაასუფთავა ფესვების ნარჩენებისაგან. მიწას შორს როდი ყრიდა, იცოდა, დასჭირდებოდა. ორმოს ამოთხრას რომ მორჩა, სტეპანიდამ ცოტათი სული მოითქვა მის კიდეზე და ნიჩაბი იქით გადადო. ახლა ყუმბარის მოსატანად უნდა წასულიყო.

ოციოდ ნაბიჯზე იყო ძველი ორმო, სტეპანიდა შიგ ჩაძვრა და იქიდან ჩაცვივნული ფიჩხი ამოყარა, მერე ყუმბარის გასიპულ, გრძელ, მძიმე, რკი-

ნის მომრგვალო თავს ჩაავლო ხელები. შიგ ხელებში მიუგორდა რუდაა, ყვითელი გარსი დაყნოსა და ცხვირი დააცემინა. სტეპანიდა დაიძაგრა, რომ ყუმბარა ორმოდან გამოეგორებინა და გული შეუქანდა შიშით — ყუმბარა მხოლოდ ოდნავ დაიძრა ადგილიდან და იმავ წამს უკანვე ჩაგორდა. საშინელება იყო — ქალს ძალა არ ჰყოფნიდა!

სტეპანიდა წამოდგა და სახელოთი მოიწმინდა შუბლი. ... ყუმბარა ამ ხაფანგში იოლად ჩააგორეს, მაგრამ იქიდან ამოგორება არ გინდა? — თანაც მარტო იყო. ქალი აფორიაქდა, თავს დასვენების ნება არ მისცა, ყუმბარას კუდში ჩაავლო ხელი და დაძაბულმა მაღლა ამოაჩოჩა, მერე მეორე ბოლოდან მიადგა და ახლა ცხვირი აუწია. მაგრამ ვერ მოასწრო მისი მაღლა ამოწევა, რომ კუდი ჯიუტად კვლავ ორმოში, თავის ადგილას ჩასრიალდა. სტეპანიდას გულზე შემოუვიდა და კინალამ აღრიალდა — ახლა რა უნდა ქნას?

ცოტათი რომ დაფიქრდა და დამშვიდდა, ორმოდან ამოვიდა და ბოსტნის ბოლოში ქვები მოიძია. ქვები თავსაყრელი იყო, მაგრამ პატარები არ გამოდგებოდა, ამიტომ სტეპანიდამ გზა განაგრძო, ბოლოს და ბოლოს იპოვა ორი უფრო გამოსადეგი ქვა და ორმოსთან მიიტანა. ახლა რიგ-რიგობით უდებდა ამ ქვებს ყუმბარას ხან ცხვირსა და ხან კუდს ქვემოთ, ცდილობდა მოსწორებულ ადგილზე გამოეგორებინა იგი. დიდხანს იწყვეტდა წელს — ბიძგებ-ბიძგებით აგორებდა, მუხლებით სველ მიწას დაყრდნობილი, ხელებით მუშაობდა. მთლად გაითითხნა ტალახიან ბალახში ქვედაკაბაცა და ბამბულაც, ოფლად გაიღვარა, მაგრამ საქმეს არ ეშვებოდა, ყუმბარა ორმოდან მაინც ამოათრია და ძალაგმოცლილი თავადაც მის გვერდით დაეცა. წყეული ყუმბარა! სტეპანიდას კიდევ ეგონა, სანამ მაგას რაიმეს მოვუხერხებ, ალბათ შევაკვდებიო, მაგრამ როგორღაც შეძლო მაინც. ახლა ახალ ორმოში უნდა გადაეთრია! ერთთავად იმის შიშში იყო, ვინმე არ წამადგეს თავს ბუჩქნარში ან არ დამინახოსო: მეჩხერ თხმელნარში გზიდანაც შენიშნავდა ვინმე და ეზოდანაც — ნეტა კი დამალვა მოასწროს, სანამ ახლომახლო არავინ არის.

ღარტაფის სწორ კიდეზე ყუმბარა იოლად გადაგორდა და ყვითელი, მიწით მოთხვრილი გვერდებით ბალახი გადათელა. მაგრამ უფრო იქით, თხმელნარში ველარ გააგორებდა, ამიტომ სტეპანიდამ რკინის მრგვალ კუდში ჩაავლო ხელი. ასე ოდნავ წამოწევდი და გათრევას შეძლებდი, მაგრამ ამას ბევრი დრო და დიდი ძალა სჭირდებოდა, ხოლო სტეპანიდას ღონე ეცლებოდა. ქალმა ხუთიოდე ნაბიჯზე გააჩოჩა ყუმბარა და ხელიდან გააგდო, რადგან თავადაც უკან გადავარდა ბალახში. რამდენიმე წუთს თევზივით აღებდა პირს. ცოტა სული რომ მოითქვა, თითებით ისევ ჩაეჭიდა ყუმბარის სველს კუდს. ამჯერად უფრო ცოტაზე გაჩოჩდა და ისევ დაეცა. მესამეჯერ და მეოთხეჯერ მხოლოდ ექაჩებოდა და თითო-თითო ნაბიჯით,მეტად ვერა, უახლოვებდა ღარტაფის კიდეს. წელი სტეხდა, სველი ხელები, თითები და მუხლები ნუჟრებისა და ფესვებისაგან გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ჩქარობდა. დროდადრო მიმოიხედავდა ირგვლივ, თითქმის გატიტვლებულ ბუჩქებში იხედებოდა, თავის სახლისკენ ეჭირა თვალი — ეშინოდა, ვაითუ ვინმე მოვიდეს და დამინახოსო. მაშინ თავადაც დაილუპება და ყუმბარაც. განა ამისთვის შეაკლა თავი!

როცა ბოლოს და ბოლოს ყუმბარა ორმომდე მიაჩოჩა, ძალა მთლად გაეცალა, უკვე აღარ ძალუძდა მისი ამონათხარ მიწაზე გადაგორება და მკერდით დაეცა ზედ. ერთთავად ჩასჩიჩინებდა თავს: აბა გეყოფა, წამოდექი; და თავად-

ვე ჰპირდებოდა: ავდგები, ახლავე ავდგებიო. მაგრამ ვერ დგებოდა — როცა მერე სცადა, უცებ თვალთ დაუბნელდა, გული კი საცაა ამოუვარდებოდა საგულედან.

კარგა ხანს იწვა ასე, ტალახიან ყუმბარას ჩახვეული. თავადაც თავით ფეხამდე ტალახში ამოგანგლული. ცოტათი რომ დაუმშვიდდა სუნთქვა, აუდგომლად, ტერფებით თხმელის დაკვანძულ ფესვებს მიბჯენილმა [illegible] დაძაბა კიდევ ტანი და ჯერ კუდი გასწია ყუმბარისა, მერე კი თავი. ყუმბარამ ფხვიერი მიწა ჩაამზღვლია და, როგორც იქნა, ჩავარდა ორმოში, სტეპანიდა ერთხანს ისევ იწვა ატალახებულ მიწაზე, მერე წამოდგა და ნიჩაბს წამოავლო ხელი.

მიწის წაყრა უფრო იოლი იყო, ორმო ამოავსო და ზემოდანაც დაბეკნა. ნარჩენი მიწა ნიჩბით ახვეტა და შეუმჩნეველად ირგვლივ მიმოაბნია. მერე მიწა ჩამოახვეტა მსხვილ კოპალებს, თხმელას, ბუჩქს და ხეების ქვედა ტოტებიც დარეკა-დაარხია, რომ ნაკვალევიც არ დარჩენილიყო ნათხარისა. ცოტა მოშორებით თხმელნარში ერთი იღლია გაშავებული ფოთლები აკრიბა და ნათხარისა და ღარტაფის კიდეს წააყარა, ირგვლივაც მიმოაბნია, რომ ახალნათხარი მიწა არ გამოჩენილიყო. მერე ძველი ორმოდან ფიჩხი მოათრია და ზემოდან მოაყარა, აქაოდა, ვითომც ჯერ კაცის ფეხი არ შეხებია აქაობასაო.

ნიჩაბზე დაყრდნობილი სტეპანიდა ძლივს მილასლასდა ეზომდე, სადაც მავედრებელი მზერით შემოეგება დამშეული რუდკა. მაგრამ ამჯერად ქალმა ტკბილი სიტყვის თქმაც ვერ შეძლო მისთვის, მხოლოდ როცა ძაღლი შეეცადა წინკარში შეჰყოლოდა, სტეპანიდამ შეაჩერა — ძაღლის ადგილი მაინც ეზოშიაო. წინკარის კარი კაუჭით გადაკეტა, ღუმელს უკან ფიცარნაგამდე მიღოლდა და, როგორც იყო, ისევე კაბიანად და ბამბულიანად დავარდა ზედ.

იწვა ასე გაყინულ ქოხში, დაღლილობისაგან გამოთაყვანებული, აყურადებდა შორეულ თუ ახლოდან მოსულ გაურკვეველ ხმაურს და ფიქრობდა, თავიდათავ საქმეს მოვრჩი, ახლა ცოტაღა დამრჩა გასაკეთებელიო. ერთი რამდენიმე დღე კიდევ რომ ჰქონდეს თავისუფალი, ვიქტორს ნახავს, დაბაში ჩავა და ვინმეს ჭკუას ჰკითხავს. როცა რაიმე უბედურება მოგადგება კარს, მუდამ ხალხს მიაკითხავ, მაშ სხვა ვიღა გამოგიწვდის ხელს დასახმარებლად? ხალხი ღუპავს ერთმანეთს, მაგრამ ხალხივე შველის ერთურთს, ამ წყეული ომიანობის დროსაც კი.

სტეპანიდა ერთხანს იწვა, ცოტათი სული მოითქვა, ხელ-ფეხი სტკიოდა, მაგრამ გული კი დაიმშვიდა, თუმცა ახლა სიცივემ შეაწუხა. რამდენიმე დღე იყო, ღუმელი არ დაენთო, ქოხი მთლად გამოყინულიყო. ღამით ისევ უნდა გაახუროს ღუმელი, თორემ დილით ისევ შესცივდება, ალბათ კბილს კბილზე დააცემინებს. კარტოფილიც უნდა მოხარშოს. ძალზე მოშივდა, მაგრამ პურის ქერქიც კი არ გააჩნდა.

სტეპანიდამ ფეხები ჩამოუშვა და ნელა ჩამოვიდა ფიცარნაგიდან. გარეთ უკვე მოსაღამოებულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ სინათლე იდგა. კედლის იქით ცივი ქარი ზუზუნებდა და ცაცხვის რტოები შეშფოთებული აწყდებოდნენ აქეთ-იქით, ქარის განუწყვეტელი შემოტევისაგან წელში იღუნებოდნენ. ღუმელში შეშა ელაგა, მოკიდებაღა უნდოდა მხოლოდ. სტეპანიდამ კვარი აიღო და ხელი ღუმელსა და კედელს შორის ჩაჰყო — აქ უმალავდა ხოლმე პეტროკს ასანთს. ის იყო ასანთის კოლოფი ამოიღო, რომ ეზოში გაავებული აყეფდა რუდკა. სტეპანიდას ავი წინათგრძნობით შეეკუმშა გული და ხელში ასანთის კოლოფიანად მივარდა ფანჯარას. რუდკა ეზოში აქეთ-იქით აწყდებოდა და

ხმისჩაწყვეტამდე ყეფდა გაცოფებული, ხოლო შარაგზიდან ხუტორისაკენ სწრაფად მოაბიჯებდა ოთხი შაშხანიანი მამაკაცი. სტეპანიდამ შორიდანვე იცნო თითქმის ყველა მათგანი და თავისთვის ჩაილაპარაკა: „აჰა, მორჩა ყველაფერი!“

თავადვე გააოცა იმან, რომ მაინცდამაინც არ შეშინებია და არც გაქცეულა სადმე, თითქოს ელოდებოდა და იცოდა, რომ მისი ბოლო სწორედ ასეთი იქნებოდა. შეშფოთებული მეხსიერება დაძაბა, რომ მოეგონებინა — [illegible] უნდა გაეკეთებინა სულ ბოლოს და ვერაფერი მოიფიქრა. [illegible] ყველაფერი გასაკეთებელი უკვე გააკეთა? ქალი ჯერ ფანჯარას მიადგა, მერე ღუმელს უკან შეავიდა, მერე წინკარში გავარდა, ალბათ იმიტომ, რომ ფანჯრებს მოშორებოდა. რუდკა ისევ ხმას იწყვეტდა ჭიშკარში და მაშინ შორიდან პირველად იჭექა თოფმა. რუდკამ ყურთასმენის წამლები ხმით დაიწკმუტუნა და მიჩუმდა — საბოლოოდ ხომ არ ჩააწყვეტინეს ხმა? სტეპანიდა მიხვდა, რომ ახლა მისი რიგი დადგა.

თუმცა რაღაც მოისაზრა, წინკარიდან საკუჭნაოს მიაწყდა და კაუჭით გადარაზა კარი. არა, ასე უბრალოდ ვერ ჩაიგდებენ ხელში. იგი რუდკა არ არის. არც პეტროკი. და არც კორნილა. სტეპანიდა კიდევ გაუმკლავდება მათ. დაე, მოკლან! მოკლან, მერე რა... მაშინ ისინი გაიმარჯვებენ. მაგრამ ჯერ ხომ არ მოუკლავთ, ხოლო თავისი ნებით იგი არ დანებდება.

კარს სამჯერ დასცხეს წიხლი, ხმა წინკარში გახმაურდა.

— გააღე!

სტეპანიდა საკუჭნაოში მუხის სქელ წირთხლს უკან იჯდა ჩაცუცქული და ხმას არ იღებდა.

— სტეპანიდა, გაგვიღე, თორემ შემოვამტვრევთ!

„შემოამტვრიეთ,“ — გაიფიქრა ბრაზით ქალმა. მაგრამ, ეტყობა, არც ისე იოლი იქნება ბოლოებშეღუნული ნაჭედი რკინის კაუჭით დაგმანული ძველთაძველი კარის შემტვრევა. აბა შემოამტვრიეთ!

კარს უკან ისმოდა ერთმანეთში გადალაპარაკება, სტეპანიდამ ყური მიუგდო და გუჟის ღრიალა და კოლენდენოკის და ნედოსეკას წრიპინა ხმები იცნო.

— ჰეი, აქტივისტო ქალო! — დაიღრიალა გუჟმა, — გირჩევნია გააღო! თორემ, იცოდე, უარესი იქნება! შენ მე კარგად მიცნობ!

— პალო უნდა ჩაგთხარონ ყრონტში! — დაუყვირა ქალმა, რადგან თავი ველარ შეიკავა და მაშინვე ინანა, რატომ გამოვეხმაურეო? უკეთესი იყო არ სცოდნოდათ, სად იყო, ებრახუნებინათ კარზე და თავი ეხეთქებინათ კედლისათვის.

სტეპანიდას ეგონა, კარს დაუწყებენ მტვრევასო, მაგრამ იმათ ფანჯარას დასცხეს, ქოხში ზრიალით ჩამოცვივდა მინა, მერე ტკაცუნით ჩაიმტვრა ჩარჩო. ეს უკვე ცუდი იყო, ვინაიდან საცაა წინკარში შემოვარდებიან. კარგია, რომ საკუჭნაოს პატარა სარკმელი აქვს, იქ ვერ შემოძვრებიან. მაგრამ რაიმეს მოიფიქრებენ...

— ბოგატკა თქვენი ნებით გამოდით, ნუ გეშინიათ! — გაისმა სვენტკოვსკის ჭკუადამჯდარი, თითქმის დამშვიდებული ხმა. „ესეც აქ ყოფილა! — გაიფიქრა ბრაზით სტეპანიდამ. — კეთილი კაცი ჰქვია ვითომ...“ — მხოლოდ გვიჩვენეთ, სად არის ყუმბარა. გესმით თუ არა? თქვენ ხელს არ გახლებთ.

„იფ, თურმე რა მოსურვებიათ!“ — გაიფიქრა სტეპანიდამ და კარიდან დოლაბებისაკენ გაცოცდა. როგორც ჩანდა, უკვე ყველანი წინკარში დააბიჯებდნენ. ეტყობა, რომელიღაც მათგანი ფანჯარაში გადაძვრა და დანარჩენებს კარი გაუღო. მაგრამ საკუჭნაოს კარის გაღებას კი ვერ შეძლებენ.

როგორც კი ეს გაიფიქრა, წინკარის კარი მაგრად მოჰქაჩეს, რაღაც დაენარცხა ძირს და კედლიდან ნაფშხვენები ჩამოცვივდა. მერე გაისმა გრუხუნტკაცუნი, ეტყობა, ნაჯახს ურტყამდნენ კარს. რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო ცუდი იყო, ამან შეატრიალა საქმე, უფრო და უფრო ცოტა-იმედი რჩებოდა. ქაგრამ ქალს არც ჰქონდა არაფრის იმედი, ნათლად ხედავდა, რაც ელოდა, მხოლოდ ცდილობდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაძლება. ცოცხლის უკანასკნელი წუთი. ძალზე სამწუხაროა, რომ როგორც სურდა, ისე არ გამოვიდა. მისი გეგმები ჩაიფუშა. მაგრამ რაკი ასეა, აუცილებლად ისე უნდა მოაწყოს, რომ მათი სურვილიც არ აღსრულდეს.

ალბათ შეეძლოთ მისი კარიდან მოკვლა — ტყვიას აქ ვერსად დაემალებოდა, მაგრამ ისინი არ ისროდნენ. როგორც ჩანს, ქალის ცოცხლად ხელში ჩაგდება სურდათ. ეგებ უნდოდათ ეთქმევინებინათ მისთვის, აქა და აქ არის ყუმბარაო? ეტყობა კორნილასაგან მთავარი ვერ გაუგიათ. მაშ სტეპანიდასაგან მით უფრო ვერ გაიგებენ.

როგორც ჩანდა, უკვე ოთხივე ერთად ამტვრევდა კარს, ღიობებში რომ უკვე ყანყალებდა, მტკიცედ ნაჭედი კაუჭი და რკინის ანჯამებიღა ამაგრებდა. თორემ ნაფოტებად დაიშლებოდა. ჰო, მაგრამ, ადრე იქნება თუ გვიან სულ ერთია, შემოამტვრევენ, სტეპანიდამ უკვე იცოდა, რაც უნდა ექნა და იმის გაფიქრებაზე, იქნებ დავაგვიანო და ვერ მოვასწრო, შეშინდა. მუხლებით შეხტა დოლაბებქვეშ და აკანკალებული ხელებით გამოაგორა იქიდან ნავთით სავსე მძიმე ბოცა. ისინი ისევ ურტყამდნენ კარს, კარი ირყეოდა, იბზარებოდა. სტეპანიდამ ვიწრო ყელიდან ბოცას ხის საცობი ამოაძრო და კარს ნავთი მოასხა, მერე მის ორივე მხარესაც მიასხა — კედლებსა და კუთხეზე. თავადაც უნებლიეთ გადაიღვარა ხელ-ფეხსა და ქვედაბოლოზე — ყველაფერი ნავთის სუნით ყარდა, მაგრამ ახლა ამას არ დაგიდევდათ. მერე ბოცა იატაკზე დააგდო, ბამბულას პატარა ჯიბიდან ასანთი ამოიღო. რომლითაც წელან ღუმელის დანთება ვერ მოასწრო, და მუხლებზე ჩაჩოქილმა გაპკრა ღერი.

მაგრამ პირველი ღერი ჩაუქრა და კარს ცეცხლი არ წაეკიდა. მაშინ სტეპანიდამ თავიდან თავსაფარი მოიძრო და ბოცაში ჩარჩენილი ნავთი დაასხა, მერე ასანთის მეორე ღერს მოუკიდა; თავსაფარს მაშინვე მოედო წითელი ალი, ქალს ხელები დაეწვა და ცეცხლმოკიდებული თავსაფარი ზღურბლზე მიაგდო.

სტეპანიდა პირქვე დაეცა მაგარ სოხანეზე, წლების განმავლობაში პანების, შლიახტების, მოჯამაგირეების, მისი ქმრის, პეტროკისა და მისი შვილების ფეხებით დაკბენილზე, და კვამლის სიმყრალით სულშეხუთული მიაჩერდა ცეცხლს. თავსაფრის ალი ხელადვე მოედო კარს, აინავარდა ჭერზე და ცერად გაცოცდა კედლების ძელებისაკენ; კუთხეში ლურსმანზე ჩამოკიდებულ ჩვარს ცეცხლი მოეკიდა. ცეცხლის ალის წითელი ხუჭუჭა ენები დაიგრიხნენ, შეერივნენ მონაცრისფრო მოშავო კვამლში, ჭერს მიებჯინენ, საკუჭნაოს გაფისულ კოჭებს მიაწყდნენ. სტეპანიდას უკვე სული ეხუთებოდა კვამლისაგან და უფრო და უფრო ეკვროდა გრილ სოხანეს.

წინკარში ვიღაცამ მუქარით დაიყვირა, მაგრამ სტეპანიდამ ვერ გაიგო, რა თქვა, კარის მტვრევა კი შეწყვიტეს. სამაგიეროდ გაისმა გრიალის ხმა და კასრს უკნიდან რაღაც მოხვდა. ეს ტყვია იყო! მაგრამ ახლა რამდენიც უნდათ ისროლონ, სტეპანიდას აღარაფრის ეშინია. კიდევ იჭექა თოფმა, ახლა სხვა მხრიდან, ეზოდან, მეორე ტყვია დოლაბებზე გაჩხაკუნდა და კუთხეში გახტა, რომელსაც უკვე გუგუნით მოსდებოდა ალი. საკუჭნაოს ფენა-ფენა მოედო შავი კვამლი, ზემოდან ძლივს მოიკვლევდნენ გზას ცეცხლის ალის მო-

ფუთფუთე ენები, სუნთქვა თანდათან ჭირდა და მოკუნტული, ფეხებშეკვეცილი სტეპანიდა გაუნძრევლად იწვა იატაკზე. გრძნობდა, რომ სულ მალე დაიბუგება ცეცხლში, ჭერი რომ ჩამოხვავდება, მაშინ, ან კიდევ მანამდე კვამლი გაგუდავს, თუ არ მოასწრეს მისი კედლიდან მოკვლა. მაგრამ ახლა მისთვის სულერთი იყო. მან თავისი საქმე უკვე გააკეთა და გადარჩენის ემედის ნიშანწყალიც აღარ დარჩენოდა.

ისინი იქ შეშფოთებულები ღრიალებდნენ, რამდენჯერმე კიდევ ესროლეს კედელს, მაგრამ სტეპანიდას საკუჭნაოში თითქმის არაფერი ესმოდა. ცეცხლი უფრო და უფრო იკრებდა ძალას, კუთხეებსა და კედლებს ტაკატაკუცი გაჰქონდა, სტვენდა, გუგუნებდა ყველაფერი, უკვე მთლად წაჰკიდებოდა ცეცხლი ჭერს, კედლებს, კასრებს, ნაირ-ნაირ საოჯახო ხარახურას — ყველაფერი ხისა იყო, ძველი და გამომშრალი. სტეპანიდას ზემოდან ეყრებოდა ნაპერწკლები, აუტანლად აცხუნებდა თავსა და ფეხებზე, ეტყობოდა, თმაზე, კეფასთან უკვე წაჰკიდებოდა ცეცხლი, სახე ბამბულას სახელოებში წაჰყო და ნელ-ნელა იგუდებოდა. თუმცა ახლაც არ იცოდა, რა უწინ მოეწეოდა — ცეცხლი დაწვავდა თუ კვამლი გაგუდავდა, — და არც გაეგებოდა, რა უჯობდა. ცოტა ხნით გონება დაებინდა, მგონი, ბურანში წავიდა, მერე უცებ გამოფხიზლდა და იგრძნო, რომ ზურგზე ბამბულასაც წაჰკიდებოდა ცეცხლი. ეს უკვე დასასრული იყო, არადა, სტეპანიდა იმაზე ფიქრობდა, რაც სულაც არ ესადაგებოდა მის ახლანდელ შეგრძენებებს: ნეტა იქ, ორმოში რად არ მომკრა თვალი ვინმემ ყუმბარითურთო? ვინმე იქაური რომ გამოჩენილიყო — მწყემსი, კაცი ან ქალი, — იმ ადგილს დაიხსომებდა, რაიმე ნიშანს დაუსვამდაო.

ამასობაში სუნთქვა აუტანელი გახდა. ახლა კი საბოლოოდ იგუდებოდა, თავზე თმა ეწვოდა. სულშემხუთველი სიმყრალით ბრჩოლავდა ბამბულა. ეტყობა, სახელოებსაც მოეკიდა ცეცხლი იდაყვზე, სასოწარკვეთილი ქალი რომ სახეს მალავდა შიგ. და თავისდამოუღლელად კვლავ გაიფიქრა: იქნებ ასეც სჯობდეს, რომ ვერავინ ვერ დამინახოთ — ვერც კარგმა კაცმა და ვერც ავმა — და ვერც ვერავინ ვერ გაიგებს ვერაფერსო. კარგ კაცს რაში დასჭირდება, ხოლო ესენი დაე, გაცოფდნენ, დაე, ბევრი იფიქრონ, ქექონ და ჩხრიკონ, თავი იმტვრიონ — სად არის ყუმბარაო? დაე, ნურც ღამე დაიძინებენ და ნურც დღე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შიშში იყვნენ.

ამ მოულოდნელმა ფიქრმა დაამშვიდა სტეპანიდა, ეს იყო მისი გაწამებული ცნობიერების უკანასკნელი გაელვება, მერე საბოლოოდ მიეხადა გონი და აღარც მობრუნებია.

სტეპანიდამ ველარ გაიგონა, ცეცხლისაგან ილაჯგაწყვეტილი პოლიციები რომ წინკარიდან გაცვივდნენ, არ დაუნახავს, ცეცხლის ალი რომ ქოხისა და საკუჭნაოს მთელ ჭერს მოედო და ქარიც აღვივებდა, მთელი ძალით გომურსა და ბეღლისაკენ მიჰქონდა, წამიც და ცეცხლის ვეება ზღვა ღმუილით, ტკრციალითა და გუგუნით აბობოქრდა მთელ სახლ-კარში, თანდათანობით შთანთქა ნაგებობანი, შეშა, კედლის სიახლოვეს მდგარი ხეები, ღობე, ფეფრლითა და ნაპერწკლებით მოფინა ეზო.

ნაპერწკლები და ცეცხლმოკიდებული ნამჯა ბღუჯა-ბღუჯა ადიოდა გაკვამლულ ცაში, ღარტაფიდან ფიბნარსა და გზისაკენ მიექანებოდა, სტეპანიდას საძულველ ხიდისაკენ, დაჭაობებულ მდინარე დერევიანკაზე რომ იყო გადებული.

ხანძარს არავინ აქრობდა და ხუტორი დიდხანს, მთელი ღამე იწვოდა; მეორე დღესაც არ ჩამქრალა ცეცხლი, პოლიციებიც არავის აკარებდნენ ხანძარს და თავადაც შორიახლოს იდგნენ — ყუმბარის აფეთქების შიში ჰქონდათ.

მაგრამ ყუმბარა თავის დრო-ჟამს ელოდებოდა.

ბორის პასტერნაკი

ლექსები

თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაკვანალია

ქალაქი. ზეცა ზამთრის.
წყვდიადი. ჭიშკრის თაღი.
შუქი უნათებთ ლამპრის
გლებსა და ბორისს დაღლილს.

მლოცველი დედაბრების
ხატთან მოხრილი მუხლი,
სანთლის პეპლების ფრთებით
განათებული მწუხრი.

ქუჩა ქარიშხლის ხმებით
არეულა და ღელავს
და ერთმანეთის გზები
დაგვიკარგია ყველაა.

ქარბუქი ნისლებს არწევს,
დაფარულია ბინდით:
ციხე, სახლები, ამწე,
ესკალატორი, ხიდი.

აფიშა აგლეჯილი
გაიტაცუნებს წამით,
ბაღში ხეების ჩრდილი
ვერცხლისფერ მოსასხამით.

და ყველგან ფეთქავს თრთოლვით
დიდი ეპოქის გული:
ნგრევა, შენება, თოვლი
მანქანის გაკვალული.

ცვლა დროებათა რიგის
ჩვენ გამოხედვას აძევს,
კეთილ ნაცნობთა ღიმილს,
ანტენებსა და ანძებს.

კოსტუმებსა და წიგნებს,
უბრალოების განცდას,
ცრემლების მომგვრელ ფიქრებს,
დარდს და საუბარს კაცთა.

მივდევთ ცხოვრებას ორგვარს:
სიღატაკე რომ შვენის
და მაინც დიდი მოჩანს
დანაკარგებით ჩვენით.

ზამთრის ღამე

სითეთრით იყო მიწა სავსე,
სამყარო მთელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

როგორც ზაფხულში ქინქლი სანთელს
ედება თრთოლვით, —
ეფინებოდა დახშულ სარკმელს
ფიფქები თოვლის.

ხატავდა ისრებს თხელ მინაზე
ქარიშხლის ხელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

ჭერზე მოჩანდა შუქით ფრთხილად
ნაბატი ჩრდილი,
ხელები წყვილად, ბაგე წყვილად
და ბედიც წყვილი.

იატაკს რეჩხით ეცემოდა
ტუფლები წყვილი,
კაბაზე ცრემლად ეფრქვეოდა
შანდლიდან ცვილი.

თოვლის ბურანი გვადგა თავზე
თეთრი, ნათელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

ცდუნების ცეცხლი აბოლილი
გვწვავდა კვარივით,
ვით ანგელოზის ფრთანი წყვილი,
ჩანდა ჯვარივით.

ო, თებერვალო [illegible]
სითეთრით მწველით.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

შემოდგომა

დავკარგე ყველა ღვიძლი და ნაღდი,
შემოვიფანტე დაუბრუნებლად
და მარტოობის მარადი დარდით
ავსებულია გულიც, ბუნებაც.

და აი, შენთან ეცხოვრობ ფარდულში,
უკაცრიელ და უსიერ მთაში
და ბილიკები გადაბურდულა,
ფეხდაუდგამი, ვით სიმღერაში.

ჩვენს მარტოობას ძელური ბუდე
სევდით შესცქერის, ცრემლი გამშრალა,
ჩვენ არ გვიცდია დაძლევა ზღუდის,
ჩვენ ვიღუპებით ასე აშკარად.

გვიანობამდე ვუსხედვართ ღუმელს,
მე ჩემი წიგნით, შენ შენი ნემსით
და ალიონზეც ვერ ვამჩნევთ, თურმე
გადაგვავიწყდა კოცნა, ალერსი.

ჩემო ხეებო, იდარდიმანდებთ,
შრიალა ფოთლებს ცრემლებად
დაღვრით,
თასით აუწყავ გუშინდელ დარდებს
გადააჭარბებთ დღევანდელ ნაღვლით.

გატაცებები, სწრაფვა და ნდომა!
გადავერიოთ სექტემბრის მინდვრებს!
ო, შერთე სული ამ შემოდგომის
უცნაურ შრიალს და გაირინდე!

შემოიძარცვავ შენც კაბას ისე,
ვით იძარცვავენ ხეები ფოთლებს
და აბრეშუმის ხალათით მყისვე
ჩამეხუტები და შემაშფოთებ.

შენ ხარ სიკეთე დამღუპველ ბიჯის,
როცა ცხოვრება არის წამება,
მამაცობაა ტრფიალის ნიჭი
და ეს გვაერთებს ჩვენ ერთმანეთთან.

თოვლი მოდის

თოვლი მოდის, თოვლი მოდის.
ზედ ეხლება ფანჯრის სარკეს
და თეთრ ვარსკვლავებისაკენ
ნემსიწვერას იწევს ტოტი.

თოვლი მოდის, ყველაფერი
აფრენილა ცაში ნებით,
კიბეები შავი ფერის,
ვიწრო გზაჯვარედინები.

თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
განა მიწას ფიფქი ფარავს,
ჩამოსულა ცის კამარა
დაბებკილი ძველ სალოფით.

თამაშ-თამაშ, ნება-ნება,
ახირებულ კაცის მსგავსად,
მოევლება კიბის თავსა
და სხვენიდან გვეპარება.

ო, ცხოვრება განა გელის,
დაეშვება ბინდის ფარდა,
ერთი უკან მოხედვა და
ქვლავ ახალი დგება წელი.

თოვლი მოდის, მიწას ფარავს,
მის კვალდაკვალ, დღით და ღამით,
მისი ტემპით, მისებრ წყნარად,
ანდა, იქნებ, მისებრ ჩქარად,
გააფრინდება დრო და ქამი.

ეჰ, ვინ იცის, წლები ოდით
მიდის, როგორც თოვლი მოდის,
ან ლექსებში მოდის სიტყვაჟ
თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
თოვლი მოდის, თოვლი ფეფქავს;
მარტოხელა მგზავრის მხრებსა,
გაშტერებულ ხეთა ფრთებსა,
ციწრო გზაჯვარედინებსა.

* * *

ყველაფერს მინდა ძირის-ძირამდე,
ბოლომდე ჩავწვდე,
ღამის თევას და გზების ძიებას,
მტკივნეულ განცდებს.

არსს და სისრულეს გარდასულ დღეთა,
მიზეზთა დიდთა,
მინდა, რომ ჩაწვდეს დაღლილი ხედვა
ფესვთა და ძირთა.

მინდა მეჭიროს ბედის სადავე,
სადავე ხვალის,
ცხოვრება, ფიქრი, ახლის სათავე,
ტრფიალი ქალის.

ო, რომ შევიძლო ბოლოს და ბოლოს
ახდომა ნების,
მაშინ რვა სტრიქონს დავწერდი
მხოლოდ
შესახებ ვნების.

შესახებ — ქვეყნად უცოდველთ
დევნის,
შესახებ ცოდვის,
დაღლილ მკლავების და ხელის მტევნის,
უნებურ ბოდვის.

ამოვიცნობდი კანონებს უცნობს,
საწყისს ბუნებრივს,
ვიმეორებდი სახელებს უცხოს
დაუსრულებლივ.

ლექსების ბაღნარს დავრგავდი მაშინ
ტანჯვით, ტკივილით,
გაცურდებოდნენ ცაცხვები ქარში
მწვანე ტივივით.

ლექსს ექნებოდა ვარდის სურნელი,
სურნელი პიტნის,
ჭექა-ქუხილის, გათიბულ ველის,
ჭალების, კვირტის.

ასე, ოდესღაც, შოპენმა ვნებით
შექმნა ულევი, —
ველების, მთების და საფლავების
სასწაულები;

ამხდარ ოცნების ზღვა სიხარული
თუ დარდი დიდი, —
ლარდაჭიმული და მოზიდული
სასროლად მშვილდი.

□

ემილ დიკინსონი

ლექსები

ინგლისურიდან
თარგმნა ცაცა ბენაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ჩემს ბაღში ახლა სხვა დადის,
სხვა ეფერება კორდებს,
ტრუბადური კი თელებქვეშ
მარტოობაზე გოდებს.

მოსულან უცხო ბავშვები,
მოლზეც ვილაც სხვას სძინავს,
დრო გადის.. ხან თოვს, ხან სევდის
ცრემლები სცვივა წვიმას.

●

ვილაცა მოკვდა მეზობელ სახლში,
ორიოდე დღის უკან,
ნაღვლიან დუმილს მოუცავს ყველა,
ბინდის ფერი აქვს შუკას.

ფუსფუსებს ხალხი შიგნით და გარეთ,
ექიმი სტოვებს ბინას,
უცბად გააღეს ყველა ფანჯარა,
შიგნით კი სიკვდილს სძინავს.

აი, ლეიბიც ისროლეს გარეთ,
ბიჭებს უკვირდათ მაშინ:
— ამაზე მოკვდა? — მეც ასე ვძრწოდი,
როცა ვიყავი ბავშვი.

შემოდის მღვდელი ღირსებით სავსე,
თავი რომ მოაქვს ღმერთად,
ახლა მისია აქ ასპარეზი,
ციცქნა ბიჭებთან ერთად.

მოდის მკერავიც, მოჰყვება უკან
შავი ხელობის კაცი,
სასახლის უნდა აიღოს ზომა,
გლოვა იქნება მკაცრი.

ქუდებისა და ეტლების მწკრივი,
სიკვდილის ელდას მალავს,
რაღაცა ახლის აფხიზლებს ღელვა
ჩვენს პროვინციულ ქალაქს.

●

იმედს ფრთები აქვს ლამაზი ჩიტის
და მხოლოდ სულში სუფევს,
მღერის და მღერის თავდავიწყებით
— სიმღერას ენით უთქმელს.

ყველაზე ტკბილ ხმას აყოლებს ნიავს,
ქარი ნაღველს ჰგვრის თითქოს,
აფრთხობს მგალობელს, გულს რომ
უნათებს,
დაულეველი სითბო.

მსმენია ეს ხმა უცხო მხარეში,
შორეულ ზღვებს რომ ერთვის,
მაგრამ არასდროს არ უთხოვია
პურის ნამცეცი ჩემთვის.

□

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა პეთანდილ გურგენიძემ

●

ვინც მე მიმიზნებს,
ჩემს ბავშვს უმიზნებს.
რა დააშავა მან?

ვინც მე მიმიზნებს,
დედას უმიზნებს.
რა დააშავა მან?

ვინც მე მიმიზნებს,
ჯვარს უმიზნებს
მამის საფლავზე.
რა დააშავა მან?

რა არის ჩემი დანაშაული,
თუ არაფერი არ მაბადია, —
ზღვა სიხარულით სავსე გულისა
და ოფლიანი პერანგის გარდა, —
სიყვარულით რომ გაჟღენთილია!..

დანარჩენი კი,
რაც გარშემოა,
ეს — მე კი არა,
ჩვენია ვართ — ყველა!

სიმღერა ომის შემდეგ

— ლამაზო, მითხარ, ლამაზო,
რად გენანება ალერსი?
— ო, აქვე, გაჭრილ აკვანში
ჩემს პაწაწინას სძინავს.

— ლამაზო, სახლი დავტოვოთ,
წამო ცაცხვის ქვეშ, ჩრდილში.

— ძველი ცაცხვის ქვეშ, გეთაყვა,
ბებუას ჩემსას სძინავს.

— ლამაზო, ჯანიც გავარდეს,
მინდვრად გავიდეთ მაშინ.
— მინდვრად, აყალო მიწაში
ქმარი მარხია ჩემი.

●

ჯერ მოვისროლე სატრფოს ბეჭედი —
შორს მოლდაველის სტეპზე.
მერე გავვარდი,
რომ მომეძებნა, —
ასე ვისწავლე
რბენა.

ჯერ მოვისროლე სატრფოს ბეჭედი —
უკიდეგანო ზღვაში.
მერე ჩავყვინთე,
რომ მომეძებნა, —
ასე ვისწავლე
ცურვა.

ჯერ მოვისროლე სატრფოს ბეჭედი —
ვარსკვლავებისკენ, ცაში.
და მოვწყდი მიწას,
რომ მომეძებნა, —
ასე ვისწავლე
ფრენა.

ტყემაც დაკარგა ჩემში ხალისი —
განა ამ ტყეში არ ჩაიარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარსკვლავებთანაც არა მაქვს საქმე —
განა მუდამ მათ არ შესცქეროდი.

ალარც ზღვა მსურს და ალარც მზის
შუქი —
შენ ხომ ყველაფერს შეახე ხელი.

რანაირია ჰაერი

რანაირია ჰაერი?
ალბათ როგორც ღიმილი შენი.
შენ ხომ ყველაზე ლამაზი ხარ.
როგორც ჰაერი, ლამაზი ხარ,
ლამაზ ჰაერზედაც ლამაზი.
და უშენობა არ შემიძლია,
შენ არ მყოფნიხარ,
ვერვისთვის დაგთმობ.

შენ?
ვითამაშოთ დამალობანა,
აბა, სცადე და მომაგენი,
აბი, მიპოვე.
იპოვე ჩემი გული და ფიქრი
და დედაჩემის იპოვე ცრემლი,
ეს ყოველივე ხომ აქვეა,
ამ ჩემს დუმილში.

ჯამბაზი

პირს გავაღებ, მაშინვე —
ხალხი კვდება სიცილით.
რამეს ვანგრევ, ვაშენებ —
ხალხი კვდება სიცილით.

მხიარული არ ვარ და —
ხალხი კვდება სიცილით.
გამეხევა შარვალი —
ხალხი კვდება სიცილით.

თითის ჩვენებაზედაც —
ხალხი კვდება სიცილით.
უსასრულოდ იცინის,
მთელი ხალხი იცინის.

ფეხსაცმელი მიჭერს და —
ხალხი კვდება სიცილით.
ტირილითაც რომ მოვკვდე —
ხალხი კვდება სიცილით.

რატომ?

თუ შენ ხარ — პური,
თუ შენ ხარ — წყალი,
თუ ხარ — ჰაერი —
ჩემეულ სულის —
რატომ ვირწევი,
როგორც ლერწამი?

რატომლა ვხმები
წყურვილისაგან?
რატომ ამომდის სული,
ძვირფასო.
რატომ?

მაღლა

მთებში,
ნაძვნარში,
ქათქათა დილით:
ნატამალიც არ იგრძნობოდა
დარდის და სევდის,

მე უკვდავება
ვიხილე თვალით: —
წვეთდა მსუბუქად,
ვითარცა რძე
დედისეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერება

პურიც კი გახლავთ ბედნიერება.
მე
ომის შემდეგ.
შუადღის ხვატში,
ბევრჯერ მინახავს
ახალგაზრდა ქვრივი ქალები,
მძინარენი,
პურის ნატეხს ჩახუტებულნი —
თითქოს და გრძნობდნენ
მამაკაცთა ვაჟკაცურ სითბოს;

დიახ,
პურიც კი გახლავთ ბედნიერება.
მე
ომის შემდეგ
ბევრჯერ მინახავს
ახალგაზრდა ქვრივი ქალები,
ფუთაში პურით —
ხელუხლებელით —
რომ მარტოობა არ გაეცადათ.

●

ყველა გზა მშობელ კერასთან მიდის—
სიხარულშიც და სიმწარეშიც.
შორიდან დედის დალანდავ სხეულს,
ოდნავ გათბობილს ნატვრის ქარებში.

მაშ დაადექი მამულის შარას,
კურთხეულ იყოს მისი ხსენება.
მერე სახლისკენ მავალი გზები
გრძლად არასოდეს მოგეჩვენება.

მიყვარს სიჩუმე ბინდისეული,
მაგრამ ეს ბინდიც მაშინებს ღამის:
შენ მამულში ხარ, შენი აჩრდილი
თითქოს სხვა მხარეს ეკუთვნის წამით.

დილა მშვიდობის,
დედაო ჩემო,
მშვიდობის დილა
ჩემს ცვრიან მამულს!

□

უილიამ ფოლკნერი

აგესალომ, აგესალომ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან
თარგმნა ზაურ კილაძემ

8

სუნთქვით ვარჯიშებს ალარ ,გააკეთებს ამალამ. გაყინულ და ცარიელ კვადრატულ ეზოში გამავალი სარკმელი მიკეტილი დარჩება; ორისა თუ სამის გარდა ყველა სარკმელი ჩამობნელდა მოპირდაპირე კედელზე; შუალამეს ამცნობდა მალე მათ საათი შუშისამებრ საამური და წყნარი წკარუნით (ალარ თოვდა), მოეახლებოდა უსიამოვნოდ გარინდებულ ჰაერს. „ხოდა, იმ ბერიკაცმა ზანგი გაგზავნა ჰენრის მოსაყვანად, — თქვა შრივმა, — მოვიდა ჰენრი და იმ ბერიკაცმა უთხრა, ვერ დაქორწინდებიან ისინი, რადგან ის შენი ძმა არისო. ჰენრიმ მიაძახა, სტყუიო, თითქოსდა შეუჩერებლივ, სულმოუთქმელად, დაუხანებლად, უარაფროდ, მსგავსად იმისა, შენ რომ ჩამრთველს ხელი დაჰკარ და სინათლე აანთე ოთახში. და ის ბერიკაცი არც კი შეტოკებულა, ისევ ისე იჯდა, არც გაურტყამს მისთვის და ჰენრისაც ალარ უთქვამს ისევ, სტყუიო, რადგან უკვე იცოდა, ასე იყო მართლა; მხოლოდ ეს წარმოთქვა, არ არისო მართალი, ის კი არ უთქვამს, არ მჯერაო, რადგან ისევ დააცქერდა იმ ბერიკაცს და იმ ეშმას სახეზე რაღაც მწუხარება და სინანული ამოუკითხავს, თავისი თავის კი არა, ჰენრის მიმართ, რაკიღა ჰენრი ბავშვი იყო მაშინ ,როცა მან (ბერიკაცმა) იცოდა, რომ თავად ჯერ კიდევ შერჩენოდა ვაჟკაცობა და მოხერხებულობა...“

შრივი ახლა მაგიდასთან იდგა კვენტინის პირისპირ, ალარ იჯდა. საბანაო ხალათზე პალტო მოესხა და აცაბაცად შეებნია ფოლაქები, ვეებერთელა და ტლანქი ჩანდა, ვითარცა ბალანაბურძგნული დათვი, და ისე შესცქეროდა კვენტინს (სამხრეთელს, რომლის მჩქეფარე სისხლი უფრო მალე ცივდებოდა იქნებ იმიტომ ,რათა შესაბამისი ყოფილიყო ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობისა ან იქნებ უფრო ახლოს იყო ზედაპირთან და იმიტომ). წელმოხრილი რომ იჯდა სკამზე, ხელები ჯიბეში ჩაეწყო, თითქოსდა გათბობას ლამობდა საკუთარივე მკლავებს შორის მოქცეული, სულ ულონო ჩანდა, ზაფრანისფერიც კი დასდებოდა ლამპის მოვარდისფრო შუქზე, რომელსაც ალარც სითბო ჰქონდა და ალარც მყუდროება დაემკვიდრებინა აქ, და ახლა ამ ცივ ოთახში იმათი სუნთქვა მოთეთრო ნაორთქლად გადაქცეულიყო და ორნი კი არა, ოთხნი იყვნენ უკვე, და ეს ორნი, რომლებიც სუნთქავდნენ, ინდივიდები კი არა, ტყუპებზე მეტიც იყვნენ და ნაკლებიც, სული და გული გახლდნენ სიყმაწვილისა. შრივი ცხრამე-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“, №№ 4,5.

ტისა იყო, კვენტინზე უმცროსი რამდენიმე თვით. ხოდა, ცხრამეტისაც ჩანდა
და კიდევაც იყო ერთ-ერთი იმათთგანი, რომლის ასაკის განსაზღვრა შეუძლებ-
ელია, ვინაიდან სრულიად შესაბამისი გარეგნობა აქვს თავის ასაკთან, და ისე
ეუბნები საკუთარ თავს, რომ იგი კაცი თუ ქალი, არ შეიძლება იყოს ამდენი
წლისა — მისი გარეგნობა ხომ მეტად ზუსტად შეესაბამება მის [illegible]
კიდევაც მოიშველიებენ ხოლმე ამ გარემოებას, და ვერც იტყვი შეუმცდარად,
რომ იგი, კაცი თუ ქალი, ნამდვილად იმდენი წლის არის, რამდენსაც გეუბნე-
ბა, ანდა სასოწარკვეთილებამდე მისული დაეთანხმებიან იმას, ვინც რამე ვა-
რაუდს გამოთქვამს მისი ასაკის თაობაზე, და ყოველ მათგანს კიდევაც ეყოფა
ძალა და სურვილი ორისათვის და გინდ იმათი მსგავსი ორი ათასისათვისაც.
ეს ორი კი არ იყო ნიუ-ინგლანდს საკოლეჯო საცხოვრებლის ოთახში მჯდო-
მარე, არამედ ერთი გახლდათ სამოცი წლის წინათ მისისიპს, ბიბლიოთეკაში
მყოფი, სადაც ბაძგი და ფითრი იყო ბუხარზე შემოდგმულ ლარნაკში, კედ-
ლებზე — საშობაოდ მოჩითული და გირლანდებით შემკული სურათები, მაგი-
დაზე კი ორი-სამი ტოტით გაწყობილი ჯგუფურად გადალებული ფოტოსურა-
თი დედისა და ორი ბავშვის, მაგიდასთან იჯდა მამა ,როდესაც იმისი ვაჟი შე-
მოვიდა; და ისინი, კვენტინი და შრივი ასე ფიქრობდნენ: მამის ნათქვამის
მერე, ჯერ კიდევ მანამ, სანამ თავზარდაცემული გონს მოვიდოდა და გაიგებ-
და ამ სიტყვების მნიშვნელობას, ჰენრის, რომელიც შემდეგ გაიხსენებს ამ ამ-
ბავს, სარკმელში, მამის თავის მილმა თავისი დაი და მისი მიჯნური დაუნახავს
ბაღში მიმავალნი, ნელინელ დასეირნობდნენ, გოგო ყურს უგდებდა თავდახრი-
ლი, თავდახრილივე იყო მისკენ მიჯნური და მისეირნობდნენ ნელინელ, რიტმუ-
ლად მიაბიჯებდნენ, ოღონდ ამ რიტმს თვალი კი არა გული წარმოშობდა, და ასე-
ვე ნელინელ მიმალულან ბუჩქების თუ ბუჩქნარის იქით, თეთრად რომ გადაპენ-
ტილიყო — ჟასმინი, გრაქლა და ცხრატყავა ხარობდა აქ ან იქნებ ეს იყო
სურნელის უქონელი და ყუნწმოკლე ჩინური ვარდი, რომლის სახელი შრივს
შეიძლება არც არასდროს გაუგონია და არც არასდროს უნახავს, თუმცა კი ის
ნიავი ,სანამ ამ ყვავილებთან მოქროლდებოდა, ჯერ იმას მოელამუნებოდა. აქ,
კემბრიჯს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, რომ იმ ბაღშიაც იყო ზამთარი
და არ დარჩენილიყო აღარც ყვავილი და აღარც ფოთოლი, და აღარც მოსეირ-
ნენი, რომელთა ნახვა შეიძლებოდა; რადგან შემდგომ მოვლენებს თუ გავით-
ვალისწინებთ, იმ ბაღშიაც ღამე იყო დავანებული. მაგრამ ასე იყო თუ ისე,
დიდი ხანი გასულიყო მას შემდეგ და ამას რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.
ასე იყო თუ ისე, ამას აღარც იმათთვის ჰქონდა მნიშვნელობა (კვენტინისა და
შრივისთვის), რომლებსაც შეეძლოთ არც კი შეტოკებულიყვნენ, თავისუ-
ფალნი სისხლისა და ხორცისაგან მსგავსად იმ მამისა, რომელმაც ბრძანა და
აკრძალა; და ვაჟი მისი, ვინც არ დაიჯერა და უარყო; მიჯნური, ვინც ყველა-
ფერზე თანახმა იყო; მისი მიჯნური ქალი, ვისაც ჯერ კიდევ არ განეცადა და-
ნაკლისი; ყველა იმათთაგანს შეეძლო, ისე რომ არ მიეტოვებინა ბუხარი, დაუ-
ღლელად, ბაღის გაუვლელად და უუნაგიროდ გაექროლებინათ ცხენები დე-
კემბრის ღამისა და შობის განთიადის ხანს მოყინულ გზებზე და ეხილათ მშვი-
დობიანობის, სიხარულისა და სიკეთის სურათი, ბაძგის ტოტები, ბუხარში
აგუზგუზებული კუნძები; და მაშინდელივით ორნი კი არ უნდა ყოფილიყვ-
ნენ, ოთხნი უნდა შემსხდარიყვნენ ორ ბედაურზე და გაერღვიათ წყვდიადი,
და არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რა სახე ჰქონდათ და რა სახელით გამც-
ნობდნენ საკუთარ თავს, რას ეძახდნენ სხვები იქამდე, ვიდრე იმათ ძარღვებში

არ შეწყდებოდა ჩქეფა სისხლისა, იმ უკვდავი, ხანმოკლე, უცვალებელი ახალგაზრდული სისხლისა, რომლისთვის ღირსება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩუმი გულისწყრომა, ხოლო სიყვარული ულონო და ცუდმედიდ ... ვილზე მაღლა.

— და ბონმა არც არაფერი იცოდა ამის შესახებ, — [illegible], — ის ბერიკაცი არც შეტოკებულა და ამჯერად ჰენრის აღარ უთქვამს, სტყუიო; ასე უთხრა, ეს არ არისო მართალი, და მაშინ იმ ბერიკაცმა მიუგო: „აბა ჰკითხე. მიდი და ჩარლზს ჰკითხე-მეთქი", და მაშინ კი მიხვდა ჰენრი, სწორედ ამას გულისხმობდა, როდესაც მამას უთხრა, სტყუიო, რადგან იმ ბერიკაცს ასე კი არ უთქვამს ,ის შენი ძმა არისო, არამედ: „იმან მუდამ იცოდა, რომ ის თქვენი, შენი და შენი დის ძმა არის". მაგრამ ბონს არ სცოდნია ეს ამბავი. აბა ყური მიგდე, ხომ გახსოვს შენი მამის ნათქვამი, იმ ებებერს, იმ ეშმაკს, მგონია, ერთხელაც არ უფიქრია, თუ როგორ მოახერხა იმ პირველმა ცოლმა მისი პოვნა, მისი მიგნება, ერთხელაც არ უფიქრია, თუ რას აკეთებდა ის ქალი მთელი ეს ხანი იმ ოცდაათი წლის მანძილზე მას შემდეგ რაც მან მიატოვა, ანგარიში გაუსწორა და ხელწერილიც გამოართვა, ხოდა, ასე ეგონა, ყველაფერი მოისპო და განქარდაო; ერთხელაც არც უფიქრია-მეთქი ამის შესახებ, ის კი გაივლო გულში, თუ როგორ შესძლო იმ ქალმა — მოისურვა და კიდევაც გაიგო მისი ასავალ-დასავალი. ხოდა, იმ ქალს არ უამბნია ბონისთვის. არც კი უნდოდა მოეთხრო ეს ამბავი, იქნებ იმიტომ, რომ იცოდა, ის, ეშმა, მაინც ჩემზე იფიქრებს, ამ ქალის მეტი ვინ იზამდაო ამას. ან იქნებ არც ეყოფოდა ძალა ქალს და არც მოუთხრობდა რამეს იმ ყმაწვილკაცს. იქნებ არც არასდროს გაუვლია გულში ეთქვა ვინმესთვის, თუ როგორ აწყენინეს და გატანჯეს, იმას ხომ თავის ერთადერთ ვაჟიშვილზე ახლობელი არავინ ჰყავდა. ან იქნებ კი, სანამ ის ბიჭი წამოიზრდებოდა და სიტყვებს ისწავლიდა, ჯერ კიდევ მანამ უამბო ყველაფერი, ხოლო როდესაც იმდენად წამოიზარდა ვაჟი, რომ ნათქვამის აზრი გაეგო, იმ ქალს იმდენჯერ და ისე დაჟინებით ჰქონდა გამეორებული ეს ამბავი, რომ თავად ველარ ხვდებოდა თავისი სიტყვების აზრს, და ბოლოს ისე დაემართა, როცა ეგონა, ვუყვებიო, სინამდვილეში სდუმდა, და როცა ეგონა, ვდუმვარო, სინამდვილეში გული უდუღდა სიძულვილისა და მძინვარებისაგან, რამაც წაართვა კიდევაც ძილი და მოსვენება: ან იქნებ იმხანად არც სურდა ამ ბიჭს გაეგო რამე. იქნებ ის თავის ვაჟს წვრთნიდა იმ დროსა და ჟამისთვის — როდის დადგებოდა ეს დრო, ამას ვერ განსჭვრეტდა, მაგრამ რომ დადგებოდა, ეს კი იცოდა. უნდა დამდგარიყო ნამდვილად, თორემ სხვაგვარად რომ მომხდარიყო, მაშინ ის დეიდა როუზასავით უნდა მოქცეულიყო და უარეყო ის ამბავი, რომ ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად — როცა მას (ბონს) მოუხდებოდა მამის გვერდით (პირისპირ თუ არა) დადგომა და ბედი, იღბალი თუ სამართლიანობა., ან ის, რასაც ეს ქალი ეძახდა, თავად გაასრულებდა ყოველივეს (და უკეთაც გაასრულებდა, ისე რომ ეს ქალი ვერც ინატრებდა და ვერც იოცნებებდა, და შენს მამას უთქვამს, ქალი იყო და არც გაკვირვებიათ ეს ამბავი) — თავად ზრდიდა-მეთქი. თავად ატარებდა ხელში, ბანდა და აჭმევდა, აკვანში აწვენდა, ტკბილეულობა, სათამაშოები და გასართობი ამ ბავშვისთვის ყველაფერი წამალივით აწონილ-დაწონილი ჰქონდა დედას, და ამას იმიტომ კი არ შვრებოდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა; იმ ფულით, იმ ხელის ჭუჭყით, იმან (ეშმამ) რომ თავისი ნებით დაუტოვა და ამით ზნეობრივი კმაყოფილება მოიპოვა, შეეძლო დაექირავებინა ან სულაც ეყიდა

ასი მსახური, მაგრამ მსგავსად იმ მილიონერისა, ვისაც შეიძლება ჰყავდეს ასობით გრუმი და ჟოკეი, მაგრამ მისთვის მხოლოდ ერთი ცხენია მთავარი, რომელსაც ჯერ არ გაუმარჯვია, და ის წამი, როდესაც გული, კუნთები და ნება ერთად შეიკვრება, რის გამოც თავად (ის მილიონერი) მზადაა დაითმინოს კომბინეზონი, ოფლი და ნეხვი საჯინიბოში; ხოდა, დედამისიც იმ წამს, [illegible] და, როცა შეეძლო ეთქვა: „მამაა ის შენი. შენ და მე მიგვატოვა [illegible] ლიც წაგართვა. აბა შენ იცი ახლა"; მერე კი გულზე ხელს დაიკრეფდა და ღმერთს მიანდობდა იმ ამბის გასრულებას — დამბაჩით, დანით, ძელით ან დარდით თუ გაუსაძლისი ტკივილით ამოეხადა მისთვის სული, ღმერთს მიანდობდა გაეცა ბრძანება. ესროლეთო ან გადაატრიალეთო ბორბალი. ღმერთო ჩემო, თითქოს კიდევაც ვხედავ ამ პატარა ბიჭს, ვისაც ჯერ კიდევ წესიერად ვერ დაუმახსოვრებია საკუთარი სახელი და იმ ქალაქის სახელიც, სადაც ცხოვრობდა, და არც შეეძლო სწორად გამოეთქვა, ვინაც უკვე იცოდა და მოელოდა, ყოველ წუთს დაანებებინებდნენ თავს თამაშს, ჩასჭიდებდნენ ხელს, სიყვარულისაგან (ყოველ შემთხვევაში ასე წარმოედგინა იმას) გაშმაგებული შემოეხვეოდნენ, გაშმაგებით ჩაისვამდნენ მუხლებშუა და ის ქალი, რომელიც უფრო ადრე დაემახსოვრებინა, ვიდრე სხვა რამეს დაიმახსოვრებდა, რომელიც სულმუდამ ელოლიავებოდა, ნაირ-ნაირებს აჭმევდა, უვლიდა, ათბობდა, თავს ევლებოდა და იცავდა, ქორივით ჩააცქერდებოდა გარინდებული, რაღაცნაირად წამონთებული და მისთვის ეს ისეთი ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ყოფიერების ერთი გამოვლინებათაგანი; ამ ქალის პირისახე ალსავსე იყო მძვინვარებითა და ენით უთქმელი არდაეიწყებით; ცოებცხელებიანს დამსგავსებოდა (გამწარებული კი არ იყო, არცა სასოწარკვეთილებით მოცული, არამედ მტანჯველი შურისძიების გრძნობა დაუფლებოდა), რაც კიდევ ერთი გამოხატულება იყო დედობრივი გრძნობისა, ბიჭმა კი არც უწყოდა, თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა დედის გულში. ის მეტად პატარა იყო და რას ჩახვდებოდა იმ მძინვარებას, სიძულვილსა და გააფთრებულ სიჩქარეს, არც ესმოდა რამე და არც აწუხებდა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეიქმნა (ვინმეს დაუხმარებლად ან ვინ დაეხმარებოდა ამაში) წარმოდგენა პუერტო-რიკოსა თუ ჰაიტიზე, თუ რომელიღაც ადგილზე, სადაც, ესეც ბუნდოდლა გაეთავისებინა, ის მოვლენილიყო ამქვეყნად მსგავსად იმ წესიერად აღზრდილი ბალღებისა, ვისაც თავისით წარმოუდგენიათ ცა თუ კომბოსტოს კვლები და კიდევ რაღაც ამდაგვარი ადგილი, სადაც ისინი მოვლენილიყვნენ ამქვეყნად, ოღონდ იმისი დაბადების ადგილი იმით გამოირჩეოდა, რომ ვერც ვერავინ გაივლებდა გულში (ყოველ შემთხვევაში დედამისი), რომ იქ დაბრუნება მოუხდებოდა (იქნებ იმ ქალის ასაკამდე რომ მიაღწევდა, იმდენჯერ დაეცემოდა თავზარი, რამდენჯერაც დალანდავდა ფიქრებში რაღაც ნიშანს უკან დაბრუნების სურვილისა). სავარაუდებელი იყო, რომ იმ ბიჭმა არ იცოდა, როდის და რატომ წამოვიდა იქიდან, ესლა იცოდა, იქიდან გამოიქცა და იმ ძალამ, რომელმაც შექმნა ის ადგილი, სადაც იჯეჯილა მისმა სიძულვილმა, იმავე ძალამ წარიტაცა იგი ამ ადგილიდან, რათა კიდევ უფრო მეტად შეზიზღებოდა და არც დავიწყებოდა ეს ამბავი მშვიდობიან და ერთფეროვან ყოფაში (თუმცა მშვიდობიანი ყოფა ზუსტად არ გამოხატავს ამ მდგომარეობას); და კიდევაც უნდა ეთქვა ღმერთისთვის მადლობა, რომ აღარ ახსოვდა ეს ადგილი და ამავე დროს ვერც უნდა გაებედა როდისმე მისი დავიწყება... იქნებ იმასაც კი ფიქრობდა ბიჭი, რომ, რა თქმა უნდა, არც სხვა ბალღებსა ჰყავდათ მამა; ხოლო თითქმის ყო-

ველდღე რომ მოაცილებდნენ ხოლმე მის ბავშვურ გასართობებს, თუმცა კი ამით არც არავის უშლიდა ხელს, ის მოაცილებდა, ვინც მასზე დიდი და ძლიერი იყო, მერე წუთი ან სულაც ხუთი წუთი ვააჩერებდა ასე, და თითქოს გამსკდარი წყალსადენი ბილიდან ესხმოდა თავზე ენია: უსაქმული ამკინვარება და გააფთრება, ეჭვიანობის წარუვალი ვაება და შურისძიების წყურვილი — ალბათ ეგონა კიდეც, ბაკშეობის ხვედრი ეს არისო, ყველა [illegible] მემკვიდრეობით მიუღია თავიანთი დედებისაგან პუერტო-რიკოსა, ჰაიტისა თუ კიდევ სხვა ადგილიდან, სადაც ჩვენ ყველანი მოვევლინეთ ამქვეყნად, მაგრამ სადაც არც ერთ ჩვენთაგანს არ უცხოვრია, ხოდა, როდესაც ის გაიზრდება და ბავშვები ეყოლება, ისიც ამასვე იზამს (და იქნებ მაშინ გადაუწყვეტია, კი არისო სადავიდარაბო და თავსატეხი ბავშვების ყოლა და იმედოვნებდა კიდევაც, არც მეყოლებაო); და, მაშასადამე, კაცთაგან არავის ჰყავს მამა, არც არავის აქვს საკუთარი პუერტო-რიკო ან ჰაიტი, და სახე ყველა დედისა, რომლებსაც კი ოდესმე უშვიათ ბალღები თითქოსდა ნაწინასწარმეტყველებ წუთებში, ჩამოსცქერის საიდანღაც, მოცული ოდინდელი ბნელი და გაუსაძლისი შეურაცხყოფის გრძნობით, რაც თავად კი არ განუცდია, მემკვიდრეობით მიუღია ნამდვილ, მფეთქავ, მეტყველების უნარით დაჯილდოებულ სისხლსა და ხორცს; და ყველა ბიჭი, ვისაც კი ფეხი დაუდგამს ამ მიწაზე, წარმოშობილიყო ერთადერთი მოუხელთებელი, ორაზროვანი, ბნელში დანთქმული მამის თავისაგან და ამიტომ ისინი ერთმანეთის მარადიული ღვიძლი ძმები არიან ამ მზისქვეშეთში...

კვენტინმა და შრივმა შეხედეს, უფრო სწორად, დააცქერდნენ ერთმანეთს; იმათი მშვიდი, გამოზომილი სუნთქვა ნელინელ და ძლივს შესამჩნევად უერთდებოდა ჰაერს, რომელიც ცივი იყო სამარესავით. როგორღაც უცნაურად უმზერდნენ ერთმანეთს, უცნაურად, მშვიდად და გულისხმიერად. ასე ვერ შეხედავენ ერთი მეორეს ყმაწვილკაცები, უფრო უბიწოების ნიშნით ცხებულ გოგოსა და ბიჭს შეუძლიათ ასე, მალულად, მთელი გულისყურით რომ ეძებენ რაღაცას, თვითეულის თვალი წამონთებულა ადამისეამინდელი ჭაბუკური აფრთოვანებით, მოხუცთა მომნელებელი დროის სიმძიმე კი არაა იმათი წარმმართველი ძალა, არამედ თხუთმეტ, თექვსმეტწლიანებისათვის ეს არის ნათელი კვალი ყოველი მსრბოლი, დაკარგული წამისა. — მერე წამოიზარდა ის ბიჭი და თავი დააღწია დედის კალთას (იქნებ თავადაც არ უნდოდა, იქნებ ორივეს არ უნდოდა, ისე მომხდარა ეს) და აღარც აწუხებდა ეს ამბავი. კი მიხვდა, რომ ის ქალი რაღაცას აპირებდა, მაგრამ არ სწუხდა ამაზე, არც ის აწუხებდა, რომ არ იცოდა, თუ რას; გაიზარდა და მიხვდა, ის ქალი წვრთნიდა, ხვეწდა, რათა იგი დაუნდობელი იარაღი გამხდარიყო მის ხელში, იქნებ იმასაც მიხვდა (ან დაინახა), რომ იმ ქალმა მოატყუა, რაკი მისებურად გამოწვრთნა, დახვეწა, მაგრამ არც ეს ამბავი აწუხებდა ,რადგანშეიძლება იმხანად უკვე ასე ფიქრობდა, სამი რამაა მთავარი ამქვეყნად: სუნთქვა, სიამოვნება, სიბნელე; სიამოვნება არ იქნებოდა უფულოდ, ხოლო სიამოვნების გარეშე სუნთქვა რაღა საჭირო იყო და მისი ცხოვრება პროტოპლაზმას ყოფას დაემსგავსებოდა, ბრმა ორგანიზმივით სიბნელეში დაინთქმებოდა, სადაც არ ჩანდა სინათლის ნატამალიც. ფული არ აკლდა და იცოდა კიდევაც, რომ ქალმა იცოდა, მხოლოდ ფულის საშუალებით აიძულებდა, დაიყოლიებდა და დაბრკოლებას გადაალახვინებდა იმ დღეს, როდესაც მთავარი პრიზი გათამაშდებოდა, ამიტომ ფულს ვერც მოაკლებდა და იცოდა, რომ ამ ბიჭმა იცოდა ეს ან იქნებ ეს ბიჭი კიდეც სარგებ-

ლობდა ამით, კიდეც ახერხებდა ქალის მოსყიდვას: „ხელის ჭუჭყს იმდენს მომცემს, რამდენიც მინდა, და ჯერ არ ვკითხავ, რისთვის, რისი გულისთვის მაცლევს". ან იქნებ ის ქალი ისე იყო გატაცებული ამ ბიჭის წვრთნით, რომ არც კი გახსენებია ფული, არც ჰქონდა დრო გასახსენებლად, დასათვლელად ანდა იმაზე საფიქრალად სიძულვილისა და მრისხანების შუალედებში. ხოდა, მისი ფულის ხარჯვის ამბავი იმ ბიჭის ვექილმა, თუ იცოდა მხოლოდ. ბონისთვის (ბონისათვის) პირველადვე იყო ცხადი: ერთი მივიდეს დედასთან და უთხრას, ვექილმა მაწყენინაო, და იმ კაცს იგივე მოუვა, რაც იმ მილიონერის ცხენის ჟოკეის, რომელმაც, საკმარისია ცოტა უფრო მეტად გაოფლიანდეს ცხენი, მეორე დღესვე სხვაგან უნდა ეძიოს სამუშაო. გესმის, თუ ვინ იქნებოდა ის კაცი, ვექილი-მეთქი, ვისაც ის ნახევრად შეშლილი მილიონერი დედაკაცი შემოსავლის წყაროდ გაეხადა, რაკი, როგორც ჩანს, ქალი უგულისყუროდ ეკიდებოდა ფულს და ხელს ისე აწერდა ჩეკს, წესიერად არც დახედავდა, სხვას ხომ არა აქვს უკვე ხელი მოწერილი; ის ვექილი-მეთქი, ვისთანაც ბონის დედას იმთავითვე დაეჭირა თათბირი და დაგეგმილი ჰქონდა ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბიჭს მეხსიერება არც ჩამოყალიბებოდა: გეგმავდა იმ დღეს, როდესაც იგი კარგად განაყოფიერებული მიწის გროვა შეიქმნებოდა. ხოდა, ის ვექილი ხნავდა, თესავდა და იმკიდა მოსავალს დედამისისაგან და მისგან, თითქოსდა უკვე დამში იყო მოყვანილი საქმე, იმ საიდუმლო ქაღალდებითურთ იქნებ რუკაც შეენახა და სალაშქროდ გამზადებული გენერლების მსგავსად ფერადი ქინძისთავებით აღენიშნა, ხოლო ყველა წარწერა დაეშიფრა: დღეს **სატპენმა ინდიელს ასი მილი ხელუხლებელი მიწა დასტყუა, 25 000 დოლარის ღირებულებისა. დღეს 2. 31 ჭანჭრობიდან მოიტანა უკანასკნელი ძელი სახლისათვის, რომლის ღირებულება მიწასთან ერთად — 40 000. დღეს 7. 52 ჯვარი დაიწერა. ორცოლიანობის საშიშროება. დაუჯდება მინ. ნოლ. თუ სახწრაფოდ მყიდველი არ გამოჩნდა. ნაკლებად შესაძლებელია. რაღა თქმა უნდა. იმავე დღეს ცოლის სარეცელი გაიზიარა. მივუმატოთ 1 წელი.** შემდეგ იქნებ თარიღი და საათებიც იყო მიწერილი: **ვაჟიშვილი. ნამდვილი ღირ. შეიძლება. თუმც იძულებითი გაყიდვა სახლისა და მიწის პლუს მოსავლ. ღირ. მინუს ბავშვის მეოთხედი წილი. მორალური ღირ. პლუს 100 % ნულიდან პლუს მოსავლ. ღირ. ვთქვათ 10 წელი და კიდევ ერთი ან რამდენიმე ბავშვი. ნამდვილი ღირ. იძულებითი გაყიდვა სახლისა და დამუშავებული მიწის სალიკვიდაციო ფონდები პლუს აღებული კრედიტები** შეიძლება ამის შემდეგ კითხვის ნიშანი დაგენახათ და კვლავ ეს სიტყვები: **ქალიშვილი? ქალიშვილი? ქალიშვილი?** და უკვე გაბუნდოვანდა ყველაფერი, ფიქრის გაბუნდოვანების კვალობაზე კი არა, პირიქით, ფიქრი აქ შეყოვნდა, მცირეოდნავ უკან დაიხია, ჯოხით რომ გადაგიდობავს წყლის დინება, ისე, დაგუბდა, მერე გადმოიღვარა და მოიცვა ის ადგილი, სადაც იმას შეეძლო კარი დაეკეტა, წყნარად დამჯდარიყო, ეანგარიშა იმ თანხის რაოდენობა, ბონი რომ ხარჯავდა კახპებსა და შამპანურებზე, ეანგარიშა, რამდენი დარჩებოდა დედამისს შემდეგი დღისათვის, თვისათვის თუ წლისათვის, ვიდრე სატპენი საბოლოოდ არ მომწიფდებოდა: შეიძლებოდა ეფიქრა იმ ნაღდ ფულზე, ბონი რომ ანიავებდა ცხენებსა და ტანსაცმელზე, შამპანურებსა და თამაშზე, ქალებზე (დედამისზე უფრო ადრე იცოდა იმ კაცმა იმ ზანგის დიაცსა და იმ შეუფერებელ ქორწინებაზე, თუმცა ეს ამბავი არც ყოფილა არავისთვის საიდუმლო; იქნებ მოყურიადეც ჰყავდა საწოლ ოთახში. სატპენის საწოლ ოთახში რომ ჰყავდა ისე, იქნებ თავად მიაჩეჩა ის ქალი და სა-

კუთარ თავს უთხრა, როგორც ძალლზე იტყვიან, ისე: **ეშმაკობა დაუწყია. თასმა უნდა შევაბათ, ალიკაპი არ დასჭირდება, მგონია, წვრილი თასმაც ეყნება საკმარისი, რათა ვერ გაძვრეს სადმე შემოღობილში)** მხოლოდ ის [illegible] ანუ ბედავდა თვალთვალს, მაგრამ უშედეგოდ კი, რადგან ისიც იცოდა, ერთი მისულიყო ბონი დედასთან, ეჩივლა და სადღეს ცხენივით [illegible] დაუყრიდნენ, ხოლო თუ ძველ ჟოკეის ხელი მოეცარებოდა, [illegible] მოიყვანდნენ და იქნებ ისიც გაეშვათ მალე, ხოდა, ითვლიდა ფულს, ანგარიშობდა, თუ რამდენს მოიხვეჭდა ნორმალური მატების კვალობაზე რამდენიმე წელიწადში და ამ დროს ორი რამ ადარდებდა, სატპენზე ხელი აეღო, მოექუჩებინა, რაც დარჩებოდა, დაეკრა ფეხი და ტეხასს გაქცეულიყო. გაივლებდა ამ აზრს გულში და იმასაც გაიფიქრებდა, უკვე რამდენი ფული გაენიავებინა ბონს და ტეხასში რომ ათი, ხუთი ან თუნდაც ერთი წლის წინათ წასულიყო, გაცილებით ბევრს მოიხვეჭდა — ასე რომ ღამღამობით სარკმელთან გათენების მომლოდინე დეიდა როუზას მოგაგონებდათ, და ამ ქალივით ამ კაცსაც უხდებოდა იმის უარყოფა, თუ უცხოვრია როდისმე ამქვეყნად (ანუ, თუ სურდა სიცოცხლე), ორასპროცენტიანი შემოსავალი რომ არ ჰქონოდა ყოველწლიურად რეალური ღირებულებიდან; და წყალი ისევ უკუმიიქცეოდა ჯოხიდან, დაგუბდებოდა და ნელინელ იმის გარშემო მოიღვრებოდა, ვითარცა ნათელი, ის კი იჯდა წინასწარმეტყველური (ანუ ყოვლისმხილველი, ანუ იმ რწმენის მქონე, რომ რა გამოლევს ადამიანის უბედობასა და სირეგვნეს ან რაც გინდა შეარქვი ამას) შარავანდით მოცული და ამისდა კვალად ჩახვედრილი იყო არა მარტო იმას, თუ რა მოხდებოდა, არამედ იმასაც, რაც მოხდებოდა სინამდვილეში, და მას კი არ უნდოდა დაეჯერებინა მოსახდენი არა იმიტომ, რომ ასეთი ჩვენება მოვლენოდა, უფრო იმიტომ — ეს დაკავშირებული იყო სიყვარულთან და ღირსებებთან, ვაჟკაცობასთან და სიამაყესთან; და მაინც სჯეროდა, რომ შეიძლება ეს მომხდარიყო იმიტომ კი არა, რომ ეს ლოგიკური და შესაძლებელია, არამედ ამიტომ, ამ ამბის ყველა მონაწილისთვის ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო; და თუმცა მას შეეძლო დაეჯერებინა არსებობა ბოროტებისა, სიკეთისა, ვაჟკაცობისა, სიმხდალისა, თუკი აჩვენებდნენ ამ თვისებათა მატარებელ ცოცხალ კაცთ, სიკვდილსაც კი ირწმუნებდა, თუ დაინახავდა გვამს, უბედობისა ისედაც სჯეროდა, რადგან მშრალი, მკაცრი, მომქანცველი საჭურისის დარი წვრთნა ამ კაცის ბედნიერებასა და სიხარულს ღვთის ანაბარად ტოვებდა და უფალი სანაცვლოდ მის სატანჯველს, სირეგვნესა და უბედობას დასაჭმელად მიუგდებდა რწყილებსა და ტილებს, კოუკისა და ლიტლტონის წიგნებს რომ არიან შესეულები, ხოდა, ის ბებრუხუნა საბინა...

შეხედეს, დააცქერდნენ ერთმანეთს. **შრივი** ამბობდა ამას, თუმცა განედის გრადუსებისდა კვალად შექმნილი **მცირეოდენი** განსხვავება რომ არ ყოფილიყო მათ შორის (აქ არ ვგულისხმობთ **განსხვავებას** ინტონაციაში, საუბრის მანერაში, არამედ წინადადების **დალაგებასა** და სიტყვების **საბრუნში**), თვითეულ იმათთაგანს შეიძლებოდა **წამოეთქვა** ეს სიტყვები და გარკვეულწილად ორივე გრძნობდა ამას, ერთ **საფიქრალს ფიქრობდა** ორივე, და ამ ფიქრის **წარმომჩენი** ხმა თავად ხორცშესხმული **ფიქრი** იყო; იმათთაგან ორივემ ძველი აბდაუბდა ამბებისა და თქმების **მეშვეობით** **შექმნეს** ხალხი, რომელიც **იქნებ** არც არასდროს არსებულან სადმე, და **რომლებიც** ჩრდილები, ჩრდილები **იყვნენ**, იმ ძეხორციელთა ჩრდილები კი არა, ოდესღაც რომ ცხოვრობდნენ და დაიხოცნენ, არამედ ჩრდილები იმ ხალხისა, **რომლებიც** თავის მხრივ ჩრდილებად

გარდასულიყვნენ (ყოველ შემთხვევაში ერთი იმათგანისათვის, შრივისათვის მაინც) და ჩრდილების ნაირივე წყნარნი შექმნილიყვნენ, ისე ვითარცა თვალისთვის შესამჩნევი ფშვინვა ანაორთქლად მიიქცევა. შუალამე დაჰკრა საათმა, იმისი მელოდიური ნელი რეკვა ძლივს აღწევდა დახურული და თოვლით შეფენილი სარკმლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ..ის ბებრუხანა საბინა, ვინც თავისი სიცოცხლის გადარჩენის გულისთვისაც სიტყვას არ დაძრავდა — არც ვექილთან, არც ბონთან და არც არავისთან, ვერ იტყოდა, თუ რა უნდა, რას მოელის და რისი იმედი აქვს, რადგან მისთვის საგალდებულო არ იყო ნდობის ან იმედის ან მოლოდინის გრძნობა დაუფლებოდა, უბრალოდ უნდოდა, მოელოდა და იმედოვნებდა (თუკი, როგორც უთქვამს შენს მამას, მოცული ხარ ძალუმი და საღი სიძულვილის გრძნობით, მაშინ იმედს რაღას აქნევ, სიძულვილი გასაზრდოებს მხოლოდ)... ის ბებრუხანა საბინა-მეთქი (არც ისე მოხუცი იყო, ოღონდაც ყურადღებას აღარ აქცევდა თავს, აი ასე, როცა შენ წმენდ და ზეთავ გემის მანქანას და საუკეთესო ქვანახშირსაც იმარაგებ ორმოში. მაგრამ აღარც ასუფთაებ, აღარც აპრიალებ და ხეხავ გემბანს: ერთი სიტყვით, უყურადღებოდ ჰყავდა საკუთარი თავი. კი არ მოსუქებულა, რასაც შესჭამდა, წამის უმალესად იწვებოდა, სადღაც ინთქმებოდა ყელსა და სტომაქს შუა; ღეჭვა არც კი სიამოვნებდა, ისევე შეზიზღებოდა ღეჭვა, როგორც ჩაცმა-დახურვა; დაძველდებოდა ტანსაცმელი და ახალი რომ უნდა აერჩია, ვერც ამას იტანდა, იმ ბიჭის მოხდენილი ჩაცმულობაც ვერ აეტანა, არც ერთ მათთაგანს არ უთქვამს, „ბონისო“ — ვერც იმის კოხტად მორგებული შარვალი, კოხტად მორგებული კოსტუმი; არც ის ეპიტნავებოდა, რომ მისი საათი, საკინძები, მშვენიერი თეთრეული და ცხენები ყვითელბორბლებიანი ეტლითურთ (გოგოებს ნულარ ვახსენებთ) სხვებისას სჯობდა, ყველაფერი ეს იყო მისთვის გარდუვალი უსიამოვნება, რომლისგანაც ჯერ კიდევ მანამ უნდა დაეღწია ამ ყმაწვილს თავი, სანამ რამეში წაადგებოდა (ვიდრე ბიჭი დაკაცდება და გამოდგება, მას ხომ კბილები უნდა ამოეჭრას, ჩუტყვავილა მოიხადოს და ძვალი გაუმაგრდეს)... იმ ბებრუხანა საბინას ყალბი ცნობები მოსდიოდა ვექილისაგან, ეს ცნობები იმისი მსგავსი იყო, ბრძოლის ველიდან შტაბში რომ აგზავნიან, და იქნებ იმ ვექილის მოსაცდელ ოთახში ამ საქმეზე გამწესებული ზანგი იჯდა და ორ წელიწადში ერთხელ ან ორ დღეში ხუთჯერ მიჰქონდა ქალთან. და ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როდის წამოუვლიდა იმ ქალს ახალი ამბების გაგების სურვილი და მოითხოვდა ცნობას, დასკვნას, რომ სულ ახლოსა ვართ მასთან (სატპენთან) ტეხასსა თუ მისურიში ან კალიფორნიაში (კალიფორნია კი მართლაც მშვენივრად იყო მოფიქრებული, რაკიღა შორს გახლდათ; ხოდა, ამ სიშორის გამო არც სჭირდებოდა დამამტკიცებელი საბუთები და უიმათოდ უნდა დაეჯერებინა), ხოდა, დღეს თუ ხვალ, სადაცაა წამოვეწევით, დარდი ნუ გაქვთო; ის ქალი არც დარდობდა, ეტლს მოაყვანინებდა და ვექილთან წავიდოდა, შეიჭრებოდა მასთან შავი კაბით, ბუხრის მიღრინკული მილი რომ გეგონებოდათ, თავზე შლაპა კი არ ეხურა, იქნებ სულაც შალი ეხვია, ცოცხი და ვედრო აკლდა ხელში, მეტი არაფერი, შეიჭრებოდა და იტყოდა: „მოკვდა ის კაცი მე ვიცი მოკვდა, მაგრამ ეს როგორ გაბედა, როგორ გაბედა-მეთქი“. იმას კი არ გულისხმობდა, რასაც დეიდა როუზა შეეჭირვებინა: **სად ნახეს თუ შექმნეს ის ტყვია, რომელსაც შეეძლო მისი მოკვდინება ორამედ იმას სიკვდილი როგორ დაანებეს ისე, რომ არ აღიარებინეს შევცდი, ძალიან ვნანობო, და არ გატანჯეს.** ორიოდე წამის შემდეგ ისინი თითქმის კი-

დევაც წამოეწეოდნენ მას, ის(ვექილი) აჩვენებდა ნამდვილ წერილს, ინგლისურ ენაზე დაწერილს, რომელიც იმ ქალს არ შეეძლო წაეკითხა, თუმცა სწორედ ამწუთას მიუღია მას და ზანგისთვის უნდა გამოეტანებინა ეს-ესაა. ის ვექილი დიდხანს ვარჯიშობდა და კარგადაც შეეძლო საჭირო თარეოლის დასმა წერილზე, იმ ორიოდე წუთშიაც ახერხებდა ამას იმ ქალისაკენ ზურგით მიტრიალებული, როცა წერილს ამოაძვრენდა საქალალდეებიდან, წამოეწეოდნენ იმ კაცს, მიატანდნენ მის სიახლოვეს და დამშვიდდებოდნენ კიდევაც, კი არისო ცოცხალი; ხოდა, დაჯდომასაც ვერ მოასწრებდა ქალი, ისე გამოისტუმრებდა გარეთ ვექილი, ეტლში ჩასვამდა და შინ გაუშვებდა, სადაც ფლორენციულ სარკეებს, პარიზულ ფარდებსა და ფოჩებიან დაგვირისტებულ საშინაო ტანსაცმელს შორის ეს ქალი მაინც იატაკის მრეცხავს ჰგავდა, მის შავ კაბას კი მზარეულიც არ ჩაიცვამდა იმ ხუთი თუ ექვსი წლის წინათაც; როდესაც ჯერ კიდევ ახალი იყო; ერთ ხელში ეჭირა წერილი, რომლის წაკითხვა არ შეეძლო (იქნებ ერთადერთი სიტყვა, რომელსაც გაარჩევდა, იყო „სატპენი"), მეორეთი კი უკან გადაიყრიდა სქელსა და სწორ ჭალარაშერეულ თმას; ისე კი არ დაჰყურებდა წერილს, იქნებ რამე ამოვიკითხოო, წაკითხვა რომ შეძლებოდა, არამედ ზემოდან დააცხრებოდა გამძინვარებული, თითქოსდა იცოდა, ერთი წამიღა დასჭირდება იმის წაკითხვას და ეს ერთი წამიღა დარჩება ეს წერილი მთელი, მერე კი მისი თვალი დაფერფლავს, ცეცხლი მოსრავს და ხელში შერჩება შავი ნაცარი.

— ხოლო ის... („ბონიო", იმათთაგან არავის უთქვამს)... უთვალთვალებდა იმ ქალს; იმდენად გაზრდილა, რომ მიმხვდარა, რაც მას ბავშვობა ეგონა, ეს ალარ იყო ბავშვობა, ისიც გაიფიქრა, დედა და მამა არიან სხვა ბავშვების შემქმნელნი, ის კი მაშინ შეუქმნიათ ხელმეორედ, როცა მეხსიერება გაუჩნდა, ხელმეორედ-მეთქი, როდესაც მისი ბავშვური ძვლები ბიჭის ძვლები გამხდარა; ხელმეორედ-მეთქი, როდესაც ბიჭობა დაავდო და კაცობაში გადავიდა; ვექილი და ქალი იყვნენ მისი შემქმნელნი, იმ ქალზე კი ასე ფიქრობდა, მაჭმევს, მასმევს, მბანს, მაძინებს, მათამაშებს, როგორც მსურს, სულ ჩემს სიამოვნებაშია, იმიტომ, რომ მე — მე ვარო. მაგრამ კარგად რომ წამოიზარდა, მიხვდა, მე კი არ მბანს, მაჭმევს, ტკბილეულს მე კი არ მინახავს, მე კი არ მათამაშებს, არამედ ვიღაც მამაკაცს, რომელიც ჯერ არც კი გაჩენილა და რომელიც არც არასდროს უნახავს იმ ქალს და როცა მართლა მოევლინება, სულაც არ დაემსგავსება ამ ბიჭს; სწორედ ასე შეუძლია დინამიტს მოსპოს სახლი, მთელი ოჯახი ამოწყვიტოს, მთელი დასახლებაც კი გაანადგუროს; ის არ არის ძველი მშვიდობიანი ფარატინა ქალალდი, რომლესაც შეუძლია უმიზნოდ, ფრიალ-ფრიალით მიჰყვეს ქარს; არცა ძველი მხიარული ნახერხი და არც ძველი უწყინარი ქიმიური ნივთიერებანი, რომლებსაც კი ურჩევნიათ ჩუმად ჩაჩუმქრული ყოფილიყვნენ წყნარსა და ბნელ მიწაში, სადაც იყვნენ კიდევაც, ვიდრე არ გამოჩნდა ვიღაც საფრთხობელა მინუს ათიანი სათვალით და არ დაიწყო მათი ამოთხრა, ერთმანეთში არევ-დარევა, ზელვა და დღვება: ის ქალი და დაქირავებული ვექილი იყვნენ მისი შემოქმედნი (ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეხსიერება გაუჩნდებოდა ბიჭს, როგორც ახლა იყო დარწმუნებული, ის ქალი წვრთნიდა და ამზადებდა მას იმ წუთისათვის, რომელიც დადგებოდა და გაივლიდა და რომლის შემდეგაც, როგორც ახლა დაინახა, იგი შეიქმნებოდა გაპოხიერებული ნიადაგი; ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეხსიერება გაუჩნდებოდა, როგორც ახლა იყო დარწმუნებული, ეს ვექილი უკვე ბარავდა, თესავდა, რწყავდა, აპოხიერებდა და მოსა-

ვალს იღებდა მისგან); და ბონი უთვალთვალებდა ქალს, შეიძლება ამ დროს ბუ-ხარზე იყო მიყრდნობილი, და ასე ვთქვათ, საეჭვო ჰარამხანული გუნდრუკის სერნელება ასდიოდა; უთვალთვალებდა-მეთქი ამ ქალს, წერილს რომ ჩასჩერებ-ბოდა, და არც უფიქრია: **შიშველს ვხედავო დედაჩემს** რადგან თუ სიძულვილი სიშიშვლეა, იმდენ ხანს ატარებდა ქალი მას, უკვე შეიძლებოდა სუფთა ... მოსელი დაგვერქმია ამ სიშიშვლისთვის, აკი ამბობენ, თავმდაბლობასა ... ლა გასწიოს და გასწევს კიდევაც სამოსლის მაგივრობასო...

ხოდა, წავიდა ოცდარვა წლისა გაემგზავრა სასწავლებლად. არ იცოდა და არც ადარდებდა ის ამბავი, იმათთაგან რომელმა, დედამ თუ ვექილმა, გადწყვიტა მისი გაგზავნა სასწავლებლად ან რატომ გადაწყვიტეს ასე, რადგან მთელი ეს ხანი მან იცოდა, რაღაც ჩაუდვია გულში დედას, რაღაც ჩაუდვია გულში ვექილს, მაგრამ სახელდობრ რა, თავი არ შეუწუხებია ამის გასაგებად; ის კი იცოდა, რომ ვექილმა იცოდა დედამისის ჩანაფიქრი, ხოლო დედამისმა არ იცოდა, რა ჩანაფიქრი ჰქონდა ვექილს, და ამ კაცს გაუხარდებოდა დედამისის ჩანაფიქრს ხორშესხმა, თუკი ის (ვექილი) ერთი წამით ადრე თუ იმავ-დროულად მაინც მიაღწევდა იმას, რაც თავად ჩაეფიქრებინა, იგი სასწავლებ-ლად გაემგზავრა; ასე უთქვამს, კარგიო, დაემშვიდობა ოქტორონ ქალს და სასწავლებლად წავიდა, ოცდარვა წლისა კი იყო, მაგრამ აქამდე არავის შეუწუ-ხებია ამ სიტყვებით: „ესა და ეს უნდა ჰქნა, ჩვალ დილას ცხრა საათისათვის ამოცანა გქონდეს გამოყვანილი ან პარასკევს, ან ოთხშაბათს"; იქნებ იმათ (ან ვექილს) ეს ოქტორონი ქალი წვრილი თასმის (და არა ალიკაპის) დარად გა-მოუყენებიათ, ვექილს რომ ჩამოუცვამს მისთვის, ვაითუ სადმე შემოლობილში შეძვრესო და გვიანლა აღმოვაჩინოთო ეს ამბავი. იქნებ დედამისს გაუგია იმ ოქტორონი ქალის, ბავშვისა და ქორწინების ამბავი და იმ ვექილზე უფრო ბევრი რამისთვის მიუკვლევია (ანუ რასაც ვექილი დაიჯერებდა, რადგან მისი აზრით ბონი ზარმაცი იყო და არა სულელი), ხოდა, იხმო და ისიც მოვიდა. ისევ ბუხარს მიეყრდნო და იქნებ მიხვდა კიდევაც ამ ქალის განზრახვას, ჯერ კიდევ მანამ მიხვდა, სანამ ის იტყოდა რამეს; ხოდა, იდგა დარდიმანდულად, მაგრამ სახემლიმარი იყოო, ამას ვერ იტყოდით. იმის ფიქრებსა და განწყობი-ლებას ვერ გაიგებდით, ის ქალი კი მას გამოჰყურებდა. იქნებ ისევ ისე ჩამო-ზლოდა შუბლზე ჭაღარა თმა, მაგრამ ახლა არც გადაუყრია უკან, წერილს კი არ ჩასჩერებოდა ამჟამად, იმ ბიჭს უყურებდა თვალების ბრიალით. ხმა უკანკა-ლებდა დიდად შეშფოთებულსა და შეშინებულს, მაგრამ კი ცდილობდა თავის მოთოკვას, ჯერ იმისთვის თავისი ამბავი არ მოეთხრო და ღალატი როგორღა უნდა ეხსენებინა; ახლა, ამ წუთს ვერ გაებედა სასწორზე შეეგდო თავი — ის ბიჭი კი შესცქეროდა მღიმარი, თუმცა ამას ღიმილს ვერ დაარქმევდით, რაღაც ჩანდა მის მიღმა შეფარული, თითქოსდა ამას მეტყველებდა და ამცნობდა: „რატომაც არა? ყველა ყმაწვილკაცი ასე იქცევა. საქორწინო ცერემონიალიც ასეა. ბავშვი არ მინდოდა, მაგრამ რახან გვეყოლა... ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს. მგონია"; ის ქალი კი უთვალთვალებდა, უმზერდა და არ შეეძლო იმისი თქმა, რაც სურდა, რაკი ამდენ ხანს ვერ მოეხერხებინა თქმა და იმიტომ, ესღა უთხ-რა: „კი მაგრამ, შენი ამბავი სულ სხვაა". იმ ყმაწვილკაცმა კი თქვა (იმ ქალს შეეძლო არც არაფერი ეთქვა, რადგან იმ ყმაწვილკაცმა იცოდა, უკვე იცოდა-მეთქი, თუ რად მოიხმო ქალმა, თუმცა კი არ უნდოდა ამის ცოდნა და არც ადარდებდა, თუ რა ჩაიდო გულში ამ ქალმა ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეხსიერება გაუჩნდებოდა, სანამ შეიცნობდა ქალს სიყვარულით თუ უსიყვარულოდ); „რა-

ტომაც არა? კაცმა ხომ უნდა მოიყვანოს ცოლი ადრე თუ გვიან, მე ვიცნობ ამ ქალს, არც შევუწუხებივარ მე იმას. ის მომაბეზრებელი საქორწინო ცერემონიალიც ჩავლილი ამბავია უკვე. ის ერთი წვეთი ზანგური სისხლი [illegible] სახსენებელია..." ბევრი სალაპარაკო აღარ იყო, ბევრი-მეთქი, [illegible] აღარ იყო ამის თქმა **მგონია, ისე გავჩენილვარ ამქვეყნად, რომ [illegible] მყავდა და ძალიან ბევრი ძმები, და სანამ ცოცხალი ვიქნები, [illegible] ჩემი, ალშფოთება აიტანთ, და ამიტომ მრავალი მემკვიდრე უნდა დამრჩეს სიკვდილის მერე, რათა გადავცე მცირეოდნავ მაინც ჩემი გაჭირვება და სადარდებელი;** საკმარისი იყო ესლა ეთქვა, ერთი წვეთი ზანგური სისხლი... რომ იმ ქალის სახეზე სასოწარკვეთილება და შიში ამოეკითხა და მერე წასულიყო, იქნებ ჯერ ეკოცნა და ისე, იქნებ ეამბორა ხელზე, რომელიც მკვდრისა გეგონებოდათ, გამწარებით რომ ცდილობს ხავსს ჩაეჭიდოს; იქნებ ეს უთქვამს გულში წასვლის ხანს **დღესვე წავალ იმ კაცთან** (ვექილთან): **კიდევ ერთი ხუთი წუთი რომ დამეცადა, ამ ქალს შალმოხურულს დავინახავდი. და ალბათ ამაღამ უკვე მეცოდინება, თუკი თავს შევიწუხებ ამისთვის.** იქნებ იმ ღამეს, იქნებ უფრო ადრეც გაეგო, მის მოსაყვანად რომ გამოეგზავნათ ვინმე, რადგან მართლაც წასულა ის ქალი ვექილთან. სწორედ საქვექილო იყო ეს საქმე. იქნებ მანამ, სანამ ის ქალი ლაპარაკს დაიწყებდა, მაშინ გამოჩნდა ის სუსტი ნათელი, როგორსაც მოიღებს პატრუქჩაწეული ფარანი; იქნებ იმ ყმაწვილკაცმა კიდეც დალანდა, ვექილის ხელმა რომ რაღაც ჩაწერა იმ ნათელში, სადაც სიტყვა **ქალიშვილი? ქალიშვილი? ქალიშვილი?** არც არასოროს გამოჩენილა. რადგან იქნებ იმ ვექილს ეს ამბავი სულმუდამ საზრუნავად ჰქონდა: სწორედ ამის მერე, როდესაც იმ ქალმა სიტყვა ჩამოართვა, ბონს მამის სახელი არ უხსენოო. ეს კაცი ელოდებოდა და ფიქრობდა, თუ როგორ გაეკეთებინა ეს, რადგან იქნებ ხვდებოდა, ბონს რომ ვუთხრა, იმან შეიძლება დაიჯეროს ან არ დაიჯეროს მისი მონათხრობი, მაგრამ დედამისს კი შეატყობინებდა ნამდვილად ვექილის ნაუბარს და მაშინ ის (ვექილი) დაიღუპებოდა, არა იმიტომ, რომ ამით რამეს დააშავებდა ,დასაშავებელი აქ არაფერი იყო, ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ თავისი სურვილის ხელყოფას ვერ მოითმენდა მისი შეშლილი კლიენტი ქალი. იქნებ თავის სამსახურში მჯდომარე, როდესაც მონაგარ ფულს ანგარიშობდა და ბოლოს იმასაც მიუმატებდა, თუ რამდენს გამორჩებოდნენ სატპენს (ის ამბავი კი არ ადარდებდა, თუ რას იზამდა ბონი იმ საიდუმლოს გაგების შემდეგ; შეიძლება უკვე კარგა ხანია ბონი მას მიაჩნდა ისეთ გულგრილ ან ზარმაც კაცად, რომელიც თავს არ შეიწუხებდა მამის ვინაობის დასადგენად, მაგრამ არც ისე სულელი უნდა ყოფილიყო, რომ სარგებელი დაეთმო, თუკი შემთხვევა მიეცემოდა და ვინმე სამოქმედო გზას დაანახვებდა. ხოლო თუ გულში გაივლებდა, ვაითუ ბონმა არ ქნას, უარყოს და აღარაფერი იღონოს ღირსების ან რაღაც სხვა მიზეზების, ან სულაც იურიდიული მოტივების გამო ,მაშინ ის (ვექილი) დაუმტკიცებდა მას, ის კაცი აღარ არისო ამქვეყნად) ...იქნებ მთელი ეს ხანი ეს ამბავი აწუხებდა: როგორ უთხრას ბონს მანამ, სანამ იგი თავად გაიგებდა ან ვინმე — მამა ან დედა — ეტყოდა ამ ამბავს. ხოდა, ის ქალი რომ გავიდა ვექილის ოთახიდან, იმ კაცმა იხელთა დრო, სეიფი გააღო, ჩაიხედა იმ საიდუმლო უჯრაში და დარწმუნდა, ნამდვილად შესულიყო ჰენრი მისისიპის უნივერსიტეტში და იმის ხელმა ჩაწერა მტკიცედ იმ ნათელში, სადაც სიტყვა **ქალიშვილი? ქალიშვილი? ქალიშვილი?** არც არასოროს გამოჩენილა ,მაგრამ თარიღი კი ეწერა: **1859. ორი ბავშვი. თქვათ 1860.**

20 წელიწადი. მატება 200% ნამდვილი ღირ. ყოველწლიურად, პლუს სალიკვიდაციო აქტივები პლუს შემოსავალი. დაახლოებით ღირ. 1860 წელს 200 000. კითხვა: ორცოლიანობა — ხო თუ არა. კი შეიძლება. არა. სისბლის ალრეგია საშიშროებაᲨ ალბათ კი. ხოდა, მერე იმავე ხელმა, ვიდრე წეოტილს [illegible] წაშალა სიტყვა **ალბათ** და ჩაწერა **უსათუოდ** ხაზგასმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმ ბიჭს არც ამის დარდი ჰქონდა; ესლა თქვა ,ძალიან კარგიო. იქნებ მან უკვე იცოდა, რომ დედამისმა არც იცის და ვერც ვერასდროს გაიგებს, თავად რა სურს, ამიტომ ის ვერ დაამარცხებს ამ ქალს (იქნებ იმ ოქტორონი სატრფოს მეშვეობით მიხვდა, არც არასდროს შეიძლება ქალის დამარცხება, ხოლო თუ ბრძენი კაცი ხარ და არ გიყვარს აყალმაყალი, ჩხუბი, არც შეეცდები ამას), და ისიც იცოდა, ვექილს ფული უნდა, მეტი არაფერი, და თუ იმას შეცდომა არ მოუვა და არ გაივლებს გულში, ყველაფერი მე უნდა დამრჩესო, თუ შეეცდება წყნარად და ფრთხილად იყოს, რაღაც მაინც დარჩება საბოლოოდ. ხოდა, მან თქვა, ძალიან კარგიო და დედამისს ჩაალაგებინა ზანდუკებსა და ჩანთებში თავისი მშვენიერი ტანსაცმელი და მშვენიერი თეთრეული, იქნებ მერე ვექილისას შეიარა და შეხედა იმ საბით, რისთვისაც შეიძლებოდა მღიმარი დაგვერქმია, უთვალთვალებდა, ვექილი როგორ აწრიალდა და გამოჰკითხა, ვემზე თუ აიყვანესო შენი ცხენები ან კიდევ ერთი საგანგებოდ გაწვრთნილი მსახური ხომ არ გეყიდაო, ფულის ამბავი როგორ გაქვსო. და სხვ. უთვალთვალებდა-მეთქი იმ ვექილს ასე უცნაურად სახელმიმარი, მამობრივი ზრუნვით რომ ლაპარაკობდა განათლებაზე, კულტურაზე, ლათინურსა და ბერძნულზე, რის მეშვეობითაც კიდევაც თავად დაიხვეწება და მისი მდგომარეობაც ცხოვრებაში მკვიდრი შეიქნება, სურვილი და მონდომება იყოს და კაცს ყველგან შეუძლია ცოდნის შეძენა, თუნდაც თავის ბიბლიოთეკაში; მაგრამ რაც უნდა იყოს, ცხადია, ჭეშმარიტი განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ მონასტრის ბერულ განმარტოებაში... ასე ვთქვათ, უცნობ და პატარა (თუმცა უმაღლესი დონის, უმაღლესი დონის) უნივერსიტეტში... ის კი... (იმათთაგან არც ერთს არ დაუსახელებია ბონი, ერთხელად არ დაეჭვებულან იმაში, თუ ვის იხსენიებდა შრივი „ის" ნაცვალსახელით)... ის კი უსმენდა თავაზიანად და წყნარად, რა გამომეტყველება ჰქონდა, ზუსტად ვერ იტყოდით. შეიძლება შეაწყვეტინა კიდეც და ისე, ყურადღებითა და გულმინდობილად ჰკითხა, ირონიის, სარკაზმის ნატამალსაც ვერ შენიშნავდით — „როგორ ბრძანეთ, რომელი უნივერსიტეტი?" და ახლა ისევ აწრიალდა ვექილი და ქაღალდებში დაიწყო ქექვა, სადაც დასახელება იყო აღნიშნული და რომელსაც სულ იზეპირებდა დედამისთან იმ პირველი საუბრის შემდეგ „მისისიპის უნივერსიტეტი, ქალაქ... „შენ რას ამბობდი, სად არისო?"

— ოქსფორდში, — უთხრა კვენტინმა, — დაახლოებით ორმოცი მილითაა დაცილებული...

— „...ოქსფორდში". და შემდეგ შეწყდა ქაღალდების შარიშური. რადგან მან კვლავ გააგრძელა საუბარი იმ პატარა უნივერსიტეტზე, ათი წლის გახსნილი რომ იყო მხოლოდ; იმაზე, რომ იქ არც არაფერი მოაცდენდა მეცადინეობას (სადაც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიბრძნეს ქალწულობა შეენარჩუნებინა, ანუ ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ მასზე მიმძლავრება), და იქ მას შეეძლო თვალყური ედევნებინა იმ ქვეყნის პროვინციული მხარისთვის, სადაც ის მაღალ მდგომარეობას მოიპოვებდა საბოლოოდ (თუკი

სასიკეთოდ დასრულდებოდა ომი, რომელიც გარდუვალი ჩანდა და რომელშიაც ჩვენ სუყველას წარმატების იმედი გვქონდა, იოტისოდნავაც არ ვეეჭვებოდა ამაში ეჭვი) როგორც მამაკაცი და როგორც ქონების პატრონი, დედამისის სიკვდილის შემდეგ რომ დარჩებოდა: უგულისყუროდ უსმენდა ... ბევრი მას და ესლა ჰკითხა: „მაშ თქვენ არ მირჩევთ სამართლის შესწავლას?" ... ვექილი გაჩუმდა, მაგრამ მცირე ხნით; იქნებ ის დუმილ... იყო და არც ისე ხანმოკლე, და პაუზას ამას ვერ შეარქმევდით; ხოდა, იმ კაცმა შეხედა ბონს: „ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ თქვენ სამართლის შესწავლას მოისურვებდით", ბონმა უპასუხა: „სწორედ ასევე არ მომწონდა ფარიკაობა ვარჯიშობის ხანს. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ერთი შემთხვევა იყო, როცა გამიხარდა, უქმად არ მისწავლია-მეთქი". და მაშინ ვექილმა დაუყვავა, გაამხნევა: „ბატონი ბრძანდებით, სამართალი იყოს. დედათქვენი დაგე... მოგიწონებთ-მეთქი", კარგიო, მან უპასუხა, ნახვამდისო, არ უთხრა, რადგან ეს სულაც არ ადარდებდა. აკი ყურიც არ ათხოვა ოქტორონი ქალის მოთქმასა და ქვითინს, იქნებ მოიცილა კიდევაც, როდესაც სასოწარკვეთილი ქალი მუხლებზე წაეპოტინა რბილი, მაგნოლიისფერი ხელებით და უძველო ფოლადის ხუნდებს ზემოთ, სამნახევარი ფუტის სიმაღლეზე იქნებ ისევ გაკრთა არაფრის მთქმელი, გაუცინარი სახე. რადგან ვერც ვერასდროს დაამარცხებ მათ, შეიძლება მხოლოდ გაექცე (და მადლობა ღმერთს, გაქცევით რომ შეგიძლია უშველო თავს, დააღწიო ამ ხუთი ფუტი სისქის, მატლიანი ყველივით ბლანტე სოლიდარობას, დედამიწას რომ შემოხვევია გარს და რომელშიაც კაცები და ქალები წყვილწყვილად ჩამწკრივებულან, ვითარცა კეგლის ჯოხები; მადლობა ყველა ღმერთს მამრის უთეძოო წამახული კეტისათვის, რომელიც ღალად და ბრმად ჩასრიალდება იქ, სადაც ქარქაშადაა ქალის თეძოები, მაგრად მოჭერილი)... ნახვამდისო, კი არ უთქვამს, კარგიო, თქვა, ხოდა, ერთ ღამეს ჩირაღდნებით განათებულ გემის კიბეს აჰყვა და შეიძლება გამცილებლად მხოლოდ ის ვექილი ჰყავდა. წარმატებას გისურვებო, ამის სათქმელად კი არ მოსულა ეს კაცი, არამედ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ იგი ნამდვილად ავიდა გემზე. ხოდა, იმ მისმა ახალმა, გამოწვრთნილმა ზანგმა კაიუტაში დახსნა ჩანთები, ამოალაგა მშვენიერი სამოსელი; ქალები კი გროვდებოდნენ უკვე კაიუტკამპანიაში სავახშმოდ, ხოლო კაცები ჯერ ბარში მიდიოდნენ, მაგრამ მათ შორის იგი არ ჩანდა, მარტოდმარტო იდგა გემბანზე. შეიძლება სიგარა ჰქონდა ხელში, ქალაქს გასცქეროდა, ნელინელ, სინათლეების ციმციმით რომ ინთქმებოდა შორეთში; მერე მოძრაობას შეწყვეტდა და გარინდებული ჩანდა გემი, მის ზემოთ კი მილებიდან ორი სვეტი აღმართულიყო კვამლისა და ნაპერწკლების.ვარსკვლავოვან ზეცას რომ შერთვოდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა, რას კარნახობდა გონება, უკვე კარგა ხანია მიხვდა, რაღაცა ჩაეფიქრებინა დედამისს. ვექილსაც ჩაეფიქრებინა რაღაც, და თუმცა იცოდა, ფულის ამბავი იყო მხოლოდ, ისიც ესმოდა, რომ ის (ვექილი) გარკვეული მამაკაცური შეზღუდულობის მიუხედავად თითქოსდა ისეთივე საშიში იყო, როგორც დედამისი, ვისი სულიც ბნელით იყო მოცული; და ახლა კიდევ ეს სასწავლებელი, უნივერსიტეტი, როცა უკვე ოცდარვა წლისაა და უფრო მეტიც. სწორედ ეს უნივერსიტეტი, რომლის შესახებ, არაფერი იცოდა და რომელიც სულაც არ არსებობდა ამ ათიოდე წლის წინათ; და მან ისიც იცოდა; იმ ვექილის გარდა არავინ შეურჩევდა სასწავლებელს, და საღი გონებით, გამოწვლილვითა და პირქუშად ასე ფიქრობდა **რატომ? რატომ? რატომ ეს უნივერსიტეტი, სწორედ ეს და არა სხვა რომელიმე?** იქნებ იდგა მარტოდ, აბოლებულ მილებსა და

აგუგუნებული ძრავების ხმაურში, და გრძნობდა, სადაცაა მიაქვლევს პასუხს, სადაცაა შეერთდება ამ თავსატეხი გამოცანის ნაწილები, შორიშორ რომ დაყიალობენ არეულად და გაურკვევლად, სადაცაა შეირწყმებიან ისინი და კიდევაც წარმოუდგება უცებ ნათელი სურათი, თითქოსდა იელვებს რაღაც, აბრი მიენიჭება მთელ მის ცხოვრებას, წარსულს — ჰაიტის, ბავშვობას, ვექილსა და იმ ქალს, დედა რომაა მისი, და იქნებ ის წერილი ამცნობს ყოველივეს სწორედ აქ, მის ფეხქვეშ, გემბანის წიაღ დავანებულ სიბნელეში. წერილი-მეთქი, სატპენის ასეულში ტომას სატპენსო. კი არ ეწერა ამ წერილზე, არამედ ჰენრი სატპენსო, ესკვაირს, მისისიპის უნივერსიტეტში მცხოვრებს, ოქსფორდის ახლოს, მისისიპის შტატში. ჰენრიმ უჩვენა მას ერთ დღეს ეს წერილი და მის წინარე სუსტი ნათელი კი არ გაკრთა, ბრდღვიალი მოიღო, თვალი მოსჭრა (წერილი აჩვენა იმას-მეთქი, ვისაც ერთხელაც არ უნახავს მამა, უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ყრმობის დროიდანვე დღენიადაგ აბამდნენ მისატყუებელი ბადით, ჩასჩიჩინებდნენ, შენ არც არასდროს გყოლიაო მამა; დედამისი კი გამომსხლტარიყო რომელიღაც ჩრდილთა სამყოფლოდან, დაეგდო ნეტარი დავიწყების საუფლო,სადაც ულონო გრძნობები გაქცეულიან უღვთო ბნელ ძალებს, ადამიანის სისხლი და ხორცი ამ ძალებს ვით გაუტოლდება, ორსულობისას მოსულა გონს, წიოდა, კიოდა, აბრახუნებდა, მაგრამ მუცლის უწყალო ტკივილს არ შეუწუხებია ასე, მისი არსება წინაალდგომოდა იმას, გვამში რომ ჩაბუდებოდა; მამრი არ ყოფილა ხსენებული ჩასახვის მიზეზად, არამედ მის სხეულზე მიმძლავრებულიყო ის ძველისძველი, წარუვალი მამრისეული საწყისი, მოცული რომაა დაუძლეველი შიშის ზარითა და ბნელ-უკუნეთით), ბრდღვიალი მოიღო-მეთქი და ნათელი მოჰფინა იქ მდგომ ყმაწვილკაცის შეურყვნელ სახეს, ვინც თითქმის ათი წლით იყო იმაზე უმცროსი და მისი არსების ერთმა ნაწილმა ასე თქვა **ჩემი შუბლი, ჩემი თავის ქალა, ჩემი ნიკაპი, ჩემი ხელები აქვს ამას**, მეორე ნაწილმა კი ამცნო **დაიცადე. დაიცადე-მეთქი. შენ ჯერ კიდევ არ იცი. შენ ჯერ კიდევ არ იცი, თუ რას ხედავ და რას მისჩერებიხარ ან რისი გჯერა. დაიცადე. დაიცადე-მეთქი.**

— ის მისი წერილი... — შრივი ამჯერად ბონს არ გულისხმობდა, მაგრამ კვენტინი თითქოსდა ისევე ადვილად და ძალდაუტანებლად მიხვდა, თუ ვისზე იყო ლაპარაკი — რომელიც შეიძლება მაშინ დაწერა, როდესაც თავისი ნაწერები იმ უკანასკნელი სიტყვით გაასრულა — **ქალიშვილი? ქალიშვილი? ქალიშვილი?** იმავე დროს ასე ფიქრობდა **ახლა მან არასგზით არ უნდა იცოდეს რამე, მანამ არ შეიძლება თქმა, ვიდრე არ ჩავლენ იქ და იხ ქალიშვილი...** თავისი ახალგაზრდული სიყვარული არ გახსენებია, რომც გახსენებოდა, თავს არ დაუჯერებდა, მის ისევე მოხმარებას მოისურვებდა, როგორც ვაჟკაცობისა და სიამაყის; აწ უკვე დამცხრალ ველურ და დაუდგრომელ სისხლსა და შეხებას მოწყურებულ პატარა ხელებზე კი არ ფიქრობდა, ის აზრი ვერ მოეცილებინა, რომ ოქსფორდსა და სატპენის ასეულს შორის ერთი დღის სავალიღაა ცხენით, ჰენრი კი უკვე დამკვიდრებულია უნივერსიტეტში. ასე რომ იქნებ თავის ცხოვრებაში ვექილმა პირველად იწამა ღმერთი: **ძვირფასო ბ-ნო სატპენ, ქვემორე მოყვანილი სახელი ვერაფერს გამცნობთ თქვენ, ვერც ამ წერილის დამწერის მდგომარეობასა და ამბავს გაიგებთ დაწვრილებით, რადგან ყველა მისი ღირსება და (იმედი მაქვს) წარჩინება არც ისეთი თვალსაჩინოა და ამიტომ არა მაქვს იმედი თქვენი პირადად ნახვისა; ხსენებული ღირსება და მდგომარეობა ანარეკლია მხოლოდ ორი ადამიანის წარმომავლობისა და მდგომარეობის, რომელთაგან ერთი, მანდილოსანი და ქვრივი განმარტოებით შეძლებისდაგვარად ცხოვრობს და ასე უნდა გალიოს**

ეს წუთისოფელი იმ ქალაქში, სადაც ეს წერილი დაიწერა, ხოლო მეორე, უმაწვილი ჯენტლმენი მისი ვაჟიშვილია, ვინც წერილის წაკითხვის ჟამს ან ცოტა ხნის შემდეგ თქვენსავით ემთხვევა ამ საკურთხეველს ცოდნისა და სიბრძნისას. მისი სახელით მოგმართავთ მე თქვენ. არა, ვერ ვიტყვი, მისი სახელით-მეოქი; ნამდვილად არ მინდა, რომ ის მანდილოსანი, დედა, და არც ის უმაწვილი ჯენტლმენი ეჯვმა შეაწუხოს, რომ ეს სიტყვა მოვიშველიე, ჩემო ბატონო, თქვენთან მოწერის ხანს, ვინც, მისდა ბედად, სახელოვანი გვარიშვილია ამ ოლქში. ბართლაცდა კი აჯობებდა თქვენთვის სულაც არ მომეწერა. მაგრამ უნდა მოგწეროთ, რაღას ვიზამ, ახლა ეს გარდაუვალია; და თუ თქვენ რაღაც დამამცირებელს დაინახავთ ამ წერილში, ნუ დაივიწყებთ, მიზეზი ამისა არც ქედაა და არც, მით უმეტეს, მისი ვაჟიშვილი, არამედ ერთი კაცი — ამ წერილის დამწერი, ვინც ზემოხსენებული ქალბატონისა და უმაწვილი ჯენტლმენის თავდადებული და კანონიერი მრჩეველი და საქმეთა მწარმოებელი გახლავთ, სწორედ მათ კეთილ გულს, დიდბუნევნობასა და ხელგაშლილობას უნდა უმადლოდეს, რომ მას ჰქონდა (მე არა მარტო ვაღიარებ ამას, მთელ ქვეყანასაც გავაგონებ) სარჩო-საკვები და საცხოვრებელი კარგა ხანგრძლივი დროის მანძილზე და დიახაც ისწავლიდა მადლობის გადახდასა და თავდადებას, თუნდაც რომ ეს არ ჩვეოდა, კიდევაც იძულებული იქნებოდა რაღაც ეღონა, ოღონდ საშუალება არ ექნებოდა ამ მიზნის შესაფერისი, რადგან თავად ის გახლავთ, რაც არის და რაც ცხადლივ ჩანს, სულაც ის არა, რაც თავად სურს. ასე რომ გთხოვთ, ჩემო ბატონო, მაპატიოთ ეს ყოვლად გაუმართლებელი კადნიერება, ნება არც ამილია, ისე მოგმართავთ თქვენ, თქვენთვის უცხო პიროვნებას აჯა-ვედრება კი არ გაუბედავს, არამედ ცდილობს (ალბათ უხეიროდაც), რათა ერთი **უმაწვილი ჯენტლმენი, რომლის მდგომარეობის გამოწვლილვით ან მოკლედ აღწერა არ არის საჭირო იქ. სადაც თქვენ ბრძანდებით ამ წერილის წაკითხვის ჟამს, წარუდგინოს მეორე უმაწვილ ჯენტლმენს, რომლის მდგომარეობის გამოწვლილვით ან მოკლედ აღწერა ასევე არ არის საჭირო იმ ადგილას, სადაც ეს წერილი დაიწერა...** ნახვამდის კი არ უთქვამს, კარგი. მას ხომ იმდენი მამა ჰყავდა, არც სიყვარულის, არც სიამაყის თავი ჰქონდა, ასევე ღირსებასა და სირცხვილსაც ვერ გადასცემდა თავის მემკვიდრეებს; მისთვის, ვითარცა კატისთვის, სულერთი იყო, სადაც იცხოვრებდა — კოსმოპოლიტურ ნიუ-ორლეანში თუ ბუკოლიკურ მისისიპში, მისთვის სულ ერთი იყო, რა საგნები იქნებოდა მის გარშემო, მემკვიდრეობით მიღებული თუ აწ მისაღები ფლორენციული ლამპები, მოოქრული საპირფარეშო საჯდომები, მოფარდაგებული სარკეები თუ ამ ოთახის მოწყობილობა სადღაც გადაკარგულ პატარა უნივერსიტეტში, რომლის დაარსების დღიდან ათი წელიწადიც კი არ იყო გასული: მისთვის სულ ერთი იყო-მეთქი, იმ ოქტორონი ქალის საძინებელ ოთახში დალევდა შამპანურს თუ ვისკის გადაკრავდა ახალ ულაზათო მაგიდასთან მჯდომარე იმ ბერულ სენაკში სოფლელ ბიჭთან ერთად, ვინც პირდაპირი შთამომავალი გახლდათ ბუკოლიკური მხარისა და ათიოდე დღითაც არ დაეტოვებინა მშობლიური სახლი (გარდა იმ ორიოდე შემთხვევისა, როდესაც ჩაცმულ-დახურული იწვა ტყეში კოცონთან და ყურს უგდებდა მეძებრების ყეფას), ვიდრე სასწავლებლად წავიდოდა; ხოდა, უმზერდა იგი და ხედავდა, მასავით როგორ იცვამდა ის ბიჭი, მიხვრა-მოხვრაში და საუბარშიაც როგორ ბაძავდა და ყველაფერ ამას ის (ბიჭი) სრულიად ქვეშეცნეულად აკეთებდა; ერთხელ საღამო ხანი იყო და მან (ბიჭმა) წარმოთქვა... არა, კი არ წარმოთქვა. ჩაიბურტყუნა, თითქოსდა სათქმელის

დალაგება უნდოდა, ისე, ის კი (ის კოსმოპოლიტი, ათი წლით რომ იყო უფროსი ამ ბიჭზე, თავის ერთ-ერთ აბრეშუმის ხალათში მორთული, ამ ბიჭს ასეთი არც არასდროს ენახა და ეგონა, ასეთს მხოლოდ ქალები იცვამენ) უმზერდა ამ ბიჭს, რომელსაც მთელი სახე წამონთებოდა და პირდაპირ თვალებში შესცქეროდა, ბურტყუნებდა, სათქმელის დალაგებას ცდილობდა, და ბოლოს სრულიად უადგილო რამ წარმოთქვა: „ძმა რომ მყავდეს, [illegible] ვებდი ჩემზე უმცროსი იყოს", იმან კი: „მიწათმფლობელი მამის ვაჟისთვის უფროსი ძმა რა სანატრელია", ბიჭმა კი: „მე კი ასე მინდა სწორედ", და პირდაპირ შესცქერის ყოვლისმცოდნე, განცხრომის მეტრფე კაცს: ახლა უკვე ფეხზე დგას (ეს ბიჭი), წელგამართული, გამხდარი (ჯერ კიდევ ბავშვი), სახეწამონთებული, მაგრამ თავაწეული, თვალს არ აცილებს: „დიახ. და მე მსურს ის შენნაირი იყოს", ის კი: „რას მეუბნები? აი ვისკი, დალიე და მეც მომაწოდე".

— ახლა კი, — თქვა შრივმა, — სიყვარულზე ვილაპარაკოთ. — მაგრამ საჭირო არ იყო ამის თქმა. როგორც იმისი დაზუსტება არ იყო საჭირო, თუ ვინ იგულისხმებოდა ნაცვალსახელში „ის", რადგან იმათთაგანი არც ერთი არ ფიქრობდა სხვა რამეზე; ყველაფერი, რაც წარსულში მომხდარიყო, ახლა უნდა წარმოჩენილიყო, წარმომჩენი კი იმათ გარდა არავინ იქნებოდა, როგორც არ იქნება სულის შეუბერავად ცეცხლის დაგზნება ნაკვერჩხლებისაგან. და ამიტომ არც ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ იმათგანი რომელი ილაპარაკებდა, რადგან საბოლოოდ ყოვლის წარმოსაჩენად ლაპარაკი არ იქნება საკმარისი, საუბრისა და სმენის ბედნიერი შეუღლება ჯერ კიდევ იმთავითვე მოგვთხოვს, გვაიძულებს ერთმანეთის შეცდომების დავიწყებას და ცოდვების მიტევებას, და ამ ყმაწვილების დანაშაული — ორივეს დანაშაული არა მარტო ის იყო, ის აჩრდილი რომ შექმნეს საუბრის ხანს (უფრო სწორად, თავად რომ შექმნილიყვნენ იმად), არამედ ცდილობდნენ ამ ამბების გაცრა-გამტკიცვას, მოსმენას, სიყალბისაგან განწმენდას და იმის გამომზეურებას, რაც ჭეშმარიტი ჩანდა, ანუ რაც უცხო არ იყო მათთვის — რათა სიყვარულზე გადასულიყვნენ, შეიძლება პარადოქსულსა და გაუთავისებელზე, მაგრამ შეუცდომელსა და ნამდვილზე. — ახლა სიყვარულზე ვილაპარაკოთ-მეთქი. იმ ყმაწვილკაცს უნდა სცოდნოდა ყველაფერი იმ გოგოს შესახებ ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნახავდა: თუ როგორი გარეგნობისა იყო, თუ როგორ გაჰყავდა დრო ამ სოფლელ ქალიშვილს, რაზედაც იმ ოჯახის მამაკაცებს ბევრი არც უნდა სცოდნოდათ; ისე გაუგია ეს ყველაფერი, ერთი შეკითხვაც არ დაუსვამს ბიჭისათვის. ღმერთო, იმის გარშემო ხომ ყველაფერი ბობოქრობდა. მთელი სალამოები ჰენრი მასთან იყო და ხედავდა თავის საძილე ოთახში მონებივრეს, ხალათწამოსხმულს, ქოშებით, ქალები რომ იცვამდნენ, ისეთებით. სუნამოს სუსტი სურნელება უცილობლად შემოხვეოდა ქალების დარადვე, სიგარასაც ქალისნაირადვე ეწეოდა, ოღონდ ამ დროს დაუდევრად და გასაოცრად თავდაჯერებულად, მართლაცდა უმამაცესი კაცი თუ გაბედავდა ასეთ შედარებას (ამასთან არც ცდილობდა მისთვის ჭკუის სწავლებას, მის გაწვრთნას, მენტორობას, თუ იქნებ ცდილობდა კიდეც; იქნებ, ვინ იცის, რამდენჯერაც დაინახავდა ჰენრის სახეს, ასე კი არ ფიქრობდა — **ხხვა სისხლი სჩქეფს მის ძარღვებში, და თუ ამას არ გავითვალისწინებ, ჩემნაირივე თავის ქალა, შუბლი, თვალის უპეები, სახის მოყვანილობა, ნიკაპიც ჩემნაირივე აქვს, რომელთა მიღმა ჩემივე ფიქრებია, ნაწილობრივ მაინც, სწორედ ასევე ყოველივე ეს მას შეუძლია ჩემს სახეზე დაინახოს, თუკი მისთვის ჩემნაირივე**

ხედვა მიუნიჭებია ბუნებას არამედ ასე: **ჩემ წინარე მდგომის სახეა იმისა, ვისაც მცირეოდნავ, ხულ მცირეოდნავ შერევია უცხო სისხლი, რათა ის შექმნილიყო. ჩემ წინ სახეა კაცისა, რომელმაც ჩვენ ორივე გვშვა, დაგვატოვებია მოზიმზიმე ლბილი შავეთი, რისთვისაც ჩვენ მომავალი შეგვირქმევია, ხოდა... ხოდა, ახლა ამწუთას სასოწარკვეთილის ძალისხმევით ნებისყოფასა და ლოხეს მოვიკრებ, შემოვაცლი გარსს და ამ სისხლის წიაღ ჩემი ძმის სახეს ვარ დავინახავ, ვის არსებობაზე არაფერი ვიცოდი და ურომლისოდაც მშვენივრად ვიყავი, არამედ მამაჩემის სახეს, ვის აჩრდილსაც ვერა და ვერ დააღწია თავი ჩემმა, უკვდავმა სულმა.** როდის ფიქრობდა ამას იმ სახეწამონთებული ბიჭის მაცქერალი, ვინც არამცთუ შესაბრალისი ჩანდა, სიამაყესაც კი სჭარბობდა მისი მორჩილება, ვინც ასეთი მგზნებარე სულისა გახლდათ, ხოლო ქვეშეცნეულად რომ ბაძავდა ჩაცმა-დახურვაში, საუბარსა და მიხვრა-მოხვრაში, გარსიღა იყო მხოლოდ, ხოდა, უცქერდა და ვინ იცის, იქნებ ასე ფიქრობდა **თუკი მოვინდომებ, რას არ ვიზამ, ჩემი იქნება ეს დამჯერი ძვალი და ხორცი; ის ძვალი, ხორცი და სული, რომელთაც ჩემნაირივე წარმომავლობა აქვთ, მაგრამ გარემო მათი იყო მშვიდობიანი, უხვი, თუმცა ერთფეროვანი მზე დანათოდათ, ჩემს წინაპრებს კი წილად ხვდათ მარადიული სიძულვილი, შეურაცხყოფა და ჩრდილში ყოფნა; და კი შემეძლო ამ დამყოლი და მგზნებარე თიხისაგან გამომეძერწა ის, რასაც თავად მამაც ვერ შეძლებდა; რაოდენი სიკეთე შეიძლება, უნდა იყოს და არის კიდევაც ამ სახლში და არავინ გამოჩენილა, ვინც ჩემს წილ თიხას აიღებდა და გამოძერწავდა მანამ, ვინემ ჯერ კიდევ არაა გვიან;** რომელ წუთებში ეუბნებოდა თავს, რომ ეს სისულელეა, რომ არც შეიძლება ეს სიმართლე იყოს; მხოლოდ წიგნებში თუ ნახავთ ასეთ თანხვდენილობას, და ასე ფიქრობდა ეს ნიადაგ გულსევდიანი ფატალისტი, სულმუდამ მარტოობის მძებნელი — **ეს გამოთაყვანებული, ნეტავ როდის მოვიცილებ თავიდან** მაგრამ მყის ხმა, მეორე ხმა ასე ამცნობდა: **შენ ასე არ ფიქრობ;** ის კი: **არა. მართლაც არ ვფიქრობ და მაინც გამოთაყვანებულია.** და ის დღეები და საღამოები, როდესაც ისინი ერთად დასეირნობდნენ ცხენით (ჰენრი აქაც ცდილობდა მიებაძა მისთვის, თუმცა თავად უკეთესი მხედარი იყო, ოღონდაც იმას მოკლებული, რასაც ბონს შეეძლო მოხდენილობა შეერქმია, მაგრამ ცხენზე ჯდომა ბავშვობაში ესწავლა და მისთვის ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც ფეხით სიარული, რაზედაც არ უნდა მჯდარიყო და სადაც არ უნდა წასულიყო) და ხედავდა, თუ როგორ ინთქმებოდა და იძირებოდა ჰენრის საუბრის ნათელსა და ზღაპრულ მდინარებაში და ეზიარებოდნენ კიდევაც (სამივენი, თავად, ჰენრი და მისი დაი, რომელიც არც არასდროს ჰყავდა ნანახი და შესაძლოა არც ესწრაფოდა იმის ნახვას) ჯერ არნახულ სამყაროს, სადაც მათ გარდა არც არავინ იყო; ცხენდაცხენ მიჰყვებოდა ჰენრის, ყურს უგდებდა, შეკითხვების მიცემა არც სჭირდებოდა, რათა გული გადაეშალა მისთვის ამ ბავშვს, ვისაც ეჭვადაც არ გაუვლია გულში, ჩემ გვერდით მყოფი ეს კაცი შეიძლება ძმა იყოსო ჩემი, ვისი სულთქმა როგორც კი მის სახმო სიმებს შეეხებოდა, ასე ამბობდა **ამიერიდან ჩემი და ჩემი დის სახლი შენი სახლი იქნება და ჩემი და ჩემი დის სიცოცხლეც შენ გეკუთვნის;** ასე გაივლებდა გულში (ბონი) ან იქნებ არ გაივლებდა — ვთქვათ და, ყველაფერი ეს პირიქით მომხდარიყო და ჰენრი ყოფილიყო უცხო და ის (ბონი) — მემკვიდრე, ვინც უკვე დარწმუნდა, ადრე რომ ეჭვად ვიცოდი, მართალიაო, მაშინაც ამასვე იტყოდა? ხოდა, დაბოლოს ისიც (ბონი) დაეთანხმებოდა, დაბოლოს ასე ეუბნებოდა: „კარგი, თქვენსას ჩამოვალ საშობაოდ“, ოღონდ ჰენრისეულ ზღაპრული

სამყაროს იმ მესამე ბინადრის ნახვას კი არ ესწრებოდა, იმისი დის ნახვა კი არ უნდოდა, რადგან ერთხელაც არ უფიქრია ამ გოგოზე, მხოლოდ იმაზე ნაუბარს ისმენდა და მეტი არაფერი ,თავად კი ასე ფიქრობდა **მე იმ კაცს ვნახავ, ბოლოს და ბოლოს, ვისზედაც დღენიადაგ ისე მეუბნებოდნენ, მოლოდინი არც არასდროს უნდა მქონოდა მისი ნახვისა, ეროვნულიხოდაც მე ცხოვრება ვესწავლე.** იქნებ ფიქრობდა კიდეც, როგორ შევა იმ სახლში და დაინახავს კაცს, ეს მემკვიდრეობა მნელს და გაიგებს, მიხვდება ყველაფერს — რადგან იმწუთასვე ცხადლივ და შეუმცდარად ერთმანეთს შეიცნობენ, და კიდევაც გაიგებს ყველაფერს მტკიცედ და საბოლოოდ, და იქნებ ასეც ფიქრობდა **აი ესაა ყველაფერი, რაც მინდა. თუნდაც რომ არ მალიაროს; მაშინვე მივახვედრებ, რა მინდა, ნუ მალიარებს, და მეც არ მოველი ამას და არც მწყინს ეს ამბავი, ის კი მაშინვე გადამიკრავს, შენ ხომ ვაჟი ხარო ჩემი** იქნებ ასეც ფიქრობდა, იქნებ ისევ ისეთი გამომეტყველება მიელო, მოლიმარე რომ შეგეძლოთ შეგერქმია, მაგრამ კი შეცდებოდით უთუოდ და ვიღაც გამოთაყვანებული ვერ გაბედავდა ჩარევას: **ასეა თუ ისე, მე ხომ ვაჟი ვარ დედაჩემისა: მგონია, მეც არ ვიცი, რა მინდა** თუმცა კი იცოდა ზუსტად, რაც უნდოდა: უნდოდა თქმულიყო ამის შესახებ, ფიზიკური, იდუმალი შეხება სურდა, შეხება სურდა იმ თბილი ხორცისა, რომელიც ჯერ კიდევ მანამ გაეთბო იმ სისხლს, ვინემ მემკვიდრეობით გადმოვიდოდა მისი ხორცის გასათბობად, რათა მერე თავად გადაეცა მემკვიდრეობით და ასე არ შეწყდებოდა მჩქეფარება ცხელი და ბობოქარი სისხლისა მას მერე, როდესაც მისი დედისა და მერე თავად მისი საკუთარი სხეული მიწად იქცევა. ხოდა, შობადღეები დადგა და მან და ჰენრიმ ორმოცი მილი გამოიარეს სატპენის ასეულში, და ჰენრის ერთი წუთითაც არ გაუჩერებია ენა. თითქოსდა ზღაპრული ბუშტი გაებერა მის სუნთქვას, მრავალფეროვანი ბრწყინვით რომ ავსებდა იმ სიცარიელეს, რომელშიაც ისინი, სამივენი არსებობდნენ, ცოცხლობდნენ, მოძრაობდნენ კიდევაც, ოღონდ უხორცონი რჩებოდნენ — ანუ თავად ის, მეგობარი მისი და დაი, იმ მეგობარს რომ არც ენახა არასდროს (თუმცა ჰენრიმ არ იცოდა ამის შესახებ), ერთხელაც არ უფიქრია იმაზე, მხოლოდ კი ესმოდა ამ გოგოზე უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალით შეჭირვებულს, და შეიძლება ჰენრის არც კი შეუმჩნევია, რაც უფრო უახლოვდებოდნენ სახლს, მით უფრო ჩუმი ხდებოდა ბონი, აღარას ამბობდა და იქნებ (ჰენრის საიდანღა უნდა სცოდნოდა) უგულისყუროდაც უგდებდა ყურს. ხოდა, როცა სახლში შევიდა, ვინმეს რომ შეეხედა მისთვის, შეიძლება იმისი გამომეტყველება ჰენრისას მიემსგავსებინა — და იქნებ ასე ეუბნებოდა თავს **მე არა მარტო არ ვიცი, რა მინდა, როგორც ჩანს, უფრო ახალგაზრდა ვყოფილვარ, ვიდრე მეგონა** და პირისპირ შეეჩეხა იმ კაცს, ვინც შეიძლება მამა ყოფილიყო მისი, მაგრამ არც არაფერი მომხდარა — თავზარი არ დასცემიათ, არც ხორცით შეხებიან ერთმანეთს, რასაც ვერც საუბარი, თუნდაც სულ ნელი, ვერ შეუშლიდა ხელს — არც არაფერი-მეთქი. და ათი დღე დაჰყო იმან იქ ,ამ დროს ის არა მარტო ბედის ნებიერი იდუმალების შარავანდით მოცული კაცი იყო, ფოლადის მახვილი ძვირფასი ქვებით გაწყობილ აბრეშუმის ქარქაში, ვისაც ჰენრი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ბაძავდა, არამედ ხელოვნების ნაწარმოები, ნიმუში თავდაჭერისა და მიხვრა-მოხვრისა, სწორედ ასეთი იყო ის ქალბატონ სატპენის (როგორც შენი მამა ამბობდა) თვალში, კიდევაც მოითხოვდა ის ქალი ამას (შენს მამას არ უთქვამს ასე?) და კიდევაც იყო ასეთი (სწორედ ასეთს იყიდდა და საზღაურად ჯუდითსაც კი გაიღებდა, თუ ოთხ იმათთაგანში სხვა მყიდველი არ გამოჩნდე-

ბოდა — განა შენს მამას არ უთქვამს ეს?), ვიდრე არ გადაიკარგა და თანაც ჰენრი არ წაიყვანა, მერე იმ ქალს არც არასდროს უნახავს ის, ხოლო ომიანობამ, ტანჯვა-ვაებამ და შიმშილობამ თავისი ჰქნა და ალბათ ვერც მას გაიხსენებდა, თუკი ახსოვდა როდისმე ის კაცი (იმ გოგოს კი, მის დას, იმ ქალწულ ყმაწვილ-ქალს — ღმერთო ჩემო, ვინ იცის რა მოელანდა იმ საღამოს, როდესაც ისინი ცხენებით ეზოში შემოვიდნენ, რა ცოდვა-ვედრების შემდეგ, რა ზღაპრული ქვეყნებიდან მოფრინდა ქალიშვილის ეს სანუკვარი ზმანება, ვისაც რკინის პერანგი კი არ ეცვა, არც მუზარადი ეხურა, არამედ აბრეშუმებში იყო გახვეული ოცდაათ წელს მიტანებული ათი წლით მასზე უფროსი-ეს ტრაგიკული ლანსელოტი; სად მოღლილიყო, სად მოყირჭებოდა ასე ცხოვრება ამ ყმაწვილკაცს, რომლის სახეც წარმოდგენაში შეექმნა გოგოს ჰენრის წერილების მიხედვით). მაგრამ გამგზავრების დღე დადგა და მისთვის არავითარი ნიშანი არ მიუციათ, შესხდნენ ის და ჰენრი ცხენებზე და წავიდნენ, და არც ახლა შეუმჩნევია რამე, ახლაც ისე მომხდარა, როგორც პირველად, იმ კაცს ახლაც არაფერი დასტყობია სახეზე; წვერი რომ არ ჰქონოდა, კი შეიძლებოდა მის სახეზე (ანუ სჯეროდა ასე) ამოეკითხა სიმართლე. ასე რომ არც დასჭირდებოდა რამე ნიშანი; თვალებმაც არ შეატყობინა რამე, როდესაც ნათლად ხედავდა მის სახეს, მას ხომ წვერი არ ჰქონდა, რომ ამოფარებოდა და ასე მიეკვლია სიმართლისთვის, თუკი ამცნობდნენ ამას ის თვალები; და მიხვდა, თავად მისი სახე იყო ჭეშმარიტების მთქმელი და ეს ისე ცხადლივ იხილა იმ ყმაწვილკაცმა, როგორც ჰენრი შემდეგი შობადღეების ხანს ბიბლიოთეკაში მიხვდება, რომ მამა არ სტყუის, რომ მამა არაფერს მოიმოქმედებს და არც არაფერს იტყვის, სწორედ ეს გარემოება დაარწმუნებს ჰენრის. იქნებ მან ასეც კი იფიქრა გაოცებულმა, სულაც განგებ ხომ არ მიიბნიაო მან წვერი სწორედ იმ დღეს, და თუ ასე იყო, რა სიხარულით შეინახავდა ამ საიდუმლოს; და ამ ფიქრით იყო მოცული **ღმერთო ჩემო, მე ხომ ახალგაზრდა, ახალგაზრდა ვარ და არც კი ვიცოდი ეს, იმათ არც კი უთქვამთ ჩემთვის, რომ ასე ახალგაზრდა ვარ** სასოწარკვეთილებამ აიტანა, სირცხვილის გრძნობა წვავდა, ასე მოუვა ადამიანს, როდესაც საკუთარ მამას იხილავს უილაჯოსა და მხნეობადაკარგულს, ასე ფიქრობდა მე **უნდა დამტყობოდა ეს უილაჯობა, იმას კი არა, მე-მეთქი, იმას კი არა, ვინც ჩემივე სისხლისაა და ჩვენ ორივეს გვქონდა ეს სისხლი მანამ, სანამ არ გააფუჭა, არ შერყვნა რაღაცამ, რაც მან ვერ აიტანა** — ...დაიცადე, — შეჰყვირა შრივმა, თუმცა კვენტინს სიტყვაც არ დაუძრავს, წელში მოხრილი, მოშვებული იჯდა და ახლა გამართვა დააპირა, შრივი მიხვდა, რაღაცის თქმა უნდაო, და გააჩერა, დაიცადე, დაიცადეო, და ვიდრე კვენტინი რამეს იტყოდა, მან განაგრძო: — რადგან იმას არც შეუხედავს იმ გოგოსთვის. ჰოი, რაღა თქმა უნდა, მან დაინახა ის გოგო, კიდევაც ჰქონდა ამის საშუალება, ვერც შესძლებდა არ ენახა, რადგან ქალბატონ სატპენს კარგად მოეგვარებინა საქმე — ამ ათი დღის მანძილზე იმდენი მოახერხა, რომ პირისპირ შეახვედრა ისინი ერთმანეთს, ყველაფერი აწონ-დაწონა, გაითვალისწინა მსგავსად გარდაცვლილი გენერლებისა სასწავლო წიგნებიდან; თითქოსდა შემთხვევით ბიბლიოთეკაში მარტოდ აღმოჩენილიყვნენ, ან სასტუმრო დარბაზში, ან ეტლებით სეირნობისას, სამი თვის წინათ იყო გათვალისწინებული ეს ყველაფერი, როდესაც ქალბატონმა სატპენმა პირველად ამოიკითხა ბონის სახელი ჰენრის წერილიდან, ვინემ ჯუდითმა ისე არ იგრძნო თავი, როგორც ოქროს თევზმა აკვარიუმში მეორე ოქროს თევზთან — და ისიც ესაუბრებოდა ამ გოგოს იმაზე, რაც შეიძლებოდა ელაპარაკა სოფლელ ქალი-

შვილთან, ვისაც იქნებ არც კი ჰყავდა ნანახი კაცი, გინდა ყმაწვილი და გინდ მოხუცი, რომლისგანაც ადრე თუ გვიან ნეხვის სუნი არ მოსვლოდა; ესაუბრებოდა, როგორც სასტუმრო ოთახში მოოქრულ სავარძელში მჯდომარე მოხუცი ქალბატონს, იმ განსხვავებით, რომ სულ უნდა ელაპარაკა, არ უნდა გაჩუმებულიყო, და რადგან ის ჯუდითი იყო, ქალიშვილი, ვერც გაქცევით უშველოდა თავს, სანამ ჰენრი არ მოვიდოდა და არ გამოიყვანდა. და იქნებ იმხანად ეს ... გაიფიქრა ამ გოგოზე, იქნებ ეს ის დრო იყო, როდესაც ასე ეუბნებოდა თავს: **შეუძლებელია ,ასე რომ იყოს: ის ხომ ყოველდღე მხედავს მე და არ შეიძლება არაფერი არ ენიშნებინა ჩემთვის, ასე რომ იყოს-მეთქი** ის ასეც კი ეუბნებოდა თავს **სულ ადვილად წავა საქმე იმ გოგოსთან** მსგავსად იმისა, როდესაც ვახშმობის დროს მაგიდაზე შამპანურს დატოვებს კაცი, ვისკის დასალევად ბუფეტთან მივა, სინზე დადგმულ ერთ ჭიქა ლიმონათს დაინახავს და ასე ეტყვის თავს, ეს სულ ადვილი დასალევი იქნებაო, ოღონდაც ვის უნდა... აბა რას იტყვი?

— მაგრამ ეს ხომ სიყვარული არაა, — თქვა კვენტინმა.

— რატომაც არა? აბა ყური მიგდე. გახსოვს, რას გეუბნებოდა ის მოხუცი ქალბატონი, დეიდა როუზა, არის რაღაც საგნები, რომლებიც არიან თუ არ არიან, მაინც უნდა არსებობდნენ ამქვეყნად, უთუოდ უნდა არსებობდნენ, უფრო მეტადაც, ვიდრე ის საგნები, რომლებიც კი შეიძლება მართლა არსებობენ, მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. თავიდათავი აი ეს იყო. იმას დრო აღარ ჰქონდა- ღმერთო ჩემო, იცოდა კიდევაც, რომ ასე მოხდებოდა. სწორად ფიქრობდა ვექილი, სულელი არ არისო იგი: მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი არასულელი არ იყო, ვექილს რომ ეგონა. ნამდვილად იცოდა, რომ ასე იქნებოდა. ეს იმას ჰგავს, კაცი რომ ლიმონათს ჩაუვლის და იცის, კი შეუძლია მივიდეს ბუფეტთან და ვისკისთან, და ისიც იცის, რომ ხვალ დილით ლიმონათი მოუნდება, შემდეგ მივა იმ ვისკის ბოთლთან და მიხვდება, სწორედ ახლა უნდა ლიმონათის დალევა. იქნებ არც მივიდა ბუფეტთან, იქნებ უკან მიიხედა და შამპანური დაინახა სუფრაზე დასვრილ ჭიქებსა და თეფშებშუა და უცებ ასე გაუელვებს თავში, აღარც იქ დაბრუნება მინდაო. მთავარი არჩევანი კი არაა, როდესაც შეგიძლია აირჩიო შამპანური ან ვისკი ან ლიმონათი, არამედ ის, რომ უცებ (მაშინ გაზაფხული იყო იქ, იმ მხარეში, სადაც იგი გაზაფხულზე ჯერ არ ჩასულა, შენ კი გითქვამს, მისისიპის ჩრდილოეთში უფრო მკაცრი ჰავააო, ვიდრე ლუიზიანაში, შვინდი, ია და სხვა ადრეული, სურნელებას მოკლებული ყვავილები ხარობს იქ, მაგრამ მიწა და ღამეები ჯერ კიდევ ცივია და ქალწულის ძუძუსთავების დარ მკვრივ, წებოვან კვირტებს ისხამს თხმელა, იუდას ხე, წიფელი და ნეკერჩხალი, და კედრებსაც კი რაღაც ახალგაზრდული არილი გადასდის, რაც არც კი იცოდა მანამდე) მიხვდები, აღარაფერი გინდა ამ ლიმონათის გარდა, სულ ყოველთვის ის გინდოდა ძალიან და იცი კიდევაც, შენთვის მოუტანიათ ეს ლიმონათი. ვინმესთვის კი არა, სწორედ შენთვის, ხოლო სხვისი ხელი თუ მისწვდა მას, ეკლებს გამოისხამს; და ეს არ იყო მისთვის ჩვეულებრივი ამბავი, რადგან ყოველი სხვა ფიალა, სულ ადვილად და სიამოვნებით რომ მოხვედრილა მის ხელში, ლიმონათით კი არა, შამპანურით ან ხილის ღვინით მაინც იყო სავსე და უფრო მეტიც. მან იცოდა, რომ შეიძლება გამართლდეს მისი ეჭვი ან, პირიქით, არ იცოდა, ასე იქნება თუ არა. და ვინ იტყვის, იყო თუ არა სისხლის აღრევის საშიშროება, რადგან ვინ (ვისაც დაი არ ჰყოლია, სხვებისა არ ვიცი) არ ყოფილა შეყვარებული და არ მიმხვდარა, რა მსწრაფლწარმავალი და ამაოების ნიშნითაა ცხებული ხორციელი სიახლოვე; ვის არ

შეუცვნია, გაივლის წამი და უნდა გაეცალო ორივეს, სიყვარულსაც და სიამოვნებასაც, მოაქუჩო შენი ავლადიდება, ქუდები, შარვლები, ფეხსაცმლები თუ სხვა ხარახურა ყველგან რომ დაათრევ, სადაც კი წახვალ, და უნდა გაეცალო მეთქი — აკი თავად ღმერთებიც არიან ცოდვილნი; ხოლო ჯადოსნური და გაუთავებელი თანყოფა, თავდავიწყებით რომ ზეამაღლებულ [illegible] თავს მოევლება ამ მტანჯავ ხვანჯებს წუთისოფლისას: **არ იყო** [illegible] **იყო:** ძალუძთ სპილოებსა და ვეშაპებს, რომლებიც წონისუქონელნი არიან საჰაერო ბურთებივით; თუნდ ესეც რომ ცოდვა ყოფილიყო, მაინც არ დაგანებებდნენ გაქცევას, ცხოვრებისეული ძაფების გაგლეჯას, დაბრუნებას. ხომ მართალი ვარ? — შეჩერდა, ახლა კი ადვილად შეაწყვეტინებდი სიტყვას, კვენტინს კი შეეძლო ეთქვა რამე, მაგრამ არას ამბობდა. ის ისევ ჯდა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაეწყო, მხრებში მოხრილიყო, მოკუნტულიყო, თავი დაეხარა და უცნაურად დაპატარავებულიყო, სინამდვილეში ის მაღალი და გამხდარი იყო, ისეთი ძვალწვრილი და ნაზი აგებულებისა, რომ ოცი წლისასაც ჰქონდა რაღაც უკანასკნელი ნიშანი ბავშვობისა, ასე იყო თუ ისე, ასეთი ჩანდა მის პირისპირ მჯდომარე ვეება ქერუბიმთან შედარებით, ვისაც უფრო ნაკლებ წლოვანებასაც მისცემდით, რადგან უფრო ტანსრული გახლდათ. ასეთი შეიძლება თორმეტიოდე წლის ჩასუქებული ბიჭი იყოს და მისი წონა ოცი, ოცდაათი ფუნტითაა მეტი თოთხმეტი წლისაზე და მაინც იმაზე უფრო პატარა ჩანს, რაკი იმან ერთხელ უკვე დაკარგა თავისი სიმსუქნე, გადაცვალა (სულერთია თავის სურვილისამებრ მოხდა ეს თუ არა) უბიწოებაზე, როგორც სჩვევიათ გინდ ბიჭსა და გინდ გოგოს.

— არ ვიცი, — თქვა კვენტინმა.

— კარგი, — უთხრა შრივმა, — იქნებ მეც არ ვიცი. მაგრამ, ღმერთო, ერთხელაც იქნება და უნდა გაება სიყვარულის ბადეში. ვერსად წაუხვალ ამას. მაშინ ასე იქნებოდა, უფალს რომ იესუ ეშვა, სადურგლო იარაღი მიებოძა და ერთხელაც არ გაეკეთებინა რამე იმით, ხომ ასეა?

— არ ვიცი, — თქვა კვენტინმა. გაუნძრეველად იჯდა. შრივმა შეხედა მას. მაშინაც კი, როდესაც არ ლაპარაკობდნენ, ამ სამარისებრ ცივ ჰაერს ნელინელ ერთვოდა ნაორთქლი მათი სუნთქვისა. თორმეტჯერ დაჰკრა ამ რამდენი ხნის წინ.

— შენ იმისი თქმა გინდა, ჩემთვის სულერთიაო, ხომ? — კვენტინმა არ უპასუხა — კარგი. ნულარ იტყვის. მაინც არ დაგიჯერებ. კარგი-მეთქი, რადგან ის კაცი არც შეწუხებულა სიყვარულის გამო, თავად სიყვარულს უზრუნია თავის [illegible]. იქნებ იმ ყმაწვილკაცმა იცოდა, რომ განწირულია ბედისაგან მსგავსად იმისა, იმ მოხუც ქალს, დეიდა როუზას რომ უთქვამს იმ საგნების შესახებ, უკანასკნელ ძველ, გაცრეცილ ფურცლებზე, რომელიც ვიღაცამ მერე თუნდაც იმიტომ, რომ დავთარში შეჯამდეს ყველაფერი და დაიწეროს, **გადახდილია,** იმ უკანასკნელ, ძველ, გაცრეცილ ფურცელზე, და ვიღაცამ იგი მერე თუნდაც ამოგლიჯოს, დაწვას და ასე მოიცილოს თავიდან. იქნებ მან ისიც იცოდა, რაც არ უნდა ქნას იმ ბერიკაცმა, გინდ სიკეთე და გინდ ბოროტება, ანგარიშის გასწორება ბერიკაცს მაინც არ მოუხდება; ხოდა, ახლა როცა ის ბერიკაცი გალარიბდა, დაჩაჩანაკდა, მისი ვაჟიშვილების გარდა ვინღა გადაიხდიდა? კიდევაც ასე ხდებოდა ოდითგანვე; ის ბერიკაცი, აბრაამი, მიხრწნილი, გადაყრუებული, ვისაც აღარა შეეძლო ავისქმნა, ბოლოს გაება ხაფანგში და ბოქაულებმა და გზირებმა ასე უთხრეს: „შენ აღარ გვჭირდები, ბერიკაცო", და აბრაამმა მიუგო იმათ: „კურთხეულ იყოს უფალი, გამოვზარდე მე ძენი და დაე ზიდვიდან

ჩემს ტანჯვა-ვაებას და ცოდვა-ბრალს, და იქნებ წაჰგვაროინ მპარავთ ჩემი ცხოვარი და ზრახა, მშვიდად ვუმზირო ჩემს სიმდიდრეს და ასგზის განმრავლებულ ნათესავთ და მონათა ჩემს აღსრულების ხანს“: სულ მუდამ იცოდა, რომ სიყვარული თავად იზრუნებს თავისთვის. იქნებ სწორად ამიტომაც აღარ ფიქრობდა ის ყმაწვილკაცი ამაზე იმ სამი თვის მანძილზე, სექტემბრიდან [illegible] დე, როდესაც ჰენრი იმ გოგოზე უყვებოდა მას, ასე ეუბნებოდა [illegible] ოხვრაზე: **შენი სანაცვლო იყოსო იმ გოგოს და ჩემი სიცოცხლე;** დროის დახარჯვა აღარ დასჭირვებია სიყვარულისათვის, თავად მოხდა ყველაფერი და კიდევაც უკანვე მიუბრუნდა ყველაფერი: თავი არ შეუწუხებია და ამ გოგოსთვის, არ მოუწერია წერილი (იმ პირველი და უკანასკნელის გარდა), რომლის შენახვასაც მოისურვებდა, ხელიც არ უთხოვია მისი და ბეჭედიც არ მიუცია, რომ ქ-ნ სატპენს ეჩვენებინა ყველასათვის. იმ გოგოსაც სდევნიდა ბედისწერა იმ ბებერი აბრაამის მსგავსად, ვინც ისე მიხრწნილ-გადაყრუებულიყო, რომ აღარავის უნდოდა იგი ვალის საზღაურად; იქნებ შობას აღარც უნდა დალოდებოდა ,რათა ენახა ის გოგო და ყველაფერს მიმხვდარიყო; ჰენრის ენამ მიიყვანა იქნებ იგი ამ ყოფამდე, სამი თვე სულ უამბობდა იმ გოგოზე, ის კი იქნებ არც უგდებდა ყურს: **ის ნორჩი გოგო, ის ქალწული რა შუაშია, თავიდათავი ის ვიწრო, წვრილი ღობით შემოვლებული, ხელუხლებელი მიწაა, რომელზეც უკვე კვლებია გავლებული და თესლის გადაგდებაღა უნდა და ფარცხის გავლება ისევ;** შობას ნახა ის გოგო, დარწმუნდა ყველაფერში და მერე დაავიწყდა კიდევაც, დაბრუნდა უნივერსიტეტში და აღარც გახსენებია, რომ დავიწყებოდა თურმე, დრო აღარ ჰქონდა და იმიტომ; იქნებ იმ გაზაფხულის იმ დღეს, შენ რომ მითხარი, შეჩერებულა და ჩუმად, წყნარად ამოუთქვამს: **კარგი. მე ჩავუწვები იმას, ვინც შეიძლება ჩემი დაი იყოს. კარგი-მეთქი** და ესეც დავიწყებია მერე. დრო აღარ ჰქონდა და იმიტომ. უფრო სწორად, დროღა ჰქონდა, მეტი არაფერი ,რადგან უნდა დალოდებოდა. მაგრამ იმ გოგოს კი არა. ამ მხრივ ყოველივე ნათელი იყო. სხვა იყო აქ მთავარი. იქნებ ასე ფიქრობდა, ეს იმ ზანგს უნდა ჰქონდესო ჩანთაში, სატპენის ასეულიდან რომ ჩამოდიოდა, და ჰენრის ეგონა. წერილს მოელისო იმ გოგოსაგან, ის კი ასე ფიქრობდა: **იქნებ იმ კაცმა მომწეროს, ოღონდ კი მომწეროს, შენი მამა ვარ. დაწვიო ეს ბარათი. ასეც ვიზამ. ან რამე ფურცლის, ქაღალდის ნაგლეჯი მაინც იყოს ერთადერთი სიტყვითურთ — „ჩარლზ“, მისი ხელით დაწერილი, და მე მეცოდინება, თუ რისი თქმა უნდა მას და აღარც დასჭირდება თხოვნა, დაწვიო. ან მისი თმის ერთი ანაჭერი იყოს, ან ანაქნევი მისი ფრჩხილისა და მე ვიცნობ იმწუთას, რადგან ახლა კი მჯერა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცოდი, თუ როგორი თმა და ფრჩხილი აქვს, გინდ ათასი სხვა მენახა, მაინც გამოვიცნობდი იმათ.** იმისი წერილი კი არ მოდიოდა, ამ ბიჭისა კი იმ გოგოსთან ორ კვირაში ერთხელ იგზავნებოდა, ხოლო პასუხი იმ გოგოსგან მას მისდიოდა და იქნებ ასე ფიქრობდა **ჩემი ერთი წერილიც იმ გოგოსადმი გაუხსნელი რომ დამიბრუნდეს, ეს ნიშანი იქნება.** მაგრამ ასე არ მომხდარა და მაშინ ჰენრიმ სიტყვა ჩამოუგდო, შინ მიმავალმა სატპენის ასეულში გამოიარე და ჩემსას დაყავიო ერთი ან ორი დღე, იმან მიუგო, კარგიო; ასე ფიქრობდა, **წერილს ჰენრი მიიღებს, წერილში ნათქვამი იქნება, შენი ამხანაგის სტუმრობის დრო ახლა არ არისო; ცხადია, იმ კაცს არ უნდა აღიარება, რომ მე მისი ძე ვარ, მაგრამ მე მაინც ვაიძულებ და მაღიარებს კიდევაც.** მაგრამ ის წერილი არ მოსულა, დღე კი დანიშნეს წასვლისა. შეატყობინეს კიდევაც იმ ოჯახს სატპენის ასეულში,

კვლავაც არ მოსულა წერილი და ასე ფიქრობდა **ასე იქნება სწორედ; არ ვყოფილვარ სამართლიანი იმ კაცის მიმართ; იქნებ სწორედ** ამას ელოდა **იგი და იქნებ** და იქნებ მაშინ გული აუჩქროლდა და იქნებ ასე უთხრა თავს **დიახ. დიახ. მე უარს ვიტყვი იმ გოგოზე ,მე უარს ვიტყვი სიყვარულსა და ყველაფერზეც; სულ ადვილი, სულ ადვილი იქნება ეს, თუნდაც რომ ასე [illegible] ბევრი აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა; მიყვარხარ და გაღიარებ [illegible], ახლა კი წადი", ასეც ვიზამ, აღარც კი ვკითხავ, რა ჰქნა დედამ და რა საზღაური დაგვიმსახურებია მისგან მე და დედაჩემს.** ის დღეც დადგა და მან და ჰენრიმ კვლავ გამოიარეს ცხენებით ორმოცი მილი, შევიდნენ ჭიშკარში და ხეივნით სახლისკენ წავიდნენ. იცოდა, რომ იქ უნდა ყოფილიყვნენ — ქალი, ვინც ერთხელ ნახა და ყველაფერი იცოდა მისი, გოგო,ვინც ისე ამოიცნო, ერთხელაც არ უნახავს; მამაკაცი, ვისაც ყოველდღე ხედავდა და უმზერდა შიშით გულგადაქანებული და ვერც ვერასდროს ამოიცნო: დედა, რომელმაც გვერდზე გაიყვანა ჰენრი, როცა ექვსი საათის ჩასულები იყვნენ სახლში საშობაო ორდადეგებზე, და დაწინდვის ამბავი ამცნო თუმცა სასიძოს ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეთავისებინა მისი ქალიშვილის სახე და სახელი; ასე რომ შესაძლოა მანამ, სანამ ისინი უნივერსიტეტში, დაბრუნდებოდნენ, ჰენრიმ მისდაუნებურად უთხრა ბონს დედამისის ჩანაფიქრის შესახებ (თავისი ჩანაფიქრის შესახებ უფრო ადრე უთქვამს ბონისათვის); ასე რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბონი მეორედ ესტუმრებოდა მათ... (ივნისი უნდა ყოფილიყო მაშინ, როგორია ამ დროს მისისიპის ჩრდილოეთი მხარე? რას ამბობდი, თუ გახსოვს? აყვავილებული მაგნოლიები, ჯაფარები, ორმოცდაათი წელია გასული, რაც ომში იყვნენ, დამარცხდნენ და სახლში დაბრუნდნენ, ახლა კი, დალუპულთა ხსოვნის დღეს მოდიან ვეტერანები, გამოწყობილნი საკუთარი ხელით გაუთოებულ ნაცრისფერი ფორმის ტანსაცმელში, ყალბი ბრინჯაოს მედლებით, თუმცა ადრევეც არ ჰქონია მნიშვნელობა ამ ჯილდოებს; მშვენიერი გოგოებიც იქნებიან აქ მეწამული ფერის სარტყლებიან თეთრი კაბებით შემოსილები, ორკესტრი „დიქსის"* დაუკრავს და დაჩაჩანაკებული ბერიკაცები დასჭყივლებენ ვაშას — თუმცა ვინ იფიქრებდა, ესენი ქალაქს ჩამოალწევენ და ტრიბუნაზე დადგებიანო)... ივნისი იქნებოდა მაშინ, მთვარე დანათოდა მაგნოლიებსა და ჯაფარებს, ივნისის ნიავი ფრთხიალებდა ფარდებში დიპლომების გადაცემის დღეს, ისმოდა მუსიკა, უკრავდნენ ვიოლინოები და სამკუთხები, ცეკვისას ფრიალებდნენ კრინოლინები შეჭიკჭიკებულიყო ჰენრიც, კი უნდა ჰკითხოს, ჩემს დაზე რას იტყვით შენ, მაგრამ არას ამბობს, სამაგიეროდ წითლდება და ეტყობა კიდევაც მთვარის შუქზე, მაგრამ დგას წელგამართული — მორჩილების გამომჟღავნება განა რას დააკლებს გულამაყს, ვინც ქედმოდრეკილი არც ყოფილა არასდროს (ვინც ყოველ ამოსუნთქვაზე თითქოსდა ამას ამბობდა **სულით ხორცამდე შენი ვართ)** — დგას და ეუბნება: ასე ვფიქრობდი, შემზიზღდება-მეთქი ის კაცი, ვისაც ყოველდღე დავინახავ და ყოველი მისი მოძრაობა. საქმე და საუბარი ამას მამცნობს — მე მინახავს და კიდევაც მიხლია ხელი შენი დის სხეულის იმ ნაკვთებისთვის, რომელთაც შენ ვერასოდეს ნახავ და ვერ გაეკარები, ახლა კი ზუსტად ვიცი, შემზიზღდება იგი და ამიტომ მინდა, ის კაცი შენ იყო"; იცის, ბონი რომ მიუხვდება, უნდა უთხრას,

---

* აშშ-ის სამოქალაქო ომის დროინდელი კონფედერატების ცნობილი საბრძოლო სიმღერა. დიქსი ანუ დიქსილენდი — ამერიკის სამხრეთის სახელწოდება.

აუხსნას, თავის გულში კი (ჰენრი) ასე ეუბნება თავს: **იმიტომ კი არა, რომ ჩემზე უფროსია და უფრო მეტიც იცის, ვიდრე მე მეცოდინება როდისმე და ჩემზე უკეთაც დაიმახსოვრა ყველაფერი; არამედ ჩემი ნება-სურვილით, მნიშვნელობა არაა ქვს, ვიცოდი თუ არა ეს მე იმხანად, ჩემი და ჯუდითის სიცოცხლე ორივე მას მივუძღვენი...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ ეს ჯერ კიდევ სიყვარული არ არის, — უთხრა კვენტინმა.

— კარგი, — მიუგო შრივმა, — ოღონდ ყური მიგდე. ორმოცი მილი გაიარეს ცხენებით, შევიდნენ ჯიშკარში და სახლისკენ გასწიეს. იმ დროს სატპენი იქ არც ყოფილა. ელენმაც არ იცოდა, სად წასულიყო, და არც შეწუხებულა, ასე ეგონა, მემფისს წავიდა ან იქნებ სულაც სენტ-ლუისში ჩავიდა რალაც საქმეების მოსაგვარებლად, ჰენრისა და ჯუდითს კი მოუკითხავს მამა, მაგრამ მხოლოდ მან, ბონმა იცოდა სატპენის სადმყოფობის ამბავი და ასე ეუბნებოდა თავს **რალა თქმა უნდა, ვერ დაუჯერებია, იქ წავიდა, რათა დაიჯეროს** და ახლა სულ უფრო ხმამაღლა, სულ უფრო ხშირად ეუბნებოდა თავს, რათა ჩაეხშო თავისი ფიქრები, **მაგრამ თუ დაეჭვდა, რატომ არ მკითხა? მე კი ვიზამდი ამას, პირველი მე მივიდოდი მასთან, რომლის ძარღვებშიაც სჩქეფს სისხლი, დედაჩემს რომ შეურყვნია, და შეუბღალავს;** ახლა უფრო ხმამაღლა და მალიად ეუბნებოდა თავს **აი თურმე რა ყოფილა; იქნებ უნდა ჩამასწროს იქ და დამეღოდოს; აქ კი არც არაფერი დაუბარებია ჩემთვის, სხვებთან რომ ეჭვი არ აიღონ, და მან იცის, აქ რომ ველარ ვნახავ, იმწუთას მივხვდები, სადაცაა წასული** იმათთაგან ორივეზე ფიქრობდა, ერთი ქალი იყო, პირქუში, შურისმგებელი, დედა მისი, მეორე კი მამრი, მკაცრი, კლდეკაცი, ვინც ათი დღის მანძილზე ყოველდღე ხედავდა მას და ერთი ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე; ხოდა, ახლა პირისპირ შეყრილან კბილებამდე აღჭურვილები თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ამ მდიდრულ, ბაროკოს სტილის სასტუმრო დარბაზში, იმ სახლში, რომელსაც ის მშობლიურს ეძახდა, ყოველს ხომ, როგორც ჩანს, უნდა ჰქონდეს თავისი სახლი; იმ მამრს კი ახლა უკვე სჯეროდა, რომ მამა იყო მისი, ახლაც ქედმოუდრეკელს (ის, ბონი, ამაყობდა კიდევაც ამით) არ უთქვამს **მე ვცდებოდი** ესღა თქვა **შეიძლება ასე იყოს** ღმერთო, რა ცეცხლი უნდა დატრიალებულიყო ის ორი დღე იმ კაცის გულში, როდესაც ის ბებრუხანა ყოველწუთს ცდილობდა ჯუდითის მიჩეჩებას მისთვის; მთელი ოლქისთვის მოუფენია საიდუმლოდ თავისი ქალიშვილის დაწინდვის ამბავი — შენს მამას არ უთქვამს შენთვის, გაზაფხულზე ელენი მემფისს წასულა, ჯუდითიც წაუყვანია, მზითევი უნდა ეყიდა მისთვის? — და ჯუდითს არც სჭირდებოდა დათანხმება ან უარის თქმა, ის მხოლოდ იყო, არსებობდა, სუნთქავდა ჰენრისავით, ვისაც იქნებ იმ გაზაფხულის ერთ დილას გამოღვიძებია და მწოლარეს უანგარიშია, ყველაფერი შეუჯამებია და ასე უთქვამს თავისთვის **კარგი. მე შევეცდები ვიყო ისეთი, როგორიც ძას უნდა; როგორც უნდა, ისე მომექცეს; ოღონდ კი მითხრას, რა ვქნა და ვიზამ კიდევაც; თუნდაც უპატიოსნო რამ მთხოვოს, მაინც ავუსრულებ** ჯუდითი კი ქალი იყო და უფრო მეტი სიბრძნე გამოუჩენია, უპატიოსნობაზე არც კი დაფიქრებულა და ისე უთქვამს **კარგი. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შეიძლება მან მთხოვოს და ამიტომ ის არც არასდროს მთხოვს ისეთს, რაც ჩემი აზრით უპატიოსნო იქნება;** ასე რომ (იქნებ ამჯერად უკოცნია კიდევაც მისთვის, პირველი კოცნა ყოფილა ეს იმ გოგოსთვის, ვინც იმდენად უმწიკვლო იყო, რომ ვერც დაიმორცხვებდა და ვერც თავდაჭერილობას გამოიჩენდა და ვერც იმას მიხვდებოდა, რალაცას უცდის, ელისო; იქნებ ის მშვიდად, ჩუმი

გაოცებით შესცქეროდა ვაჟს — სატრფომ მას პირველად აკოცა, ძმასავით, სწორედ ასე იქნებოდა, ძმას რომ მოგუნებებოდა ან ვიღაცის (დავალებით, ტუჩებში ეკოცნა მისთვის) — ასე რომ ,როდესაც ის ორი დღე გაგიდა და ისევ წავიდა ის ყმაწვილკაცი, ელენმა დაუყვირა იმ გოგოს: „რაო? არც ცოლობა გთხოვა, არც რამე უთქვამს, არც ბეჭედი მოგცა?" იმდენად [illegible]ულა ის გოგო, რომ ტყუილის თქმაც ვერ მოუხერხებია, პირველად [illegible] მაშინ, იმ ყმაწვილკაცს რომ სიტყვაც არ დაუძრავს, ცოლად გამომყევიო... აბა წარმოიდგინე, თუ რა უტრიალებდა იმ ყმაწვილკაცს გულში, როცა მდინარისკენ მიდიოდა, და მაშინაც როცა წინ და უკან დადიოდა გემბანზე და ძრავის დგანდგარს გრძნობდა ფეხქვეშ, იმასაც მიმხვდარიყო, რომ სულ უფრო და უფრო დღითაც და ღამითაც უახლოვდებოდა იმ წამს, უკვე იცოდა, თუ რა წამი იყო ეს, სწორედ ამას ელოდებოდა მას შემდეგ, რაც წამოიზარდა და ტვინი გაეხსნა. რასაკვირველია, ხანდახან ამის თქმა უხდებოდა მალიმალ და ხმამაღლა **თავიდათავი აი რა ყოფილა. ჯერ უნდა დარწმუნდეს** რათა ასე მოეცილებინა ძველი აზრი **მაგრამ რაღა ეს გზა აირჩია? რატომ იქ და არა თავისას? იმან ხომ იცის, რომ მე არასდროს მოვთხოვ მისი ქონებიდან რამეს, რაც მოუპოვებია ამდენი ტანჯვით, მოთმინებითა და დამცირებით (ასე მითხრეს იმათ მე, მან კი არა, იმათ) და რაც მხოლოდ მან იცის; ისიც კარგად იცის, რომ ეს აზრი არც მახ მოუვა თავში, როგორც მე, რომ სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი მისი საქციელისა; ის არა მარტო გულუხვია, უწყალოცაა, იმან ხომ თავისი და დედაჩემის მთელი სარჩო-საბადებელი მე და დედაჩემს დაგვიტოვა იმ პირველი ქორწინების უარყოფის საფასურად** და არა იმიტომ, რომ ის შეურაცხყვეს და კარგა ხანს გასტანჯეს გაურკვეველი მოლოდინით, თავადაც ის ხომ არაფერს ნიშნავდა, არც ის ნიშნავდა რამეს, რომ გააწვალეს, ჯვარს აცვეს. თავიდათავი ეს იყო, რომ ყოველ წუთს უნდა შეეხსენებინა თავის თავისთვის, შენ ასე არ იზამდიო, თუმცა მის ძარღვებში იგივე სისხლი სჩქეფდა იმის შემდეგ, რაც დედამისმა რაღაცით წაბილწა ეს სისხლი, რაღაცა გადმოსცა მემკვიდრეობით, რაღაცით მიმძლავრებულა... ასე სულ ახლოს და ახლოს, ვიდრე მისი გაურკვევლობა, დაბნეულობა, მოუთმენლობა და სხვა სუყველაფერი არ გადაიზარდა მორჩილებასა და მზადყოფნაში, დაბოლოს ამასღა ფიქრობდა **კარგი. კარგი-მეთქი. ასე იყოს. თუნდაც ასე იყოს და ასე ჰქნას. სიტყვას მივცემ, რომ არასდროს ვნახავ იმ გოგოს. აწ არასდროს ვნახავ-მეთქი.** მერე შინ ჩასულა. და ვერც ვერასდროს გაიგო, ნამყოფი იყო თუ არა აქ სატპენი. ვერასდროს გაიგო-მეთქი. კი ფიქრობდა ამას, მაგრამ ვერა და ვერ გაიგო ამის შესახებ — პირქუში, სულ ძარღვებაშლილი დახვედრია დედამისი, სწორედ ასეთი დატოვა სექტემბერში, ვერც გამოსტყუა ვერაფერი, ხოლო პირდაპირ კითხვა ვერ გაბედა, მაგრამ იმ ვექილის მეშვეობით, რაკიღა იმ კაცმა ისეთი კითხვები დაუსვა მას (როგორ მოგეწონათო უნივერსიტეტი და იქაური ხალხი, ალბათ ვინმეს ნახავდით — რატომაც არ ნახავდით? — ვინმეს დაუმეგობრდებოდით იმ მხარის ოჯახებიდან?), კიდევ ერთხელ დარწმუნდა: სატპენი იმხანად იქ არ ყოფილა, ანუ ვექილს არ სცოდნია, თუ იყო, რადგან ახლა, თითქოსდა მიზეზს რომ მიხვდა, თუ რატომ გააგზავნა იმ ადვოკატმა იმ უნივერსიტეტში, ახალს არაფერს ამცნობდა მას იმ კაცის შეკითხვები. (ან კი რა უნდა გაეგო ვექილთან საუბრის ხანს, მოკლე იყო ეს საუბარი და იმიტომ, მომავალ ზაფხულს კი ყველაზე მოკლე იქნება ეს საუბარი, როცა ჰენრი იმასთან ერთად ჩავა იქ.) რადგან ვექილმა ვერ გაბედა პირდაპირ შეკითხებოდა იმას, როგორც მან (ბონმა) ვერ გაბედა პირდაპირ შე-

კითხებოდა დედას. რადგან ვექილი ასე ფიქრობდა, ის უფრო სულელი უნდა იყოს, ვიდრე ზარმაცი და გონდახშული და ვერც კი გაივლებდა გულში ის (ვექილი), რომ ბონი ისეთი სულელი იქნებოდა, როგორიც გახდა კიდევაც ბოლოს, ხოდა, იმას აღარაფერი უთქვამს ვექილისათვის და არც ვექილს უთქვამს იმისთვის რამე, გავიდა ზაფხული, სექტემბერი დადგა და ვექილს (და დედამისსაც) არ უკითხავს მისთვის, თუ დაბრუნდებიო უნივერსიტეტში. ბოლოს იმას უთქვამს თავად, კი ვაპირებო იქ დაბრუნებას; და იქნებ მიხვდა, შეიძლება სულაც არც უნდა ეთქვა მისთვის, რადგან ვექილს ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე, შუამავლის მორჩილი თანხმობა უნდა ყოფილიყო ეს. ასე დაბრუნდა ის უნივერსიტეტში, სადაც ჰენრი ელოდებოდა (დიახ, ელოდებოდა) მას, და არც უკითხავს; შენ ჩემს წერილებზე არ გიპასუხნია, არც ჯუდითისთვის მოგიწერიაო რამე. ჰენრის ხომ უკვე ასე ჰქონდა ნათქვამი **შენი ვართ მე და ჩემი დაი და მთელი ჩვენი ავლადიდება** ან იქნებ ახლა კი მოსწერა ბარათი ჯუდითს და პირველივე ზანგს გაატანა სატპენის ასეულში, ასე აცნობა, ისეთი არაფერი მომხდარა ამ ზაფხულს. აღნიშვნის ღირსი რომ ყოფილიყო, და იქნებ ნათლად და გარკვევით დაუწერია კონვერტზე **ჩარლზ ბონი** და ასე ფიქრობდა **უთუოდ დახედავს ის კაცი. იქნებ უკან გამოაგზავნოს** ასე ფიქრობდა-მეთქი **იქნებ ეს ბარათი უკან დამიბრუნდეს კიდევაც და მაშინ მე ველარაფერი შემაჩერებს და ბოლოს იქნებ მივხვდე, თუ რა ვიღონო აწ** მაგრამ აღარაფერი დაბრუნებია უკან, აღარც ეს და აღარც სხვა. შემოდგომამ გაიარა და მოვიდა შობა, ისინი ისევ ჩავიდნენ სატპენის ასეულში, ამჯერადაც იქ არ დახვედრიათ სატპენი, მინდვრად იყო გასული ან ქალაქში გაემგზავრა, ან ნადირობდა, ან კიდევ სადღაც წავიდა, სატპენი იქ არ იყო, როდესაც ისინი ჩამოვიდნენ და ბონი მიხვდა, ვერც ნახავდა იმას იქ, და ასე უთხრა თავს **ახლა. ახლა. ახლა. ეს ახლა მოხდება. ამჯერად კი უნდა მოხდეს, მე ახალგაზრდა, ახალგაზრდა ვარ და რა ვქნა არ ვიცი.** ხოდა, იქნებ იმ საღამოს (რადგან იცოდა, რომ სატპენი შინ დაბრუნდა და უკვე აქ იყო; შეიძლება ეს ამბავი ქარის, რაღაც ცივისა თუ ბნელის კვეთებას ჰგავდა და იგი შეჩერდა, პირქუში, წყნარი, გაფაციცებული და ასე გაიფიქრა **რა? რა არის ეს?** მერე კი მიხვდა, იგრძნო, რომ ის, სხვა, სახლში შემოსულიყო და მაშინ კი მოითქვა სული, დაწყნარდა, დამშვიდდა, გულსაც მოეფონა). როდესაც ჯუდითთან ერთად ბაღში დასეირნობდა და თავაზიანად მოკრძალებულად, გულისგარეშე ესაუბრებოდა მას (და ჯუდითი ახლაც იმას ფიქრობდა, რაც შარშან ზაფხულს, პირველად რომ აკოცა იმ უმაწვილკაცმა: **აი თურმე რა ყოფილა სიყვარული;** გული გაუტყდა, თითქოს თავში რაღაც დაჰკრესო. მაგრამ ჯერ კიდევ არ დაემორჩილა ამ გრძნობას). იქნებ იმ საღამოსვე ელოდებოდა, და ასე ეუბნებოდა თავის თავს **იქნებ კი გამოაგზავნოს ვინმე და დამიძახოს. და ბოლოს მითხრას ეს** თუმცა კარგად იცოდა, ეს არ მოხდებოდა **ის ახლა ბიბლიოთეკაშია. ზანგს უთხრა, ჰენრი მოვიდესო, და ახლა ჰენრი ოთახში შედის;** ხოდა, იქნებ ის შეჩერდა იმ გოგოს პირდაპირ, შეიძლება ამ დროს ღიმილის მაგვაროი დაეტყო სახეზე, იდაყვზე ხელი მოკიდა, რბილად და ნაზად მიატრიალა სახლისკენ, ასე უთხრა: წადით, მინდა მარტოდ დავრჩე და სიყვარულზე ვიფიქრო", და ის გოგო წავიდა, ასეთივე გუნებაზე, როგორც იმ კოცნისას, იქნებ ის უმაწვილკაცი წამით ხელისგულით შეხებია ზურგზე; სახლს გაჰყურებდა, ვიდრე იქიდან ჰენრი არ გამოვიდა, შეხედეს ერთმანეთს სიტყვის უთქმელად, წავიდნენ, საჯინიბოში შევიდნენ, სადაც ზანგი მეჯინიბე იყო, შეიძლება თავადაც დაადგეს

ცხენებს უნაგირი და დაელოდნენ, ვიდრე ბანგმა მსახურმა სახლიდან ორი ხელახლა ავსებული საუნაგირე ჩანთა არ გამოუტანათ. და იქნებ რეა მაშინაც კი არ უთქვამს, სიტყვა თუ დაგებარათ მან ჩემთან?

შრივი დადუმდა. საქმე ის იყო, ორივემ, შრივმა და კვენტინმა იცოდნენ, რომ მან დაამთავრა, აკი ორივემ ისიც იცოდა, მას ჯერ არ [illegible] ლაპარაკი და არც ჰქონდა მნიშვნელობა იმას (შეიძლება არც ერთი [illegible] ჩახვედრილა ამ განსხვავებას), თუ რომელი ამბობდა სათქმელს. ხოდა, ახლა ორნი კი არა, ოთხნი მიაჭენებდნენ ცხენებს იმ ბნელსა და სუსხიან დეკემბრის ღამეს, შობის წინადღეს, ჯერ ოთხნი იყვნენ და მერე ორნი — ჩარლზ-შრივი და კვენტინ-ჰენრი, და ორივენი დარწმუნებული იყვნენ, თუ რას ფიქრობდა ჰენრი **იმ კაცმა** (ესე იგი მისმა მამამ) **დაგვლუპა ჩვენ ყველანი** ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში, **რომ ამ უმაწვილკაცმა** (ესე იგი ბონმა) **იცოდა ეს ამბავი ან ყოველ შემთხვევაში ეჭვად ჰქონდა მთელი ეს ხანი; აი თურმე რატომ იქცეოდა ასე, აი თურმე რატომ არ უპასუხა ჩემს წერილზე გასულ ზაფხულს და არც ჯუდითს მოსწერა რამე, აი თურმე რატომ არ თხოვა, ცოლად გამომყევიო;** დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ ამას გაიფიქრებდა ჰენრი, იმწუთას, როცა ჰენრი სახლიდან გამოვიდა და მან და ბონმა სიტყვის უთქმელად ერთმანეთს შეხედეს, მერე საჯინიბოში შევიდნენ და ცხენები შეკაზმეს, ჰენრის არ უნდოდა ამ ამბის გათავისება, ვერ დაეჯერებინა, თუმცა კი გრძნობდა, რომ მართალი იყო მამა. ბოლოს, როცა სრულიად მოიცვა სასოწარკვეთილებამ, იმ საიდუმლოსაც მიხვდა, რად შეხედა ასეთი თვალით ბონს პირველი შეხვედრისას თხუთმეტი თვის წინათ; კი იცოდა ეს. მაგრამ უარყოფდა, არ უნდოდა ამისი დაჯერება. ხოდა, ახლა, ამ ღამეს, მერე კი შობის ნათელ ყინვიან დღესაც ოთხნი მიაჭენებდნენ ორ ცხენს ჩრდილოეთ მისისიპის არემიდამოებში, განკიცხულებივით გვერდს უვლიდნენ პლანტატორთა სახლებს, რომელთა კარების დასაკაკუნებელ ჩაქუჩზე ბაძგის ტოტები მიებათ, ფითრის ფოთლებით შეემკოთ ჭაღები, პუნშითა და გროგით სავსე თასები დაედგათ შესასვლელში, მაგიდებზე, მონათა ქოხებში შეშის ცისფერი კვამლი ამოდიოდა შელესილი საკვამურებიდან. მდინარისაკენ მიდიოდნენ, იქ გემზე უნდა დამსხდარიყვნენ. გემზეც საშობაო ლხინი გაეჩაღებინათ, იქაც ჰქონდათ ფითრისა და ბაძგის ტოტები და პუნშიცა და გროგიც. საშობაო საღამოც და ვახშამიც იქნებოდა უსათუოდ, მაგრამ ისინი რაღას გაეკარებოდნენ, ორივენი იმ სიბნელესა და სიცივეში მოაჯირთან დამდგარიყვნენ სიტყვის უთქმელად, რაღა უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის, ორივენი (ოთხივენი) განსაცდელის, უფსკრულის პირას მისულიყვნენ ჰენრის მეშვეობით, ვინც იცოდა, მაგრამ არა სჯეროდა, ვისაც უნდოდა გამოწვლილვით განესაჯა და საკუთარი თავისთვის დაესაბუთებინა ის, რისი გაგებაც, შრივისა და კვენტინის აზრით, სიკვდილს უდრიდა. ხოდა, ჯერ კიდევ ის ოთხნი ნიუ-ორლეანს ჩასულან გემით, ჰენრი არასდროს ყოფილა იქ (უნივერსიტეტის გარდა იშვიათად თუ უმგზავრია სადმე, შეიძლება ორჯერ თუ სამჯერ მემფისს წაჰყოლია მამას საქონლისა და მონების საყიდლად, ამითლა შემოფარგლულა მისი კავშირი გარესამყაროსთან) და ახლა არც ჰქონდათ დრო მის დასათვალიერებლად, ჰენრის, რომელმაც იცოდა და არ სჯეროდა და ბონს, ვისაც ბ-ნი კომპსონი ფატალისტს ეძახდა და ვისაც, შრივისა და კვენტინის სიტყვით, წინააღმდეგობა არ გაუწევია ჰენრის ნება-სურვილისათვის იმ მიზეზით, რომ არ იცოდა და არც ადარდებდა ის ამბავი, ჰენრი როგორ მოიქცეოდა და არც ის, თუ რას იზამდა თავად —

ის ოთხნი ისხდნენ ნესტიან ბაროკოს სტილით გაწყობილ, დიდებულ დარბაზში, ასე წარმოიდგინა ეს შრივმა და მართლაც ასეთი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჰაიტიში დაბადებული ფრანგი შაქრის პლანტატორის ქალიშვილს, რომელიც სატპენის პირველ სიმამრს ესპანელ ქალად გაესაღებინა (ჩამომხმარი ფეთხუები ქალი, ჭალარა ზოლები შერეოდა შავ გაჩეჩილ, ცხენის კუდივით [illegible] პერგამენტის ფერის კანი ჰქონდა, დაბერილ უპეებიდან აბრიალებდა [illegible] ბელ, შავ-შავ თვალებს, მხოლოდ ამ თვალებს არ ეტყობოდათ ასაკი, რაკილა ორდავიწყების ცეცხლით წამონთებულიყვნენ, სწორედ ასეთი შეექმნათ ეს ქალი შრივსა და კვენტინს წარმოდგენაში და მართლაც ასეთი უნდა ყოფილიყო) მათთვის არაფერი უთქვამს, რაღა საჭირო იყო, რადგან მან ყოველივე ადრე თქვა; არ უკითხავს: „ჩემს ვაეს თქვენი დაი შეყვარებია?" არამედ: „მაშასადამე, იმ გოგოს შეყვარებია ჩემი შვილი", და მერე ბოროტად და დიდხანს უცინია ჰენრიზე, ვისაც არ შეეძლო მისი მოტყუება, რომც მოენდომებინა, ვინც ვერც ჰო-ს ეტყოდა და ვერც არა-ს. ოთხნი იყვნენ იქ, იმ ოთახში, ნიუ-ორლეანს, 1860 წელს, სწორედ ასე ოთხნივე იყვნენ აქ, ამ სამარისებრ ცივ ოთახში, მასაჩუსეტს, 1910 წელს. და ბონმა შეიძლება სულაც ჰენრი იმ თავის ოქტორონ ქალთან და ბავშვთან მიიყვანა, როგორც უთქვამს ბ-ნ კომპსონს, თუმცა არც შრივსა და არც კვენტინს არ უვარაუდებიათ, რომ ჰენრი კმაყოფილი დარჩებოდა ამ სტუმრობით, ბ-ნი კომპსონი ამასვე ფიქრობდა. მართლაცდა კვენტინს არც კი უთქვამს შრივისათვის, თუ რას ამბობდა მამამისი ამ სტუმრობის შესახებ. იქნებ თავად კვენტინსაც არ მოუსმენია, თუ რას ამბობდა მამა ამის შესახებ იმ სალამოს; იქნებ ცხელი სექტემბრის ბინდბუნდში აივანზე მყოფმა კვენტინმა ყური არ ათხოვა მამის ნათქვამს, სწორედ ასე იზამდა შრივიც, რადგან ორივენი, ის და შრივი — და როგორც ჩანს სამართლიანადაც — ასე ფიქრობდნენ, რომ ის ოქტორონი ქალი და ბავშვი ჰენრისთვის ბონის ცხოვრების ერთი მხარეთაგანი იყო და მეტი არაფერი, შესაშურებელი არადა, მისაბაძი კი, მაგრამ დრო აღარ იყო, ომი უნდა ჩამოვარდნილიყო არა იმ ადამიანებს შორის, ერთ რასასა და ხალხს რომ ეკუთვნიან, არამედ ორი ყმაწვილკაცის ამბოხებულ გულებს შორის, გარდუვალი იყო რაღაც, რამაც შუღლი ჩამოაგდო მათ შორის, ჰენრი და ბონი, ისევე როგორც კვენტინი და შრივი, პირველები არ იყვნენ ჭაბუკთა შორის, რომლებსაც სჯეროდათ (ან ამ ვარაუდით იქცეოდნენ), იმიტომლა ხდება ომი, რომ მოგვარდეს ყმაწვილკაცთა პირადი სადავო-სადავიდარაბო.

— ხოდა, იმ ბებრუხანამ ეს შეკითხვა დაუსვა ჰენრის და სიცილი აუვარდა იმის პასუხზე, და მაშინ ის მიხვდა, მაშინ ორივენი მიხვდნენ. ამიტომ ძალზე ხანმოკლე გამოდგა ამჯერად ვექილთან მისი შეხვედრა, სულ მცირე ხნითლა უნახავს იგი. ვექილი ხომ უთუოდ უთვალთვალებდა ბონს, და იქნებ იმ მეორე შემოდგომაზე რაღაც წერილი მოვიდა, როცა ვექილი ელოდებოდა, როგორც ჩანს, იქ ახალი არაფერი მომხდარა (და იქნებ იმ ვექილის გულისთვის არ უპასუხნია ბონს ჰენრისა და ჯუდითის წერილებზე იმ ზაფხულს, არც მიუღია რამე და იმიტომ). რაღაც წერილი მოვიდა-მეთქი, შეიძლება ორი თუ სამი გვერდი იყო ნაწერი და ბოლოში — „თქვენი მონა-მორჩილი" და ა. შ. ათი სიტყვა შეიძლება გამოგეწურა ამ წერილის დედააზრიდან **ვიცი, რომ სულელი ხარ, მაგრამ რა სისულელე გინდა კიდევ ჩაიდინო?** ბონი კი არც იმდენად იყო სულელი, რომ გამოწურვა შეძლებოდა... დიახ, უთვალთვალებდა-მეთქი, ჯერ შეუშფოთებლად მაგრამ კარგა მაგრად კი იყო ნაწყენი, საკმარისი დრო მისცა

ბონს, რათა იგი მასთან მისულიყო; იქნებ ერთი კვირაც კი გავიდა (იმის მერე, რაც მან — ვექილმა — მიიტყუა ჰენრი და ბევრი რამე ათქმევინა, ისე რომ ჰენრი ვერც მიუხვდა ეშმაკობას), ვიდრე ბონიც არ ჩაიგდო ხელში; და ყველაფერი ისე კარგად მოახერხა, რომ ბონი მაშინვე ვერ მიხვდა, თუ რა ელოდა მას. მათი შეხვედრა ხანმოკლე იყო. საიდუმლოდ [illegible] ეს ამბავი. უბრალოდ ამაზე არაფერი თქმულა; ვექილი [illegible] იჯდა იქნებ იმ საიდუმლო უჯრაში ის საერთო რვეული ჰქონდა და კიდევაც ჩაწერა იქ გასული წლის უკანასკნელი ანგარიში, როცა დაადგინა ნამდვილი ღირებულების ორასპროცენტიანი მატება და კიდევ სიამაყე და სიყვარული მიამატა; ვექილი შეწუხებული, ნაწყენი ჩანდა, მაგრამ შესაშფოთებელი რა უნდა ჰქონოდა — მან არა მარტო ის იცოდა, რომ შეეძლო ბონზე ზემოქმედება, იმასაც მიმხვდარიყო, არც ისეთი სულელიაო იგი, და მზად იყო შეეცვალა ის თავისი ძველი აზრი ბონის გონებადახშულობის ან მისი მეტისმეტი სიზანტის შესახებ მაინც... ვექილი უთვალთვალებდა და ეშმაკურად, დათაფლული ენით ელაპარაკებოდა. რადგან ახლა ყველაფერი ცხადი იყო და იცოდა, რომ ბონმა ყველაფერი იცის, რაც ოდესმე უნდა გაეგო და რის გაგებაც მას დასჭირდებოდა, ხოდა, შეეძლო კარგი სვლაც გაეკეთებინა: „იცით თუ არა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ დაბადებული, ჭაბუკო? ჩვენთაგან უმეტესობას, თუნდაც რომ ბედმა გაუღიმოს, შურისძიებისათვის შეიძლება ნამდვილი დოლარების გაღებაც დასჭირდეს ზოგჯერ. თქვენ არა მარტო შურს იძიებთ, არა: მარტო ჩირქს მოსწმენდთ დედათქვენის სახელს, იმ მალამოს, რომლითაც თქვენ მას ჭრილობას დაუამებთ, კიდევაც ექნება ის გარკვეული ღირებულება, რომელიც შეგიძლიათ იმ საგნებად აქციოთ, ყმაწვილკაცს რომ სჭირდება და ერგება კიდეც, და რომელიც, მოგვწონს თუ არა, შეიძლება მხოლოდ სრულფასოვანი დოლარებით მოვიპოვოთ...“ და ბონს ჯერ კიდევ არ უკითხავს **მაინც რა გნებავთ?** ჯერ კიდევ არ შეტოკებულა, უფრო სწორად, ვექილს ჯერ კიდევ არ შეუმჩნევია, რომ იგი შეტოკდა, ის (ვექილი) კი ეშმაკურად და დათაფლული ენით: „და კიდევ უფრო მეტიც, იმ შურისძიების გარდა, ფეშქაშად იმ შურისძიებას თაიგული მოჰყვება, ჰრერიების სურნელოვანი ყვავილი, არ ღირს იმისი დაკარგვა და თქვენს მკერდზე ისევე იყვავილებს, როგორც სხვისაზე, ეს... რაო, ყმაწვილკაცები რას ეძახით ამას? პო, გემრიელ ლუკმას...“ და მაშინღა შეხედა ბონს, იქნებ თვალები დაინახა მისი, იქნებ მისი ნაბიჯების ხმა გაიგონა. და შემდეგ დამბაჩა დააძრო („დერინჯერი*“, საუნაგირე დამბაჩა ან რევოლვერი, რაც ჰქონდა, ის), უკან მიაწყდა, კედელს მიეყრდნო გადაყირავებული სავარძლის უკან, დაილმუვლა: „იქით გადით, შეჩერდით-მეთქი“. მერე კი იყვირა: „მიშველეთ! მიშველეთ! მი...“ მერე კი ყვიროდა მხოლოდ და ესმოდა, გრძნობდა, თუ როგორ ამოუტრიალდა ძვლები, დამბაჩიდან თავისი თითების მოცილება რომ დააპირა, კისრის მალებმაც გაიღო ჭახაჭუხი. მერე ბონმა ლოყაზე სილა გააწნა, მეორეზე — ხელუკულმა გაჰკრა; იქნებ ბონის ნათქვამიც გაიგონა: „გაჩუმდით. წყნარად-მეთქი. აღარაფერს გერჩით“. ან იქნებ თავად მის სულში მჯდომმა ვექილმა ამოთქვა, გაჩუმდიო, ვისაც დაემორჩილა და მერე ბონმა სავარძელი გაუსწორა, ჩასვა, ლამის მაგიდაზე გადააწვინა; და სულში მჯდომმა ვექილმა გააფრთხილა. არაფერი თქვა **გაზლვევი-**

---

* მოკლელულიანი მსხვილი კალიბრის დამბაჩა. ჰენრი დერინჯერი — ამ იარაღის შემქმნელი.

ნებ ნალრძობი ხელის ზელა დაიწყო და ცხვირსახოცით შეიხვია, ბონი კი
იდგა და დაჰყურებდა მას, ჩამოშვებულ ხელში, ბარძაყის გასწვრივ ეჭირა დამ-
ბაჩა და ასე ეუბნებოდა: „თუ დაკმაყოფილება გნებავთ, რაღა თქმა უნდა,
ვექილი საკარძლის ზურგს გადაეყრდნო და ახლა კისერზე მოისვა ცხვირსახოცი:
„მე ვცდებოდი. ვერ გავიგე და გთხოვთ მაპატიოთ," რაზედაც ბონმა უპასუხა:
„მე მზადა ვარ მივილო ბოდიშიცა და ტყვიაც, როგორც გსურდეთ" [illegible]
კი (წითელი ლაქები დაეტყო სახეზე, მერე მალე გადაუვიდა ისინი, ალარც
ალარაფერი დასტყობია მის ხმასა და თვალებს): „ვხედავ, რომ ჩემი განმარტე-
ბა უადგილო გამოდგა და ამიტომ გინდათ სრულიად მაზღვევინოთ, დაცინვი-
თაც კი. თუნდაც რომ ჩემს სიმართლეს ვგრძნობდე (რაც არ იქნებოდა სწორი),
მაინც მომიხდებოდა თქვენი წინადადების უარყოფა, დამბაჩებით მე თქვენთან
რას გამოვალ", ბონმა კი: „დანას ან რაპირას ხომ არ ინებებდით?" ვექილმა
კი ეშმაკურად და დათაფლული ენით: „არც დანასა და არც რაპირას ვინებებ-
დი". ხოდა, ახლა ვექილს არ დასჭირვებია ამისი თქმა **გაზღვევინებ** რადგან ეს
ბონმა თქვა მის მაგივრად, ვისაც ჩამოშვებულ ხელში დამბაჩა ეკავა და ასე
ფიქრობდა **მხოლოდ დანით, დამბაჩით ან რაპირით, და მაინც ვერ შევძლებ
მის დამარცხებას. კი, შემიძლია ვესროლო. შემიძლია ვესროლო და არ შემაწუ-
ხოს სინდისის ქეჯნამ, გინდ გველისთვის მესროლოს, გინდ კაცისთვის, ვისაც
ჩემი ცოლი შეუცდენია. მაგრამ ის მაინც მაჯობებს** ასე ფიქრობდა **დიახ, ის
მაინც მაჯობებს** ასე ფიქრობდა-მეთქი ის... როცა... („ყური მიგდე,—თქვა, დაი-
ყვირა შრივმა, — ორი წლის შემდეგ კორინთოში ვილაცის სახლის საძილე
ოთახში მწოლიარეს და მხარში დაჭრილს, პიტსბერ-ლენდინგის ბრძოლის
შემდეგ მოუვა ბონს იმ ოქტორონი ქალის წერილი (იქნებ ქალისა
და ბალლის სურათითურთ), ფულს თხოვდა და ამცნობდა: ის ვექილი ბოლოს
ტეხასსა თუ მექსიკაში ან კიდევ სხვაგან გაიქცაო, და ვერც (ამ ოქტორონმა
ქალმა) დედამისი იპოვა, ალბათ იმ ვექილმა მოკლა და ფულიც წაიღო, შეიძ-
ლება სულაც ორივენი გაიქცნენ ან თავი მოაკვლევინეს ვინმეს და ასე ბედის
ანაბარად დააგდეს იგი)... დიახ, ახლა ყველაფერი იცოდნენ. და ღმერთო,
იფიქრე იმაზე, ბონზეც, ვისაც სურდა გაეგო და ჰქონდა კიდევაც ამისთვის
სრული საფუძველი, ვისაც, რამდენადაც მან იცოდა, არც არასდროს ჰყოლია
მამა და შექმნილი გახლდათ იმ ქალის მიერ, სხვა ბავშვებთან თამაშს რომ უშ-
ლიდა, და კიდევ იმ ვექილის მიერაც, ურომლისოდაც ეს ქალი ვერც ხორცს
იყიდდა და ვერც პურს, იმათ მიერ-მეთქი, რომლებსაც არც სიამოვნება უნა-
ხავთ და არც ვნება განუცდიათ მისი ჩასახვისას, არც ტკივილით გატანჯულან
მისი დაბადების ხანს; და რომელიმე იმათთაგანს რომ სიმართლე ეთქვა, რაც
მოხდა, ის ალარ მოხდებოდა; ჰენრის კი, ვისაც მამა ჰყავდა და არაფერი აკლდა,
ორივემ უთხრა სიმართლე, მისთვის კი (ბონისთვის) არავის არა უთქვამს რა.
ჰენრის ამბავი ხომ გახსოვს, ჯერ ასე თქვა, ტყუილიაო, და მაინც დაიჯერა, არ
მჯერაო, და ამ სიტყვებით — არ მჯერაო — იმდენი შეძლო, რომ დატოვა
სახლ-კარი და ახლობლები, ბოლომდე დარჩა ქედმოუდრეკელი და მაშინაც,
როცა დარწმუნდა, მართალი არ ვიყავით, მაინც ალარ დაბრუნდა სახლში;
ღმერთო, თუ გესმის, რა სატანჯველისათვის გადადო თავი ამ პირმშომ ორი მე-
თოდისტისა (ანუ მეთოდისტების შეუდრეკელი რიგისა), ვინც სადღაც ჩრდი-
ლოეთ მისისიპის გადაკარგულ მხარეს გაიზარდა და ცხადლივ იხილა სისხლის
ალრევის საშიშროება, სისხლის ალრევის-მეთქი, იხილა ყველაფერი ის,რაც
მოელოდა, ყველაფერი ის, რასაც წინალუდგებოდა მისი ჩამომავლობა და

მისი აღზრდა თუნდაც პრინციპის გულისთვის და ისეთ ხვანჯებში მოხვედრილს თავადაც კარგად ესმოდა, ვერც სისხლის აღრევა, ვერც მისი აღზრდა ველარაფერს უშველიდა მაინც. ხოდა, იმ საღამოს რომ წავიდნენ და ჯუჩინი მიაბიჯებდნენ, ბონმა ასე უთხრა ბოლოს: „კარგი, ახლა რა ვქნათ?“ ბოლო ჰენრიმ მიუგო: „დაიცადე. დაიცადე. მადროვე შევეჩვიო“. და იქნებ ერთი კვირა ან ორი დღის შემდეგ ჰენრიმ უთხრა: „არა, არ გაბედო, არა-მეთქი“. ბონმა ასე მიუგო: „დაიცადე, მე შენი უფროსი ძმა ვარ, შენ კი მეუბნები, **არ გაბედო?**“ და იქნებ ერთი კვირა იყო გასული ამის შემდეგ, როდესაც ბონმა იმ თავის ოქტორონ ქალთან მიიყვანა ჰენრი. შეხედა ამ ბიჭმა იმ ქალს და თქვა: „განა ეს შენთვის საკმარისი არ არის?“ ბონმა უთხრა: „შენ გინდა ეს ჩემთვის საკმარისი იყოს?“ და ჰენრიმ უთხრა: „დაიცადე. დაიცადე. მადროვე, ხომ უნდა შევეჩვიო-მეთქი, უნდა მადროვო“. ღმერთო, წარმოიდგინე, თუ რა უნდა ეთქვა ჰენრის იმ ზამთარს, მერე კი იმ გაზაფხულს, როდესაც ლინკოლნი აირჩიეს და როდესაც ალაბამის ყრილობის დადგენილებით სამხრეთის შვიდი შტატი კავშირიდან გამოვიდა. შეერთებულ შტატებს უკვე ორი პრეზიდენტი მართავდა; სწორედ მაშინ ახალი ამბავი მოიტანა ტელეგრაფმა ჩარლსტონიდან* და ლინკოლნმა საშველად თავის ჯარს მოუხმო, მოსახდენი უნდა მომხდარიყო და ჰენრიმ და ბონმა ორივემ გაიფიქრეს, უნდა წავიდეთო, ისე, რომ ერთმანეთისათვის არც უთქვამთ; სულაც რომ არ ენახათ ერთანეთი, მაინც წავიდოდნენ, მით უმეტეს ახლა, რადგან ვინ გაქცევია ომს; წარმოიდგინე, თუ რას ეტყოდნენ ერთმანეთს, თუ რა უნდა ეთქვა ბონისთვის ჰენრის: „ნუთუ შენ ის ცოლად უნდა მოიყვანო? ამას რად შვრები?“ ბონი კი ალბათ ასე უპასუხებდა „იმ კაცს ჩემთვის უნდა ეთქვა. იმ კაცს პირადად უნდა ეთქვა ჩემთვის. სამართლიანი და ღირსეული ვიყავი იმის მიმართ. ველოდებოდი. შენ ახლა იცი, თუ რად ველოდებოდი. ვადროვე, რომ პირადად ეთქვა ჩემთვის. მაგრამ არ უთქვამს. ერთი კი ეთქვა და თანახმა ვიქნებოდი, დავპირდებოდი და კიდევაც ავასრულებდი, აღარასოდეს განახავდით არც შენ, არც იმ გოგოს: მაგრამ იმას ჩემთვის არაფერი უთქვამს. ჯერ კი ვფიქრობდი, იმან არც არაფერი იცის-მეთქი. მერე მივხვდი, ყველაფერი იცოდა, და მაინც ელოდებოდა. მაგრამ იმას ჩემთვის არაფერი უთქვამს. მხოლოდ შენ გითხრა, მე კი მაგრძნობინა, ზანგ მსახურს რომ დაავალებენ, ისე, უთხარი იმ მათხოვარს თუ მაწანწალას, თავიდან მოგვწყდესო, ნუთუ შენ ვერ გრძნობ ამას?“ და ჰენრიმ თქვა: „მაგრამ ჯუდითი. ის ხომ დაი არის ჩვენი, არ ფიქრობ იმაზე?“ ბონმა კი: „კარგი-მე ვფიქრობ იმაზე, მერედა რა?“ რადგან ორივემ იცოდა, თუ რას იზამდა ჯუდითი, როდესაც ამ ამბავს გაიგებდა, რადგან ორივემ ისიც იცოდა, რომ ქალებს შეუძლიათ გამოიჩინონ სიამაყე და ღირსება ყველა შემთხვევაში გარდა სიყვარულისა, და ჰენრიმ თქვა: „კარგი. მე მესმის, მაგრამ შენ უნდა მადროვო. რათა შევეჩვიო ამას. შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ; ამის გაკეთება ხომ შეგიძლია ჩემი გულისთვის“. წარმოიდგინე ორივე იმათთაგანი: ბონი, რომელმაც არ იცის, თუ რას იზამს, და უნდა რაღაც თქვას, თავი ისე, მოაჩვენოს, თითქოს რაღაცას აპირებდეს: და ჰენრი, რომელმაც იცის, თუ რას იზამს და უნდა თქვას, არ ვიცი. მერე ისევ მოვიდა შობა და 1861 წელი და იმათ არაფერი სმენიათ ჯუდითისაგან, რადგან ჯუდითმა არ იცოდა, თუ სად იყვნენ ისინი, ჰენრიმ ჯერ კიდევ არ დაანება ბონს იმ გოგოსთვის წერილის გაგზავნა; შემ-

---

* სამოქალაქო ომის დაწყების უშუალო მიზეზი ამ ქალაქში მომხდარი ამბავი გახდა.

დეგ იმათ საუნივერსიტეტო რაზმის შექმნის ამბავი გაუგიათ — „უნივერსიტეტის ნაცრისფერნი“ ოქსფორდს ჩამოუყალიბებიათ და იქნებ ისინი სწორედ ამას ელოდნენ. ხოდა, ისევ დასხდნენ ჩრდილოეთით მიმავალ გემზე ,სადაც შიბადლეებზე უფრო მეტი მხიარულება და გართობა იყო. სწორედ ასე ხდება ხოლმე ომის დაწყების წინ, ვიდრე ხალხი არ იხილავს შიმშილობას, დაჭრილ ჯარისკაცებს, ქვრივოხრებსა და ობლებს. ისინი ახლაც არ გამხიარულებულან, იდგნენ მოაჯირთან და დაჰყურებდნენ აქაფებულ წყალს, და იქნებ ორი თუ სამი დღის შემდეგ ჰენრიმ უეცრად ამოთქვა, უეცრად დაიყვირა: „მაგრამ მეფეებიც ხომ აკეთებდნენ ამას! ჰერცოგებიც კი! ერთი ჰერცოგი ყოფილა ლოტარინგიაში, სახელად ჯონი, ვისაც თავისი დაი უთხოვია. პაპმა ეკლესიიდან განკვეთა იგი, მაგრამ ვერაფერი დააკლო! ვერაფერი დააკლო-მეთქი! ხოდა, ასეც დარჩნენ ისინი ცოლ-ქმრად, ერთმანეთის მოყვარულნი!“ მერე კი მიაყარა ხმამაღლა: „მაგრამ ჯერ უნდა დაიცადო! უნდა მადროვო! იქნებ ომმა ყველაფერი მოაგვაროს და არც აღარაფერი დაგვჭირდეს!“ -და იქნებ ის ბერიკაცი, შენი მამა ერთ რამეშიაც იყო მართალი — ისინი პირდაპირ ოქსფორდს წასულან და აღარ შეუვლიათ სატპერის ასეულში, საუნივერსიტეტო რაზმში ჩაწერილან და სადღაც ჩაჩუმქრულან რაღაცის მოლოდინში: ჰენრიმ მაშინ ნება მისცა ბონს ერთი წერილი გამოეგზავნა ჯუდითისათვის; ზანგის ხელით გამოუგზავნია, ის ღამით ერთ ქოხში მისულიყო და ჯუდითის მოახლისთვის გადაეცა, ჯუდითმა კი მედალიონი გამოუგზავნა თავისი სურათით, ისინი კი, აწ უკვე რაზმელები, წინ წავიდნენ და დაელოდნენ, ვიდრე რაზმში დროშები არ შეკერეს და მთელი შტატი მოვლეს, დაემშვიდობნენ გოგოებს და ბრძოლის ველს მიაშურეს.

— ღმერთო ჩემო, იმათი ამბავი წარმოიდგინე — ბონმა ხომ იცოდა, თუ რას აკეთებდა ჰენრი, სწორედ ასევე ყოველთვის იცოდა ჰენრის ფიქრები მათი შეხვედრის პირველი დღიდანვე. იქნებ იმიტომ იცოდა უკეთ ჰენრის ამბავი, რომ თავისი თავისა ვერა გაეგო, არ იცოდა, თუ რას იზამდა და ვერც გაიგებდა, ვიდრე უეცრად, ერთ დღეს ყველაფერი არ იფეთქებდა და მაშინ მიხვდებოდა, სულმუდამ ვიცოდი, რაც მოხდებოდაო. ხოდა, თავი რაღატომ უნდა შეეწუხებინა თავის თავზე ფიქრით და ისლა უნდა ექნა, თვალი აღარ მოეცილებინა ჰენრისათვის და გაეგო, როგორ შეეცდებოდა იგი (ჰენრი) თავისი გულისთქმის შეთანხმებას იმასთან, რასაც თავისივე ჩამომავლობა და აღზრდა ჩასძახოდა **არა. არა. არ შეგიძლია. არ იზამ. ვერ იზამ.** იქნებ უკვე ომის ცეცხლში იყვნენ, მათ თავზე დაჰქროდა, გრიალებდა და სკდებოდა ჭურვები, ისინი კი იწვნენ და ელოდებოდნენ. შეტევა როდის დაიწყებოდა, ისევ იძახდა ჰენრი: „ლოტარინგიის ჰერცოგმა ხომ ჰქნა ასე. ბევრი იქნება ალბათ ამქვეყნად ისეთი, ვისაც უქნია ეს და ხალხმა ვერაფერი გაიგო, იქნებ იმათ ტანჯვით ამოხდათ კიდევაც სული და ჯოჯოხეთშიაც ჩავარდნენ ამის გულისთვის. ხოდა, ასე უქნიათ და ამას რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა; იმათიც კი, ჩვენ რომ ვიცოდით, მხოლოდ სახელები დარჩა ახლა და ამას არც აქვს რამე მნიშვნელობა ახლა“; და ბონი შესცქეროდა მას, ყურს უგდებდა და ფიქრობდა **ეს იმიტომაა ასე, რომ თავად არ ვიცი, რა ვქნა, ის კი გრძნობს ქვეშეცნეულად ჩემს გაჭირვებას, მაგრამ ვერ გაუთავისებია. შეიძლება ახლა რომ ვუთხრა იმას, კი ვიზამ-მეთქი ამას, ალბათ გაითავისებდა თავის ფიქრებს და მეტყოდა, შენ არ იზამო ამას.** იქნებ შენი ბერიკაცი მართალი იყო, იქნებ ისინი ასე ფიქრობდნენ, შეიძლება ომმა ყველაფერი მოაგვაროსო, და მათ გასაკეთებელი აღარაფერი დარ-

ჩეო ან იქნებ მხოლოდ ჰენრიმ მეოდენებდა; და იქნებ შენი ბერიკაცი ამაშიცაა მართალი, რომ ბონს აღარაფრის დარდი აღარ ჰქონდა, რადგან იმ ორმა ადამიანმა, მისთვის მამის დაბრუნება რომ შეეძლოთ, ამაზე უარი თქვეს და იმისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო, გინდ შურისძიება, გინდ სიყვარული და სუყველაფერი, რადგან უკვე იცოდა, შურისძიება დანაკლისს ვერ შეუვსებდა, ხოლო სიყვარული ვერ დაამშვიდებდა. იქნებ ჰენრის [illegible] ერისთვის, ჯუდითს წერილს ნუ გაუგზავნიო, თავად ბონმა არ მისწერა ამ გოგოს, რადგან უკვე აღარავის დარდი არ ჰქონდა და არც იმაზე ფიქრი უნდოდა, თუ აწი რას იზამდა. გავიდა ერთი წელი და ბონი უკვე ოფიცერი იყო, მათი ნაწილი შაილოს მიმართულებით მიდიოდა და არც ახლა იცოდნენ რამე, ისევ ლაპარაკობდნენ ისინი: ჯარისკაცები ჯოლონებად მიდიოდნენ, ოფიცერი ჩამორჩა, მოუახლოვდა რიგითებს, სადაც ჰენრი იყო, და ჰენრიმ ისევ დაუყვირა, თუმცა კი ცდილობდა დაეოკებინა სასოწარკვეთილებისა და ტანჯვა-ვაების ეს ძახილი: „არც ახლა იცი, თუ რა უნდა ჰქნა?“ და ბონმა გახედა მას, თითქოსდა გაოიმებია ამ დროს: „ვთქვათ და გითხრა, მე არ ვაპირებ იმ გოგოსთან დაბრუნებას-მეთქი?“ და იმის უკან მიმავალ, ზურგჩანთითა და რვა ფუნტიანი თოფით აღჭურვილ ჰენრის სუნთქვა შეეკრა, ბონი კი გასცქეროდა მას: „მე შენ წინ ვიქნები და თან შორს; ხელჩართული ბრძოლა გვექნება და შეტევაც, მე შენ წინ ვიქნები-მეთქი...“ და სულშეხუთულმა ჰენრიმ მოაძახა: „გაჩერდი, გაჩერდი-მეთქი!“ ბონი კი გასცქეროდა მას, იმ ულონო ლიმილის მაგვარი დაეტყო ისევ თვალებსა და ბაგე-პირზე: „...ან ვინ გაიგებს ამას? ზუსტად შენც კი ვერ გაიგებ ამას, ვის შეუძლია თქვას, რომ იანკების ტყვია არ მომხვედრია სწორედ იმ წამს, ჩახმახს რომ გამოჰკარი ან ორიოდე წამით ადრე...“ და ზეცას შეხედა სულშეხუთულმა ჰენრიმ, ტანზე ეკალი აესხა, ცივმა ოფლმა დაასხა სახეზე და ისე ჩაეჭიდა თავისი თოფის კონდახს, რომ გაუთეთრდა ხელის თითები, ისევ მოაძახა სულშეხუთულმა: „გაჩერდი! გაჩერდი! გაჩერდი! გაჩერდი-მეთქი!“ მერე იყო შაილო, მეორე დღეს უკვე წააგეს ბრძოლა, იმათმა ნაწილმა პიტსბერგ-ლენდინგიდან დაიხია... — ყური მიგდე, — დაიყვირა შრივმა, — ჯერ დაიცადე, დაიცადე-მეთქი! (კვენტინს უმზერდა და თავადაც შეეხუთა სული, თითქოსდა უნდოდა არა მარტო სიტყვა ეთქვა იმ თავისი აჩრდილისათვის, სუნთქვის საშუალებაც მიეცა მისთვის): — შენი ბერიკაცი აქ კი შემცდარა! იმან თქვა, ბონი დაუჭერიათო, მაგრამ ასე არ მომხდარა. ვინ ეტყოდა მას ამ ამბავს? ვინ უთხრა სატპენს ან შენს ბაბუას, თუ იმათთაგან რომელი დაიჭრა? სატპენმა ეს არ იცოდა, იქ არ ყოფილა და იმიტომ, არც შენი ბაბუა ყოფილა იქ, რადგან ისიც დაუჭრიათ თურმე და ხელიც დაუკარგავს. მაშ ვინღა ეტყოდა იმას? ჰენრი ვერა, რადგან ამის შემდეგ მამამისმა ჰენრი მხოლოდ ერთხელ ნახა და იქნებ დროც აღარ ჰქონდა რამე ეთქვა ჭრილობებზე, რადგან კონფედერატების არმიაში 1865 წელს ჭრილობები ისეთი ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც მენახშირეთათვის ჭვარტლი; და არც ბონს, რადგან სატპენს მეტად აღარ უნახავს იგი, მკვდარი იყო უკვე და იმიტომ: ხოდა, ბონი კი არა, ჰენრი იყო დაჭრილი; ბონმა იპოვა ბოლოს ჰენრი, დაიხარა, ხელში აიყვანა, მაგრამ ჰენრიმ არ დაანება, გაიბრძოლა და ასე თქვა: „იქით გადი! უნდა მოვკვდე და აღარ მეცოდინება აღარაფერი“, ბონმა მიუგო: „მაშ შენ გინდა იმ გოგოს დავუბრუნდე?“ ჰენრი კი იწვა, არ ნებდებოდა ასაყვანად, სული ეხუთებოდა, ცივი ოფლით დალტობოდა სახე, სულ დაეჭამა ტუჩები და ბონმა უთხრა: „თქვი, რომ შენ გინდა იმ გოგოსთან ჩემი დაბრუნება. იქნებ მაშინ აღარ

დავბრუნდე. თქვი-მეთქი", ჰენრიმ კი არ ნებდებოდა ასაყვანად, მის ტანსაცმელში სისხლს გამოეყონა უკვე, სიმწრით კბილებს აკრაჭუნებდა და ცივი ოფლი დასხმოდა სახეზე, დაბოლოს ბონმა ხელები გაუკავა და ზურგზე წამოიკიდა...

— ჯერ ისინი ორნი იყვნენ, მერე ოთხნი, ახლა კი ისევ ორნი გახდნენ. სამარესავით ცივი იყო მართლაც ოთახი, უსიამოვნო, უძრავ, [illegible] ველ ჰაერს გაემსჭვალა აჭაურობა და სადღა იყო ძალის მომცემი, მაცოცხლებელი სიცივე. და მაინც იქ ისხდნენ ისინი, თუმცა ოცდაათი ფუტის იქით ეგულებოდათ ლოგინი და სითბო. კვენტინს პალტოც კი არ ჩაუცვამს, შრივის საკარძლის სახელურზე გადაედო იგი, იქიდან ჩამოვარდნილიყო და ახლა ისევ ისე ეგდო იატაკზე. სიცივეს არ გაქცეოდნენ. ორივე ითმენდა მას, თითქოსდა ასე გადაეწყვიტათ, თვითგვემით ამაღლებულიყვნენ და ფიზიკურად გაწამებულნი უფრო კარგად ჩახვედრილიყვნენ ორმოცდაათი, უფრო სწორად, ორმოცდარვა, მერე კი ორმოცდაშვიდი და მერე ორმოცდაექვსი წლის წინანდელ სულიერ სიმძიმილს იმ ორი ყმაწვილკაცისას, რადგან დამდგარიყო 1864, შემდეგ 1865 წელი და მშიერ-მწყურვალი, ტანსაცმელშემოგლეჯილი ჯარისკაცები უკან იხევდნენ, გამოეცლოთ ალაბამა და ჯორჯია, კაროლინაში ჩასულიყვნენ და ძლევამოსილი არმიის შემოტევის გამო კი არ განაგრძეს გზა, უფრო ეს იყო, ორივე მხარეს ბრძოლის ველთა სახელები აზევებულიყო და გულშემზარავ გრგვინვად მოისმოდა — ჩიკამოგა და ფრანკლინი, ვიკსბერგი, კორინთო და ატლანტა, და მხოლოდ იმიტომ კი არ დამარცხდნენ, რომ მოწინააღმდეგე უფრო მრავალრიცხოვანი იყო, თავად კი აკლდათ ალჭურვილობა და სურსათი, არამედ ჰყავდათ ისეთი გენერლები, რომლებიც გენერლები არც უნდა ყოფილიყვნენ ,რომელსაც გენერლობა იმიტომ კი არ მიეღოთ, რომ კარგად იყვნენ დაუფლებულნი თანამედროვე ომის მეთოდებს, არამედ შეუზღუდავმა წოდებრივმა სისტემამ ღვთაებრივი უფლებით შემოსა ისინი, „მანდ დადექითო"; თანაც ამ გენერლებს არ უცხოვრიათ იმდენ ხანს, რომ შეესწავლათ რიცხვმრავალი შენაერთების გაძღოლა ბრძოლის ველზე, ძველისძველი ხერხებით იბრძოდნენ ვითარცა რიჩარდი, როლანდი ან დუ გეკლენი*. პლუმაჟებსა და წითელსარჩულიან ლაბადებს ატარებდნენ ოცდარვა, ოცდაათ და ოცდათორმეტწლისანი, სამხედრო გემებს იპყრობდნენ კავალერიის შეტევით, მაგრამ იქვე ტოვებდნენ ხორბალს, ხორცსა და ტყვია-წამალს, შეეძლოთ ნაცარტუტად ექციათ სამი არმია სამი დღის მანძილზე, მერე ნაცარტუტადვე აქცევდნენ საკუთარ ღობეებს, რათა თავისიანებისავე შესაბოლი საამქროებიდან წამოეღოთ ხორცი და შეჭამანდი გაეკეთებინათ, შეეძლოთ ერთი ღამით, მამაცთა მცირერიცხოვანი ჯგუფით თავს დასხმოდნენ და გადაეწვათ მტრის მილიონი დოლარის სურსათის საწყობი, მეორე ღამეს კი მეზობელი შეუსწრებდა ხოლმე მათ თავის ცოლთან და იქვე გაათავებდა — ორნი, ოთხნი და ახლა ისევ ორნი, როგორც ფიქრობდნენ კვენტინი და შრივი, და ეს ორნი-ოთხნი-ორნი კვლავაც განაგრძნობდნენ საუბარს, ამასთან იმ ერთმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რას იზამდა. მეორემ კი — ჰენრიმ — იცოდა, რასაც იზამდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაეთავისებინა ეს აზრი — სისხლის აღრევის საკითხებში ჰენრის გათვითცნობიერებული ეგონა თავი და სულ ლაპარაკობდა იმ თავისი ლოტარინგიელი ჰერცოგის

* ბერტრან დუ გეკლენი (1320-1380) — საფრანგეთის კონეტაბლი, გამოჩენილი მხედართმთავარი.

ჯონის შესახებ, თითქოსდა იმედოვნებდა ამ შეჩვენებული და ეკლესიიდან განდევნილი აჩრდილის აღდგომას. პირადად რომ ემცნო მისთვის, ყველაფერი კარგად არისო, სწორედ ასევე ადრე და მერეც ლამობდა ხალხი ღვთისა თუ ეშმაკის დასტურით თავის გამართლებას, როცა თავისივე [illegible] ეტყუნებდათ: ის ორნი-ოთხნი-ორნი ერთმანეთს უმზერდნენ ამ სამარისებრ ცივ ოთახში: შრივი, კანადელი, ქარბუქიან-ყინულოვანი ქვეყნის შვილ[illegible] რომ ეცვა, ზემოდან საბანაო ხალათი მოესხა და საყელოებში ჩაემალა ყურები; კვენტინი, სამხრეთელი, პირქუში ყმაწვილი, ნაზი აღნაგობის პირმშო წვიმიანი და ცხელი, სულის შემხუთავი მზარისა; მისისიპიდან ჩამოტანილი თხელი სამოსი ეცვა, მისი პალტო კი (ისეთივე თხელი და გამოუსადეგარი, როგორც ეს სამოსი) იატაკზე ეგდო და არც შეუწუხებია თავი მის ასაღებად:

(...64 წლის ზამთარია, არმია უკან იხევს, ჯორჯიაში მიმავალნი ჯერ ალაბამას გაივლიან; უკან კაროლინა დარჩათ და ბონი, ოფიცერი, ასე ფიქრობს — „ჩვენ ან წამოგვეწევიან და გაგვანადგურებენ ან ბებერი ჯო* დაგვიხსნის, რიჩმონდის ახლოს გენერალ ლის შევუერთდებით და მაშინ, რაც უნდა იყოს, დანებების უფლება გვექნება“; და ერთ დღეს უცებ თავში გაუელვა, გაახსენდა ჯეფერსონის პოლკი, მამამისი რომ მეთაურობდა, ლონგსტრიტის კორპუსში შედიოდა და იქნებ ამწუთას ეს მოაფიქრდა, ამ ჩვენი დახევისას შეიძლება მამას შეხვდეს და იმას კიდევ ექნესო გადაწყვეტილების საშუალება. დაბოლოს თითქოსდა ახლა მიხვდა, თუ რად ვერ გადაეწყვიტა ვერაფერი ამდენ ხანს. იქნებ წამით ასე გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო, მე კიდევ ახალგაზრდა ვარ, ამ ოთხი წლის შემდეგაც მაინც ახალგაზრდა ვარ“, მაგრამ ეს მხოლოდ წამითლა იყო და იქნებ მაშინვე, სულის მოთქმისთანავე ასე თქვა: „კარგი, მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ მჯერა, ის მაინც მჯერა, რომ ამ ომმა, ტანჯვა-ვაებამ, ამ ოთხმა წელიწადმა, როდესაც იგი ცდილობდა თავის ჯარისკაცებს გაფრთხილებოდა, რათა მათ საკუთარი სისხლის ფასად მოეპოვებინათ მისთვის რაც შეიძლება მეტი მიწა, იმდენად შეცვალა (თუმცა კი ვიცი, ასე არ უნდა იყოს), რომ ის არ იტყვის მომიტევეო, არამედ შენ ჩემი უფროსი ვაჟი ხარ. შენი დაი მაინც შეიბრალე. ნუღარ მოხვალო ჩვენთან“. შემდეგ 65 წელი დადგა, დასავლეთის არმიის ნარჩენებს ისლა შეეძლოთ, რომ უკან დაეხიათ ნელა და საბოლოოდ მტრის თოფებისა და ზარბაზნების ცეცხლში; იქნებ ველარც კი ამჩნევდნენ, რომ ფეხშიშველები, შეუმოსავნი და მშიერ-მწყურვალნი იყვნენ, ხოდა, ამიტომაც შეძლო მან დაწერა ნადავლი საღუმელე ლაქის შესახებ ისე, როგორც ჯუდითისთვის მოუწერია, როდესაც ბოლოს მიხვდა, თუ რასაც იზამდა და კიდევაც უთხრა ჰენრის, ჰენრიმ კი ასე მიუგო. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთსო, განა იმიტომ, სისხლის აღრევა მოსწონდა, მთავარი ის იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ეცოდინებოდა, რა უნდა ექნა, თუმცა ეს საქნელი საბოლოოდ და უთუოდ უარყოფინებდა თავის მემკვიდრეობას, აღზრდასა და ზნე-ჩვეულებებს და ასე სამუდამოდ დაწყევლილი შეიქნებოდა. იქნებ აღარც ახსენებდა უკვე იმ თავის ლოტარინგიელ ჰერცოგს, რადგან ახლა შეეძლო ეთქვა: „ის არ იქნება არც შენი, არც მისი, არცა პაპის ჯოჯოხეთი, სადაც ჩავცვივდებით ჩვენ სუყველანი; დედაჩემისა და იმ გოგოს დედისა და მამის, იმათი დედებისა და მამების ჯოჯოხეთი იქნება ესა და იქ არა მარტო შენ შთავარდები, არამედ ჩვენ სამივენი, არა, ოთხივენი. ასე მაინც ვიქნებით ერთად, სადაც ჯერ არს, და თუნდაც

* ჯოზეფ ჯონსტონი (1807-1891) — კონფედერატების არმიის გენერალი.

ის ერთი შთავარდნილიყო იქ, ჩვენც უნდა მივყოლოდით მას, რადგან ილუზიებიღა ვართ სამივენი მისი ძვლების, ხორცისა და მეხსიერების. და ჩვენ სუყველანი ერთად ტანჯვათა, საგვემელთა ალაგს გავიცვლით და აღარ დაგვჭირდება გახსენება სიყვარულისა და სიძვის, და იქნებ ამ ტანჯვათა, საგვემელთა ალაგს გამოვლილი კაცი ველარც გაიხსენებს, თუ რადაა იქ. და თუ ჩვენ ველარ შევძლებთ ველარაფრის გახსენებას, აღარც ისე გავიტანჯებით". შემდეგ ისინი კაროლინაში იყვნენ, იმ 6ნ წლის იანვარი და თებერვალი დამდგარიყო; ისინი, რომლებიც ცოცხალი დარჩნენ, მთელი წელიწადი უკან იხევდნენ და მანძილი იმათ და რიჩმონდს შუა იმ მანძილზე ნაკლები იყო, რაც უკვე გამოევლოთ, ხოლო მანძილი იმათ და დასასრულს შუა კიდევ უფრო მოკლე ჩანდა. მაგრამ ბონისათვის ეს არ იყო მათსა და დამარცხების შუა მდებარე სივრცე, არამედ — სივრცე იმის და სხვა პოლკს შორის, გარკვეული მანძილი იმ საათამდე და იმ წუთამდე; მას არც მოუხდება ჩემთვის რამეს თხოვნა; უბრალოდ ხელს მოკიდებ და ვეტყვი, ნუ სწუხხარ, ის გოგო ველარასდროს ვერ მნახავს-მეთქი. შემდეგ მარტის თვე იყო, კაროლინაში იყვნენ და ნელინელ, ჯიუტად უკან იხევდნენ, ესმოდათ ჩრდილოეთიდან მოსული გრიალის ხმა, რადგან სხვა ყველა მხარეს სიწყნარე გამეფებულიყო, რადგან სხვა ყველა მხარეს სუყველაფერი მოთავსებულიყო უკვე და ყველანი ჩრდილოეთიდან მოელოდნენ დამარცხების ცნობას. ხოდა, ერთ დღეს (ოფიცერი იყო და ეცოდინებოდა, გაიგებდა, რომ ლის თავისი ჯარის ნაწილები გამოეგზავნა მათთვის დასახმარებლად; შეიძლება მან ამ ნაწილების მოსვლამდე გაიგო იმ პოლკების დასახელება და ნომრები) სატპენი დაუნახავს. იქნებ პირველად სატპენს მართლაც ვერ შეუნიშნავს იგი, იქნებ პირველად მას ასე შეეძლო ეთქვა თავისთვის: „ეი თურმე რა მოხდა, მან ვერ დამინახა", ასე რომ იფიქრა, განგებ შევხვდებიო სატპენს გზაზე, რათა მისთვის დრო და საშუალება მიეცა და ეთქვა. მერე კი მეორედ დაუნახავს მისი უგრძნობელი, გაქვავებული სახე, უფერული გამსჭვალული თვალები, რომელშიაც ერთი ნაპერწკალიც არ გაელვებულა, სულ არაფერი; საკუთარი სახის ნაკვთები შეიცნო იმისაში, მიხვდა კიდევაც, რომ მან იცნო და ყველაფერი მორჩა, გათავდა. ყველაფერი მორჩა, გათავდა, აღარაფერი იყო ამის იქით; იქნებ ახლა სულიც კი მოითქვა საბოლოოდ, სახეზე რალაცამ გადაუარა, რისთვისაც შეიძლებოდა ღიმილი დაგვერქმია, და ასე გაიფიქრა: „კი შემეძლო მეიძულებინა, შემეძლო მივსულიყავი და მეიძულებინა"; თუმცა იცოდა, არ იზამდა ამას, რადგან უკვე ყველაფერი გათავებულიყო, ყველაფერი გათავებულიყო აწ და სამუდამოდ. და იქნებ იმ ღამით ან ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ისინი შეჩერებულან (ზოგჯერ ხომ შერმანიც ჩერდებოდა ხოლმე ღამით), ცეცხლი დაუნთიათ, რაც უნდა იყოს, სითბო ძვირი არ უჯდებოდათ, და ბონმა თქვა, ჰენრიო, და მიუყოლებია: „ბევრი დრო აღარ უნდა ამას და აღარც დაგვრჩება რამე, გასაკეთებელიც აღარ დაგვრჩება, ნელინელ უკან დახევის საშუალებაც აღარ გვექნება, თუნდაც ღირსებისა და იმ ჩვენი შელახული სიამაყის გამო. ღმერთიც არ გვეყოლება, როგორც ჩანს, ეს ოთხი წელიწადი უიმისოდაც გაგვიძლია, ოღონდ მას ჩვენთვის არ შეუტყობინებია ეს ამბავი; არა მარტო ფეხსამოსი და ტანსაცმელი აღარ გვექნება და აღარც დაგვჭირდება მგონია. მიწასაც არავინ დაგვიბრუნებს და არავინ გვაჭმევს, თუმცა აღარც ჭამა-სმა დაგვჭირდება, რადგან უამისობასაც შევეჩვიეთ; ხოდა, თუკი ულმერთოდ დავრჩით, თუკი აღარ გვინდა ჭამა-სმა, ტანსაცმელი და თავშესაფარი, არც არაფერი გვაქვს ღირსე-

ბისა და სიამაყის საფუძვლად ახამაღლებლად და საზრდოდ. და თუ ღირსება და სიამაყე დაგვიკარგავს, უმნიშვნელოა სხვა ყველაფერი. ოღონდ ჩვენს სულში ჩაბუდებულია რაღაც, რასაც არც სჭირდება ღირსება და სიამაყე, რაც მთელი წელიწადია ფუკან იხევს, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს. და ყოველივე რომ გათავდება და დამარცხებაც კი არ დარჩება, მაინც უარყოფს მზეზე ჯდომას სიკვდილის ცდაში, ტყეს მიაშურებს, იბორიალებს, ბოძებზე ფეხვებსა თუ სხვა რამეებს. სურვილი და გამბედაობა კი არ ამოძრავებს საამისოდ, ძველისძველი, აზრმოკლებული, მარად მლვიძარე მგრძნობიარე ხორცია აქ თავიდათავი, რომელსაც ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან სასოწარკვეთილება და გამარჯვება, ჰენრი". და მაშინ ჰენრი ამას ეტყვის, მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთსო. სუნთქვაშეკრული ეტყვის. მადლობა ღმერთსო, ასე ამცნობს; „ნულარ ამიხსნი. საქმეს შეუდექი და მორჩა". ბონი კი: „შენ ნებას მაძლევ? შენ იმ გოგოს ძმა, მე ამის უფლებას მაძლევ?" ჰენრი კი: „ძმა? ძმაო? უფროსი შენა ხარ და რად მეკითხები?" ბონი კი: „არა. არც არასდროს ვუღიარებივარ მე იმას, მხოლოდ გამაფრთხილა. შენ ხარ ძმა და ვაუიშვილი. შენ მე ამის ნებას მაძლევ, ჰენრი?" ჰენრი კი: „მისწერე. მისწერე". ხოდა, ბონმა დაწერა ის წერილი ოთხი წლის შემდეგ ,ჰენრიმ კი წაიკითხა და გააგზავნა. მაგრამ იმათ ყველაფერი არ მიუტოვებიათ და არ მიჰყოლიან ამ წერილს. ისინი სულ უკან იხევდნენ, ნელინელ და ჯიუტად, ჩრდილოეთიდან ყველაფრის მოთავების ცნობას მოელოდნენ, რადგან დამარცხების ჟამს უდიდესი ძალა და ნებისყოფა უნდა ჰქონდეს ადამიანს, მისიანები რომ მიატოვოს; ხოდა, ისინი უკან იხევდნენ მთელი წლის მანძილზე და ის, რაც მათ შერჩათ, ნებისყოფა კი არ იყო, არამედ გაძლების უნარი, ჩაწნული იმათ სულსა და გულში. და ერთხელ, ღამით კვლავ შეჩერდნენ, რადგან შერმანიც ჩეშერებულიყო კვლავ. და შიკრიკმა მთელი ბანაკი დაიარა, ბოლოს იპოვა ჰენრი და უთხრა სატპენი, პოლკოვნიკი გიხმობსო თავის კარავში.

— ხოდა, შენ იმ მოხუც ქალთან, დეიდა როუზასთან ერთად იმ ღამით იქ წასულხარ და ბებერმა ზანგმა კლიტემ შენი და მისი შეჩერება მოინდომა; ხელი მკლავში წაგავლო და გითხრა: „ამ ქალს მაღლა ნუ აუშვებთ, ახალგაზრდა ბატონო", მაგრამ ვერც შენ შეგიჩერებია იგი, ორმოცდახუთი წლის სიძულვილს ძლიერი გაეხადა ის ქალი, მსგავსად იმისა, ორმოცდახუთი წელიწადი მხოლოდ უმი ხორცით რომ საზრდოობდეს ადამიანი, კლიტის კი ორმოცდახუთი თუ ორმოცდაათი წლის სასოწარკვეთილებისა და მოლოდინის გრძნობა ეტარებინა გულში და რას გახდებოდა; შენ კი იქ წასვლა არ გინდოდა სულაც. შენც ვერ შესძელი იმ ქალის შეჩერება და უცებ მიხვდი, რომ კლიტი კი არ გაბრაზებულა, არც მერყეობა დაუფლებია, თავზარი დაეცა, შეშინდა, და ეს ამბავი არც გაუმხელია შენთვის სიტყვებით, რადგან საიდუმლოს შენახვას ცდილობდა იმ კაცის გულისთვის, ვინც მისი მამაც იყო და იმ ოჯახის გულისთვისაც, არსებობა რომ შეწყვიტა და ის მაინც დარაჯობდა მის აქამდე შთენილსა და შეუმუსრავ მავზოლეუმს — ამის თაობაზე შენთვის იმაზე მეტი არ უთქვამს, რამდენიც იმ ამბავზე, როდესაც ბონი მოასვენეს და ჯუდითმა მიცვალებულს ჯიბიდან ამოუღო მედალიონი, მანვე რომ მიუძღვნა თავისი სურათითურთ, არ გაუმხელია-მეთქი, მაგრამ თავზარდაცემული და შეშინებული კი იყო; შენ ხელი გაგიშვა და დეიდა როუზას წაეტანა მკლავზე, მაშინ ეს ქალი მოუტრიალდა მას, ხელი ჰკრა და კიბეზე ასვლა დაიწყო, ხელმეორედ მიეჭრა კლიტი და ამჯერად დეიდა როუზა კიბის მეორე საფეხურზე შედგა და ვაქაციით ისეთი

მუშტი უთავაზა, რომ ძირს დასცა, მერე მიუბრუნდა და კიბეზე ავიდა; და ის ოთხმოც წელს გადაცილებული კლიტი კი იქვე დარჩა დაგორებული, ხუთი ფუტის სიმაღლისაც არ იქნებოდა. სუფთა ჩვრების პატარა ფუთა გეგონებოდათ, ხოდა, შენ მიხვედი მასთან, მკლავზე ხელი წაავლე და წამოაყენე. ... ხინკული მკლავები ჰქონდა, მსუბუქი, გამხმარი; და მან შემოგხედა, განრისხებული კი არ ჩანდა, შეშინებული იყო, მაგრამ ზანგისნაირად არ შეშინებულა, რადგან თავი კი არ ადარდებდა, იმას შეეჭირვებინა, რაც მაღლა ეგულებოდა და რასაც უკვე ოთხი წელიწადი მალავდა; და ეს ამბავი სიტყვებით არ გაუმხელია, რადგან შეშინებულიც ცდილობდა ამ საიდუმლოს შენახვას; და მაინც გითხრა ან, ასე იყო თუ ისე, შენ უცებ მიხვდი...

შრივი კვლავ შეჩერდა. თუმცა სულერთი იყო, რადგან მას მსმენელი არ ჰყავდა. იქნებ თავადაც მიხვდა ამას. შემდეგ უცებ მთხრობელიც დაეკარგა, თუმცა შესაძლოა ეს ამბავი ვერც გაიგო. რადგან იმათთაგან აღარავინ იყო იქ. ორივენი კაროლინაში იყვნენ და ორმოცდაექვსი წლის წინანდელი დრო იყო, ოთხნიც კი აღარ იყვნენ, რაკიღა ახლა იმათთაგან ორივე გამხდარიყო ჰენრი სატპენი და ასევე ორივენი — ბონი, თვითეულში ეს ორი შეირწყა, მაგრამ იმათთაგან არც ერთი იყო პირველი და არც მეორე; ის კვამლიც შეუგრძვნიათ, ორმოცდაექვსი წლის წინათ რომ განრთხმულიყო ბანაკის თავზე და ნელინელ მიჰქონდა ქარს **ბანაკი ნაძვნარშია და ცეცხლიც იქვე დაუნთიათ, კოცონებს გაძვალტყავებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი ხალხი მისხდომია თუ მისწოლია. ომზე არ ლაპარაკობენ, უცნაური კია და (ან იქნებ სულაც არაა უცნაური), პირით სამხრეთისაკენ დამსხდარან, სადაც სიბნელეში, კარგა მოცილებით გუშაგები დგანან, ის გუშაგები, რომლებიც სამხრეთისაკენ იმზირებიან, სინათლე ჭიატებს შორს, ციმციმებენ ფედერალური ჯარის ბანაკში დანთებული კოცონები, მირიადი სუსტი ნათელი მოფენია იქაურობას და ჰორიზონტს თითქმის ნახევარწრედ შემოვლებია, ათი იმათი კონფედერატების ერთ კოცონზე მოდის და მათ შორის (აჯანყებულთა გუშაგებს და იანკების კოცონებს შორის) იანკების საგუშაგოებია, ისინიც მოსჩერებიან სიბნელეს და ერთმანეთთან ისე ახლოსაა საგუშაგოთა ეს ორი ხაზი, რომ ყოველ მხარეს შეუძლია ოფიცრების გადაძახილი გაიგონოს ჩამოვლის ხანს; მინელდება თუ არა იმათი ხმა, ვიღაც უჩინარი ფრთხილად, ხმადაბლა გამოსძახებს:**

— ჰეი, ჯანყისთავებო!

— რა გინდა?

— საით გაგიწევიათ?

— რიჩმონდს.

— ჩვენც იქ მივდივართ. ხომ დაგვიცდით?

— გიცდით.

ცეცხლის გარშემო მჯდომარეთ არ ესმით ეს საუბარი, მაგრამ მალე შიკრიკის ხმა გაიგონეს გარკვევით, კოცონები დაუვლია, სატპენს დაეძებს, უჩვენებენ, აი იქითაო, დაბოლოს უახლოვდება იმ კოცონს, მორი ხრჩოლავს აქ, ის გაუთავებლად იმეორებს: „სატპენი? სატპენის ნახვა მინდა მე", ვიდრე ჰენრი არ წამოდგება, აქ ვარო. ისიც ტანსაცმელშემოგლეჯილი და წვერგაუპარსავია; ამ უკანასკნელი ოთხი წლის გამო და იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ ზრდა არ ჰქონდა დასრულებული, როდესაც ეს ოთხი წელიწადი დაიწყო, ახლა ორი დუიმით იმაზე დაბალი იყო, რაც უნდა ყოფილიყო და ოცდაათი ფუტითაც იმაზე მსუბუქი, როგორიც ალბათ იქნება, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს

ოთხი წელიწადი გაივლის, რაღა თქმა უნდა, თუ ცოცხალი დარჩა, მაშინ.

— აქა ვარ, რა მოხდა?

— პოლკოვნიკი გიხმობს.

შიკრიკი აღარ ბრუნდება მასთან ერთად და ჰენრიც მარტოდ მიდის ამ სიბნელეში გადათხრილ გზაზე, დღისით აქ ზარბაზნები გამოუტარებიათ და ახლა იგი გადათხრილი, გადახაზულია ბორბლების ნაკვალევით. ბოლოს კარავს მიაღწევს, მცირეოდენთაგან ერთ-ერთს, ტილოდან ძლივს გამოუტანებია სანთლის შუქს, შესასვლელში ლანდი ჩანს, ვინ მოდისო, ეკითხება.

— სატპენი, — თქვა ჰენრიმ, — პოლკოვნიკმა მიხმო.

შედიო კარავში, ანიშნებს გუშაგი. შესასვლელში იხრება, ტილო ეშვება მის უკან და ვიღაც, მარტოდმარტო რომაა კარავში სანთლიან მაგიდასთან მჯდომარე, წამოდგება სალაშქრო სკამიდან და მისი ჩრდილი წამოიმართება, აღიმართება და კარავის კედელს მიეფინება .ის (ჰენრი) მიდის მასთან და მხედრულ სალამს აძლევს, ნაცრისფერ სახელოს ხედავს პოლკოვნიკის ნიშნებით, წვერმოშვებულ ლოყას, გამობერილ ცხვირს, შუბლზე ჩამოშვებულ ჭაღარაშერეულ თმას — სახეს, ჰენრი რომ ვერ სცნობს, იმიტომ კი არა, რომ ოთხი წელიწადია არ უნახავს და არც მოელოდა მის ნახვას აქ, უფრო ამიტომ, არ უმზერს მას. მხედრულ სალამს აძლევს ნიშნებიან სახელოს და გამართული დგას, ვიდრე ის არ წამორთქვამს:

— ჰენრი.

მაგრამ ჰენრი არ შეტოკდება, ისევ ისე დგას, ორივენი დგანან და ერთმანეთს შესცქერიან. პირველად ის, ჭარმაგი კაცი წამოვა და ისინი კარვის შუაგულში ეხვევიან, ჰკოცნიან ერთმანეთს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჰენრი მიხვდება, რომ თავადაც გადმოუდგამს ნაბიჯი და მისულა სისხლის კარნახით, რადგან ერთი სისხლისა და ხორცისანი არიან ისინი და წამის უმალესად წარიხოცა მათ შორის უთანხმოებანი, თუმცა პატიებას კი ვერ (იქნებ ვერც ვერასდროს) შეხძლებენ, შეჩერდებიან ისევ, მამა ხელებში მიაქცევს მის სახეს და შესცქერის.

— ჰენრი, — ამბობს სატპენი, — ჩემო შვილო.

მერე მაგიდას შემოუსხდებიან აქეთ-იქიდან, აქ კიდევაა სკამები ოფიცრებისათვის, მაგიდაზე (გაშლილი რუკაცაა აქ) სანთელი დგას.

— შაილოს ბრძოლაში დაჭრილხარ, პოლკოვნიკმა უილოუმ მითხრა, — ამბობს სატპენი.

— დიახ, ბატონო, — მიუგებს ჰენრი.

უნდა უთხრას, ჩარლზმა გამომიყვანაო ბრძოლის ველიდან, მაგრამ აღარ ამბობს, უკვე იცის, რა მოხდება ახლა, არც კი ფიქრობს: ჯუდითი არ მოსწერდა მას იმ წერილის შესახებ ან: შეიძლება კლიტიმ აცნობა როგორღაც, ჩარლზმა წერილი გამოუგზავნაო იმ გოგოს. არც იმას ფიქრობს და არც ამას. იმისთვის ლოგიკური და ბუნებრივი ჩანს, რომ მამამ იცის მისი და ბონის გადაწყვეტილება: სისხლმა თავისი ჰქნა და ერთსა და იმავე წამს, ოთხი წლის შემდეგ, სულაც ყოველგვარი დროის გარეშე ბონმა მიწერა, მან თანხმობა მისცა, ხოლო მამამ კი გაიგო ეს ამბავი. ხოდა, ახლა თითქმის ისე ხდება, როგორც მოელოდა.

— მე ჩარლზ ბონი ვნახე, ჰენრი.

ჰენრი არაფერს პასუხობს. ახლა კი დაიწყება. არაფერს პასუხობს, მამას შესცქერის მხოლოდ, ორივეს ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლივით გახუნებული ფორმა აცვია, ერთი სანთელია აქ. უხეში ტილო კედლად აღმართულა იმათ და

სიბნელეს შუა, სადაც გუშაგნი ფხიზლობენ ერთმანეთის პირისპირ მდგომნი, ქანცგაწყვეტილ ჯარისკაცებს სძინავთ ცისქვეშ, გათენებას ელიან, როდესაც კვლავ სროლა და მომჭანცველი უკანდახევა დაიწყება; წამიც და დაინთქრება კარავში სანთლის შუქი, ნაცრისფერი ტანსაცმლები და სხვა ყოველივე. ხოდა, ოთხი წლის წინათ, სატპენის ასეულში ბაძგით მორთულ ბიბლიოთეკაში არიან ისინი კვლავ და ეს მაგიდა სალაშქრო მაგიდა კი არ არის, რუკის გადასფენად-ღა რომ ვარგა, არამედ ვეებერთელა ჩუქურთმებიანი წითელი ხის მაგიდაა, იმათ სახლში ჯგუფური სურათით — დედა, დაი და ჰენრი სხედან; მაგიდის უკან მამაა, მის უკან სარკმელში ბაღი ჩანს, ჯუდითი და ბონი მისეირნობენ ნელინელ და მათი გულისცემა მათივე ნაბიჯების თანაბარია და ერთის თვალები მეორის თვალებს ჩასჩერებია.

— შენ იმას ჯუდითის თხოვას არ დაანებებ, ჰენრი.

ჰენრი ისევ არაფერს პასუხობს. ყველაფერი ეს ადრევაც ითქვა, მაგრამ ოთხი წლის ტანჯვა-ვაებას ამაოდ არ ჩაუვლია, რაღაცას მიხვდა, რაღა მოიპოვა, გამარჯვება იყო ეს თუ დამარცხება, სულ ერთია, ხოდა, ახლა დამშვიდდა, თუმცა შეიძლება ამ სიმშვიდის საფუძველი ენით უთქმელი სასოწარკვეთილება იყო.

— იმან ის არ უნდა ითხოვოს, ჰენრი.

ახლა კი პასუხობს ჰენრი:

— ეს ადრევეც თქვი. მეც გიპასუხე მაშინ. ახლა კი, ახლა დიდი ხნის ლოდინი აღარ დასჭირდება ამას და ჩვენ აღარაფერი დაგვრჩება: აღარც ღირსება, აღარც სიამაყე და აღარც ღმერთი, რადგან ოთხი წლის წინათვე მიგვატოვა ღმერთმა და არც კი შეუტყობინებია ეს ამბავი ჩვენთვის; ფეხსამოსი და ტანსაცმელი ჩვენ აღარ გვექნება და აღარც დაგვჭირდება მგონია, და თუკი უღმერთოდ, ღირსებააყრილი და სიამაყედაკარგული დავრჩენილვართ, რაღას უნდა ჰქონდეს რამე მნიშვნელობა, გარდა იმ ძველისძველი, აზრმოკლებული ხორცისა, რომლისთვისაც სულერთია, გინდ დამარცხება იყოს და გინდ გამარჯვება და რომელიც არ მოკვდება, დაივლის ტყეებს და მინდვრებს, მოსძებნის ფესვებსა და ბალახებს, დიახ- მე გადავწყვიტე. გინდ ძმა იყოს და გინდ არა, მე უკვე გადავწყვიტე. მე თანახმა ვარ, თანახმა ვარ.

— იმას არ შეუძლია მისი თხოვა, ჰენრი.

— შეუძლია. პირველადვე ასე ვთქვი, დიახ, შეუძლია-მეთქი, მაგრამ იმხანად არ ვიცოდი, თუ რას ვიზამდი. ამიტომ არ დავანებე, მაგრამ ახლა, ამ ოთხწელიწადგამოვლილმა ვიცი, რასაც ვიზამ. მე თანახმა ვარ.

— იმას არ შეუძლია მისი თხოვა, ჰენრი. მისი დედის მამამ მითხრა, ესპანელი ქალიაო დედამისი. მე დავუჯერე; და მხოლოდ იმ ბიჭის დაბადების შემდეგ გავიგე, დედამისი ზანგი ყოფილა ნახევრად.

ჰენრის არც არასდროს უთქვამს, არ მახსოვს, თუ როგორ გამოვედით კარვიდან. მას ყველაფერი ახსოვდა, ისიც კი ახსოვდა, როგორ დაიხარა ისევ გამოსვლის ხანს და გუშაგს ჩაუარა; ახსოვდა, როგორ ჩავიდა ქვემოთ, გადათხრილი და გადახაზული გზა გამოიარა ბორძიკით სიბნელეში, გზის ორივე მხარეს ნაღვერდალი დარჩენილიყო კოცონთა ცეცხლისაგან, ასე რომ ძლივსღა არჩევდა იმათ გარშემო მძინარე ჯარისკაცებს, თერთმეტ საათზე მეტი უნდა იყოსო, ფიქრობდა იგი. კიდევ რვა მილის გავლა მოუხდებათ ხვალ. ნეტავი სათრევი არ ჰქონდეთ ეს წყეული ზარბაზნები. ბებერი ჯო რად არ მისცემს ამ ზარბაზნებს შერმანს. მაშინ დღეში თორმეტი მილს გავივლიდით და ლის

შევუერთდებოდით. რაც უნდა იყოს, ლი ხანდახან ჩერდება და ებრძვის მტერს. მას ეს ყველაფერი ახსოვდა. თავის კოცონთან ალარ დაბრუნდა, ერთი უკაცური ადგილი ნახა და ნაძვის ხეს მიეყრდნო, მშვიდად და წყნარად, თავი გადასწია და ბანგურა, გაბარდნილ, რკინიდან ნაჩუქურთმევ მსგავს ტოტებს ახედა, უძრავად რომ აკვროდნენ ადრე გაზაფხულის ცივად მოციმციმე ვარსკვლავებს, ასე ფიქრობდა, მამას ალბათ გაახსენდება და მადლობას [illegible] ოლკოვნიკს, იმან ხომ თავისი კარავი დაგვითმო ცოტა ხნით, იმაზე [illegible] ბდა, თუ რას იზამდა, ის აწუხებდა, თუ როგორ იზამდა, რადგან იცოდა, რასაც იზამდა; და ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გააკეთებინებდა ამას ბონი, რაკიღა ისიც იცოდა, ნამდვილად იზამდა. ხოდა, უნდა იმასთან მივიდეო, გაიფიქრა მან, უკვე სამი საათი დაიწყო და მალე გათენდებაო.

მერე კი გათენდა, უფრო სწორად, ალარაფერი უკლდა გათენებას, ციოდა, ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ სუსხი, რაკიღა დაკერებული თხელი ტანსაცმელი ეცვათ; დაღლილ-დაქანცულებს, მშივრებს რაღა გაათბობდათ, კიდევაც შეგუებოდნენ ამ ამბავს, ნებისყოფა ალარც სჭირდებოდათ ამის დასათმენად; ნათელი მოეფინა საიდანღაც ამ არემიდამოს და მან შეძლო მძინარე ბონის დანახვა, სხვებთან ერთად იწვა, საბანში გახვეულს ზემოდან ლაბადაც დაეხურა; იმდენად გათენებულიყო, რომ ბონი გაღვიძა და ბონმა იცნო იგი (ან იქნებ რაღაც გადაეცა ჰენრის ხელის შეხებისას), რადგან ბონს არც უკითხავს, ვინა ხარო, ჩუმად დგება, ლაბადას ისხამს და მბუუტავ კოცონთან მიდის, ნალვერდალს ფეხით მოსჩხრეკს, ცეცხლის ალი გამოჩნდება და ჰენრი ეუბნება მას:

— დაიცადე.

ბონი ჩერდება და ჰენრის უმზერს; ახლა კი ხედავს მის სახეს. ეუბნება:

— შეგცივდება. ახლაც გცივა, არ გიძინია .ხომ? გამომართვი.

ლაბადას ჩამოიღებს მხრიდან და გაუწვდის.

არ მინდაო, მიუგებს ჰენრი.

— კი გინდა, აიღე. მე საბანს მოვიტან.

ბონი ლაბადაში ახვევს ჰენრის, მიდის და დახეული საბანი მოაქვს, მხრებზე მოისხამს, გვერდზე გადიან და იქ დასხდებიან მორზე. გათენდა. ნაცრისფრად შეიფერა აღმოსავლეთი; მალე შეყვითლდება და მერე წითლად მოიღებს ბრდღვიალს შეტევაზე გადმოსულთა ცეცხლისაგან. ისევ დაიწყება მომქანცველი უკანდახევა, რათა განადგურებას თავი დააღწიონ, ხსნა მოიპოვონ დამარცხებით. მაგრამ ეს ახლა არ მოხდება. ცოტა დრო კიდევ დარჩენიათ. გვერდიგვერდ სხედან მორზე, დილის ზუქი დანათით, ეროს ლაბადა მოუსხამს, მეორეს — საბანი; და იმათი ხმები არც კი არღვევს განთიადის მდუმარებას:

— მაშ შენთვის მთავარი რასათა აღრევაა და არა სისხლის. ამას კი ველარ მოითმენ.

ჰენრი არ პასუხობს.

— და მას ჩემთან არაფერი დაუბარებია? არც უთქვამს შენთვის, ჩემთან მოვიდესო? სიტყვა, სიტყვაც არ დაუძრავს ამაზე? მხოლოდ ეს იყო, რაც შეეძლო გაეკეთებინა ახლა, დღეს, ოთხი წლის წინათაც და მაშინაც, როცა კი მოისურვებდა ამ ოთხი წლის მანძილზე. მხოლოდ ეს იყო-მეთქი. თხოვნა მას არ დასჭირდებოდა, არც დაძალება. თავად მე შევთავაზებდი. ვეტყოდი, ალარასდროს ვნახავ იმ გოგოს-მეთქი, მანამ ვეტყოდი, სანამ მთხოვდა. ის ახე არ უნდა

მომჭცეოდა, ჰენრი. ჩემს შესაჩერებლად იმას არ უნდა დასჭირვებოდა შენთვის თქმა, ზანგი არისო ის. უამისოდაც შემაჩერებდა, ჰენრი.

— არა! — დაიყვირა ჰენრიმ, — არა! არა! მე მაინც... მაინც-მეთქი...

წამოვარდა ზეზე, კანკალებს, ბონი მის კბილებს ჩედავს რბილ წვერებში, ჩავარდნილი ლოყები რომ დაუფარავს მისი, თვალის თეთრონი უელვარებს, თითქოს სადაცაა წამოხტებიდა კიდევაც საბუდედან, ხრიალ-ხრიალითა და სულთქმა ფილტვებიდან... მალე მშვიდი უხდება სუნთქვა, ხრიალი აღარ ისმის, ჩასცქერის მორზე მჯდომარე ბონს, ჩუმად ამოთქვამს, დაოკებულ სუნთქვაზე მცირეოდნავ უფრო მაღალია მისი ხმა:

— შენ ამბობ, იმას ჩემი შეჩერება შეეძლოო. რისი თქმა გინდა ამით?

ახლა კი ბონი აღარ პასუხობს ,მორზე მჯდომარე ასცქერის მის ზემოთ გარინდულ სახეს. ჰენრი ეუბნება, მცირეოდნავღა სჭარბობს მის სულთქმას მისი ხმა:

— ხოდა, ახლა შენ იმის თქმა გინდა...

— დიახ. შეტი რა შემიძლია? კი ჰქონდა იმას ჩემგან არჩევანის საშუალება. ამ ოთხი წლის მანძილზე კი ჰქონდა იმას არჩევანის საშუალება.

— იმ გოგოზე თუ ფიქრობ. ჩემზე კი არა, იმ გოგოზე-მეთქი.

— ვფიქრობდი. მთელი ეს ოთხი წელიწადი. შენზე და იმაზე. ახლა კი ჩემზე ვფიქრობ.

— არა, — ამბობს ჰენრი, — არა, არა-მეთქი.

— ვერ შევძლებ, გგონია?

— შენ ამას არ იზამ.

— ვინ შემაჩერებს, ჰენრი?

— არა, — ამბობს ჰენრი, — არა, არა, არა-მეთქი.

ახლა კი ბონი უმზერს ჰენრის; კვლავ ხედავს მისი თვალების თეთრონს, თითქოსდა სახემღიმარია. საბნის ქვეშ შეიმალება მისი ხელი და ისევ გამოჩნდება, დამბაჩა ლულით უკავია, ჰენრის გაუწვდის.

— მაშ ახლა ჰქენი, — ასე ეუბნება.

ჰენრი დამბაჩას დახედავს, არა მარტო სუნთქვა ეკვრის ახლა, კანკალებს კიდევაც, და როცა დაილაპარაკებს, სულთქმა კი არ აღმოხდება მხოლოდ, სლუკუნსა და ქვითინს ამოაყოლებს თითქოს:

— შენ ჩემი ძმა ხარ.

— არა, არა ვარ. მე მხოლოდ შავკანიანი კაცი ვარ, ვისაც შენს დასთან დაძინება მოსურვებია. თუკი შენ არ შემაჩერებ, ჰენრი.

ჰენრი უეცრად დამბაჩას გამოსტაცებს ბონს და ჩერდება ასე. დამბაჩა-მომარჯვებული, ლამის დაიხრჩოს ისევ; კვლავ ხედავს ბონი მისი გადატრიალებული თვალების თეთრონს, თავად კი მორზე ზის და უმზერს, ისევ ღიმილის მაგვარი დაეტყობა მის თვალებსა და ბაგე-პირს.

— ახლა ჰქენი-მეთქი. ჰენრი, — ასე ეუბნება.

ჰენრი მყისვე შემოტრიალდება, მიწაზე მოისვრის დამბაჩას და შეჩერდება კვლავ, ორივე ხელით მხრებზე წაეტანება სუნთქვაშეკრული.

— შენ ამას არ იზამ! — უყვირის. — შენ ამას არ იზამ-მეთქი! თუ გესმის?!

ბონი არც ცდილობს განთავისუფლებას, ზის უძრავად, ისევ იმ გამომეტყველებით; ხმა ახლა უფრო ჩუმი აქვს, ვიდრე ის პირველი ფრთხიალი ქარისა, ნაძვის ტოტებს რომ შეარხევს მცირეოდნავ.

— **შენ ჩემი შეჩერება მოგიხდება, ჰენრი.** — და იგი არც დამალვია, — თქვა შრივმა, — კი შეეძლო, მაგრამ არ უცდია, ღმერთო ჩემო, იქნებ მივიდა ჰენრისთან და ! ასე უთხრა, მე იქ მივდივარო, ჰენრი, და იქნებ ერთადაც წასულან ცხენებით, გვერდიგვერდ, გაუსხლტნენ იანკების ხელუფლებას, გამოიარეს მთელი ეს გზა მისისიპისკენ და ბოლოს ჭიშკარს მიაღწიეს; გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ვიდრე უკვე იქ მისულთაგან ერთმა წინ არ გასულიყო, იქნებ უკან ჩამორჩა. მხოლოდ იქ ჰკრა დეზი ჰენრიმ ცხენს, წინ გაიჭრა, მერე ცხენი შემოატრიალა, ბონის პირისპირ დადგა და დამბაჩა დააძრო; ჯუდითს და კლიტის სროლის ხმა გაუგონიათ, იქნებ უოშ ჯონსიც დაეხეტებოდა სადღაც იქ, სახლის უკან და მან უშველა კლიტის და ჯუდითს, შემოიტანეს და ლოგინზე დაასვენეს იგი, შემდეგ უოში ქალაქს ჩავიდა და დეიდა როუზას უხმო. ხოდა, დეიდა როუზა რომ მოვარდა იმ დღეს, ჯუდითი უნახავს, დაკეტილი კარის წინ უცრემლოდ მდგომი მედალიონით ხელში, თავად რომ უჩუქებია იმ ყმაწვილკაცისათვის სურათითურთ, მაგრამ იქ მისი სურათი აღარ იყო, არამედ იმ ოქტოროონი ქალისა და ბავშვის. და შენს ბერიკაცს არ სცოდნია, თუ რად ამოუღია იმ შავ ნაბიჭვარს იმ გოგოს სურათი და რად ჩადო სურათი იმ ოქტოროონი ქალისა, ხოდა, თავად მოუგონია ამისი მიზეზი: მე კი ვიცი, და შენც იცი, ნუთუ არ იცი? ნუთუ არ იცი? — კვენტინს დააცქერდა. მაგიდაზე მისკენ თავდახრილი, ვეებერთელა, ტანაბურძგნულ დათვს ჰგავდა ნაირფერ ტანსაცმელჩაცმული. — ნუთუ არ იცი? რადგან იმ ყმაწვილკაცს ასე უთქვამს თავისთვის: „თუ ჰენრი არ აღასრულებს თავის მუქარას, ყველაფერი კარგად იქნება, მე ამოვიღებ იმ სურათს და გადავაგდებ, მაგრამ თუ აღასრულებს იმ მუქარას, ეს ერთი საშუალებაღა იქნება, რაც იმ გოგოს ამცნობს — „**არ ვყოფილვარ მე კარგი კაცი და ნურც გული დაგწყდება**". ხომ მართალი ვარ? ხომ-მეთქი? ღვთის გულისათვის, მითხარი, ხომ მართალი ვარ-მეთქი?

— დიახ, —მიუგო კვენტინმა.

— წავიდეთ, — თქვა შრივმა, — გავიდეთ ამ საყინულედან და დავწვეთ.

9

პირველად, ლოგინში მწოლს, ამ სიბნელეში უფრო შესცივდა, თითქოს იმ ერთადერთ ნათურას მცირეოდენი სითბო მაინც ჰქონდა და ახლა, შრივმა რომ გამორთო, რკინასავით ცივი და განუჭვრეტელი ბნელეკუნეთი გასჯდომოდა რკინისებრსავე და ყინულივით ცივ ჭვეშაგებს და სრულიად მოუცავს თხელპერანგიანი საძილედ გამზადებული სხეული. შემდეგ თითქოსდა ფშვინვა გაიღო ამ სიბნელემ და უკუმიიქცა; შრივმა სარკმელი გამოაღო და თოვლის არამიწიერი ციმციმით მოიხაზა იგი, და სიბნელის მომძლავრების კვალობაზე შეთბა და იმატა კიდევაც ძარღვებში სისხლის მჩქეფარებამ. — მისისიპის უნივერსიტეტი, გაისმა შრივის ხმა სიბნელეში კვენტინისაგან ხელმარჯვნივ, — ამ მივარდნილი არემიდამოს ღირსება და სიამაყე, — ყოველწლიურად ანთხევდა დიპლომიანებს და ორმოცი მილი (ხომ ორმოცი მილი იყო მართლაც?) გაიარა ამ ჩვენმა ბაიარდმა.

— დიახ, — მიუგო კვენტინმა. — იმისი დაარსების დღიდან მეათე იყო ის გამოშვება.

— არც კი ვიცოდი, ერთდროულად ათი კაცი თუ მოისურვებდა სწავლას მისისიპის შტატში, — თქვა შრივმა. კვენტინმა არ უპასუხა. სარკმელს მისჩე-

რებოდა, გრძნობდა თბილსა და მჩქეფარე სისხლს ძარღვებსა და ხელ-ფეხში. ადრე, იმ ცივ ოთახში რომ იმყოფებოდა, კანკალი მოეკიდა მაშინ, ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამთბარიყო, მთელი სხეულით აცახცახდა ისე ძლიერად, ვიდრე ლოგინის ჭრაჭუნიც არ მოესმა, ვიდრე შრივმაც არ [illegible] მისი ყოფა და გადმობრუნდა, წამოიწია (ამ ხმაურზე), იდაყვს [illegible] და კვენტინს გამოხედა, თუმცა კი თავად კვენტინი მშვენივრად გრძნობდა თავს, იწვა და ელოდებოდა მშვიდი გაოცებით ცახცახის შემდგომ მეყსეულ შემოტევას.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე გცივა? — უთხრა შრივმა, — თუ გინდა პალტოებს გადაგაფარებ კიდევ?

— არა, — მიუგო კვენტინმა, — არა მცივა. კარგად ვარ. მშვენივრადაც ვგრძნობ თავს.

— აბა რა გჭირს?

— რა ვიცი. თავი ვერ მომითოკავს. მშვენივრად კი ვგრძნობ თავს.

— კარგი. ოღონდ მითხარი, პალტოები თუ დაგჭირდა. ღმერთო ჩემო, ცხრა თვე ასეთ ჰავაში ვერ ვიცხოვრებდი, სამხრეთიდან რომ ვიყო. იქნებ სამხრეთიდან ამ ქალაქში არც ჩამოვსულიყავი, აქ დარჩენა რომც შემძლებოდა. დაიცა, ყური მიგდე. მე არ ვცდილობ ჭკვიანისა და ენამჭევრის სახელის მოხვეჭას. მინდა მხოლოდ გავიგო ეს ყველაფერი და არ ვიცი, როგორ გამოვთქვა უკეთ. რადგან ჩვენში ასეთი არაფერი იყო და თუ კი იყო, ეს იქნებოდა დიდი ხნის წინათ და ზღვის გადაღმა*. რაკი ამას ყოველდღე ვერ ვხედავთ, ველარც გავითავისებთ. ჩვენ არ ვცხოვრობთ დამარცხებულ პაპებსა და განთავისუფლებულ მონებს შორის (ან იქნებ უკეთესმა გამიგია ყველაფერი და თავისუფლება თქვენიანებმა მოიპოვეს და ზანგებმა დაკარგეს?), რომელთა სასაფლაო მაგიდებში ტყვიებია გაჩხირული და სხვა ამდაგვარი, რაც მოგვაგონებდა იმას, რისი დავიწყება არ შეიძლება. რა ხდება? რა გარემო გასაზრდელებთ ჰაერივით? იქნებ ეს გარემო ტკივილით, დაუოკებელი მძვინვარებით, სიამაყით, დიდებით და ორმოცდაათი წლის წინათ მომხდარი რაღაც ამბებით სავსე სიცარიელეა? რაღაც არის ეს, რაც დაბადებიდანვე დაჰყვებათ მამებსა და ვაჟიშვილებს და აიძულებს მათ არასდროს არ დაივიწყონ გენერალი შერმანი და ეს ამბავი იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც თქვენი შვილები შობენ შვილებს და თქვენ იქნებით ჩამომავლობა იმ პოლკოვნიკებისა, რომლებიც დაიხოცნენ პიკეტის შეტევის დროს მანასასში**.

— გეტისბერგთან, — თქვა კვენტინმა, — შენ ამას ვერ გაიგებ. შენ ხომ იქ არ დაბადებულხარ.

— მაშინ კი გავიგებდი?

კვენტინმა არ უპასუხა.

— შენ თუ გესმის ეს?

— არ ვიცი, — მიუგო კვენტინმა, — დიახ, რაღა თქმა უნდა, მესმის. —

---

* იგულისხმება ევროპა.

** შროვი ცდება, ეს ბრძოლა „პიკეტის შეტევის დროს" (1863 წ. ივლისში, როდესაც კონფედერატები სასტიკად დამარცხდნენ) კი არ მომხდარა, არამედ სამოქალაქო ომის დასაწყისში 1861 წ. 21 ივლისს, როდესაც კონფედერატებმა უკუაგდეს ჩრდილოელთა ჯარი, ამ ბრძოლაში (რომელიც ბულ-რანის სახელითაცაა ცნობილი) თავი უსახელებია ვირგინიის 3-ე პოლკს.

მათი სუნთქვალა ისმოდა ამ სიბნელეში. ცოტა ხნის შემდეგ კვენტინმა თქვა, — არ ვიცი-მეთქი.

— დიახ. შენ არ იცი. შენ არც იმ მოხუც ქალზე, იმ ლეიდა როუზაზე იცი რამე.

— მისს როუზა-მეთქი, — უთხრა კვენტინმა.

— კარგი, შენ არც იმაზე იცი რამე, გარდა იმისა, რომ თავდაჯერებულ აჩრდილობას უარყოფდა ის ქალი; რომ თითქმის ორმოცდაათი წლის მერეც ის არა მარტო ადგა და წავიდა იქ იმ საქმის გასასრულებლად, ვიღაც სხვა უნახავს კიდევ, ვინც მას წაყვებოდა და მასთან ერთად იმ დაკეტილ სახლში შეიჭრებოდა, რადგან გუმანი თუ რალაც ამცნობდა, ჯერ კიდევ არ არისო ყველაფერი გასრულებული. ხომ ასეა?

— არა, — მიუგო წყნარად კვენტინმა. მტვრის გემო შეიგრძნო. ახლაც კი, როდესაც მის სახეს გარშემობურვოდა საამური სიგრილე ახალი ინგლისის თოვლიანი ჰაერისა, იმ სექტემბრის მისისიპური ღამის სულის შემხუთავ (უფრო სწორად, გავარვარებულ) მტვერს გრძნობდა. მის გვერდით ეტლში მჯდომარე ქალის სხეულსაც გრძნობდა, ძველისძველი შალის, ქაფურის სუნსაც და შავი ჩითის დაკეტილი ქოლგისასაც, რომელშიაც (მხოლოდ სახლში მოსვლის შემდეგ გაიგებს ამის შესახებ) დაემალა პატარა ცული და ფარანი. ცხენის სუნსაც გრძნობდა; ყოვლისმომცველ ლბილ მტვერში მსუბუქი ბორბლების მჭახე ჭრიალი ესმოდა და თითქოს ეს მტვერი ნელინელ უშრობდა ოფლიან ტანს, თითქოს მის ყურამდე მოელწია ღრმა სუნთქვას მომაკვდავი გადახრუკული მიწისა, შორეულ ვარსკვლავიან სივრცეს რომ შერთვოდა. ლაპარაკი დაიწყო იმ ქალმა, პირველად ჯეფერსონიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც აკანკალებული და აჩქარებული ეტლზე ძლივს აბობღდა (ეს სიჩქარე შიშისა, შეშფოთებისა ეგონა, მერე კი მიხვდა, დიახაც ცდებოდა), მიშველებაც კი ვერ მოასწრო, საჯდომის სულ კიდეზე დაჯდა, ძველისძველ შალში გახვეული ქოლგას ჩაბღაუჭებოდა და წინ გადახრილიყო, თითქოსდა უნდოდა უფრო მალე მისულიყო იქ, გაჩერებისთანავე ჩამოსულიყო და მისთვის, კვენტინისთვისაც გაესწრო. „ახლა, — თქვა მან, — ამ სამფლობელოში ვართ. იმ მიწაზე შევდგით ფეხი, იმ კაცს, ელენს და ელენის შვილებს რომ ეკუთვნით". მაგრამ კვენტინს თავადაც უცვნია ეს არემიდამო ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ქალი რამეს იტყოდა, ასე უთქვამს თავისთვის: „ახლა. ახლა კი ვნახავ". და (სწორედ ასე იყო ამ ხანგრძლივ დღეს იმ ჩაბნელებულ ცხელ პატარა სახლში) ასე ეგონა, თუ ეტლს გააჩერებს და ყურს მიუგდებს, გაჭენებული ცხენის თქარათქურს გაიგონებს, და შეიძლება დაინახოს შავრა ბედაურზე მჯდომარე მხედარიც, მათ წინ რომ გამოიჭრება გზაზე და გაქუსლავს — მხედარი, ვინც ერთ დროს მთლიანად ჰფლობდა ყოველივე იმას, რასაც კი მიწვდებოდა მისი მზერა, სადაც არ უნდა დამდგარიყო; ყველაფერი მისი საკუთრება იყო, რაც კი იყო სულიერი თუ უსულო და სულმუდამ მოაგონებდა (თუნდაც რომ დავიწყებოდა როდისმე), რომ მის და სხვის თვალშიაც თავად გახლდათ ყველაზე დიდებული კაცი. ხოდა, ომში თავისი საკუთრების დასაცავად წავიდა, მაგრამ დამარცხდა და სახლში დაბრუნებულმა ნახა, რალაც უფრო მეტი დაუკარგავს. ომშიაც არ დაუკარგავს ამდენი, თუმცა მთლად არ ყოფილა განწირული და ასე უთქვამს **ცოცხალი ხომ დავრჩი მაინც,** მაგრამ სიცოცხლე კი არ შეენარჩუნებინა, მხოლოდ სიბერე, სუნთქვა, ზიზღი, შიში, აღშფოთება დარჩენია; და ყველა იმათთაგან, ვინც კი ისევ ისეთი

პატივისცემით უმზერდა მას, პატარა გოგო იყო მხოლოდ. უკანასკნელად რომ უნახავს, მაშინ სულ ბავშვი ყოფილა, ვინც, რაღა თქმა უნდა, სარკმელიდან ან კარიდან უთვალთვალებდა, როდესაც ის ჩაივლიდა და ვერც კი ამჩნევდა. გოგოს იქ ყოფნას, შეიძლება, როგორც ღმერთს, ისე უმზერდა მას გოგო, რადგან ყველაფერი, რასაც ხედავდა, ამ კაცის საკუთრება იყო. და იქნებ [illegible] ჩავლილი შეჩერდებოდა და წყალს მოითხოვდა, ხოდა, ის გოგო [illegible] ვედროს და მთელ მილს გაივლიდა წყაროამდე და ასევე მთელ მილს უკან გამოივლიდა და ახალ, ცივ წყალს მოართმევდა მას, გულშიაც ვერ გაივლებდა ეთქვა, ცარიელიაო ვედრო, როგორც ღმერთს ვერ გაუბედავდა ამის თქმას, — მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი, რაც უნდა იყოს, ხომ ცოცხალი იყო, სუნთქვა ხომ შეეძლო.

რამდენიმე ხანს კვენტინი წყნარად იწვა თბილ ლოგინში და ახლა ისევ მძიმედ სუნთქავდა, მათრობელა, თოვლიან, სუფთა სიბნელეს ნთქავდა. იმან (მისს კოულდფილდმა) არ დაანება ჭიშკარში შესვლა. შესდექო, ასე უთხრა უცებ, იგრძნო, თუ როგორ ათრთოლდა ამ ქალის ხელისგული მის ხელში და ასე გაიფიქრა, ჰაი, რა შეშინებულიაო. ახლა უკვე მისი სულთქმა ესმოდა, ხმა თითქმის ცრემლნარევი ჰქონდა, თუმცა კი გამოსჭვიოდა რკინის სიმტკიცე: „არ ვიცი რა ვქნა არ ვიცი, რა ვქნა". („მე კი ვიცი, — გაიფიქრა კვენტინმა, — ქალაქს დაბრუნდით და დაიძინეთ".) მაგრამ ხმამაღლა არ გამოუთქვამს ეს აზრი. ორი ვეებერთელა შემპალი ჭიშკრის ბოძი დაუნახავს ვარსკვლავების შუქზე, ოღონდ მათ შორის ჭიშკარი აღარსად იყო, ასე ფიქრობდა, რომელი მხრიდან მოვიდნენო იმ დღეს ბონი და ჰენრი და რას ჰქონდაო ის ჩრდილი, რომელსაც ბონი ცოცხალი ველარ გადაივლიდა; ან რომელიღაც ხიბა იქნებოდა, რომელიც ახლაც ისხამდა და ჰყრიდა მერე ფოთლებს ან სხვა, აწ უკვე კარგა ხნის მოჭრილს, იმიტომ რომ დაეწვათ, გამთბარიყვნენ და საჭმელი გაეკეთებინათ ან იქნებ გახმა სულაც და მოაცილეს აქაურობას, ან იქნებ ამ ბოძთაგან ერთ-ერთი იყო. და ძალიან მოუნდა, ნეტავი ახლა აქ ჰენრი გამოჩნდეს, მისს კოულდფილდი შეაჩეროს და ორივე უკან გაგვაბრუნოსო; ესეც გაუელვა, ჰენრი რომ აქ იყოს, გასროლის ხმას ვერავინ გაიგონებდაო.. „ის დედაკაცი ჩემს შეჩერებას მოინდომებს, — მოთქვამდა მისს კოულდფილდი, — მე ვიცი. რაკი ასე შორს ვართ ქალაქიდან და სულ მარტონი ამ შუალამით, შეიძლება ზანგსაც კი უბრძანოს.. თქვენ კი დამბაჩა არც წამოგიღიათ, ხომ?"

— არა, ქალბატონო, — მიუგო კვენტინმა, — იმ ქალს აქ დასამალავი რა უნდა ჰქონდეს? რა უნდა იყოს ისეთი? თუმცა სულ ერთი არ არის? დავბრუნდეთ უკან ქალაქს, მისს როუზა.

ქალს არ უპასუხნია მისთვის. მხოლოდ ასე თქვა: „სწორედ ამის გაგება მინდა მე", იჯდა წინგადახრილი და აკანკალებული, ხეებით დაბურულ გზას უმზერდა, სადაც შემპალი გარსი ჩანდა სახლისა. „და ახლა კი ყველაფერს გავიგებ", — ისევ მოთქვამდა რალაცნაირი გაოცებით, თვითვე შებრალებოდა თავი; უეცრად შეტოკდა, წავიდეთო, ჩაიჩურჩულა და ეტლიდან გადმოვიდა.

— დაიცადეთ, — უთხრა კვენტინმა, — სახლთან მივიყვანოთ ეტლი, იქამდე ხომ ნახევარი მილი იქნება კიდევ.

— არა, არა — ჩაიჩურჩულა მან , გააფთრებული სისინი ამოაყოლა სიტყვებს, შეძრწუნებული გაოცებითა და სასტიკი სიმტკიცით ამოთქვა.

თითქოსდა სულაც თვითონ არ უნდა წასულიყო გასაგებად, თითქოსდა მორჩილი იარაღი იყო ვიღაცის, ვისაც უსათუოდ უნდა გაეგო ყველაფერი. „ცხენი აი აქ დააბით. მალე-მეთქი". მოუქნელად ჩამოხტა ძირს, ქოლგას ჩაჭიდებული, კვენტინმა მიშველებაც ვერ მოასწრო. თითქოსდა ამ ქალის ოხვრა და სლუკუნი ესმოდა მას, როდესაც იდგა ერთ-ერთ ბოძთან და ელოდებოდა; გზიდან გადაიყვანა კვენტინმა ლაფში და აღვირით მიამაგრა [illegible] ბალახით გადაბურულ ხნარცვთან ამოსულ ერთ ნორჩ ხეს. ვერც კი ხედავდა ქალს, ისე ახლოს იდგა ბოძთან და ელოდებოდა; გამოიარა ჭიშკარი ამ ბიჭმა და ისიც მოსცილდა ბოძს, უკან გამოჰყვა, ისევ ხვნეშოდა და სლუკუნებდა გადათხრილ ხეივანში მიმავალი. მთლად ჩამობნელდა, მისს როუზამ წაიბორძიკა, კვენტინმა ხელი შეაშველა. მის მკლავს წაეტანა, ჩაეჭიდა, სულთმობრძავივით ჩაუჭირა თითები, მავთულის პატარა გორგალს დამსგავსებოდა ქალის ხელი. „თქვენ მკლავს უნდა ჩავეჭიდო, — სლუკუნით წარმოთქვა მან, — თქვენ კი დამბაჩა არცა გაქვთ... დაიცადეთ", — დასძინა უცებ. შეჩერდა. კვენტინი მოტრიალდა; ის ვერ ხედავდა ქალს, მაგრამ ესმოდა მისი ჩქარი სუნთქვა და კაბის შარიშური. მერე რაღაც მიაჩეჩა ხელში, აიღეთ. არ დაუნახავს, გალეული ტარითა და სქელი, ბლაგვი და დაჟანგული პირით მიხვდა, ცული რომ იყო.

რა არისო, ჰკითხა მან.

— აიღეთ! — ასე დაუსისინა, — დამბაჩა არ წამოგიღიათ. რაღაც ხომ უნდა გქონდეთ.

დაიცადეთო, ასე მიუგო.

— წავიდეთ, — ჩასჩურჩულა მისს როუზამ, — ხელი უნდა მოგკიდოთ, ვკანკალებ და ცუდადა ვარ. — გზა განაგრძეს. იმის ერთ ხელს ის ქალი ჩასჭიდებოდა, მეორეთი ცული მოჰქონდა, — კი დაგვჭირდება მგონია, ისე სახლში იქნებ ვერც კი შევიდეთ, — თქვა ბორძიკით მიმავალმა, თან თითქმის მოათრევდა ბიჭს. — კი ვიცი, საიდანღაც უნდა გვითვალთვალებდეს ის ქალი, — სლუკუნებდა, — ვგრძნობ, ასეა ნამდვილად. ერთი კი მივაღწიოთ იმ სახლამდე, ერთი კი მივაღწიოთ იმ სახლში... — გაუთავებელი ჩანდა სავალი, კვენტინი იცნობდა ამ ადგილს, ჭიშკრიდან სახლამდე ხშირად მისულა პატარა ბიჭობისას, როდესაც მანძილი მართლაცდა დიდი ჩანს (ასე რომ ზრდასრულ კაცისთვის უთვალავი ფერით სავსე, უსაზღვროდ გრძელი მილი მისი ბავშვობისა უფრო მოკლეა, ვიდრე მანძილი ნასროლი ქვისა), მაგრამ ახლა კი ასე ეგონა, არც არასდროს გამოჩნდებაო სახლი, და უცებ შეამჩნია, იმ ქალის სიტყვებს იმეორებდა თურმე: „ოღონდ მივაღწიოთ იმ სახლამდე, ოღონდ კი შევაღწიოთ იმ სახლში", მაგრამ გონს მოვიდა და იმავე წამს ასე უთხრა თავს: „მე არ მეშინია, ოღონდ აქ ყოფნა არ მინდა, არ მინდა ვიცოდე იმის შესახებ, თუ რას მალავს ის ქალი". ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს. ბუნდად აღიმართა სწორკუთხა ვეებერთელა შენობა, რომლის მცირეოდნავ ჩაწეული სახურავის სიღრმეში ჩანდა ნახევრად დანგრეული საკვამურები, და იმ წუთს, როდესაც ნაბიჯს აუჩქარეს, ბნელით მოცული სახლის იქით, მომაღლოდ, ცის კიდურის ტეხილი ხაზი დაინახა. ორი აბრდღვიალებული ვარსკვლავით, თითქოსდა ერთი განზომილება ჰქონდა იმ სახლს და დაგლეჯილი ტილოს ფარდაზე დაეხატათ; და ახლა, მკვდარ, საშინელი სიცხით გათანგულ ჰაერში, რომლის წიაღშიც ისინი მიდიოდნენ, გაპარტახების და ხრწნის სუნს გრძნობდა, ნელინელ და ძალუმად რომ მოედინებოდა ყოველი ხვრელიდან. თითქოს და ხე-ტყით კი არა. ლეშით აეგოთ ეს შენობა. მის გვერდით მიცუხცუხებდა

ახლა ეს ქალი, ვერავითარი ძალა ვერ მოაცილებდა, ისე მაგრად ჩასჭიდებოდა აკანკალებული ხელით კვენტინის მკლავს; აღარაფერს ამბობდა, სიტყვისუთქმელად, გაბმულად მოსლუკუნებდა, მოიხვნეშოდა, თითქმის მოიკვნესოდა. როგორც ჩანს, ახლა ვერც ვერაფერს ხედავდა, ისე რომ მან იქით წაიყვანა ქალი, სადაც საფეხურები ეგულებოდა და იქ შეაჩერა; თავადაც ჩაჩოჩულებდა, სისინებდა, რაკიღა ქვეშეცნეულად გადასდებოდა ამ ქალის დაძაბული, უგრძნობი სიჩქარე: „შეიცადეთ. აი აქეთ. ფრთხილად, დამპალია სუყველა". თითქმის ხელში აიტაცა, შეეშველა, საფეხურებზე აატარა, იდაყვებზე ხელი წაავლო და ბავშვივით აიყვანა მაღლა; ასე გრძნობდა, ამ ქალის გაჩხინკული, დაძაგრული მკლავებიდან მის ხელისგულსა და მკლავებს გადმოსცემოდა რაღაც ძალა, უწყალო და მძვინვარე; ხოდა, ახლა აქ, მასაჩუსეტში, ლოგინში მწოლს გაახსენდა, თუ რა გაიფიქრა, რა უთხრა თავის თავს მაშინ: „ჰაი, შეშინებული არ არის ეს ქალი. იქ რაღაც უნდა იყოს. მაგრამ შეშინებული არ არის",და იგრძნო, ის ქალი დაუსხლტა მის ხელებს, მერე მისი ფეხის ხმა გაიგონა გალერეაზე, მერე წამოეწია იმ უჩინარი სადარბაზოს წინ, სადაც ის ქოშინით შეჩერებულიყო, ახლა რაღა ვქნათო? ჩასჩურჩულა მისს როუზას.

— შეამტვრიეთ, — ჩურჩულითვე უპასუხა იმან, — დაკეტილი ლურსმნით დაჭედილი უნდა იყოს. ცული ხომ გაქვთ. შეამტვრიეთ-მეთქი.

— კი მაგრამ... — დაიწყო კვენტინმა.

— შეამტვრიეთ-მეთქი! — დაუსისინა. — ელენის სახლია. მე კი დაი ვარ მისი, მის მემკვიდრეთაგან ცოცხალი მხოლოდ მე ვარ. შეამტვრიეთ-მეთქი. ჩქარა. — კვენტინი კარს მიაწვა, არ გაიღო. იმ ქალის სუნთქვა ეკვროდა მის უკან. — ჩქარა-მეთქი ასე გაუმეორა, — შეამტვრიეთ.

— ყური მიგდეთ, მისს როუზა, — თქვა მან, — ყური მიგდეთმეთქი.

— მომეცით ცული.

— დაიცადეთ, — მიუგო კვენტინმა, — თქვენ მართლა გინდათ იქ შესვლა?

— უნდა შევიდე, — ამილუღლუღა მან, — ცული მომეცით-მეთქი.

— დაიცადეთ, — უთხრა მან. კედელზე ხელის ფათურით გალერეა გაიარა, ფრთხილობდა, რადგან არ იცოდა, თუ სად იყო დამპალი ან ამოგდებული ფიცარი, სარკმელს მიატანა. დარაბები მოეხურათ და, როგორც ჩანს, მოეკეტათ კიდეეც. მაგრამ შეჰყო თუ არა ცულის პირი, იმწამსვე გაიღო თითქმის უხმაუროდ; ბაიბარად მიეხურათ, მისი დამკეტავი დაჩაჩანაკებული და ულაჯო დედაკაცი უნდა ყოფილიყო ან ვილაც უგერგილო კაცი; ჩარჩოს ქვეშ ალარ შეუცურებია ცულის პირი, რაკი ნახა, მინა არ ჰქონდა და შეეძლო სულაც გადაებიჯებინა ცარიელ სარკმელში. წამით შეყოვნდა, თავს აგულიანებდა, შედი, რისი გეშინია, ოღონდ იქ რა არის, მე რად უნდა გავიგოო. „რას შვრებით? — მოესმა მისს როუზას ჩურჩული კარიდან, — გააღეთ თუ არა?"

დიახო, ჩურჩულით არ მიუგია, არც ხმამაღლა უთქვამს მას; სადაც ის იდგა, იმ ჩაბნელებულ ოთახში, ყრუდ მოისმა ექო მისი ხმისა, ცარიელმა ოთახმა იცის ასე. „მანდ დაიცადეთ. ვნახავ, კარის გაღებას თუ შევძლებ", ხოდა, ახლა შიგ შესვლა მომიზდებაო, ასე გაიფიქრა. რაფაზე გადაძვრა. კი იცოდა, რომ ოთახი ცარიელი იყო, მისი ხმის ექომ ამცნო ეს და მაინც ნელა და ფრთხილად ადგამდა ფეხს. სწორედ ასე გამოიარა გალერეა, ხელის ფა-

თურით მიჰყვებოდა კედელს. კუთხემდე მიატანა და იქვე კარი ნახა, შეეიდა. შემოსასვლელში უნდა ყოფილიყო ახლა; თითქმის დარწმუნდა კიდევაც, მისს კოულდფილდის სუნთქვა ესმოდა კედელს იქიდან. ვერც ვერაფერს ხედავდა ამ ბნელ-უკუნეთში, იცოდა კიდევაც, რომ ვერაფერს დაინახავდა და მაინც იგრძნო, თუ როგორ ასტკივდა თვალები და ქუთუთოებ[illegible] მის თვალის ბადურაზე ხან ინთებოდა და ხანაც ქრებოდა წითელ[illegible] განაგრძო; დაბოლოს კარს შეეხო ხელით და როდესაც საკეტს ეძებდა, ისევ გაიგონა, მისს კოულდფილდის სლუკუნნარევი ხვნეშა. მის უკან ვილაცამ ასანთს გაჰკრა და ეს ხმა აფეთქებასავით, დამბაჩის გავარდნასავით გაისმა; ჯერ კიდევ არც კი იყო გამოჩენილი სუსტი ნათელი, რომ გულმა დოლაბივით დაუწყო ბრუნვა და ადგილზევე გაშეშდა, თუმცა კი შერჩენოდა მცირეოდნავ მაინც განსჯის უნარი და უხმო გრგვინვასავით გაისმა მის თავის ქალაში: „არც არაფერია! საშიში რომ ყოფილიყო, მაშინ ასანთს არც გაკრავდნენ!“ შემოტრიალდა და ტანმომცრო, ქონდრისქალის მსგავსი არსება დაინახა თავსახვევითა და განიერი ქვედა კაბით, ყავისფერი სახე მოსჩერებოდა მას და თავზემოთ დაეკავებინა ანთებული ასანთი ყავისფერივე თოჯინის ხელით. მას კი ალარ შესცქეროდა კვენტინი, არამედ ასანთს უმზერდა, მის თითებში რომ ჩაიწვა; წყნარად უმზერდა, დაბოლოს შეტოკდა ის ქალი და მეორე ასანთი მოუკიდა პირველს; კედელთან რაღაც ოთხკუთხა ხის ნაჭერივით დაინახა და ზედ ლამპა, რომელსაც შუშა მოაძრო ქალმა და ასანთი პატრუქთან მიიტანა. ახლა გაიხსენა ეს, აქ, მასაჩუსეტს, ლოგინში მწოლმა და კვლავ შეეკრა სუნთქვა და ისევ შეშფოთდა, სიმშვიდე დაკარგა. ისიც გაიხსენა, რომ იმ ქალს ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის, ვინა ხარო? ან აქ რა გინდაო? კართან მივიდა ვეებერთელა რკინის გასაღებების შეკვრით, თითქოს იმთავითვე იცოდა, დადგებოდა ეს ჟამი და ველარაფერს გახდებოდა, ხოდა, გააღო კიდევაც კარი, ცოტათი უკუმიდგა და მისს კოულდფილდი შეუშვა. ესეც ახსოვს, მას (ქლიტის) და მისს კოულდფილდს სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, თითქოსდა ქლიტიმ ერთხელ შეხედა იმ ქალს და მიხვდა, ვერ შევაჩერებო; მას, კვენტინს, მიუბრუნდა, მკლავზე ხელი წაავლო და უთხრა: „მაღლა ნულარ აუშვებთ, ახალგაზრდა ბატონო“. მაგრამ რომ შეხედა, იმასაც მიხვდა, ეს ბიჭიც ვერ შეაჩერებდა და რახან ასე იყო, მიბრუნდა, მისს კოულდფილდს წაეტანა მკლავზე და უთხრა, ნუ ახვალთო მაღლა, როუზი; მისს როუზამ ხელი გაჰკრა, მოიცილა და კიბისკენ წავიდა (ახლალა დაინახა, ფარანი რომ მოემარჯვებინა მას ხელში; ახსოვს, თუ როგორც გაიფიქრა, ესეც ქოლგაში ჰქონიათ იმ ცულთან ერთად), და ქლიტიმ თქვა: „როუზიო“, და ისევ გამოეკიდა. მიუტრიალდა მას საფეხურზე შეჩერებული მისს კოულდფილდი, ვაჟკაცივით მუშტი უთავაზა, ძირს დასცა და ავიდა კიბეზე. ის კი (ქლიტი) დარჩა გამოცარიელებულ შესასვლელში, შიშველ იატაკზე დაგორებული, ვითარცა პატარა ფუთა სუფთა ჩვრებისა. მიუახლოვდა მას კვენტინი, სრულ გონებაზე იყო ეს ქალი, ფართოდ გაეღო თვალები, შშვიდი ჩანდა; კვენტინი თავს წამოდგომოდა და ფიქრობდა: „დიახ. ეს ქალი ყოფილა მკველი საშინელებისა“. შემდეგ წამოაყენა, აიყვანა, თითქოს ჭინჭრებში გახვეული ჩხირები აეღოს ხელში, ისეთი მსუბუქი იყო ქალი. ფეხზე ველარ დადგა, კვენტინი შეეშველა და იგრძნო, როგორ შეუტოკდა სხეული, რაღაც მოსურვებოდა და ბოლოს კვენტინი მიხვდა, კიბის ქვედა საფეხურზე დაჯდომას ლამობსო. დასვა იგი იქ. ვინა ხართო? — ჰკითხა ქალს.

— კვენტინ კომპსონი, — ასე უპასუხა.

— ჰო. მე მახსოვს თქვენი ბაბუა. ადით მაღლა და დაბლა ჩამოიყვანეთ ის ქალი. აქედან წაიყვანეთ. რაც უნდა ჩაედინა მას, მეც, ჯუდითმა და მანც ყველაფერი ეზღვეთ. ადით და ჩამოიყვანეთ, მოაცილეთ აქედან.

ხოდა, აუყვა იგი კიბეს, აიარა შიშველი, გალეული საფეხურები, ერთ მხრით დაბზარული და ატკეჩილი კედელი იყო, მეორე მხრით — რიკულებნაკლული მოაჯირი. ისიც გაახსენდა, უკან რომ მოიხედა, ის ქალი ისევ იქ იჯდა, სადაც დატოვა, დაბლა. შემოსასვლელში კი (მისი შემოსვლა არ გაუგია) ვიღაც იდგა, უშნო ნათელი ფერის კანიანი ახალგაზრდა ზანგი გახუნებულ კომბინეზონსა და პერანგში, ხელებჩამოშვებული, არც გაოცება, არც არაფერი ეტყობოდა იმის დრუნჩიან გამოთაყვანებულ სახეს. ესეც ახსოვს, ასე გაიფიქრა, მათი ჩამომავალია (თუმცა კი შეიძლება საეჭვოც), პირდაპირი მემკვიდრეო; მერე მისს კოულდფილდის ფეხის ხმა გაიგონა და ფარნის შუქიც დაინახა ზედა ჰოლში, და როცა მოუახლოვდა და გვერდით ჩაუარა, ქალმა ერთი კი წაიფორხილა, გასწორდა და ისე შეხედა, თითქოს არც არასდროს უნახავს აქამდე, თვალები გაფართოებოდა და ველარაფერს ამჩნევდა მთვარეულივით; ღღენიადაგ უფერული სახე მთლად უსისხლო გახდომოდა და ასე გაიფიქრა: „რა? რა მოუვიდა ნეტავ? შეშინებული არ უნდა იყოს. ზეიმობს თუ რა არის?“ ხოდა, ჩაუარა გვერდით და გზა განაგრძო. გაიგონა, თუ როგორ უთხრა კლიტიმ იმ კაცს. ჭიშკართან, ეტლთან ჩაიყვანეო ეს ქალი. ის კი იდგა და ფიქრობდა: „უნდა გავჰყვე მას“. და მერე: „არა. უნდა ვნახო, უნდა შევიდე. იქნებ კი ვინანო ხვალ, მაგრამ უნდა შევყვე-მეთქი“. კიბეზე რომ ჩამოდიოდა (წამოაგონდა, თუ როგორ გაიფიქრა: „იქნებ მე იმ ქალივით გამოვიყურები, მაგრამ ზეიმობსო, ამას ვერ იტყვიან ჩემზე“). შემოსასვლელში მარტო კლიტი დაინახა, ისევ ისე იჯდა იმ საფეხურზე. არც კი შეუხედავს მისთვის, როდესაც გვერდით ჩაუარა. ვერც წამოეწია მისს კოულდფილდს და იმ ზანგს. ბნელოდა და ჩქარა ვერ ივლიდა, თუმცა კი ესმოდა იმათი ფეხის ხმა წინ. იმ ქალს ამჯერად აღარ აენთო ფარანი და გაახსენდა, თუ რა გაიფიქრა ამ დროს: „ახლა ხომ არც უნდა ეშინოდეს. სინათლეს შეამჩნევსო ვინმე“. მაგრამ ფარანი არ ჰქონდა ანთებული, და ასე ფიქრობდა, ნეტავ იმ ზანგს მკლავზე თუ წაავლო ხელი; მანამ ფიქრობდა, სანამ იმ ზანგის ხმა არ გაიგონა, ერთფეროვანი, აუღელვებელი, აუჩქარებელი, სჯობს ასე წამოხვიდეთო; იმ ქალს არ უპასუხნია, თუმცა ისე ახლოს კი იყო (ანუ ეგონა, რომ იყო), გაიგონებდა მის ხვნეშასა და სლუკუნს. შემდეგ რაღაც სხვა ხმა მოესმა და მიხვდა, იმ ქალს ფეხი დაუსხლტა და წაიქცაო; თითქოს დაინახა კიდევაც, თუ როგორ შეჩერდა ის უშნო, დრუნჩიანი ზანგი ამ ხმაზე, იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა მოესმა, და დაელოდა უგულისყუროდ და მშვიდად. ხოდა, ის (კვენტინი) იქით გაიქცა, საიდანაც მათი ლაპარაკი მოესმა:

— შენ გეუბნები, ზანგო! რა გქვია?

— ჯიმ ბონდს მეძახიან.

— მომეხმარე. შენც ხომ სატპენთაგანი არა ხარ! ამ ტალახში ხომ არ დამტოვებ.

მისს როუზას ჭიშკართან რომ გააჩერა ეტლი, ქალი არ ჩამოსულა ამჯერად და იქამდე იჯდა, ვიდრე კვენტინი არ ჩამოხტა და ეტლს არ შემოუარა; ჯოლგას ჩასჭიდებოდა ისევ ისე მჯდომარე, მეორე ხელში ცული დაეკავებინა; სახელი დაუძახა მას კვენტინმა და მაშინღა გამოხედა. შეტოკდა; კვენ-

ტინი შეეშველა, დაბლა ჩამოსვა, კლიტისავით მსუბუქი იყო, მკლავზე ხელი წაავლო და ჭიშკარში შეიყვანა, მექანიკური თოჯინასავით მოჰყვებოდა, ბილიკი გაიარეს და იმ სახლში შევიდნენ, თოჯინისა რომ გეგონებოდათ, სინათლე აანთო და შეხედა მის მთვარეულივით სახეს, ფართოდ გახელილ, მიბუნდვილ თვალებს, ქოლგა და ცული ისევ ეკავა ხელში, შალი [illegible] ოდა დაცემისას, სწორედ მაშინ მოქცეოდა გვერდზე შავი [illegible] „ხომ კარგადა ხართ ახლა?" — ჰკითხა მან.

— დიახ, — ასე მიუგო, — დიახ, ახლა კარგადა ვარ. ღამე მშვიდობისა.

გმადლობთო კი არ მითხრა, გაიფიქრა კვენტინმა, ღამე მშვიდობისაო მხოლოდ. გარეთ გამოვიდა, ღრმად, მალიმალ სუნთქავდა ეტლთან მიბრუნების ხანს, ცოტაც კიდევ და გაიქცეოდა, მშვიდად ფიქრობდა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო; მალიმად და მძიმედ სუნთქავდა. ყლაპავდა ბნელით მოცულ, მკვდარ და გავარვარებულ ჰაერს, ღამისეული ცის ტატნობზე მძვინვარედ ციმციმებდნენ ვარსკვლავები. მის სახლშიც ბნელოდა, მაშინაც კი ურტყამდა და ურტყამდა და ურტყამდა ცხენს მათრახს, შუაში რომ შეუხვია, სადაც მათი საჯინიბო იყო, ჩამოხდა და ლაფში გამოხსნა, მოსართავები ჩამოგლიჯა და სარდაფში შეყარა, კედელზე აღარ ჩამოკიდა, ოფლგადამსკდარი გამოვიდა, მალიმალ მძიმედ სუნთქავდა, დაბოლოს სახლისკენ რომ გადაუხვია, გაიქცა, თავი ვეღარ მოთოკა. ოცი წლისა იყო და შიში არ ჰქონდა, ვერც ვერაფერს დააკლებდა ის, რაც იქ ნახა, და მაინც გარბოდა, თავის მშობლიურ სახლშიაც შესული, ფეხსაცმლებით ხელში, ისევ გარბოდა, კიბე აირბინა, შევარდა თავის ოთახში და გახდა დაიწყო, ისევ მალიმალ ოფლგადამსკდარი სუნთქავდა, .იქნებ აბაზანაში შევიდე და ვიბანოო, გაიფიქრა; მერე ლოგინში მწოლი, ტანგახდილი ოფლს იწმენდდა პერანგით; ისევ ასხამდა ოფლი, სუნთქვა ეკვროდა, დაბოლოს, როცა სიბნელეში მაცქერალს თვალები ასტკივდა და ჩაბღუჯული პერანგი თითქმის ხელში შეაშრა, ასე თქვა, ახლა კი მძინავსო მგონია; მაგრამ არაფერი შეცვლილა — სიზმარეულივით მიდიოდა ზედა დერეფანში, დაბზარულ ჭერქვეშ, ატკეჩილ კედლებს შორის, იქით, სადაც ნათელი ჭიატებდა უკანასკნელი კარიდან, და ასე ამოთქვა იქ შეჩერებულმა: „არა. არა", მერე კი: „არა, უნდა შევიდე, უნდა შევიდე-მეთქი", ხოდა, შეაბიჯა ცარიელ, დახუთულ ოთახში, დარაბები აქაც მიხურული იყო და მეორე ლამპა ენთო ნაჩორკნ მაგიდაზე, აქაც სიზმარეულივით გრძნობდა თავს — ერთი ლოგინი, ჩაყვითლებული ზეწარი და ბალიშის პირი, ქანცმიხდილი ჩაყვითლებული, თვალდახუჭული სახე ბალიშზე თითქმის გამჭვირვალე ქუთუთოებით, მიცვალებულივით მკერდზე დაკრეფილი გამხდარი ხელები; სანამ პირში სული უდგას, სიზმარში იქნება თუ ცხადში, ვეღარასოდეს მოიცილებს ამ სურათს:

თქვენ ხართ...?
ჰენრი სატპენი.
აქ ხართ უკვე...?
ოთხი წელია.
შინ დაბრუნდით...?
სასიკვდილოდ დიახ.
სასიკვდილოდ?
დიახ. სასიკვდილოდ.

აქ ხართ უკვე...?
ოთხი წელია.
თქვენ ხართ...?
ჰენრი სატპენი.

სულ უფრო აცივდა ახლა ოთახში, სადაც-აა პირველს დაჰკრავდა. [illegible] თითქოსდა გათენების მკვდარი წამების მოლოდინში შეიკრა, შეიკუმშა ტუნები.

— და ის ქალი სამ თვეს ელოდა, ვიდრე ხელახლა დაბრუნდებოდა მის წამოსაყვანად, — თქვა შრივმა, — რად ჰქნა ასე?

კვენტინმა არ უპასუხა. წყნარად. გაშეშებული იწვა ზურგზე და ახალი ინგლისის ცივი ღამე გარშემობურვოდა მის სახეს, თბილი სისხლი სჩქეფდა ნის გაშეშებულ სხეულსა და ძარღვებში, სუნთქავდა მძიმედ და ნელინელ, ფართოდ გაღებული თვალებით სარკმელს მისჩერებოდა და ასე ფიქრობდა: „მორჩა სიმშვიდე, აწ აღარასოდეს. მორჩა სიმშვიდე, აწ აღარასოდეს. აწ აღარასოდეს. აწ აღარასოდეს."

— შენ როგორ გგონია, იმ ქალმა იქნებ იცოდა, თუ ამ შემთხვევას მოუკვებოდა ვინმეს და რაღაცას იღონებდა, მორჩებოდა, გათავდებოდა ყველაფერი, იცოდა, ლვინისა და ჰაშიშის მსგავსია სიძულვილი და იმდენხანს საზრდოობდა იმით, რომ ახლა კიდევაც ეშინოდა, ვაითუ აღარ მეყოს, წყარო დაიშრიტოს და გახმეს, მოისპოსო ამ ბანგის ფესვები.

კვენტინს ისევ არ უპასუხნია მისთვის.

— მაგრამ ბოლოს ის ქალი შერიგებია ამას, ხომ უნდა ეღონა რამე იმ კაცის გადასარჩენად; ქალაქში წაიყვანდა და ექიმებს აჩვენებდა; ხოდა, ყველაფერი მოუყვა მათ, მოითხოვა სანიტარული მანქანა, წამოიყვანა ხალხი და წამოვიდა. და ის ბებერი კლიტი იქნებ მთელი ეს სამი თვე იჯდა ზედა სარკმელთან და უთვალთვალებდა იმ არემიდამოს, იქნებ შენი მოხუცი, შენი მამა მართალი იყო, როდესაც იმ ქალმა დაინახა სანიტარული მანქანა ჭიშკარში, ასე იფიქრა, შავი ფურგონი მოვიდაო, სწორედ ამას სდარაჯობდა ის ზანგი ბიჭი ეს სამი თვე; ხოდა, აი, მოვიდნენ ჰენრის წასაყვანად, ჩაიყვანენ ქალაქს და თეთრი ხალხი ჩამოახრჩობსო მას კიდეევაც ჩარლზ ბონის მკვლელობისათვის. და მე ვფიქრობ, იმ ზანგს კიბის ქვეშ ჰქონდა შენახული, კლიტის ბრძანებისამებრ, ხმელი ტოტები და ჩვრები, ნავთიცა და სუყველაფერი მთელი სამი თვის მანძილზე, ვიდრე მანქანის ხმას არ გაიგონებდა... — საათმა პირველი დაჰკრა. შრივი გაჩუმდა. თითქოსდა ელოდა, როდის გაილეოდა მისი ქლერა ან იქნებ ყურიც კი მიუგდო მის ხმას. კვენტინი ისევ წყნარად იწვა, თითქოს ისიც უსმენდა, თუმცა არა, არც არაფერი ესმოდა იმას, არც შრივის ნაუბარი გაუგონია და არც უპასუხნია მისთვის; დაბოლოს მიჩუმდა საათი, გაილია ყინულოვან ჰაერში მისი ნაზი და სუსტი ხმა, მსგავსი მინის წკარუნისა. და იგი, კვენტინი, ყველაფერს ხედავდა, თუმცა კი არ ყოფილა იქ — სანიტარულ მანქანასა და მისს კოულდფილდს, მძღოლისა და მეორე კაცის შუა მჯდომარეს, შეიძლება ის მეორე შერიფის თანაშემწე იყო; რაღა თქმა უნდა, შალმოხურული წამოვიდოდა ის ქალი და ქოლგითაც, თუმცა ამჯერად ცულსა და ფარანს არ წამოიღებდა, ხოდა, შემოვიდა ის მანქანა ჭიშკარში, ფრთხილად წამოვიდა გადათხრილ და გაყინულ (ახლა კი ზოგან გალხობილ) გზაზე; და იქნებ ღმუილი გაისმა ან შეიძლება მისს როუზამ დაიყვირა პირველად: „იწვის!" თუმცა იგი არ დაიყვირებდა, ამასლა იტყოდა, ჩქარა,

ჩქარაო, და წინ გადაიხრებოდა — ეს პატარა, გააფთრებული, პირქუში, მოუდრეკელი დედაკაცი, ბავშვის სიმაღლისა რომ იყო. სანიტარული მანქანა სწრაფად ვერ წავიდოდა ამ გზაზე და კლიტიმ უფუოდ იცოდა, ეს ამბავი; კარგა სამ წუთს მაინც მოუნდებოდა მისვლას სახლამდე — მთლად გამომხმარი და გამომპალი გარსიღა რომ იყო; ყოველი ხვრელ[illegible]ებზე აჭედილი, გადაბრეცილი ფიცრებიდან კვამლის ზ[illegible] [illegible]ოდა უკვე, თითქოსდა მავთულისაგან იყო დაწნული მთელი სახლი, შიგნით კი ცეცხლის სვეტები ბობოქრობდა, და სადღაც მიღმა ვიღაც სულიერი უნდა ყოფილიყო ჩაჩუმქრული, აღმუვლებული, ადამიანის სიტყვებს კი გაარჩევდით, მაგრამ უაზროსა და გაუგებარს. შერიფის თანაშემწე და მძღოლი ჩამოხტნენ მანქანიდან და მისს კოულდფილდიც მიჰყვა, გაეკიდა მათ, მირბოდა, აცვივდნენ გალერეაზე, სადაც ის აღმუვლებული არსება გამოენთო მათ; თავის მხრივ შერიფის თანაშემწე მიბრუნდა და გამოეკიდა კიდეც მას, მაგრამ ის გაიქცა, გაჰკურცხლა, თუმცა ღმუილი არ ნელდებოდა და თითქოსდა არც შორდებოდა იმათ. ასე დარბოდნენ ისინი ამ კვამლით მოცულ გალერეაზე. მისს კოულდფილდმა დაიხრიალა: „ფანჯარა, ფანჯარა-მეთქი!“ კარებთან მდგომ იმ მეორე კაცს მიმართავდა. მაგრამ ის კარი დაკეტილი არ ყოფილა. შიგნიდან გაიღო და სიმხურვალე შემოეფრქვიათ. მთელ კიბეს ცეცხლი მოსდებოდა. მაგრამ ჯერ იმ ქალის გაკავება მოუხდათ; კვენტინი ნათლად ხედავდა ამ სურათს — პაწაწინა გააფთრებული დედაკაცი ხმას არ იღებდა ახლა. ჩუმი და სასოწარკვეთილი მძვინვარებით იბრძოდა, ჰკბენდა, აწრავდა სცემდა იმ ორს, რომლებსაც გაეკავებინათ იგი და უკან მოათრევდნენ კიბეზე, გაღებულ კარში თითქოსდა დენთივით იფეთქა ცეცხლმა და მთლიანად მოიცვა შესასვლელი. ყველაფერს ხედავდა კვენტინი, ხედავდა, თუ როგორ ეკავათ შერიფის თანაშემწეს მისს როუზა, ხოლო მძღოლმა უკან, სამშვიდობოს გაიყვანა მანქანა და ისევ მოირბინა, თავზარდაცემულნი იყვნენ სამივენი, რაკი უკვე დაუჯერეს იმ ქალს — სამივე ასცქეროდა განწირულ სახლს და იქნებ წამით კლიტის სახეც გამოჩდა იმ სარკმელში, საიდანაც ეს სამი თვე, დღე თუ ღამე ჭიშკარს უმზერდა — ტრაგიკული ქონდრისქალის სახე სუფთა თავსახვევით, იმის მიღმა წითლად ციგლიგებდა ცეცხლის ენები, წამით გამოჩნდა ეს სახე კვამლის ბოლქვებში, მაღლიდან უმზერდა მათ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა საზეიმო გამომეტყველება და არც სასოწარკვეთილება ეტყობოდა, სულმუდამ რომ ეხატა სახეზე; შეიძლება სულაც მშვიდი ჩანდა დანახშირებული ფიცრების ზემოთ და ბოლოს ისევ ჩანთქა კვამლის მორევმა; ის კი, ჯიმ ბონდი, მემკვიდრე, უკანასკნელი შთამომავალი გვარისა, უკვე ცხადლივ ხედავდა ყველაფერს და ღმუოდა, გონების ნიშანწყალი დასტყობოდა ახლა მის ხმას, რადგან იქნებ ისიც მიმხვდარიყო, თუ ვისზე ღმუოდა. დაჭერით კი ვერ დაიჭირეს. ესმოდათ მისი ღმუილი და თითქოს იქვეც იყო, მაგრამ ახლოს ვერ მივიდნენ მასთან და იქნებ უკვე აღარც იცოდნენ, თუ საიდან, რა ადგილიდან მოისმოდა ეს ღმუილი. ისინი კი — მძღოლი და შერიფის თანაშემწე — ისევ აკავებდნენ მისს კოულდფილდს; იგი (კვენტინი) ხედავდა მას და იმათაც. იქ არ ყოფილა, მაგრამ მაინც ხედავდა, თუ როგორ იბრძოდა,იგრიხებოდა, ვითარცა სიზმარეული ოჯინა, უხმოდ, მცირეოდენი დუჟი ჩამოსდიოდა პირის კუთხეებიდან თითქოსდა მზის სხივები დაეცაო, ისე გაიბრკიალა მეწამულისფრად უკანასკნელ ცეცხლის ალში მისმა სახემ და სახლიც ჩამოიქცა გრგვინვა-გრიალით, მხოლოდ იმ იდიოტი ზანგის ხმა ისმოდა, მეტი არაფერი.

— ხოდა, იმ სანიტარულმა მანქანამ უკან, ქალაქში ჩამოიყვანა დეიდა როუზა, — თქვა შრივმა. კვენტინმა არ უპასუხა, არც კი უთქვამს. **მისს როუზაო.** იწვა, სარკმელს მიჩერებოდა თვალის დაუხამხამებლად და სუნთქავდა სუსხიან, მათრობელა, სუფთა და თოვლით გაბრწყინებულ სიბნელეს, — და ის ქალი დასაძინებლად დაწვა, რადგან ყველაფერი გათავებულიყო, აღარაფერი დარჩენილიყო გარდა იმ იდიოტი ბიჭისა, ვინც იმ ნაცარში, იმ ოთხ დანახშირებულ მილს შორის იქნება ჩაჩუმქრული მანამ, სანამ არ მოვა ვიღაც და არ გააგდებს იქიდან. თუმცა იმის დაჭერა ვერ შეძლეს და ვერც ვერავინ შეძლო იმ ადგილიდან მისი გაგდება, რადგან ცოტა ხნით ღმუილს რომ შეწყვეტდა, ველარ პოულობდნენ. მერე კი ისევ ესმოდათ მისი ღმუილი. — მაშასადამე მოკვდა ის ქალი, — კვენტინს არ უპასუხნია მისთვის, ისევ ისე მისჩერებოდა სარკმელს; ცოტა ხნის შემდეგ ვერც კი გეტყოდათ, მართლაც ხედავდა იმ სარკმელს თუ ეს იყო მის წამწამებზე ბუნდი ოთხკუთხა ანარეკლი, თუმცა ეს წამითლა იყო და ისევ გამოჩნდა სარკმელი. და ნელინელ, საოცრად და ცხადლივ. მსოფლიო მიზიდულობის კანონის პირუკუ, თითქოს დაკარგა წონა, გადაკეცილ ფურცლად იქცა და მას მოჰყვა მისისიპური ზაფხულის გლიცინიის სურნელება, სიგარის სუნი და ფარფარი ციცინათელებისა. — ჰოი, ეს სამხრეთი, — თქვა შრივმა, — სამხრეთი-მეთქი, ღმერთო ჩემო, რაღა გასაკვირია, რომ თქვენებურები წლობით და წლობით ცოცხლობენ სიკვდილის მერმე. — ახლა უკვე სრულიად გარკვევით გამოჩნდა ის ფურცელი, მალე სიტყვებსაც გაარჩევდა რაღაც ორიოდ წამში, ახლა ახლა, ახლა, ახლა.

— ოცი წლისა ვარ და ბევრად უფროსი ვარ იმათზე, ვინც დაიხოცნენ, — თქვა კვენტინმა.

— ოცდაერთისთვის არც მიუტანებია, ბევრი დაიხოცა ასეთი, — მიუგო შრივმა. ახლა კი მას (კვენტინს) შეეძლო წაეკითხა, გაესრულებინა ეს დახრილი, გასაოცარი ასოებით, ირონიული ხელით ნაწერი ბარათი, მისისიპიდან რომ აქ, ამ ყინულიან-თოვლიან მხარეს მოსულიყო:

...თუმცა შეუძლებელი არც უნდა იყოს. თქმა არ უნდა, ვის რას ავნებს იმისი ცოდნა, რომ იქნებ იმ ქალს ჰქონდა უფლება ყოფილიყო შეურაცხყოფილი, გაოცებული და არც არაფერი ეპატიებინა, პირიქით, თავად მიაღწია იმ საუფლოს, სადაც ზიზღისა და თანაგრძნობის საგნები აჩრდილები კი არ არიან, არამედ ცოცხალი ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ გაითავისონ ზიზღი და სიბრალული. არავის ავნებს იმედი — ხედავ, მე ვწერ იმედს და არა ფიქრს, ხოდა, იყოს იმედი იმისა, რომ ერთს წილად ხვდება გაკიცხვა, რაღა თქმა უნდა, დამსახურებულად, მეორეთ კი შებრალება, რაც, იმედია (ჯერ კიდევ იმედია), თავადაც ძალიან უნდათ თუნდაც იმის გამო, რომ მალე მიიღებენ მას იმის მიუხედავად, სურთ თუ არა. მშვენიერი ამინდი იდგა, მაგრამ კი ყინავდა და საფლავს წერაქვებით თხრიდნენ; დავინახე, მოყავისფრო ჭიაყელა ამოჰყვა სიღრმიდან ამოღებულ ბელტს, ცოცხალი კი იყო ამ დროს, მაგრამ ხალამოს ისევ გაიყინა.

— მაშასადამე, ჩარლზ ბონი და დედამისი დასჭირდათ იმ ბებერი ტომის მოსაცილებლად; ჯუდითის მოსაცილებლად კი — ჩარლზ ბონი და ის ოქტორონი ქალი; ჰენრის მოსაცილებლად — ჩარლზ ბონი და კლიტი; ჩარლზ ბონის მოსაცილებლად ჩარლზ ბონის დედა და ჩარლზ ბონის ბებია. მაშასადამე, ორი ზანგია საჭირო ერთი სატპენის მოსაცილებლად. ხომ ასეა? —

კვენტინმა არ უპასუხა; შრიკი არც ელოდა პასუხს; თითქმის მაშინვე შეუსვენებლივ განაგრძო: — ყველაფერი კარგად და მშვენივრად გასრულდა, რაც კი იყო მოთხრობილი იმ საანგარიშო დავთარში, ხოდა, შეგიძლია სუყველა ფურცელი ამოხიო და ცეცხლს მისცე. გარდა ერთისა- თუ იცი, რისი თქმა მინდა? — იქნებ იმედოვნებდა, ახლა მაინც მიპასუხებსო ანდ იქნებ თავისი სიტყვებისათვის უნდოდა ხაზი გაესვა, რაკი არ პასუხობდნენ. ერთი ზანგილა დაგრჩა. ერთი ზანგი სატპენი- რაღა თქმა უნდა, იმას ვერ დაიჭერ, ვერც ყოველთვის ნახავ და არც არასდროს წაგადგება რამეში. მაგრამ დღესაც შეგიძლია იმას თვალი მოჰკრა იქ. ხანდახან ღამღამობით მისი ღმუილიც გაიგონო. ხომ ასეა?

— დიახ, — მიუგო კვენტინმა.

— და იცი მერე, რას ვფიქრობ? — ახლა კი მოელოდა პასუხს და მიიღო კიდეც.

— არა, — უთხრა კვენტინმა.

— გინდა კი იცოდე, რასაც ვფიქრობ?

— არა, — უთხრა კვენტინმა.

— მაშინ გეტყვი. მე ვფიქრობ რომ მოვა დრო და ის ჯიმ ბონდები მთელ დასავლეთ ნახევარ სფეროს დაიპყრობენ. რაღა თქმა უნდა, პოლუსებთან მიახლოებისდა კვალად ჩიტებისა და კურდღლების დარად ისევ გათეთრდებიან, რათა ისე ცხადლივ არ გამოჩნდნენ თოვლზე. მაგრამ ის მაინც ჯიმ ბონდი დარჩება, ისე რომ რამდენიმე ათასწლეული გაივლის და მე, ახლა რომ გიმზერ, აფრიკელი მეფეების შთამომავალი აღმოვჩნდები. ახლა კი ეს მითხარი, ასე რად გძულს სამხრეთი?

— მე არა მძულს, — მიუგო კვენტინმა სწრაფად, მაშინვე, იმ წუთას, — მე არა მძულს, — ასე მიუგო. **მე არა მძულს,** ფიქრობდა იგი, სული ეხუთებოდა ამ ცივ ჰაერში, ახალი ინგლისის ამ რკინის მარწუხებიან ბნელ-უკუნეთში მწოლს; **არა, არა! მე არა მძულს! არა მძულს-მეთქი!**

ქრონოლოგია

1807 დასავლეთ ვირჯინიის მთებში დაიბადა ტომას სატპენი, თეთრკანიანთა შოტლანდიურ-ინგლისური ჩამომავლობის დიდ ოჯახში.

1817 სატპენები ვირჯინიის სანაპიროზე ჩამოდიან, სატპენი ათი წლისაა.

1818 ტენესში დაიბადა ელენ კოულდფილდი.

1820 თოთხმეტი წლის სატპენი სახლიდან გაიპარა.

1827 სატპენი ჰაიტიზე პირველ ცოლს თხოულობს.

1828 გუდჰიუ კოულდფილდი ჩამოდის იოკნაპატოფას ოლქში (ჯეფერსონს), მისისიპის შტატში: ჩამოიყვანს დედას, და, მეუღლეს და ქალიშვილს.

1829 დაიბადა ჩარლზ ბონი, ჰაიტიზე.

1831 სატპენი იგებს თავისი მეუღლის ზანგური ჩამომავლობის ამბავს, ტოვებს მას და ბაეშვს.

1833 სატპენი გამოჩნდება მისისიპის შტატის იოკნაპატოფას ოლქში, დაისაკუთრებს მიწას, სახლს ააშენებს.

1834 ზანგი მონა ქალისაგან დაიბადა კლიტემნესტრა (კლიტი).

1838 სატპენი ქორწინდება ელენ კოულდფილდზე.

1839 სატპენის ასეულში დაიბადა ჰენრი სატპენი.

1841 დაიბადა ჯუდით სატპენი.

1845 დაიბადა როუზა კოულდფილდი.

1850 სატპენის პლანტაციაში, მეთეკვზეთა გაპარტახებულ სადგომში სახლდება უოშ ჯონსი ქალიშვილითურთ.

1853 უოშ ჯონსის ასულს შეეძინა გოგო, მილი ჯონსი.
1859 ჰენრი სატპენი და ჩარლზ ბონი ხვდებიან ერთმანეთს მისისიპის უნივერსიტეტში. იმავე წლის შობას ერთმანეთს ხვდებიან ჯუდითი და ჩარლზი. ახალ ინგლისში დაიბადა ჩარლზ ეტიენ სენტ-ვალერი ბონი.
1860 შობადღეებია, სატპენი კრძალავს ჯუდითისა და ბონის დაქორწინებას. ჰენრი ტოვებს ყველაფერს და ბონთან ერთად მიდის.
1861 სატპენი, ჰენრი და ბონი ომში მიდიან.
1862 კვდება ელენე კოულდფილდი.
1864 კვდება გუდჰიუ კოულდფილდი.
1865 ჰენრი ჰკლავს ბონს ქიშკართან, როუზა კოულდფილდი სატპენის ასეულში გადადის საცხოვრებლად.
1866 სატპენი დანიშნავს როუზა კოულდფილდს, შეურაცხყოფს მას. ქალი ჯეფერსონში ბრუნდება.
1867 სატპენი შეაცდენს მილი ჯონსს.
1869 მილი ჯონსს ბავშვი შეეძინება. უოშ ჯონსი ჰკლავს სატპენს.
1870 სატპენის ასეულში პირველად ჩამოდის ჩარლზ ე. სენტ-ვ. ბონი დედასთან ერთად.
1871 კლიტის ჩარლზ ე. სენტ-ვ. ბონი სატპენის ასეულში ჩამოჰყავს საცხოვრებლად.
1881 ჩარლზ ე. სენტ-ვ. ბონი ბრუნდება ზანგ მეუღლესთან ერთად.
1882 დაიბადა ჯიმ ბონდი.
1884 ყვავილისაგან დაიხოცნენ ჯუდითი და ჩარლზ ე. სენტ-ვ. ბონი.
1910 სექტემბერი. როუზა კოულდფილდი და ქვენტინი ნახულობენ სახლში დამალულ ჰენრი სატპენს.
დეკემბერი. როუზა კოულდფილდი მიდის ჰენრის ქალაქში ჩამოსაყვანად, კლიტი სახლს გადაწვავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენეალოგია

ტომას სატპენი

დაიბადა ვირჯინიის მთებში; 1807. ერთ-ერთ შვილი თეთრკანიანთა შოტლანდიურ-ინგლისური ჩამომავლობის ოჯახისა, მისისიპში, ოკნაპატოფას ოლქში ამკვიდრებს სატპენის ასეულის პლანტაციას, 1838. ქორწინდება (პირველად) ეულალია ბონზე, ჰაიტიზე, 1927. (მეორედ) ელენ კოულდფილდზე, ჯეფერსონში, მისისიპი, 1988. მაიორი, მერე პოლკოვნიკი მისისიპის ფეხოსანთა პოლკისა, გარდაიცვალა სატპენის ასეულში 1869 წ.

ეულალია ბონი

დაიბადა ჰაიტიზე. ფრანგული წარმომავლობის ჰაიტელი შაქრის პლანტატორის ერთადერთი ასული. მისთხოვდა ტომას სატპენს, 1827 წ. ქმარმა მიატოვა 1831 წ. გარდაიცვალა ნიუ-ორლეანს, თარიღი უცნობია.

ჩარლზ ბონი

ტომას სატპენისა და ეულალია ბონი სატპენის ვაჟი. დედისერთა. სასწავლებლად მიდის მისისიპის უნივერსიტეტში, სადაც შეხვდება ჰენრი სატპენს. ინიშნება ჯუდითზე. რიგითი ჯარისკაცი, შემდეგ ლეიტენანტი რაზმისა („უნივერსიტეტის ნაცრისფერი") მისისიპის ფეხოსანთა პოლკის. კვდება სატპენის ასეულში, 1865.

გუდჰიუ კოულდფილდი

დაიბადა ტენესში, დასახლდება ჯეფერსონში, მისისიპს, 1828, ხსნის პატარა დუქანს. გარდაიცვალა ჯეფერსონზე, 1864.

ელენ კოულდფილდი

გუდჰიუ კოულდფილდის ასული. დაიბადა ტენესში, 1818. მისთხოვდა ტომას სატპენს, ჯეფერსონში, მისისიპი, 1838. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1862.

როუზა კოულდფილდი

გუდჰიუ კოულდფილდის ასული. დაიბადა ჯეფერსონში, 1845. გარდაიცვალა ჯეფერსონში, 1910.

ჰენრი სატპენი

დაიბადა სატპენის ასეულში, 1839. ტომას და ელენე კოულდფილდი სატპენის ვაჟიშვილი;

სასწავლებლად წავიდა მისისიპის უნივერსიტეტში. რიგითი ჯარისკაცი რაზმისა („უნივერსიტეტის ნაცრისფერი") მისისიპის ფეხოსანთა პოლკის. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1910.

ჯუდით სატპენი

ტომას და ელენ კოულდფილდი სატპენის ასული. დაიბადა სატპენის ასეულში, 1841. დაინიშნა ჩარლზ ბონზე, 1860. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1884.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიტემნესტრა სატპენი

ტომას სატპენისა და მონა ქალის ასული. დაიბადა. სატპენის ასეულში, 1884. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1910.

უოშ ჯონსი

დაბადების თარიღი და ადგილი უცნობია, თავი შეაფარა მეთევზეთა მიტოვებულ სადგომს, რომელიც ტომას სატპენის საკუთრება იყო, სატპენის ბიზანი. სატპენის ომში ყოფნის დროს (1861—1865 წწ) სატპენის მამულს მეთვალყურეობდა, გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1869.

მელიცენტ ჯონსი

უოშ ჯონსის ასული, დაბადების თარიღი უცნობია, ამბობენ, რომ იგი გარდაიცვალა მემფისის სამეძავო სახლში.

მილი ჯონსი

შვილი მელიცენტ ჯონსისა. დაიბადა 1858 წ. გარდაიცვალა სატპენის ასეულში 1869 წ.

უსახელო ჩვილი

ტომას სატპენისა და მილი ჯონსის ასული. დაიბადა, გარდაიცვალა სატპენის ასეულში ერთსა და იმავე დღეს, 1869.

ჩარლზ ეტიენ სენტ-ვალერი ბონი

ერთადერთი შვილი ჩარლზ ბონის და მისი საყვარელი ოქტორონი ქალისა, რომლის სახელი არ შემონახულა. დაიბადა ნიუ-ორლეანს, 1858, ცოლად ითხოვა სუფთა ხისხლის ზანგის ქალი, რომლის სახელი უცნობია, 1879. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, 1884.

ჯიმ ბონდი (ბონი)

ჩარლზ ეტიენ სენტ-ვალერი ბონის ვაჟი. დაიბადა სატპენის ასეულში, 1882. წავიდა სატპენის ასეულიდან, 1910. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

კვენტინ კომპსონი

ტომას სატპენის პირველი იოკნაპატოფელი მეგობრის შვილიშვილი. დაიბადა ჯეფერსონში, 1891. სწავლობდა ჰარვარდს, 1909-10. გარდაიცვალა კემბრიჯში, 1910.

შრივლინ მაკ-კენონი

დაიბადა ედმონტონს, ალბერტას პროვინციაში, კანადა, 1890. სწავლობდა ჰარვარდს, 1909-14. ბრიტანეთის სამეფო ჯარის სამედიცინო კორპუსის კაპიტანი, მსახურობდა კანადის საექსპედიციო ნაწილებში, საფრანგეთში, 1914-18. ამჟამად მუშაობს ჭირურგად, ედმონტონს, ალბ.

□

სერგეი ესენინი

ანა სნეგინა[1]

თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივდივარ.
მიველ კრიუშაში და
ვხედავ ოგლობლინს, დგას მის
ჭიშკართან.
გამობრუჟული არყით საშინლად
და გულიანად ბეჩავ ხალხს თათხავს.
„ეი, თქვენ!
მოდგმავ ტარაკანების!
ავდგეთ,
სნეგინას ვეცეთ თარეშით!
ვუთხრათ, გვანებებს, თუ არ გვანებებს
თავის მამულებს დახსნის გარეშე!“
თვალი რომ მომკრა, მწარე ღიმილით
უკლო ჭირვეულ ლანძღვა-გინებას
და თქვა უზადო გულისტკივილით:
„გლეხებს ჯერ კიდევ გათლა
სჭირდებათ“.

„რად მიხმე, პროშა?“
„როგორაც ხედავ,
არცა თიბვაში და არცა მკაში.
ახლავე სადმე ვიშოვი ცხენს და
სნეგინასაკენ...
დაგვიდექ მხარში...“
აი შეაბეს ბეხრეკა ცხენი,
ხელნაში იგი ჩონჩხივით ჩანდა.
რომ მოიშორონ თავიდან, ლხენით
ასეთ ჯაგლაგებს აძლევენ სართად.
ჩვენ მივდიოდით სულ რონინ-რონინ,
გზად გვაწამებდა ღრანტე-ხრამები
და აღმართებზე დანჯღრეულ ფორნის
ჩვენვე გვიწევდა თრევა წვალებით.

მივედით.
აი მივეახლენით
სახლს მეზონინით, წინ დახრილს ოდნავ.
წნული ღობიდან თავბრუდამხვევი
უცვეთელების სურნელი ჭროდა.
ჩამოვხტით.
ტერასს ვუახლოვდებით
და თან ვიბერტყავთ ტანსაცმელს
მტვრიანს...
ოთახში ვიღაც მოთქვამს გოდებით
და მეორე ხმა ამშვიდებს მტირალს:
„ვერას გიშველის ქვითინი, კმარა...
არ გაცოცხლდება ტირილით მკვდარი...
სუ!..
აკაკუნებს ვიღაც და ჩქარა
პუდრი წაისვი...
გავაღო კარი...“

ჩათქვირებულმა მწუხარე ქალმა
ახსნა ურდული კარებს შებმული.
და ჩემმა პრონმა მყის მიახალა,
რაც ბოლმა ჰქონდა დაგუბებული.
„მოგვეცი მიწა!.. —
ყრუდ მოითხოვდა. —
ფეხზე საკოცნად მოვსულვართ განა!“
ქალი უაზროდ დუმდა, თითქოსდა
მისი სიტყვები ქარს გაატანა.
იდგა შიშისგან მთლად ფერწასული,
მერე მე მკითხა თვალმოხამხამემ:
თქვენ ალბათ გნებავთ ჩემი ასულის
ნახვა?
დაბრძანდით...
ვეტყვი ახლავე...“

იმ დღეთა რკალი მახსოვს ლანდივით,
ავბედითად რომ გული დალახვრა.
მაგრამ არ იყო ჩემთვის ადვილი
მისი მწუხარე სახის დანახვა.
მივხვდი —

---

[1] დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5.

მომხდარა რალაც ავი და
დუმილით მსურდა მე დახმარება.
„მოჰკლეს ბორია...
წადით აქედან!..
არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა!
საცოდავი ხართ, მხდალი არსება,
ის მოკვდა...

თქვენ კი აქ ხართ, სატანავ...“
ეჰ, მეტისმეტად გული დასერა,
ყველა ვერ შეძლებს ამის ატანას.
ველარ გავუძელ სილას სილაზე
და პრონს ვუთხარი:
„ნუ ვგვიანდებით;
დღეს არ არიან აქ ხასიათზე...
წამო, დუქანში ჩავკლათ დარდები...“

4

ნადირობაში განვვლე ზაფხული,
გადავივიწყე მიაი ხატება.
ის ჩემი წყენა, გულში ჩაკლული,
გამოიტირეს ლელის ღალღებმა.

ჩვენი სამშობლო არის ლარიბი
ხის ყვავილობით და ცვარ-ნამითა,
ზაფხულიც ისე სწრაფად გაირბენს,
თითქოს მაისის ღამე გავიდა.
დილას აკლდება სითბო და ეშხი,
მაღლიდან დაბლა ეშვება ნისლი
და ფოთლებისგან გაძარცვულ ტყეში
ცქაფ წიწკანების წკრიალი ისმის.

ჩემს მეწისქვილეს ულიმის სახე,
რა უხარია, არა ვიცი რა.
„ახლა კი, ჩემო სერგუხა, ნახე,
ბათქით გავავლებთ კურდღლებს
სინსილას!“
ნადირობაა სულის მალამო,
თუკი ვერაფრით გაფანტავ სევდას.
დღეს პრონი, როცა დადგა სალამო,
მთლად გაბადრული მოიჭრა ჩემთან.
„უნდა გახარო დიდი ამბები!
ნანატრი ჟამი დადგა, გვეშველა!
ახალ მთავრობით მოგესალმები!
ახლა კი ყისერს მოვუგრეხთ ყველას!

მუქთად გვაძლევენ ტყესა და სახნავს,
გვეყო, ვიყავით რაც გათელილნი...
საბჭოებია რუსეთში ახლა,
უფროს კომისრად დადგა ლენინი.
აი ესაა, ძმობილო, ფანელ!
აი თავობა და დაბადება
მე სიხარულით თითქმის გავთავდი,
ძმამ კი შარვალი მთლად ჩაისველა.
წავიდეს მაგის!..
სულ არ მადარდებს,
გახსენ წარბები, სულო, ხალვათად!
შენ მე მიყურე, ყველაზე ადრე,
სოფლად კომუნას როგორ გავმართავ“.

პრონს ჰყავდა ერთი სოფლის წურბელა
ძმა, ლაბუტია ერქვა სახელად:
განსაცდელში რომ პირს იბრუნებდა,
მერე ჩვეოდა დატრაბახება.
ასეთებს ალბათ თქვენც
შეხვედრიხართ,
კვეხნით, ლაყბობით ახორხოცებულთ...
დაატარებდა ორ მედალს რიხით —
იაპონიის ომში ბოძებულს.
სამიკიტნოში შევარდებოდა,
ხმას გააბამდა ლოთურს, ხრინწიანს:
„ლაოიანის განთქმულ მეომარს
ერთი ჩარექა მასვით ნისიად“.
შემდეგ არაყით უგრძნობლად ჩამბალს,
ღელვით, სიფიცხით მთლად აუფრენდა
და პორტ-არტურის დაცემის ამბავს
ცრემლით ჰყვებოდა თანასუფრელთან.
„ჩემო პეტია! —
ჰყვიროდა ასე. —
განა მთვრალი ვარ...
გულს მწვავს იარა.
ჩემი გმირობა მთელ დუნიაზე
იცის მარტოდენ ლაოიანმა“.

თვალში გეცემათ მსგავსი ყბედები,
ცხოვრობენ მუქთად, მიეთმოეთით.
მან გადამალა სკივრში მედლები,
როდესაც დადგა დრო საბჭოეთის.
მაგრამ იმავე რიხით, მხარგაშლით,
ვით ვეტერანი ვინმე ჭალარა,
სმის დროს ბუქავდა — მან კურუხანში,
ნერჩინსკში სისხლი როგორ დალვარა.

„ეჰ, ძმაო!
ტანჯვით ვერ შემედრები,
მაგრამ არ გვქონდა შიში სრულებით...“
. . . . . .
მისი მედლებით, მისი მედლებით –
ხალხს გაჭედილი ჰქონდა ყურები.
ის პრონს ყბედობით ნერვებს უწეწდა,
პრონიც გინებას არ ამადლიდა.
მაგრამ სნეგინას სახლს რომ
უწერდნენ,
სხვაზე პირველად იგი წავიდა.

სიჩქარე მოსდევს დაპატრონებას:
— მოიტა! მერე განესჯით გონებით!
თემმა წაიღო მათი ქონება,
საქონლითა და ქალბატონებით.

მეწისქვილემ კი...
. . . . . .
მოგეცეთ ლხენა,
ამ უსაქმურმა ჩიტირეკიამ,
ქალბატონები კარს მომაყენა,
რომ სხვისი ბედი მე გამერკვია.
ისევ მოხლვავდა რაღაცა უცებ...
და მთელი ღამე ვათიე თეთრად,
ვხედავდი ლამაზ, ვნებიან ტუჩებს,
რომ მოელრიცა ფიქრსა და სევდას.

მე მახსოვს მისი სიტყვები წყნარი:
„შემინდეთ... სწორი არ ვიყავ, არა...
გაგიჟებამდე მიყვარდა ქმარი,
რომ გავიხსენებ... ნაღველი მზარავს.
თქვენ კი
შემთხვევით გატკინეთ გული...
გამოგიტანეთ მე მსჯავრი მკაცრი...
მასში, ო, რაღაც იყო ფარული,
ცოდვილ ვნებად რომ ჩამითვლის კაცი.
ჰო, დიახ,
მე ამ შემოდგომამდე
ბედნიერებას მრავალს მოვთვლიდი...
შემდეგ კი, ვიცი, მიმატოვებდით
სასმელისაგან დაცლილ ბოთლივით.
მიტომ არ იყო საჭირო ჩვენი
არც სიახლოვე და არც შეხვედრა...
თანაც ,მით უფრო, იმ ძველი რწმენით
ეაწყენინებდი საბრალო დედას“.

მაგრამ შევცვალე სიტყვის საგანი,
თან ჩავაშტერდი თვალებში მძაფრად
მისი ნატიფი, მოქნილი ტანი
ოდნავად უკან გადაიხარა.
„ანა,
მითხარით, სახლის დარბევის
გული გტკივათ და ხართ ნაწამები?“
არ მიპასუხა მან არაფერი,
სევდით დახარა ძირს წამწამები.
. . . . . .
„შეხედეთ...
ღამის ბურუსი გაქრა,
თოვლზე გიზგიზებს ცისკრის ხანძარი..
თითქოს რაღაცას მაგონება, მაგრამ
რას?.. —
დავიწყების ფარავს ნაცარი...
აჰ!.. ჰო...
ეს მოხდა ჩვენს ბავშვობაში...
მაგრამ ის იყო სულ სხვა ცისკარი...
მე და თქვენ ერთად ვიჯექით მაშინ..
და ჩვენ ვიყავით თექვსმეტისანი...“
შემდეგ მომავლო აზიზად მზერა,
მოხარა მკლავი — ყელი გედისა;
მერე თითქოსდა თქვა დაუდევრად:
„კარგი, გვეყოფა...
ძილი ნებისა...“
. . . . . .
საღამო ქამს კი თავის გზას გაჰყვნენ.
საით?
არ ვიცი გეზი ნამდვილი.
ვაკეში ყველგან არჩევია სარკე
და გზის გაგნება არის ადვილი.

ველარ ვიხსენებ იმ დღეთა ამბავს,
ან პრონის საქმე როგორ დამთავრდა.
მე პიტერისკენ გავქანდი სწრაფად
სევდის და რულის გასაფანტავად.

5.

იყო მკაცრი და მრისხანე წლები!
განა ყველაფერს აღწერ დაწურვით?
სასახლის თაღებს ესმოდათ ცხელი
დედის გინება ჯარისკაცული.

ეხ, სიჩაუქე,
წლებმა გალეწეს!

კარდაკარ თრევით და ხეტიალით,
ტამბოვურ ფოქსტროტს როიალებზე
ძროხებს უკრავდა ბრბო ტურტლიანი.
კართოფილისა და მარცვლეულის
ფასად გრამაფონს გლეხმა აკოცა, —
თხის ფეხის ღრღნის დროს
დორბლმორეული
სიამოვნებით უსმენს ტანგოსაც.
გადასახადებს ლანძღავს სიბრაზით,
თან სარფს ხელს უჭერს ყინმორეული.
აცეტებული ფიქრობს იმაზე,
ლაჯებში როა გამომწყვდეული.

წლები მიჰქროდნენ
მძაფრად, დგაფუნით...
გლეხკაცს სად ჰქონდა ხვედრი მზიანი.
ბოთლებში ბლომად დაობდა ფული—
„ქერენკები“ და „გასავლიანი“.
ჩემო მკვებავო! გვრიტო! დუნგირავ!
ვინც ფლობს საქონელს და სახნავ
მიწებს,
ორ გასვრილ „კატკის“ ფასად, თუ
გინდა,
თავს შენს ნებაზე გაგაშოლტვინებს.

კმარა,
გვეყოფა ამოკვნესანი!
არ გვინდა სიტყვა ქირდეა-კილვისა!
ბარათი, პრონის ხვედრის შესახებ
დღეს მომივიდა მეწისქვილიდან:
„სერგუნ! სალამი-უმხურვალესი!
რად დახშე, ძმაო, გულის კარები!
აგერ ა, წელი გავიდა ექვსი,
რაც კრიუშაში არ გვეკარები!
დაიძარ!
გულზე მომფინე ვარდი!
და გაზაფხულზე ჩამოთარეშდი!
როგორ დაიტევს იმას ბარათი,
რაც დატრიალდა ამ ჩვენს მხარეში.
ხალხი დამშვიდდა, მოგვეცა შვება,
დაცხრა გრიგალი ცეცხლგამოვლილი.
გატყობინებ, რომ ოც წელში მტრებმა
დახვრიტეს ჩვენი პრონ ოგლობლინი.

რუსეთი...
მოჰგავს გიჟის კივილსა.
შენ დამიჯერებ ამას თუ არა —
ერთხელაც რაზმმა დენიკინელებმ
კრიუშას ზათქით ჩამოუარა.
აი, აქ ატყდა სეირი მართლაც.
ამნაირ სეირს გვაჩვენებს თეატრიც.
საქმე მიეცა კაზაკებს ბალთაც
და ხალხის ბეჭებს ზუზუნით ფლეთდა.
მაშინ აუგეს ანდერძი პრონსაც.
ლაბუტია კი ციებ-ცხელებით
ზვინში შეძვრა და გამოძვრა, როცა
ტყეს მიეფარა კაზაკთ ცხენები.
ახლა, როდესაც ჩაცეცხლავს, ჩანთქავს,
ტრაბახულ ღრიალს თავს არ ანებებს:
„მამაცობისთვის ღირსი ვარ მართლაც,
რომ წითელ ორდენს დავატარებდე“.
ზეცამ ღრუბლები გადაიპენტა...
თუმც სამოთხეში არ ვცხოვრობთ,
კარგო,
მაინც ჩამოდი ჩემდა იმედად,
რომ ჩემს ბედ-ილბალს ნუგეში არგო“.

ისევ გზაზე ვარ, ფიქრებით სავსე.
ივნისის ღამე სივრცეს ბურავს და
მიჯაგჯაგებენ ფორნები გზაზე
არც მხნედ, არც ავად, ძველებურადა.
საამოდ ისმის ეტლის ბორბლების
წყნარი ხმა, ჩანს, რომ შარა კარგია.
ღამეა. მთვარეს შორი სოფლები
ოქროს ფიფქებით მოუქარგია.
კრთიან ნაცნობი საყდრები, გზები,
ჭები და დაწნულ ღობეთა რიგი.
და გული მიცემს ისეთი გზნებით,
როგორც მიცემდა წარსულში იგი.

ისევ წისქვილი...
დაბურულ ნაძვნარს
ციცინათლების სანთლები რკალავს.
მეწისქვილეს კი, სიტყვა რომ დაძრას,
ძველებურადვე არ ჰყოფნის ძალა.
„სერგუხა! კარგო! ხომ გამახარე!
აჰ, გამიცივდი გზაზე ეგების?
ჰე, დედაბერო, ჩქარა, ახლავე,
მოგვართვი ჩაი და ღვეზელები.
სერგუნ! ბაჯაღლო ოქროვ! მისმინე!

. . . . . .

წლებით შენც უკვე მოხუცი გეთქმის...

შენი საყვარელ სულის ჭირიმე,
მსურს საჩუქარი გადმოგცე ერთი“.
„რა საჩუქარი?“
„რა და...
ბარათი“.
„რად ჩქარობ, კარგო, თქვი თავიდანვე“!
„ორ თვეზე მეტი თითქმის, ჰა, გადის,
რაც ის ფოსტიდან შინ მოვიტანე“.
ვხსნი და ვკითხულობ გულანაძგერი...
მივხვდი, ვინც მწერდა, არც კი
შევჩერდი!
დაუდევარი ხელით ნაწერი,
თანაც ლონდონის ფოსტის ბეჭედი.
„თქვენ ცოცხალი ხართ?.. ძლიერ
მიხარის...
ქვეყნად ცოცხლებში ჯერ მეც
ვითვლები.
აჰ, მესიზმრება ხშირად ჭიშკარი,
წნული ლობე და თქვენი სიტყვები.
ახლა მე თქვენგან ძლიერ შორსა ვარ...
რუსეთში ახლა ჰყვავის აპრილი.
არყებს და ნაძვებს შესამოსავად
ლურჯი ნისლი აქვთ გადაბარდნილი.
ახლა მე, როცა ნაღვლიან სიტყვებს
ვანდობ ამ ბარათს, დარდით ვნებული,
მეწისქვილესთან ერთად თქვენ იქნებ
როჯოებსა ხართ ჩასაფრებული.
ხშირი სტუმარი ვარ ნავსადგურის,
სად ხომალდებით ავსილა ყურე.
ვდგავარ და შიშით, თან სიხარულით
საბჭოთა წითელ დროშას შევყურებ.
ახლა მანდ ძალა აღზევებულა
ჩემი გზაც უკვე მაქვს მონახული.
მაგრამ მიყვარხართ კვლავ
ძველებურად,
როგორც სამშობლო და გაზაფხული“.

. . . . . .

ბარათი იყო და რა ბარათი,
უნაკლო.
მე მსგავსს ვერვის მივწერდი.

ჩემს სათივეში, როგორც მანამდის,
ქურქმოხურული მივაბიჯებდი.
დაბურულ ბაღში მივარღვევ ტოტებს,
იასამანი ღაწვზე მედება.
დახავსებული, დაწნული ლობე
აღგზნებულ თვალებს ეხვევრდება.
თექვსმეტი წლის რომ ვიყავ, ოდესღაც,
თეთრკაბიანმა გოგონამ წყნარად,
სწორედ, აი, აქ, ამ წნულ ლობესთან
ალერსიანად მესროლა: „არა!“
შორი დღეები თვალებს მიჰფარდა!..
ის სახე გულში ჩამრჩა კვიმატად.
ჩვენ იმ ასაკში ყველა გვიყვარდა.
მაგრამ ვუყვარდით
თურმე იმათაც.

იანვარი 1925
ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

იუსტინას მარცვლავაჩუსი

იკაროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა თამაზ გოდერაძიშვილმა

მოქმედი პირნი

იკაროსი
დედალოსი — *იკაროსის მამა*
ალოპა — *იკაროსის დედა*
პილადე — *ბრმა, „ჩვენი ჰომეროსი"*
ოკასტე
მთავარი ტრიბუნა
მსუბუქ ტრიბუნათა გუნდი
უტრიბუნო კაცი
მწყურვალი
ჭურუმი

ბუნდული კრეტა. ზღვის ცლდოვანი ნაპირი. ცლდეს შეტმასნილი ქოხი, იქვე — ფარდული. ქვევით — ფიროუზისფერი, ხან მშვიდი, ხან კი მღელვარე ზღვა. ზეთისხილის ხეზე იალქანია გასაშრობად გადაფენილი, ნიავი არხევს იალქანს და ასე გგონია, თუ მოისურვა, ისიც უზარმაზარი ჩიტივით აფრინდება და ამყვება ზღვას. სიხარულითა და სიყვარულით სავსეა მზიანი დილა. ფარდულში კიკინებენ თხები, ყეყანებენ ქათმები, ხანდახან ღორის ღრუტუნიც ისმის.

იალქნის ჩრდილში იკაროსი ფუსფუსებს, თან უსტვენს... მერე გატაცებით გახედავს ზღვას და მსუბუქად და ლამაზად აცოცდება ცლდეზე, მიმოიხედავს, არავინ მითვალთვალებდეს, და ფრთებივით დაიქნევს ხელებს, ადგილზე ხტის, თითქოს ფრინველთა საიდუმლო რიტუალს ასრულებდეს, თან სიხარულითა და კმაყოფილებით ყივის..

ქოხის დირეზე ალოპა გაღმოდგება, გემრიელად იზმორება, ზღვას გახედავს, მერე ცლდეზე აცეკვებულ შვილს დაინახავს; შინიდან ქოთანს გამოიტანს და ბიქს დაუყვირებს:

ალოპა — ეი, იკაროს! სულ ასე ბალღივით უნდა იხტუნო?! გასწი, თხა მოწველე! არ გეუფლება, როგორ ყიყინებს?

იკაროსი — (*შეცბება და ცლდიდან უსწრაფესად დაეშვება*) ახლავე, დედი! (*დედას ქოთანს გამოართმევს და ფარდულში შევა, ისმის, როგორ ჩაჩხრიალებს რძე ქოთანში*).

იკაროსი — (*ფარდულიდან*) დედი, ძალიან მაღლა აფრინდა?

ალოპა — (*თმას იგარცხნის*) ვინა?

იკაროსი — ვინ და მამა!

ალოპა — ა...ა... მამა? (*ნაღვლიანი ღიმილით*) დამე იყო, ბნელოდა, კარგად ვერ დავინახე.

იკაროსი — (*საყვედურით*) მაგას როგორ ამბობ, დედი? კაცი გაფრინდა და შენ კი... ბნელოდაო. თვალი არ უნდა მოგეშორებინა!

ალოპა — (*ამოიოხრებს*) მართალია, ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი.

იკაროსი — (*პაუზის შემდეგ*) ალბათ ამ ცლდიდან ისკუპა, არა? აქ შემხვედრი დინებებია.

ალოპა — არა! ფანჯრის რაფიდან!!

იკაროსი — (*რძიანი ქოთნით ხელში ფარდულიდან გამოვარდება*) ფანჯრის რაფიდან? როგორ თუ ფანჯრის რაფიდან?

ალოპა — როგორ და... ჯერ მაკოცა... მერე ფანჯარა გამოაღო, რაფაზე შედგა და სკუპ!! კაცები ფრენას ფანჯრის რაფიდან იწყებენ.

იაკოსი — (ქოხის ერთადერთ ფანჯარას მიაცქერდა) აჭ ხომ ფრთებსაც ვერ გაშლიდა?! ერთი უნდა ვსინჯო.

ალოპა — მოესწრები, ნუ გეშინია. ჯერ ფანჯარა უნდა მოძებნო.

იაკოსი — რას ამბობ? ჯერ ფრთები უნდა გავაკეთო. ვერ გამიგია, მამაჩემის ფრთებზე რატომ არაფერს მეტყვი? რისგან გააკეთა? ალბათ ძალიან დიდი ფრთები გა-გამოუვიდა, არა? მძიმე იყო? ნუთუ სულ არ დაინტერესდი, როგორ [illegible] გამოიგონა მამაჩემმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალოპა — (გაბრაზებით) რძე მომაწოდე! (აჯაერებს) „მძიმე იყო?" დიახ, მძიმე გახლდათ, ჩემი ბედივით. (ამოიოხრა) იმ ფრთებით რომ არ დავინტერესებულიყავი, შენი ხსენებაც არ იქნებოდა. ბიჭო, შენ ხხვა საქმე აღარა გაქვს, სულ იმ ფრთებზე რომ ლაპარაკობ?

იაკოსი — როგორ არ გესმის, დედი... შენ მამასაც ვერ გაუგე...

ალოპა — (ქოთანს მიწაზე დაანარცხებს) ვერ გავუგე, არა? ვერ გავუგე ხომ? კარგი, რახან ასე გსურს, ყველაფერს გიამბობ! დაფრინავდა, დიახ, დაფრინავდა და მერე როგორ! ერთი ფანჯრიდან მეორისკენ, ერთიდან-მეორისკენ... დედალოსი ულამაზესი კაცი იყო, თანაც ოქროსხელება... მეფე მინოსის არქიტექტორი გახლდათ... მამაშენმა ააგო ის სახელგანთქმული ლაბირინთი, მთელი საბერძნეთი რომ დაიძრა მის სანახავად. ასეთი კაცისათვის ყველა ფანჯარა და ყველა გულიდია იყო, ყველა ჭიტონი — ქამარშეხსნილი- ნავარდობდა, ოპ, როგორ ნავარდობდა! ოღონდ ეგ იყო: ერთი ფანჯრიდან ორჯერ არასოდეს აფრენილა...

იაკოსი — (თავზარდაცემული) რას ამბობ, დედი! მამა ხომ დაფრინავდა... ყველას ეს აკერია პირზე; სიმღერებიც მოუგონეს. შენ ხომ გიყვარდა მამა და კარგად უნდა დაგენახა, როგორ გაფრინდა. ვაითუ რაიმე უბედურება შეემთხვა და იმიტომ აღარ გვიბრუნდება?- შენ კი... ასე რატომ ლაპარაკობ? ეგებ გეშინია, შვილიც არ გამიფრინდესო? ნუ დარდობ, დედი! მე არ მიგატოვებ... არ მიგატოვებ! არასოდეს! ცოტას ვიფრენ და... ზღვას მინდა გადავუფრინო, მინდა იდას მთის მწვერვალს დავხედო, ქალაქ კნოსსაც გადავუარო... აი, ნახავ, დედი, ყველა იტყვის, ალოპას ბიჭი დაფრინავსო, და მოწიწებით მოგილოცავენ.

ალოპა — (გაცეცხლებული) გმადლობთ. მე უკვე მომილოცეს... თანაც ორჯერ. პირველად ასე მითხრეს: მოგვილოცავს, გავიგეთ დედალოსი დაგიბიაო!" და მეორედ: „მოგვილოცავს, ამბობენ, ოსტატი გაფრინდა და ალოპას საჩუქრად რაღაც დაუტოვაო". მეტი მოლოცვა აღარ მინდა. მამაშენზე კი... ეგებ მართალიც იყო და წყენას ამდენ ხანს გულით არ უნდა ვატარებდე! აი, შენი განუყრელი მეგობარი, „ჩვენი მომეროსი", პილადეც მოვიდა. მაგას ჰკითხე. ყველაფერი იცის... ფრთებზეც და სიყვარულზეც... (ეძახის) ეი, პილადე, აქ ჩამობრძანდი, სიგრილეა. მჭადი საცაა გამოცხვება... საამწუხაროდ, რძე დაშეღვარა...

შემოდის პილადე

პილადე — ნუთუ ვინმეს შესწევს ძალა შენი ნახელავი იუაროს, ალოპა? ან იუაროს ჩამოჯდომა იმავე ეზოში, საიდანაც კრიალა ცას მიაშურა დვთაებრივმა დედალოსმა, მთელ ქვეყანაზე სახელი რომ გაუთქვა ჩვენს აუვავებულ, გაფურჩქვნილ კუნძულს, რომელზეც მეფეთა შორის უბრძენესი, უსამართლიანესი და უმშვიდობისმოყვარესი მინოს მეორე მბრძანებლობს...

ალოპა — (დანანებით) აღარ მოეშვა ამ დეკლამაციას! (გაბრაზებით) მისმინე, ომეროს! ლაყბობას თავი დაანებე და ბალღს მიმიხედე. ლამის არის ჭკუიდან გადავიდეს, ისე აინტერესებს იმ ფრთების ამბავი. ყველაფერი უამბე: წამოიზარდა, უკვე დროა სიმართლე გაიგოს. ოღონდ, გეთაყვა, პოეზიასა და ჰეგზამეტრებს შეეშვი. ახალგაზრდობამ სიმართლე უნდა იცოდეს- (ამოიოხრა) აღარც მე ძალმიძს მარტომ ვათრიო დედალოსის მძიმე ფრთები; თანაც ბალღს თვალი ვუსწორო და სულ ერთი და იგივე ვიძახო: გაფრინდა! გაფრინდა, ბატონო, და ჯერ არ დაბრუნებულა! (ძველ კალათს ფეხს გაჰკრავს) მეხი დაგაყარეთ თქვენც და იმ ფრთებსაც! (გადის)

იაკოსი — (მიაყვირებს) ფრენა კაცობრიობის ოცნებაა! რას იფიქრებს ომეროსი?! (პილადეს მივარდება) მამა ხომ გაფრინდა? ხომ გაფრინდა? თქვი, ხომ გაფრინდა?

პილადე — (თავის დაძვრენას ცდილობს) ისე, რა...

იკაროსი — სიმართლე მითხარი! ვერ გაიგონე, დედამ გიბრძანა, სიმართლე უთხარიო!

პილადე — (ოხვრით) რაკი არ იშლი... (პაუზის შემდეგ) მამაშენი გაიქცა, ბიჭო!

იკაროსი — (ვერ გაიგო, თუთიყუშივით იმეორებს) გაიქცა...

პილადე — (ჩქარობს აუხსნას) დედაშენს კი არ გაიქცა! არც შენ, არც შენ... ალბათ იცი, მამაშენი დიდებული ოსტატი იყო: ყველაფერი იცოდა, ყველაფერი შეეძლო. თუ რამეს ხელს მოკიდებდა, აუცილებლად გააკეთებდა [illegible], ცოტას შეთვრებოდა თუ არა, რაღაც ფრთებზე ლაპარაკობდა [illegible] ყიდვაც დაიწყო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს ამბავი ხელისუფალთ გააგებინეს. იქ დედალოსის გამოგონებას სულ სხვა თვალით შეხედეს. ფრთებს თუ აკეთებს, ესე იგი, გაქცევა უნდაო... დათესვა ანუ ემიგრაცია, გესმის? არ გაგიგია, ასეთ შემთხვევაში მმართველობა როგორ იქცევა? სულ უბრალოდ: ფეხებს გადაგიმტვრევენ... რომ არ გაიქცე... რომ სხვა მბრძანებელს ჩვენნაირი ლაბირინთი არ აუშენო. ხელები შეგრჩება... ხელებს შეგინარჩუნებენ, რომ ხაზო, გეგმო, შექმნა... ოღონდ მხოლოდ ჩემთვის, ჩემ სასიამოვნოდ, ჩემ სასარგებლოდ! გასაგებია? მოტეხილი ფეხებით შორს ვერ გაიქცევი. თუ გახსოვს, ოლიმპოზე უკვე გვყავს ერთი ასეთი ფეხმომტვრეული, ღმერთებისგან დაკოტლებული მეფესტო, მჭედელი რომ არის. მოდა, როგორ გგონია, ადამიანები ღმერთებს არ მიჰბაძავდნენ?

იკაროსი — (თავზარდაცემული) არა მჯერა! მაგას ვერ დავიჯერებ!

პილადე — მაშ, შემომხედე; მკითხე ერთი, თვალები რა უყავი-თქო?

იკაროსი — რა ვიცი. შენ ხომ ბრმა ხარ!

პილადე — (წამობტება) თუ არ იცი, ახლავე გიამბობ. შენ ჯერ კიდევ არ იყავი ამქვეყნად მოვლენილი, როცა ჩვენმა ჯარებმა კუნძული დელოსი დაიპყრეს ზღვაზე გონივრული ბრძოლების შემდეგ. ახალგაზრდა ვიყავ მაშინ, ამაყი და პოეზიის ცეცხლით სავსე: ერთ ღამეში შევთხზე სიმღერა, ჩვენი ჯარის სიმამაცის სადიდებელი, მეფე მინოსის სტრატეგიული და ტაქტიკური გენიის საგალობელი. მეორე დღესვე, ღრეობის ჟამს, ვიმღერე იგი. მომიწონეს მხედართმთავრებმა და თვით მეფემაც. თავის სუფრასთან მიმიპატიჟეს, თავი გამიყადრეს, მელაზღანდარნენ, მასვეს, მაჭამეს, მაქებს, მადიდეს. მოოქროვილი თვისი თასი მაჩუქა მეფემ. და როდესაც ქებისა და ღვინისაგან მთვრალმა ჩავთვლიმე, რამდენიმე კარისკაცი თავს დამესხა, წამომაქცევეს, მიწას დამაკრეს და თვალები, ორივ თვალი დამთხარეს. (ყვირილით) როგორია? ხომ მოგეწონა? კარგია, არა? აი ხელმწიფის მოწყალება ოდისათვის, ქებისა და დითირამბისთვის! ხმა ამოიღე! ჰა! როგორია?

იკაროსი — (თავზარდაცემული) კი მაგრამ.. რისთვის? რატომ? პირველად მესმის...

პილადე — რისთვის და, აღარაფერი რომ არ ვიხილო, იმ ომის გარდა, ჩვენი მბრძანებლის გამარჯვების გარდა; რომ მხოლოდ იმ ტრიუმფზე ვიმღერო. რას იზამ, არც პირველი ვარ ამ საქმეში, არც — უკანასკნელი. გაგეგონება, ამპელებმა დაანგრიეს თვით მომეროსი; ბარბაროსმა კელტებმა კი თავიანთ პოეტს დიდ ფინგალოსს დაუშთეს თვალნი. სხვანი უფრო ბუმბანურად იქცევიან — აბრმავებენ ოქროთი, წყალობით, უზრუნველყოფით: ადამიანის სულს თხრიან თვალებს. არავინ უწყის, რომელი სიბრმავე უფრო მწარეა; თუმც შორს შევტოპეთ... ჩვენ ხომ დედალოსზე ვსაუბრობდით. მართლა გაინტერესებს ის ამბავი?

იკაროსი — ყოველივე უნდა ვიცოდე!

პილადე — მოსაყოლი ბევრი არ დამრჩა... მოდა, დედალოსს ვიღაცამ მეფის განზრახვა შეატყობინა: სასახლესაც ემსახურებიან ნამდვილი ადამიანები ზოგჯერ. მამაშენი ჩემთან მოვარდა. მცირე ხანს ვიბჭეთ, ნავი გავმართეთ, ბნელს და ზურგის ქარს დაველოდეთ და... სიცილიისკენ გახრიალდა დედალოსის ნავი. აღუსრულდა, როგორც იქნა, დიდი ხნის ნატვრა: სულ ილტვოდა სიცილიისკენ. წასვლით წავიდა, მაგრამ კუნძულს ვით მიალწია, ველარ შევიტყვეთ. თუმც მაინც უნდა გაქცეულიყო, რადგან უკვე სიხხამ დილით გარს შემოერტყნენ თქვენს ბუხულას ჩაფრები მეფის: სად წავიდაო, რატომაო, როდისაო, ყველას ამას ეკითხებოდნენ. მდევარი რომ არ აკიდებოდა, ავდექი და ვუთხარი: ფრთები, ახე რუდუნებით რომ აკეთებდა, მხრებზე შეიხხა და ზეცაში აფრინდა-მეთქი. არც ის უთქვამს, საით გაფრინდა და არც — როდის დაგვიბრუნდება-მეთქი.

იაკაროსი — და ახე შეჰქმენ ეს მარადიული სიმღერა მფრინავ დედალოსზე?

პილადე — იმ დღესვე არა, რა თქმა უნდა, შემდეგ, ნელ-ნელა.

იაკაროსი — როგორ შესძელ, ახე გეცრუა?

პილადე — მე მამაშენი ვიხსენ, ჰაბუკო!

იაკაროსი — ძალიან იოლად ამბრთლებთ ხოლმე ნათქვამ სიცრუეს ხანში შესულნ

პილადე — რა სიცრუეა, ჩემო კარგო, ფიქრში ხომ ფრენდა? ხომ ფრენდა? სიმართლეა! იძულებითი ემიგრაცია რომ არა, ვინ უწყის, ეგებ ეგო კიდეც მფრინავი ფრთები. საოცარი რამ უნდა გითხრა, ჩემო იკაროს, გინდ დამიჯერე და გინდ არა: სიმღერას ვთხზავდი დედალოზზე, თავად კი ვფრენდი. სინდისს ვფიცავ, იმ ხანუკვარ ბედნიერებას შევეხე ცხოვლად, ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია მანამ, ბედნიერი ვიყავი, რადგან ეს ალარ იყო სიმღერა მეფე მინოსის ტრიუმფსა და ზღვაზე კუნძულ დელოსთან მტრის ძლევაზე. როგორ ვმღეროდი, ნეტავ გესმინა! იცრუეო, წელან მითხარი. ეს სიცრუე კი არა, ჭეშმარიტება იყო ცით მოვლენილი! მე შევქმენ მითი მამაშენზე! მე წამოვწიე ეს იდეა მფრინავ ვაუკაცზე, ახლა ათასობით ჰაბუკთა გულებს რომ აღფრთოვანებს და, მათ შორის, შენს გულსაც რომ ცეცხლად მოედო; რას მეტყვი, განა ის ფრთებიც, ფარდულში ჩუმად რომ აკოწიწებ, მე მოვიგონე? (თანდათან აღეგზნება) დაიმახსოვრე: თუ მოსწყდები დედამიწას შენ, იკაროსო, თუ მოსწყდებიან დედამიწას ძმები შენი, შვილთაშვილნი ან მონაგარნი — ჩემი სიმღერა მოგონილი ალარ იქნება! თუნდაც დამარცხდეთ ცასთან ჭიდილში შენ ან შენი შთამომავალნი, მაინც გიცხადებ, სულ ერთია, ჩემი სიმღერა არ იქნება არცა სიცრუე, არც მოგონილი: და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ეს სიმღერა იმაზეა, თუ რას ელტვოდა, თუ რას ელტვის და მუდამ ეამს რასაც მიელტვის ადამიანი. თავისუფლების ბიმნი გახლავთ ჩემი სიმღერა.

იაკაროსი — (გაცეცხლებული) მფრინავად ვრაცხდი, ის კი თურმე ნიჩბებს უსვამდა! (პაუზის შემდეგ) მოიცა, მოიცა... შენ ვინ გგონივარ, ჩემო პილადე? დედაჩემის ძალდატანებით რალაც ზღაპარი მოიგონე და თავს გინდა რომ მომახვიო? არ მჯერა ეგ ამბავი, პილადე, და ძალიან გთხოვ, შენც არასდროს გაიმეორო. გადაივიწყე, გადაივიწყე! (პაუზის შემდეგ) აი, სიმღერა შენი კი მჯერა... გემუდარები, დაამღერე ახლა ის მუხლი, დედალოსი კრეტას რომ დაფრენს, მშობელი კუნძულის სილამაზით გადარეული.

პილადე — (მხარზე გადაკიდებულ ლირას ჩამოიღებს, სიმებს აეღერებს ხელის ჩვეული, დინჯი მოძრაობით და რეჩიტატივით მღერის).

და აირეკნა დედალოსმა, როს იგრძნო ქარი,
ძლიერი ფრთები დაიქნია და ამყვა ჰაერს
და მოეჩვენა: არ უშვებდა მიწა ხელიდან,
თითქოს დაება უხილავი მძიმე ჯაჭვებით.
ზევით, სულ ზევით გააქროლეს იგი მძლე ფრთებმა
და ბა, რას ხედავს — მშობელ კუნძულს, ედემის სადარს!
რჭუა დედალოს: „ზეციისფერო დელფინო, კრეტა!
იდახ მთა წმინდა შემოგისვამს ზურგზე ბალღივით
და შენს ფერდობებს ზღვის ქაფივით ესევა ცხვარი;
მწვანე ბუჩქები ანგელოსთა მგვანან მანდილებს...
რომელი ერთი ჩამოვთვალო — ზვრები თუ ძნები,
ბუხრის კვამლები თუ კოპწია ზეთისხილები?!
მშობელო მიწავ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ,
თუმცა საცაა თავს ზე უნდა გადაგაფრინდე?"

ალოპა — (ქოხის დირედან) ასეც ვიცოდი — უბეგზამეტროდ წუთს ვერა სძლებ. ერთი მითხარი, როდისღა ისვენებ?

პილადე — მე ღმერთსა ვგავარ, ქალო ალოპა: ვისვენებ, როცა შრომისაგან ოფლი მდის ცხელი და ვმუშაობ, როცა ვისვენებ.

ალოპა — მჭადი გამოცხვა... ამბროსია ნუ გეგონება, მაგრამ არც შენა მყავხარ უცოდველი უფალი.

პილადე — (ქოხისკენ მიდის) რა ვიცით, ალოპა, რა ვიცით...

იკაროს — (მიაყვირებს) შენ პოეტი ბარ, პილადე. ნამდვილი პოეტი! შენში პოეტი ნაღდად ხსაბნის ენატკბილ მთხრობელს.

პილადე — ხა! ხა! მაშ, კარგი უქნიათ, ორთავ თვალი რომ ამომთხარეს.

იკაროსი — მე გავფრინდები, პილადე! აი, ნახავ, რაც უნდა მოხდეს, გავფრინდები... უთუოდ... მამარემოვით.

პილადე — ხმა ჩაიქმიდე და ნუ გაჰკივი აგრე ბმამაღლა. ახალგაზრდა — ნახ! ... ყველ ყიდევ დიდბანს გვეჭირდება ეგ თვალები და ეგ ფეხებიც (ალოპას შეაყვედა ქოხში).

მარტოდ დარჩენილი იკაროსი ფარდულს მიაშურებს. მალე უკან გამობრუნდება, ხელებზე ფრთები მიუმაგრებია. იკაროსი ცეკვავს პანტომიმას, რომელიც ლედალოსის ფრენაზე მოგვითხრობს. და თან პილადეს პოემიდან ხან ერთ, ხან მეორე სტროფონს წამოიძახებს:

იკაროსი — „ზეციისფერო დელფინო — კრეტა!"
„რომელი ერთი ჩამოვთვალო ზვრები თუ ძნები,
ბუხრის კვამლები თუ კოპწია ზეთისხილები!..."
„მშობელო მიწავ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ,
თუმცა საცაა, თავს ზე უნდა გადაგაფრინდე?"
მე მაინც ვიფრენ, ვიფრენ, ვიფრენ, ვიფრენ....

სცენაზე შემოდიან კრეტაელები, მათ შორის ქათქათა ქიტონიანი იოკასტე. გუნდს წინ უძღვის ჭურუმი. ორი კაცი ძლივს მიათრევს მსხვილ ბოძებზე გაკრულ პლაკატს: „ნურც დარჩენილა ჩვენს კუნძულზე ადამიანი, ოდეს არ უხაროდეს!" გუნდის ერთ-ერთი წევრი — მწყურვალი კაცი — შემოსვლისთანავე ყველას იალუნისკენ მიახედებს. მერე მივა, მტკაცლით ზომავს, სინჯავს.

ჭურუმი — (თვალს არ აშორებს იკაროსის ცეკვას) **მანდ რას აკეთებ, ყმაწვილო?**

იკაროსი — **მე?** (პლაკატს შეხედავს) **ვხაროობ!**

ჭურუმი — **რატომ მერე, რატომ?**

იკაროსი — **იმიტომ, რომ... გაბარებული ვარ.**

ჭურუმი — **რამ გაგაბარა, ყმაწვილო?**

იკაროსი — **იმან, რომ მალე ჩვენს კუნძულზე არ დარჩება ძე-ხორციელი, ოდეს არ უხაროდეს!**

ჭურუმი — **მართალია. ახლა ერთი მითხარი, ეგ ფრთები რად გინდა?**

იკაროსი — **ჰერმესსა ვბაძავ.**

ჭურუმი — **ხომ იცი, დღეს აპოლონის დღესასწაულია. ჩვენ ყველანი კნოსში მივდივართ, ღირს აპოლონ საზეიმოდ ბუღა რომ შევწიროთ.**

იკაროსი — **მე კი ჰერმესი ვარ — ღმერთთაგან მოვლენილი, და მოვედ. რათა გითხრათ თქვენ; ხარობს აპოლონ, რადგანაც ხარობთ თქვენ.**

ჭურუმი — **როგორც მახსოვს, ჰერმესს ფრთები ფეხებზე ჰქონდა....**

იკაროსი — **ოდნავ სრულყოფილი მექანიზმი. აზრის წინსვლას რა შეაჩერებს?**

ჭურუმი — **ჭეშმარიტების ლაღადებ, შვილო ჩემო. ჩვენც არ დავყოვნდებით. ჩვენც წინ მივალთ. მზე სულ უფრო და უფრო ბრწყინდება. ჩვენი ზეთისხილი უფრო და უფრო მსხვილ მარცვალს ისხამს. მალე ერთ ცალსაც ველარ ჩავიტევთ პირში. და აი, მაშინ მთელი სიმძაფრით წამოგვეჭრება ერთი პრობლემა: როგორ გავადიდოთ ადამიანის პირი? ყმაწვილო, დედალოსი ჯერ არ დაბრუნებულა?**

იკაროსი — **არა. რა გნებავთ, ეგებ მე გემსახუროთ.**

ჭურუმი — **ჰმ! მაშ დედალოსის ხელსაწყოებს წაიღებთ. ჩვენ მხოლოდ ჩაქუჩი და დანა გვჭირდება. ჩაქუჩს ბუღას თავში დავკრავთ და გავაბრუებთ. დანას კი ყელში გამოვუსვამთ. ეს დიდი პატივია დედალოსის ხელსაწყოებისთვის.**

იკაროსი — **მართალსა ბრძანებთ... მაგრამ დანაც მჭირდება და ჩაქუჩიც...**

ჭურუმი — **არა არის რა იმაზე სასიხარულო, უსაჭიროეს ნივთს თუ გასცემ!**

იკაროსი — **ეგეც მართალია** (ფარდულიდან დანას და ჩაქუჩს გამოიტანს). **არა არის რა იმაზე სასიხარულო, ნათხოვარ ნივთს თუ დააბრუნებ.**

ჭურუმი — **ტრადიციისამებრ, დანა უნდა დაისაჯოს: ზღვაში უნდა ისროლონ; ახლა უბსოვარ დროიდან.**

იკაროსი — **სად სჯით ხოლმე დანებს?**

ჭურუმი — **თოლიების კლდესთან.**

იკაროსი — გმადლობთ. თუ ნებას მომცემთ, თოლიების კლდესთან დავყვინთავ და დანებს ბლომად მოგართმევთ.

ჟურუმი — (წასვლისას) არა არის რა იმაზე სასიხარულო, ასეთი გამგონე ყმაწვილი კაცი რომ შეგხვდება.

იკაროსი — (ოკასტეს ხელს წაავლებს) ოკასტე, გთხოვ, დარჩი ჩემთან.

ოკასტე. არ შემიძლია. წესის აგებაში ვმონაწილეობ. დანის გასალესად წყალი მე უნდა ამოვიტანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკაროსი. — სამწუხაროა.

ოკასტე — მერე კი... თავისუფალი დროც მექნება...

იკაროსი — მაშ, გამოიქეცი ჩემთან, ოკასტე- ხომ მოხვალ? ხედავ (ფიცრებსა და იალქანს უჩვენებს), რამდენი რამ შევაგროვე? ფრთები გავაკეთოთ!

ოკასტე — თუ იქ რაიმე უფრო სასეირო არ იქნება...

იკაროსი — რა უნდა იყოს... მოხუცების ლაყბობის მეტი...

ოკასტე — (გარბის) კარგი, მოვალ...

იკაროს — არა არის რა იმაზე სასიხარულო, ასეთი გამგონე გოგონა რომ შეგხვდება. (ფრთებს შეიხსნის) ჩვენ გვიხარია, რომ თქვენ გიხარიათ, რომ ჩვენ გვიხარია. (იალქნის ჩრდილში ფუსფუსებს, ფიცრებს ერთმანეთს მიულაგებს, ფრთას დაამსგავსებს, შემოდის მწყურვალი)

მწყურვალი — ლამის არის წყურვილით მოვკვდე. წყალი მაინც მოგიტანე, ბიჭო.

იკაროსი — მაჭარი გვაქვს, თუ ინებებთ...

მწყურვალი — (დაფიქრდა) ყველა ლმერთი, გახდა დიონისელი, წყალს აირჩევდა.

იკაროსი — ჩვენი წყალი ღვინოსავით მათრობელია. მთაში რომ წყაროა, იქიდან მოგიტანს. (ქოხში შევა)

მწყურვალი ჩამოხსნის იალქანს, დაახვევს, ამოიღლიავებს და გარბის. დოქით ხელში ბრუნდება იკაროსი, მწყურვალს ეძებს, ყველაფერს მიხვდება. დოქს თავზე დაიპირქვავებს და, შუა სცენაზე გახინდრული, ღრიალებს:

იკაროსი — ვხარობ და ვხარობ! ო, რა გახარებული ვარ! შემომხედეთ, გინახავთ ასე გახარებული ადამიანი?

ალოპა — (ქოხიდან გამორბის, შეშინებული) რა მოხდა? რა გაყვირებს?

იკაროსი — იცი, დედიკო, რაც უფრო ხმამაღლა ყვირი, გახარებული ვარო, მით უფრო იტანჯები. ადრეც ასე მეგონა... დღეს კი დავრწმუნდი.

ალოპა — რას არ მოიგონებ! მე კი ვიფიქრე, რაიმე უბედურება მოხდა-მეთქი. (შინ შევა).

თითქოს იკაროსის ძახილს ელოდნენო, შემორბის მსუბუქ ტრიბუნათა გუნდი: სამი ერთნაირად შემოსილი მამაკაცი. მათ მხარზე ჰკიდიათ მსუბუქი დასაკეცი ტრიბუნები, მხატვრის „სეტიუდე" ყუთის ან ნოტების ჩასაწყობის მსგავსი. მათ წინ უძღვის ერთი უტრიბუნო კაცი.

ეტრიბუნო კაცი — (მსწრაფლ შეაფასა გარემო) პირველი — ფარდულის უკან! მეორე — კლდესთან! მესამე — ზეთისხილის ძირში!

პირველი — ავლმართოთ კიდეც ტრიბუნები?

უტრიბუნო — არა. განსაკუთრებულ მითითებას უნდა ველოდოთ. (იკაროსს) მთავარ ტრიბუნას ხომ არ ჩამოუვლია?

იკაროსი — რა მიბრძანეთ?

უტრიბუნო — მთავარ ტრიბუნას ხომ არ ჩამოუვლია-მეთქი? აი ასეთი... მაღალი რომ არის, კოშკივით? ზედ შედგებიან და ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ.

იკაროსი — კოშკი? არა, არ ჩამოუვლია.

უტრიბუნო — სასიამოვნოა! ვეცადოთ, აქ დავუხშოთ გზა. (სინანულით) ეჰ! ერთი პაწია ტრიბუნაც რომ გვქონდეს! რა დაწყევლილი კუნძულია. ნაფოტსაც ვერ იპოვნის კაცი.

მესამე — (მიუთითებს იკაროსის ფიცრებზე) ნახეთ, რაღაც ფიცრები მყრია.

უტრიბუნო — (ათვალიერებს) კარგია, სასიამოვნოა!

მეორე — (ყვირის) მთავარი ტრიბუნა! მარჯვნიდან!

უტრიბუნო — მოემზადეთ! ტრიბუნები აღმართეთ! (ოთხი მონა შემოიტანს და დაუგებს ძველი ბერძნული სვეტებიანი, ფრესკებიანი, ქანდაკებიანი და ა. შ. ტაძრის პორტალის მსგავს მთავარ ტრიბუნას. მონების უკან მომავალი კაცი სწრაფად ადის ტრიბუნაზე მიდგმულ კიბეზე. იმართება სიტყვიერი ოღი, რომელიც გუნ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაობას მოაგავს. მოწინააღმდეგენი გადარბიან, უტევენ, უკან იხევენ. მსუბუქი ტრიბუნები უფრო აქტიურობენ. მთავარი ტრიბუნა პასუხობს იშვიათად, მაგრამ მჭუხარედ)

პირველი — დემოკრატია!

მეორე — ყველასათვის!

მესამე — ყველგან!

მთ. ტრიბუნა — მონარქია!

უტრიბუნო — მეორე ტრიბუნა — წინ-

მეორე — (გამორბის) ძირს მეფე! ძირს მინოს მეორე!

პირველი — (აჩქარებით) მოგვეცით პური — პური — პური!

მთ. ტრიბუნა — ყველა მაძღარრარია!

მესამე — გვიჩვენეთ რაიმე სანახაობა!

მთ. ტრიბუნა — უკვე ყველა მხიარრარულია!

პირველი — მზე! მზე გვიჩვენეთ!

მეორე — ჩრდილი და სიგრილე გვინატრება!

მესამე — წვიმას ტალახი-

მთ. ტრიბუნა — (ცისკენ უთითებს და ხელებს უმწეოდ გაშლის).

პირველი — ჭურჭები! ჭურჭები ყველას!

უტრიბუნო — ჭურჭებს ნუ ახსენებ!

პირველი — ძირს მონობა!

მთ. ტრიბუნა — გაუმარჯოს მე-ფეეეს!

მეორე — თავისუფლება!

მესამე — თავისუფლება!

მთ. ტრიბუნა — (უჩვენებს სამი უზარმაზარი თითის კომბინაციას) **ინებეთ!** (მსუბუქი ტრიბუნები დაიბნენ: არ ელოდნენ, ასეთ იარაღს თუ იხმარდა მთავარი ტრიბუნა. ამ დროს იკაროსი, ომობანას გატაცებით რომ უყურებდა, ველარ მოითმენს, კლდეზე აცოცდება. ხელებს ფრთებივით გაშლის და ხტუნვას მოჰყვება. თან ყვირის)

იკაროსი — **მიეცი ფრთა ყველას! ყველას ფრთები! ფრთები — ყველას! ფრთები, ფრთები — ყველას!**

დაბნეული მთავარი ტრიბუნა უკან იხევს. მონებს გააქვთ ტრიბუნა. მთავარი ტრიბუნის ქაცი, მართალია, აქეთ-იქით იშვერს „აკრძალულ" იარაღს, ჰყვირის — ინებეთ! ინებეთ! ინებეთო! მაგრამ ცხადზე უცხადესია: ბრძოლა წაგებულია. ერთხანს სცენაზე სიჩუმეა. ერთნი ამუნიციებს ჰკრეფენ, მეორენი ოფლს იწმენდენ.

უტრიბუნო — (იკაროსის ფიცრებს შეაგროვებს, მერე ჭაბუკთან მიდა და ხელს მრავალმნიშვნელოვნად ჩამოართმევს **გმადლობთ, ჭაბუკო, გმადლობთ!**

იკაროსი — **რისთვის?**

უტრიბუნო — **დახმარებისთვის. დროზე მოგვისწარი, ზუსტად გამოჩნდი. ასე ნორჩი და ასე ჭკვიანი?! აღმაფრთოვანა შენმა შეგნებამ!** (ტრიბუნებს) **მიაქციეთ უურადღება: ფრთები, ფრთები ყველას! როგორი ლოზუნგია, ა? რაც მთავარია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხში, მის წიაღში იშვა.** (პირველს, საყვედურით) **შენ კი — ჭურჭებიო! ზამთარი მაინც იყოს. ფრთები გვინდა, გესმის? აბა, დაკეცეთ ტრიბუნები და წავიდეთ. მთავარს ბოლომდე უნდა ვდგოთ და, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ქალაქში არ უნდა შევუშვათ.** (გადიან)

იკაროსი — (მიირბენს) **ჩემი ფიცრები?**

უტრიბუნო — **ოჰ! დიახ, დიახ! გმადლობთ, ჭაბუკო. თქვენი ფიცრები რეკვიზირებულია. მათგან ხვალ დილისთვის კიდევ ერთ ტრიბუნას ავაგებთ.**

იკაროსი — **კი მაგრამ, მაგ ფიცრებს დიდი ხანია ვაგროვებ... ფრთები მინდოდა...**

უტრიბუნო — (გასულისას) **მართალია, სავსებით მართალი ბრძანებაა: ტრიბუნა ჩემი ფრთებია, შენი ლოზუნგი ასეც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ტრიბუნა ყველას!**

იკაროსი ცდილობს დაიბრუნოს ფიცრები, მაგრამ, ეტყობა, კულისებში ძლიერ დარტყმას იგემებს, რადგანაც სცენაზე კისრისტეხით შემოვარდება და მიწაზე გულდაღმა ეცემა.

იკაროსი — (მიწაზე გველივით იკლაკნება) **წინ!** (ერთი ნაბიჯით წინ გახოხდება) **უკან!** (უკ-

ან იწევს ერთი ნაბიჯითვე. ნახევრადკითხვით, ნახევრადმლიქვნელურად. ნახევრად თხოვნით) წიან? უკაცრავად, მაპატიეთ; უკან! ხედავთ, მივფრინაააგ! ახეთი ფრენა უფრო ეხერხებათ ადამიანებს. რა საამურია, მუცელზე მშობლიურ მიწა რომ გეხება (იკლაკნება) მივფრინავ! (იცეკვ თითქოს სურს ეფეთქოს ფრენა მოიგონ) კიდევ უკან? ახლავე, ბატონო! ახლა წინ, არა? რაც ძალი და ღონე მაქვს, არა? მივფრინაააგ! (წამოხტება და ბლუქუნით გარბის).

ქოხიდან გამოდიან ალოპა და პილადე. პილადე უხერხულად ეპოტინება იკოცოს ალოპას. ალოპა თავს აროდებს.

ალოპა — დამშვიდდი, პილადე.

პილადე — ნუთუ კიდევ ელოდები?

ალოპა — (ოხვრით) ალარავის ალარ ველოდები. უბრალოდ, ვცხოვრობ და ეგ არის. ბიჭი მადარდებს. ეგაც გიუია: სულ ფრთები აკერია პირზე. ერთ ქალზე ორი მფრინავი მამაკაცი — მეტისმეტია, ღმერთმანი. ნეტავ რა დაგიშავე ასეთი, უფალო, რად მირისხდები?

პილადე. — ეგ რისხვა კი არა, ღვთის წყალობაა.

ალოპა — დიდად გმადლობთ ამგვარი წყალობისათვის. ვერა ხედავ, საცაა ქოხი თავზე წამომექცევა. ამას წინათ რამდენიმე ფიცარი მოვიტანე. კედელი ინგრევა და მინდოდა დაემაგრებინა. როგორ გეკადრებათ! ფრთებისთვის შეინახა. ჩემმა ძმამ ძველი იალქანი მაჩუქა; ვიფიქრე, ბიჭს შარვალს შევუკერავ-მეთქი; არ დამანება. სულ გაგიჟდა. ეგებ მკუა დაარიგო, პილადე ჩემო! (ხელს ჩაიქნევს) თუმცა ქაჩალი რომ ექიმი იყოს, თავის თავს უშველიდაო. შენც ხვანაირად ჭიკჭიკებ. ხომ ხედავ, სასახლეშიც ალარ გიხმობენ: იქ ღვინოს მაინც გადაყლურწავდი ანდა სტომაქს ამოივსებდი. ასე მშიერ-მწყურვალმა და აბრანძულ-დაბრანძულმა როდემდის უნდა იარო?

პილადე — ალოპა, ხომ იცი, შენი ქოხი ყველა სასახლეს მირჩევნია. აქ დაპატიჟებაც არ მჭირდება, იხე მივდივარ. სულ დავრჩებოდი, რომ არ მაგდებდე. (იმდენად შებრუნდება ქალისკენ) ეგებ უკვე გადაიფიქრე, ჰა, ალოპა? შენზე სიმღერებს შევთხზავ. მე ხომ გხედავ, კარგად გხედავ! საოცარია: მზეს ვერა ვხედავ, შენ კი ცხადად, თვალნათლივ გხედავ.

ალოპა — კარგი ერთი, ნუ აზვიადებ!

პილადე — ვგრძნობ: იხევ ელი. ეჰ, დედალოს, დედალოს, ჩემო კეთილო მეგობარო... ჩემივ ხელებით დაგახრჩობდი, მაგრამ უკვე გვიან არის. (მწარედ) ქალებს მფრინავი კაცები უყვართ. მართალია, ამდაგვარი სიყვარულით იტანჯებიან, მაგრამ მაინც იმათ არჩევენ.

ალოპა — (შინიდან ღვინიანი ტიკი გამოაქვს) აბა, დალიე, გული გაიგრილე. წლევანდელი მოსავლის ღვინოა.

პილადე — ცეცხლი ეგრე ადვილად არ ცხრება. (პაუზა) ნუ მაგდებ. ხომ იცი, შენი სახლიდან შორს არ წავალ. (სცენის შუაგულში ხელებით წრეს ხაზავს) აქ არის ჩემი ხაბერძნეთი, ჩემი ოლიმპოც; აქ არის ჩემი სრა-ხახახლე, ხამკვიდრებელი.

ალოპა — (დირედან უყვირის) სიმართლე თუ გინდა იცოდე, მფრინავი მამაკაცებიდან შენ ყველაზე მაღლა აფრინდები.

პილადე — გმადლობთ, ალოპა! (ტიკს და ლირას ზეთისხილის ხეზე ჩამოკიდებს, კლდის წრდილქვეშ გაიშოტება)

,,ვინ გაგიბედავს, ამ მთვარის ქვეშ დაბადებული,
ო, დედაკაცო, ხმამაღლა თქვას შენი აუგი?
სამაგიეროდ, ქებათ-ქებას არ აქვს საზღვარი...''

ჩემი არ გეგონოთ, ჰომეროსისაა, მაგრამ არა უშავს, მაინც კარგია. საიდან იცოდა იმ ბერებმა, ასეთი ქალები რომ ამშვენებენ ქვეყანას? კანტიკუნტად, მაგრამ მაინც არსებობენ პენელოპე... ალოპა... როგორ მღერიან ეს სიტყვები, არ გეყურებათ? პენელოპე... ალოპა! (ჩაიძინებს) ზღვიდან ბრუნდება იკაროსი. დანების გროვას შუა ეზოში დაყრის. მერე სათითაოდ ლესავს კლდეზე. გაიეებით. შემოდის იოკასტე, მბარზე საოცარი კალათა დაუკიდია.

იოკასტე — ოი, რამდენი მაბვილია! ჯერ არ მინახავს ამდენი დანა ერთად!

იაკაროსი — არც მე.

იოკასტე — სად შეაგროვე?

იაკაროსი — თოლიების კლდესთან. თბუთმეტჯერ ჩავუვლინე ფსკერამდე და [illegible] ეს ამოვარჩიე. რამდენიც გნებავთ, იმდენია, ოღონდ უკვე დაუბანგულია.

იოკასტე — ამდენი რად გინდა?

იაკაროსი — დავლესავ და ხალხს დავურიგებ. რაც მალე დასჭრიან ყელს ერთმანეთს, მით უკეთესია.

იოკასტე — მე კი ვიფიქრე, ყაჩაღების გუნდი თუ შეკრა-მეთქი.

იაკაროსი — ყაჩაღების მეტი რა არის, მიიხედ-მოიხედე! ვინ არიან ესენი? რა თქმა უნდა, ყაჩაღები, ხარბი, უმოწყალო, გაუმაძღარი ყაჩაღები. ამათგან თავის დაცვა თუ გინდა, უნდა შეიარაღდე, სხვა გზა არ არის.

იოკასტე — რას ამბობ, იკაროს? ადამიანი ადამიანის ძმაა.

იაკაროსი — ძმა? ხა-ხა... (კლდეს შეახედებს) აი, ჩემი ძმა. (ზეთისხილის ხესთან მიიჭრება) აი, ვინ არის ჩემი ძმა! (ცაში ფრინველი დაანახა) ისიც ჩემი ძმაა. (რამდენიმე დანას ხელს დასტაცებს და ავანსცენაზე გაიჭრება) დანა ხომ არ გნებავთ? არა? არც თქვენ? თქვენ ხომ არ ინებებთ? არც თქვენ გინდათ? ნუთუ ნერვებს არ გიშლით ეგ მეზობელი? შეხედეთ, შეხედეთ, ჭუდიც კი არ ახურავს თქვენებურად, თორემ აზროვნებით ხომ სულ სხვაგვარად აზროვნებს. ნუთუ არც ის გინდათ, ის, სავარძელი, ახლა რომ სხვა ზის, ზემოდომი? ნუთუ ჯერ არ მოგისაზრებიათ, რომ ტრიბუნა თქვენ უფრო შეგეფერებათ, ვიდრე იმას? თქვენ ხომ არ იყავით, მეგობრები, მეზობლები და ნათესავები წვრილ-წვრილად რომ გაჭორეთ? ან ხომ არა გშურთ ვილაცის სახლი, ზეთისხილის ბაღი თუ ზვრები, ან ფრთები, ბოლოს და ბოლოს, ფრთები! მაშინ, ვეღარ გამიგია, დანა რატომ არ გჭირდებათ. ასე ხომ უფრო კარგად გავარკვევთ ურთიერთობას. (დანას აიღებს) მოთავარია, კაცს რწმენა ჰქონდეს, დანიანი კაცის რწმენა; ბევრდანიანი კაცისა! არ გნებავთ? აა, მივხვდი, მივხვდი: თქვენ კეთილი და კარგი ადამიანები ხართ. თქვენ არ მიძვრებით სულში (უკაცრავად, ეზოში) ტრიბუნებითა და ლოზუნგებით. (ცრემლმორეული) ჩემგან არაფერი გჭირდებათ და, ალბათ, ამიტომ! საკვირველია, ყველას რაღაც უნდა, ყველა რაღაცას მართმევს, თქვენ კი... ულრმესად გმადლობთ საკეთისათვის... ფრთებს რომ არ მამტვრევთ... ის პატარა ციფრები რომ არ წამართვით... ის დაგლეჯილი იალქანი რომ არ მომპარეთ. ალბათ, იფიქრეთ, ითამაშოსო ბავშვმა თავისთვის... ესე იგი, თქვენ ვერ მიხვდით, რომ ფრთები მოწოდებაა, სინამდვილის შურისძიება, დაუმორჩილებლობა! რომ ცოდვაა მასზე ოცნება, სიზმრად ხილვაც კი არ შეიძლება! არ შეიძლება! აკრძალულია! გმადლობთ, რომ ვერ მიხვდით... რომ არ გაძევეთ მამაჩემი კრეტადან... რომ არ დასთხარეთ თვალები პილადეს.. რომ არ დასცინით საწყალ დედაჩემს... გმადლობთ, რომ არ მართმევთ დანებს. ხედავთ, რა ერთი ბეწო სჭირდებათ ადამიანებს, ურთიერთის მადლიერნი რომ დარჩნენ? (ყვირის) ვხარობ! ო, რა ძალიან მიხარია, რადგან ერთი ბეწო რამ სჭირდებათ ადამიანებს, წყალი რომ ამოგიტანია ბუღის გამოსალადრი დანის გასალესად? კიდევ იმიტომ ვარ მადლიერი, რომ დაჭალით ბუღა და არა მე. საწყალი ბუღა! მის მკვდარ თვალებში შენი თეთრი, ქათქათა ქიტონი თანდათანობით გასისხლისფერდა! ო, ბედნიერო იკაროსო, შენი თავხედი თვალები კი ცხადად ხედავენ რასაც თეთრი ქიტონი ფარავს.

იოკასტე — იკაროს, თუ არ დადუმდები ახლავე წავალ.

იკაროსი — ის დასეირნობს ქვეყნის ველებზე, ღმუის და ბღავის: მე ვხარობ, ვხარობ; ვხარობ იმიტომ, რომ მოხვედი, იოკასტე, თორემ ეს დანები ჭკუიდან შემშლიან. თორემ არც ისე გაძნელდება, დავიჭერო, რომ შენ, მაგალითად, კი არ დაფლოდავ სხვებთან ერთად, არაბედ დაფრენ! მოვრჩი, იოკასტე, დავამთავრე; ახლა ალარ ვიცი რა ვაკეთო. ერთადერთი, რაც შემიძლია, ვიჭდე და უსასრულოდ გიცქირო.

იოკასტე — რატომ? სარეცხის დაფენაში მომეხმარე.

იკაროსი — ახლავე! ჯერ თოკს გავაბამ. (ფარდულიდან თოკი გამოაქვს) აი, რა დარჩა ჩემი ფრთებიდან. არ გეგონოს, მენანება. დიდი სიამოვნებით გაძლევ ამ თოკს,

უძვირფასესი სარეცხის გადასაფენად. (თოკს გაიბამს, თეთრეულს ჰფენს) ბედნიერი ხარ შენ, თეთრო სუფრავ: სადილობისას იოკასტეს იდაყვები გეხება და თითები კი, მტრედებივით ჩაენკავენ ნამცეცებს. (სუფრაა გადაფენს) ბედნიერი ხარ შენც, ქიტონო, რომ ეხვევი იოკასტეს თავით ფეხამდე. (გადაფენს ქიტონს) მაგრამ თქვენზე ბედნიერი იაგოსია! მას შეუძლია მოეხვიოს იოკასტეს, აკოცოს კიდეც. (ჰკოცნის) კიდევ აკოცოს... (ჰკოცნის) კიდევ... და არ გაუჩერდეს. სდროს მკლავები და სულ ჩახუტებული ჰყავდეს. მერე სარეცხს უკანდამალავენ და უცქირონ როგორ ღამდება და ვარსკვლავები როგორ ჩნდება ცაზე. (მართლაც ბნელდება და ცაზე ვარსკვლავები ინთება) და მათთვის სულ ერთია ტრიალებს თუ არა დედამიწა. იმათთვის ისიც სულ ერთია, რას მოითხოვს, ქვის ხანაა თუ ოქროს ხანა: მორჩილებას? ღვთისმოსაობას? ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, ამას ივედრებიან მხოლოდ: ნება მიეცით, იცხოვრონ... ერთურთს ეფერონ... ეამბორონ... ვარსკვლავთ უმზირონ და ჩიტებსაც მიეალერსონ.

იოკასტე — გაფრთხილებ, იაგოს... შენც თუ იფრენ ერთი კაბიდან მეორისკენ, თუ მიმატოვებ, დედალოსმა რომ მიატოვა ალოპა, ისე... არ ვიცი, რას ვიზამ... მოგკლავ იცოდე!

იაგოსი — ბორკილები დაასხი ჩემს ფრთებს და მოისვენებ.

იოკასტე — არა... მარჩენია, ასე მეხვეოდნენ ისინი მუდამ....

სინათლე ქრება. სხივი გაანათებს სცენის იმ ალაგს, სადაც პილადე გაშხლართულა და ხვრინავს. მას თავს დასდგომია დაბერებული, ქანცგამოცლილი, დაძონძილი დედალოსი.

დედალოსი — ეი, მეგობარო! ეი, კეთილო ადამიანო! მითხარ. გეთაყვა, ეს ალოპას კარ-მიდამო ხომ არ არის? აი ის სახლიც, ზღვის ნაპირას, ალოპასია?

პილადე — (იღვიძებს) დიახ, აგრე გახლავთ, მგზავრო. (ყურებს დაცქვეტს) ალოპას ამ დროს, შუალამეს რატომ ჰკითხულობ?

დედალოსი — (თეატრალურად შუბლს მოიდრეკს) ო, გულო, გულო, არ შემცდარხარ, აქ მომიყვანე! ძაღლივით წინ მოგიძღოდი, დავრდომილ სხეულს შეძახილით ძალას აძლევდი და მაჩქარებდი. აი, შინა ვარ! ო, რა ხანი გავიდა მერე!.. მშვიდად, მოწყალეო ხელმწიფევ, მშვიდად. გამაგრდი. აქ მიტომ არ დაბრუნებულხარ. სიხარულით შუაზე გასკდე.

პილადე — ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თვალნი რომ მქონდეს, ალბათ, დედალოსს დავინახავდი.

დედალოსი — კიდევ გახსოვარ, კეთილო კაცო? ადრეც მიცნობდი? ტუუილუბრალოდ არ მიწევდა გული შინისკენ. მწამდა, ვახსოვარ; მწამდა — მელიან. მწამდა: სახელი ჩემი აქ ფრინველივით დაქრის ბაგიდან ბაგისკენ.

პილადე — თავის შექმნილს და გამოგონილს განა ველარ იცნობს ადამიანი?

დედალოსი — პილადე, ჩემო ბებერო კენტავრო! შენ გამაცილე და შენვე დამხვდი?

(გადაეხვევიან)

პილადე — რატომ არ მესმის ფრთების ტყლაშუნი, ჩემო დედალოს? განწორების ჟამს ძალიან უბათქუნებდი?

დედალოსი — ე-ე-ე-! ეგ როდის იყო. ქარი გვირხევდა მაშინ ხიჭაბუკის ქიტონებს აბრეშუმისან და ის ხმაურობდა.

პილადე — მახსოვს, პირობა მომეც, მოვფრინდებიო.

დედალოსი — სიცილიაში სადღა მქონდა ფრთებზე ფიქრის დრო. ვმუშაობდი... მერე, თანდათან ყველაფერი გადამავიწყდა: ესეც არ იყოს, შემეშინდა, ფერხნი იქაც არ მოემტვრიათ.

პილადე — არის კიდევ რაღაც, დედალოს, შენს ფეხებზე მნიშვნელოვანი.

დედალოსი — გამოგიტყდები, ერთხელ ისევ მომედო ალი ფრთების შექმნისა. ძლივს დავიოკე ის ხურვილი. მახსოვს, ზღვის პირს ვიჯექი და კრეტასკენ გახედავდა მზერა, ისე მენატრებოდა, პილადე, აქაურობა, ამ დროს ჭაბუკი მებადურის მღერა მომესმა:

„და აირეკნა, დედალოსმა, როს იგრძნო ქარი,
ძლიერი ფრთები დაიქნია და აჰყვა ჭავლებს...“

ვუხმე მებადურს, ვებაასე, ღვინო შევასვი; ვთხოვდი და ვთხოვდი კვლავ ემღერა, ვიდრე სიტყვებიც და ის ჯანგიც დავიზეპირე. რა შეგიქმნია ჩემგან, პილადე?

პილადე — ღმერთო!

დედალოსი — მარადიული ესე ტვირთი როგორღა ვზიდო? შენ ხომ მაინც იცი, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ!

პილადე — ზიდავ, დედალოს! კარგად გიცნობ და კარგად გხედავ. ნუ გეშინია! ზიდავ, ზიდავ!

ერეკენელი

დედალოსი — ის აღარ ვარ, ძველი დედალოს! თუმცა დიდხანს [illegible] შენითაც დიდხანს ვამაყობდი. მაგრამ მივხვდი, კრეტაზე აღარ ჩამომესვლებოდა. შენი ქებათქების მეშრე, მე, უფრო დედალოსს, აჭაური ბიებუტები ქვების სროლით ამიკლებდნენ. კრეტას, აბა, რაში სჭირდება უფრო დედალოსი. ვლოთობდი და უკანასკნელი სალანძღავი სიტყვით გამკობდი: სულ შენ ხსენებაში ვიყავი... მაგრამ ვერ გავექეცი შენს ოდას. შენ სიმღერას ყველა დუქანში გაიგონებდი:

„ო, კრეტა, მითხარ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ,
თუმცა საცაა თავზე უნდა გადაგაფრინდე...“

პილადე — მაშ, რად დაბრუნდი? (ტიკს ჩამოიღებს) დავლიოთ, დედალოს. ესე იგი, მიტომ დაბრუნდი, რომ სამშობლო შენი ნეშტით დაანებივიანო? (შეაცრიდ) ფრთები, ფრთები რა უყავ, დედალოს? სად გადაკარგე?

დედალოს — კარგი, ერთი... ახლა ნუ ხუმრობ... ძალიან კარგად მოგეხსენება, არავითარი ფრთები არ მქონდა.

პილადე — (დაბეჯითებით) გქონდა! და შენ ფრენდი, დედალოს! დაგავიწყდა? იცოდე, ისე, უბრალოდ კი არ გეკითხები, არამედ ბრალს გდებ, რადგან ფრენა გადაგავიწყდა!

დედალოს — ყური დამიგდე, გევედრები: ხმა ჩაიკმინდე! ცოტა გარდამხდა, თუ რა არის, რომ არ მეშვები?

პილადე — (წამოხტა) მაშ, არაფერი არ მომხდარა? თხუთმეტიოდე წლის წინ დედალოსმა პურ-მარილზე რაღაც წაიხუმრა, არა? ეს ხუმრობა არ გეგონოს, ჩემო კეთილო! ბევალვე დილით, გაიგონებს თუ არა შენი კუნძული. დედალოსი დაგვიბრუნდაო, ვისაც კი სიარული შეუძლია, აქ შეგროვდება, თვალი რომ მაკიდოს თავის დევგმირს. რას ეტყვი, იმათ, იმ ათასებს, ათი ათასებს? ეტყვი: არ იოცნებოთო? ეტყვი: ნუ ეცდებით, სულ ერთია, დედამიწას გოჯითაც ვერ მოსცილდებითო? ეტყვი: ათასგვარი სისულელით გოგრა ნუ გამოგიტენიათო? თუ შენ შვილს, იკაროსს გაქირდავ: ფარდულში ფრთები ვუპოვე და რაები ხდება აქაო? ვინ მოგცა უფლება ჩაკლა, რაც შენ, ადამიანთა შორის უპირველესთაგან, ზეცამ მოგივლინა. არ გაქვს უფლება გვიღალატო ჩვენ — აწმყოელებს და მომავალთაც. შენ თუ არ ფრენდი, ერთი მითხარ, მაშ ახლა ვინღა გაფრინდება?

დედალოს — (ტიკიდან ღვინოს მოსვამს) არაფერი მე არ ჩამიკლავს, რადგანაც არარა მქონდა. სიმართლეს ვეტყვი... ყველას ვეტყვი: არავითარი ფრთები არა მქონია-მეთქი. ყველას ახლა ვეტყვი!

პილადე — ვინ დაგიჯერებს? ეს დედალოსი არ არისო — ყველა დასძახებს. შესაძლოა, ჩაგქოლონ კიდეც. ვინ მოგცემს ნებას, დაამდაბლო შენივ... თუმცა არა, ახლა უკვე მათი იდეა... მათი დედალოსი?

დედალოსი — (აღელდა) შენ მოგიხმობ და სიმართლეს მოგთხოვ: ყველამ გაიგოს: შენ გამაცილე სიცილიაში და კარგად ნახე, როგორ გავფრინდი.... (გონს მოეგება) როგორც მოვუსვი...

პილადე — ტყუილად აზუსტებ — ნამდვილად დავინახე, როგორც გაფრინდი. იცი, ეგ სიმართლე, როგორც შენ ეძახი, იკაროსს ვუამბე. ბევრი იცინა, ერთი სიტყვაც არ დამიჯერა. მას ჩემი სიმღერისა სჯერა, დედალოს! მას და მასთან ერთად მრავალ ათასსაც. გულით რომ მინდოდეს, ამათ ველარ გადავაჯერებ... ვერც შენ...

დედალოსი — (ნერვიულობს) მაშინ მოვითხოვ, ქვისმთლელი მილეთი იხმონ. ისიც იქ იყო, შენ რომ სიცილიას მაცილებდი. ის ხომ მაინც იტყვის, ჩვეულებრივი ნავით მიცურავდაო.

პილადე — მილეთის ძვლებიც არ იქნება ახლა მიწაში. ცოცხალი რომ იყო, ყველას აზარტით უყვებოდა: როგორ შეისხი ფრთები, როგორ გამოიჭეც, როგორ აირეკნე აი იმ კლდეზე, ჭავლებს ვით აჰყევ და მერე როგორ მოუხვიე სიცილიისკენ. მილეთისათვის ყური რომ გეგდო, იმასაც ამბობდა, ვითომ შენ გიფრენის ჯაშს

ახე შეხვიეთ! აძრწოდეთ, ტირანებო! დავბრუნდები და აი, ამავ ფრთებით დაგ-
ბოცავთო!» (წამოიცინოდა) უკანასკნელად გეკითხები: ფრთები რა უყავ?

დედალოსი — გაგიუებულხართ და ეგ არის აქ სუყველანი.

პილადე — დიახ, გაუგიუდით. შენ გგონია, ისინიც გაგიუდნენ, ვისაც რიზგკვეშ ოდესღაც
ხელი; ან ისინი, ვინც შენ სახელს ჩურჩულებდა და სიკვდილის წინ ცას შეხედ-
ქეროდა დარწმუნებული, დედალოსი მოფრინავსო.

დედალოსი — ესეც იგი, ერთადერთი მოწმე შენი ხარ?

პილადე — ერთადერთი, ჩემო დედალოს, და სიცრუეს ვერ მათქმევინებ.

დედალოსი — კი მაგრამ, შენ ხომ მაშინ უკვე ბრმა იყავი!

პილადე — თურმე ნუ იტყვი. შენზე უკეთ ვიხედებოდი.

დედალოსი — (უფროს ალერსით) მოდი, დავლიოთ, პილადე, როგორც მაშინ, დიდი ხნის
წინათ.

პილადე — დავლიოთ, დედალოს. (გაჩუმდება) რა კარგია, მე რომ შეგხვდი და სხვა არა-
ვინ.

დედალოსი — ჩემი ბიჭი, იკაროსი, როგორღაა? მელოდება?

პილადე — გელის, მხოლოდ ფრთიან დედალოსს!

დედალოსი — ალოპა? ალოპაც ხომ კარგად არის?

პილადე — იტანჯება და მერე როგორ! უფროოდ დაბრუნდი. რა გამოდის? ამდენი წელი
ტყუილად იტანჯა?

დედალოსი — შენი სიმღერის გადარჩენაზე უფრო ფიქრობ, მგონი, პილადე.

პილადე — გადარჩენა მხოლოდ შენი. გემუდარები, გადაარჩინე შენივ თავი, ოღონდ
მფრინავი! გადაარჩინე შენი ფრთები: ე მაგ უფრთოდ ადამიანს რა დარჩება
გადასარჩენი, გარდა სიდამპლეშეპარული. მძორი ტანისა?

დედალოსი — რა უფლებით ამბობ მაგას?

პილადე — შენ კი რაღა უფლებით გვეჩვენე უფრთოდ?

დედალოსი — დაგალრჩობ, აცოდე!

პილადე — სიმღერას რაღას უშავს? ის სიმღერა თავად მოგკლავს იოლად უფრთებოს!

დედალოსი — დავლიოთ, პილადე...

პილადე — დავლიოთ, დედალოს. ვეღარ გცნობ, კაცო! შენ დედალოსი არ უნდა იყო.
თვითმარქვია ხარ, ვიღაცა ხარ. ის სხვა გვირისტით იყო შეკერილი.... ის ფრენ-
და... შენ კი დაღოღავ...

სინათლის სვეტი თოვზე გაფენილ ქალაქთა სარეცხს შორის გაამუქებს იკაროსის და იო-
კასტეს შეაღმართული ხელებს. ისინი ხელის გადაჯვარედინებულ ძტევნებს ლიტნულად იქ-
ნვენ გეგონება. ოქროს ორი ფრთიანელი დაფრინავსო. მათი ხმებიც კი ესმის.

იკაროსი — ჩემკენ მოიწი, უფრო ახლოს, მომეკარი, იოკასტე! ხომ არ გეშინია?

იოკასტე — ოი, რა მაღლა ვართ, იკაროსო, ახე მგონია, ვარსკვლავებსაც გავუთანაბრდით.

იკაროსი — ხამწუხაროდ, მართლაც გგონია... ვარსკვლავებამდე შორი გზაა!

დედალოსი — (წამოხტება, გაოგნებული შესცქერის ორ ფრიწველს და ყურს უგდებს მათ
საუბარს) პილადე, ხედავ, მიფრინავენ! აი, იმ სხივში... ხედავ? ხედავ? თუმცა შენ რას დაი-
ხახავ...

პილადე — ვხედავ, დედალოს, და შესმის კიდეც მათი ჭიკჭიკი... აი, ფრენაც ამას ჰქვია...

დედალოსი — ის ჩემი ბიჭია, იკაროსი. იკაროსი მიფრინავს, გესმის?

პილადე — აკი გეუბნებოდი...

დედალოსი — (ყვირის) ეი, იკაროს, ძალიან მაღლა არ აფრინდე! დამიცადე; ახლავე, ახლავე
მეც... ამოვფრინდები (სიბნელეში კლდეზე აცოცდება)

იკაროსი — მგონი, ვიღაცა მეძახის...

იოკასტე — ფრინველი იყო, ძილში იკივლა...

დედალოსი — დამიცადე, არ გესმის, იკაროს! ჩვენ კლდესთან ექთილმოსურნე შემხვედრი
ქარიც ამოვარდა. ახლავე დაგეწევი, ახლავე!

დედალოსი გამოეფინდება, ხელებს გაშლის ასაფრენად გამზადებულ ფრიწველივით და
კლდიდან ასცვეცდება. სინათლე ქრება. ისევ ანთებს სინათლის სვეტი. ახლა ის ძირს გართხმულ
დედალოსსა და პილადეს ასინათებს. პილადე დედალოსს თავს დასდგომია. დედალოსს კი
უზარმაზარი, მაგრამ სათუდოდ დამსხვრეული ფრთები ასხია მხრებზე. პილადე ერთ ფრთას
ასწევს, ხელს უშვებს... ფრთა ულონოდ დაეშვება.

პილადე — (წყლულში ჩაბერთება) მხოლოდ ამგვარად შეეძელი გადამერჩინა... თქვენთვის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველასათვის... (ზეთისბილულს ხიდან ლეღვას ჩამოიღებს, ჩამოჭრავს)
გამოხდა ხანი:.. დედალოსმა დაღლილი ფრთები
ძლივს მოახერხა კრეტასაკენ ექცია პირი.
მთელს ღამეს ზიდა მან სხეული დამძიმებული...
და როს აისზე მზესთან ერთად გამოჩნდა კრეტა,
როგორც ზღაპარი და დელფინი ზურმუხტისფერი,
როს აჭიკჭიკდა ყველა ჩიტი, აენთო მთებიც
და ჩანჩქერები არფებივით ალაპარაკდნენ
და როს იუნოსა ისევ კვამლი მშობელი მიწის...
სულიც აღმოხდა... რას გაუძლებს ამდენს ეს გული!
მაგრამ ვიდრემდე ზორბა ფრთები დაემტვრეოდა,
მაინც მოასწრო, ეს სიტყვები შესძახა გმირმა:
„ო, კრეტა, მითხარ, რა ვარ ანუ უშენოდ ვინ ვარ,
თუმცა საცაა თავზე უნდა გადაგაფრინდე!“ — და ჩამოიმსხვრა.

სინათლე ქრება.

□

როგერტ ლუის სტივენსონი

ერთი ღამის თავგადასავალი ანუ ამბავი ფრანსუა ვიიონისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან
თარგმნა მზია ტულუშმა

ნოემბრის მიწურული იყო, 1456 წელი. დილინებით თოვდა პარიზში; რომ იტყვიან, ცა ძირს ჩამოდიოდა. ზოგჯერ ქარიც წამოუბერავდა და თოვლის კორიანტელს აყენებდა, მერე კვლავ სიჩუმე დაისადგურებდა: მოფარფატე ფანტელები ავსებდა ღამეულ ჰაერს და ნება-ნება ეფინებოდა ძირს. ღარიბები დათოვლილ წარბებს ქვემოდან ასცქეროდნენ ზეცას და კვირობდნენ, ამოდენა თოვლი სად იყოო. სამიკიტნოს ფანჯარასთან მჯდარ ფრანსუა ვიიონს კი იმ დღეს ასეთი ბჭობა გაემართა: როგორ გგონიათ, წარმართი იუპიტერი ბდღვნის ბატებს ოლიმპოზე, თუ წმინდა ანგელოსებს სცვივათო ბუმბული. მე ერთი საწყალი ხელოვნების მაგისტრი ვარო, დასძენდა, და რამდენადაც საქმე ზენაარის შეეხება, დასკვნის გამოტანა ვეღარ გავბედეო. ბებერი მონტარგისელი მღვდელი ერთი ბოთლი ღვინით გაუმასპინძლდა ამ ყალთაბანდ ახალგაზრდას, უფრო იმ მანჭვა-გრეხისათვის, რითაც მან ეს სიტყვები წარმოთქვა. სულელი ბერიკაცი თან თავის თეთრ წვერს ფიცავდა, მაგის ხნისა მეც სწორედ ეგეთი ღვთისპირიდან გადავარდნილი ლაწირაკი ვიყავიო.

ძალიან არ ეინავდა. მაგრამ ნესტიანი ხუხხი კი იდგა. წყლიანი, დიდრონი ფიფქებით ბრილავდა. მთელი ქალაქი თოვლით დაეურსულიყო. ჯარი ისე გავიდოდა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში, რომ ჩქამიც არ შეაკრთობდა ღამის მყუდროებას. თუკი ზეცაში შეეყოვნებული რომელიღაც ჩიტი დამეურებდა ახლა პარიზს, კუნძულის ნაცვლად უზარმაზარ თეთრ ქულას ხედავდა უთოოდ, ბიდების ნაცვლად — მდინარის შავ ფონზე გავლებულ თეთრ ხაზებს. თოვლს შეებერა საკათედრო ტაძრის კოშკების ნაჭვრეტები. ბევრი ნიში ხავსებით ამოვსებულიყო, ბევრ ქანდაკებას ფუმფულა ქუდებით დაეზშვენებინა თავისი დიდებული თუ გროტესკული თავი, ფანტასტიკურ-ფიგურებიანი ხაწვიმარი ღარები კარიკატურული ცხვირებივით ჩამოგრძელებულიყვნენ. ფოთლოვანი ჩუქურთმები ცალ მხარეს ამობერილ, ფუშფუშა ბალიშებს მიგავდნენ. ქარის ჩადგომისას ტაძრის მიდამოებს ფიფქების ფენის ერთფეროვანი შარიშური ავსებდა.

ხენ-ჟანის სასაფლაოსაც რგებოდა თავისი წილი თოვლი. ყველა საფლავი საგულდაგულოდ იყო დაფარული. მის ირგვლივ მაღალი ხაბლების თეთრი საბურავები ზვიადად გარინდულიყვნენ ბნელში. პატივცემული მოქალაქეები რახანია ჩაჩდაბურულები მშვიდ ძილს მისცემოდნენ. მთელ ხამეზობლოში ერთი ფანჯარაც არ იყო განათებული. მხოლოდ ტაძრის ქორედზე მიკიდებული ლამპა ბეუტავდა და ქარის დაბერვაზე ალმა-დალმა დაატარებდა ფანტასტიკურ ჩრდილებს. ზუსტად ათი საათი იყო, როცა პატრულმა ჩამოიარა. ფარნების ქნევითა და ხელების სრესით გაუარეს ხენ-ჟანის სასაფლაოს და საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ.

მაგრამ არც სულ ასე იყო ხაქმე. სასაფლაოს კედელზე მიდგმული პატარა ხაბლის ჯერ კიდევ ეღვიძა ამ ძილქუშდაცემულ უბანში და მისი ღვიძილი კარგს არაფერს მოასწავებდა. გარეთან ბევრი არაფერი ამბელდა ამ ხაბლის ბინადართა ფხიზლობას: თხელ ხვეტად ამომავალი კვამლი და კარებთან დარჩენილი ერთი-ორი ნაფეხური, რომელიც თითქმის უკვე მოესწორებინა თოვლს. ეს იყო და ეს. შიგნით კი დაგმანულ დარაბებს მიღმა, პოეტი ფრანსუა ვიიონი და მისი ჭურდბიცაცა ამფსონები ღამის თეთრად ათევდნენ და ბოთლი ხელიდან ხელში გადადიოდა.

თაღიან ბუხარში მოღუღუნე ცეცხლი ყკვთერ, მოწითალო შუქს ფენდა ოთახს. ბუხრის წინ სკამზე გადაწოლილიყო მისი უხამღვდელოესობა ნიკოლა, პიკარდიელი ბერი, ანაფორა აეკაპიწებინა და შიშველი ტორები მოალერსე ცეცხლისათვის მიეშვირა. მისი უზარმაზარი

ჩრდილი ოთახს ორ ნაწილად ყოფდა. ამ ზორზოხა არსებას თითქმის მთლად დაეფარა ბუხარი. ცეცხლის შუქი მბოლოდ ოთახის კუთხეებს ანათებდა და სინათლის გუბესავით ჩამდგარიყო ბერის გაჩაჩხულ ფეხებს შუა. ბერს ლოთის დაბიჟვინებული, სისხლაძალღებული დაჭხეულილი სახე ჰქონდა. ჩვეულებრივ ლაჟვარდა პირისახეზე ახლა მკრთალი იისფერი დასდებოდა, რადგან შუქი კი მიეფიცხებინა ცეცხლისათვის, მაგრამ წინადან უწყალოდ კბენდა სიცივე. კაბაში-ნი ნახევრად გადაცურებოდა თავიდან და უცნაური ბორცმეტებივით ეკიდა ბეჭებზე. ორივე მხარეს. ასე გადაშხლართული რაღაცას დუდღუნებდა თავისთვის. და ოთახს ორად ყოფდა თავისი დევური ჩრდილით.

მარჯვნივ ვიიონი და გი ტაბარი პერგამენტის ნაგლეჯს ჩასჩერებოდნენ. ვიიონი ბალადას თხზავდა, რომლისთვისაც „შემწვარი თევზის ბალადა" უნდა დაერქმია. გი ტაბარი თავზე დადგომოდა და ალტაცებისაგან აღარ იცოდა რა ექნა. პოეტი ერთი ჩამოკონკილი ვინმე იყო: შავგვრემანი, ჩია და დალეული: ლოყებჩაცვენილს თავზე შეთხელებული, შავი კულულები ეყარა. ოცდათხი წლისა, ავადმყოფური მგზნებარებით დახწაფებოდა ცხოვრებას. სიხარბეს ღრმა ნაოჭები გაეკვლო მის თვალებს ქვემოთ, იქედნურ ღიმილს ტუჩები დაეღრიჯა. მის გამომეტყველებაში ღორი და მგელი შესჭიდებოდნენ ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ეს იყო უშნო, მეტყველი, მიწიერი ვნებებით აღბეჭდილი სახე. პოეტს მომცრო ხელები და გრძელი, მოქნილი თითები ჰქონდა, რომლებიც ახლა რაღაც ცეცხლოვან, ექსპრესიულ პანტომიმას ასრულებდნენ. რაც შეეხება გი ტაბარის, მისი მიჰყლეტილი ცხვირი, დორბლიანი პირი და მთლიანად მისი ფართო, უმარილო სახე, თვითკმაყოფილებასა და ბრიყვულ აღფრთოვანებას გამოხატავდა. იგი შემთხვევას ექცია ჭურდად, მასვე შეეძლო დიდად პატივცემულ მოქალაქედაც გაეხადა, რადგან შემთხვევა განუკითხავად განაგებს ადამის მოდგმის ბატებისა და სახედრების ბედს.

ბერის მეორე მხარეს მონტენი და ტევენინ პერსეტი ფულზე თამაშობდნენ. პირველ მათგანს დაცემული ანგელოსის მსგავსად შემორჩენოდა ოჯახისშვილობისა და რიგიანი აღზრდის ნიშატი; იყო რაღაც მოქნილი და დახვეწილი მის სხეულსა და მოძრაობებში, რაღაც მტაცებლური და პირქუში — მის იერში. ხაწყალი ტევენინ პერსეტი კი იმ დღეს მარჯვენა ფეხზე ამდგარიყო: ჯერ იყო და ვიღაც გააცურა სენ-ეაკის გარეუბანში და ხელიც მოითბო, და აგერ ახლა მთელი ღამეა უგებდა მონტენის. სახე ერთიანად უცინოდა. ძალ კულულებშემოვლებული მელოტი თავი ვარდისფრად უბზინავდა. პატარა ღიპი ჩუმი სიცილისაგან შეუტოკდებოდა ხოლმე, როცა მონაგებს თავისკენ მიიხვეტავდა.

„დავი" — იკითხა ტევენინმა. მონტენიმ ჭუშად დაუკნია თავი.

„ჭამა-სმა უყვართ მამაპაპური" — წერდა პოეტი, — „ვერცხლის თეფშებზე ყველი და პური, ან... ან... არიქა, მომეშველე. გვიდო!

ტაბარი ხითხითებდა.

„ან ოქროს სინზე უწყვიან თევზი" — მიაჩხაპნა პოეტმა.

გარეთ ქარი ძლიერდებოდა და თოვლს ატრიალებდა. მისი ხმა ზოგჯერ ძლევამოსილ ყიჟინასავით მოვარდებოდა და შემზარავი ზუზუნით შეიჭრებოდა საკვამურებში. ყინვაც უფრო და უფრო უბერდა. ვიიონი მომრგვალებულ ტუჩებს წინ სწევდა და ქარის მიბაძვით ისეთ ხმებს გამოხცემდა, ვერ იტყოდით სტვენას უფრო მგავდა თუ გმინვას. მოუსვენარი პოეტის ეს ახირებული ნიჭი იყო, გულს რომ უხეთქავდა ცრუმორწმუნე ბიკარდიელ ბერს.

— არ გესმით, როგორ კონწიალობენ სახრჩობელაზე? — იკითხა ვიიონმა, — ეშმაკის დავლურს უვლიან. მაგრა დაუარეთ, ჭიგრებო, მაინც ველარაფერი გაგათბობთ! ფუი ეშმაკს, ქარიშხალიც ამას ჰქვია. აი, ახლა ვიღაც მოწყდა, ერთი კაკლით ნაკლები ესხმება სამფეხა კაკლის ხეს. რას იტყვით, თქვენო უსამღვდელოესობავ, ძალიან კი ეცინება ამაღან სენ-დენის გზაზე, ა?

მისმა უსამღვდელოესობა ნიკოლამ საცოდავად აახამხამა თვალები, თითქოს ნათქვამი ყელში გაეჩხირაო. სწორედ სენ-დენის გზიდან მოჩანდა მონფოკონი, პარიზის უდიდესი სახრჩობელა, და პოეტის უწყინარი ხუმრობა გულზე მოხვდა ნიკოლას. ტაბარი კი გულიანად აცინეს კაკლებმა, ამაზე სასაცილო თავის დღეში არაფერი გაეგონა, ფერდებზე ხელს იკიდებდა და ლამის გაგუდულიყო. ვიიონმა ცხვირზე წკიპურტი წამოარტყა და ტაბარის ხველა აუვარდა.

— მორჩი ხვიხვინს , — უთხრა ვიიონმა, — და მომინახე „თევზის" რითმა.

ორმაგი კონი, — შეუღრინა მონტენიმ.

— მაგას დაგაყვედრი?! — ხალისიანად გაეპასუხა ტევენინი.

— არის რამე მაგ ბოთლში? — იკითხა ბერმა.

— ახალი გახსენი, — უთხრა ვიიონმა, — მაინც როგორ გინდა ამოიყორო ეგ უზარმაზარი

ალბერი ამ ერთი ბეწო რამეროუმეებით, როგორიც ბოთლებია? ან რანაირად აპირებ ზეცაში მოხვედრას? როგორ ფიქრობ, რამდენ ანგელოზს გამოუშვებს მამაზეციერი ერთი ქეციანი ბერის წასაყვანად? თუ შენი თავი მეორე ელია გგონია და ცეცხლოვან ეტლს მოელი?

— «Hominibus impossibile». — უპასუხა ბერმა და ჭიჭა შეიკვნა.

ტაბარი ჩაბეჭირდა.

ვიიონმა ხელმეორედ წამოარტყა წკიპურტი.

— შენ ოღონდ სასაცილო იშოვო და...

— ძალიან მაგრადა თქვი, — თავი იმართლა ტაბარიმ.

ვიიონი დაეჭღანა.

— მოიგონე რითმა „თევზზე" — თქვა მან. — აბა, რა შენი საქმეა ლათინური? ვირჩევნია ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, როცა განკითხვის დღეს ეშმაკი გამოგიძახებს: გვიდო ტაბარი, მღვდელმსახურო, დიახ, ეშმაკი — უზარმაზარკუზიანი და გავარვარებულკლანჭებიანი. ეშმაკის ხელებაზე, — წაიჩურჩულა მან, — ერთი მონტინის შეხედეთ.

ხამოვეშ შეფარვით გადახედა მოთამაშეს. მონტინი აშკარად ბედს ემდუროდა, პირი გვერდზე მოქცეოდა, ცალი ნესტო დაპატარავებოდა, მეორე კი უსაშველოდ გაფლაშოდა; როგორც ბალღების დასაშინებლად ხალხურ ლექსებში იციან ზოლმე თქმა, მხარზე ეშმაკი ეჯდა და ჯაჭვებით ითქვამდა სულს ამ შემზარავი ტვირთვის გადამკიდე.

— ისეთი სახე აქვს, თითქოს უნდა გამოფატროს ის უბედური, — შიშისაგან თვალები გაუფართოვდა ტაბარის.

ბერს შეაკრთოლა, ცეცხლისაკენ შეტრიალდა და ხელები გაკარვარებულ ნაკვერჩხლებს მიუფიცხა. სიცივემ იმოქმედა მასზე და არა მოჭარბებულმა მგრძნობიარობამ.

— მომისმინე ერთი, — თქვა ვიიონმა. — ჩემი ბალადიდან თუ გამოდის რამე, — ხმამაღლა კითხვა დაიწყო; თან ხელსაც რიტმულად აუოლებდა.

— მეოთხე სტროფზე მოთამაშეების ელვისებურმა მოძრაობამ გააწყვეტინა კითხვა. ორივე ხელი დაამთავრეს და ტევენინმა ის იყო პირი გააღო თავისი მოგების გამოსაცხადებლად, რომ მონტინიმ მტაცებელივით ისკუპა და ხანჯალი შიგ გულში ჩახცა. ხიკვდილმა მხხვერპლს მანამდე უწია, სანამ ხმის ამოღებას ან განძრევას მოახწრებდა, ერთი-ორჯერ გაკანკალა, ხელები მოკრუნჩხა, ფეხები გააფბარკალა, კისერი მოეღრიცა, თვალები გადაატრიალა და ტევენინ პერსეტის სული თავის შემოქმედს მიუბრუნდა.

ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ. მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო. ცოცხლად დარჩენილებმა ერთმანეთს გადახედეს, არცერთს ადამიანის ფერი აღარ ედო. მკვდარი ტევენინი კი გამჭირდავი ლიმილით აკვირდებოდა (ჭერის კუთხეს.

— ღმერთო ჩემო! — წაიჩურჩულა ტაბარიმ და ლათინურად მოპყვა ლოცვას.

ვიიონს ისტერიული სიცილი აუვარდა, ერთი ნაბიჯი წინ გადადგა, დიდის ამბით დაუკრა თავი მკვდარ ტევენინს და უფრო ახარხარდა, მერე ტომარასავით დაებერტყა სკამზე. თავშეკავებული სიცილისაგან ისე უთრთოდა და უცახცახებდა ჩია ხბეული, იტყოდი, გულ-ღვიძლი დაეფლითებაო.

მონტინი პირველი მოეგო გონს.

ვნახოთ ერთი, რა აქვს ჯიბეში, — წაილაპარაკა. მერე გაწაფული ხელით ამოუსუფთავა ჯიბეები მიცვალებულს და ფული ოთხ თანაბარ ნაწილად გაყო. „აიღეთ", — თქვა მან.

ბერმა პირველმა დაავლო ხელი თავის წილს, ერთი ამოიოხრა და მკვდარი ტევენინისაკენ გაპარა თვალი. ტევენინი გვერდზე გადაქანებულიყო და საცაა ჩამოცურდებოდა სკამიდან.

— ყველანი ვურევივართ ამ საქმეში, — თავისი ახირებული მხიარულება როგორც იყო მოინელა ვიიონმა, — ყველას სახრჩობელა ზედა გვაქვს.

პოეტმა მეტი თვალსაჩინოებისათვის მარჯვენა ხელით ყულფი მოხაზა, კისერი მოიღრიცა და ენა გადმოაგდო. მერე თავისი წილი ჯიბეში ჩაიჩურთა და ფეხები დაბაკუნა, თითქოს სისხლის მიმოქცევა უნდა აღიდგინოსო.

ტაბარიმ ყველაზე ბოლოს აიღო წილი. იგი ჯერ გამწარებული დაეძგერა ფულს და მერე კვლავ შორეულ კუთხეში განაპირდა.

მონტინიმ გაასწორა ტევენინი და ხანჯალი ამოაძრო, ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა.

— ბიჭებო, ის დროა გარბოდეთ აქედან, — თქვა მან და ხანჯალი მხხვერპლის კამზოლს შეახოცა.

— მართლაც რომ დროა, — მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა ვიიონმა, — ეშმაკმა წაიღოს მიხი გასიებული თავი! — აფეთქდა უცებ, რა უფლება აქვს ვინმეს, რომ სიკვდილის შემდეგაც ასეთი ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდეს, — იგი ხელმეორედ დაებერტყა სკამზე და ხახეზე ხელები აიფარა.

მონტანიმ და ნიკოლამ ბზმბაღლა გაიცინეს, ის კი არადა, ტაბარიმაც ჩაიკიკინა.

— იტირე, ბალღო! — უთხრა ბერმა.

— ყოველთვის ვამბობდი, ჭალაჩუნაა-მეთქი, — ზიზღით ჩაილაპარაკა მონტანიმ. — წესიერად დაჯექი, რაღა! — დაუღრიალა მკვდარს და ერთხელ კიდევ შეანჯღარა გვაში. — ცეცხლი ჩააქრე, ნიკ!

მაგრამ ნიკს ცეცხლისთვის არ ცხელოდა: ვიდრე ვიიონი მოშვებული და აცახცახებული იჯდა იმავე ადგილზე, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინ ბალადას ამღერებდა, ბოლო მოახერხა მისთვის ჯიბიდან ქისა ამოეცალა.

მონტანიმ და ტაბარიმ უხმოდ მოითხოვეს თავიანთი წილი, ბერმაც უხმოდვე დაუქნია თავი და ქისა ანაფორის გულიხჯიბეში ჩააცურა. ასეა, პოეტური ბუნება ხშირად ხელს უშლის ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვიიონის ქისა ხელრიანად არც კი შეენახა მის უსამღვდელოესობას, რომ პოეტი მოულოდნელად შეკრთა, ფეხზე წამობტა და ნაკვერჩხლების გაფანტვახა და ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. ამასობაში მონტანიმ ფრთხილად გამოიღო კარი და ქუჩა დაზვერა. გზა გახსნილი იყო, ახლოზარი პატრულის ჭაჭანეხაც არსად ჩანდა. ვიიონი ძლიერ ჩქარობდა წასვლას, ხოლო სხვები კიდევ უფრო ჩქარობდნენ მის მოცილებას, მანამ, ვიდრე ქისის დაკარგვის შეიტყობდა, ამიტომაც ერთობლივი გადაწყვეტილებით პირველი სწორედ ვიიონი დაადგა გზას.

ქარმა იმძლავრა და ღრუბლები გადარეკა; მხოლოდ რამდენიმე ნარნარი ფთილა მიცურავდა ვარსკვლავებს შორის. მწარედ უინავდა და როგორც მშრალი ყინვისას იცის ხოლმე, ირგვლივ იხილ გარკვევით მოჩანდა ყველაფერი, რომ შუადღე მონაგონი იყო. სრულ სიჩუმეს დაესადგურებინა მძინარე პარიზში, ვარსკვლავიანი ცის ქვეშ სახლების თეთრი ქუდები და თოვლის ბორცვებიღა გამოკრთოდა.

ვიიონი თავის იღბალს წყევლიდა: ცოტა ხანს მაინც ეთოვა. ახლა ჩითაც არ უნდა წასულიყო, თვალშისაცემ კვალს ტოვებდა ქათქათა ქუჩებში, საითაც არ უნდა გაქცეულიყო, მაინც სენ-ჟანის სასაფლაოსთან მდგარ სახლზე იქნებოდა მიბმული. არადა, საკუთარი ფეხებით გრეხდა ამ თოკს, დანაშაულთან და სახრჩობელასთან რომ აერთებდა. მკვდარი ტევენინი წარმოუდგა და მკვდრის სახეზე შეყინული ღიმილი ცუდად ენიშნა. ვიიონმა თითები გაატკაცუნა. თითქოს თავს შეუძახაო, და მხნედ განაგრძო გზა.

ორი ხატება ეკვიატა: ხან მოკრიალებულ ცის ფონზე აჩონჩხილი მონფოკონის სახრჩობელა წარმოუდგებოდა და ხან მკვდარი ტევენინის მოტვლეპილი თავი და ცეცხლისფერი კულულები. ერთიცა და მეორეც სიხხლს უყინავდა და ფეხს აჩქარებინებდა საწყალ ვიიონს, თითქოს ფეხის სისწრაფით შეძლებოდა გაქცეოდა უსიამო ფიქრებს. ზოგჯერ შეხტებოდა და დაფეთებული იხედებოდა უკან. მაგრამ მხოლოდ თვითონ არღვევდა თეთრი ქუჩების უძრაობას და კიდევ ქარი, მშრალ თოვლს რომ ახვეტავდა და ბრჭყვიალა ბტვერივით აზიმზიმებდა ჰაერში.

უცებ შორს მუქ სილუეტებს და რამდენიმე ფარანს მოჰკრა თვალი. სილუეტები მოძრაობდნენ, ფარნებიც ისე ირწეოდნენ, ჩანდა ვიღაცას მიჰქონდა. პატრული იყო. ეს ერთადერთი გზა იდო წინ, მაგრამ ვიიონმა მაინც გზიდან გადახვევა და გაცლა ამჯობინა. რომ დაეგვიანათ, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. თვითონვე გრძნობდა, რომ მისი კვალი ძალიან ხაეგვოდ მიიკლაკნებოდა თოვლიან ქუჩებში. ხელმარცხნივ უზარმაზარი კომკურიანი სასტუმრო ეგულებოდა. რამდენადაც ახსოვდა, სასტუმრო ნახევრად დანგრეული იყო და კარგა ხანია აქ ადარავინ ცხოვრობდა. სამეოდე ნაბიჯი და ვიიონმა სასტუმროს განიერ პორტიკში ამოყო თავი. თეთრად მოელვარე ქუჩასთან შედარებით პორტიკში ძლიერ ბნელოდა, ხელისცეცებით მიმავალი რაღაცას წამოედო და წაბორძიკდა. უცნაური საგანი იყო: რბილიც და მყარიც. თითქოს თავისუფლად იდო, მაგრამ არც ადგილიდან იძვროდა. გულგახეთქილი უკან გადმობტა და წყვდიადს ჩაეშტერდა. მერე ფეებით ამოისუნთქა და გაეღიმა. ქალი იყო, თანაც მკვდარი. ჩაიმუხლა და შეამოწმა, ყინულივით ცივი იყო და შეშასავით გახეულიყო, თმაში ჩაწნულ ლენტებს ქარი უფრიალებდა და იმ დღეს წასმული ფერუმარულიც ხელად ედო სახეზე, ჯიბეები გამოფხეკილი ჰქონდა, მაგრამ წვივსაკრავში ორი წვრილი ფული ჩარჩენოდა, თეთრს რომ ეძახიან. ცოტა იყო, რაღა თქმა უნდა, მაგრამ სულ არაობას მაინც სჯობდა და პოეტი პათეტიკურად განაწყო ამ ქალის ბედმა, რომელიც ისე მომკვდარიყო, რომ ფულის დაბარჯვა ვეღარ მოესწრო. გაუგონარ უიღბლობად ეჩვენა ეს ამბავი. იგი ხან ფულს დაჰხედავდა და ხანაც მკვდარ ქალს და ბოლოს თავი გადააქნია წუთისოფლის ამაოებაზე. ინგლისის მეფის ჰენრი V-ის სიკვდილი ვინსენში სწორედ საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ და ამ სახრჩობელა ქუჩის ქალის გაყინვა, სანამ თავისი ორი თეთრის დაბარჯვას მოასწრებდა — მარილიც რომ ჩაეფიქრებდა კაცს წუთისოფლის უკულმართობაზე. ორი თეთრის დაბარჯვა ბრძ წუთის საქმეა,

მაგრამ ეს ნიშნავდა კიდევ ერთხელ პირის ჩატკბარუნებას, კიდევ ერთხელ ენის გაწკლაპუნებას, სანამ სულს ეშმაკი დაეპატრონებოდა, ხორცს კიდევ ფრინველი და ნადირი. არა, ძმაო, მისი საწვავი სულ უნდა ამომწვარიყო, ვიდრე ხინათლეს ჩაეკრობდნენ და ლამპარს მიწაზე დაახეთქებდნენ.

სანამ თავში ასეთი ფიქრები უტრიალებდა, უნებურად ჯიბე მოიჩხრიკა. გული გაუჩერდა. უეხებიდან ეკლიანი სიცივე აეცოცდა და კეფაში ეტაკა. ცოტა ხანს გაოგნებული იდგა. მერე კი გამწარებული იტრიალებდა ჯიბეებს. ბოლოს ირწმუნა, დამკარგვიაო და ხიმწრის ოფლმა დაასხა. მფლანგველისათვის ფული ყველაფერია, ფულია ყველა გასაღები, ამქვეყნიური სამოთხის კარს რომ უღებს. მის ხილაღეს მხოლოდ დრო უდებს მიჯნას. თუ ასეთ ფანტიას ჯიბეში რამოდენიმე კრონი უგდია, თავი რომის იმპერატორი ჰგონია. ასეთი კაცისათვის ფულის დაკარგვა ნამდვილი ღვთის რისხვაა, — ერთი თვალის დახამხამებაში სამოთხე ჯოჯოხეთად გადაექცევა. მით უმეტეს, თუ ამ ფულისათვის თავი მარყუჟში გაყო. როგორია ახე ხიმწრით ნაშოვნის სულელურად დაკარგვა! ვიიონი თავბედს იწყევლიდა. გულმოსულმა ორი თეთრიც თოვლში მოიხროლა. ზეცას მჯიღს უღერებდა, გამწარებული აბარტყუნებდა ფეხებს და სულაც არ შემკრთალა, როცა ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ საბრალო ქალის გვამს თელავდა ფეხებით. მერე გამეხებული უკან გამოყვა თავისივე ნაკვალევს. პატრულის შიში სულაც გადაავიწყდა, თავისი ქისის გარდა აღარაფერს დაგიდევდათ. ამაოდ აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, ვერაფერი იპოვა. გზაში არ დავარდნია. ნუთუ გამოხვლამდე დაკარგა? რას არ მისცემდა ახლა იმ სახლში შეხვლა და მოძებნა რომ შეძლებოდა, მაგრამ მკვდარი ტევენინი მოაგონდა და განზრახვაზე ხელი აიღო. სახლთან მიახლოებისას ახიც დაინახა, რომ მათი ცდის მიუხედავად ცეცხლი კი არ ჩამქრალიყო, პირიქით, უფრო აბრიალებულიყო და კარ-ფანჯრის ღრიჭოებში მოპარპალე შუქი ილანდებოდა. ამან საბოლოოდ გამოაფხიზლა, კანონისა და სახრჩობელას შიში კვლავ განუახლდა.

ვიიონი სასტუმროს პორტიკში მიბრუნდა და ფორთხვით მოპყვა იმ ორი თეთრის ძებნას, ბავშვური გაგულისებისას რომ მოისროლა თოვლში. მხოლოდ ერთს მიაგნო, მეორე კი, ეტყობა, კიდით დავარდა და თოვლში ჩაიმარხა. ერთი თეთრის ანაბარა დარჩენილ ვიიონს, რაღა თქმა უნდა, გვერდზე დარჩა ლოთიანი ქეიფი რომელიმე ხახელგატეხილ სამიკიტნოში. არადა, განა მარტო დროსტარება წაუვიდა ხელიდან ახე ხულელურად? ვიიონს გული შეეკუმშა, ოფლი შეაშრა. ქარი უკვე ჩამდგარიყო, მაგრამ ყინვა წუთი-წუთზე მატულობდა. იდგა ახე გულმოკლული და გაოგნებული. რაღა უნდა ექნა? გვიან იყო და არც იმედი ჰქონდა დიდად, მაგრამ მაინც გამალებული გაეშურა თავისი მამინაცვლის, წმინდა ბენუას ტაძრის კაპელანის სახლისაკენ.

ვიიონმა მთელი გზა ხირბილით გაიარა და გაუბედავად დააკაკუნა კარზე. არავინ გამოხმაურებია. უფრო და უფრო ძალუმად უბრახუნებდა, სანამ ნაბიჯების ხმა არ გაიგონა. რკინის კარში დატანებული გისოსიანი სარკმელი გაიღო და ყვითელი შუქი გადმოიღვარა.

— დამენახე ერთი, რომელი ხარ! — გამოსძახა კაპელანმა.

— მე ვარ, ნუ გეშინია, — ამოიკვნესა ვიიონმა.

— ახ, მაშ ეს შენა ხარ? — თქვა კაპელანმა და უღროო სტუმრის მიხამართით სახულიერო პირისათვის შეუფერებელი ბილწი გინებაც მოაყოლა. ჯოჯოხეთშიაც წახულხარ. შენი ადგილი მაინც იქ არისო, უთხრა.

— ხელები მაჯებამდე გალურჯებული მაქვს, — შეემუდარა ვიიონი, — ფეხები ისე გამეთოშა, ველარცა ვგრძნობ. ამ გაყინულ ჰაერს რომ ვისუნთქავ, ნესტოები მტკივა, გულზე ყინული მადევს. დილამდე ველარ გავაწეო. ოღონდ ახლა შემომიშვი, მაგი, და ღწერთია მოწამე, მეორედ აღარა გთხოვ.

— ცოტა ადრე უნდა მოსულიყავი, — ცივად მოუჭრა მამინაცვალმა, — ახალგაზრდებს დროდადრო სჭირდებათ ხოლმე ჭკუის სწავლება, — ამ სიტყვებით კაპელანმა მიკეტა სარკმელი და არხეინად გაეშურა თავისი ოთახისაკენ.

ვიიონს გაცოფებას აღარაფერი უკლდა. გამწარებული ეჯაჯგურებოდა კარებს და ხაფი ხმით მიხძახოდა:

— მელიძუა ბებერო! ერთი ქეჩოში ჩამავლებინა შენთვის ხელი, სულ ბზრიალ-ბზრიალით გადაგიშვებდი უძირო ჯოჯოხეთში!

ძლივს გასაგონად გაიჩხაკუნა შიდა კარმა. ვიიონმა გინებ-გინებით დაიორთქლა გათოშილი ხელები. მერე თავისი თავი წარმოიდგინა, გაეცინა და გულღიად ახედა ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალს. მოციმციმე ვარსკვლავებმა უხმოდ შემოსცინეს ხელმოცარულს.

რა უნდა ექნა? როგორც ჩანდა, ამ ყიამეთში ღია ცის ქვეშ მოუწევდა ღამის გათევა. მის მეხსიერებაში გაყინული ქალის სახე წამოტივტივდა და გვარიანად დააფეთა. ზომ

შეიძლებოდა დილამდე მახაც იმ ქალის ბედი გაეზიარებინა. არადა, ჯერ ხომ სრულიად ახალგაზრდა იყო! ვინ იცის რამდენი უთავბოლო თავშეხაფცევი ედო წინ! თავისმა უილბლობამ ისე პათეტიურად განაწყო, თითქოს ეს ამბავი სხვას გადახდომოდა თავს. [illegible] წარმოიდგინა ის ხურათი, როცა დილით მის გათოშილ გვამს იპოვიდნენ.

ვიიონი თავის ერთადერთ თეთრს ხელში ატრიალებდა და მდგომარეობიდან გამოხავლის პოვნას ცდილობდა. საუბედუროდ, ძველი მეგობრები მომდურებოდა [illegible] ეთორემ ასეთ გაჭირვებაში ვილაცა გამოუჩნდებოდა მშველელი. ზოგი ლექსებში, [illegible] ზოგს სცემა და მასხრად აიგდო. მაგრამ ახლა, სახიკვდილოდ განწირულს ერთი კაცი მაინც მოაგონდა, ვინც, მისი აზრით, ღვთის ანაბარად არ დააგდებდა. ცდა ბედის მონახევრეთ, გაიფიქრა, და იქითკენ გასწია.

გზაზე ორი პატარა თავგადასავალი გადახდა, რომლებმაც ხელ სხვადასხვაგვარად იმოქმედეს მის გუნება-განწყობილებაზე. ჯერ იყო და პატრულის ნაკვალევს წაეწყდა და ახლოდე იარდი მათ ნაფეხურებში იარა, თუმცალა ამისათვის გზის გამრუდებაც კი მოუხდა. ამან ძალიან გაუკეთა გული, ისე იყო თუ ისე, კვალის აბნევა მაინც მოახერხა. ვიიონი ხომ ჯერ კიდევ იმ აზრით იყო შეპყრობილი, რომ მთელს პარიზში დაუვებოდნენ მის ნაკვალევს და დილით გამოლვიძებას არ აცლიდნენ, ისე დაადებდნენ ბორკილს. მეორე შემთხვევამ კი პოეტის გულში საპირისპირო გრძნობა აღძრა. მან ჩაუარა ქუჩის კუთხეს, სადაც არცთუ იხე დიდი ხნის წინათ ბავშვიანი ქალი დაგლიჯეს მგლებმა. სწორედ ისეთი ამინდიაო, — გაუელვა, მგლებს რომ პარიზში შემოსვლას აფიქრებინებს და ამ უკაცრიელ ქუჩებში ეული კაცი მარტო შიშს კი არა ჭამს, უარეს უბედურებასაც შეიძლება გადაეყაროსო. შეჩერდა და უსიამოვნო ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა იქაურობა. იმ ადგილას რამდენიმე ქუჩა იკრიბა თავს. მან რიგრიგობით გახედა ყველა ქუჩას და ხუნთქვაშეკრული გაიღიმა, იქნებ აქედანვე შევამჩნიო თოვლში მორბენალი შავი არსებები ან შორიდანვე გავიგონო მათი უმუილი. გაახსენდა, როგორ უყვებოდა დედამისი ამ ამბავს და თან ამ ადგილზე უთითებდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო მაშინ-დედამისი! მისი სახლი რომ იცოდეს ახლა! ჭერი მაინც აღარ ექნებოდა საძებნი. გადაწყვიტა, რომ ხვალიასათვის უსათუოდ გამოიკითხავდა მის ასავალ-დასავალს. გამოიკითხავდა კი არადა, ინახულებდა კიდეც საწყალ ბებრუცუნას. ამ ფიქრებში გართულმა მიაღწია დანიშნულების ადგილს, იმ ღამის უკანასკნელ იმედს.

ეს სახლიც მეზობელი სახლებივით ჩაბნელებული იყო, მაგრამ რამდენიმე გაუბედავი დაკაკუნების შემდეგ, ვიიონს შიგნიდან ხმაური მოესმა, კარი გაიღო და ფრთხილმა ხმამ იკითხა, ვინ არისო. პოეტმა ხმამაღალი ჩურჩულით დაასახელა თავისი ვინაობა და გულისკანკალით დაუცადა შედეგს. არც დასჭირვებია დიდხანს ცდა. უცებ ზემოთ ფანჯარა გაიღო და ვედროთი წყალი გადმოუშვეს. ვიიონი მოეღოდა რაღაც ამდაგვარს და მთლად მოუმზადებელი არ დახვედრია. რაც შეიძლებოდა შეეფარა კართანის ვიწრო სახურავს. მიუხედავად ამისა, წყალის შხეფებმა წელსქვემოთ მაინც გაწუწეს. შარვალმა თითქმის იმწუთშივე დაიწყო გაყინვა. სიკვდილი თვალებში შემოპყურებდა. ვიიონს გაახსენდა, რომ მის ორგანიზმს ბლექისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და რამდენჯერმე საცდელად დაახველა. განხაცდელის სერიოზულობამ ნერვები გაუკაუა. რამდენიმე ასეული იარდით გამოხცილდა იმ ადგილს, სადაც ასე უსულგულოდ მოეპყრნენ და ცხვირზე თითმიდებული ჩაფიქრდა. ხმა გამოსავალი არ ჩანდა. თუკი ღია ცის ქვეშ არ უნდოდა ღამის გათევა, თვითონვე უნდა ეზრუნა ხაკუთარ თავზე. აქეთობისას ერთი სახლი შეიგულა, რომელიც ადვილად გასატეხი ეჩვენა და ახლა ფაცაფუცით გაემართა იქითკენ. გზაში ფიქრობდა ჯერ კიდევ ორმილ ოთახზე, ვახშმის ნარჩენებით დაზურგულ სუფრაზე, განცხრომაში გაატარებდა ამ ნავსი ღამის რამდენიმე საათს და დილით ძვირფასი თეფშებით ხელდამშვენებული გაუდგებოდა გზას. ის კი არადა, ისიც კი მოიფიქრა, რა და რა ხორცეული და რომელი ღვინოები ეამებოდა. ნუგბარ-ნუგბარი საგმელების ჩამოთვლისას შიშნარევი ხიამით გაახსენდა შემწვარი თევზი.

— ალბათ ველარასოდეს მოვამთავრებ იმ ბალადას, — გაიფიქრა თავისთვის. მერე უსიამო მოგონებაზე შეაურეოლა, — ეშმაკმა წაიღოს მისი გასიებული თავი! — გაცხარებით წამოიძახა და თოვლში გადააფურთხა.

ზემოთ ნახსენები სახლი ერთი შეხედვით ჩაბნელებული ჩანდა. მაგრამ ადვილად მისადგომი ადგილის ძებნისას ვიიონმა ფარდის მიღმა გაჭიატებულ შუქს ჰკიდა თვალი.

— ფუი ეშმაკს! — გაიფიქრა, — ღვიძავთ. სტუდენტი იქნება ვინმე, ან წმინდანი, დასწყევლოს ღმერთმა! რატომ არ გამოთვრებიან და თავიანთი მეზობლებივით ხვრინვას არ ამოუშვებენ. რის მაქნისია მწუხრის ზარები და საშრეკლოებში თოკებზე ჩამოკონწიალებული მნათეების ჯაბირი უოველ საღამოს, ანდა რა თავში ვიხლით დღის სინათლეს, თუკი ხალხი ღამეს თეთრად გაათენებს! წელკავიც გახჯდომიათ! — ვიიონმა იაზრა საით მიმყავდა ასეთ

მსჯელობას და გაიღრიჯა, — ბოლოს და ბოლოს ყველამ თავისი საქმე იცის, — დასძინა, — და რახან ღვიძავთ, ღმერთია მოწყალე, იქნებ ამ ერთხელ ეშმაკი გავაცურო და ვაბშამი უეშმაკოდ ვიშოვო.

იგი თამამად მიუახლოვდა კარს და რიხიანად დააბრახუნა. წინა ორ შემთხვევაში გაუბედავად აკაკუნებდა. ყურადღების მიპყრობის ეშინოდა. ახლა კი, როცა სახლის გატეხვა გადაიფიქრა, დაკაკუნება ყველაზე ბუნებრივ ქცევად მიიჩნია. ბრახუნის ექომ ისე [illegible] იტყოდით, ცარიელ ოთახებში დადისო, მაგრამ ხმაური ხეირიანად არც კი მიმწყდარა [illegible] ნაბიჯების ხმა მოისმა. საკეტმა გაიჩხაკუნა და კარი პირთამდე გაიღო. თითქოს ამ სახლში მუხთლობის არა სცოდნოდეთ რა. ვიიონის წინ იდგა წარმოსადეგი ალნაგობის, თუმცაღა წლებისაგან მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი. მოზრდილი თავი ჰქონდა, ოღონდ კარგად მოყვანილი. თხელი ცხვირი ბლაგვი ჭვინტით ბოლოვდებოდა, ზემოდ კი მშვენიერ, ალალმართალ წარბებს უერთდებოდა; თვალის ქუთუთოები და ტუჩის კუთხეები წვრილ-წვრილ ნაოჭებს დაექსელა. სახეს აბოლოებდა თეთრი, ოთხკუთხა წვერი. იქნებ ფარნის შუქი მატებდა დიდებულებას ამ სახეს, მაგრამ ეს იყო მშვენიერი, უფრო კეთილშობილი, ვიდრე ჭკვიანი, ძლიერი და მართალი სახე.

— გვიან ინებებთ სტუმრობას ბატონო, — თქვა მოხუცმა თავაზიანი, მუღერი ხმით.

ვიიონი დაიგრიხა და ბოდიშებად დაიღვარა. უკიდურესი გაჭირვებისას მის არსებაში მათხოვარი იმარჯვებდა, გენიოსი კი შემკრთალი მიიკუნჭებოდა ხოლმე კუთხეში.

— მაშ, გცივათ და მშიერიცა ხართ? შემობრძანდით, — ღირსებით აღსავსე იერით შეიპატიჟა მოხუცმა.

„წარჩინებული სენიორი ჩანს", — გაიფიქრა ვიიონმა, როცა მასპინძელმა ფარანი ქვის იატაკზე დადგა და კარს ხაგდული გაუგდო.

— უკაცრავად, წინ უნდა გაგიძღვეთ, — თქვა მოხუცმა. მან კიბე აატარა ვიიონს და დიდ დარბაზში შეიყვანა. ჭერზე დაკიდებულ უზარმაზარ ლამპას გაეჩახჩახებინა იქაურობა, ქვანახშირის ღუმელი ტკბილად ღუღუნებდა. დარბაზი ძალიან ხალვათად იყო მოწყობილი. ხუფეტზე ოქროს ჭურჭელი ელაგა; იქით რამოდენიმე ფოლიანტი ეწყო. კედელზე ორი მშვენიერი გობელინი ეკიდა. ერთი მაცხოვრის ჯვარცმას გამოხატავდა, მეორე — მწყემს ქალებსა და ვაჟებს მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას. ბუხრის თავზე საჭურველი იყო ჩამწკრივებული.

— დაბრძანდით, — თქვა მოხუცმა. — მომიტევეთ, ერთი წუთით უნდა დაგტოვოთ. სახლში ჩემს მეტი არავინაა და რახან ჭამას ინებებთ, მე თვითონ მომიწევს თქვენთვის საჭმლის მონახვა.

მასპინძელი გავიდა თუ არა, ვიიონი წამოხტა სკამიდან, რომელზეც ის წუთი იყო მოთავსდა და კატისებური ეინითა და სიხარტით შეუდგა ოთახის დათვალიერებას. მან ხელში აწონა ოქროს სურები, გადაფურცლა ფოლიანტები, იარაღიც გასინჯა და საკარძლის გადასაკრავებიც შეამოწმა. ფარდები გადაწია და ძვირფასი, ფერადი მინები შეათვალიერა. ეს მინა გემებით იქნება შემოტანილი საფრანგეთშიო, გაიფიქრა. მერე შუა ოთახში, ღრმად შეისუნთქა, ლოყები გამობუშტა და ნელ-ნელა შემოტრიალდა ჭუსლებზე, თითქოს ეს ოთახი სამუდამოდ უნდა აღებეჭდა მეხსიერებაში.

— შვიდი თეფშია, — წაილაპარაკა — ათი რომ იყოს, გავრისკავდი. მშვენიერი სახლია და არც პატრონია ურიგო. ახე რომ, დამიხსენით ცდუნებისაგან, ყოვლადწმინდა ანგელოსებო!

სწორედ ამ დროს დერეფანში გაისმა მოხუცის ფეხისხმა. ვიიონი ფეხაკრეფით მიიპარა თავის სკამთან და გულმოდგინედ მიუფიცხა სველი ფეხები ნახშირის ღუმელს.

მასპინძელს ცალ ხელში ხორცით სავსე თეფში ეჭირა, მეორეში — ღვინის დოქი. თეფში მაგიდაზე დადო და ვიიონს ხელით ანიშნა, სუფრისკენ მოიწიეო. თვითონ კი ბუფეტიდან ორი თასი გადმოიღო და ღვინით შეავსო.

— გისურვებთ, რომ მომავალში ბედმა გაგიღიმოთ, — თქვა მან და დინჯად მიუჭახუნა თასი.

— ჩვენი გაცნობისა იყოს, — თქვა გულმოცემულმა პოეტმა. ჩვეულებრივ მდაბიორს დიახაც შეაკრთობდა მოხუცი ბატონის თავაზიანობა, მაგრამ ვიიონს ახე იოლად ვერავინ შეაცბუნებდა. მას რამდენჯერმე დიდ დიდი ბატონების გართობამაც მოუწია და მაშინ დაასკვნა, რომ ისინიც ისეთივე წუალწალებული არამზადები იყვნენ, როგორც თვითონ. ახე რომ ახლა მთელი თავისი უურადღება და მადა ხორცზე გადაიტანა. მოხუცი სკამის ზურგს მიურდნობოდა და ცნობისმოყვარე მზერას არ აცილებდა სტუმარს.

— მხარზე სისხლი გაცხიათ, ყმაწვილო, — შენიშნა მან.

მონტინმ თუ დაადო სისხლიანი ხელი გამოსვლიხას. ვიიონმა გულში წყევლა — კრულვა შეუთვალა მონტინის.

— მე არაფერ შუაში ვარ, — წაილუღლუღა ბოლოს.

— მაგ აზრით არც მითქვამს, — მშვიდად მიუგო მახპინძელმა. — ჩუმად იყო?

— მოკ, რალაც მაგდაგვარი, — შეშფოთებისაგან ენა დაება ვიიონს.

— იქნებ მოკლეს ვინმე?

— არა, არ მოუკლავთ, — სულმთლად თავგზა აებნა პოეტს. ეკლესიაშიც წესები არ დაურღვევიათ, მოკლედ, შემოაკვდათ. ღმერთი გამიწყრეს, თუ მე ვიცოდე, — დაუმატა ცივად.

— ჩემი ვარაუდით, ქვეყანას ერთი გარეწარი მოაკლდა, — შენიშნა სახლის პატრონმა.

— სწორედ რომ გარეწარი, — მხურვალედ დეთანხმა ვიიონი და შვებით ამოისუნთქა. ქვეყანა რომ მოიარო, ეგეთ გარეწარს ვერსად ნახავთ. კრავივით უწყინრად დალია სული. მაგრამ ხაშინელი სანახავი კი იყო. ალბათ ბევრი მკვდარი გინახავთ თქვენს სიცოცხლეში, თქვენო უდიდებულესობავ? — დახძინა მან და საჭურველს გადახედა.

— ძალიან ბევრი, — თქვა მოხუცმა, — მე, როგორც მოგეხსენებათ, ხამხედრო ხაქმეს მივხდევდი.

ვიიონმა იმ წუთას მომარჯვებული დანა-ჩანგალი კვლავ მაგიდაზე დააწყო.

— მელოტები თუ იყვნენ? — კვლავ შეეკითხა პოეტი.

— როგორ არა, და ჩემსავით თმაგაღარა მოხუცებიც ხომ რამდენიც გინდა.

— ჭალარას კიდევ არა უშავს, — თქვა ვიიონმა, — აი ის კი ულალთმიანი იყო. — ამის გახსენებაზე ვიიონს კვლავ შეაურეოლა და ყელში მობჯენილი ხიცილი ღვინის მოზრდილ ყლუპს გადააყოლა. — როცა ამაზე ვფიქრობ, რალაც ზემართება. რაც არ უნდა იყოს, მე მას ვიცნობდი, დალახვროს ეშმაკმა! თანაც ყინვაში უცნაური ფიქრები მოხდის თავში ადამიანს, იქნებ ხწორედ ეს ფიქრებია სისხლს რომ გიყინავს კაცს, რას მიხვდები.

— ფული თუ გაქვთ? — შეეკითხა მოხუცი.

— ერთი თეთრი მაქვს, — ხიცილით მიუგო პოეტმა. — მკვდარი ქალის წვივსაკრავიდან ამოვიღე. ის საწყალი ქეიხარიანით მკვდარი იყო და ეკლესიახავით ცივი. თმაში კი ბრელაბრული ლენტები ჰქონდა ჩაწნული. ზამთარი სასტიკად ეპყრობა მგლებს, ქუჩის ქალებსა და ისეთ მაწანწალებს, როგორიც თქვენი მონა-მორჩილია.

— მე გიხლავართ ენგერან დე ლა ფეიე, ბრიზეტუს ბატონი, პატატრას ბაი, თქვენ ვინლა ბრძანდებით?

ვიიონი წამოდგა და შესაფერიხი რევერანხით უპასუხა, — ფრანსუა ვიიონს მეძახიან, ერთი საწყალი ჩელოვნების მაგისტრი ვარ აქაური უნივერსიტეტიდან. ლათინურიხა ცოტა რამ გამეგება, ცოდვებისა — უველაფერი: ვთხზავ კანცონებს, ბალადებს, ლეს, ვირელეს, რონდელს და ღვინის დიდი ტრფიალიცა ვარ. ხხვენზე დავიბადე და ალბათ ხიბრძნობელაზე მოვკვდები. უველაფერ ამასთან, დღეის ამაზ იქით თქვენი ყურმოჭრილი მხახურიც გახლავართ.

— არავითარი მხახური, მხოლოდ და მხოლოდ სტუმარი, იხიც ერთი ღამით. — თქვა დიდებულმა.

— მაშინ დიდად დავალებული სტუმარი, — თავაზიანად უპასუხა ვიიონმა და უხმოდ გამოცალა მახპინძლის ხადღეგრძელო.

— გაჭრიახი კაცი ჩანხართ, — წამოიწყო მოხუცმა და შუბლზე ხელი მიუკაკუნა. — შეიძლება ითქვას, ძალზე განჭრიახიც, თანაც განათლებული და მაინც არ თაკილობთ მკვდარი ქალის წვივსაკრავიდან გროშების ამოღებას. რა შეიძლება ეწოდოს თქვენს საქციელს, თუ არა ქურდობა?

— ბრძოლის ველზე ძლიერ გავრცელებულია ამგვარი ქურდობა, თქვენო უდიდებულესობავ.

— ბრძოლის ველი ღირსებისა და ვაუკაცობის ხარბიელია, — ზვიადად უპასუხა მოხუცმა. — იქ კაცი ყოველ წუთს სიკვდილს ეთამაშება. იქ ადამიანი იბრძვის ჩვენი ხახელმწიფოს, უფალი ღმერთისა და ყოვლადწმინდა ანგელოხების ხახელით.

— დავუშვათ, რომ მართლაც ქურდი ვარ, — თქვა ვიიონმა, — განა მე კი არ ვეთამაშები სიკვდილს, თანაც გაცილებით ხახიფათოდ?

— გამორჩენიხათვის და არა ღირსებისათვის.

— გამორჩენა? — მხრების აჩეჩვით გაიმეორა ვიიონმა. — გამორჩენა. ხაწყალ კაცს ჭამა უნდა და ჭამს. განა ჭარისკაციც ახევე არ იქცევა? ანკი ეს რეკვიზიცია რალაა? თუკი ის გამორჩენა არ არის ამკრეფთათვის, გამდებთათვის ხომ ნამდვილად ზარალია. მეომრები ცეცხლის პირას ღვინოს შეეჭცევიან, მოქალაქე კი წელებზე ფეხს იდგამს, რომ მათთვის

როგორმე ღვინო და შეშა იშოვოს. ბარე ორი გლეხკაცი მინახავს ხეზე ჩამოკონწიალებული, ის კი არადა ერთხელ ერთ ხეზე 80 კაცი ეკიდა. პირდაპირ საცოდაობა იყო. ვიღაცას ეკითხე, რა დააშავეს ასეთი-მეთქი, და — იმდენ ფულს ვერ მოუყარეს თავი, რამდენიც ბატონ მეომრებს სჭირდებოდათო.

— რას იზამთ, ომს თავისი საჭიროება აქვს, რომელიც მდაბიოთ მოთმინებით უნდა ატანონ, ისიც მართალია, რომ ზოგჯერ ოფიცერს დანდობა არა აქვს. ყველა წოდებაში მოიპოვებიან გულქვა ადამიანები, რომელთაც სიბრალული არ ეკარებათ, ზოგიერთი კი მართლაც არაფრით აღემატება ბანდიტს.

— ხომ ხედავთ, — თქვა პოეტმა, — თქვენც კი გიჭირთ ჯარისკაცისა და ბანდიტის გამიჯვნა. ჭურდი კი სხვა რაღაა, თუ არა მარტოხელა და ცოტა უფრო წესიერი ბანდიტი. მე ერთ-ორ კატლეტს ავწაპნი გლეხკაცს, თან ისე ჩუმად, რომ ძილხაც არ დავუფრთხობ. ფერმერი ცოტას წაიბუზღუნებს და მადიანად შეექცევა დანარჩენ კატლეტს. თქვენ მობრძანდებით ბუკითა და ნალარით, მთელ ცხვარს წაგლიჯავთ და მადლობის მაგივრად ერთი კარგადაც ჰახეგვავთ. მე არა მაქვს ბუკ-ნალარა, მე ვინმე პიერი ვარ, ჟანი ან ჟაკი. კი ბატონო, მაწანწალა ძაღლი ვარ და ჩემზე ხახრჩობელაც ახია, სულითა და გულით გეთანხმებით, მაგრამ ერთი გლეხსაც ჰკითხეთ, ჩვენ ორს შორის რომელს ამჯობინებდა, რომლის წყევლა-კრულვაში ათენებს ზამთრის გრძელ ღამეებს?

— ახლა ჩვენ ორზე ვილაპარაკოთ, — თქვა მისმა უდიდებულესობამ, — აგერა ვარ მე, უკვე მოხუცი, მორჭმული და ყველასაგან პატივცემული კაცი. ხვალ მოულოდნელად ლიაცის ქვეშ რომ დავრჩე, ასობით კაცი ჩემთვის თავშესაფრის მოცემას პატივად ჩათვლის. ლარიბები წვრილ-შვილიანად ქუჩაში გაათევენ ღამეს, რომ ვაგრძნობინო, მარტო ყოფნა მსიამოვნებს-მეთქი; და აგერა ხარ შენ, — საკუთარი ჭერი არ გაგაჩნია, დაწანწალებ ქუჩა-ქუჩა და მკვდარ ჭალებს გროშებსა ჰპარავ. როცა უფალი თავისთან მიმიხმობს, მე მშვიდად შევხვდები სიკვდილს საკუთარ ჭერქვეშ ან, თუ ჩვენს ხელმწიფეს კვლავ დავეირდები, ბრძოლის ველზე დავახრულებ სიცოცხლეს. შენ კი სახრჩობელა ყელის, ნაძალადევი, უფერული სიკვდილი, სასოებისა და პატივის გარეშე. განა ჩვენს შორის განსხვავება არ არის?

— არის და მერე როგორი, როგორც ცასა და მიწას შორის, — უყოყმანოდ დეთანხმა ვიიონი, — მაგრამ მე რომ ბრიზეტუს მფლობელად დავბადებულიყავი, თქვენ კი სწავლულ ფრანსუა ვიიონად, განა განსხვავება რაიმეთი შემცირდებოდა? მაშინ ხომ მე გავითბობდი მუხლებს ტკბილად მოღუღუნე ღუმელთან, თქვენ კი ერთი თეთრისათვის თოვლში ფორთხვასაც არ დაერიდებოდით. მაშინ ხომ მე ვიქნებოდი მეომარი. თქვენ კი — ჭურდი.

— ჭურდი? — შეპყვირა მოხუცმა — მე? ჭურდი? რომ გესმოდეთ, რასაც ამბობთ, ენა არ მოგიბრუნდებოდათ.

ვიიონმა უტიფრად გაშალა ხელები. — თუკი თქვენმა უდიდებულესობამ პატივი დამდო და მიბრძანა ჩემს მსჯელობას..

— მე მგონი, მართლაც მეტისმეტად დიდი პატივი დაგდეთ, სახლში რომ შემოგიშვეთ, — თქვა რაინდმა, — ენა დაიმოკლეთ, როცა ბანშიშესულ, პატივცემულ ადამიანებს ელაპარაკებით, თორემ ვინმეს მოთმინება არ ეყოფა და სხვანაირად გაგიხწორდებათ.

მან ოთახში გაიარ-გამოიარა, თან ცდილობდა როგორმე ჩაეხშო ყელში მობჯენილი ბრაზი და ზიზღი. ვიიონმა შეუმჩნევლად შეიტანა სასმისი და უფრო მოხერხებულად მოიკალთა სკამზე: ფეხი ფეხზე გადაიდო, ერთ ხელზე ნიკაპი დააყრდნო, მეორე კი სკამის საზურგეზე გადადო. მუცელი ამოიყორა და გათბა. თავიანი მასპინძელის ხასიათსაც კარგად ჩაწვდა, რამდენადაც ასეთი განსხვავებული ბუნებით კაცს შეიძლება ჩაწვდეს ვინმე, და მისი იოტისოდენა შიშიც აღარ ჰქონდა. საცაა გათენდებოდა. ასე იყო თუ ისე ეს ხალამოც საუცხოოდ გაატარა და დარწმუნებულიც იყო, რომ დილით უდავიდარაბოდ გაეცლებოდა იქაურობას.

მოხუცი შეჩერდა და ვიიონს მიუბრუნდა.

— ერთი ეს მითხარით, მართლა ჭურდი ხართ?

— სტუმართმოყვარეობის წმიდათაწმიდა წეს-ჩვეულებას ვფიცავ, მართლა ჭურდი ვარ, თქვენო უდიდებულესობავ. — მიუგო პოეტმა.

თქვენ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ხართ, — განაგრძო რაინდმა.

— ამ ხნისაც ვერ მოვიყრებოდი, — უპასუხა ვიიონმა და თითები შეათამაშა, — ეს ათი შეშე რომ არა მყოლოდა. მათ გამზრდელი დედისა და მარჩენალი მამის მაგივრობა გამიწიეს.

— ჯერ კიდევ შეგიძლიათ, მოინანიოთ და გარდაიქმნათ.

— დღე-ცისმარე ვინანიებ, — უპასუხა პოეტმა, — ძნელად თუ მოიძებნება კაცი, ვინც ისე სულითა და გულით ინანიებდეს, როგორც საბრალო ფრანსუა, ხოლო რაც შეეხე-

ბა გარდაქმნას. ჯერ გარდაქმნან ჩემი პირობები. უკმელად, ცარიელი ჰაერით მონანიებას კი არადა, სუნთქვასაც ვეღარ შესძლებს ადამიანი.

— გარდაქმნა ადამიანის სულში უნდა დაიწყოს, — საზეიმოდ განაცხადა მოხუცმა.

— ძვირფასო ბატონო, — უპასუხა ვიიონმა, ნუდუ მართლა ფიქრობთ, რომ ჭურდობა სიამოვნებას მანიჭებს. ჭირის დღესავით მეჯავრება ჭურდობა, ისევე როგორც სხვა რომელიმე საქმეობის შესრულება ან საფრთხეში თავის ჩაგდება. ხახრჩობელას [illegible] კბილები მიკაწკაწებს, მაგრამ ხომ უნდა ვჭამო, ხომ უნდა ვსვა, ვიღაცას [illegible] დახწყევლოს ღმერთმა! ადამიანი მარტობელა მხეცი როდია!

— დამნიშნეთ მეფის მეღვინეთუხუცესად, ან სენ-დენის აბატად და პატატის ბაიდ, აი მაშინ კი ნამდვილად გარდავიქმნები, მაგრამ სანამ ღვთისა და თქვენი შეწევნით კვლავ ერთი ჯიბეგაფხეკილი სწავლული ფრანსუა ვიიონი ვარ, რაღა თქმა უნდა, ჩემს გარდაქმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— უფალი ყოვლის შემძლეა.

— მართლაც ერეტიკოსი უნდა ვიყო, რომ მაგაში შემოგედავოთ, — თქვა ვიიონმა, — სწორედ მისი წყალობითა ბართ თქვენ ბრიზეტუს მფლობელი და პატატრას ბაი, მე კი გაქნილი ჭკუისა და ამ ათი საცეცის გარდა არაფერი გამაჩნია. შეიძლება კიდევ დავიხხა? ულრმესად გმადლობთ. ღვთის წყალობით, მშვენიერი ღვინო გაქვთ.

ბრიზეტუს მფლობელი უკან ხელებშემოწყობილი ბოლთას ცემდა ოთახში. იქნებ ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა ჯარისკაცების შედარება ჭურდებთან, იქნებ ვიიონმა რალაცნაირი თანაგრძნობა გამოიწვია მის სულში ან იქნებ თავგზა აუბნია ასეთმა უჩვეულო მსჯელობამ. ასე იყო თუ ისე, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ჭეშმარიტ გზაზე მოექცია პოეტი და მისი კვლავ ჭუჩაში გასტუმრება ვერ გადაეწყვიტა.

— ერთი რამ ვერ გამიგია. — თქვა მან. — ენა კარგად გიჭრით. ჩანს, შორს გაუტყუებიხართ ეშმაკს თავის მრუდე გზაზე. მაგრამ ეშმაკი უძლურია ყოვლისშემძლე უფლის წინაშე. მისი მზაკვრობა ვერ უმკლავდება მზის სხივებს. ყური დამიგდეთ, დიდი ხნის წინათ შევიგნე, რომ აზნაური ალსავხე უნდა იყოს რაინდული კეთილშობილებით, უნდა უყვარდეს ღმერთი და ხელმწიფე ჩვენი, განუზომლად უნდა ეტრფოდეს თავისი გულის ქალბატონს. რისი მხილველი არ შევიქენი ამ ქვეყნად, მაგრამ არჩეულ გზისათვის არასოდეს მიღალატნია. ეს ჭეშმარიტება წერია არა მარტო ყველა ბრძნულ წიგნში, არამედ ყველა ადამიანის გულის ფიცარზეც. თუკი მის ამოსაკითხად გაირჯება ვინმე. თქვენ ლაპარაკობთ საჭმელზე, ღვინოზე და თუმცა მე ვიცი, რომ შიმშილი მძიმე გამოცდაა, მაგრამ განა ნაკლებობა სულიერი საკვებისა, როგორიცაა რწმენა, ღირსება, კეთილშობილება, ამაღლებული სიყვარული, უფრო მეტად არ აწამებს ადამიანს? იქნებ გონება არა მყოფნის, რაღაც არა მგონია, რომ ასე იყოს, მაგრამ ჩემის აზრით, თქვენ ის კაცი ხართ, ვისაც გზა აბნევია და ცდომილებაში ჩავარდნილა. წვრილმან საზრუნავს გადაყოლილს მხედველობიდან გამოგპარვიათ უმთავრესი საჭიროება. დამგვანებიხართ კაცს, რომელიც განკითხვის დღეს კბილის მკურნალობას შედგომია, მაგრამ გაცილებით მძაფრადაც ვიტანჯებით. ყველაფერ ამას იმიტომ გეუბნებით, რომ იმედი მაქვს, ადვილად გამიგებთ. როგორ გგონიათ, მუცლის საჭიროებას გადაყოლილი, ხომ არ უგულვებელყოფთ უფრო დიდ შიმშილს თქვენი სულისას და ეს ხომ არ გიშხამავთ საწუთროს სიტკბოებას?

ვიიონი აშკარად წონასწორობიდან გამოიყვანა ასეთმა ჭადაგებამ. „თქვენის აზრით, მე არავითარი ღირსება არ გამაჩნია? — წამოიძახა მან, — ღმერთია მოწამე, ღატაკი ვარ, არაფრის მქონე. ძნელია, მშვიდად უყურო ბობოლებს, ლუნლულა ხელთათმანებში რომ ჩათბუნებულან, შენ კი ამაოდ იორთქლავ დამზრალ ხელებს. ცარიელი სტომაქი ძნელი ასატანია, თუმცა შენ ამაზე იოლად ლაპარაკობ. შენ რომ ჩემსავით ხშირ-ხშირად გიწევდეს მშიერი კუჭით სიარული, სულ სხვა ხმაზე აგიკვიკდებოდი. ჭურდი ვარ, კი ბატონო! რაც არ უნდა თქვა, ჯოჯოხეთის მოციქულობას ხომ ვერ დამაბრალებ? მეც გამაჩნია ღირსება და პატიოსნება, რომელიც თქვენსას არაფრით ჩამოუვარდება. ისიც მართალია, რომ მე თქვენსავით დილიდან საღამომდე არ გავყვირი ჩემს პატიოსნებაზე და არც ღვთისმიერ სასწაულად მიმაჩნია ეს. საკუთარი ბუნებრივად მეჩვენება მისი არსებობა და სანამ საჭიროება არ მოითხოვს, ჯაფას არ ვაყენებ, არის თავისთვის აგერ, რა ხანია ამ ოთახში ვზივარ, თქვენ თვითონ არა თქვით, რომ სახლში მარტო ხართ? ძაბუნს, ვერ დაგარქმევთ კაცი გეთანხმებით, მაგრამ მოხუცი ხართ მაინც, თანაც უიარაღო. მე კი აგერა მაქვს ჩემი დანა. ერთი ხელის მოქნევა და თქვენი გული სამუდამოდ დადუმდებოდა. მე კი ამ ოქროს თეფშებს ამოვიღლიავებდი და, აიდა! გგონიათ, ჭკუა არ მეყო ამის მოსაფიქრებლად? მაგრამ არა ვქენი. აგერ გიწყვიათ ეგ წყეული ბურჯელი, ტაძრის შეწირულებასავით ხელუხლებლად. თქვენი გულიც უშფოთველად განა-

ვრძობს ტიკტიკს და მეც მზადა ვარ იმ ერთადერთი გროშის ანაბარა დავადგე ჭუჭას, თქვენ რომ ასე აითვალწუნეთ, და ისეთივე ლატაკ-ოხერი წავიდე აქედან, როგორიც მოვსულვარ. დასწყევლოს ღმერთმა, თქვენ კიდევ ამბობთ, რომ ღირსება და პატიოსნება არ გამაჩნია.

მოხუცმა ხელი აღმართა.

— იცით ვინა ხართ? — თქვა მან, — არამზადა, სინდის-ნამუსგარეცხილი არამზადა და მაწანწალა! მხოლოდ ერთი საათი დავუყავი თქვენ გვერდით და მერწმუნეთ, [illegible] რებულადა ვგრძნობ. ჭამეთ და სვით ჩემს ხუფრასთან. ახლა კი თქვენი [illegible] ამომიყიდა. უკვე თენდება, მღაბიონი ბნელ ფუღუროებს უნდა შეეხიზნონ. წინ გამიძღვებით თუ უკან გამომყვებით?

— როგორც გენებოთ, — უპასუხა პოეტმა და ფეხზე წამოდგა, — თქვენს კეთილშობილებაში ეჭვიც არ შეპარებია, — შეფიქრიანებულმა გამოცალა ჯამი.

— კარგი იქნებოდა თქვენს ჭკუაზეც რომ იგივე აზრისა ვიყვე, — განაგრძო მან და შუბლზე ხელი მიიკაკუნა. — სიბერე, სიბერე! ტვინს ფიტავს და გონებას აჩლუნგებს.

მოხუცი თავისი ღირსების სრული შეგნებით წაუძღვა წინ სტუმარს, ვიიონი სტვენა-სტვენით მიჰყვა უკან.

— შეგინდოს უფალმა! — უთხრა ბრიზეტუს ბატონმა კარებთან.

— ნახვამდის, მამილო! — მთქნარებით ამოღერღა ვიიონმა, — უღრმესი მადლობა ცივი ხორცისათვის.

პოეტის ზურგსუკან კარი მიიხურა. ცისკარი მოიპარებოდა დათოვლილ სახურავებზე. ცივი, უცმური დილით იწყებოდა ახალი დღე. ვიიონი შუა ქუჩაში შედგა და გემრიელად გაიზმორა.

— ძალიან მოსაწყენი ვინმე კი იყო ეს მოხუცი ბატონი, — გაიფიქრა და მერე. — ნეტავ რა ეღირება მისი ოქროს თასები?

სომერსეტ მოემი

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ვანო იმერლიშვილმა

პიროგა

ჩემი ცოლი ძალზე მოკლებულია სიზუსტის გრძნობას, ჰოდა, როცა შევთანხმდით ერთად გვესაუზმა სასტუმრო კლერიჯში, მე იქ განგებ ათი წუთის დაგვიანებით მივედი და რომ არ დამხვდა, არც გამკვირვებია. გაცხოველებული ტურისტული სეზონი იყო და ჰოლში მხოლოდ ორი-სამი თავისუფალი მაგიდა თუ იქნებოდა. ზოგნი დილაადრიან საუზმის მერე ახლა ყავას მიირთმევდნენ, სხვები კი ჩემსავით მშრალი მარტინით იქცევდნენ თავს. ზაფხულის კაბებში გამოწყობილი ქალები უდარდელად და მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ, მამაკაცებიც ხალისიანი ჩანდნენ; ტანადნი და სასიამოვნონი იყვნენ, ამასთან მოხდენილად ეცვათ, მაგრამ უმრავლესობა ერთი მეორეს წააგავდა და მე ცნობისმოყვარეობით კი არა, უფრო ისე, სხვათა შორის, ვათვალიერებდი. მაგრამ ვერავინ ვიპოვე ისეთი, ვინც იმდენად დამაინტერესებდა, მივიდოდი და მასთან საუბარში თხუთმეტი წუთით თავს გავირთობდი. ვიცოდი, ჩემი ცოლის გადამკიდეს, კიდევ მომიწევდა ლოდინი, ამასობაში ორი საათიც შესრულდა და მომშივდა კიდეც, ჩემს ცოლს ბევრჯერ უთქვამს, ვერ ვგუობ ფირუზსა და საათს, რადგან ფირუზი მწვანე ფერს იღებს და საათი კი ჩერდებაო; თან ყოველივე ამას ბედის უკეთურობას მიაწერს, ვერაფერს ვიტყვი ფირუზზე, მაგრამ საათმა ხომ შეიძლება იმუშაოს, თუ მომართავს ხელმე. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ შიკრიკი მომიახლოვდა იმ გაფხორილი იერით, სასტუმროში მომსახურეთ რომ აქვთ ხოლმე და მითხრა, ეს-ეს არის ერთმა ქალბატონმა დარეკა და მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ ვერ მოვა. საუზმეზე ნუ დამელოდებიო.

შევყოყმანდი. მოგეხსენებათ, ძალზე სახალისო არ არის მარტო შეექცეოდე საჭმელს ხალხით გაჭედილ რესტორანში, მაგრამ კლუბში წასვლა დაგვიანებული იყო და გადავწყვიტე, აქ დავრჩენილიყავი. არასოდეს არ მანიჭებს რაიმე განსაკუთრებულ კმაყოფილებას (ბევრ მაღალი წრის ჯენტლმენისგან განსხვავებით) ფეშენებელური რესტორნების მეტრდოტელთა შინაურული მოპყრობა, მაგრამ ამ შემთხვევაში მართლაც რომ მოხარული ვიქნებოდი სულ მთლად უცნობივით არ შემხვედროდნენ. სახეგაქვავებულმა მეტრდოტელმა მტრულად მითხრა, ყველა მაგიდა დაკავებულიაო. მე უმწეოდ მიმოვიხედე დიდ და შთამბეჭდავ დარბაზში და უეცრად ჩემდა სასიხარულოდ ერთ ნაცნობს მოვკარი თვალი. ეს იყო ლედი ელიზაბეტ ვერმონტი — ჩემი ძველი მეგობარი. მან გამიღიმა და როცა შევამჩნიე, მარტო იჯდა, მისკენ გავემართე.

— იქნებ შეიბრალოთ მშიერი კაცი და ნება დართოთ თქვენს მაგიდას მოუჯდეს.

— ო, გთხოვთ, დაბრძანდით. მაგრამ მე თითქმის დავამთავრე.

ქალი პატარა მაგიდას უჯდა ვეებერთელა სვეტის გვერდით და როცა მეც დავჯექი, შევამჩნიე, რომ მიუხედავად ხალხმრავლობისა, თითქმის განმარტოებით ვისხედით.

— ბედი მჭონია. ცოტაც და შიმშილისგან გული წამივიდოდა, — ვთქვი მე.

ძალზე სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა, უცებ კი არ უბრწყინებდა სახეს,— თანდათანობით ჰფენდა მომხიბვლელობას. ერთი წუთით ღიმილი ტუჩებზე დასთამაშებდა, მერე კი ნელ-ნელა მის დიდრონ, მოელვარე თვალებზე გადადიოდა და ნაზად ეფინებოდა. ვერავინ იტყოდა, ელიზაბეტ ვერმონტი სხვებს წააგავსო; იგი ყველასგან განსხვავებული ქალი იყო. მე მას ახალგაზრდობაში არ ვიცნობდი, მაგრამ როგორც მითხრეს, ისეთი ლამაზი ყოფილა, კაცს თურმე თვალზე ცრემლი მოადგებოდა, და მათი ნათქვამის არარწმუნება არ შემეძლო: იგი ახლაც, ორმოცდაათი წლის ასაკშიც, შეუდარებელი იყო. არ მიყვარს დახატული სახეები, ერთიმეორეს რომ ჰგვანან; ვფიქრობ, ქალები ჩერჩეტები არიან, სახეს პუდრით, ფერუმარილით და პომადით რომ ითხაპნიან და უსიცოცხლო გამომეტყველებას იძენენ ხოლმე. მაგრამ ელიზაბეტ ვერმონტი იმიტომ კი არ იხატებოდა, სხვებისთვის მიებაძა, არამედ მათზე ფუტრო ლამაზი შესახედავი რომ ყოფილიყო. რა ჩვენი საქმეა, ამას როგორ ახერხებდა, მაგრამ შედეგი კი აუცილებლად აღფრთოვანებაში მოგიყვანდათ. გამომწვევად და გაბედულად ხმარობდა კოსმეტიკას, თავისი დახვეწილი სახე რომ უფრო უკეთ გამოეკვეთა და არ მიეჩქმალა. სადად დავარცხნილი შავი თმა უბზინავდა, ალბათ შეღებილი ჰქონდა. ისე წელგამართული დადიოდა, თითქოს ზლაზვნით არასდროს არ გაუვლიათ და ძალზე მოხდენილი იყო. ზოლებიანი შავი ატლასის კაბა ეცვა, რომლის სისადავე აღტაცებაში მოგიყვანდათ. კისერზე მარგალიტის გრძელი ასხმა ეკიდა. მეორე ერთადერთი სამკაული, საქორწინო ბეჭედთან ერთად რომ ჰქონდა თითზე გაკეთებული, დიდი ზურმუხტი იყო, რომლის მუქი ელვარება ხაზს უსვამდა ქალის ხელების სითეთრეს. ერთადერთი, სწორედ წითელფრჩხილებიანი ხელები იყო, ყველაზე საგრძნობლად რომ ამჟღავნებდნენ მის წლოვანებას. ამ ხელებს უკვე აღარ ჰქონდათ ახალგაზრდა ქალისთვის დამახასიათებელი სინაზე და სიფაფუკე. არ შეიძლებოდა მათთვის თვალი რალაც წუხილის მაგვარი გრძნობით არ შეგევლოთ. სულ მალე ეს ფრჩხილები მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებს დაემსგავსებოდნენ.

საუცხოო ქალი იყო ელიზაბეტ ვერმონტი. არისტოკრატული ოჯახიდან გამოსული, წმინდა ერფის მეშვიდე ჰერცოგის ქალიშვილი თვრამეტი წლის ასაკში ძალიან მდიდარ კაცს გაჰყვა ცოლად და მაშინვე ენით აუწერელი თავაშვებულობის, ავხორცობისა და ბედოვლათური ცხოვრების გზას დაადგა. ზედმეტად ამაყი იყო და არ ფრთხილობდა, ამასთან ისეთი არხეინიც გახლდათ, რომ სულაც არ ფიქრობდა, რა შედეგი მოჰყვებოდა მის საქციელს და ორ წელიწადში ქმარმა საშინელი სკანდალით მიატოვა. ამის მერე ელიზაბეტი ცოლად გაჰყვა ერთს იმ საყვარელთაგანს, ვინც სასამართლო საქმის მსვლელობის დროს იყო მოხსენიებული, მაგრამ თვრამეტი თვის მერე მასაც გაექცა. მერე ვინ მოთვლის, რამდენი საყვარელი არ გამოიცვალა. იგი ცნობილი გახდა თავისი გახრწნილების წყალობით. არ ნახულმა სილამაზემ და სამარცხვინო

საქციელმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და დიდი ხანია მიჩუმებულ ჭორიკანა ხალხს სალაპარაკო გაუჩნდა. მისი სახელი ზიზღის გრძნობას იწვევდა პატიოსან ხალხში. მათ თვალში ელიზაბეტი ბანქოს მოთამაშე, მფლანგველი და ხელიდან წასული ქალი იყო. თუმცა საყვარლებს ალალობდა, სამაგიეროდ მეგობრების ერთგული იყო და მათ შორის ყოველთვის მეძებნებოდა ერთი-ორი კაცი, ვინც არასდროს არ მისცემდა თავს [illegible] არ უნდა ჩაედინა, რაიმე დასცდენოდა მასზე, გარდა იმისა, რომ ელიზაბეტ ვერმონტი ძალზე მომხიბვლელი ქალი იყო. გულკეთილი, სიცოცხლით სავსე და გაბედული ელიზაბეტი არასოდეს არ ყოფილა თვალთმაქცი. დიდსულოვანი და გულწრფელი იყო. მისი ცხოვრების სწორედ ამ ხანაში გავიცანი იგი, რადგან ახლა, როცა რელიგია მოდიდან გავიდა, შელახული რეპუტაციის მქონე დიდგვაროვანი ქალბატონები ხელოვნებას ეკედლებიან ხოლმე. როცა მათ თავისივე წრის წევრები ზურგს აქცევენ, ისინი ზოგჯერ თავიანთი ყურადღების ღირსად ხდიან მწერალთა, მხატვართა და მუსიკოსთა საზოგადოებას. სასიამოვნო მოსაუბრედ ვცანი. ის იმ ბედნიერ ადამიანთაგანი იყო, რომლებიც სრულიად უშიშრად ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ (ასეთი მოსაუბრენი, მოგეხსენებათ, დიდ დროს არ ართმევენ ხოლმე კაცს), ამასთან გონებამახვილიც გახლდათ. ყოველთვის მზად იყო თავის შავბნელ წარსულზე (თავშესაქცევი იუმორით) ესაუბრა. ათასნაირი მითქმა-მოთქმის მიუხედავად ელიზაბეტ ვერმონტი ძალზე პატიოსანი ქალი იყო.

მერე ერთობ უჩვეულო საქმე ჩაიდინა. ორმოცი წლისა ოცდაერთი წლის ბიჭს გაჰყვა ცოლად. მისი მეგობრები ამბობდნენ, ასე უჭკუოდ თავის ცხოვრებაში არ მოქცეულაო. ისინიც კი, ყველანაირ განსაცდელში გვერდით რომ ედგნენ, ახლა ბიჭის გამო სწუხდნენ, ამაზრზენად ეჩვენებოდათ მისი გამოუცდელობით ასეთნაირი სარგებლობა. მეგობრებმა ზურგი აქციეს ელიზაბეტს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. უბედურებას წინასწარმეტყველებდნენ და იმედოვნებდნენ კიდეც, რომ ასეც მოხდებოდა, რადგან იცოდნენ — ელიზაბეტ ვერმონტს ექვს თვეზე მეტ ხანს არ შეეძლო დარჩენილიყო ვინმეს ერთგული. საბრალო ახალგაზრდისათვის კი სწორედ ეს მიაჩნდათ ერთადერთ თავის დასაღწევ საშუალებად, რადგან მისი ცოლი ისეთ სამარცხვინო საქმეებს ჩაიდენდა, ბიჭი იძულებული გახდებოდა თვითონ მიეტოვებინა. მაგრამ ცდებოდნენ. ვერ ვიტყვი, დრომ იმოქმედა ქალის არსებაში გრძნობათა გარდატეხაზე, თუ პიტერ ვერმონტის გულუბრყვილო და წრფელმა სიყვარულმა შეძრა იგი, მაგრამ ფაქტია, შესანიშნავი ცოლი გამოდგა. ისინი ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ელიზაბეტი კი, მოგეხსენებათ, მფლანგველი ქალი იყო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მომჭირნე დიასახლისი გახდა. უეცრად ისეთი სიფრთხილით მოეკიდა თავის სახელს, რომ ჭორიკანა ხალხი ჩააჩუმა. ახლა ელიზაბეტის ერთადერთ საზრუნავს პიტერის ბედნიერება წარმოადგენდა. ქმარი რომ თავდაყიწყებით უყვარდა, ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. ელიზაბეტ ვერმონტი კარგა ხანი იყო მითქმა-მოთქმის საგანი, ახლა კი აღარ ჭორაობდნენ. თითქოს რასაც მასზე ამბობდნენ, ყველაფერი ტყუილი ყოფილაო. იგი შეიცვალა, სულ სხვა ქალად იქცა და მეც თავს იმაზე წარმოდგენით ვირთობდი, რომ როცა ელიზაბეტი უმწიკვლო, დარბაისელი ქალის სახელდამკვიდრებული, წლებით დამძიმებული ქალბატონი იქნება, მოეჩვენება, რომ წარსული, ის ბნელი წარსული, მას კი არადა, ვილაც სხვას ეკუთვნოდა, იმას ეკუთვნოდა,

ვინც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილიყო და ვისაც ერთ დროს ბუნდოვნად იცნობდა კიდეც. ქალებს ხომ დავიწყების შესაშური ნიჭი აქვთ!

მაგრამ წინასწარ ვის შეუძლია განსაზღვროს, ვის რაის უმზადებს ბედი? თვალის დახამხამებაში ყველაფერი შეიცვალა. ათი წლის იდეალური ცოლ-მრობის მერე, პიტერ ვერმონტს სიგიჟემდე შეუყვარდა ახალგაზრდა, ლამაზი ბარბარა კენტონი. მომხიბვლელი გარეგნობის ბარბარა, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი თანაშემწის, ლორდ რობერტ კენტონის უმცროსი ქალიშვილი, ლამაზი, თეთრი, ნაზი არსება იყო. თუმცა ერთი წუთითაც კი არ შეიძლებოდა მისი შედარება ლედი ელიზაბეტთან. ბევრმა უკვე იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ ვერვინ იტყოდა დარწმუნებით, თვით ელიზაბეტმა თუ იცოდა რამე. ხალხს აინტერესებდა, როგორ შეხვდებოდა ელიზაბეტი იმ ამბავს, რაც არასოდეს გამოეცადა თვითონ. პირველი ხომ ყოველთვის ელიზაბეტი ტოვებდა საყვარლებს; არცერთს ის არ მიუტოვებია. ჩემის მხრივ კი ვფიქრობდი, რომ ასეთ საქციელს ელიზაბეტ ვერმონტი ძვირად დაუსვამდა პატარა მის კენტონს, ვიცოდი მისი შემართებისა და მოხერხებულობის ამბავი. ყოველივე ამან საუზმის დროს საუბრისას გამიელვა თავში. ელიზაბეტის ქცევაში ისეთი არაფერი იგრძნობოდა, რასაც შეეძლო მიენიშნებინა, რომ რაღაც აწუხებდა, ჩვეულებისამებრ, უდარდელად, მომხიბვლელად და გულღიად ეჭირა თავი. როგორც ჩვეოდა, დაუდევრად, მაგრამ გონივრულად და ცოცხალი იუმორით საუბრობდა. დიდად ვისიამოვნე მასთან საუბრით. იმ დასკვნამდე მივედი, რომ რაღაც სასწაულის წყალობით, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა პიტერის გულგრილობაზე, ალბათ, ელიზაბეტის სიყვარული პიტერისადმი ისე დიდი იყო, რომ ვერც კი გაიელვებდა გულში, პიტერს ისე ძლიერად აღარ ეყვარვარო.

ყავა დავლიეთ, მოვწიეთ რამდენიმე სიგარეტი და მერე მან დრო მკითხა.

— სამს თხუთმეტი წუთი აკლია.

— ჩემი ანგარიში უნდა მოვითხოვო.

— ნებას მომცემთ მე გადავიხადო?

— რასაკვირველია, — გაიღიმა მან.

— გეჩქარებათ?

— სამ საათზე პიტერს ვხვდები.

— მართლა, როგორ არის?

— ბრწყინვალედ.

მომხიბლავად ჩაიცინა და მომეჩვენა, რომ ამ ღიმილში რაღაც დაცინვა გამოკრთოდა .ერთი წამით შეყოყმანდა და დაფიქრებით შემომხედა.

— თქვენ ვგონებ მოგწონთ კურიოზული ამბები, არა? — მკითხა მან.— ვერც კი წარმოიდგენთ, რა საქმეში ვარ გახვეული. ამ დილით პიტერს დავურეკე და ვთხოვე, სამ საათზე შემხვდი-მეთქი. ვაპირებ ვუთხრა, გამცილდეს.

— თქვენ ამას არ იზამთ! — შევუვირე მე. ვიგრძენი, წამოვწითლდი, არ ვიცოდი რა მეთქვა. — თითქოს მშვენივრად უგებდით ერთმანეთს.

— თქვენ გგონიათ, მე შეიძლება არ ვიცოდე ის, რაც მთელმა ქვეყანამ იცის? არც ისეთი სულელი ვარ.

ისეთი ქალი არ იყო, ვისთვისაც შეიძლებოდა გეთქვათ ის, რისაც თავად არ გჯეროდათ. მე კი თვალთმაქცობა არ შემეძლო. ერთი-ორი წამით გავჩუმდი.

— რატომ ცდილობთ, რომ პიტერი გაგცილდეთ?

— რობერტ კენტონი კონსერვატიული შეხედულებების მოხუცია. ძლიერ მეპარება ეჭვი, ბარბარას ნება დართოს პიტერს ცოლად გაჰყვეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას გავცილდები. მე კი, თქვენ კარგად იცით, ასეთი რამ ჩირადაც არ მიღირს: ერთით მეტი იქნება, თუ ნაკლები... — მან თავისი ლამაზი მხრები აიჩეჩა.

— კი მაგრამ, საიდან იცით, რომ პიტერს მისი ცოლად თხოვნა უნდა?

— გაგიჟებამდეა ბარბარაზე შეყვარებული.

— განა მან ასე გითხრათ?

— არა. პიტერმა არც კი იცის, რომ მე ვიცი. საბრალო ბიჭი, ძალზე უბედურად გრძნობს თავს. ყოველმხრივ ცდილობს, არ შელახოს ჩემი გრძნობები.

— იქნებ, ეს უბრალოდ წუთიერი გატაცებაა, — შევბედე მე. — ალბათ გაუვლის.

— რატომ უნდა გაუაროს? ბარბარა ახალგაზრდა და ლამაზია. საკმაოდ მომხიბვლელიცაა. ისინი ძალზე უხდებიან ერთმანეთს. ესეც არ იყოს, განა კარგი იქნება, მათი სიყვარული რომ თოვლის ფიფქივით დადნეს? ახლა მათ უყვართ ერთმანეთი და სწორედ ეს არის, რაც მთავარია ხოლმე სიყვარულში. ცხრამეტი წლით უფროსი ვარ პიტერზე. და საერთოდ, თუ მამაკაცს აღარ უყვარს ქალი, თანაც ისეთი ასაკოვანი, დედადაც კი რომ შეეფერება, ნუთუ ფიქრობთ, რომ ოდესმე კვლავ შეიყვარებს ქალს? თქვენ ხომ მწერალი ბრძანდებით და ვფიქრობ უფრო უკეთ უნდა იცნობდეთ ადამიანის ბუნებას.

— მაინც არ მესმის, რატომ ამბობთ უარს პირად კეთილდღეობაზე?

— ათი წლის წინათ, როცა პიტერმა მთხოვა ცოლად გავყოლოდი, შევპირდი, როგორც კი მოისურვებდა თავისუფლებას, ჩემი მხრიდან წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა. იცით, ისე დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო ჩვენს შორის, ვიფიქრე, ჩემი მხრივ ამგვარი პირობის მიცემა მხოლოდ სამართლიანობა იქნება-მეთქი.

— და თქვენ აპირებთ შეასრულოთ მიცემული პირობა, რომლის შესრულებაც მას არ უთხოვია?

მან სწრაფად, მოუსვენრად აამოძრავა თავისი გრძელი, გამხდარი ხელები და მაშინვე ვიგრძენი, რომ ზურმუხტის მუქ ბრჭყვიალში რაღაც ავის მომასწავებელი გამოკრთოდა.

— მე უნდა შევასრულო პირობა. ადამიანი, ყოველთვის ჯენტლმენურად უნდა მოიქცეს. და მართალი რომ გითხრათ, სწორედ ამიტომ ვსაუბრობ აქ დღეს. სწორედ ამ მაგიდას ვუსხედით, როცა მან ხელი მთხოვა, იცით, ჩვენ ერთად ვსადილობდით და მე ზუსტად აქ ვიჯექი, სადაც ახლა ვზივარ. სამწუხაროა, მაგრამ მე იგი კვლავ ძლიერ მიყვარს. — ერთი წუთით გაჩერდა და მე დავინახე, როგორ დააჭირა კბილი კბილს. — უნდა დაგტოვოთ. პიტერს ეჯავრება, როცა ალოდინებენ.

რაღაცნაირად უმწეოდ შემომხედა და მივხვდი, სკამიდან წამოდგომის თავი არ ჰქონდა. მაგრამ გაიცინა და სწრაფად წამოხტა.

— ხომ არ გამოგყვეთ?

— მხოლოდ სასტუმროს კარამდე, — გამიღიმა მან.

ჩვენ გავიარეთ რესტორანი, ჰოლი და როცა გასასვლელს მივუახლოვდით, შვეიცარმა მბრუნავი კარი დაატრიალა. შევეკითხე, ტაქსს ხომ არ ისურვებდით-მეთქი.

— არა, ფეხით მირჩევნია გასეირნება, თან საუცხოო დღეც არის. ხელი გამომიწოდა. — ფრიად სასიამოვნოა, რომ შეგხვდით. ხვალ საზღვარგარეთ მივდივარ, ვიმედოვნებ, მთელი შემოდგომა ლონდონში ვიქნები. გთხოვთ, დამირეკოთ.

მან გამიღიმა, თავი დამიქნია და გაბრუნდა. დავინახე, როგორ აუყვა დევისის ქუჩას. გაზაფხულისათვის დამახასიათებელი, თბილი ამინდი იდგა. სახლის სახურავებს ზემოთ, მაღლა ცისფერ ცაზე პატარა, თეთრი ღრუბლები ნელ-ნელა მიცურავდნენ, ელიზაბეტი წელში ძალზე გამართული იყო და ელეგანტური იერი ჰქონდა. მოხდენილი, ლამაზი ტანი ჰქონდა და ქუჩაში მოხიარულენი თვალს აყოლებდნენ. დავინახე, როგორი მოწიწებით მიესალმა იგი ერთ ნაცნობს. კაცმა კი ქუდი ოდნავ მოუხადა და გავიფიქრე, ის კაცი ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენს, რომ ამ ქალს გული გაბზარული აქვს. კიდევ ვიმეორებ, ელიზაბეტი ძალზე პატიოსანი ქალი იყო.

გედნიერი კაცი

საშიშ საქმედ მიმაჩნია კაცმა თავს იდოს სხვათა ცხოვრების წარმართვა. ყოველთვის მაოცებდა პოლიტიკოსთა, რეფორმატორთა და მისთანათა თავდაჯერებულობა, მზად რომ არიან თავს მოახვიონ თავიანთ თანამოძმეთ კანონები, რომლებმაც უნდა შეცვალონ მათი ქცევები, ჩვევანი და შეხედულებანი. ყოველთვის ვყოყმანობდი ხოლმე, როცა რჩევის მიცემაზე მიდგებოდა საქმე. საკვირველია, როგორ უნდა ურჩიოს კაცმა სხვას — რანაირად მოიქცეს, თუ იმ სხვას თავის ხუთი თითივით არ იცნობს? ღმერთია მოწამე, ძალიან ცოტა რამ ვიცი ჩემს თავზეც კი და სხვებისა ხომ სულ არაფერი გამეგება. ჩვენი მეზობლების ფიქრები და განცდები მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია ამოვიცნოთ. თითოეული ჩვენგანი განმარტოებულ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილ ტყვესავით ცხოვრობს და ასევე განმარტოებულ ციხე-სიმაგრეებში ტყვეებივით გამომწყვდეულ სხვა ადამიანებთან თუ საზოგადოებასთან პირობითი ნიშნებით ამყარებს ურთიერთობას. ეს პირობითი ნიშნები ჩვენთვის რომ გასაგებია, სხვათათვის სრულ გაუგებრობას წარმოადგენს. სიცოცხლე, სამწუხაროდ, ისეთი რამ არის, მხოლოდ ერთხელ რომ ეძლევა კაცს. შეცდომები ხშირად გამოუსწორებელია და ვინა ვარ მე, რომ ვურჩიო მავანს და მავანს, როგორ იცხოვროს? ცხოვრება, მოგეხსენებათ, რთულია და ძალიან გამიჭირდა საკუთარი ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება. არასოდეს არ ავყოლილვარ ცთუნებას — ჭკუა დამერიგებინა ჩემი მეზობლისათვის, ასე და ასე იცხოვრე-მეთქი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების დაწყებისთანავე იბნევიან, რადგან ხიფათით სავსე და დახლართულია კაცის ცხოვრების გზა, და ხანდახან თუმც კი ამის სურვილი სულაც არ მქონია, იძულებული გავმხდარვარ სწორ გზაზე დამეყენებინა ისინი. ზოგჯერ ადამიანები თვითონ მეკითხებოდნენ, როგორ წარემართათ თავიანთი ცხოვრება და მეც, ჩემს თავს ცოტა ხნით ბედის-მწერლის შავ მოსასხამში გახვეულს წარმოვიდგენდი ხოლმე.

ერთხელ მართლაც გამოადგა ერთ კაცს ჩემი რჩევა. ახალგაზრდა კაცი ვიყავი და იმხანად ლონდონში, სადგურ ვიქტორიასთან ახლოს უბრალო ბინაში ვიდექი. ერთ დღეს, საღამოს პირას, ის იყო გავიფიქრე, დღეისთვის საკმარისად ვიმუშავე-მეთქი, რომ ზარის ხმა მომესმა. კარი სრულიად უცნობ მამაკაცს

გავუღე. სახელი მკითხა და მეც ვუთხარი. მერე მკითხა, შემოსვლა თუ შეიძლებაო.

რასაკვირველია-მეთქი, — მივუგე.

სასტუმრო ოთახში შევუძეხი და ვთხოვე დამჯდარიყო. ოდნავ შემკრთალი ჩანდა. სიგარეტი შევთავაზე და როცა გამომართვა, ხელში ჩაბღუჯული ქუდის გამო ცოტა გაუჭირდა მოკიდება. ბოლოს, როცა თავი გაართვა ამ „საგმირო საქმეს“, ვკითხე, ხომ შეიძლება ქუდი სკამზე დავდოთ-მეთქი. მან სასწრაფოდ თვითონ დადო ქუდი სკამზე, სამაგიეროდ, ქოლგა გაუვარდა ხელიდან.

— ვიმედოვნებ, კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, ასე რომ მოგადექით, — მითხრა მან. — ჩემი გვარი სტივენსია. ექიმი ვარ. თქვენც ხომ ექიმი ბრძანდებით?

— დიახ, მაგრამ ექიმობას თავი მივანებე.

— ვიცი. ახლახანს წავიკითხე თქვენი წიგნი ესპანეთზე და მინდოდა რაღაც მეკითხა ამ წიგნის თაობაზე.

— მე მგონი, არც ისე ძალიან კარგი წიგნია.

— რაც მართალი მართალია, გაქვთ რაღაც წარმოდგენა ესპანეთზე და თქვენ გარდა ამ ქვეყნის უფრო კარგი მცოდნე არც კი მეგულება. ამიტომაც გავკადნიერდი და მოგადექით, იქნებ რაღაც ცნობები მომაწოდოს ესპანეთზე-მეთქი.

— ფრიად მოხარული ვიქნები.

ერთ ხანს ჩუმად იყო. მერე ხელი ქუდისკენ წასწია, აიღო და მეორე ხელი უაზროდ გადაუსვა. გუმანით მივხვდი, ეს სიმხნევეს მატებდა.

— ვიმედოვნებ, უცნაურობაში არ ჩამოართმევთ სრულიად უცხო კაცს, ამგვარად რომ გესაუბრებით. — მან მობოდიშებით გაიცინა. — არ ვაპირებ თავი შეგაწყინოთ ჩემი ცხოვრების ამბების მოყოლით.

როდესაც ადამიანები ასე მეუბნებიან, ყოველთვის ვიცი, რომ სწორედ ამას აპირებენ. მეც რას დავეძებ, პირიქით, უფრო მომწონს კიდეც.

— ორმა მოხუცმა დეიდამ გამზარდა. არასოდეს არსად არ ვყოფილვარ. არასოდეს არაფერი არ გამიკეთებია. ექვსი წელია, ცოლი შევირთე. ბავშვები არა მყავს. სამედიცინო სამსახურის ოფიცერი ვარ კამბერველის ლაზარეთში. რაღა დაგიმალოთ და მეტის გაძლება იქ უკვე აღარ შემიძლია.

მის მოკლე-მოკლე, გაღიზიანებით ნათქვამ ფრაზებში რაღაც საგულისხმო იგრძნობოდა, დამაჯერებლად ეღერდნენ. მოსვლისას უცნობს მხოლოდ თვალი შევავლე, ახლა კი ცნობისმოყვარეობით მივჩერებოდი. იგი დაბალი, ჯმუხი, ჩამრგვალებული კაცი იყო. ასე, ოცდაათი წლის თუ იქნებოდა. მრგვალ, ლაჟვარდა სახეზე პატარა, შავი, ძალზე მოელვარე თვალები უბრწყინავდა. თავი ტყვიას მიუგავდა. შავი თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. მეტისმეტად გაცვეთილი ლურჯი კოსტუმი ეცვა. მუხლის თავები შარვალზე გამობერვოდა, ხოლო ჯიბეები რაღაცით ჰქონდა გამოტენილი.

— კარგად მოგეხსენებათ, რა ევალება სამედიცინო სამსახურის ოფიცერს ლაზარეთში. ერთი დღე თითქმის მეორე დღეს ჰგავს. და ასე უფერულად უნდა განვლოს მთელმა სიცოცხლემ. ღირს კი ასე ცხოვრება?

— ეს ხომ საარსებო წყაროა, — ვუთხარი მე.

— დიახ, ვიცი, რომ ფული ძალიან კარგი რამაა.

— მაინც, კარგად ვერ ვხვდები, რატომ მოხვედით ჩემთან.

— მინდოდა გამეგო თქვენი აზრი — არსებობს თუ არა რაიმე შესაძლებლობა, რომ ინგლისელმა ექიმმა ესპანეთში იცხოვროს?

— რატომ მაინცდამაინც ესპანეთში?

— თვითონაც ვერ გეტყვით, რატომ. უბრალოდ, ავიკვიატე.

— ოპერა „კარმენში" რომ გინახავთ, ისე ნუ წარმოიდგენთ ესპანელების ცხოვრებას.

— მაგრამ იქ არის კამკაშა მზე, საუცხოო ღვინო, წარმტაცი ფერები, და ბოლოს, ჰაერი, რომლითაც ადამიანს შეუძლია ისუნთქოს. მომეცით უფლება, სათქმელი გულახდილად გითხრათ. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ სევილიაში ინგლისელი ექიმები არ არიან. როგორ ფიქრობთ, შევძლებ იქ თავის რჩენას? სიგიჟე ხომ არ იქნება დავტოვო კარგი, წყნარი სამუშაო რაღაც გაურკვევლობისათვის?

— თქვენი ცოლი რას ფიქრობს ამის თაობაზე?

— თანახმაა.

— დიდი გამბედაობა კია!

— ვიცი. მაგრამ თუ მეტყვით, წადით, წავალ, ხოლო თუ მეტყვით, დარჩი, დავრჩები.

იგი თავისი მოელვარე, შავი თვალებით მომჩერებოდა და ვიცოდი, რასაც ლაპარაკობდა, იმასვე გულისხმობდა. ერთი წუთით დავფიქრდი.

— იცოდეთ, აქ საქმე მთელ თქვენს მომავალ ცხოვრებას ეხება. ამიტომ თვით უნდა გადაწყვიტოთ. მაგრამ ეს კი შემიძლია გითხრათ: თუ ფული არ გაინტერესებთ და იმდენის შოვნას დაჯერდებით, გაჭირვებით რომ ირჩინოთ თავი, მაშინ გაემგზავრეთ. თქვენ, მართლაც, საუცხოო ცხოვრება გელით.

სტუმარი წავიდა. ერთი-ორი დღე კი ვფიქრობდი მასზე, მერე სულ გადამავიწყდა.

ამ ამბიდან რამდენიმე წლის, სულ ცოტა, თხუთმეტი წლის მერე, სევილიაში მომიხდა ყოფნა. ერთ დღეს უქეიფოდ შევიქენი და სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდი, შიკრიკს შევეკითხე, ქალაქში ინგლისელი ექიმი თუ არის-მეთქი. მითხრა, არისო და მისამართიც მომცა. კები გავაჩერე და ექიმის სახლს მივუახლოვდი თუ არა, იქიდან პატარა, მსუქანი კაცი გამოვიდა. თვალი მომკრა თუ არა, შედგა.

— აა, მოხვედით, რომ გენახეთ? მე ინგლისელი ექიმი ვარ.

ჩემი მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, მთხოვა, სახლში შევსულიყავი. იგი პატარა, შიდა ეზოიან, ჩვეულებრივ ესპანურ სახლში ცხოვრობდა; მისი მისაღები ოთახი, რომელიც ეზოში გამოდიოდა, სავსე იყო მიყრილ-მოყრილი ქაღალდებით, წიგნებით, საექიმო იარაღებითა და ათასგვარი ხარახურით. ამბს დანახვა გულაზიზ პაციენტს თავზარს დასცემდა. როცა ჩემი გასინჯვა მოითავა, გასამრჯელოს თაობაზე ვკითხე. თავი გააქნია და გაიღიმა.

— არავითარი გასამრჯელო.

— ვითომ რატომ?

— არ გახსენდებით? მე ხომ აქ თქვენი რჩევით ვარ ჩამოსული. თქვენ ხომ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალეთ. მე სტივენზი ვარ.

ვერაფრით ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა. მან მომაგონა ჩვენი შეხვედრა, გამიმეორა, რაზე ვსაუბრობდით მაშინ და თანდათან მეხსიერების ბუნდოვანი სილრმიდან ამოტივტივდა ის ჩვენი შეხვედრა.

— ყოველთვის მაინტერესებდა, შევხვდებოდით თუ არა ოდესმე ერთმანეთს. სულ ვფიქრობდი, ოდესმე თუ მომეცემოდა შემთხვევა, თქვენთვის მადლობა გადამეხადა ასეთი საქმე, რომ გამიკეთეთ.

— ასე რომ, ილბლიანი გამოდგა თქვენი აქ ჩამოსვლა, — ალბათ მე შევხედე. ახლა იგი ძალზე მსუქანი და გამელოტებული იყო, მაგრამ თვალები მხიარულად უციმციმებდა და ღაჟღაჟა სახეზე ჭეშმარიტი გულკეთილობა ეხატა.

ძალზე გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა, აშკარად იგრძნობოდა ესპანელი მკერავის ხელი, თავზე ესპანური ფართოფარფლებიანი სომბრერო ეხურა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, იფიქრებდით, ეს კაცი ღვინის მოყვარული იქნებაო. თუმც მსმელის შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ სავსებით სიმპათიური კაცი იყო. შეიძლება ბრმანაწლავის ოპერაციაზე არ დათანხმებოდით, მაგრამ მასზე უკეთეს მეინახეს ნამდვილად ვერც ინატრებდით.

— მართლა, თქვენ ხომ ცოლი გყავთ? — ვკითხე მე.

— დიახ, მაგრამ ჩემს ცოლს არ მოეწონა ესპანეთი და კამბერველში გაბრუნდა. იქ უფრო შინაურულად გრძნობდა თავს.

— ო, ვწუხვარ, რომ ასე მოხდა.

მის შავ თვალებში ბახუსის მოყვარულის ღიმილი გამოკრთა. ნამდვილად იგრძნობოდა რაღაც მსგავსება ამ კაცსა და ახალგაზრდა სილენოსს[1] შორის.

— ცხოვრება სავსეა დაკარგულის ანაზღაურებით, — ჩაიჩურჩულა მან.

ეს თქვა თუ არა, არცთუ ისე ახალგაზრდა, მაგრამ მაინც გამომწვევად და ვნების აღმძვრელად ლამაზი ესპანელი ქალი კარის ზღურბლზე გამოჩნდა. იგი ესპანურად დაელაპარაკა ექიმს და მივხვდი, რომ ოჯახის დიასახლისი იყო.

როდესაც კართან იდგა და მაცილებდა, მითხრა:

— უკანასკნელად როცა გნახეთ, მახსოვს, მირჩიეთ, თუკი აქეთ გამოვწევდი, იმდენი ფულის შოვნას შევძლებდი, გაჭირვებით რომ მერჩინა თავი, სხვამხრივ კი საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრებდი. ჰოდა, უნდა გითხრათ, რომ მართალი ბრძანებულხართ. გაფხეკილი ვიყავი და გაფხეკილი ვიქნები ყოველთვის, მაგრამ, ღმერთმანი, ეს კი უნდა ვთქვა, რომ განცხრომით ვცხოვრობ. აქაურ ჩემს ყოფას არაფრით არ გავცვლი არც ერთ მეფის ცხოვრებაზე.

□

1. სილენოსი — ტყის სული (მუდამ მთვრალი), რუმბიევით ღიპი ადევს და ღვინის ტიკია მისი განუყრელი ატრიბუტი.

ალექსანდრს ჩაპსი (ლატვია)

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლატვიურიდან
თარგმნა რენე კალანდიამ

აფიშები

თქვენ, აფიშებო, მოხეტიალე სულები ხართ ჩემი ქალაქის —
ნაირფერადი და მყვირალა, როგორც წინდები ქალიშვილების —
სისხლივით მუქი წითელი და ყვითელი, შავი,
ყოველ კუთხიდან, ბოძიდან თუ ჭიშკრისქვემოდან
ამეკიდებით ჟინდაუმცხრალ მეძავებივით —
შუალამისას
და, არ მეშვებით.

თქვენ, აფიშებო, უწმინდესი საიდუმლო ხართ ჩემი ქალაქის —
ვალენდარი სპექტაკლების,
ღამის ბარების,
და მოყაყანე მიტინგებისა...
მე თქვენ მიყვარხართ,
როგორც მიყვარდა ბავშვობაში
ფეხბურთი, კრივი, გემრიელი ვაფლის ნაყინი.
ჰო, ბევრ რამეში
სული ჩემი ახლოსა დგას თქვენს ფერადებთან
და მკვეთრ კონტრასტთან —
ასოების კლაკნილ წყებასთან.

თქვენ, აფიშებო, —
საუკეთესო სამზარეულო წიგნი ხართ, მართლაც, —
მოუთმენელი ჩემი სულისა.

ლექსი იმის შესახებ, თუ სად დავჯდები ამ საღამოს

ჩემო პაწიავ,
ამ საღამოს მე ჩამოვჯდები შენს ფეხებთან —
ყვითელ ბალიშზე.

ჩავაქროთ შუქი —
დაე, მთვარე გვეფერებოდეს.

შეხე.
სილურჯის სილურჯეა — გასაოცარი,

როგორც მდიდრულ სრასასახლის ჯიბეებზე
გადაღვრილი ფერადი მინა.
ვარსკვლავები კი,
მთელი ქალაქის მუხლმაგარი ბიჭუნებია
უგზოუკვლოდ გადაკარგულ
ლეკვს რომ ეძებენ
ჯიბის ფარნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცი,
კაფეში ახლა ბოლი დგას მონაცრისფრო და მეჩვენება,
რუხი ლრუბლების ამ შემოსევას ვერ გაუძლებს პატარა კაფე.
ხოლო ჩვენ კი მარტონი ვართ.
გინდა მუსიკას მოუსმინო?
ყური მიუგდე,
სარკმლის მილმა ყრუდ მიხრიგინებს ძველი ტრამვაი,
ხოლო ტუმბოდან
წვეთავს წყალი
აუჩქარებლად.

შენი მუხლები არის თბილი, როგორც სუნთქვა განთიადისა.
შენი ნაზი ხელისგულები
ჩემს ყვრიმალებზე ისვენებენ,
საამურ სურნელს აფრქვევენ და ოცნებობენ სილამაზეზე.
და შენი ღია ბაგეები
იზიდავენ,
იტყუებენ ოთახის ჰაერს,
ხოლო ჰაერი გაჟღენთილია
მარტის სურნელით
და ხანდაზმული დიასახლისის ძველი ავეჯის უამურ სუნით.

ცუგრუმელავ,
ამ საღამოს მე ჩამოვჯდები შენს ფეხებთან —
ყვითელ ბალიშზე.

წყალსადენი მილი

წყალსადენო მილო,
ეს ხომ შენა ხარ —
უპირველესი მუსიკალური საკრავი
ჩემი ბავშვობის წლების.
ხუთი სართულის სიგრძის
ნაცრისფერი თუნუქის მაკარონო,
შენი ლაქლაქა პირის ქვემოთ,
სიცივეში,
კვლავაც იზრდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოელვარე ყინულის წვერი —
ერთადერთი უფასო ნაყინი —
ბიჭუნებისთვის.

შენ —
ზამთრის პირია ბუზებისა და ყურბელების თავშესაფარო,
ეს ხომ შენა ხარ —
ნაწვიმარი წყლის გრძელი გვირაბი,
როდესაც წყალი
გვერდმოლრეცილი ჩასადენი თხრილისაკენ მიეშურება —
პაპიროსების ნამწვებისა და ვაშლის ქერქთან
შესახვედრად. —
სამუსაიფოდ.

რატომ მიიწევ,
ასე უძლური და თანაც ნაზი,
სახლების გასწვრივ რისთვის მიიწევ მაღლა,
ვით კაეშანი ჩემი?..
ნეტავ რატომ ხარ
ასე თხელი, გამოფიტული—
ჩემი ოთახის ყვავილებივით
და ჩამომდნარი, ვით ქალწულები —
მოდურ საფოსტო ლია ბარათებს რომ ანათებენ
ლიმილის ვარდით?

ალბათ ასეთი აქვს იღბალი
ყველა მათგანს, ვინც მიილტვის და გარბის მაღლა, —
გაურბის ქუჩის ყრუ ხმაურს და ფუჭ ორომტრიალს,
ამ ცხოვრებისა
იაფფასიან და უმაქნის გაბღენძილობას.

სიმღერა ადამიანზე

ადამიანს საერთოდ არ უყვარს სიშიშვლე,
იგი მიდის აბანოში, შიშვლდება და მარტოვდება.
სულის სიშიშვლე არაფერია-
რატომ? ეგ ხომ უსარგებლოა.
ადამიანი ყოვლისშემძლე პრაქტიკული ცხოველია დედამიწაზე.
ჭალახი, ხე, ძაღლებიც კი.
ადამიანთან შედარებით მაღლა დგანან ამ სამყაროში.
ისინი ხომ ახლაც ისეთები არიან,
როგორებიც იყვნენ ყოველთვის.
ადამიანში ყველაფერი ცვალებადია.
ამიტომაა, რომ იგი აქ, დედამიწაზე
არ ალიარებს არავითარ სინამდვილეს

და არ ცნობს არც ერთ ჭეშმარიტებას.
ადამიანში ყველაფერი არის მარტოოდენ რელატიური,
ამიტომაა, რომ იგი აქ, დედამიწაზე
ვერაფერს ხედავს აბსოლუტურს.
ადამიანი ყოვლისშემძლე პრაქტიკული ცხოველია დედამიწაზე
როგორც თუნუქის კარდალა არმიის ჭურჭელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილაციის ცხოვრება

მიშკინსკის ავეჯის ფაბრიკასთან,
წმინდა ჰერტრუდას ქუჩას
მივუყვებოდი.
თან სატკივარი მიმაცილებდა,
აურაცხელი...
მე დავეწიე ხნიერ მამაკაცს,
რომელიღაც წვრილ მოხელეს,
ანდა ნოქარს მაღაზიიდან,
ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ
საღამო იყო,
დრო შვიდ საათს გასცილებოდა
და მზე
ფანჯრის რაფებს ავარაყებდა.

სახე მისი —
დინჯი იყო.
დაღვრემილიც კი,
სწორედ ისეთი, მოლარეს რომ აქვს —
როცა ვილაცას უთელის ათასებს...
ან ქირურგს ჰგავდა, როდესაც იგი
იწყებს გაკვეთას — ოპერაციას.

მიაბიჯებდა იგი ნელ-ნელა,
თითქოს დაღლილი იყო იმ ტვირთით —
ქაშაყით და გირვანქა შაქრით, —
თან რომ მიჰქონდა...
იმიტომ, რომ
უკვე დაიწყო მეოთხე კვირა
იმ დღიდან,
როცა მოუკვდა ცოლი;
ცოლი —
მზესავით ალერსიანი
და მზისფერი თმით,
ფერით, რომელსაც იღებს ფოთოლი ნეკერჩხალის
შემოდგომისას...
ხოლო იმ დღიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი ოთახი
ცარიელი და არეულია,
თანაც
ღიად დარჩენილია სამზარეულოს კარიც...
რადგან
მეოთხე კვირა დაიწყო
იმ ქამიდან,
როცა იგი დადის ნელ-ნელა,
როგორც ობოლი — სიმარტოვის ტვირთით დაღლილი...
მას თან მიჰყავდა ბიჭუნა,
ხელჩაკიდებულს თითქოს მიჰქონდა —
მარჯვენა მხრით თავისი ბიჭი...
მიჰქონდა, როგორც ნაზარეველს ჯვარი —
რწმენის და ბედისწერისა —
გოლგოთისაკენ.

გარეუბნელი დედაკაცები

ნაშუალამევს შინ ვბრუნდებოდი და გზაზე ქალათებიან
დედაკაცებს გადავეყარე. ისინი მწვანე და შორეულ გარეუბნიდან
დაუგავის ბაზრისაკენ მიიჩქაროდნენ.

ჰო, მე ვხედავდი — ქათალებში ლამაზ ყვავილებს, ვგრძნობდი მშვენიერ,
სურნელოვან ყვავილთა სუნთქვას,
ვხედავდი კენკრას, — ნაზს და ალისფერს,
როგორც ბაგეებს ქალწულისას — მაისის ვარდებს — გამთენიისას.

ქალათებიან დედაკაცებს გადავეყარე, ეშურებოდნენ დაუგავის
ბაზრისკენ ერთად. მათ ფეხზე ჯერაც ბრწყინავდა
ციმციმა ცვარი და ქვედატანებს ასდიოდა ბოსლების სუნი,
თითებიდან კი — იფრქვეოდა სურნელება თხის სქელი რძისა, — მათ რომ
მოწველეს — ნაჩქარევად და ოსტატურად — აქეთ, ბაზარში წამოსვლამდე.

გზად დედაკაცებს გადავეყარე; მათი თმა ჯერაც
სათუთად ინახავდა ბალიშების ღვთაებრივ სითბოს,
ხოლო სხეულებს ახსოვდათ ხვევნა-ალერსი, — გულუხვად რომ
აჩუქეს ქმრებმა, დაუზარებლად, შუალამემდე.
ქალები იყვნენ ძოწისფერი ბროწეულივით,
ახალგაზრდები, როგორც ნაყოფი, ვითარცა კოცნა მზისა და ქარის
— ბალში, — მთრთოლვარე კენწეროებზე.

ქალათებიან დედაკაცებს გადავეყარე; ისინი დაუგავის
ბაზრისაკენ მიიჩქაროდნენ. და მე ვუსმენდი დიდხანს მდგარი,
თუ რარიგად გაიწკრიალეს დედაკაცების ნაბიჯებმა ჩრდილოვან,
თანაც მუქ, გრილ ასფალტზე, დასვენება რომ მოასწრო
შუადღის მზისგან და გამვლელთა ნაბიჯებისგან.

□

ედუარდ პეტიშკა (ჩეხოსლოვაკია)

საიდუმლო

ჩეხურიდან

თარგმნა დავით დემეტრაშვილმა

ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, გაეყიდა სახლი თუ არა. მიუხედავად ამისა, მყიდველს მაინც შეუთანხმდა ფასზე და სხვა პირობებზე. მყიდველი შუადღის მერე, სამ საათზე უნდა მოსულიყო. ახლა კი მხოლოდ დილის ათი საათი იყო. ცოლ-ქმარს დრო ბევრი ჰქონდა, შეეძლოთ არ აჩქარებულიყვნენ. ღელავდნენ, იმაზე ფიქრობდნენ, სახლის გაყიდვის შემდეგ როგორ იქნებოდნენ.

„იცი რა, ეს სახლი რალაც თავიდან არ გამომდის", — უთხრა ქმარმა. სახლი, კაცმა რომ თქვას, ცოლს ეკუთვნოდა. მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ როგორც ჩანდა, მასზე ზრუნვა მემკვიდრეობით აღარ გადასცემია. ცოლი გამოღებულ ფანჯარასთან იჯდა და სახეს ნეტარებით უშვერდა ივნისის მზის დამაბრმავებელ სხივებს, რომლებიც ვიწრო კონებად აღწევდნენ ფიჭვის ხეების ტოტებში და პირდაპირ ფეხებთან ეცემოდნენ. ქალი მოხერხებულად მოეწყო, ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხები ქმრის გვერდით გაწვართა. სადგურის მოსაცდელ დარბაზში მარტონი იყვნენ.

„მეგონა... მეგონა, ყველაფერი გადაწყვეტილია-მეთქი", — თქვა ცოლმა.

„თითქმის ყველაფერი, თითქმის".

„მუშტარს დიდი ხანია იცნობ?"

„ჰო, დიდი ხანია", — თქვა ქმარმა, მაგრამ სხვა რამეზე ფიქრობდა.

სახლი, რომლის გაყიდვაც გადაწყვიტა, მდინარის პირას იდგა. იგი ძველი ავარაკების სტილში იყო ნაგები, ხის აივნები და ხისავე ჩუქურთმები ჰქონდა ფანჯრების გარშემო. სახლი ორსართულიანი იყო. მაღლა მუხის მოაჯირიანი ხის კიბე ადიოდა. ფიჭვების ჩრდილით ჩაბნელებული სამზარეულოც ხით იყო მოპირკეთებული. გარედანაც და შიგნიდანაც ხეში ჩამჯდარ სახლს საოცარი სიძველის ელფერი ედო. შტეფანს მის დანახვისთანავე სევდა შემოაწვა გულზე.

„მაინცდამაინც მხიარულად ვერ გამოიყურება ჩვენი სახლი", — თქვა ქმარმა.

„შენთვის, — უპასუხა ცოლმა და ფეხის ცერა თითი მოპირდაპირე სკამის ფეხს გაუსვა, — შენთვის", — გაიმეორა ისევ.

„შენ მხიარული გეჩვენება?"

„მხიარული და მოწყენილი სახლები არ არსებობს. ერთი რამ გაითვალისწინე, ამ სახლში დავიბადე და გავიზარდე".

„გმადლობთ შეხსენებისთვის",— უპასუხა შტეფანმა.

ცოლს თვალი შეავლო. ქალს სახე ისევ მზისთვის მიეფიცხებინა. სხივები მოსაცდელში ფართო კონებად იჭრებოდა. მისი ცოლი ახლა ორმოცი-

ექვსი წლის, კარგად შენაჯღული, ლამაზი ქალი იყო. ადამიანს თავის სიცოცხლეში აქვს გაფურჩქვნისა და ჭკნობის პერიოდები. ხეებსაც აქვთ ყვავილობისა და მოსავლიანობის პერიოდები. ადამიანები სწორედ ამით უნათესავდებიან ყველაზე მეტად ხეებს.

ცოლის სახეს აკვირდებოდა. ცხვირსა და თვალებ ქვეშ ჭორფლიანი ვირვალე ფენა ედო. თვალები მიენაბა, ბაგე ოდნავ გაელო. სუფრის შეგროვებ ვით ცდილობდა ჭირვეული კულულები გადაეყარა სახიდან.

„რაზე გეცინება?" — შეეკითხა ცოლს.

ეს მათი ძველი თამაში იყო, ოღონდ დიდხანს აღარ უთამაშიათ. უკვე საკმაო ხანი იყო, რაც ცოლის ფიქრების ამოცნობის სურვილი გაუქრა. წინათ მის ფიქრებს მესაკუთრის გრძნობით შიფრავდა. ასაკთან ერთად ის მესაკუთრული ინტერესი სხვა რამეზე გადაიტანა. ახლა სახლის გაყიდვის საკითხი აწუხებდა და მოულოდნელად ისევ შეიპყრო ცოლის ფიქრების ამოცნობის წადილმა, ფიქრებისა, რომლებიც დაადასტურებდნენ მისი გადაწყვეტილების სისწორეს.

„რაზე ფიქრობ? " — შეეკითხა იმედით სავსე ხმით.

რამდენჯერ უკითხავს ცოლისთვის ასე, მაგრამ აქამდე თუ მისი დაკარგვისა ეშინოდა, — ფიქრშიც კი არ მოშორებოდა ქმარს,—დღეს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნება უნდოდა. წუხდა იმ საკითხზე, რომელიც მათ მილმა იყო — გარიგების სარგებლიანობაზე.

შეკითხვამ ცოლი შეაკრთო, რაღაცამ ააფორიაქა და დააშორა. დუმდა და აღარ ეცინებოდა. შტეფანი არ მოეშვა:

„რამეს მიმალავ?"

„გეყოფა", — უპასუხა ცოლმა.

შტეფანი ძველ თამაშს ისე უბრუნდებოდა, როგორც ვეტერანი სპორტერი სარბენ ბილიკს, დარწმუნებული, რომ მორბენალი ნამდვილად თვითონ იყო.

„რაზე ფიქრობ?" — კვლავ გაიმეორა შეკითხვა.

„რაზე უნდა ვფიქრობდე".

ცოლი ცდილობდა პასუხისათვის თავი აერიდებინა. შტეფანი ამას გრძნობდა. ათი-თხუთმეტი წლის წინ ქალი მაშინვე პასუხობდა, ყველაფერს ეუბნებოდა. პასუხის გასაცემად დროს მაშინაც პოულობდა, როდესაც გვერდით შვილები ჰყავდათ. ცოლის ფიქრები ყველაზე ხშირად ახლო ნათესავებს დასტრიალებდა. ბავშვები რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, ვისზე ლაპარაკობდნენ, მათთვის პირობითი სახელები მოიფიქრა. შტეფანს მოულოდნელად ერთ-ერთი გამოგონილი სახელი გაახსენდა.

„ალჟბეტკაზე ფიქრობ?"

„ალჟბეტკაზე?"

„დედაშენს ხომ ასე ვეძახდით".

„ხედავ, სულ დამავიწყდა", — უპასუხა ცოლმა.

„როგორ უნდა დაგვიწყებოდა?" — გაღიზიანებულ შტეფანს თითქოს ამ გულმავიწყობამ რაღაც დააკლო.

„არა, მე ისე არ დამვიწყნია, როგორც შენ ფიქრობ, — უპასუხა ცოლმა, — უცებ ვერ გავიხსენე".

„ალჟბეტკა ბოლოს და ბოლოს დედაშენი იყო", — თქვა შტეფანმა.

ცოლის დედას ასე არავინ ეძახდა დიდედას გარდა. ის კი უკვე კარგა ხანია ცოცხალი აღარ იყო.

შტეფანის ცოლი წამწამებს მიღმა ხედავდა ვერცხლისფერ ფრჩხილებს, რომლებიც მაშინ ასე მალალნი არ იყვნენ. ხედავდა ფიჭვების სიმწვანეს შეფარებულ დიდედას ქერა თმას. დიდედას თმა მზის სხივებს [illegible] ქვიშისფერი კვალი მთელ სახეზე ეტყობოდა. ქერა თმა უფრო [illegible] ადგილი შესამჩნევი იყო, ვიდრე შავ კაბაში ჩამალული სხეული. „ალჟბეტკა“,— ეძახდა დიდედა დედას ხმადაბლა. დედას ალერგია ერქვა, მაგრამ დიდედა ალჟბეტკას ეძახდა. მას სახელები დაყოფილი ჰქონდა ამაღლებულ, შედარებით მდაბიურ და უმდაბლეს რანგის სახელებად. დიდედას აზრით, „ალჟბეტკა“ პირველ რანგს მიეკუთვნებოდა. ყვავილებსაც ასე ყოფდა: სამეფო, უბრალო და პროლეტარულ ყვავილებად.

„ალჟბეტკა, — ურჩევდა დიდედა, — გაკაფეთ ეს ანწლის ბუჩქები. როდის მოაშორებ სახლს სოფლურ იერს?“

მაგრამ ანწლის ხშირი ბუჩქები ღობეს დღესაც შემოჯაროდნენ.

„მეტყვი თუ არა ბოლოს და ბოლოს, რაზე გეცინება?“

„მე მეცინება?“

„დიახაც“.

„სულაც არ მეცინება“.

„რაზე ფიქრობდი?

„შენს შეკითხვებზე“.

დუმდნენ. მატარებელი გორაკებზე მიცოცავდა, ბალახიდან მარტოხელა ალვის და თხმელის ხეები ამოჩრილიყვნენ. ვერც კაცი და ვერც ქალი ვერ ამჩნევდნენ სინათლის მოზღვავებას. კაცი სახლს და ცოლის ამოუცნობ ღიმილს ხედავდა. ქალს წამწამებს შეფარებული მზერა, როგორც მაშინ, ბალიდან ანწლის ბუჩქებზე გადაჰქონდა და როგორც მაშინ... ეცინებოდა. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ეს შემთხვევა არ გახსენებია. ამ წლების განმავლობაში დაქალიშვილდა, გათხოვდა, შვილმა უკვე ცოლიც მოიყვანა, ბევრ რამეს გადაეჩვია, ბევრს იძულებული იყო შეჩვეოდა. აქამდე ეს ასე ცხადად არასოდეს უგრძნია. აქამდე არ დაუჯამებია წლები, საკუთარი თავისთვის ანგარიში არ მოუთხოვია. სახლის გაყიდვა მეხსიერებას უბრუნებდა და ცნობიერებაში ამოტივტივებულმა ამ შემთხვევამ იგი გააოცა.

„დამცინავი იმიტომ, რომ სახლს ვყიდი“, — თქვა შტეფანმა.

„არ დაგცინი“.

„მაგრამ იცინი“.

„ამქვეყნიურზე არაფერზე ვიცინი, — უპასუხა ცოლმა და მოგონებებში ისევ ბალში, ფიჭვებსა და შავ ანწლებს შორის დადიოდა. — სამყარო, რომელზედაც მეცინება, დიდი ხანია აღარ არსებობს“.

„ეს რას ნიშნავს?“ — შტეფანს შეყვარებულის ცნობისმოყვარეობა უბრუნდებოდა. ეჭვიანობდა საიდუმლოზე, რომელიც მათ შორის გაჩნდა. ეჭვი შეეპარა თავისი ოჯახური ცხოვრების შეუფერხებელ, წყნარ დინებაში. ამ ეჭვის გაქარწყლებას ჩქარობდა და თან არ სჯეროდა, რომ ეს ეჭვი დროთა განმავლობაში გაქრებოდა.

„მომისმინე, —უთხრა ცოლს, — თუ ახლავე არ მეტყვი, რაზე იცინი... ეს უნდობლობის ნიშანია და მე...“

„ერთხელაც იქნება გეტყვი“.

„ერთხელ, რიდის ერთხელ! ეს ყველაფერი სისულელეა და...“

გასაკვირი არაა, გაიფიქრა შტეფანმა, რომ საჭირო სიტყვა ვერ მოიფიქრებ ხავს? ყველა საგანს, ყოველ ცხოველს, მცენარეს ადამიანმა სახელი დაარქვა და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანისთვის სახელი ჯერ ვერ მოუძებნია. სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანისთვის. იძულებული ხდებოდა დიდხანს, [illegible] ლება საათი, შეიძლება მთელი დღეც კი ელაპარაკა იმის სათქმელად, რაც შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოეხატა. ერთი გამოუთქმელი სიტყვის მაგიერად თქვა:

„კარგად იცი, სახლი უნდა გავყიდოთ“.

ვაჟი ცოლთან, ქალიშვილი ქმართან ერთად და ორნიც თვითონ მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. სახლის გაყიდვა თითოეულ ოჯახს თავისუფლების იმ ნაწილს მისცემდა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ადამიანებს შორის. შტეფანს და მის ცოლს ბინა მონახული ჰქონდათ. ახალ ბინაში ყველაფერი პატარა იყო, ადგილიც ეკონომიურად იყო გამოყენებული. დიახ, ეკონომიურობა ახალი საცხოვრებლის მთავარი ნიშანი იყო, მაგრამ შტეფანს სწორედ ეს მოსწონდა. ძველი სახლის ფართობი, ხისა და ქვის სიუხვე, ბაღის დიდებულება, ფიჭვები და დანარჩენი უაზრო საგნები მას სიწყნარეს უკარგავდნენ და აღიზიანებდნენ. ახალი ბინა კი სულს ისე უთბობდა, როგორც შაღის ხელთათმანი ათბობს ხელს.

„ჩვენი სახლი ძალზე დიდია, — თქვა შტეფანმა, — ძნელი მოსავლელი: და ქალაქიდანაც შორსაა“.

„კროსოვსკები ხომ ცხოვრობენ“, — უპასუხა ცოლმა.

კროსოვსკები პირველ სართულზე ცხოვრობდნენ. კროსი ბუღალტერი იყო. მისი ცოლი კი მთელი რაიონის ქალებს უკერავდა კაბებს. ორი შვილი ჰყავდათ.

„ეს სულ სხვა შემთხვევაა“.

„ვითომ?“

„მაინც არ მეტყვი, რაზე იცინოდი?“

„არა, ჯერ არა“.

შტეფანი თავის უძლურებას გრძნობდა.

„არ შეგფერის ასეთი ქცევა!“

„ნამდვილად, — დაეთანხმა ცოლი, — ერთხელაც, იქნება, გეტყვი“.

შტეფანმა პატარა ჩემოდნის საკეტი შეასწორა. ცოლმა ფეხები შეიკეცა და შეეცადა შეშუპებული თითები ფეხსაცმელებში ჩაეტია. როდესაც ეს მოახერხა, ხელჩანთიდან სარკე ამოიღო და თმა შეისწორა. დუმდნენ, სანამ მატარებელი არ ჩამოდგა. შტეფანი ფეხზე იდგა, ცოლი კი იჯდა. ბაქანზე რომ გადიოდნენ, ისევ შეეხმიანა ცოლს.

„მაშ, არ მეტყვი?“

„ახლა არა, — უპასუხა ცოლმა. — ერთხელაც იქნება, გეტყვი“.

გზაშიც არაფერზე ამოუღიათ ხმა. მოედანზე ნაცნობებს შეხვდნენ, მიესალმნენ, მაგრამ არ გამოლაპარაკებიან.

„გაბრაზებული ხარ?“ — ჰკითხა ცოლმა, როცა ქალაქს გასცდნენ.

„არა, რატომ მეკითხები?“

„იმიტომ, რომ არ მელაპარაკები“.

„განა შენ კი მელაპარაკები?“

პირველად მძლავრი მუხებისა და ფიჭვების კენწეროები შეამჩნიეს. მერე

სახლის სახურავი. გზაზე რკინის ვარდებით შემკობილი ქანგიანი ჭიშკრის წინ კროსოვსკების შვილები თამაშობდნენ. „ბალი, ეტყობა, ამათაც არ უყვართ, — გაიფიქრა შტეფანმა. — გარეთ, მტვერში თამაში ურჩევნიათ". სახლი ივნისის ამ ცხელ დღეს ჩრდილში იყო ჩაფლული. პირველი სართულის ფანჯრიდან საკერავი მანქანის ხმა ისმოდა, შიგადაშიგ როიალის ხმა ფარავდა. ეს გაბზარული მოგუდული ხმა ძალიან წააგავდა იაფფასიანი ტრანზისტორიდან ძლივძლივობით გამოჭრილ ბგერებს. მელოდია წამით ჰაერში ეკიდებოდა, შემდეგ ქრებოდა და მიწას ეფინებოდა. როიალი მელანქოლიას გვრიდა ყოველივეს.

შტეფანი სახლის კარს მიუახლოვდა, ცოლი კი შეჩერდა და ანწლებისაკენ მიბრუნდა, მუქი, ხშირი ბუჩქებიდან თეფშისმაგვარი ყვავილები მოჩანდა.

„რა ხდება?"

„არაფერი, — უპასუხა ცოლმა, მაგრამ საუბრის სურვილმა მაინც იმძლავრა, — არის საგნები, რომლებიც უკან მაბრუნებენ და წამიერად ისევ პატარა მგონია თავი, სურვილი მკლავს, შევძვრე ამ ანწლის ბუჩქებში და ვნახო, იქ ისევ არის თუ არა ფანჩატური".

„ფანჩატური?"

„იცი, ტევრი იყო ასეთი, ჩვენ ფანჩატურს ვეძახდით. გარედან არაფერი ჩანდა, სამაგიეროდ შიგნიდან ყველაფერს ვხედავდით".

„ფანჩატური", — ჩაილაპარაკა შტეფანმა.

„ჰო, ფანჩატური, — ცოლმა ეს ისე გაიმეორა, თითქოს თავს იცავსო და ანწლის ტოტები გადასწია. — მგონი, ველარ ვიპოვი".

„აი ეს მესმის, ამდენი წლის შემდეგ".

„უსამართლობაც ამას ჰქვია, — უპასუხა ცოლმა, — რომ მოგონებებსაც საკუთარი სიცოცხლე აქვთ, ბუნება კი თავისი გზით მიდის".

„ეს უსამართლობა არაა, — უპასუხა შტეფანმა: უსამართლობა ისაა, რომ ადამიანები ერთად არიან და მაინც თითოეული საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და მათი გზები არც ერთ გზაჯვარედინზე არ ხვდებიან".

„ეს ბანალობაა".

„შეიძლება, მაგრამ შენ რაღაცას მიმალავ".

ვარდისფერი ოთახი, კედლების გამო რომ ეძახდნენ ასე, ისეთივე დაულაგებელი დახვდათ, როგორიც ერთი თვის წინ დატოვეს. ამოვსებული და თოკით შეკრული რამოდენიმე მუყაოს ყუთი გადაბარგების ციებ-ცხელებაზე მეტყველებდა. შტეფანმა ფანჯარა გამოაღო. ბავშვები მტვერში ალარ თამაშობდნენ, ახლა ჭიშკრის გისოსებზე კონწიალობდნენ.

„იქნებ ფანჩატური სხვაგან აიშენეს?" — თქვა ცოლმა.

„მუშტარი სამ საათზე მოვა, — ჩაილაპარაკა შტეფანმა. — აჯობებდა, რამე გვეჭამა".

კაცმა პურის დასაჭრელი თხელი ხის დაფა აიღო. გამტვერილ მაგიდაზე მუქი კვალი დარჩა. დაფა რამდენიმეჯერ მუხლზე დაიფერთხა და თან ვადმოფანტულ მტვრის ღრუბლებს აკვირდებოდა.

ცოლი სამზარეულოში ავიდა და გაზქურა აანთო. ისმოდა, როგორ ტეხდა კვერცხებს, როგორ იღებდა თაროებიდან თეფშებს და დანა-ჩანგალს. შტეფანი სკამებზე დადებულ მტვერს მჩვრით წმენდდა და თან ნაცნობ ხმებს უსმენდა. ყოველ მათგანს თავისი მიზეზი და დანიშნულება ჰქონდა. მაგრამ რატომ ეცინებოდა ცოლს? მტვერს უკვე მაგიდაზე წმენდდა და თან თავიდან სა-

იდუმალო არ ამოსდიოდა. „ასეა ეს, — ფიქრობდა შტეფანი, — შეიძლება მესამედი საუკუნე იცხოვრო ადამიანთან, გეგონოს, ერთმანეთზე ყველაფერი ვიცითო და შემდეგ, წლების შემდეგ უცბად რაღაც საიდუმლოთ გამოტყვრეს, იქნებ ცოლისთვის უკეთესია, არ გაგიმხილოს. მაგრამ აქამდე რომ არათერი დაუმალავს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლმა მაგიდაზე ხელსაწმენდი დაფინა, ზედ ერბოკვერცხიანი ბოთლი დადგა და სალურეზე ფუნთუშები შეასწორა. მაგიდას შემოუსხდნენ.

კაცს შოთდა, მაგრამ სიბრაზემ ჭამის მადა დაუკარგა. ორიოდე ლუკმის შემდეგ ჩანგალი გვერდზე გადადო.

„ახლავე მითხარი, რაზე გეცინებოდა, თორემ ავიკრაე გუდა-ნაბადს და უკანვე დავბრუნდები. მუშტარს შენ მოურიგდი და საერთოდ, რაც გინდა, ის გააკეთე“.

შტეფანს შუბლი და სახე გაუწითლდა. თვალებთან და ცხვირის ფუძესთან კი გათეთრდა. ცოლს შეეშინდა.

„ძალიან გთხოვ, არ გასკდე“.

„რაზე იცინოდი?“

„ბავშვობისდროინდელი ამბავი გამახსენდა“.

ბუშტი, რომელიც ყელში ჰქონდა გაჭედილი, იჩუტებოდა. შვებას და იმედის გაცრუებას გრძნობდა:

„რა ამბავი?“

„ისე, სისულელე“.

„რა სისულელე?

„კარგი, —უპასუხა ცოლმა, — რახან ასე გინდა... თორმეტი წლის ვიყავი, მეზობლად ბიჭუნა ჩამოდიოდა სტუმრად, ჩემზე ერთი წლით უფროსი თუ იქნებოდა. ის აქ სულ ორჯერ იყო. ერთხელ დიდედასთან ერთად ვთამაშობდით, შემდეგ კიდევ ერთხელ მოვიდა და მერე აღარასოდეს გამოჩენილა“.

„სენსაციური საიდუმლოა“.

ცოლი ოდნავ წამოენთო და განაგრძო:

„გამახსენდა, მეორედ რომ იყო, ფანჩატურში დავიმალეთ და ველოდით, დიდედა ძებნას როდის დაგვიწყებდა“.

შტეფანმა ჭამა განაგრძო. ფუნთუშა დაღეჭა და შეეკითხა:

„სულ ეს არის?“

„არა, მაგრამ გაგეცინება, სიტყვა მომეცი, რომ არ დამცინებ“.

„კარგად იცი, არასოდეს დაგცინი“.

„ყველაფერი, როგორც მოგონება, ისე უნდა აღიქვა. მაშინ თორმეტი წლის ვიყავი და თეთრად დაწინწკლული წითელი საზაფხულო კაბა მეცვა, გარუჯულ ფეხებზე თეთრი სანდლები მქონდა წამოცმული. თეთრი სანდლები და გარუჯული ფეხები.... ის ბიჭუნა, ფანჩატურში ჩემთან ერთად რომ იყო, უცებ ჩემს ფეხთით დაიხარა.. .ოღონდ არ გაიცინო... დაიხარა ჩემს ფეხთით და მუხლები დამიკოცნა“.

„მუხლები?“

„ჰო მუხლები, ამ დროს დიდედამ ჩაგვიარა, გვეძახდა, ვერ დაგვინახა. მე კი დაძახება ვერ შევძელი, ის ბიჭი ისევ და ისევ მიკოცნიდა ფეხებს. შემეშინდა. თავი გადავუწიე. მას კი დათმობა არ უნდოდა“.

შტეფანმა ფუნთუშა გადადო.

„შენ ეს არასოდეს მოგიყოლია“.

„არა. მე თვითონაც დიდი ხნის დავიწყებული მქონდა. მხოლოდ დღეს გამახსენდა, არ ვიცი, რატომ. სასაცილოა, როდესაც ჩემნაირი ბებერი ქალი იხსენებს იმას, რაც თორმეტი წლისას შეემთხვა, განა სასაცილო არაა?

„სულაც არა ხარ ბებერი და ვერც სასაცილოს ვხედავ რაში.

„ახლა კი ჩვენს შორის არავითარი საიდუმლო აღარ [illegible]

შტეფანის ფიქრები მთელ საღამოს თეთრად დაწინწკლულ [illegible] ბაბალებიან და თეთრსანდლებიან თორმეტი წლის გოგონას დასტრიალებდნენ. მუშტართან მოლაპარაკების დროსაც თვალწინ ედგა, როგორ წევდნენ სუსტი ბავშვური ხელები ანწლის ტოტებს, როგორ იჯდა იგი ანწლის ფოთლების ფანჩატურში ბიჭუნასთან ერთად და რამდენჯერაც ის ბიჭუნა მუხლებისაკენ დაიხარა, იმდენჯერ შტეფანმა წაშალა გონებაში ეს სურათი.

საღამოს წითელი ოთახის ერთადერთი მბჟუტავი ნათურა აანთეს და ლოგინი ძველ დივანზე გაიშალეს. ცოლმა რომ გახდა დაიწყო, შტეფანი უკვე იწვა. ცოლის შეუმჩნევლად ათვალიერებდა მის ფეხებს. ლამაზად ჩამოსხმული ფეხები ნათურის მკრთალ შუქზე თითქოს დამოუკიდებლად არსებობდნენ.

„მოდი ჩემთან“, — დაუძახა.

„ფარდები არ ჩამოგვიფარებია“, — გააფრთხილა ცოლმა.

„რა მნიშვნელობა აქვს“. შტეფანი თვითონ წამოდგა და ცოლს მიუახლოვდა. ცოლი ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში იდგა და დაბნეული ცდილობდა შტეფანის გამომეტყველება გაერჩია.

შტეფანი ცოლს მიუახლოვდა. უცებ დაიხარა და... მუხლები, მთელი ფეხები კოცნით დაუფარა.

„ასე, ასე იყო, ასე“. — ბუტბუტებდა შტეფანი.

„არა, ჰო, არა“, — ჩურჩულებდა ცოლი.

შტეფანი ცოლს ფეხებს უკოცნიდა და თან გაუგებარ, ნაზ, სინანულით სავსე ტკივილს გრძნობდა. ტკივილს, რომლისთვისაც ჯერ სახელი ვერ მოეძებნა.

□

იანეზ მენარტი (სლოვენია)

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

კროკი

კაფე. მაგიდა: მარმარილო რუხი და გრილი,
ხელშესახები მეტაფორა ჩვენი ცხოვრების.
სასმისის ძირში კონიაკი. იქვე დალვრილი
პატარა გუბე, კიდეებში მოუსწორები.

თითი ფუნჯია, პალიტრად კი ქცეულა გუბე,
ზანტად ვხატავ: სახლი, მალალ ხეების მწკრივი,
სახლს ზემოთ მზეა, იქვე სკამი ლოდინით სუფევს,
ყვავილის გვერდით ყვავილია და ხარბად ღვივის.

კიდევ ბილიკი, სახლიდან რომ ბაღისკენ მიდის
სადაც წევს ქალი, მზეს რომ ტკბილად ულულავს თვალებს;
მაგრამ უეცრად, ჩემს მაგიდას საქმიან რიდით
ოფიციანტი ჩვარს გადუსვამს და გაამშრალებს.

და გამეცლება და სველი ჩვრის ფრიალით მიაქვს
სამოთხე ჩემი, სანატრელი და უწყვდიადო
და მე თავიდან მოვინატრებ ჭიქა კონიაკს
და ლამის ვყვირი: — ერთიც კიდევ, ოფიციანტო!

სრულფლოვანება

მქონდა ლამაზი ოცნებები და გაქრნენ
და ცხოვრება მექცა ჩვეულებრივ საქმედ.

სიმართლე არ ყოფილა, არც არასდროს იქნება,
მცირე თევზები კვლავაც დიდებისაგან ინთქმება.

თავისუფლება არ არსებობს. თავისუფალია მხოლოდ სული,
მაგრამ სული სხეულშია — რომელიც მომნელებლის როლს ასრულებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმართლე არის, მაგრამ იგი ისე ღრმადაა საგნებში,
რომ მათში იკარგება და გარეთ გზას ვერ აგნებს.

ყველა დიდი ოცნებიდან ჩვენი არსების ამკლებად
რჩება მხოლოდ ორთაბრძოლა: მეტი თუ ნაკლები.

საბრძოლო ლოზუნგები, ესოდენ ნაქებნი,
მხოლოდ სატყუარებია ღორების ხაფანგებში.

ნათელს კი — რასაც აზრი დროში ინახავს,
მგლური „მე“ ჩასანთქმელად უღერებს ხახას.

ყველა სიმართლიდან, დროისგან თავახსნილი,
ერთადერთი სიკვდილია — ჭეშმარიტი და ნამდვილი.

და გამოიკვეთა იდეების მწკრივებიდან
მარტოოდენ სიკვდილის შიში და ინსტინქტი: წინ!

მქონდა ლამაზი ოცნებები და გაქრნენ,
იშვიათადღა ვიხსენებ, დანარჩენ დროს — საქმე!

□

ჰაინრიხ ჰაინე

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

●

ამ ყვავილმა რომ იცოდეს
ჩემი გულის მძიმე სნება,
ატირდება, შემიცოდებს,
ზედ მალამოდ დამედება.

ანდა ბულბულს თუკი ესმა,
სევდით როგორ ვიფერფლები,
დამიყუჩებს გულის კვნესას
ხმაწკრიალა სიმღერებით.

ვარსკვლავი თუ გაიგებდა,
გული რამდენ ტანჯვას იტანს,
ჩემს ნუგეშად და იმედად
მოსწყდებოდა მყისვე ციდან.

არვინ იცის ერთის მეტმა
რარიგად ვარ დაისრული,
მან ხომ თვითონ გამიმეტა, —
უმოწყალოდ დასჭრა გული.

●

ჩაწიკწიკებულს ამოდ,
წერილს მიგზავნი ვრცელს,
რომ თითქოს სამუდამოდ
ჩემზე იღებდე ხელს.

ვრჩები იმედით სავსე,
ვერ შემიშფოთებ სულს.
არ წერენ ხოლმე ასე, —
თუ განშორება სურთ.

●

გაზაფხული ცისფერ თვალებს
რომ ანათებს მინდვრად,
სანუკვარი იებია, —
თაიგულად მინდა.

ვკრეფ იებს და... ოცნებაში
ამოოხვრა მწველი

ბულბულს ჰანგად აუწყვია,
ტევრს აუწყებს სტვენით.

იგი ისე გატაცებით
და ხმიერად მღერის, —
რომ მთელმა ტყემ უკვე იცის
საიდუმლო ჩემი.

●

ჩრდილოეთის შიშველ მთაზე
თვლემს ფიჭვის ხე ეული,
თოვლ-ყინულის სუდარაში
თეთრად გამოხვეული.

ესიზმრება პალმა — სადღაც
აღმოსავლეთ მხარეში
მხურვალ კლდეზე მდგარი კენტად,
უთქმელ სიმწუხარეში.

□

ივო ანდრიჩი

დაკეტილი კარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ნორა ხომერიკმა

„ვისაც შანდანოვიჩის გვარის ქალი ჰყავს ცოლად, მას აუცილებლად ბევრი მოყვარე ეყოლება“, — ფიქრობდა ინჟინერი მილან შეპარევიჩი სადგურ სტალაჩში ლოდინისას, სანამ გამყოლი მეორე კლასის კუპეს გაუღებდა. იგი ვაგონის გასასვლელთან იდგა დერეფანში. მათ უკან მესამე კლასის ძველებური, ბოლოში ღია ბაქნიანი ვაგონი მოჰყვებოდა.

შუშის კარიდან შეპარევიჩი კარგად ხედავდა რაც ხდებოდა ღია ბაქანზე. ხმამაღალი ლაპარაკისას ესმოდა, რაზე საუბრობდნენ ეს ერთად შეჯგუფებული სხვადასხვა ჯურის ადამიანები, რომელთაგან ზოგი ჩემოდანზე ჩამომჯდარიყო და ზოგიც ფეხზე იდგა. მათ უკვე მოესწროთ ერთმანეთთან დაახლოება (რაც მგზავრობისას ჩვეულებრივია) და საგზალს და სასმელს სთავაზობდნენ ურთიერთს, თან ხუმრობდნენ, კამათობდნენ, თითქოს ახლად გაცნობილები კი არა, დიდი ხნის ახლობლები ან ნაცნობები ყოფილიყვნენ.

შუაგულში, ინჟინრისაკენ ზურგშექცეული იდგა მაღალი ახალგაზრდა კაცი. მას დაჭმუჭნილი პიჯაკი ეცვა და ასევე დაჭმუჭნილი, სასაცილოდ მრგვალი ქუდი ეხურა თავზე. ინჟინერი ამ ახალგაზრდას კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც შეიცნო ცოლის ნათესავი პრედრაგი. ახალგაზრდა კაცი ეკამათებოდა კუთხეში ჩემოდანზე მჯდომ ხანში შესულ მამაკაცს, რომლის მხოლოდ შავი ქუდი, ცხვირი და გრძელი ჭაღარა ულვაში ჩანდა.

ბორბლების ხმაურში ჩაკარგული ცალკეული სიტყვებითა და ფრაზებით ინჟინერი მიხვდა, რომ ძია კაცი „შფოთიან დროს“ იხსენებდა, ხოლო ტანმაღალი ყმაწვილი კაცი და ორიც ლოყებდაბრაწული ქალიშვილი ყველაფერს ხუმრობაში ატარებდნენ. ზოგჯერ ხმაური მატულობდა და მაშინ სიცილი ფარავდა ყოველგვარ სხვა ხმას.

ინჟინერი დაფიქრებული ადევნებდა თვალს ამ ადამიანებს, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ ხუმრობისა და სიცილის ხალისი ამ საყოველთაო შიშითა და ძრწოლით დამუხტულ 1941-ის აგვისტოს მიწურულში.

როგორც იქნა, გამყოლმა კუპე გააღო. ინჟინერი მაინც ვაგონის დერეფანში დარჩა. ორთქლმავალმა ნაპერწკლებსა და კვამლში გაახვია ის ოთხნი. მოხუცს ხველა აუტყდა, გოგონებმა შეჰკივლეს, ახალგაზრდა კაცმა ნაჩქარევად მოიხსნა შავი სათვალე და თვალების წმენდით შემობრუნდა. იგი მართლა პრედრაგი აღმოჩნდა. ინჟინერი დარწმუნდა, არ შემშლიაო და სწრაფად შევიდა თავის კუპეში. იგი იჯდა თვალდახუჭული და ფიქრობდა: არა, არ შეშლია. პრედრაგი იყო, ინჟინრის ცოლისდის გერი. ცოლის უფროსი და ახალგაზრდა, ლამაზ, განათლებული ქალი ათი წლის წინ მოულოდნელად გაჰყვა მდიდარ,

მაგრამ ხნიერ, მდაბიო, ქვრივ ვაჭარს. იქ ქალს გიმნაზიელი გერი დახვდა, გამჭრიახი, გონებამახვილი ჭაბუკი. მას პრედრაგი ერქვა. ინჟინერს ყოველთვის სიამოვნებდა ამ ჭაბუკთან საუბარი.

შემდეგ უნივერსიტეტში პრედრაგი აქტიურად მონაწილეობდა მოწინავე ახალგაზრდობის გამოსვლებში. ერთხელ დააპატიმრეს კიდეც. სწორედ ამის წინ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. ბოლო ხანებში სახლში ნაკლებად დადიოდა, თითქოს გაურბოდა შინაურებთან შეხვედრას. ამ წლის აპრილში ომში გაიწვიეს. ამის შემდეგ შინ საერთოდ აღარ მისულა. ელენა ამბობდა, ხმები დადის, პრედრაგი ტყვედ ჩავარდაო.

ჭაბუკი სულ გამოცვლილა, დავაქკაცებულა. შავ სათვალეს ატარებს, ვიწრო, თითქოს სხვის ტანზე შეკერილი ტანსაცმელი აცვია, მაგრამ მაინც პრედრაგია.„ ნეტავი სად მიდის? — გაიფიქრა თავისთვის ინჟინერმა, — ან რატომ მიდის? რა აქვს საერთო ამ ჭრელაჭრელა ხალხთან? უნდა დავუძახო, მაგრამ ვითუ პოლიცია უთვალთვალებს?.. არა, დაძახება არ შეიძლება, იქნებ მას თვითონ არ ესიამოვნოს ნაცნობის ნახვა, ჰო, ჯობია, არ დავუძახო", — გაიფიქრა ინჟინერმა, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა, სწორად არ იქცეოდა.

თანდათან უძლიერდებოდა უკმაყოფილების გრძნობა საკუთარი თავისადმი და საერთოდ, ყველაფრისადმი ამ გაუბედურებულ, დამონებულ ქვეყანაში. მაგრამ ამ უკმაყოფილებამაც ვერ დასძრა იგი ადგილიდან.

„იქნებ მომეჩვენა? უცხო მანერები მაეჭვებს, თორემ ხმა კია მისი. ალბათ, მართლა მივამსგავსე, — ამაოდ უტკიცებდა იგი თავის თავს. — ჰო, შემეშალა, ცოლთან არ ღირს ამის მოყოლა". თვალები დახუჭა, ცდილობდა ეფიქრა ცოლზე, ნათესავებზე, საკუთარ ქორწინებაზე.

„კი, შემეშალა", — გაიფიქრა მან. ეს უკვე ეხებოდა არა შავსათვალიან ახალგაზრდას, არამედ საკუთარ ქორწინებას, ჩვეულებრივი, გაცვეთილი ამბავია. ნიჭიერებით გამორჩეული ღარიბი ახალგაზრდა ინჟინერი (სანამ სწავლობდა, ოჯახი ვერ ამოვიდა ვალებიდან) ცოტათი პატივმოყვარეც იყო და მაძებარიც ყველა იმ ცხოვრებისეული სიკეთისა, რომელიც მიუწვდომლად ეჩვენება ყველას, ვინც თავდაუზოგავად ისწრაფვის ფუფუნებისაკენ. ოცდაშვიდი წლისა, თავის ტოლებივით, დილემის წინაშე აღმოჩნდა საკუთარი შრომით მოიწყოს ცხოვრება თუ ისეთი საცოლე შეარჩიოს, რომელთა ქორწინებითაც ცხოვრებისეულ წარმატებებს ადვილად მოიპოვებს. გოგონა, რომელიც კლუბში გაიცნო და ყოველგვარი ინტერესის გარეშე ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ჯანსაღი და საქმაოდ ჭკვიანი იყო. მამამისი რანტიესა და მეწარმის საქმიანობას დაუფლებოდა. ორმოცი წლის განმავლობაში სახლებისა და მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვამ ეს სიტყვაძვირი, ტანდაბალი, ებრალო კალატოზი შეძლებულ კაცად აქცია. იგი გახდა ერთ-ერთი ჩუმი და შეუმჩნეველი, მაგრამ ერთობ სოლიდური საქმოსანი. ორ ვაჟს უმაღლესი განათლება მიალებინა. სამივე ქალიშვილს საკუთარი სახლები და საქმაო მზითევი ერგოთ და საიმედოდაც გაათხოვა. დარჩა ყველაზე უმცროსი, იმათზე არა ნაკლები მზითევით და თანაც უფლებით — საქმრო თავისი სურვილით ამოერჩია. მანაც არჩევანი შეპარევიჩზე შეაჩერა და მოახერხა, რომ რჩეულის რჩეული თვითონ გამხდარიყო.

ქორწინების საკითხი ვაჟმა ისე ადვილად ვერ გადაწყვიტა. ორ უახლო-

ეს მეგობარს ჰკითხა რჩევა. პირველი, მისი კოლეგა, რომელიც მუსიკისმოყვარული და ესთეტი იყო, უყოყმანოდ დასთანხმდა:

— არც უნდა დაფიქრდე. შენი მდგომარეობისა და ასაკის ქალი უნდა ეცადოს, თავისი ტყავი რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს ამ ქალაქში. შეირთე! და სტარტს აიღებ ისეთი სიმაღლიდან, რომელსაც სამსახურიდან ახსნა ქალთან ქორწინებით ალბათ ათი-თორმეტი წლის შემდეგ თუ მაქვს იმედი.

მეორე მეგობარმა, ტექნიკური ფაკულტეტის ასისტენტმა, ცოტათი ახირებული ხასიათისამ, რომელიც საგანგებოდ შეიტყუა შეპარევიჩმა პირდაპირ კოშუტნიაკში, რათა მისგან რჩევა მიეღო, სულ სხვა რამ ურჩია.

— როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქცევი, — უპასუხა დაფიქრების შემდეგ მეგობარმა, — მაგრამ რადგან მეკითხები, გიპასუხებ ეს გზა საშენო არ არის, იგი მხოლოდ ერთი შეხედვითაა ადვილი. შენისთანებისათვის ეს გზა მძიმეა და ტვირთიანი. ძალიან იაფად ყიდი თავს, ამ ქორწინებით ისეთ რამეებს შეიძენ, რაც უვარგისია და არც არასოდეს დაგჭირდება. — მან ქვემოთ მდებარე მშვენიერი მოცისფრო ქალაქისაკენ გაიშვირა ხელი: — შანდანოვიჩებისნაირი ხალხის ოჯახური ბედნიერება თუ იკმარებს შენს გასაბედნიერებლად და მართლა ყველაფერს ისე შეგისრულებენ, როგორც ამას ქორწინებამდე გპირდებიან, მაშინ აი, ამ ქალაქს მიწიერი სამოთხე უნდა ერქვას, მაგრამ შანდანოვიჩები დაპირებულს ვერასოდეს ასრულებენ და ქვემოთ გაშლილ ქალაქსაც მხოლოდ ბელგრადი ქვია და არა სამოთხე.

ინჟინერმა პირველი მეგობრის რჩევას დაუჯერა, დაქორწინდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ უკვე ხშირად იხსენებდა მეორეს.

ჯერ ოთხი წელიც არ გასულიყო და ორი ბავშვი შეეძინათ. ბავშვებმა დიდ სიხარულთან ერთად დიდი საზრუნავიც გაუჩინა. ხოლო ცოლი და მისიანები მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე. ამ ტვირთის ტარება ჭირდა, მაგრამ არც თავდაღწევა ხერხდებოდა. ამის თაობაზე მას სიტყვაც არ დასცდენია არასოდეს, თავის გულშიც კი არ დაურქმევია ამ სიმძიმისთვის სახელი. მაგრამ როცა მარტოდ დაიგულებდა თავს, დახუჭავდა თვალებს, ყველა სხვა საფიქრალი უკან იხევდა. და ადრინდელზე უფრო ჭირდა ტვირთის ზიდვა. ბელგრადში დაბრუნებულს ცოლისთვის არ უთქვამს სადგურში პრედრაგის შეხვედრის თაობაზე.

გავიდა სამი თუ ოთხი კვირა. ეს ის დრო იყო, როცა ბელგრადის ქუჩებში უცნობებიც კი ცდილობდნენ ერთიმეორის სახეზე ამოეკითხათ პასუხი, რამ გამოიწვია ირგვლივ შექმნილი ასეთი მძიმე მდგომარეობა.

ერთ საღამოს ინჟინერი ქალაქში შეყოვნდა. შინ რომ დაბრუნდა, რვას ათი წუთი აკლდა, უფრო სწორად, საბოლოოდ საათს აკლდა ათი წუთი. ცოლი შეშინებული და გაჯავრებული დახვდა. ქმრის დაგვიანებამ ქალს მოსვენება დაუკარგა და შეაშფოთა. შესჩივლა, ძალიან დავიღალეო, შინამოსამსახურე ორი დღის წინ წავიდა, მეკარე ქალი კი მხოლოდ საღამოობამდე მეხმარებაო. ოკუპირებული ქალაქისა და სექტემბრის დამძიმებული საღამოს სიჩუმე აეს მომასწავებლად გაჭვეთა ორთქლმავლის საყვირის ხმამ.

ინჟინერმა ხელები დაიბანა, ბავშვებთან შეიხედა და ის იყო საგაბშმოდ მოემზადა, რომ ვილაცამ ზარი დარეკა.

— ვაიმე, გერმანელები! — ამოიკვნესა ცოლმა და ხელების მტვრევას მოჰყვა.

ქმარმა ანიშნა, დამშვიდდიო და ვითომც აქ არაფერიო, მშვიდად გააღო კარი.

კარებში პრედრაგი იდგა. ელეგანტურად ჩაცმულს შავი სათვალე ოლარ კეთა, სამაგიეროდ ულვაში დაეყენებინა. ბევრი ბოდიში არ დაუწყია, არც სალ- მისთვის დაუხარჯავს დრო. მხოლოდ უდროოდ მოსვლისთვის მოიბოდიშა და სთხოვა მასპინძელს, როგორმე ეს ღამე თქვენთან გამათევინეთო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცოლი შეკრთა, ქმარს თვალი თვალში გაუყარა, უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ შემოსულმა ხელი მოჰკიდა ინჟინერს და სასადილო ოთახის განიერი ნიშისკენ წაიყვანა.

ლაპარაკობდა მოკლედ და ხმადაბლა. სადაც ვაპირებდი, იქ შეუძლებელი აღმოჩნდა ღამის გათევა. რა თქმა უნდა, უხერხული იყო ამ უდროო დროს თქვენი შეწუხებაც, მაგრამ სხვა გზა არ მქონდაო.

ლაპარაკობდა მშვიდად, საქმიანად. საშიში არაფერია, პოლიციამ მის თაობაზე არაფერი იცის, მაგრამ ახლა, საპოლიციო საათების შემდეგ. უპასპორტო კაცისთვის ღამის გასათევის ძებნა შეუძლებელია. ეჭვმიუტანელ ოჯახებში პოლიცია იშვიათად დადის და თუ მივა, არ გაჩხრეკს. თვითონ პრედრაგი ეცდება, მასპინძლებს მოსალოდნელი საფრთხე ააცილოს. დილის ხუთ საათზე წავა თავისი გზით. პრედრაგს არც კი დაემთავრებინა ლაპარაკი, რომ მოთმინებადაკარგული ქალი სწრაფად მიუახლოვდა მათ. იგი ციებიანივით კანკალებდა, ხელები გაშალა და გაცხარებული მოჰყვა ლაპარაკს:

— იცი რა, პეგო, ჩვენი სახლის პატრონი ძალიან ცუდი კაცია, ზემოთაც კიდევ, მე მგონი, არასანდო სტუდენტები ცხოვრობენ. იმათ გამო მთელ სახლს უთვალთვალებენ და ამიტომ არ შეგვიძლია ვინმე შევიფაროთ ისე, თუ პოლიციას არ ვაცნობეთ. მე ხომ შვილების პატრონი ვარ.

— მოითმინე, დანა! უშენოდაც მოვაგვარებთ ამ საქმეს, — შეაწყვეტინა ცოლის საქციელით შეწუხებულმა კაცმა.

მაგრამ ქალი არ დამშვიდდა, პირიქით, ხმას უფრო აუწია. არ მოერიდა დის გერს: უნამუსობაა, ასეთ მდგომარეობაში ჩააყენო სხვისი ოჯახი. ახლა ასეთი დროა, ყველამ საკუთარ თავზე უნდა იზრუნოს, საკუთარ საქციელზე უნდა აგოს პასუხი. მე დედა ვარ და არ მაქვს უფლება საფრთხეში ჩავაგდო შვილების სიცოცხლე, სადაც გინდა იქ წადი, აქ შენი დარჩენა არ შეიძლებაო.

ქმარი ყოველნაირად ცდილობდა გაეჩუმებინა ცოლი, მაგრამ ამაოდ. და მერე, როცა ორივე გაჩუმდა, ახალგაზრდამ მშვიდად თქვა:

— გამიგეთ, სხვა გზა არ მაქვს, იძულებული ვარ თქვენთან დავრჩე.

მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი თავზარდაცემული იდგა. ქმარმა მოფერებით დაიყოლია ცოლი და ბავშვების საძინელებში შეიყვანა. ათიოდე წუთის შემდეგ სტუმართან დაბრუნდა და ისევ განაგრძეს საუბარი. ახალგაზრდამ გამოჰკითხა, მეზობლები ვინ არიან, სახლის პატრონი რას წარმოადგენსო (იგი არც ისე ცუდი კაცი აღმოჩნდა). გაიგო, რომ სამზარეულოდან გასასვლელი უკანა კიბეც ყოფილა. შემდეგ შემოუსხდნენ მაგიდას. პრედრაგი ოტას ჭამდა, მაგრამ სწრაფად, ინჟინერი ყბაგაშეშებულივით ღეჭავდა.

შემდეგ დაათვალიერებინა სამზარეულო და მოსამსახურის ოთახი, სადაც პრედრაგს ღამე უნდა გაეთია. იქიდან სასადილო ოთახში დაბრუნდნენ, ოტა ხანს მდუმარენი იდგნენ, მერე სტუმარმა თქვა, დაღლილი ვარ და დავწვებიო.

გასვლისას ისევ გაიმეორა, არავითარი უსიამოვნება არ მოხდება. ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

გამომშვიდობებისას ინჟინერს რალაცის თქმა უნდოდა, პირი გააღო, ხელით უნებური მოძრაობა გააკეთა, მაგრამ უეცრად შეფიქრიანდა და გავიდა.

ცხრა საათი იყო, როცა საძინებელში შეავიდა ცოლთან.

— რას ფიქრობ, რა მოხდება? — აღელვებული შეეკითხა ცოლი.

— გაიხადე და დაწექი!

ქალმა დაიწყო გახდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— მომისმინე, მილე! ეს ასე...

— მაცალე მოფიქრება!

ქალმა ჩაიცვა აბრეშუმის გრძელი ღამის პერანგი, მაგრამ არ დაწოლილა. აღელვებული მიმოდიოდა ოთახში, ხელებს იმტვრევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. ქმარი ცდილობდა უკეთ გარკვეულიყო ვითარებაში.

— კარგი, ნუ ღელავ, დამშვიდდი! ცოტა მოითმინე და ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა ცოლს.

— ვერ მოვითმენ, რა დროს დამშვიდებაა. — ქალი მართლაც შეუჩერებლად დარბოდა ოთახში, ხან თხოვნით, ხან გაშმაგებით სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. და ცოლთან ერთად ოთახში ყველაფერი ამოძრავდა. ეს ხელს უშლიდა ქმარს გონება მოეკრიბა. სინათლე ჩააქრეს. ფანჯარა ღია იყო, ხის შტორი დაშვებული. ღრეჩოებიდან ჰაერიც შემოდიოდა და სინათლეც. შტორიდან გრძელი უცნაური ჩრდილი ეცემოდა, თითქოს ფერადზოლებიანი ხალიჩა ეფინა განიერ საწოლს, მოპირდაპირე კედელს, კარადას და ჭერზე პატარა მონაკვეთს. და როცა ქუჩის მეორე მხარეს ღამის სუსტი ნიავი ფარანს შეარხევდა, ეს ზოლებიანი ხალიჩაც ირხეოდა. ინჟინერს ეგონა ოთახი და მთელი სახლი ტალღებზე მოქანავე ხომალდს დაემსგავსაო. ირგვლივ ყველაფერი ადგილიდან დაძრულა და ყალყზე შემდგარა, თითქოს დაწყევლილი და შეჩვენებულიაო. კაცი ცდილობდა მოუხელთებელი ფიქრებისთვის თავი მოეყარა და გარკვეულიყო, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყველაფერ ამას. ეთქვათ, მოვიდა პატრული, მორიგე პოლიციელი ან გერმანელი, იკითხავს, აქ ვინ ცხოვრობს? ის უპასუხებს....

— მილე...

— ძალიან გთხოვ, დაწექი და ცოტა ხანს მაინც მომასვენე.

— ვერ მოგასვენებ, რა დავიდარაბაში ჩავვარდით, ეს საშინელებაა.

— შენ თვითონ ქმნი ამ საშინელებას.

— მე? ოი, რა უგულო ხარ. გინდა ბავშვებიც დაღუპო, მეც... — აღელვებამ და ცრემლებმა ქალს სუნთქვა შეუკრა: — საკუთარი თავიც და...

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, დანა!

ქმრის სიმშვიდე ქალს უფრო აცეცხლებდა. შფოთავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და რალაც უცხო, სტვენასავით ხმა ამოსდიოდა ყელიდან. ეს იყო სიტყვები უნიღბო, გაშიშვლებული, ქმარს არასოდეს გაეგონა მისგან ასეთი სიტყვები და ვერც იფიქრებდა, რომ მისმა ცოლმა საერთოდ იცოდა მსგავსი რამ. ალბათ საგულდაგულოდ ინახავდა სულის სიღრმეში, როგორც ოჯახის მემკვიდრეობით საიდუმლო იარაღს, რომელსაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებენ.

ბოლოს, როგორც იქნა, დაწვა ქალი. ცრემლებმა და დაღლილობამ უფრო

მოსტეხეს იგი, ვიდრე ქმრის თხოვნამ და მუდარამ. მყუდროება მაინც ვერ ჩამოდგა. ინჟინერი გრძნობდა, სისხლი როგორ აწყდებოდა მაჯებსა და საფეთქლებს. ასეთივე გაშმაგებული რიტმით ცეკვავდა მისი სავარძელიც. შტორის ზოლებიანი ჩრდილი კედელზე ისევ ირწეოდა. აქ როგორ მოიარებს გონებას კაცი, ან რას მოიფიქრებს, იგი გრძნობდა, ცოლს არ ეძინა. ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი ამდგარიყო და მოჰყოლოდა მოთქმა-ჩივილი. [illegible] ეშლიდა ხელს, მშვიდად მოეფიქრებინა რამე. უეცრად კითხვა [illegible] და საიდანღაც. როგორ მოიქცეოდა მის ადგილას ის მეგობარი, რომელმაც ტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა და ცოლის შერთვის შემდეგ მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა. რა გზას აირჩევდა, რას მოიმოქმედებდა?

მერე უკუაგდო ეს კითხვა და თავის საფიქრალს დაუბრუნდა.

ვთქვათ და, მოვიდა პატრული, იკითხა, აქ ვინ ცხოვრობსო. ის მშვიდად უპასუხებს: მე და ჩემი ოჯახი, ისინი გასინჯავენ საბუთებს და...

— მილე, მილე!

ცოლმა დაუძახა ხმადაბლა, მაგრამ მკვახედ. კაცმა დაინახა, თითქოს ნადირმა თავი დააღწია ხაფანგსო, ისე სწრაფად და უცნაურად გაიძრო თავისი გრძელი სალამური ცოლმა და მის გვერდით გაჩნდა:

— მილე!

ხმა ყრუ ჰქონდა, ნამტირალევი, მაგრამ მტკიცე. ასეთი ხმით წარმოთქვამენ ძნელად სათქმელს, მაგრამ წინასწარ მოფიქრებულ სიტყვებს:

— მილე, შენ თუ არ ეტყვი, წადიო, მე პოლიციაში დავრეკავ და ვაცნობებ, რომ ჩვენთან იმყოფება ესა და ეს... მორჩა და გათავდა! მე ჩემს ბავშვებს...

ინჟინერი შეშინებული წამოხტა და უნებურად უბიძგა ქალს, უბიძგა ულონოდ, მაგრამ გაბოროტებით, არც ხელით შეხებია, არც სიტყვა უთქვამს, ისე მიიჭრა მასთან. ცოლი უკან-უკან იხევდა. ასე მივიდნენ ბავშვების ოთახამდე. ქალმა იდაყვით გააღო კარი, ქმარმა ხელი ჰკრა და ოთახში შეაგდო. კარი მიხურა, გასაღები ორჯერ გადაატრიალა. სულმოუთქმელად შედგა კართან, შიგნიდან ცოლი ჩურჩულით უხმობდა. კაცი ბარბაცით გავიდა შემოსასვლელში, სინათლე აანთო და დაინახა დაბალ, პატარა მაგიდაზე ტელეფონი იდგა. შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა ახლა. მერე სასადილო ოთახისკენ გაიხედა, კარი საიმედოდ იყო დაკეტილი, დერეფანიც, რომელიც სამზარეულოსკენ მიემართებოდა. ცოტა ხანს შემოსასვლელში შეჩერდა. გაშტერებული იდგა. სინათლემ შეაძრწუნა, მას ახლა ადამიანის ნახვა მოსწყურდა, უნდოდა შესულიყო მოსამსახურის ოთახში მძინარე სტუმართან, დალაპარაკებოდა, რჩევა ეკითხა, დახმარება ეთხოვა, მაგრამ, აბა როგორ? ახლა, ამ მდგომარეობაში მძინარის გაღვიძება ნამდვილი უგუნურება იყო.

თავჩაქინდრული, მძიმე ნაბიჯებით დაბრუნდა საძინებელში. ჩრდილებით აჭრელებულ სიბნელეში იგი სუსხმა შეაწუხა. იქვე დაბალ, განიერ საწოლზე მიეგდო.

იწვა ასე ხელებში თავჩარგული, გათოშილი და უმოძრაო, თითქოს ძილს გადაჩვეულიყო.

ქათქათა საწოლს ხალიჩად ეფინა ზოლებიანი ჩრდილი.

ბავშვების ოთახის ჩაკეტილ კარს მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ჯ. აპდაიკი

ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბუხრაძემ

ე-11-დ კლასი ერთი შფოთითა და ყაყანით 109-ე საკლასო ოთახში შემოდიოდა. მარკ პროსერი მიხვდა, ჯგუფის ამგვარი გამოცოცხლება უთუოდ ავდარს პირდებოდა. საკვირველი იყო, აგერ უკვე სამი წელია საშუალო სკოლაში ასწავლიდა და მაინც ვერაფერი გაეგო მოზარდების. რა ეგენი და მგრძნობიარე ცხოველები. ჰაერის პატარა ცვალებადობა და უკვე კარგი ბარომეტრივით იყვნენ მომართულები.

ბრუტ იანგი კარებში შეჩერდა თუ არა, სადღაც მის გვერდით ბარი სნაიდერი ახითხითდა. ბარის არაბუნებრივი სიცილი გაისმა და ისევ შეწყდა. აშკარად რაღაც მზაკვრულ საიდუმლოს სულის კაწკაწით გემოს უსინჯავდა და ლამის ცაში აჭრილიყო ზარების ჩამოსარეკად — ეს ამბავი მარტო სკოლის ყოჩმა და მე, პატარა ბარიმ ვიცითო. ბარი ყოჩის ჭირს მიწაზე არ აგდებდა. ყოჩს კი მისთვის არ სცხელოდა: კისერი მოლრეცოდა და ცდილობდა კარებში დაენახა ის, რაც ჯერაც არ ჩანდა, მაგრამ მოწვილილ ტალღასთან ვერაფერი გაწყო და თან გაჰყვა.

სწორედ პროსერის ცხვირწინ, როგორც ისტორიულ ანალებში, სამეფო კარზე აღსრულებული, მოულოდნელად გამოაშკარავებული მკვლელობა, ვიღაცამ ფანქრით განგმირა გოგონა. მან არაფრად ჩააგდო თავდასხმა და ცხვირი გამომწვევად აიბზუა. სხვა ხელი ამასობაში ჯეფრი ლანგერის პერანგის კალთას დასწვდა და დაითრია. სამაგალითო სტუდენტს ჯეფრის ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო; ხუმრობად მიეჩნია ეს ყველაფერი თუ გამოწვევა მიეღო და ბოლოს, ვითომც თავი ნუ მომაბეზრეთო, ცივ, ქედმაღალ კომპრომისს დასჯერდა, რაც პროსერმა მისთვის ჩვეული გუმანით კარგად იგრძნო. ალაპლაპებული გასაღებები და გადაკეცილი მანჟეტების აბრჭყვიალებული ღილები ამ პროცესიას რაღაც განსაკუთრებული ელექტრობით მუხტავდა, რაც უამინდობის მომასწავებელი იყო.

გლორია ანგსტრომის სვიტრი მარკს სულ თვალწინ ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. ნეტა დღესაც ის უსახელო მოვარდისფრო-ქარვისფერი სვიტრი ეცმევა? ქალიშვილის ნატიფი, სალუქი მკლავები ისეთივე ვნების აღმძვრელი იყო, როგორც სიყვარულით მთვრალი ნებიერი ქალის სხეული.

მალე ნატვრაც აუსრულდა. ოთახში ზლაზვნით შემოსული მოზარდების ბოლო ჯგუფში სასურველმა ფერმა გაიელვა.

„აბა, ადგილებზე — დაიძახა პროსერმა. — არ გესმით? გამოვიაროთ, გამოვიაროთ!“

უმეტესობა დამორჩილდა, მაგრამ პიტერ ფორსტერი გლორიას ირგვლივ

მოქუჩულ ჯგუფებს გამოყოფოდა, ცხვირწინ დასდგომოდა მას და სათქმელს ასეთი თავგამოდებით ამთავრებდა, აშკარად ეტყობოდა ამ გოგოს გატანება, ლომობდა და მაშინლა დაწყნარდა, როდესაც გლორია მართლა ჩაბჟირდა. პიტერმა კმაყოფილებით თავი უკან გადაიქნია. წითური თმა კოხტად [illegible] შუბლზე საგულდაგულოდ დაეწყო. მარკს ყოველთვის სძულდა წითური კაცები. მათი წამწამები, დაბერილი სახეები, გადმოკარკლული თვალები, გამომწვევად თვითდაჯერებული იერი ზიზღსა ჰგვრიდა. ო, ისინი ხომ თავხედთა ჯიშისანი იყვნენ. თავად მარკს თმა წაბლისფერი ჰქონდა.

როდესაც გლორია დიდი ამბით მერხზე მოკალათდა და პიტერმაც თავის ადგილს მიაშურა, პროსერმა სწორედ მას მიმართა.

„დიახ", — პიტერი წამოდგა და წიგნში გაკვეთილს ქექვა დაუწყო.

„იქნებ აგიხსნათ ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა — ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღეს დღის უკან მიიზლაზნება"[1].

პიტერმა მერხზე გადაშლილ „მაკბეტის" სასკოლო გამოცემას თვალი შეაპარა. პიტერის გონებამახვილობის ამბავი ბევრმა კარგად იცოდა და ახლა ამის მოლოდინში რომელიღაცა გოგონამ სულელურად წაიკიკინა. გოგონებს მოსწონდათ პიტერი; მათ ხომ ამ ასაკში ორი ბატიც არ მიებარება.

„წიგნი დახურეთ, პიტერ. ეს ადგილი დღეისათვის ყველამ უნდა იცოდეს. გახსოვთ?" გოგონა უკანა რიგებიდან აღტაცებისაგან ახლა უკვე წიოდა. ამასობაში გლორიამ პიტერს წიგნი მოუმარჯვა.

პიტერმა საკუთარი წიგნი ხმაურით დახურა და კისერი წაიგრძელა. „მე მგონი, — ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რასაც აქ, ამ სტროფებში ვკითხულობთ".

„მაინც რას ვკითხულობთ?"

„უბრალოდ, „ხვალ" ის რაღაცაა, რომელიც ხშირად გვაფიქრებს ხოლმე. ყოველი ჩვენი გეგმა ხვალინდელ დღეს უკავშირდება".

„მაშინ გამოდის, რომ მაკბეტი თავს სახვალიო გეგმებით იზღუდავდა?"

მისტერ პროსერის საამებლად ჯეფრი ლანგერმა მლიქვნელურად გაიცინა და აამა კიდეც. პროსერმა იგრძნო, უპირატესობას ბოროტად ვიყენებო და უკან დახევა გადაწყვიტა. ბოლოს და ბოლოს არც ისე ულმერთოდ სცოდავდა ბიჭი.

„მე მესმის..."— დაიწყო პროსერმა.

მაგრამ პიტერი არ შეჩერებულა, წითელთავა იყო და ზომა-წონისა აბა რა მოეკითხებოდა. „მაკბეტის აზრით, ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე იმიტომ, რომ ხელიდან არ გავუშვათ ბედნიერება, რომელიც დღესა გვაქვს ცხვირწინ".

მარკმა გადაწყვიტა ზედმეტი გონებამახვილობა არ გამოეჩინა და წუთიერი დუმილის შემდეგ წარმოთქვა: „ოჰ, რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ, პიტერ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, იმ მდგომარეობაში, მაკბეტი, — აქ უკვე ველარ გაუძლო ცდუნებას, — ისე ამჩატდებოდა, რომ ასეთ ენამზეობას მოჰყვებოდა?"

ჯეფრიმ კვლავ გაიცინა. პიტერს ალმური მოედო, იატაკს ჩააშტერდა. გლორიამაც ველარ დამალა სიბრაზე და გაგულისებულმა პროსერი თვალებით გაანადგურა.

მარკი შეეცადა შეცდომა გამოესწორებინა. „გთხოვთ გამიგოთ, პიტერ.

1. უ. შექსპირი, „მაკბეტი", თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მე თვითონ არ მეგულება სწორი პასუხი, მაგრამ ვფიქრობ, ეს მონოლოგი თუნდაც ამ ადგილამდე — „თუმც უმნიშვნელო, მაგრამ საკმაო აურზაურით" — „ლაპარაკობს იმაზე, რომ ცხოვრება, ჰმ, მამაძაღლობაა, დიდი ვერაფერი ბედენაა".

„ნუთუ შექსპირი ნამდვილად ამას გულისხმობდა?" — ჩურჩულებს ერთვული ხმით იკითხა ლანგერმა.

ამ კითხვაში მარკმა კარგად იგრძნო მისთვის ერთდროს განცდილი დაუნდობელი სინამდვილის შიში. მიხვდა, რაღაც მაინც უნდა ეთქვა. პიტერი დასვა, თვითონ კი ფანჯარაში ცის სწორ კიდურს მიაჩერდა. ლრუბლები თანდათან ძალას იკრებდნენ, იქუფრებოდნენ „შექსპირის პიესაში, — დინჯად დაიწყო მან, — ბევრი შავბნელი ადგილია. არც ერთი მისი ნაწარმოები ისეთი შემზარავი არ არის, როგორც „მაკბეტი". გარემო აქ აუტანელი, მომწამვლელია. ერთ კრიტიკოსს უთქვამს კიდეც, კაცობრიობას ამ პიესაში სული ეხუთებაო, — და უცებ თვითონ მას სუნთქვა ისე შეეკრა, რომ ჩაახველა. შემოქმედების შუა პერიოდში შექსპირი წერდა ისეთ ადამიანებზე, როგორიცაა ჰამლეტი, ოტელო, მაკბეტი. საზოგადოება, საკუთარი სევდა ან სულაც უკულმართი ბედი რომ არა, ისინი კიდეც ეწეოდნენ თავიანთ დიდ საწადელს. მსოფლიო სევდაზე მეტყველებს თვით ამ პერიოდის შექსპირისეული კომედიებიც. თავისი ადრეული კომედიების მკვეთრი, მზიანი ზედაპირის გამჭოლ მან თითქოს რაღაც შემაძრწუნებელი დაინახა. ასეთივე რაღაცამ შეიძლება ოდესმე ზოგიერთი თქვენგანიც შეაძრწუნოს" საჭირო სიტყვები რომ ეპოვა, მისდა უნებურად მარკი გლორიას მისჩერებოდა. გოგონამ თავი უხერხულად დაუქნია. მარკი გამოერკვა და გაუღიმა.

მარკი ცდილობდა ზედმეტი არ მოსვლოდა და ამიტომ ნათქვამი შეარბილა. „ვფიქრობ, შექსპირმა შეიგრძნო სიმართლის ორმხრივობა. მისი ბოლო პიესები ნათელი და სიმბოლურია. იგი თითქოს უსხლტება სიბოროტეს და ისევ სიკეთის სამეფოში ხვდება. ამით შექსპირმა მოგვცა ცხოვრების შედარებით ყველაზე უფრო სრული ხატი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა მწერალმა, თუ არ ჩავთვლით, დანტეს, იტალიელ პოეტს, რომელიც მასზე რამდენიმე საუკუნით ადრე მოღვაწეობდა". მაკბეტის მონოლოგი მარკს სულ გადაავიწყდა.

რამდენჯერ მიუხარებიათ მისთვის კოლეგებს — ბავშვები მასხრად გიგდებენ და შენი გულმავიწყობით მარჯვედ სარგებლობენო. მან ჯეფრის გახედა. ის კი თავისთვის იჯდა და რაღაც წიგნაკს ჩაჰყურებდა. ბატონმა პროსერმა დააგვირგვინა: „შექსპირის ბოლო პიესა მეტად უჩვეულოა. ჩვენ მას „ქარიშხლის" სახელწოდებით ვიცნობთ. შემდეგი სემინარი 10 მაისსა გვაქვს. იქნებ ზოგი დაინტერესდეს და წაიკითხოს. პიესა დიდი არაა".

ჯგუფი განცხრომას მისცემოდა. ბარი სნაიდერი დაფასთან რაღაცას ეშმაკობდა და ერთი სული ჰქონდა, სანამ ბრუტ იანგი დაინახავდა. „კიდევ ერთხელ, ბარი, — თქვა ბატონმა პროსერმა, — და გახვალთ გარეთ". ბარი გაწითლდა და ეს რომ დაემალა, გაიღრიჭა, მან თვალები ბრუტისაკენ გააპარა. უკანა რიგში ქარაფშუტა გოგო პომადას ისვამდა.

„შეწყვიტეთ, ელის! ვგონებ, აქ სილამაზის სალონი არ უნდა იყოს". სიჯეკი, პოლონელი ბიჭი, ღამის ცვლაში მუშაობდა და ძლა ეძინა. მერხის პრიალა ფრთაზე მიდებული ლოყა გასთეთრებოდა, პირი განზე მოქცეოდა. ერთი პირობა პროსერმა იფიქრა, არ გავაღვიძებო, მაგრამ მიხვდა, ამ სიკეთით საკუთარ თავს უფრო მოხიბლავდა, ვიდრე სხვას. ეს თვითონაც არაერთხელ

უგრძვნია. გარდა ამისა, დისციპლინის ერთი დარღვევა და სხვები თავს გავიდოდნენ. მან მერხებს ჩაუარა და სიჯეკს მხარზე ხელი მოუჭირა; ბიჭმა გაიღვიძა. ჯგუფის წინა რიგებში ქოთქოთმა იმატა.

პიტერ ფორსტერი გლორიას გაცინებას ლამობდა და ყურში [illegible] და: გოგონას სახე კი მშვიდსა და საზეიმო იერს მოეცვა, აქაოდა, თავში რაღაც აზრი მიტრიალებსო, ბატონი პროსერის სიტყვებმა დამაფიქრესო. ეს უკანასკნელი წმინდა რაინდული შემართებით აინთო „პიტერ! ვგონებ, თქვენს მოსაზრებებს რაიმეს დაამატებდით“.

„არა, იცით, მონოლოგი ვერ გავიგე. გთხოვთ ამიხსნათ“. — თავაზიანად მიუგო პიტერმა:

ასეთმა გულწრფელმა აღიარებამ და უცნაურმა თხოვნამ ჯგუფი მართლა განაცვიფრა. თეთრი, მრგვალი სახეები, როგორც იქნა, რაღაცით დაინტერესდნენ და მარკს მიაჩერდნენ.

„არ ვიცი, — თქვა მან, — მეგონა, ამას თქვენგან გავიგებდი“.

კოლეჯში პროფესორის ამგვარი სიტყვები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. პროფესორის თავმდაბლობა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემოქმედებითი აუცილებლობა ჯგუფზე დრამატული სიძლიერით მოქმედებდა, მაგრამ აქ, 11/დ-ში, მასწავლებელი გველის ხვრელში უნდა გამძვრალიყო და თავისი უვიცობა დაემალა. მარკმა თითქოს მოსდოო ლაგამი მათ, მიიზიდა კიდეც თავისკენ, მაგრამ ერთმა სიტყვამ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. თავები ამოძრავდნენ, თვალები ძირს დაიხარნენ, ხმები აბზუილდნენ. პიტერ ფორსტერისნაირი ეშმაკის ფეხები კი ერთმანეთს დამცინავი კმაყოფილებით ულიმოდნენ.

„სიწყნარე! — დაიყვირა ბატონმა პროსერმა, — არ გეწმით? პოეზია არითმეტიკა არ არის. აქ ვერც ერთ ზუსტ პასუხს ვერ ნახავთ. არ მინდა საკუთარი აზრები თავს მოგახვიოთ. ამისათვის როდი ვარ აქ“. დასადგურებული სიჩუმე კი დაჟინებით ითხოვდა პასუხს: „მაშ რისთვისა ხარ აქ?“ და იქაურობას გაურკვევლობით ავსებდა. „თქვენით უნდა იაზროვნოთ. ამ საქმეში კი მე დაგეხმარებით“.

ასე თუ ისე დაშოშმინდნენ. მან მდგომარეობა ასწონ-დასწონა, მიხვდა, ძვლავ ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე უნდა აჭიკჭიკებულიყო და ამიტომ მერხის კიდეზე მოშინაურებული ბელურის უდარდელობით წამოსკუპდა. „აბა, სერიოზულად, ნუთუ არავინ გაგვიზიარებს საკუთარ აზრს?“ — გულწრფელად იკითხა მან.

ერთი ხელი, რომელსაც მოხატული ცხვირსახოცი ბურთივით ჩაებღუჯა, გაუბედავად აიწია. „აბა, გისმენთ, ტერეზა“ მორცხვი, ცინგლიანი გოგო წაათამამა პროსერმა, ტერეზას დედა „იეღოვას მოწმე“[1] იყო.

„მაკბეტის მონოლოგის კითხვისას ძალაუნებურად ღრუბლების ჩრდილი მახსენდება“ — თქვა მან.

ჯეფრი ლანგერმა გაიცინა. „ნუ უხეშობ, ჯეფ, — ჩუმად ჩაულაპარაკა პროსერმა, შემდეგ კი ხმა აიმაღლა: — გმადლობთ, ტერეზა. თქვენი შენიშვნა საინტერესოა და საფუძვლიანი, ღრუბლების მოძრაობაში, ისევე როგორც მონოლოგის პირველ პწკარში, ერთფეროვანი რიტმი მართლა იგრძნობა. ეს ადგილი ძალზე მძიმეა, ასე არ არის?“ პროსერს პასუხი არ მიუღია.

---

1. რელიგიური სექტა.

ფანჯრის მილმა ნამდვილი ღრუბლები ერთმანეთისაკენ მიირბოდნენ, ხოლო მზის ერთი მეტად უჩვეულო თავნება სხივი ოთახში შემოიპარა და თავზე შემოდებული კოპწია ხელი გლორიას ოქროსფრად აულივლივა. „რას გვეტყოდა გლორია?“ — იკითხა პროსერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლორიამ, როგორც იქნა, დააყენა საშველი და მერხიდან თავი ზვიადი მედიდურობით ასწია. „რაც ტერეზამ თქვა, ძალიან მომეწონა, — განაცხადა და ჯეფრის თვალები დაუბრიალა. მან კი პასუხად გამომწვევად გაიცინა. — და კიდევ ეს — რას ნიშნავს „წვრილი ნაბიჯი“?“

„წვრილი ნაბიჯი? — დაეკითხა პროსერი. აქ იგულისხმება ყოველდღიური, უმიზნო ცხოვრების დღეები. ის დღეები, ბულალტერი, ბანკის მოხელე ან სულაც სკოლის მასწავლებელი რომ ცხოვრობს“, — ღიმილით დაამატა მან.

გლორიას ღიმილითვე არ უპასუხნია. რაღაცაზე ფიქრობდა და მშვენიერი წარბები შეეკრა: „მაგრამ მაკბეტი ომობდა, კლავდა მეფეებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ იყო მეფე!“

„მართალია, მაგრამ ასეთი საქმეებიც კი მას არაფრად მიაჩნია, გესმით“— უპასუხა პროსერმა.

გლორიამ თავი გაიქნია: „აი, კიდევ რა მაინტერესებს: ნუთუ სისულელე არ არის, რომ ყველაფერთან ერთად, შუაგულ ომში, მეუღლის უეცარი გარდაცვალების შემდეგ მაკბეტი დგას და თავის თავს ესაუბრება?“

„სულ ერთია, რაგინდ სწრაფად არ უნდა შეიცვალოს სინამდვილე, გონება პირველია მაინც“.

პასუხი სუსტი იყო; ამას ყველა მიხვდებოდა მაშინაც კი, გლორიას, მართალია თავისთვის, მაგრამ მთელი კლასის გასაგონად რომ არ ჩაელაპარაკა — რა სისულელეა!

მარკს თითქოს ბზიკმა უკბინაო, ისე შეხტა. რა საშინელი სიცხადით ხედავდნენ ახლა მას მოსწავლეები, რა სასაცილო იყო მათ თვალში — ცარციანი ხელები, მასიურ სათვალიანი ოფოფა, „ლიტერატურით“ გასიებული თავისი თავი ნათლად დაუდგა თვალწინ, ეს კი „ლიტერატურა“ გახლდათ, სადაც მეფე განსაცდელის ჟამსაც კი, ყველასათვის გაუგებარ ლექსებს ლუღლუღებს. მიხვდა, ბავშვებმა დიდსულოვნად შეიბრალეს. ო, რა აუტანელი იყო მათი სიკეთე, რა შიშისმომგვრელი — მათი თავშეკავება, რწმენა. მაინც როგორ მოითმინეს და კლასიდან სიცილით არ მიაბრძანეს. ძირს დაიხედა, თითის წვერები ერთმანეთს შეატყუპა და ხელებიდან ცარცის მოშორება სცადა. ახმაურებული ჯგუფი უცნაურად გატრუნულიყო. „რა დრო გასულა! — თქვა ბოლოს, — მოდით, საზეპიროს მივხედოთ. ბერნარდ ემილსონ, თქვენ დაიწყეთ“.

ბერნარდს ცუდი მეტყველება ჰქონდა და ამიტომ ასე დაიწყო „ვალე ვალს მო დევს“... კლასში ფხუკუნი ატყდა, ერთი გადახარხარება ყველაფერს ერჩივნათ. თავის წიგნაკში კი ბატონმა პროსერმა ბერნარდის გვარის გასწვრივ ხუთიანი მოხაზა. სკოლის ექიმის ღრმა რწმენის მიუხედავად — ბიჭს ორგანული არაფერი სჭირსო — ზეპირში ბერნარდს ბატონი პროსერი ყოველთვის ფრიადს უწერდა.

თუმც უგულობა იყო, მაგრამ, როგორც წესი, ზეპირი გამოკითხვა წინა რიგებიდან იწყებოდა. როდესაც ელისის ჯერი მოვიდა, პიტერ ფორსტერი ისე დაეჭყანა გოგოს, საბრალომ ხმა ვერ ამოიღო. მარკმა კარგა ხანს ამყოფა იგი ასე დაყუდებული და მხოლოდ მაშინ მოლბა, როდესაც გოგონას სახე მწიფე ალუბალს დაემსგავსა. „იქნებ ცოტა ხნის შემდეგ გეცადათ, ელის“. უმრავლე-

სობა კარგად მომზადებულიყო, თუმცა ერთ პწკარს — „ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს“ — ყველა ტოვებდა და რატომღაც „იჭიმება — იგრიხება“ აბრუნებდნენ, როგორც „იგრიხება — იჭიმება“, ან მხოლოდ იჭიმება-იჭიმებას ამბობდნენ. სიჯეკს მართალია ნაუცბათევად, [illegible] ესწავლა ნახევარი მონოლოგი „მთლად გაჭრობამდე“, ჯეფრი [illegible] გორც ყოველთვის, თავის ცოდნას უხვად აფრქვევდა და შიგადაშიგ საკუთარ ჭკვიანურ კითხვებს რთავდა. „ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზლაზნება“ — პატივცემულო, აქ განა დღეები მიიზლაზნებიან არ უნდა ვთქვათ?“

„საქმეც ის არის, რომ „მიიზლაზნება“ უნდა იყოს. და თუ ღმერთი გწამთ, შენიშვნებს თავი დაანებეთ. განაგრძეთ“. ლანგერის ლოლიობამ ბატონ პროსერს თავი მოაბეზრა .შავი, მოკლედ შეკრეჭილი ხეშეში თმა ჰქონდა ამ ბიჭს და მართლაც ვირთხას ჰგავდა.

„დღე დღის უკან მიიზლაზნება. ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელ საათს დაჰკრავდეს. გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს მიწად გარდამქცევ სიკვდილამდე... ოჰ, შენ ხანმოკლე მანათობელო! გაჰქერ, გაჰქერ“.

პროსერი სკამიდან წამოხტა „არა, არა! ეს ხომ პოეზიაა, ასე სად მიგეჩქარებათ! წამით მაინც შეჩერდით „უგუნურებთან!“ ჯეფრი ამჯერად მართლაც შემკრთალი ჩანდა. მარკს საკუთარი აღშფოთების მიზეზი თავად ვერ გაეგო. რას ერჩოდა ამ ჭკვიან ბიჭს. ნუთუ მიზეზი გლორიას ბრაზმორეული წამწამა და წყლიანი თვალები იყო, ჯეფრის მკაცრად რომ მისჩერებოდნენ? მიხვდა, სულელურად იქცეოდა. გლორიას პირად ანგარიშებს ჯეფრისთან ერთგულ ყმასავით თვითონ ასწორებდა. მტყუანი კაცივით ამოიოხრა და კლასს მიუბრუნდა. „ლექსი — დაიწყო მან, — სტროფებისაგან შედგება“. გლორია პიტერ ფორსტერს წერილს აწვდიდა.

რა თავბედობაა, როგორ მოურიდებლად აწვდის წერილს. განა არ იცის, რომ ყველაფრის მიზეზი თვითონ არის? მარკმა გოგონას ნატიფი მაჯა ჩაბლუჯა, თითებიდან წერილი გამოსტაცა და მთელი ჯგუფის დასანახად წაიკითხა, თუმცა ამ ხერხის დიდი წინააღმდეგი გახლდათ.

„ფი-ი-ტ! — წერდა გლორია, — მე მგონი, ცდები. ბატონი პროსერი შესანიშნავი კაცია და საინტერესო რაღაცებსაც გვასწავლის. პოეზია ხომ ნეტარებაა მისთვის. იცი, მიყვარს, გეუბნები, მართლა მიყვარს, კი, ასეა“.

ბატონმა პროსერმა წერილი დაკეცა და პიჯაკის გვერდითა ჯიბეში ჩააცურა. „გაკვეთილების შემდეგ დარჩებით, გლორია“, — თქვა მან. შემდეგ ჯეფრის მიუბრუნდა: „მოდით, ხელახლა სცადეთ, თავიდან დაიწყეთ“.

სანამ ჯეფრი საზეპიროს ამბობდა, ზარის ხმა გაისმა და ეს ბოლო გაკვეთილიც დასრულდა. სასწრაფოდ დაცარიელებულ ოთახში გლორიას მეტი არავინ დარჩენილა. კარადები აბრახუნდნენ, წიგნებს რკინის თაროებზე პარტყაპურტყი გაუდიოდა — ღრიანცელი ოთახში ისმოდა:

„ვინ არის მანჭანით“?

„სიგო დამიადე რა“.

„ამ გუბეში რა გაგვიყვანს!“

მარკმა ახლალა შეამჩნია, რომ კარგა მაგრად წვიმდა. ჭოკი აიღო და ფანჯრებს ჩამოუარა: ფარდები ჩამოუშვა. წვიმის ერთი შხეფი ოთახში შემოხტა და ხელზე დაეცა. უხერხულობა რომ არ ჩამოვარდნილიყო, გოგონას

ენერგიული ხმით გამოესაუბრა. ფანჯრებსაც ხომ ასეთი თავგამეტებით სწორედ ამიტომ კეტავდა.

„ჰო, წერილობანას თამაში, — გოგონა წინა მერხზე გაუნძრევლად იჯდა. მოკლე, ზემოთ ავარცხნილი თმა სასიამოვნო ელას აძლევდა. [illegible] მკლავები მკერდთან მიეტანა, მხრები აეწურა, ეტყობოდა [illegible] წერილების ჯლაბნა, მაშინ როცა მასწავლებელი გესაუბრებათ, მარტო თავხედობა არაა, სიტყვების ქაღალდზე გადატანა სისულელეა და სისულელე ნაკლებ სულელური გამოჩნდებოდა, სიტყვები რომ წარმოგვეთქვა მხოლოდ". მან ფანჯრის დასაკეტი ჭოკი კუთხეში მიაყუდა და თავისი მაგიდისაკენ გაემართა. „რაც შეეხება „სიყვარულს", ეს ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს, თუ რა დაემართა ჩვენს ენას, როგორ გაუფასურდა იგი. დღეს ამ სიტყვით სარგებლობს ყველა: კინოვარსკვლავი, ესტრადის მომღერალი, მქადაგებელი თუ ფსიქიატრი; შედეგი კი ისაა, რომ „სიყვარულმა" დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და მხოლოდ რაღაც მქრქალი გრძნობის გამომხატველად დარჩა. ამ გაგებით მიყვარს წვიმა, ეს დაფა, ეს მერხები, თქვენ მიყვარხართ! ეს სრულიად არაფერს ნიშნავს, გესმით, მაშინ როდესაც თავის დროზე ამ სიტყვით გამოხატავდნენ აბსოლუტურ სიმართლეს — წყურვილს, გადაეშალათ გული, გაეზიარებინათ თავისი ჭირ-ვარამი იმისათვის, ვინც უყვარდათ. დრო კი მოგვეტანა ისეთი ახალი სიტყვა, რომელიც ამ გრძნობის აღმნიშვნელი იქნებოდა, და თქვენ, როდესაც შესაფერის სიტყვას გამონახავთ, გირჩევთ დაფიქრდეთ და არ გაცვითოთ ის. მოიქეცით ისე, თითქოს მისი წარმოთქმა ერთხელ შეგეძლოთ მხოლოდ — თქვენთვის თუ არა, ენის საკეთილდღეოდ მაინც. იგი საკუთარ მაგიდას მიუახლოვდა და ზედ ფანქრები დაყარა, თითქოს ამითი თქვა, მოვრჩი.

„უკაცრავად", — წარმოთქვა გლორიამ.

„რაო?" — გაიკვირვა პროსერმა.

„მაგრამ თქვენ ვერ გაიგეთ".

„ჰო, რასაკვირველია, ვერ გავიგე. ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ. თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ჯეფრი ლანგერს ვგავდი".

„მაგას ვერ დავიჯერებ!" ცოტაც და გლორიას ცრემლები წამოსცვივდებოდა. პროსერი ამას ნათლად ხედავდა.

„რაო, გლორია, ჰმ, გაიქეცი, არაფერიც არ მომხდარა".

გოგონამ თავისი წიგნები შიშველ მკლავში ნაზად მოიმწყვდია და ოთახიდან ქალიშვილისათვის დამახასიათებელი ტანის მელანქოლიური რწევით გავიდა. გეგონებოდათ, მერხის თავებზე მიცურავსო.

რა ამბავია ამ ბავშვების თავს, ფიქრობდა მარკი. მაინც რა უნდათ? წყნარი დინება, დაასკვნა ბოლოს; გინდა ჩაიქროლო აუღელვებლად, ისე რომ რიტმიდან არ ამოვარდე. პატარა ბორბლებს კი უმიზნოდ, რაკუნით მიჰყავხარ სადღაც. ჰმმმ, როგორა თქვა, ნეტარებაა მისთვის პოეზია, — „ეშმარიტად"! მათ უყვართ სამყარო. ნეტარებაა მათი სიმღერების დიდ ნაწილში.

„ღმერთო დიდებულო, ღიღინებს!" — ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი სტრანჭი, ოთახში შეუმჩნევლად შემოსულიყო. გლორიას კარი ღრიჭოდ დაეტოვებინა.

„ოჰ, — თქვა მარკმა, — ფრთადამსხვრეული გულადი ანგელოსი".

„რა დაგემართა, ასე რა ჯანდაბამ გაგამხიარულა?"

„ო... იტყვი ხოლმე..."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მზიარულება კი არა, ნეტარებაა. ვერ ხედავ?"

ჭორით დამძიმებულმა სტრანქმა მერხებს შუა მისთვის შეუფერებელი ნაზი ნაბიჯით გამოიარა და მარკს ჰკითხა.

„იცი, რა დაემართა მერჩინსონს?"

„არა", — ჩურჩულითვე გამოაჯავრა მარკმა.

„თავი მოეჭრა მაგ უბედურს".

„კარგი ერთი!"

სტრანქმა, როგორც ყოველთვის ახლაც წინასწარ ატეხა სიცილი.

„რომ იცოდე, რა ახუნტრუცებულია".

„ნეტა თუ მართალს ამბობ?" — გაიკვირვა მარკმა, თუმცა იცოდა, სტრანქი ყველაზე ასე ლაპარაკობდა.

„გლორია ანგსტრომი შენ ჯგუფშია?

„მერე?!"

„ჰოდა, ამ დილით მერკს ხელში გლორიას წერილი ჩავარდნია: ვითომ მერკი მაგარი ვინმეა და გლორია მასზე ჰკუას კარგავდეს, გესმის?!" — სტრანქმა შეიცადა, იფიქრა, მარკი რამეს მეტყვისო, შემდეგ კი განაგრძო: — წარმოგიდგენია საუზმის ხანს გამოირკვა, რომ ასეთივე ამბავი გუშინ ისტორიის გაკვეთილზე ფრაიბერგსაც მოსვლია. — სტრანქმა გაიცინა და თითები გემრიელად გაატკაცუნა. — „ამას მარტო ეგ გოგო ვერ მოიფიქრებდა. ყველას ჰგონია, რომ აქ პიტერ ფორსტერის ხელი ურევია".

„შეიძლება ასეც იყოს" — დაეთანხმა მარკი. სტრანქი არ მოეშვა და კარამდე მისდია, თან საცოდავი, ნირწამხდარი მერჩინსონის სახეს იხსენებდა, როცა მასთან ფრაიბერგი მივიდა და თურმე მიამიტურად გაენდო.

მარკი მიბრუნდა და კარადის გასაღებად ციფრები აკრიფა 18-24-3. „მაპატიე, დეივ, — თქვა მან, — ქალაქში ცოლი მელოდება".

სტრანქი სქელკანიანი იყო და მარკის გაღიზიანებული კილო ამიტომაც გამოეპარა. „დარბაზში გადაბარგება მომიხდა. პატარებს წვიმაში აბა როგორ გავიყვან, დედიკოებს ხომ არ ავამხედრებ, — თქვა მან და წაკუნტრუშდა. დერეფნის ბოლოში კი შეჩერდა და მარკს გამოსძახა: — არაფერი წამოგცდეს, ხომ იცი, ვისთანაც!".

ბატონმა პროსერმა კარადიდან პალტო გამოიღო და მხრებზე მოიცხა, ქუდი თავზე დაიდო, ვიწრო კალოშები ტუფლებზე გაჭირვებით მოირგო და საკიდიდან ქოლგა ჩამოხსნა. ცოტაც და აქვე, დაცარიელებულ ჰოლში ხუმრობით ქოლგას გაშლიდა. შემდეგ გადაიფიქრა. არა, იმ გოგოს ლამის ეტირა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

ხვალე ხვალს მოსდევს
და წვრილი ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზლაზნება, ვიდრე ჟამთ
ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს.
გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს
მიწად გარდამქცევ სიკვდილამდე... სიცოცხლე მხოლოდ
ჩრდილი ყოფილა მოარული, ტაკი-მასხარა,
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მალალ სცენაზედ
და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით.

□

სამხრეთის ზღვების სიმღერები

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ილია რუხუაძ

ოკეანის უკიდეგანო სივრცეებში მიმოფანტულ არქიპელაგთა შორის რომ მოგზაურობთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ტროპიკული წვიმებით განბანილი და მზით გაჩახჩახებული სამოთხისებური კუნძულები ერთიანად სასიმღერო ჰანგებსა და საცეკვაო რიტმებში ტორტმანობენო. აბორიგენთა ცეკვების ქორეოგრაფიულ ხვეულებში დაკვირვებული თვალი ადვილად შეიცნობს უძველეს მითოსურ საწყისებს, მაგრამ სტუმრად მოსულთაგან ცოტას თუ ესმის აზრი სიტყვებისა, უჩვეულო სიმღერებს რომ ახლავს.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქამ კარგა ხანია ჩაიარა. აღმოუჩენელი არ დარჩენილა ხელისგულის სიფართე ატომებიც კი. სამაგიეროდ ოქროს ხანა დასდგომიათ მთელი მსოფლიოს ეთნოგრაფებს, რომელთაც უკვე ლია გულით, სტუმართმოყვრულად ეგებებიან პირველყოფილი ცხოვრების წიაღიდან გამოსული და ახალი დროის კულტურულ მონაპოვრებს ნაზიარები აბორიგენები. ამ პირობებში საგრძნობლად გაადვილდა მეცნიერული შესწავლა თავისთავადი და უნიკალური კულტურული ფასეულობებისა, რომელთა შემქმნელებად გვევლინებიან მიკრონეზიის, მელანეზიისა და პოლინეზიის უთვალავი მცირე ხალხები, ეთნიკური ჯგუფები და ტომები.

დედამიწის გარშემო მოგზაურობის მეორე წიგნზე („დიდი რეგატა") რომ ვმუშაობდი, ხელში ჩამივარდა ბორის პუტილოვის „სამხრეთის ზღვების სიმღერები" — სამეცნიერო-ეთნოგრაფიული გამოკვლევა ოკეანიის ხალხთა პოეტურ ფოლკლორზე. პოეზიის საინტერესო და უნიკალური ნიმუშები წიგნში ძირითადად წარმოდგენილია, როგორც საილუსტრაციო მასალა. მეტწილად ფრაგმენტების სახით; ცხადია, სათანადო მეცნიერული კომენტარებითა და ინტერპრეტაციით, რაც თავის მხრივ ეყრდნობა დასავლეთის ქვეყნების ეთნოგრაფთა მონაპოვრებს. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ საჭიროდ ჩავთვალე რამდენიმე ნიმუში ქართულად მეთარგმნა და შემეტანა ჩემი წიგნის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება სამხრეთის ზღვებსა და წყნარ ოკეანეში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. შემდეგ იმის სურვილიც მომეძალა, რომ ეს სამუშაო რამდენადმე გამეფართოვებინა და ქართველი მკითხველისათვის საგანგებოდ გამეცნო პოეზიის ეს საოცარი სამყარო, რომელიც მისთვის, რამდენადაც ვიცით, ჯერ კიდევ სავსებით უცნობია. არჩევანი შევაჩერე მითოლოგიური და ზღვაოსნური ეპოსის, სატომო-საგმირო, საზოგადოებრივი, შრომითი, საყოფაცხოვრებო ციკლის იმ ქმნილებებზე, რომლებიც ბ. პუტილოვის წიგნში უფრო სრულად არის წარმოდგენილი. მიზანშეწონილად მივიჩნიე მათი დალაგება თემატიკურ-შინაარსობრივი ნიშნითა და თანმიმდევრობით, რათა მკითხველს ზოგადად მაინც გაეყოლებინა თვალი ოკეანის ხალხთა ცხოვრების წესისათვის, ამ სიმღერებში რომ განფენილა.

იმისათვის, რომ თარგმანი ზედმეტად არ გადამეტვირთა აუცილებელი შენიშვნებითა და განმარტებებით, ყოველი ლექსი დავასათაურე იმგვარად, რომ მასში მოცემულ მოკლე ინფორმაციას მკითხველისათვის მიეცა გასაღები უცხო ყოფითი და პოეტური აქსესუარებით აღსავსე ქმნილებების უკეთ გაგებისათვის.

სამოელთა სიმღერა
ძაოსიდან ხმელეთის ამომზიდველ მაუიზე

ზღვა უკან იხევს, ზღვა უკან იხევს,
ზღვა უკან იხევს, ზღვა უკან იხევს.
გამოჩნდა იგი, მიწაც გამოჩნდა
და მაუი ზედ აღიმართა ძლევამოსილად.

ჰავაიური სიმღერა ახალი მიწის დაგადებისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დე, ჰავაიის მიწამ იზარდოს დაუსრულებლად,
ჰავაიისამ — მიწათა დედამ.
განთიადის ფრთამალი სული
მიჰქრის უსაზღვრო სივრცეებში,
თეთრ ღრუბლებზე დასვენებული.
იქროლე სულო, შორეთისკენ!
დაფდაფების მჭუხარე ხმა საიდან ისმის?
იგი ისმის დასავლეთის ბობოქარ ზღვიდან,
რომლის ფსკერიდან ამოდის ვავაუ —

პირმშო ჩვენი მძლავრი ტომისა,
მალემსრბოლ ნავთა დიდი რაზმით,
ორივ მხრიდან ჩვენსკენ სწრაფად რომ ეშურება.
იქროლე, სულო, შორეთისკენ!
დაფდაფების მჭუხარე ხმა საიდან ისმის?
ის ახლა ისმის ალმოსავლეთის ზღვათა სივრციდან,
სად ზვირთცემის ყრუ გრუხუნში
უფსკრულიდან ამოიზიდა ჰუაჰინე —
ბევყანა, სადაც მიაგებენ პატივს ბელადებს,
ბევყანა, რომელმაც დაისადგურა მთვარის ზღვაში.

ჰავანუისკენ მცურავ მეზღვაურთა პოლინეზიური სიმღერა

აი, შეხედეთ მცურავ კუნძულს — მალემსრბოლ მიწას,
ქაოსის დიდი ხმელეთისკენ —
შორეული ჰოვანუის ნაპირისკენ რომ ეშურება.
ღრუბელთა ზემოთ მოსრიალე ფრთოსანთ გუნდის წრიალა ჩრდილი
უკან მისდევს ზედ გარიყულ ადამიანებს...
ო, როგორა ჰგავს შენი სწრაფვა ფრინველების ამ გადაფრენას, —
ქარიშხლის ფრთებს მინდობილო მწვანე კუნძულო!

პოლინეზიური ლოცვა, აღვლენილი მეზღვაურთა მფარველი ღვთაებისადმი

ო, ტანგაროა, ამ უსასრულო სივრცეებში
შემომიფანტე დღის ღრუბელი,
შემომიფანტე ღამის ღრუბელი,
ნუ ჩამიჭრიბ ცაზე ვარსკვლავებს,
რომელთაც მიჭვსდევ შორი მხარისკენ —
სურვილთა ჩემთა გასასრულებლად.

პოლინეზიელი მესაჩის სიმღერა

ქროლის ენით ატანილი ტარი ნიჩბისა ხელის გულში არ მიდაგლეჯია,
სასაჭე ნიჩაბს ჩემსას ჰქვია კაუტუ-კი-ტე-რანგი.
ის მიმაქროლებს ნისლში გახვეულ და ბუნდოვან ჰორიზონტისკენ.
ჰორიზონტისკენ, ჩვენს წინ ფართოდ რომ გადაშლილა,
ჰორიზონტისკენ, რომელიც რომ მუდამ გაგვირბის,
ჰორიზონტისკენ, მუდამ ჩვენსკენ რომ მოისწრაფის,
ჰორიზონტისკენ, ეჭვს და შფოთვას რომ გვიღვიძებს,
ჰორიზონტისკენ, თან რომ ახლავს ჯადო ძალა,
ჰორიზონტისკენ, რომლის იქით ჯერ არავის გაუღწევია...
თავს დაგვწოლია უსაზღვრო ზეცა,
ფეხთან ხმაურობს ზღვა ბობოქარი.
წინ გვიძევს გრძელი უცნობი გზები
და მივნდობივართ ჩვენი ნავის მოუღლელ ქროლვას.

ერეკვანელი ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლინეზიელი დედის მოთქმა ზღვაში დაღუპულ შვილზე

მომეახლება სიზმარში ხშირად,
ძილშიც ვიზრახავ, მის საძებრად რომ გავეშურო,
ზღვის გადალახვაც არაფრად მიჩანს.
ძილში, ერთხელ, მატაის ზღვაც კი გადავცურე.
ცხადშიც მწადია, რომ ტალღები დავიმორჩილო.
ღმერთს ვევედრები: „მაპოვნინე ჩემი ბიჭი, მას მიმიხედე!..“
ასე მგონია, ნაპირისკენ გზა ვერ გაიგნო,
მიწის კიდესთან მიიმწყვდიეს იგი ტალღებმა.

სამოელთა სიმღერა ქვესკნელიდან ცეცხლის მომტაცებელ ტიიზე

ასე ადრიან სით ისწრაფვის მამაცი ტიი?
ის ეშურება მიწისქვეშეთს სიი-სიი-მანესთან.
ვითარც წავიდა, ისე დაბრუნდა,
თუმც ის არ არის, რაც ადრე იყო.
ახლა ტიი-ა-ტალანგა წინამძღოლია,
ქვესკნელიდან ნაკვერჩხალის მომტაცებელი.
ვერაფერს გახდა მასთან მაფუი —
ქვესკნელის გულში ცეცხლს რომ დარაჯობს,
ქოქოსის შტონი უცჰუნა ტიიმ
და ქვე დასცა ხელფეხშეკრული...
მას უკანაა შემწვარ-მოხრაკულს რომ შევექცევით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰავაიური სიმღერა გმირ ტაფაკისა, ვინაც ღმერთების ტყვეობიდან დაიხსნა მამა

შეტალღებული იქ წევს სილის უსასრულობა
და განთიადი ნელა შემოდის!
ო, მოზეიმო ყივილო ჩემო!
ო, სიმამაცევ, ჩემო!
ო, ძლევავ ჩემო!

ჰილბერტიელი მეომრის ლოცვა ლაშქრობის წინ

შუბის ტარს ვიცემ მღელვარე მკერდზე!
ალმოსავლეთით იღვიძებს დილა.
რისთვის ვამზადებ მე თავს ჩემსას?
მრისხანებისთვის ვამზადებ ჩემს თავს.
რისთვის ვამზადებ მე თავს ჩემსას?
ვამზადებ ჩემს თავს იმდაგვარი ჭუხილისათვის,
ალმოსავლეთით ცის კიდურზე რომ გრუხუნებს.
არა ვარ მხდალი, რაკი მწადია.
ბრძოლასა შინა არ ვარ ზანტი, მე ვარ მრისხანე.
მრისხანება!
მზადყოფნა!
უშიშროება!

პოლინეზიური სიმღერა მტრის სოფელზე იერიშის მიტანის წინ

ეს მე ვარ — ტაკერე, —
თევზი რიფებს შეფარებული.
ვერას დამაკლებს ჩრდილოეთის ქარი ძლიერი,
რამეთუ მე ვარ გამძლე თესლი,
ამოზრდილი რანგიტაკის ლონიერ ზურგზე.
დაამხე სვეტნი, ო ღმერთო ჩემო, იმა მიწიაა,
ჰავაიკის გამჩენმა რომ შეარყია!
ქვის შურდულს ჰქვია რურუ-ტორო,
ტუ-კაი პაკორაა შურდული ჩემი.
ო, ოი-ოი, გამოჰფინე მტერი გარეთ,
რომ ჩემს შურდულს არ მოშივდეს!

მაორული სიმღერა მტრის სიმაგრეზე იერიშის მიტანის წინ

ეს რა ქარი მეხლება მკერდზე?
დასავლეთისა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხრეთისა?
ბრიზი ყოფილა ალმოსავლეთის!
შესდექ ომერეს თხემის თავზე
და დაინახავ, მამაცო რაჰა,
კაიაპოჰას პირქუშ სიმაგრეს ვით დაჰნათის ცა მოკიაფე.
ტალღათა მკვეთრი ცხვირის ძგერებით
და ნიჩაბთა ძალუმი ქნევით
ჩაეგანება ქვემოთკენ სწრაფად
მაუის კანჯო.
ახლა კი დროა მოუსვათ მძლავრად!
მოდით, ზღვებსაც გადაუფრინეთ!
ჩაშვება და ამოღება ნიჩბებისა დე იყოს ერთი!
ხედავთ ზღვათა ფრინველების უთვალავ გუნდებს,
მყუდრო ყურეს ვაპარისას რომ ახვევია?..
ჰი-ჰი!.. ჰი-ჰი!..
ბრძოლა იქ ნახეთ!

პაპუასური სარიტუალო სიმღერა ახალი ნავის ზღვაში ჩაშვების წინ

დამწყები

რიფებს იქით, ცელქ ტალღებზე, მისრიალებს მრავალი ნავი,
მოდი ნაპირთან, მოდი ნაპირთან, თავად შეხედე.
ეს რა მორევი დუღს ჩვენს გარშემო?
ცოტა გვადროვე, გადაეშვები შენც მლაშე ზღვაში.

გუნდი

თუ ჩემზე ამბობ, მთლად აღგზნებულს, ცახცახი მიტანს,
როცა ვხედავ ამდენ ნავს ერთად,
ნაპირიდან მოშორებით ტალღების ზურგზე მოსრიალეთ.
ტყიდანი ისმის ხალხის ყიჟინა,
ჰა, მოკაფავენ ნაპირისკენ ჩასაშვებ ბილიკს.
გესმით, ყვირიან,
ვით მენავენი, ზღვაში გასულნი:
უეე-ეე-ეე-ეე-ეე ... ი ჰია, ییჰ!

პაპუასური სარიტუალო სიმღერა ახალი ნავის ზღვაში შეცურებისას

ურემ ტარიგავ, ფეხები შენი გამოგვბია,
სისხლი შენი ტანს გვიჩუხჩუხებს,
ურემ ტარიგავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველი ასო შენი, ჯიგარი შენი, ნაწლავი შენი ირხევა ჩვენში.
ტარიგა, ტარიგავ.
ფრთენი შენი მაღლა გვაფრენენ,
ნისკარტი შენი, თვალნი შენნი გამოგვსხმია,
ტარიგა, ტარიგავ.
ურემ ტარიგა წინ მიგვიძღვის,
ჩვენ უკან მივსდევთ.
ურემ ტარიგა მაღლა მიიწევს, ვით ფრინველი.
შენც ცას შეერთვი მისებრ ლაღად.
შენ ხარ წერო,
შენ ხარ თოლია ლურჯი ზღვისა.
ურემ ტარიგა — მეტეორია,
ურემ ტარიგა — ელვაა ცისა,
ურემ ტარიგა — ფრინველია ფრთამოფარფატე,
ურემ ტარიგა წინ ისწრაფვის,
რათა მიზანთან პირველი გაჩნდეს.

პოლინეზიური შელოცვა ზვიგენზე ნადიროგისას

ო, ტანგაროა!
აი, ზვიგენიც, ჩვენი ზიარი.
დაიმორჩილე იგი,
ცა დაანახვე...
ა, ა, ხედავ, უკვე ფართხალებს,
ო, ო, უკვე ყურყუმელაობს.

მელანეზიური ვედრება ტოტემისადმი, რომ მიანიჭოს სიკეთე ახალშოგილს და მის დედას

შენ, არწივო ზღვასთან რომ ბუდობ,
მალე ჩვენსკენ ჩამოიქროლე
და ასწავლე ჩვენს ბიჭუნას ლაღად რონინი...
განთიადიდან შებინდებამდე
ორივენი — დედა და შვილი —
დაემსგავსებით კინკირასუს ტანმაგარ პალმას,
რომელსაც ქარი ძლიერად არწევს,
მაგრამ წელში კი ვერ გადატეხს.

პაპუასი მამა ლოცავს პატარა ვაჟიშვილს

მომიცია შენთვის ხერხემალი
და ამიწყვია ასე რიგად:
ერთი მალა — ლრუტუნასი.

ერთი — მცურავისა,
ერთი — ადამიანისა,
ერთი — ძლოკვისა,
ერთი — პითონისა,
ერთი — გველგესლასი,
ერთიც — ბავშვისა.

ერეკვნული
ბიბლიოთეკა

ფიჯელი ქალების სარიტუალო ზელოცვა დედა-კუს რაუნდალიტეს ზღვიდან გამოსახმოგად

ჩვენ — ნამბუკელეუს ქალები
შევმოსილვართ წმინდა მასის
სალუქი სულუთი,
სახეები იმგვარად მოგვიხატავს,
ვითარც გვასწავლა
სამყაროს შემქმნელმა დიდმა ტეეროამ,
რათა მოკრძალებით შეგთხოვოთ —
ო, რაუნინდალიტე —
გვეჩვენე!

ფიჯელთა სარიტუალო სიმღერა საკრალური სასმელის კავის სმისას

ო კუ, ო კანე, ო კანალოა — ბელადნო ჩვენნო,
მოგართვით კავა.
ჯანი მოჰმადლეთ კამეჰამეჰაა,
ჯანი მოგვმადლეთ ჩვენ —
შვილებს თქვენსას.

მიკრონეზიული სიმღერა შეუვარეგული ქალისა

ადრე ვცხოვრობდი რუიალოში,
შემდეგ ვირჩიე ულიმატაუ.
ვირარს მივენდე სიყვარულით,
ისიც მიხმობდა სატრფოდ თვისად.
როცა იგი ცას ასჭექავდა,
ზანტი მთვარე უხმო რონინს მოუჩქარებდა.

პაპუასი ქალიშვილის სასიყვარულო ალსარება

არ მოვიდოდი შენთან არაფრით,
რადგან ვგავარ ტაროს სავსე და ცვრიან ნაყოფს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან ვგავარ ძირტკბილ ბატატს, დედის მოყვანილს.
ქალწულს მართებს რიდი ვაჟკაცთან.
მაგრამ რაკი შენ თვითონ მიხმე,
ჩანს, რაღაც უნდა მქონდეს სათქმელი.
მაშ დროზე მითხარ, ვიდრე განზრახვა არ შემიცვლია.
გაუსრულებლად არც შენ გჩვევია საქმის დაგდება:
თუ ჭამას იწყებ, უნდა მიაძლე შენებურად,
თუ ლაპარაკი ვისმე გაუბი, გულსაც იჯერებ,
თუ კი ნავარდობ, — თავაწყვეტამდე,
თუ რამ ზრახვა გულში ჩაიდე,
ხომ ვერაფერი ვერ შეგაჩერებს...
ახლაც ასეა.
სათქმელ სიტყვებს, სულ ერთია, ვერ დაიოკებ,
ტუჩებიდან თავისთავად დაგისხლტებიან,
რომ ცას მოედონ და ველებზე გაიხმაურონ...
მაშ რად აყოვნებ, მალე მითხარ შენი სათქმელი.

პაპუასური სიმღერა სიყვარულისა

მდიდრის შვილს რჩება ღარიბის ქალი,
მდიდარი იძენს ღარიბის ასულს.
ვგავარ დაფდაფს ჩემი ტომისას,
მჭუხარებით რომ ედება მთათა მწვერვალებს.
მისი ხმა შენაც ჩაგესმის ყურში, ვით ჩემი სიტყვა.
თუ თავს გაბეზრებ ან არ გესმის ნათქვამის აზრი,
არავინ გიშლის შემაჩერო ანდა სულაც დაიხშო სმენა.
თუ შენს გულში კიდევ დარჩა ადგილი ჩემთვის,
წაიღე სახე ჩემეული, სიტყვები ჩემი იმ მხარეში,
სადაც ცხოვრება განგიზრახავს,
სითაც ახლა მიგიქრის ფიქრი,
სადაც იქნება ბოსტანი შენი,
და თესლის მსგავსად მიწაში ჩაჰფალ.

. . . . .

ლოს დაჰკრავს ჟამი, უყოყმანოდ შენთან გავჩნდები,
სადაც მარხია ჩემი რწმენა და სიყვარული,
და შევჩერდები დაბურულ ტევრში.
კვლავ შემიფარე შუქით სავსე შენეულ ჩრდილში,
მომიგრილე ჩრდილი შენი გაშლილი ფრთისა.

პაპუასური სატრფიალო

მერედა სად არის ის ადგილი?
ი იგი, აქვე ქვემოთ რომ გაშლილა.
იგი იქ არის, სადაც ხედავ ბონგოსა და კოიიას ველურ ყვავილებს,

ლალად ამოზრდილთ, ფართოდ გაშლილთ იმ კლდის მწვერვალზე,
სად კრიალებენ ოომგისა და დანდეს ფოთლები.
იმ ადგილს, რაღა ეწოდება, აი იქ რომ მოსჩანს?
დაბლა, ველზე რომ გაშლილა, იმაზე ამბობ?
კუმბუ,კუმბუა ,სადაც ჰყვავიან ტორანდიე და ტარანდიე,
სადაც იზრდება ბოგინვანის ახოვანი ხე.
ნაყოფი უკვე დამწიფებია, ზედ მისევიან ვაგუა, ვაგლნი —
მოფრენილნი იმ მთის ფერდობზე მოლივლივე ტბის ნაპირიდან.
კარგა შეხედე, ვით ჩაგრეხილან ერთმანეთში
კუგლბალის და დარუას მთები.
მაგლუა, მუგლნიც ტკბილად მღერიან,
განდე და ვენა ქოჩრის რხევით აყურადებენ...
ჩუმად იარე, ხელების, ფეხთა ფრთხილი ტარებით,
თან წინ იყურე.
ჩვენი სიმღერა გადაუქროლებს
მაუგესა და ვაიასავით მალალ მწვერვალებს,
გულბაგლისა და დარაუას მთაგრეხილებს,
თვით ნუმბუამდე და მაუგლამდეც კი მიაღწევს,
იმის იქითაც..
ჩვენ აქ დავრჩებით სამუდამოდ,
სული ჩვენი სიმღერისა შორს გაიქროლებს.

ჰილბერტი დარდიმანდის სიმღერა, რომელსაც იგი, რიფაზე განმარტოებული, განთიადისას ასრულებს მშვენიერ ქალთა მოსანუსხავად

ილევა ღამე და ვიცილებ შენს თბილ მკლავს ფრთხილად.
ადექ, ტაბვენა, აღმოსავლეთს მოანათე ნათელი შუქი.
იქ რა იფშვნება წვრილ ნამსხვრევებად?
როფის კედელია, რომ იფშვნება წვრილ ნამსხვრევებად.
იქ რა გდია ფესვებითურთ ამოძირკვული?
პალმაა იგი ქოქოსისა, ფესვებითურთ ამოძირკვული
ის რაღა არის, წელში შუაზე გადატეხილი?
რკინის ხე არის — მალალი ნგუა — წელში შუაზე გადატეხილი.
იქ რა გდია, ასე ფესვებ გაშიშვლებული?
ეს ბალახია, ტაბაკეას მიწის გულიდან ამოგდებული.

იმავე დარდიმანდის სიმღერა, ასევე რიფზე განმარტოებულად შესრულებული, მაგრამ ამჯერად უკვე მზის ჩასვლისას

ქოქოსის პალმის წვენით სავსეს მე დავცლი ჭურჭელს.
შევტოპავ ზღვაში და ზღვის თევზებს შევუერთდები,
ხმელეთს მოვივლი — მიწის ასულნი შემიყვარებენ
მხოლოდ მე, მხოლოდ მე, მხოლოდ მე...

მშვენიერი ნეი კაობუნანგის ტუჩებზედაც მე ვარ გართხმული.
მხოლოდ მე, მხოლოდ მე, მხოლოდ მე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მძინარე სატრფოსადმი

ხმა ადის ცამდე,
ცა კი ზევიდან შენ ჩამოგცქერის —
იძინე მშვიდად, განთიადამდე!..

მაორული სიმღერა სიყვარულით მოჯადოებული ჯაგუკისა

მხოლოდ დარტყმას დაუნდობელს
კაჟის შუბისას
ძალუძს სხვაგვარად დააოკოს
სურვილნი ჩემნი.

მიკრონეზიელი დედის გოდება გარდაცვლილი და ზღვას მიბარებული შვილის გამო

ჩემი სუნთქვა მის სუნთქვასთან რომ გამქრალიყო,
იქნებ მაშინ დამვიწყებოდა.
თუ ის ზღვამ შთანთქა, მე რად დამინდო?
რომ მოვმკვდარიყავ, იქნებ მაშინ დამვიწყებოდა...
ლაგუნის იქით მივეშურები,
დავეძებ ყველგან.
ვერსად კი ვხედავ...
ის გამქრალა,
ვითარცა ცეცხლი,
ჩემს გულსა და სველ თვალებზე
შემგზნებული.

□

ლეონიდ ქუხოვიცკი

ღამისსათევი სხვის გინაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მზია ხეთაგურავა

უკვე ბინდდებოდა, როცა გამოაცხადეს, მოსკოვისაკენ მიმავალი რეისები დილის რვა საათამდე გადაიდო.

ხაბაროვსკის აეროპორტის უზარმაზარი დარბაზი ერთბაშად შეინძრა და აგუგუნდა... განმეორებული განცხადება ამ ხმაურმა შთანთქა.

ბატიშევმა შუბლი შეიჭმუხნა. სავარძლიდან წამოდგა და ცნობათა ბიუროსაკენ გაემართა, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ესენი მისი მეკავშირეები და ამასთან, კონკურენტებიც იყვნენ.

სავარძლიდან წამომდგარმა გაიფიქრა, ურიგო არ იქნებოდა, ყოველი შემთხვევისათვის, ადგილი „გამემტკიცებინაო". მაგრამ გვიან იყო — მისი სავარძელი უკვე დაეჭირა წვერმოშვებულ ყმაწვილს, რომელსაც ნეილონის ჭუჭყიანი ლაბადა ეცვა. ისე მოხერხებულად მოწყობილიყო, კაცს შეშურდებოდა: ფეხები ზურგჩანთაზე დაელაგებინა, თანაც მუხლებზე გამხდარი, სათვალიანი გოგო უჯდა. მის გვერდით კი სპორტულ ტანსაცმელში მეორე გოგო დასკუპებულიყო; გოგოს ქალალდის პარკი ეჭირა და სამივენი გულიანად შეექცეოდნენ იაფფასიან კანფეტს. ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ და, საერთოდ, აშკარად გამოხატავდნენ საკუთარ განწყობილებას. ბატიშევს თავისი ორმოცდახუთი წელი ნებას არ აძლევდა, სამი ადამიანის მყუდროება დაერღვია... თუმცა სავარძელში ღამის გათენებას მაინც არ აპირებდა. ხალხის წრეს რომ მიარღვევდა, ბატიშევმა სცადა სარკეში ჩაეხედა. საერთოდ, თავისი გარეგნობის მიმართ გულგრილად იყო განწყობილი, მაგრამ ამჯერად საჭიროა, კარგად გამოიყურებოდეს. სხვათა შორის, ცუდად არც გამოიყურებოდა. ამისათვის კი საკმარისი იყო მოდაზე შეკერილი კოსტიუმი, საყოველთაოდ მიღებული პერანგი და ფერებთან შეხამებული, კარგად გამოსკვნილი ჰალსტუხი, ლიპი, მადლობა ღმერთს, ჯერ არა აქვს. მისი მეცხრეკლასელი ქალიშვილი კი, როცა მხიარულ გუნებაზეა, ამბობს, რომ მამიკო ტანვარჯიშის მწვრთნელს ჰგავს, ხოლო სახეზე ნაოჭები ძალიანაც უხდება, რადგან ეს ნაოჭები მამაკაცურია და არა ბებრული...

ცნობათა ბიუროსთან უამრავი ხალხი ყაყანებდა. სექტემბერი იდგა, მაგრამ ასეთ დროსაც ბევრნი მიფრინავენ დასავლეთისაკენ და ნებისმიერ მათგანს მიზეზი აქვს, რომ ჩქარობდეს.

ბატიშევისათვის არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა დღეს გაფრინდებოდა, თუ ხვალ. მაგრამ შეფერხება მაინც არ უნდოდა; იგი დედაქალაქში ჩასასვლელად დღეისათვის განეწყო და დეპეშაც გაგზავნილი ჰქონდა თავის კოლეგასთან: თანაც ღამისსათევის პრობლემის გადაჭრაც ხომ დასჭირდება, თუკი მართლა დილამდე მოუწევს დარჩენა. ამიტომ ძალიან უნდოდა ერწმუნა, რომ სადმე მაინც იქნებოდა გადანახული თვითმფრინავი იმათთვის, ვინც

მივლინებით, გავლენიანი კაცის წერილით, ან ბრძოლისათვის ნებისყოფით, სავსე იყო. ბატიშევს კი მივლინება ჰქონდა.

ცნობათა ბიუროსაკენ ორი რიგი მიიწევდა. რომელი მათგანი უფრო მოკლე იყო, ვერ გაარჩევდით. ამიტომ ბატიშევი მაღალი, გრძელთმიანი ქალიშვილის უკან დადგა, რომელსაც უხეში ძაფისაგან ხელით ნაქსოვი ქოლგა ეცვა. ბატიშევმა რატომღაც ამ ქალიშვილთან დგომა არჩია.

ცნობათა ბიუროდან პასუხს იძლეოდა მსუქანი, ქერა, ოცდაათ წლამდე ასაკის ქალი, რომელსაც საკმაოდ ლამაზი, მაგრამ ცივი სახე ჰქონდა. იგი ძალიან მოხერხებულად, შეიძლება ითქვას, პროფესიულად ისროდა მოკლე წინადადებას და სწრაფად იგერიებდა მოსეულ კითხვებს. მისი პასუხი ზუსტი და კონკრეტული იყო, კილო — თავაზიანი, რაზეც ვერ შეედავებოდი. მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ ყელში ჰქონდა ამოსული თავისი პატარა სამფლობელოს მიღმა ხალხის ფუსფუსი. დადგა მაღალი, სვიტერიანი ქალიშვილის რიგიც. იგი შებრუნდა და ბატიშევმა დაინახა მისი გამხდარი, მოქუფრული სახე.

— ოცდამეექვსე ისევ გადაიდო? — მკვეთრი ხმით იკითხა ქალიშვილმა.

— ყველა რეისი, მოსკოვისაკენ მიმავალი, გადადებულია. — ფირზე ჩაწერილივით მონოტონური ხმით უპასუხა ქერა ქალმა.

— მე სხვა რეისები არ მაინტერესებს, — უხეშად თქვა ქალიშვილმა. — მე გეკითხებით ოცდამეექვსე რეისზე.

— ყველა რეისი, მოსკოვისაკენ მიმავალი, გადადებულია! — ტონშეუცვლელად უპასუხა ქერამ და დაბლა დაიხარა, რათა უკეთ შეეხედა მოწინააღმდეგისათვის, რომელიც სხვებზე ჯიუტი გამოდგა.

— დილით კი ნამდვილად გაფრინდება, თუ ისე, როგორც დღეს მოხდა? — სვიტერიანი ქალიშვილი აშკარად სკანდალისათვის ემზადებოდა.

— დილით გამოვაცხადებთ, — უპასუხა ქალმა კვლავ შეუცვლელ, თავაზიან კილოზე. ოღონდ ამჯერად მისმა თვალებმა იელვეს და ბატიშევი მიხვდა, რა ძვირად უღირდა ამ ქალს მოსაწყენ, ერთსა და იმავე შეკითხვებზე ერთი და იგივე პასუხის გაცემა.

— მთელი დღე აცხადებთ გადადებას და მუდამ ორი საათით! — ხმამაღლა თქვა მაღალმა ქალიშვილმა. ეს უკვე შეკითხვა არ იყო და ქერა ქალმაც სიამოვნებით არ უპასუხა.

რიგი ახმაურდა. ვიღაცამ ბაზრული ტონით დაიძახა:

— უფრო ცოცხლად არ შეიძლება? ძროხას ხომ არ ირჩევთ!

მაღალი ქალიშვილი არც ხმაურსა და არც შეძახილს არ აქცევდა ყურადღებას.

— დილის რვაზეც რომ არ გაფრინდეს? — ჩააჯინდა იგი ქერა ქალს, რომელსაც უკვე თითქმის ზიზღით შესცქეროდა.

ეს უკვე შეკითხვა იყო და ქალმაც სიამოვნებით ჩართო თავისი „ფირი“:

— მაშინ ათზე გაფრინდება.

— როგორც დღეს?

— შეიძლება როგორც დღეს.

ქალიშვილი სარკმელს მოსცილდა, მაგრამ უცებ ისევ შემობრუნდა და გესლიანად მთელი ხმით დაიძახა:

— ო, რა თაღლითური კანტორაა ეს თქვენი აეროფლოტი!

ქერა ქალმა ყოველგვარი რეაქციის გარეშე ურჩია:

— მატარებლით წადით. — და ბატიშევს მიუბრუნდა.

— გოგონა, გენაცვალე, — რაც შეიძლება თავაზიანად დაიწყო ბატიშევმა. — მაინც რატომ გადაიდო ოცდამეექვსე რეისი?

— თვითმფრინავის ჩამოუსვლელობის გამო, — გამოსცრა [illegible] ქალმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბატიშევის დაშაქრულმა ტონმა გასკრა და უბრალოდ, ადამიანურად დაამატა: — ორი დღეა მოსკოვი არ ღებულობს [illegible] რეისი ზის ომსკში, ჩელიაბინსკში! სანამ ისინი მოსკოვში ჩაფრინდებიან, იქიდან გამოფრინდებიან... შეხედეთ, დეპუტატები სხედან და ჯერაც ვერ გაფრენილან.

ბატიშევმა მადლობა გადაუხადა და განზე გავიდა. ალბათ შეიძლებოდა კიდევ ვინმესთვის მიემართა, აეროპორტის უფროსისათვის, მაგალითად, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში აქ ყურყუტმა ბატიშევში რაღაცა გარდატეხა მოახდინა. საკუთარ უფლებებში დარწმუნებული მგზავრის ნაცვლად იგი მომთმენ, სხვაზე დამოკიდებულ არსებად იქცა. მის ხმასა და საქციელში თანდათან გროვდებოდა მწუხარე სიჩუმე და მორჩილება. და ახლა, სარკმელს მოშორებული ბატიშევი პატივისცემას შეჩვეულ, უნივერსიტეტის ლექტორად კი არ გრძნობდა თავს, არამედ საშუალო ასაკის ჩვეულებრივ, ზურგჩანთაწამოკიდებულ კაცად. ასეთი შეგრძნებით, ბუნებრივია, არც ღირდა უფროსობასთან მისვლა.

დარბაზში უამრავი ხალხი იდგა. ყველა დასაჯდომი ადგილი დაკავებული იყო. უადგილო ხალხი ფეხზე იდგა და ზოგიერთი თვლემდა კიდეც, ისე რომ, ბედი ამ ვითარებაში კაცს მხოლოდ გარეთ, ქალაქში უნდა ეძებნა. ახლა მთავარი ღამისსათევი ადგილის აღმოჩენა იყო.

ბატიშევი ქუჩაში გავიდა და კვლავ ის მაღალი ქალიშვილი დაინახა — ტროლეიბუსის გაჩერებასთან იდგა. უფრო სწორად, წინ და უკან დადიოდა და მისი სპორტული ფეხსაცმელი მკვეთრი მოძრაობის გამო ასფალტზე ღრჭიალებდა. იგი გამხდარი იყო. თეძოზე შემოტმასნილი შარვალი ეცვა, რომელიც ბოლოში განიერდებოდა. ერთ მხარზე სამგზავრო ჩანთა, ხოლო მარჯვენა ხელით მეორე მხარზე გვარიანად გახუნებული ლაბადა ეკიდა. ქარი ქროდა და გრილოდა. ბოლოს და ბოლოს ქალიშვილმაც იგრძნო ეს, ლაბადა ჩაიცვა და მის ზურგზე გამოსახულება გამოჩნდა: ადამიანის ტერფის თეთრი კვალი, რომელსაც ქვემოდან ლათინურ ენაზე ჰქონდა მიწერილი სიტყვა „შიკოტან". ქალიშვილს გამოკვეთილი ყვრიმალები, სწორი, ხმელი თმა, ვიწრო თვალები და დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა. მხოლოდ ამობურცული, უმწეო ბაგეები ერთგვარ სხივს ჰფენდა მის მოლუშულ სახეს. გაჭედილ ტროლეიბუსში ბატიშევი და ქალიშვილი ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ. ბატიშევმა თავი გვერდზე მიაბრუნა, რათა ქალიშვილის სახეს არ შეხებოდა მისი სუნთქვა. უცებ, როგორც ჩანს, ქალიშვილს ფეხი დაადგეს, რადგან იგი უსიამოდ დაიგრიხა და თავი გააქნია. ბატიშევს გაახსენდა მისი უმწეო ჩხუბი ცნობათა ბიუროსთან და გაიფიქრა, რომ აი, ახლაც ეს ქალიშვილი მზადაა, იფეთქოსო. ბატიშევს მოეჩვენა, რომ ქალიშვილს რაღაცა ძალიან აწუხებდა. ამიტომ ფრთხილად, წყნარად მიმართა:

— რას იზამთ, უამინდობაა. ღმერთი მოწყალეა და ხვალ, ალბათ, გავფრინდებით.

ქალიშვილმა მას განსაკუთრებული გაკვირვების გარეშე შეხედა.

— მეც ოცდამეექვსედან ვარ. — აუხსნა ბატიშევმა.

მაშინ ქალიშვილმა თქვა:

— ხვალ იქნებ თვითონვე აღარ მოვისურვო.

მეტი მათ ტროლეიბუსში აღარ ულაპარაკიათ. მაგრამ როდესაც ბატიშევმა მეზობელ მგზავრს ჰკითხა, სად იყო უახლოესი სასტუმრო, ქალიშვილმა თავი ასწია და მანაც ყურადღებით მოუსმინა პასუხს. ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვიდა და სასტუმროსაკენ გაუხვია, ბატიშევმა შენიშნა, რომ ქალიშვილი მორიახლოს მიაბიჯებდა.

— მე მგონია, სასტუმრო გატენილია ასე რომ მოხდეს, თქვენ გაქვთ სხვა რაიმე საშუალება? — ჰკითხა ბატიშევმა.

ქალიშვილი კარგა ხანს შეყოყმანდა, მერე კი უპასუხა:

— სასტუმროში ვჯობებს.

სასტუმროს ვესტიბიული აეროპორტის დარბაზთან შედარებით, ხალვათად გამოიყურებოდა, მაგრამ ხალხი აქაც ბლომად იყო. ბატიშევმა ჩემოდანი კედელთან დადგა, ზემოდან ზურგჩანთა დააფო და ქალიშვილს უთხრა:

— აქ მომიცადეთ.

ზურგჩანთიდან ამოჩრილმა თევზის კუდმა ბატიშევი ოფიციალურ ურთიერთობას გადაარჩინა.

ადმინისტრატორის განყოფილებასთან ხუთიოდე მოწყენილი კაცი შენიშნა. ისინი ისე იდგნენ, ყოველგვარი რიგის გარეშე. მათი განწყობილებიდან ადვილი იყო საჭირო დასკვნის გამოტანა.

— რამდენადაც ვხედავ, არაფერი გაქვთ, ხომ? — ჰკითხა ადმინისტრატორ ქალს ბატიშევმა თავაზიანი და თანაგრძნობით სავსე ხმით.

— როგორც ხედავთ, — ამოიოხრა ქალმა.

— ვხედავ, — ამოიოხრა ბატიშევმაც.

— მე ხომ არ მენანება, — თქვა ქალმა. — მე ყველას შევუშვებდი, მაგრამ სად?

მის ხმაში ერთგვარი სინანულე გამოსჭვიოდა და ბატიშევმა, ყოველი შემთხვევისათვის, დააზუსტა:

— არც ხვალ დილამდე?

— ესენი ყველანი ხვალ დილამდე არიან, — უპასუხა ქალმა.

ბატიშევი მის მზერას მიჰყვა. ყველა საგარძელი დაკავებული იყო, ხოლო ფეხზე მდგომნი დაღლილობისაგან მოხრილიყვნენ, ზოგიერთი კედელს მიყრდნობოდა.

— თუნდაც მხოლოდ ქალიშვილისთვის, ა? — არ მოეშვა ბატიშევი.

— საშუალება რომ მქონდეს... — იმავე კილოზე დაიწყო ქალმა, მაგრამ უცებ მცირე ყოყმანის შემდეგ ჰკითხა: — მარტოა?

— მარტოა! — იმედი მიეცა ბატიშევს.

— მაშინ მხოლოდ დილის რვამდე.

— ჩვენი თვითმფრინავი სწორედ დილის რვაზეა!

— ერთი საათის შემდეგ ჩემთან მოვიდეს, — უთხრა ადმინისტრატორმა და ქალიშვილს ყურადღებით შეხედა, რომ კარგად დაემახსოვრებინა.

ბატიშევი თანამგზავრს გამარჯვებული დაუბრუნდა.

— ესეც ასე, ყველაფერი რიგზეა. ერთი საათის შემდეგ ადმინისტრატორთან მიხვალთ პასპორტით. ისე რომ, ღამე ნებისა!

— კი მაგრამ, თქვენ?

— მამაკაცების ადგილი არა აქვთ.

— მაშინ არც მე დავრჩები, — თქვა ქალიშვილმა და ჩანთას დასწვდა.

ბატიშევი დაიბნა: მას ეცოდებოდა ქალიშვილიც და თავისი წარმატებაც ენანებოდა.

— მოითმინეთ... გარეთ ხომ ღამეა...

— თქვენთვის არ არის ღამე?

— თქვენ მაინც ქალი ხართ. მე, რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ... მაგრამ...

— არა, — ხმადაბლა შეაწყვეტინა ქალიშვილმა, მაგრამ მისი ხმა, კილო... შეუვალი იყო.

ბატიშევი შეეცადა კიდევ რაიმე ეთქვა, მაგრამ ქალიშვილი უკვე გასასვლელისაკენ მიდიოდა.

კაცმა რომ თქვას, ბატიშევს ძალიან არც გაჰკვირვებია ქალიშვილის საქციელი. ახალგაზრდებს თავისი შეხედულება აქვთ სოლიდარობაზე. გკითხა ვინმემ რომელიმე ქუჩა, გაიარა შენს გვერდით ასიოდე მეტრი და მორჩა — ის უკვე შენი ამხანაგია, რომელსაც განსაცდელში ველარ მიატოვებ და გაღელვებს მის მიერ სამეოდე ფრაზით მოთხრობილი ამბავი. „ჩემთვისაც ხომ არაა სულერთი, სად გაათევს ღამეს ეს ქალიშვილი? — გაიფიქრა ბატიშევმა. — ჰოდა, ვინ თქვა, რომ ეს ქალიშვილი ჩემზე უარესია“.

— აბა, ახლა საით? — ჰკითხა ბატიშევმა. — ცენტრში კიდევ ერთი სასტუმროა. ბედი იქ ხომ არ გვეცადა?

ქალიშვილმა წარბები აზიდა. ერთხანს ასე დაფიქრებული იდგა.

— ჰო, მართლა, მაპატიეთ, რომ აქამდე არ გაგეცანით. რა გქვიათ?

— მარინა.

— მე კი ბორის ანდრეის ძე გახლავართ. როგორც იტყვიან, ძალიან მოხარული ვარ.

მარინამ თავი ოდნავ დახარა და ბატიშევს ესიამოვნა, რომ მისი ბაგეებიდან ასევე უბრალოდ არ გამოფრინდა ყველასათვის სასიამოვნო პატარა ტყუილი.

ბატიშევმა თვალით მონახა ტროლეიბუსის გაჩერება და ქალიშვილს მიუბრუნდა:

— მოკლედ, მარინა...

ქალიშვილმა ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტით თქვა:

— არა ღირს. ის სასტუმროც გაჭედილი იქნება. ჯანდაბას, რაც არის, არის. მაქვს ერთი ვარიანტი; მაინცდამაინც არ მინდა, მაგრამ რა გაეწყობა. წავიდეთ, აქედან შორს არაა.

— თუკი თქვენ რაიმე მიზეზის გამო თავს უხერხულად იგრძნობთ...

— მიმიფურთხებია, — შეაწყვეტინა ქალიშვილმა. — მოგეხმაროთ?

— როგორ გეკადრებათ! — იუარა ბატიშევმა და იქვე გაიფიქრა, რომ ამ ქალიშვილის თვალსაზრისით მისი ორმოცდახუთი წელი უკვე საშუალო ასაკი კი არა, ხანშიშესული კაცის ასაკია. რას იზამ, როგორც ჩანს, ამასაც უნდა შეეგუო.

მარინამ კიდევ ერთხელ შეათვალიერა მისი ზურგჩანთა და ჩემოდანი. მერე შებრუნდა და წავიდა ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ბატიშევი უკან გაჰყვებოდა, ბატიშევი მართლაც უკან გაჰყვა და თან შემცბარი იყო. იმის გამო, რომ მათ შორის ამ ღამის ბედზე პასუხისმგებელი ლიდერი აღმოჩნდა არა თვითონ — ხნიერი მამაკაცი, პედაგოგი და დოცენტიც კი, — არამედ ეს კაფანდარა გოგო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩუმად სიარული ცოტა უხერხული იყო და ბატიშევმაც ბანალური, სამგზავრო დონის საუბარი წამოიწყო:

— თქვენ შორიდან ხართ?

— სამხრეთიდან.

— სტუდენტი?

— დიახ, ბიოლოგიური ფაკულტეტის.

— ზურგზე ტერფის გამოსახულება რატომ გაქვთ?

— ეშმაკმა უწყის. მეზობელ რაზმს ხელისგული ჰქონდა.

— „შიკოტან“ რაღას ნიშნავს?

ქალიშვილს გაეღიმა.

— რომანტიკამ გამოგამგზავრათ აქეთ? — გაუღიმა ბატიშევმაც.

— უბრალოდ, ქალაქიდან უნდა წამოვსულიყავი.

ქალიშვილის ფრაზა გულწრფელი იყო. ეს პასუხი გავალებდა ან შემდგომ სერიოზულ, უკვე არა სამგზავრო დონის შეკითხვებს, ან სიჩუმეს. ბატიშევმა დუმილი არჩია. მაგრამ იმიტომ არა, რომ მას ქალიშვილის ბედი არ აინტერესებდა. პირიქით, მარინამ ცნობისმოყვარეობა თავიდანვე გაუღვიძა ბატიშევს, — იმ უაზრო ჩხუბის პირველივე წუთებიდან. ისე, ბატიშევი მოხარულიც იქნებოდა, სერიოზულად რომ ესაუბრათ. მაგრამ ამ სალამოს არა. არც ახლა. ახლა მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: ეშოვნა ადგილი სასტუმროში, გამოეძინა, დილით პირი გაეპარსა და ჩაეცვა დაუჭმუჭნავი კოსტიუმი. მოსკოვში იგი დასვენებული უნდა ჩაფრინდეს, რაც შეიძლება მხნედ და კარგად უნდა გამოიყურებოდეს. ბევრი რამე უნდა გადაწყვეტილიყო მისი ამ ვიზიტით. „კაცმა რომ თქვას, — გაიფიქრა ბატიშევმა და ჩაეცინა, — ჩემი ყოყმანი წმინდა თეორიული ხასიათისაა. ვინ თქვა, რომ ქალიშვილი ჩემთან გულახდილობას აპირებს? ყველაფერი უბრალოდაა: მე ვკითხე, მან პირდაპირ და ზუსტად მიპასუხა. შემდეგ კითხვაზე კი შეიძლება სულაც შეწყვიტოს საუბარი. ჯიუტ ქალიშვილებს აქვთ ასეთი თვისება: ან სიმართლე თქვან, ან საერთოდ არ გიპასუხონ“.

მათ კილომეტრი, თუ ცოტა მეტი გაიარეს. ბატიშევი არ დაღლილა; უბრალოდ, მობეზრდა ხელში ტვირთვის შეგრძნება.

ბოლოს, როგორც იქნა, ისინი ეზოში შევიდნენ და ქალიშვილიც სკამთან გაჩერდა.

— მე ახლავე მოვალ, — თქვა მან და თავისი ჩანთა ბატიშევის ჩემოდანთან დადო.

— შეგიძლიათ არ იჩქაროთ, — თავი დაუქნია ბატიშევმა. — დარწმუნებული ხართ, რომ ეს უხერხული არ არის? იქნებ აჯობებს მხოლოდ თქვენზე სთხოვოთ...

— სისულელეა. — მოუჭრა ქალიშვილმა. — უკიდურეს შემთხვევაში, ქალაქში ვიხეტიალებთ. მაინც დილის შვიდზე აეროპორტში უნდა ვიყოთ, — თქვა და სადარბაზოსაკენ გაემართა. ბატიშევმა ამოიოხრა. ჩემოდნითა და ზურგჩანთით ქალაქში ხეტიალი... ბატიშევი რას არ გაიღებდა, რომ თავიდან აეცდინა ასეთი რომანტიკა.

მარინა საკმაოდ დიდხანს არ გამოჩნდა.

ბატიშევმა ჩემოდნიდან ლაბადა ამოიღო და ჩაიცვა. უცებ გაეცინა და თავი გააქნია. რა უნდა აქ? რატომ ხდება ეს ყველაფერი?

როგორც თვითმფრინავი, რომელიც გრაფიკიდან ამოვარდა და ახლა თა-

ვის ბედს ელოდება სადღაც ჩელიაბინსკში თუ ომსკში, ასევეა თვითონაც ამოვარდნილი დროის შეგრძნებიდან, შეჩვეული რიტმიდან, ასაკიდან, თანამდებობიდან.... ამოვარდა ბატიშევი და ზის უცხო სკამზე, უცხო ოთახში, ინსტერისთვის საჭირო ხაბაროვსკში და ელოდება, რას გადმოუგდებს ბედთხვევა — პრობლემატურ სასთუმალს, თუ ეგზოტიკურ გასეირნებას დაცარიელებულ ქუჩებში. ზის სკამზე, დარაჯობს ვიღაცის ჩანთას და ელოდება ქალიშვილს, რომლის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ მისთვის ცნობილია სამი ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი: რომ ზაფხულში ქალიშვილი დიდი ხნით აუცილებლად ქალაქიდან სადმე უნდა გამგზავრებულიყო, რომ დღეს იგი მოსკოვისაკენ მიისწრაფოდა და რომ ხვალ იქნებ ალარც მოუნდეს იქ ჩასვლა.

საინტერესოა...

ბოლოს, სართულებს შუა ფანჯარაში, ქალიშვილის სილუეტმა გაიელვა; გაისმა სადარბაზოს კარის მიჯახუნებაც.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ბატიშევმა. — მოვიგეთ თუ წავაგეთ?

— ყველაფერი რიგზეა. აი გასაღები. ღამეს გავათევთ ოლია რიჟაკოვასთან.

— ვინ არის?

— ნაცნობია, — აუხსნა მარინამ. — კარგი ადამიანი.

მარინამ თავისი ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

— მოიცადეთ! — მტკიცედ უთხრა ბატიშევმა — მარინა, გენაცვალე, მე თქვენი ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ გამიგეთ, ღვთის გულისათვის. ის ოლია თქვენ გიცნობთ, მაგრამ მე ხომ მისთვის...

ქალიშვილმა შეაწყვეტინა:

— მე თვითონ ერთხელ მყავს ნანახი საახალწლო ქეიფში.

— მით უმეტეს.

— მასთან არავინ არის! ბინა ცარიელია. ოლია შვებულებაშია წასული.

— როცა ჩამოვა და გაიგებს, უხერხული არ იქნება?

მარინამ მას სინანულით და ცოტა ბრაზითაც კი შეხედა:

— ხომ გითხარით, კარგი ადამიანია-მეთქი!

ეს სიტყვები საკმაოდ სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ მთელი ეს საღამოც ხომ სასაცილო იყო. ამიტომ ბატიშევს სიცილი აუტყდა. ბოლოს მარინასაც გაეცინა და ბატიშევმა უცებ სიმსუბუქე და სილაღე იგრძნო. მართლაცდა, ჯანდაბას! რა არის აქ განსაკუთრებული! ისედაც მთელი სიცოცხლე ლოგიკით ვცხოვრობთ, წესებს ვიცავთ, ფრთხილად დავაბიჯებთ...

კარგი ადამიანი ოლია რიჟაკოვა ბინადრობდა ხუთსართულიან, აგურით აშენებულ ტიპიურ ბინაში, პირდაპირ სახურავის ქვეშ. სახლი აშენებული იყო უკიდურესი ეკონომიურობისა და არქიტექტურული სიახლეების ეპოქაში: ყოფა ვერ ეტეოდა ვიწრო ბინებში და გარეთ იწევდა. კიბის ერთ მოედანზე ბავშვის ოთხთვალა ეტლი იდგა, მეორეზე — ძველი კამოდი, მესამეზე — შრებოდა თუ გრილდებოდა ორი ფიკუსი...

მარინამ კარი გააღო და შესასვლელში შუქი აანთო. შემდეგ ორიოდე მოძრაობით ფეხსაცმლის ზონრები შეიხსნა და მარჯვენა მარცხენა ფეხის, ხოლო მარცხენა—მარჯვენის დახმარებით გაიხადა. წინდებით გაიარა ოთახში, მერე თავისი ჩანთა და ლაბადა „შიკოტანი“ იქვე მიაგდო და დაბალ საგარძელში ჩაეშვა.

ბატიშევმა ჩემოდანი დერეფანში დადგა. ლაბადა და თევზიანი ზურგჩანთა

საკიდზე ჩამოკიდა, ფეხები იატაკის ტილოზე კარგად დაიწმინდა და ისევ ოთახში შევიდა. ქალიშვილი ისევ საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყო. იგი წარბშეკრული რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა და ბატიშევს დაჯდომაც არ შესთავაზა. მაშინ ბატიშევი თვითონ ჩაჯდა ისეთსავე დაბალ სავარძელში, რომელიც ლების მაგიდასთან რომ იდგა.

ცოტა ხანში მარინამ უცებ ასწია თავი და ჰკითხა:

— თქვენ ვილა ხართ?

ეს ისე უბრალოდ იყო ნათქვამი, თითქოს მათი საუბარი სასტუმროდან გასვლისას რომ შედგა, წუთითაც არ შეწყვეტილიყოს. ქალიშვილი როგორღაც ორ სამყაროში ცხოვრობდა: ერთში ხაბაროვსკი, ბინა მეხუთე სართულზე და ზურგჩანთიანი თანამგზავრი იყო, მეორე კი მოლუშული წარბების მიღმა არსებობდა. იგი სამყაროდან სამყაროში გადი-გამოდიოდა, როგორც ოთახიდან ოთახში და ამ მსვლელობის თვალის დევნება ადვილი არ იყო.

— პროფესია? — კითხვა დააზუსტა ბატიშევმა.

— თუნდაც.

ბატიშევმა თავისი პროფესია დაასახელა.

— წოდება გაქვთ? — ჰკითხა მარინამ.

— კანდიდატი ვარ. დოცენტი, უნივერსიტეტში ვასწავლი.

— ხა! — ჩაიცინა მარინამ. — კიდევ კარგი, რომ ჩვენთან არ ასწავლით.

— რას ნიშნავს „ხა“? — ჩაეკითხა ბატიშევი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა არა ამ შორისდებულის, არამედ მისი ბნელი ორეულის გამო, რომელიც დიდი ხანია მეხსიერებაში ჩარჩა.

— ისე, — თქვა მარინამ და კვლავ გაჩუმდა.

ასე მის პირდაპირ ჯდომა სისულელე იყო. ბატიშევმა ფეხი ფეხზე გადაიდო და იქაურობა მოწყალე ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, როგორც ტურისტმა, რომელიც არცთუ ეგზოტიკურ სოფელში მოხვდა, მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო იზიდავდა ეს ბინა, სადაც შემთხვევამ შემოაგდო. მაშინვე გასაგები გახდა, რომ ეს ბუნაგი, ანუ საცხოვრებელი, შექმნილია პატრონის მიერ არა საჩვენებლად ან მისალებად, არამედ საკუთარი თავისთვის — მოხერხებულად, მყუდროდ და საყვარლად, როგორც ძველი, გაცვეთილი სავარძელი, ან დიდი და ძველი საშინაო ხალათი. თავად ბატიშევი ახალგაზრდობიდანვე ოცნებობდა ასეთ ბუნაგზე. სად არ უმუშავია! ისეც მოხდა, რომ ერთხელ დეფიციტური წიგნი წაიკითხა ფეხზე მდგომმა სადარბაზოში, ღამის ნათურის შუქზე. დიპლომი და თითქმის მთელი დისერტაცია კი კომუნალურ სამზარეულოში აქვს დაწერილი. იმ წლებში იგი მხოლოდ ღამღამობით მუშაობდა...

მერეც, პედაგოგიური მუშაობა რომ დაიწყო, ბატიშევი ნატრობდა საკუთარ კუთხეს — თუნდაც სულ პატარას, თუნდაც სოროს, მაგრამ საკუთარს. წაკითხულ გაზეთებზე და შავად ხელნაწერის მინდვრებზე იგი თავისდაუნებურად ხაზავდა გეგმებს: ფანჯარა, ტახტი და სამი მაგიდა. სამი მაგიდა! ეს იყო ოცნება, უმაღლესი კომფორტი. ერთზე, დავუშვათ, ეწყობოდა დისერტაციის მასალები, მეორეზე — მიმდინარე სტატიები, მესამეზე — სტუდენტების ნამუშევრები და სარეცენზიოდ ჩაბარებული რეფერატები. თუ დაიღლებოდა, ერთი მაგიდიდან მეორეზე გადაინაცვლებდა და ისევ ახალი ენერგიით აღივსებოდა.

ბატიშევს მუდამ უყვარდა ფართოდ გაფანტული ქაღალდები და არ უყ-

ვარდა წესრიგი. ვიდრე ხელნაწერის ფურცელი უბრალოდ აგდია მაგიდაზე, მასზე ჩაწერილი აზრი ცოცხლობს, მოქნილია და გასანვითარებლად მზად არის. მაგრამ როცა დანომრავ, საქაღალდეში ჩაამწყვდევ, — ორი-სამი შესწორების გამო საშინელებაა დაარღვიო ეს ჯარი, ეს კეთილმოწყობილი ნაგებობა და უნდა ჩაატარო უამრავი არასაჭირო სამუშაო — დაშალო, გადაალაგო, გადანომრო...

როცა ცოლი შეირთო და ქალიშვილი გაუჩნდათ, სამი მაგიდის ჯავრი აღარ ჰქონდა, თუმცა ცოლმა ეს იდეა გაიგო, მიიღო და ძირითადად მხარს უჭერდა. მერე ყოფითი საკითხები მოგვარდა. ახლა მათ ჰქონდათ სამი ოთახი სამ სულზე. მაგრამ ოჯახიან ბინას თავისი კანონები აქვს. ამრიგად, ბატიშევის დღევანდელ ოთახში იდგა არა ის, რაზეც სიჭაბუკეში ფანტაზიორობდა, არამედ გარნიტურიდან მორჩენილი ნივთები,რაც საწოლ და ქალიშვილის ოთახში ვერ დაეტია. საერთოდ კი არც ისე ცუდად გამოიყურებოდა ასე მოწყობილი ოთახიც. ხანდახან ბატიშევი ფიქრს აჰყვებოდა: აი, იულკა გათხოვდება, წავა... მაგრამ, ჯერ ერთი, იგი გაჭირვებით ახერხებდა წარმოედგინა ქალიშვილის წასვლა, მეორეც, დასჭირდება კი მას მაშინ სამი მაგიდა? თითქოს ახლავე უკვე ერთი მაგიდაც ჰყოფნის.

ეს ბინა კი ნამდვილი ბუნაგი იყო. ნივთები ცოტა იყო, მაგრამ ყველაფერს პიროვნების ანაბეჭდი ეტყობოდა; ყოველი ნივთი მეტყველებდა დიასახლისზე: ტახტიც, ფანჯრიდან მოშორებით რომ იდგა კედელთან, ყველაზე მყუდრო კუთხეში; კედლის თვითნაკეთი ბრაც თავზე სპეციალური თაროთი; დაბალი, პატარა სკამიც იქვე მდგარი იმისთვის, თუ შემთხვევით საღამოს საკითხავი წიგნი ბლომად დაგროვდებოდა; კაქტუსებიც, რაფაზე გამწკრივებული იაპონური ლუდის მკვეთრი ფერის ქილებში რომ იდგა. ოთახის ერთადერთ მორთულობად შეიძლებოდა ჩაგეთვალა უსურვაზის გამხმარი ტოტი, შავი, გამომშრალი ნაყოფით, მათრახივით ჩამოგრძელებული მთელ კედელზე, რომელიც ლამის იატაკამდე ეშვებოდა. ეს იყო სუფთა ქალის ბუნაგი, სადაც, ალბათ სასიამოვნო იქნებოდა საღამოობით მურაბიანი ჩაის სმა, სადაც შეიძლება მთელი კვირა დღე საწოლში ეგდო წიგნით ხელში და სადაც, თუ გაჭირვება გაიძულებს, გამოზამთრებაც არ შეგაშინებს.

ქალიშვილი ისევ იჯდა თავის სავარძელში მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული. უფეხსაცმელო, წინდებიანი ფეხები თავისუფლად ჩამოეშვა. მისი პოზა არცთუ ქალური იყო, მაგრამ მას უხდებოდა. ისე კი პრობლემა „მიხდება, არ მიხდება“ როგორც ჩანს, მას არც აწუხებდა.

ბატიშევი ადგა, წიგნების თაროსთან მივიდა და შეათვალიერა. და უცებ ისევ გაუჩნდა უბოროტო შურის გრძნობა. უცნობი ქალის ბიბლიოთეკა ბუნაგის ისეთივე ნაწილი იყო, როგორც საწოლთან დაკიდებული ბრა, ან კედელზე მოდებული უსურვაზის ხმელი ტოტი.

თაროებზე არ ეწყო ხელმოწერით შეძენილი გამოცემები; არ იყო, საერთოდ, არააუცილებელი წიგნები, რომლებსაც ყიდულობენ იმისათვის, რომ ასეა მიღებული; სხვები რომ ყიდულობენ, ვაითუ ხვალ დაგვჭირდესო, რომ ყიდვის მომენტში სწორედ ზედმეტი ფული აღმოგვაჩნდა; რომ ჭამას არ გთხოვენ და სმას... აქ მხოლოდ ის წიგნები იყო, რომლებსაც სათითაოდ შოულობენ და ყოველ მათგანს ადვილად წარმოიდგენდი ტახტის გვერდით დაბალ სკამზე დადებულს.

ერთი სიტყვით, თაროებზე ამ მარაგით შეიძლება თითი იწოვო ბუნაგიდან გამოუსვლელად.

ბატიშევი მარინას მიუბრუნდა:

— შესანიშნავი ბიბლიოთეკაა!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ოლია საერთოდ ჭკვიანია. — გამოეხმაურა მარინა.

— იგრძნობა. იცით. აქ ნივთები თითქოს ლაშქრობისათვისაა შეგროვილი; ყველაფერი აუცლებელი და არაფერი ზედმეტი.

ბატიშევს თავის მოსაზრებებზე ჩაეცინა, ცოტა დაფიქრდა და ჩამოაყალიბა:

— ბიბლიოთეკა სწორედ ასეთი უნდა გქონდეს.. თითქოს იცი, რომ მისი ზურგით ტარება მოგიწევს.

ქალიშვილზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ ჭკვიანურ დასკვნას.

ბატიშევმა ამოიოხრა და საათს უნებურად დახედა. ათის რაღაც წუთები იყო.

— თქვენ ალბათ მშიერი ხართ.

— დღისით ვისადილე. არა მშია, — უპასუხა ქალიშვილმა.

— ჩვენ ალბათ კიდევ მოვასწრებთ რესტორანში შესვლას. ოცი წუთის შემდეგ კი...

— ალბათ თქვენ გშიათ, არა?

— მერე აქ არის ამის საშუალება?

— მე სწორედ გვიან საღამოს ვისადილე.

— ჩანთაში ძეხვი მაქვს. ჯანდაბას რესტორანი. აჯობებს ჩაი დავლიოთ.

— რაღაცას მოვახერხებთ.

ბატიშევს ეუხერხულებოდა სხვისი სამზარეულოთი და ჩაით სარგებლობა, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა. კარგი ადამიანი ოლია რიქაკოვა განწირული იყო, ბოლომდე ეზიდა თავისი კარგი ადამიანის ტვირთი.

ბაშიტევს გაახსენდა ავბედითი თევზის კუდიანი ზურგჩანთა და თავის მართლებას დაეშურა:

— მე თან მშვენიერი ორაგული მაქვს; მართალია, საჩუქრად მიმაქვს, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, მისი შეჭმაც შეგვიძლია.

მარინამ იუარა:

— არ დავიხოცებით!

იგი სამზარეულოში შევიდა.

ბატიშევი კვლავ თავის საგარძელში ჩაჯდა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ოთახში ერთადერთი საწოლი იდგა. მან ამოიოხრა — ისევ ცხოვრებისეული სირთულე! ამ გარემოებას იგი სარისკო ფიქრებში არ შეუყვანია.

საქმე ასაკში როდი იყო, — რას მიქვია ასაკი ჩვენს დროში! არც ქალიშვილის გულგრილ სახეში, — განწყობილება იცვლება; საქმე თავად ბატიშევში იყო.

ხუთიოდე წლის წინ მას თავის სიცოცხლეში პირველად წარმოეშვა რომანი საკუთარ სტუდენტთან. ეს იყო შემოდგომაზე, კოლმეურნეობაში ყოფნისას. რამდენჯერმე ქალიშვილმა იგი სასეირნოდ წასვლაზე დაითანხმა. ბატიშევს იგი ზედაპირულ შეკითხვებს აძლევდა. სწავლით კი საშუალოდ სწავლობდა. ბატიშევი რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ პედაგოგის როლიდან არ გამოდიოდა. მაშინ ქალიშვილმა მოულოდნელად უთხრა:

— ნეტავი რისა გეშინიათ? მე ხომ ლაქლაქა არა ვარ.

ბატიშევმა ნაჩქარევად ჰკითხა:

— შენ არ გეშინია?

იმან კი შორისდებულით უპასუხა:

— ხა!

ქალიშვილი შორიდან იყო, მეშახტეების დაბიდან, [illegible] ამკვრივი, შავი, მოკლედშეჭრილი თმით. ბაშიტევს უცნაურად ეპყრობოდა: მზრუნველობდა, ებრალებოდა და სთხოვდა, ლექციების დროს თავი დაეზოგა.

— ნეტავი რაზე იწყვეტ ძარღვებს! — ამბობდა იგი. — მაინც ხომ კურსის ნახევარი სულელია. ვისაც სწავლა უნდა, თვითონ ისწავლის!

ისინი ხანდახან ქალაქგარეთ მიდიოდნენ, ბატიშევი ფრთხილობდა, სულ აქეთ-იქით იყურებოდა. ქალიშვილი კი ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია! თუ რამე მოხდება, იუარე და მორჩა. არაფერი ყოფილა-თქო და წერტილი დაუსვი. მე, მით უმეტეს, მაგრად დავდგები.

მეცადინეობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ქალიშვილმა უთხრა, რომ სახლში გამგზავრებას აპირებს.

— დიდი ხნით?

— ვნახოთ.

ბატიშევმა ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— რა მოხდა?

იმან კი როგორღაც არეულად უპასუხა:

— არაფერი, ისე.

ბატიშევი საუბრის გაგრძელებას აყოვნებდა. იგი ქალიშვილის გამო შეწუხდა, რადგან მის ტონში რაღაც სერიოზული იგრძნო. ახლა უფრო მტკიცედ რომ ჩაეკითხო, მისი პასუხი უკვე ვალდებულს გაგხდის ახლობელი ადამიანის საზრუნავისა და საქმიანობის სიღრმეში ჩაიხედო. ჩახედვა გარკვეულ მონაწილეობასაც ნიშნავს... საამისოდ კი ბატიშევი მზად არ იყო.

მან ჰკითხა მიზეზი, მაგრამ ზედაპირულად.

ფაკულტეტზე ქალიშვილი აღარ დაბრუნებულა. არც წერილი მოუწერია. ბატიშევს კი ამის შემდეგ, თითქოს პარმაღზე წაბორძიკდაო, სიბერე დაეწყო. არა სახით, ან თმით, არამედ შიგნიდან... ოჯახი, სამუშაო, ნაცნობები, — ეს ყველაფერი დარჩა, მაგრამ შემთხვევით და მოულოდნელ სიხარულს უკვე აღარ ელოდა. ეს დაახლოებით ის მდგომარეობა იყო, ახალგაზრდობაში მისი ერთი ძველი ლოთი მეზობელი რომ იტყოდა ხოლმე: „სულს ფრთები ჩამოსცვივდა...“

მარინამ სამზარეულოდან გამოიხედა:

— მობრძანდით, — უთხრა მან. — ადუღდა.

ისინი სამზარეულოს მაგიდასთან მოეწყვნენ. ჩაი უკვე დასხმული იყო, ძეხვი — დაჭრილი, საპურეზე ორცხობილას ნაჭრები ეწყო.

— პური არ არის, — თქვა მარინამ. — ორცხობილა კი ტკბილია. მაგრამ ჯანდაბას! ძეხვთან ერთად შეიძლება.

მან ფინჯანი პირთან მიიტანა, მოსვა და ბატიშევს მიაჩერდა:

— ესე იგი, დოცენტი ხართ? საინტერესოა. არასოდეს დამილევია ჩაი დოცენტთან ერთად.

— ყველაფერს ოდესღაც პირველად ვაკეთებთ. მე, მაგალითად, ძეხვისათვის ტკბილი ორცხობილა არასოდეს შემიტანებია.

ხუმრობა „ისე რას“ დონეზე იყო, მაგრამ ქალიშვილს გაეცინა და ბატი-

შევს მოეჩვენა, რომ იგი ცოტა დამშვიდდა. როგორც ჩანს, დაძაბულობა, რომელიც შინაგანად გრეხდა, ზამბარასავით ნელ-ნელა იშლებოდა.

— აბა, რა გადაწყვიტეთ, მივფრინავთ ხვალ თუ არა?

მარინამ ხელი ჩაიქნია:

— ახლა, მომწყინდა ტვინის ჭყლეტა. ხვალ გადავწყვეტ.

— მშურს თქვენი.

— რატომ?

— ისეთი საკითხი, როგორც მოსკოვში გაფრენაა, შეგიძლიათ განწყობილების მიხედვით გადაწყვიტოთ.

ბატიშევი მიხვდა, რომ თვითონ დაიწყო იმ თემაზე საუბარი, რომელსაც ახლა (არ აპირებდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მოსკოვში არა, — თქვა მარინამ. — უფრო შორს. ერთი ბიჭი მიდის ბალტიისპირეთში და მეც შემომთავაზა წასვლა.

— მაგრამ სასწორი ხომ ისევ ქანაობს! — მეგობრულად გაუღიმა ბატიშევმა.

— არა, სასწორი დიდი ხანია გაჩერდა, — არ დაეთანხმა მარინა და ამ ფრაზამ უცნაურად გაიქცერა: სიცილით დაიწყო და ნაღვლიანად დამთავრდა.

— არა უშავს, — მის დამშვიდებას დაეშურა ბატიშევი. — ბალტიისპირეთში ჩახვალთ და ყველაფერი მოგვარდება.

მარინამ ჩვეული პირდაპირობით უპასუხა:

— ეს ყველაფერი მიქარვაა. მე სხვა კაცი მიყვარს.

და ბატიშევი კვლავ ვერ მიხვდა, რისთვის იყო ნათქვამი ეს მკვეთრი ფრაზა: იმისთვის, რომ გაგრძელებულიყო, თუ პირიქით, შეწყვეტილიყო უსიამოვნო საუბარი.

მარინამ ჩაიდანში წყალი ჩაამატა და გაზი ხელმეორედ აანთო. ბატიშევმა კი იმისათვის, რომ პაუზა შეევსო, ბინის ქება დაიწყო, რომელშიც ისინი შემთხვევით მოხვდნენ. იგი ამბობდა, რომ ღარიბული ოთახი მდიდრულს სჯობს, რადგან ეს ადამიანის გემოვნებაზე მეტყველებს, ის კი — სავსე ქისაზე.

— მე, მაგალითად არ მესმის კოლექციონერებისა, — განაგრძო ბატიშევმა. — ერთი ჩემი ნაცნობი ნახატებს აგროვებს. მერე რა? საკუთარ სახლში იგი მუზეუმის დამთვალიერებლად გამოიყურება. ასე მგონია, დამთავრდება ექსკურსია, ჩვენ წავალთ და ისიც წავა. მეტისმეტად შეუფარდებელი მასშტაბებია! — საკუთარი კოროვინი ან ვრუბელი... ეს ისევე უცნაურად ჟღერს, როგორც, ვთქვათ... საკუთარი ნალმოსანი ან ორთქლმავალი...

— ძეხვი აიღეთ, — შესთავაზა მარინამ. — დატოვებად არ ღირს! ოლია ერთი თვის შემდეგ ჩამოვა.

ბატიშევმა ძეხვი და ორცხობილას ნაჭერი აიღო და უცებ მოიწყინა. მას უყვარდა და ხელეწიფებოდა კიდეც ლაპარაკი, ადვილად აჰყავდა ხელში ნებისმიერი აუდიტორია და ამით ამაყობდა, როგორც თავისი პროფესიული ძალის დასტურით. მაგრამ აქ იგი უმწეო იყო. ეს ქალიშვილი თითქოს ავტომატურად ირთვებოდა, თუ საუბარი ოდნავ მაინც გადაიხრებოდა მისი იმწუთიერი სურვილების, ყოყმანისა და გაჭირვების საწინააღმდეგოდ. თითქოს მთელი უზარმაზარი და უსასრულო სამყარო მისთვის არცთუ აუცილებელი დანამატია სხვა რალაცისა, რაც იდუმალებდა მისი დაღვრემილი შუბლის მიღმა...

ჩაის სმა და ძეხვის ჭამა დაამთავრეს. მაგრამ ბატიშევი მაინც იჯდა სამზა-

რეულოში მანამდე, ვიდრე მარინამ სუფრა არ აალაგა, მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

— იცით, რა, მარინა? თქვენ დღეს ძალიან დაიღალეთ, დაწექით, დაიძინეთ. მე აქ ვიჯდები, თქვენ კი დაწექით.

— მერე თქვენ?

— მე შევეცდები სავარძელში მოვეწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგლა მაკლია! — თქვა მარინამ და ბატიშევსაც მაშინვე გაუარა წყენამ. მსმენელი მას მძიმე შეხვდა, სამაგიეროდ ამხანაგურ თვისებებს მარინა მოკლებული არ იყო.

— და საერთოდ, მე არ მეძინება, — განაგრძობდა მარინა. — იცით რა? თქვენ დაწექით.

— როგორ გეკადრებათ. თქვენ ქალი ხართ.

მარინა აღშფოთდა:

— რა სისულელეა! ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— მაშ რასა აქვს მნიშვნელობა? — გაეცინა ბატიშევს.

— იმას, რომ თქვენ გეძინებათ, მე კი არა.

და ისევ, ამ წვრილმანშიც კი, ბატიშევი განაცვიფრა მისი აზროვნების პირდაპირობამ: იგი ყოველგვარი წესებისა და საყოფაცხოვრებო დიპლომატიის წინააღმდეგ მიდიოდა და მხოლოდ საქმის არსს ეხებოდა. ბატიშევი ინერციით განაგრძობდა ჯიუტობას. მაშინ მარინამ უთხრა:

— თქვენ ხომ უნდა გამოიძინოთ. ჩემთვის ეს აუცილებელი არაა. თქვენს ასაკში კი აუცილებელია.

ბატიშევს ხარხარი აუტყდა — მარინა ქათინაურების ოსტატი იყო. გოგომ მას გაოცებით შეხედა. მერე კი, როცა ბატიშევის გამხიარულების მიზეზს მიხვდა თვითონაც ახარხარდა.

ისინი ოთახში გავიდნენ. ეტყობოდა, დიასახლისი დიდი ხნის წასული არ იყო — ჰაერს ჯერ ვერ მოესწრო დაგუბება. მაგრამ ბატიშევმა მაინც იგრძნო მტვრის სუნი და სარკმელთან მივიდა.

— ხომ არ შეგციოდებათ?

— მციენა არა ვარ, — თქვა მარინამ. — იცით რა? თუ თქვენთვის სულერთია, შენობით მელაპარაკეთ.

— როგორც შენ გინდა, — დაეთანხმა ბატიშევი. — ჩემთვის ძნელი არაა.

იგი სავარძელში ჩაჯდა. მას ახლა არც ძილი უნდოდა და არც თავისი საეჭვო ასაკით სარგებლობდა.

— აბა, ახლა რა ვქნათ?

მარინამ არ უპასუხა. ოთახში გაიარა და წიგნების თაროსთან შეჩერდა. მერე, როგორც აბეზარმა ბიჭმა ჯოხი მესერს, ისე გაჰკრა თითები წიგნების ყდებს.

— მოდი, ვიმარჩიელოთ, — შესთავაზა უცებ.

— როგორ?

— ლექსებით. დავასახელოთ გვერდი და სტრიქონი. იქ კი გამოჩნდება, ვის რა შეგვხვდება.

ბატიშევმა მხრები აიჩეჩა. წინ გრძელი ღამე ედოთ. ძილით, ალბათ არ დაიძინებენ; ისე, რომ მარჩიელობაც შეიძლება.

შეარჩიეს ელუარის ტომი და ანდაზებისა და თქმულებების სქელი წიგნი. მარინა ამ საქმეს სერიოზულად მიუდგა. გვერდებს სწრაფად და ინტერესით

ფურცლავდა და პირი ხარბად ჰქონდა დაღებული. თუ სტრიქონი ცარიელი ან უაზრო ხვდებოდა, იგი იქვე სხვა ციფრს ასახელებდა. ამიტომ წარმატების პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო. ბატიშევმა თითქმის მაშინვე მიხლო მშვენიერი სტრიქონი: „ჩემი სახლი — იგი მე შენ გაჩუქე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინამ სიხარულით წამოიძახა:

— ეს ხომ ოლია რიჟაკოვაზეა ნათქვამი!

მან გამონათქვამების წიგნი გადაშალა და მაშინვე წააწყდა ორაკულია რჩევასავით მრავალმნიშვნელოვან ფრაზას: „დღე ხელმწიფებისაა, ღამე კი — ჩვენი".

— როგორია, ჰა? — აღტაცებული იყო მარინა. — პირდაპირ მე და თქვენზეა ნათქვამი. ეს თანამედროვე მარჩიელობაა. ჩვენთან, საერთო საცხოვრებელში გამოვიგონეთ გოგოებმა.

— არა, გენაცვალე, — აღშფოთდა ბატიშევი — ეს მეტისმეტი თავხედობაა! რაც კი ქვეყანაზე მოხდა, სულ თქვენ გამოიგონეთ! მაგრამ მე რომ იმდენის ვიყავი, რამდენისაც ახლა შენ ხარ, მე და ჩემი ამხანაგი — ის მაშინ დამწყები პოეტი იყო — ბლოკზე ვმარჩიელობდით.

— მართლა? — გაოცდა ქალიშვილი და ბატიშევს დაძაბული ინტერესით მიაჩერდა. — მერე, ყველაფერი დაემთხვა?

ბატიშევმა ხელები გაშალა:

— საკვირველი ის არის, რომ დაემთხვა, პირდაპირ საოცრად დაემთხვა. რა თქმა უნდა, კარგ პოეზიას ოცი ქვეტექსტი აქვს, მაგრამ მაინც. ჩვენ მაშინ სამნი ვიყავით და იმ მესამეს რაღაც აბდაუბდა შეხვდა, მაგრამ ჩემი ამხანაგი კი ისეთ სტრიქონს წააწყდა, ზედგამოჭრილი რომ იყო...

— რა სტრიქონია, არ გახსოვთ?

ოც წელზე მეტი იყო გასული იმ საღამოდან, მაგრამ ბატიშევმა ზუსტად გაიხსენა:

„შენ იქნები პატარა მეფე".

მარინამ მოუთმენლად იკითხა:

— მერე. რა გამოვიდა თქვენი ამხანაგი?

— ცნობილი პოეტი. მაშასადამე, მეფეც. მაგრამ დიდი მეფე თუ პატარა, ეს ოცდაათი წლის შემდეგ გაირკვევა.

ვინ არის იგი? თქვენ არ გინდათ, რომ მითხრათ?

— რატომაც არა... გეტყვით.

ბატიშევმა გვარი დაასახელა.

— აი, ეს კი მესმის! — გაოცებით წამოიძახა მარინამ. — მართლაც და ყველაფერი რა ზუსტად დაემთხვა! არა, მარჩიელობაში ნამდვილად არის რაღაც! თქვენ რაღა შეგხვდათ?

მარინამ მისი ამბავი ინტერესით იკითხა, მაგრამ ამჯერად მის ხმაში ნაკლები ცნობისმოყვარეობა იგრძნობოდა.

— მეც საკმაოდ ყურადსაღები სტრიქონი შემხვდა და მე მგონი, ისიც ასევე წინასწარმეტყველური გამოდგა... „მოჩვენებებსა და სიზმრებს შორის".

მარინამ შუბლი შეიჭმუხნა:

— მერე, ეგ რას ნიშნავს?

— სწორედ იმას ნიშნავს, რაც ითქვა, — არცთუ მხიარულად უპასუხა ბატიშევმა.

— მანილოვისეული ოცნებანი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მთლად არა, მაგრამ მიახლოებით.

— მაგრამ თქვენ ხომ დოცენტი ხართ!..

ბატიშევს ჩაეცინა:

— მალე ალბათ დოქტორიც გავხდები.

— მერე ეს ცოტაა? მანილოვი მეცნიერებათა დოქტორი არ იყო.

ბატიშევმა მწარედ ამოიოხრა:

— შენ რომ იცოდე, რამდენი რამეა ჯერ კიდევ გასაკეთებელი, არ ვიცი, რა არ მეყო — პატივმოყვარეობა თუ სიბეჯითე. მე მუდამ გამოგონება უფრო მიყვარდა, ვიდრე ჩაწერა. ფანტაზიორობა უფრო მხიბლავდა, ვიდრე მტკიცება... არც ვიცი, როგორ გამოვთქვა... აზროვნებაშიც და ცხოვრებაშიც მუდამ მიტაცებდა არა შედეგი, არამედ თვით პროცესი.

— მერე რა? — გულგრილად შეედავა მარინა. — განა ეს ცუდია? ცხოვრების შედეგი სასაფლაოა.

— რატომ ამბობ ასე? ბუნებრივია, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა იქ წავალთ. მაგრამ ჩვენს შემდეგაც ხომ რჩება ვილაც და მათზე ხომ უნდა ვიფიქროთ.

— თქვენ იქ, — მარინამ თითით იატაკზე უჩვენა, — ფეხებზე არ გეკიდებათ კარგიც და ცუდიც?

— იქ? — მხრები აიჩეჩა ბატიშევმა. — ზუსტად არ ვიცი, მაგრამ საერთო ჯამში ალბათ ფეხებზე მეკიდება.

— აი, ხომ ხედავთ! — მარინა საკმაოდ გაოცებული იყო; როგორც ჩანს, ბატიშევისაგან შეპასუხებას ელოდა.

— დიახ, მაგრამ ჯერ მე აქა ვარ, — გაიღიმა ბატიშევმა და იქით, სხვათა შორის, არ მეჩქარება. ამიტომ ჩემთვის სულ ერთი არაა, ჩემს შემდეგ რა იქნება; როგორ იცხოვრებს ჩემი ქალიშვილი, რას მიაღწევენ ჩემი სტუდენტები და, შენ წარმოიდგინე, რომ ჩემთვის შენი ბედიც უკვე სულ ერთი არაა.

ალბათ ეს ფრაზა მალალფარდოვნად გაისმა, რადგან მარინამ მას ისე უნდობლად შეხედა, თითქოს ბატიშევს ეს-ესაა სიცრუეში წაასწრო.

ბატიშევი გაბრაზდა.

— ეს ხომ სულ უბრალო ამბავია. აი, მე და შენ ვსხედვართ ოთახში, საიდანაც ხვალ დილით სამუდამოდ წავალთ — ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად სამუდამოდ წავალ. მაშ, რატომ წიგნებს არ ვხევთ, იატაკზე არ ვაფურთხებთ? აგერ, ჭურჭელიც კი არ დავტოვეთ გაურეცხავი. შენთვის ხომ სულ ერთი არ არის, როგორ იცხოვრებს შენს შემდეგ აქ ის ქალი. ასევეა ცხოვრებაშიც. მასშტაბები სხვადასხვაა, არსი კი — იგივე.

— თუ მართლაც ეს ყველაფერი გაინტერესებთ და გაწუხებთ, განა თქვენ ძალგიძთ, რამე შეცვალოთ? აი, მაგალითად, რით შეგიძლიათ დამეხმაროთ მე?

— პირადად შენ? ვერაფრით.

ბატიშევი ჯერ კიდევ ბრაზობდა.

— სხვებს?

ბატიშევმა მხრები აიჩეჩა.

მაშინ მარინამ გამომწვევად განაცხადა.

— ვერავინ ვერასოდეს ვერავის დაეხმარება.

— შესაძლებელია შენ მართალი ხარ, — თავი დაუქნია ბატიშევმა, თუმცა სულ სხვაგვარად ფიქრობდა. უბრალოდ, მას აღიაზიანებდა კამათი, ეს გოგო აიძულებდა აღიარებული ჭეშმარიტება დაეცვა და პარადოქსები საკუთარი

თავისათვის დაეტოვებინა, ეს ჩვეულებრივი სტუდენტური მეთოდია — ლექ-ტორის ხარჯზე გაერთო. ბატიშევის გოგო-ბიჭებს ეს საქმე იშვიათად გამოდი-ოდათ. ამ გოგომ კი მაშინვე მოახერხა.

ბატიშევმა დაამთქნარა და საათს დემონსტრატიულად დახედა. [illegible] მზერა კვლავ თითქოს შიგნით, საკუთარი თავისაკენ გაექცა და [illegible] დაეღო. ბატიშევმა მის თვალებში უცებ ზუსტად ისეთი ნაღვლიანი და უიმედო ტკივილი ამოიკითხა, როგორც ხუთი წლის წინ კიბოსაგან მომაკვდავი მეზობელი ქალის გუგებში.

ბატიშევს იქვე გადაავიწყდა ძილთან დაკავშირებული თავისი გეგმები, ხვალინდელი ფრენა და მოსკოვური საქმეები.

— მისმინე, გოგონა, რა გემართება, რაიმე შეგემთხვა? თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ.

ქალიშვილმა მას დაბნეულად და იმედით შეხედა და ძალიან უცნაური კითხვა დაუსვა:

— თქვენ წესიერი ადამიანი ხართ?

— ამაში რას გულისხმობ?

— ყველაფერს. არ სვამთ? ცოლს არ ღალატობთ? ერთი სიტყვით, ყველა-ფერს...

ბატიშევს ჩაეცინა:

— თუ საქმე ამაშია, ვშიშობ, რომ სხვა მოსაუბრე უნდა მონახო.

— არა, სწორედ რომ თქვენ გამოდგებით.

მარინა დიდი ხნით დადუმდა და ბატიშევმა გადაწყვიტა, დახმარებოდა:

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— თუ მოკლედ გინდათ, — მაგრად შევტოპე.

ბატიშევმა მარინას ფიგურა შეათვალიერა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. თუმცა ასეთი რამე ხომ თავიდან არც ეტყობათ.

— ისე შევტოპე, რომ სიცოცხლე აღარ შემიძლია, — მარინას მშვიდი ხმა ჰქონდა, მაგრამ წარბები ერთმანეთს ისე სასოწარკვეთით მიჰკვროდნენ, მისი სახე თითქოს ერთბაშად ჩამოდნა.

— მოიცადე, — სწრაფად მიმართა ბატიშევმა, რათა იგი დრამატიული ტალღიდან გადმოერთო. — ბოლოს და ბოლოს, ეს ტრაგედია არ არის. ყველა ქალს შეიძლება დაემართოს. ეს ზედმიწევნით პრაქტიკული საქმეა და პრაქ-ტიკულადაც უნდა გადაწყვიტო.

— არა, თქვენ ვერ გამოიცანით. მე ფეხმძიმედ არა ვარ. ამაში რომ იყოს საქმე... ხუთი მანეთი, ერთი დღე საავადმყოფოში წოლა და მისი ჯანი...

ეს სიტყვები ისე იოლად იყო ნათქვამი, რომ ბატიშევი მაშინვე მიხვდა — ხუთმანეთიანი ქვითრით საავადმყოფოში მარინა არასოდეს ყოფილა.

ბატიშევმა ხმამაღლა ამოიოხრა:

— მისმინე, შენი რებუსებისაგან თავი მისკდება, იქნებ წესიერად მიამბო ყველაფერი, როგორც კომკავშირულ კრებაზე, — თავიდან ბოლომდე, ა?

მარინას გაეცინა:

— აბა რა გიამბოთ? ყველაფერი ძალიან პრიმიტიულადაა. ვის გამოც ამ დღეში ვარ, ის კაცი ტურისტულ ლაშქრობაში გავიცანი. ცოლთან ერთად იყო, მაგრამ მთელი საღამო მისთვის ხმა არ გაუცია. წარმოიდგინეთ: ღამე, კოცო-ნი, გიტარა და რა თქმა უნდა, ღვინოც. ყველა მხიარულობს, მაიმუნობს... ცეკ-ვები მოაწყვეს და ვისაც როგორ მოსწონდა, ისე ცეკვავდა — ვინ საბანაო კოს-

ტიუმით, ვინ კიდევ — სპორტული ტანსაცმლით... ის კი მოშორებით ზის წაქცეულ ხეზე და ჩუმადაა. მასთან, ბევრნი ცდილობდნენ გამოლაპარაკებას, მაგრამ თვალებში ისეთი სევდა ედგა... მე კი მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, თანაც ისეთი შტერი!... სხვებთან ერთად მეც ვიგრიხებოდი, გული კი ამოვარდნაზე მქონდა! არ შემეძლო იმის ატანა, რომ იქვე, ჩვენს გვერდით, კარგი ადამიანი იტანჯებოდა. ამიტომ ავდექი და ხაზგასმული დუმილით მეც მოშორებით დავჯექი. სოლიდარობის გამო. ვზივარ და ვფიქრობ: როგორი სათუთი ადამიანია, რა გულდასერილი, როგორი ტკივილი აქვს ახლა, როგორ სძულს მთელი ეს სიდამპლე...

ეს უწმაწური სიტყვა მარინამ სრულიად ჩვეულებრივად თქვა.

— ...ჰოდა, კიდევ იმაზე ვფიქრობდი, როგორ არ უყვარს იგი ცოლს და როგორ სწოვს სისხლს... იცით, რა უცნაურ გუნებაზე ვიყავი? საერთოდ არ ვსვამდი, მაგრამ იმ საღამოს მეც დავლიე. მოკლედ, მზად ვიყავი შუაზე გავფხრეწილიყავი, ოღონდ მას კარგად ეგრძნო თავი.

— რამდენი წლისაა? — ჰკითხა ბატიშევმა.

— ახლა ოცდათხუთმეტის. მაშინ კი ოცდათერთმეტი წლისა იყო.

— ლამაზია?

— არა, — დაუფიქრებლად უპასუხა მარინამ.

— აბა?

— მიმზიდველია, თუმცა გამხდრი და მოუქნელია, თითქოს ხელები ჩამოსთრევსო... სახე ძალიან ჭკვიანური აქვს.

— მოკლედ, ზიხარ და გეცოდება ეს კაცი, — შეახსენა ბატიშევმა.

ქალიშვილმა თავი დაუქნია.

— ჰო, გაჩუმებული ვარ და ვცდილობ რაიმე მოვიფიქრო, რომ დავეხმარო...

მარინას გაეცინა, თითქოს რაღაცა გაახსენდაო.

— ერთი სიტყვით, მივედი მასთან და ეს ყველაფერი გადმოვალაგე.

— იმან, რაო?

— მხარზე ხელი მომითათუნა, „გმადლობთო", მითხრა. წავედით, მდინარისაკენ გავისეირნეთ. იქ ნაპირი დაბალი და ქვიშიანია. მე არაფერს ვეკითხები, ჩემთვის რაღაცას ვმაიმუნობ. ისიც ჩუმადაა. მერე უცებ ამბობს. „დაწყნარდი, პატარავ, ნუ განიცდი. ყველაფერი ნორმალურადაა. გინდა ლექსი წაგიკითხო?" თქვენ გგონიათ წელან შემთხვევით გამოვქექე ელუარი? ოთხი სტრიქონი დამამახსოვრდა იმ ლექსიდან.

ბატიშევი კითხვისნიშნით მიაჩერდა მას და მარინამაც წაიკითხა:

ნაყოფის ორივე მხარეზე,
სარკეში გაგრძელებულ ავეჯზე —
საწოლზე — ცარიელ ნიჟარაზე.
მე ვწერ შენს სახელს.

— კარგი ლექსია, — თქვა ბატიშევმა.

— ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ ეს ჩემთვის რა იყო?

მარინას კვლავ ნაღვლიანად და დამნაშავესავით ჩაეცინა.

— მოკლედ, ვიარეთ და ვიარეთ. კონცხს გავცდით. აგვისტოს თბილი ღამეა. — აბა. — მეუბნება, — ვიბანაოთ? იმას რა ენაღვლება, საცურაო ტრუსები აცვია; ჩემი საბანაო კოსტიუმი კი იქ, კოცონზე შრება. მაგრამ, უარის თქმას ვერ ვახერხებ. — არა უშავს, — მეუბნება, — მე შევბრუნდები, შენ კი

გაიხადე და პირდაპირ წყალში შედი. მეც გავიხადე. მოვიხედე და რას ვხედავ — ჩემკენ სახით დგას.

მარინამ გაიღიმა და თავი გადააქნია:

— მე კი შტერი ვარ, ვაი რა შტერი... გინდა დამიჯერეთ, გინდა არა: განა მარტო კბილები, მუხლებიც კი მიცახცახებენ, ერთმანეთს ეჯახებიან.

იგი ჩაფიქრდა და ისეთი სახე გაუხდა, რომ ბატიშევმა თვალი ... მომენტში მისი ყურება ისევე სირცხვილი იყო, როგორც ქურდობა; ამიტომ ბატიშევს მისკენ სახე არ შემოუბრუნებია, ისე ჰკითხა:

— ის რაო, როგორ მოიქცა?..

მარინამ გაიცინა თუ ამოიოხრა, ძნელი გასაგები იყო:

— მომიახლოვდა, შუბლზე მაკოცა. კარგი, მეუბნება, ახლა კი ჩაიცვი — და ნაპირს გაუყვა. როგორ ჩავიცვი, აღარ მახსოვს. კუდში მივდევ. ის ჩუმადაა და მეც ვერაფერს ვამბობ. ისე მივაღწიე კოცონამდე, ნაცემი ძალლივით სამოდე ნაბიჯით ჩამორჩენილმა. ქალაქში რომ დავბრუნდით, არა თუ დალაპარაკება, მისი შეხედვაც არ შემეძლო. გამომშვიდობებისას თვითონ მოვიდა, ხელი მომკიდა და თქვა: „გმადლობთ, პატარა". ეს იყო და ეს.

— მერე ცოლი? — შეახსენა ბატიშევმა.

— არ მახსოვს. იმ მგზავრობიდან მეტი არაფერი მახსოვს, როგორც კი დავინახე, რომ მარტო ზის და თავს ცუდად გრძნობს, მორჩა, ჩემთვის აღარაფერი არსებობდა. მხოლოდ მე და ის.

— ჰო, — ჩაილაპარაკა ბატიშევმა. — სრული გაურკვეველობაა.

მარინა დაეთანხმა:

— რა თქმა უნდა. ეს იგივეა, თავში ფიცარი რომ მოგხვდეს.

— მერე?

ქალიშვილს თვალები ჩაუნავლდა და თითქმის გრძნობების გარეშე განაგრძო:

— მე მას რატომღაც ველოდებოდი. იგი ჩემს ძმასთან ერთად მუშაობდა. ისე, რომ ჩემი ტელეფონის გაგება არ გაუჭირდებოდა. ვუცადე ერთი დღე, ორი დღე, ერთი კვირა... არა და არ დარეკა! მაშინ ავდექი და მასთან მე თვითონ მივედი. იდეა კი ასეთი მქონდა: ამეხსნა, რა როგორ იყო, რომ სხვა რამე არ ეფიქრა. სამსახურის შემდეგ გამოვიჭირე და რის ვაი-ვაგლახით ავუხსენი ყველაფერი. მე სწორედ ასეც გავიგეო, მითხრა. მე კი ვუთხარი: „თუ ოდესმე რამე დაგჭირდებათ, ან თავს ცუდად იგრძნობთ, დამირეკეთ და მითხარით: „ეს მე ვარ". მან შემომხედა და წყნარად მითხრა: „მე ეს ვიცი, პატარავ". სწორედ ამ დროს მისი ავტობუსიც მოვიდა.

ქალიშვილმა უცებ შეწყვიტა თხრობა და ბატიშევს მიაჩერდა:

— თქვენთვის ამ ამბის მოსმენა მოსაწყენი ხომ არ არის?

— განაგრძე, — უპასუხა ბატიშევმა.

— ერთი სიტყვით, ყველაფერი რომ გადმოვულაგე, გულზეც მომეშვა. თითქოს მძიმე ტვირთისგან გავთავისუფლდი. ვუთხარი ყველაფერი და მორჩა. მაგრამ გავიდა ერთი თუ ორი კვირა და მე მივხვდი, რომ არაფრისგანაც არ გავთავისუფლებულვარ.

მარინამ, ისევ შეაერთა წარბები და მცირე დაყოვნების შემდეგ ამოღერღა:

— მოკლედ, მაგრად შევტოპე. გამუდმებით მისი ზარის მოლოდინში ვიყავი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მორჩა...

მას ხმა ამჯერად საქმიანი გაუხდა. სწორედ ისე ალაპარაკდა, როგორც სა-

ორდინატორობში შესული ექიმი, რომელიც განწირულ ავადმყოფზე თავის აზრს გამოთქვამს.

— მან, რა თქმა უნდა, არ დამირეკა, და არც ჩემი დახმარება დასჭირვებია. მე კი მთლად სულელურად მოვიქეცი: კუდში დეენა დავუწყე, თანაც ყველაზე პრიმიტიული ხერხებით. რაიმე საბაბი მაინც მომეფიქრებინა. — თორემ რა? — მივალ, ხბოსავით შევცქერი და ენაჩაყლაპული ვარ. ნამდვილი ანეკდოტია!

— ის როგორ ღებულობდა ამას?

— ჩვეულებრივად, თითქოსდა ასეც უნდა ყოფილიყო. იგი საერთოდ თავის სიმაღლეზე იდგა. გამოვა, დამინახავს და: „აა, მარინა, სალამი! აბა რაო, ცოტაზე ხომ არ გამაცილებ?“ და მეც სახლამდე მივყვებოდი. ხედავთ, რა კარგი ნაცნობობა გვქონდა?

— შენ ეს გყოფნიდა?

მარინა ცოტა დაფიქრდა, რომ გაეხსენებინა:

— მაშინ მყოფნიდა. რაც მთავარია, ვხედავდი, მასთან ერთად მივაბიჯებდი... მეტი რა მინდოდა! ერთხელ სახლშიაც ამიყვანა. მისი ცოლი ხომ ლაშქრობაში მყავდა ნანახი. ჩემს დანახვაზე გაეცინა და თავაზიანად მიმიღო. ერთი სიტყვით, ნაცნობობა გავაახლეთ. ძალიან თბილად ვისაუბრეთ და მთხოვეს,კიდევ ვწვეოდი.

— მერე?

— მერე ის, რომ ხშირად მივდიოდი. ხან თვითონ მას ავყვებოდი სახლში მორიგი გაცილების შემდეგ, ხან კი ჩემით მივდიოდი. სტუმრად როცა მიდიოდნენ, მეც თან მივყავდი. ჩემს თავს ყველას ასე აცნობდნენ: „გაიცანით, ეს ჩვენი მარინაა!“ მათთვის სამრეცხაოებში და მაღაზიებში დავრბოდი. ერთი სიტყვით, შინაური გავხდი, ოჯახის მეგობარი! სახლის დალაგებაშიც ვეხმარებოდი. მათ პარკეტს ლამის ენით ვლოკავდი, ისე ვცდილობდი...

იგი გაჩუმდა. თავის უხილავ კედელს მიაჩერდა და ბატიშევი შეშინდა, ვაითუ ისევ დიდი ხნით დადუმდესო.

— მერე რაო, დიდხანს ეყო შენს სულს, რაც ხდებოდა? — ჰკითხა მან წყნარი, „პედაგოგიური“ ინტონაციით და ცდილობდა, მარინას მონაყოლი დღევანდელობისაგან გაეთიშა, რათა უსაფრთხო მდგომარეობაში გადაეყვანა. ცხოვრებაში ხომ ასეა: წარსულის მიმართ ვცივდებით, ავადმყოფურ შეგრძნებებს ვიცილებთ, ემოციებისაგან ვიცლებით... ამ კილომ მარინაზე იმოქმედა. მან თავი ასწია:

— ახლავე გავიხსენებ... ჰო, კარგა ხანს მეყო. თითქმის წელიწადი, — იგი პასუხისათვის საჭირო სიტყვებს შუბლის სრესითა და შეჭმუხვნით ეძებდ; და ისე იქცეოდა, როგორც ექიმთან ავადმყოფი, რომელსაც ნაკლებად ესმის მკურნალის შეკითხვების ლოგიკა და მიზანი და მხოლოდ იმითაა შეპყრობილი, რაც შეიძლება ზუსტად უპასუხოს. — მე ხომ მას ხშირად ვხვდებოდი, კვირაში ერთხელ, ხან ორჯერ, სამჯერაც. უკიდურეს შემთხვევაში, ვიცოდი, რომ როცა მოვისურვებ, ნახვას შევძლებ. სვეტაც მირეკავდა ხოლმე, მისი ცოლი.

— თვითონ ის არ გირეკავდა?

— არც ერთხელ არ დაურეკავს.

— როგორ გგონია, რატომ?

მარინამ მხრები აიჩეჩა.

— ალბათ შიშობდა, რომ ვერ გავუგებდი; რომ რაიმე ზედმეტს ვიფიქრებდი, ვიდრე...

— ნაპირზე მაშინდელ შემთხვევას არ ახსენებდა?

— არა... სიტყვაც კი არ დასცდენია...

და ისევ ხმაში არც მწუხარება იყო, არც წყენა, — მხოლოდ ნაღვლიანი ბიბლიოთეკა ლობდა რაც შეიძლება ზუსტად ეპასუხა.

— შენ კი რაც გემართებოდა, ალბათ ხვდებოდა?

მარინამ გაიღიმა და ბატიშევმა გაიფიქრა, რომ ასეთი ლამაზი კბილების პატრონი საკმაოდ იშვიათად იღიმებოდა.

— ამას სულელიც კი მიხვდებოდა, — თქვა მან. — მე როგორლაც შევეცადე ლაპარაკი წამომეწყო იმ ამბავზე, მაგრამ ორი სიტყვაც არ მათქმევინა: „არ გინდა, პატარავ, მე ყველაფერი ვიცი. ნულარაფერს მეტყვი". ეს და იყო და ეს.

ბატიშევმა თავისი თავი უცებ იმაში დაიჭირა, რომ მომხდარ ამბავს მარინას თვალით უცქეროდა. აქ მხოლოდ თვითონ და მარინა იყვნენ, გარეთ კი — სიცარიელე სუფევდა. მაგრამ ამ დრამაში ხომ სულ ცოტა სამი მოქმედი პირია...

— ცოლი მასზე უმცროსია? — ჰკითხა ბატიშევმა.

— კი. ახლა ოცდარვა წლისაა. მე ოცდაერთის ვარ. ის — ოცდათოთხმეტის...

— როგორ გექცეოდა ცოლი?

— კარგად. რა ვიცი, იქნებ ვეცოდებოდი.

— მერე?

— რა მერე?

— განაგრძე, მიამბე.

— რალა გიამბოთ, — მოწყენილი ხმით მიუგო მარინამ. — დღემდე ასეა.

— რა მნიშვნელობითაა ასე?

— მიყვარს.

— და მათთან ისევ დადიხარ?

— დავდივარ.

— შვილები არა ჰყავთ?

— ბიჭი ჰყავთ, — თქვა მარინამ და ბაგე სიამოვნებისაგან გაეხსნა.

— თვითონ ის რა პროფესიისაა?

— კონსტრუქტორია. კარგი სპეციალისტია, მაგრამ ისეთი არა, დედა, ეს ვინ არისო.

— და ამ ხნის მანძილზე სხვა არავინ მოგწონებია?

— ნეტა კი შემძლებოდა! — მწუხარედ წამოისროლა ქალიშვილმა.

— ასე, — თქვა ბატიშევმა. — გასაგებია. მაცალე, ახლა ცოტა უნდა ვიფიქროთ.

და მარინამ მას ისევ ისე შეხედა, როგორც ავადმყოფმა ექიმს — ნდობითა და იმედით.

ბატიშევი ერთხანს ჩაფიქრდა. ახლა, როდესაც მან ყველაფერი ან, ყოველ შემთხვევაში, მთავარი იცოდა, ქალიშვილი ისეთ რთულ არსებად აღარ მიაჩნდა. ოცდაერთი წლისაა, უბრალოდ, ძალიან ახალგაზრდაა... პირველი სიყვარული გაუჩნდა — განუსჯელი და უიმედო... ერთი სიტყვით, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. ეგაა, რომ მეტისმეტად არის ჩათრეული. თუმცა ესეც ბუ-

ნებრივია. მაშინ ხომ იქ, ნაპირზე მან ძლიერი ემოციური დარტყმა განიცადა. მაშ როგორ! ღამე, კოცონი, უცნაური ნაღვლიანი მამაკაცი და ჭკვიანი ნაპირზე შიშველი, აცახცახებული ქალიშვილი, რომლისთვისაც ეს ყველაფერი პირველია. მარტო ამ ნიუანსების რაოდენობისაგან შეიძლება [illegible] მიიღო! სხვათა შორის ასეთი მდიდარი დეკორაციის ფონზე [illegible] ალარ დასჭირდება, რომ ჭკვიანი და უცნაური იყოს; სრულიად საკმარისია ისიც, რომ უბრალოდ იყოს, არსებობდეს. კიდევ კარგი, რომ იგი მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნებით დაკმაყოფილდა...

— რას იღიმებით? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— ისე, — უპასუხა ბატიშევმა. — ნეტავ შენი განსაცდელი მომცა შენს წლებთან ერთად!..

ახლა, როდესაც ეს გოგო სრულიად ნათელი იყო, იგი უფრო ახლობელი და უბრალო გახდა ბატიშევისათვის, მის დრამასაც უსათუოდ მოეძებნებოდა სანუგეშო ფინალი. მაინც მშვენიერი რამ არის პირველი სიყვარული, თუ მას დროულად დააღწევ თავს.

ბატიშევი სულაც ალარ ფიქრობდა ძილზე. მას საუბრის გაგრძელება იზიდავდა, როგორც ჭკვიან მოჭადრაკეს დამწყებთან თამაში, რომელსაც სვლებს უკარნახებს, აუხსნის...

ბატიშევს ისევ გაეღიმა, მარინამ კი ჰკითხა:

— მე რაღაც სისულელე ვთქვი, ხომ?

— იცი რა? მგონი, ცოტა ორცხობილა კიდევ დარჩა. ჩაიდანი დადგი, კარგი?

ქალიშვილი სამზარეულოში შევიდა. ბატიშევი არ დაელოდა, უკან გაჰყვა, გვერდით დაუდგა. და იმის ახსნა დაუწყო, რაც მისთვის უკვე ცხადი იყო.

— გესმის, რისი თქმა მინდა? — წამოიწყო მან რბილად. — შეიძლება საქმე მასში კი არა, შენშია. ჩვიდმეტი წელი! ის რომ არ შეგხვედროდა იმ დროს, შენ მაინც შეიყვარებდი ვინმეს. ასეთი ასაკია! შენ უკვე სასიყვარულოდ იყავი განწირული და საჭირო ადგილას და საჭირო მომენტში სწორედ ის კაცი ალმოჩნდა.

მარინა ჩუმად, მორჩილად უსმენდა.

— მართალია, ეს ამბავი უკვე ოთხი წელია გრძელდება, — აღიარა ბატიშევმა, — და ეს დრო კი პირველი სიყვარულისათვის სოლიდური ვადაა, მაგრამ ყველაფერი შეიძლებოდა შედარებით ადრეც მომთავრებულიყო. იცი, რა შემთხვევაში? თუ ისიც აგყვებოდა. გაიგე — ეს ელემენტარული ფსიქოლოგიური სიტუაციაა, როცა ბავშვს რაიმე სათამაშოს არ აძლევენ, მან შეიძლება მთელი კვირა იტიროს, მაგრამ როგორც კი ხელში დააჭერინებ იმ სათამაშოს, იქვე დააგდებს. მოკლედ, — თითი ასწია ბატიშევმა, — ეს ის აკრძალული ხილია. და ძალიანაც კარგია, რომ იგი შენ არ მოგეკარა. თუმცა, მერწმუნე: შენ რომ მასთან სხვა ურთიერთობა გქონოდა... გესმის, რასაც ვგულისხმობ?

— მაგრამ მე მქონდა მასთან ეს სხვა ურთიერთობა, — შეეპასუხა მარინა.

— როგორ თუ გქონდა?.. — დაიბნა ბატიშევი.

— მქონდა, — წყნარად დაადასტურა ნათქვამი მარინამ. — დიდი ხანია, ზაფხულში. სწორედ ჩვენი გაცნობიდან ერთი წლის შემდეგ.

— მაგრამ შენ ამბობდი, რომ... — წაიბუტბუტა ბატიშევმა, — შენ არ გსიამოვნებს ამ ამბის მოყოლა?

— უკიდურესობამდე არ მსიამოვნებს, — თქვა მარინამ. — ეს ყველაზე მერტალი ისტორიაა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ხომ იყო? ასე არ არის?

— საერთოდ კი, ასეა, — უგერგილოდ დაეთანხმა ბატიშევი, რომელსაც ვერ გაეგო, საით ხრიდა მარინა საქმეს.

— მაშინ ისინი სტუმრად მიიწვიეს ქალაქგარეთ დაბადების დღეზე, — დაიწყო მარინამ. — სვეტას კი არ შეეძლო წასვლა, მიტკა მოხუცებთან უნდა წაეყვანა. მოკლედ „მარინასთან ერთად წადი", — უთხრა ქმარს. ჩვენც წავედით. მერე კი როცა აგარაკზე ცეკვები დაიწყეს, მე იგი ტყეში წავიყვანე. საერთოდ მუდამ ცდილობდა, ჩემთან არ განცალკევებულიყო. მაგრამ მაშინ, ნასვამი იყო თუ არა, არ ვიცი... ერთი სიტყვით, სიფრთხილის გრძნობა დაკარგა. საკმაოდ შორს წავედით, დაბასაც გავცდით. სხვა დროს რომ სიტყვის თქმის საშუალებას არ მაძლევდა, ამჯერად გული ვიჯერე. მეტიც, ნუთუ შენ არ გესმის, — ვუთხარი მე, — რა დამემართება, პირველად ხელი სხვა მამაკაცმა რომ მახლოს?

მარინა თავისი ამბის მოყოლით გაერთო და უკანასკნელი ფრაზა თითქმის ყვირილით წამოიძახა; მაგრამ მერე თვალები მიენავლა და ამბის დარჩენილი ნაწილი მშრალ ინფორმაციასავით მიაწოდა ბატიშევს:

— ტყიდან ისე წამოვედით, როგორც მაშინ მდინარის ნაპირიდან. მე ისევ კუდში მივდევდი. ქალაქამდე რომ ჩავაღწიეთ, ჩვეულებისამებრ აღარ გამიცილებია, პირდაპირ გაჩერებასთან დავშორდით. გაღიმებას შეეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, როგორღაც უშნოდ დაეღრიჯა სახე...

ჩაიდანი ადუღდა. მარინამ გაზს დაუკლო. პაკეტიდან ჩაი ამოყარა და მდუღარე დაასხა.

— დაჯექით, — უთხრა ბატიშევს და სკამი ფეხით მიუწია.

— მერე კი, — ცივად განაგრძო მარინამ, — მე სიმდაბლე ჩავიდინე. ჩემთვის ჩემს საქციელს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ეს ხომ სიმდაბლეს არ გამორიცხავს... ერთი სიტყვით, სამი დღის შემდეგ მივედი სვეტასთან და ყველაფერი ვუამბე.

— ეგ როგორ? — განცვიფრდა ბატიშევი. — ადექი და ასე პირდაპირ უთხარი?

— საქმეც ეგ არის, — ჩამწყდარი ხმით თქვა მარინამ და ამოიოხრა.

— სვეტამ რა გითხრა? — ჰკითხა ბატიშევმა და უნებურად შუბლი შეეჭმუხნა.

ქალიშვილმა ხელი უღონოდ ჩაიქნია:

— მთელი ჩვენი საუბარი სამი ფრაზისაგან შედგებოდა. ასე და ასე-მეთქი, ვუთხარი; ღამე შენს ქმართან გავატარე-მეთქი. ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე კი მკითხა: „მხოლოდ ერთი ღამე?" ჰო, ერთი ღამე-მეთქი. მე კი ყოველ ღამეს მასთან ვატარებო, — აი ასე მიპასუხა. მე მგონი, სვეტა თავიდანვე ხვდებოდა, რომ საქმე აქამდე მივიდოდა.

ბატიშევმა სინანულით შეხედა:

— მოიცა! შენ ხომ თქვი, მას შემდეგ არაფერი შეცვლილაო?

— არც შეცვლილა.

— და მათთან ძველებურად დადიხარ?

— რა თქმა უნდა, თუ ორივე სადმე წასასვლელია, მიტკასთან ვზივარ.

— კი მაგრამ, ის შემთხვევა?

— საერთოდ არ გაუხსენებიათ. მაშინ, ის ამბავი რომ ვუამბე, ორი კვი-

რის შემდეგ სვეტა შემხვდა ქუჩაში და მისაყვედურა: სად დაიკარგე, როგორა ხარ, წამოდი, ჩვენთან, ბლინები ვჭამოთო.

— და შენ წაყევი?

— წავყევი.

— ჰოო, — ამოიოხრა ბატიშევმა. — ეს რთული ამბავია. ... ფიქრობ, მისი ცოლი ჭკვიანია?

მარინამ მტკიცედ უპასუხა:

— მე მის გვერდით წმინდა სულელი ვარ.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ჩაის ორთქლი ასდიოდა და ცივდებოდა.

— მაშ, ახლა რა უნდა ჰქნა? — დაბნეულად ჰკითხა ბატიშევმა.

მარინამ საყვედურის გარეშე შეხედა:

— მე კი მეგონა, თქვენ მირჩევდით, რა უნდა მექნა.

ბატიშევმა ისევ ამოიოხრა, თავი გააქნია და უპასუხა:

— კარგი, რამეს მოვიფიქრებთ. მოდი, ახლა კი ჩაი დავლიოთ.

მარინამ სამზარეულოს მაგიდის ქვეშ ხელი მოაფათურა და მურაბის ქილა ამოაჩინა. ბატიშევმა სწრაფად დახედა საათს. ორის ნახევარი იყო. ესეც ასე, დაიკარგა ღამე... მაგრამ ყოველ საღამოს მაინც გულდაგულ ცდილობდა გვიან არ დაეძინა. სინამდვილეში იგი ხომ ღამის ადამიანია! რა კარგად ახერხებდა ღამ-ღამობით მუშაობას სტუდენტობის წლებში...

— მაპატიე, რა თქვი? — თავი ასწია ბატიშევმა, რადგან ქალიშვილმა რაღაც ჰკითხა.

— პედაგოგობა მოგწონთ?

ბატიშევი ცოტა ხანს დაფიქრდა:

— საერთოდ მომწონს. თავისი მინუსების მიუხედავად. ყველაფერს თავიდან რომ ვიწყებდე, ისევ ამ საქმეს ავირჩევდი. წინათ ლექციებზე ისე მივდიოდი, როგორც ქორწილში.

— მერე მას შემდეგ რა შეიცვალა?

ბატიშევმა მხრები აიჩეჩა:

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი — არა.

— ეგ ერთადერთი მიზეზია?

— დიახ, და თანაც სრულიად საკმარისი.

— იქნებ უფრო გულგრილი გახდით?

— ახლა ჩემი აღსარების ჯერი დადგა? — გაუღიმა ბატიშევმა და წყნარად უპასუხა: — ბუნებრივია. ორმოცდახუთი წლის ასაკში მამაკაცს მეტი ზომიერება მართებს. სხვათა შორის, მე ამ სიტყვისა არ მეშინია. ზომიერება, ე. ი. ზომისა და წონის გადაუჭარბებელი შეგრძნება. ეს ძალიანაც კარგი თვისებაა. ახალგაზრდობაში ადამიანი სულელია, — მას სურს ყველაფერი სასწრაფოდ გადალახოს. მაგრამ ასაკის მომატებისას ხვდები, რომ ცხოვრება შენზე ჭკვიანია და ყველაზე ბრძნული ისაა, იგი თავისი გზით მიუშვა. თავად კი აკეთო მხოლოდ ის, რაშიც მტკიცედ ხარ დარწმუნებული.

მარინამ გამომცდელად შეხედა.

— როგორ გეპყრობიან სტუდენტები?

ბატიშევს ისევ გაეღიმა:

— კარგად. მსიამოვნებს იმის თქმა, რომ ვუყვარვარ კიდეც.

— რისთვის?

ბატიშევი მშვიდად იტანდა ამ დაკითხვას. უფრო მეტიც — მოსწონდა

ქალიშვილის მკვახე ტონი და სიამოვნებით პასუხობდა არა პედაგოგიური ნახევარწეშმარიტებით, არამედ, როგორც ფიქრობდა.

— იმისათვის, რომ გაბედულ და ერუდირებულ კაცად მთვლიან.

— ეს მართლა ასეა?

— არა, — თქვა მან წყნარად, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და გაეცინა. მე მაინც დიდებული როლი იყო—მხოლოდ სიმართლის მთქმელი კაცის როლი! — საერთოდ მე ცოტა რამ როდი ვიცი. მაგრამ ის ფაქტი, რომ სტუდენტები მეტისმეტად ერუდირებულად მთვლიან, მეტყველებს არა ჩემს უდიდეს განათლებაზე, არამედ მათ საკუთარ უვიცობაზე. რაც შეეხება ჩემს გაბედულებას... აქ კრიტერიუმები დაბალია... საკმარისია, ერთი-ორჯერ სახელმძღვანელო წიგნის პროგრამას გადაუხვიო, ან, ღმერთმა დაიფაროს და, მოსკოველი რომელიმე აკადემიკოსი გააკრიტიკო, რომელიც შენი გამოხდომის შესახებ ვერაფერს გაიგებს, და მორჩა! — უკვე კოცონისაკენ მიმავალი იან ჰუსი ხარ. არა, გენაცვალე, მე უბრალო მეცნიერებათა კანდიდატი ვარ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რამდენიმე თვის შემდეგ ჩვეულებრივი დოქტორი გავხდები.

— მაშინ რაღა შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში?

— ხელფასი, — ჩაეცინა ბატიშევს. — შეიძლება რწმენაც მომემატოს.

ქალიშვილი თითქოს ყურადღებით უსმენდა. მაგრამ ბატიშევი მის შეკითხვებში თანამიმდევრობასა და ლოგიკას ვერ იჭერდა. მარინა იმ მფრინავს ჰგავდა, რომელიც ყუმბარებს უმიზნოდ ყრის, რათა თავიდან მოიშოროს ისინი.

— მოსკოვში რისთვის მიფრინავთ?

— ჩვენთან კათედრის საკითხი წყდება. მისი ხელმძღვანელობა მე შემომთავაზეს. ჰოდა, რა თქმა უნდა, ინტრიგებიც ატყდა. მოსკოვში კი სამინისტროში, ჩემი მეგობარია, რომელიც დაახლოებით შენი ასაკიდან მუშაობს იქ.

— საქმე ნაცნობობით უნდა ჩაწყოთ? — იკითხა მარინამ განუსჯელად; მხოლოდ იმისათვის, რომ ვითარებაში უკეთ გარკვეულიყო.

— ჩვენ მეგობრები ვართ და არა ნაცნობები, — ასევე მშვიდად უარყო ბატიშევმა.

მარინა გაჩუმდა და ორცხობილას კვნეტა დაიწყო, თითქოს თემის მიმართ ინტერესი დაკარგაო, მაგრამ მერე თავისებურად შეჰყარა წარბები და ტუჩებიდან ორცხობილას მოუცილებლად ჰკითხა:

— ორაგული თქვენი მეგობრისათვის მიგაქვთ?

ბატიშევმა იგრძნო, რომ წითლდებოდა. კითხვა უსიამოვნო იყო არა თავისი ორაზროვნობით, არამედ იმით, რომ იმ წყეულმა ზურგჩანთამ მაინც წინა პლანზე წამოიწია მთელი თავისი პროვინციული საზიზღრობით. მართლაც სასაცილოა, როგორც ბებრუხანა ქალი „ფერშალთან ქათმით...“ და ბატიშევში ისევ იფეთქა ცოლის მიმართ ბრაზმა, რომელმაც ასე მგზნებარედ აიტაცა ქმრის შემთხვევითი ფრაზა და თევზი ისე შინაურულად და უგულისყუროდ გაასვია ქალალდში, თითქოს ქმარს მოსკოვში კი არა, აქვე, აგარაკზე აგზავნიდა. ბატიშევს ეს გაღიზიანება სიტყვებშიც რომ არ გამოეშჟღავნებინა, თითქოს სემინარს სატარებსო, აკადემიური ტონით იკითხა:

— შენ ფიქრობ, რომ ეს ნატურით ქრთამია? — გაღიმა, და შეეცადა საპასუხო ღიმილი გამოეწვია, მაგრამ ქალიშვილი ყურადღებით და სერიოზულად უსმენდა.

— ჯერ ერთი, — თქვა ბატიშევმა, — თუ ქრთამის მიცემა უნდათ, თევზი

საამისოდ არ გამოდგება. მეორეც, მე უკვე გითხარი, რომ იგი ჩემი მეგობარია. ხუთი წელი ერთად ვსწავლობდით და თავს ნებას ვაძლევ იმედი მქონია, რომ ჩემზე იგი თევზის კუდის მიხედვით არ იმსჯელებს. და რაც მთავარია, მე ეს კათედრა არსებითად არც მჭირდება.

ბატიშევმა უცებ იგრძნო, რომ ზარბაზნიდან ბეღურას ესროლა, რომ ეს სულელური ზურგჩანთა ამდენ ლაპარაკად არც ღირს. ერთი გაილმე, გაიხუმრე და მორჩა! მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკი რადგან დიწყო, მსჯელობის ნახევარ გზაზე შეწყვეტა არ შეიძლებოდა.

— გესმის, რაშია საქმე? — განაგრძობდა ბატიშევი. — მე არც კი ვიცი, მინდა თუ არა კათედრის ხელმძღვანელობა. ამან რა უნდა მომცეს? ცოტა მეტი ფული და უფრო მეტი დავიდარაბა... ფული ისედაც მყოფნის და, ღმერთმანი, ზედმეტი თავისუფალი საათი უფრო მჭირდება, ვიდრე ზედმეტი მანეთი. და საერთოდ, მე ბუნებით ადმინისტრატორი არა ვარ. მე მიყვარს პედაგოგიური მუშაობა, წერა და სამუშაოს შეცვლას არ ვაპირებ — მე ხომ უკვე გითხარი! რომ იცოდე, მე არც კი ვიცი, რა უფრო გამეხარდება — დამტკიცება თუ უარყოფა. პარადოქსია, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

ამ საუბრის მანძილზე ბატიშევს გაღიზიანებამ გაუარა. ბოლო ფრაზები სიამოვნებითაც კი თქვა — ეს ხომ სრული სიმართლე იყო და იგი ხომ ნამდვილად დიდხანს ყოყმანობდა, ვიდრე მოსკოვში წასვლას გადაწყვეტდა.

— მაშ, რად მიფრინავთ?

— რატომ მივფრინავ?

ბატიშევმა ეს სიტყვები ინერციით, ლექციის ტონით თქვა და იქვე დადუმდა. მართლაცდა, რატომ? ათი წუთის წინ რომ ეკითხათ, ალბათ ადვილად უპასუხებდა, მაგრამ საკუთარი არგუმენტების შემდეგ რაიმეს თქმა უკვე ძნელი იყო.

— იცი რა, — ხელები გაშალა და გამოტყდა ბატიშევი. — თუ დავფიქრდები, არაფრისთვის მივფრინავ. მაგრამ ცოტა ხნით მოსკოვში ყოფნაც რამეა. — მერე დაფიქრდა და შეეცადა არა მისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის აეხსნა: — ეს ალბათ ჯოგური ფილოსოფიაა. მაღაზიაში შესვლის სურვილი ხომ მაშინ უფრო გეუფლება, როცა ხედავ, რომ ბევრი ხალხი დგას რიგში.

— მერე არ შეგიძლიათ, რომ უარი თქვათ?

ბატიშევმა მხრები აიჩეჩა:

— კაცმა რომ თქვას, შემიძლია.

თქვა ეს და გაუკვირდა — მართლაცდა, ხომ შეუძლია? რაში სჭირდება ეს კათედრა? კარგად თუ ჩაუღრმავდებოდი, ამ საქმეს მინუსი მეტი ჰქონდა, ვიდრე პლიუსი. მაშ რატომ არ ამბობს უარს! რას მოუტანს კათედრა — ავტორიტეტს? წონას? რაში სჭირდება ეს წონა? სჭირდება კი? გაუთავებლად სხდომებზე უნდა იჯდეს, ისმინოს ათასი ჩივილი, წეროს საანგარიშო მოხსენებები... ყოველი უნიჭო მას უნდა ელაქუცებოდეს, რესტორანში პატიჟებდეს, აქებდეს... თემის დაცვის წინ კი თავის სასარგებლო სიტყვის თქმა უნდა სთხოვოს... დროც, ახლა რომ თითქმის არ ჰყოფნის, მაშინ უფრო ნაკლები დარჩება. სხვათა შორის, თუ უარს იტყვის და ლეშჩევის კანდიდატურას წასწევს, ურიგო არ იქნება. ლეშჩევი წესიერი კაცია.

— მურაბას რატომ არ ჭამთ? — ჰკითხა მარინამ.

ბატიშევმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია. როგორც კი გადაწყვიტა, რომ

კათედრაზე უარს იტყვის, ყველაფერი ერთბაშად ძალზე საინტერესო და გასართობიც კი გახდა.

— იცი რა, — უთხრა მარინას, — კათედრა მაინც ერთი საფეხურით ადგ-ლა ასვლაა. როგორც ჩანს, ჩვენში მუშაობს თვითშენარჩუნების ინსტინქტი ადამიანის ცხოვრება კი, თუ მას გრაფიკულად გამოსახავ, აი. [illegible] ბატიშევმა ჰაერში რაღაცა მთების მაგვარი მოხაზა, — სიმაღლისაკენ ლტოლვა. მერე კი ძალა გეცლება და დაბლა ჩამოდიხარ. როგორც ჩანს, ყველას ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი მომავალი დაცემის შიში. ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მაღლა ავძვრეთ, განსაკუთრებით სიბერეში.

— მაგრამ თქვენ ხომ ბებერი არა ხართ? — შეეპასუხა მარინა საკმაოდ მკაცრად, თითქოს ამ გამართლების გაბათილებას ცდილობდა.

— ნამდვილად ასე თვლი?

— მე არასოდეს არ ვცრუობ.

— რას ნიშნავს, ბებერი არა ვარ?

— ეს ნიშნავს იმას, რომ ბებერი არა ხართ. ჩემს კურსზე ერთ გოგოს თქვენზე გაცილებით უფროსი კაცი უყვარს.

— მერე ეს სასაცილოდ არ გამოიყურება?

— რატომ სასაცილოდ? — საყვედურით წარმოთქვა მარინამ.

— კარგი, კარგი, — უთხრა ბატიშევმა. — ქეთილი სიტყვისთვისაც დიდი მადლობა.

იგი წამოდგა, მარინას თვალებში შეხედა და მხიარული აზარტით წარმოთქვა:

— იცი, შენ ძალიან დროულად დამისვი კითხვა: რატომ!... არა გშია?

— არა.

— კარგად დაფიქრდი. ჩვენ ორაგულის განადგურებაც შეგვიძლია.

— არ ღირს ტყუილუბრალოდ მისი დაქუცმაცება. იქნებ კიდევ გამოგადგეთ, — უპასუხა მარინამ და გაიღიმა.

მან ხელმეორედ გარეცხა ფინჯნები, ოღონდ ამჯერად ჩაის ტილოთი შეიარაღებული ბატიშევიც ეხმარებოდა.

— მაინც დიდებულია, რომ მე და შენ აქ აღმოვჩნდით, — თქვა ბატიშევმა. — რაც მთავარია, ერთიმეორისათვის სულ უცნობები ვიყავით. არც არაფერი გვაკავშირებდა, არც რაიმე მოვალეობა გვაიძულებდა... ამიტომ ერთმანეთს სიმართლეს ადვილად ვეუბნებით. ადამიანს ხომ, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს, დროდადრო გვერდიდან შეხედვა სჭირდება, ან თუნდაც უბრალოდ, მსმენელი. როცა გულწრფელად ჰყვები, თითქოს შენთვისაც უფრო გასაგები ხდება საკუთარი თავის ხასიათიც და საქციელიც. ამაშია სწორედ ალსარების რეალური სარგებლობა. მღვდელს ასეთ დროს შეეძლო წაეთვლიმა კიდეც, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ადამიანი საკუთარ ამბავს ჰყვებოდა და ამ პროცესში საკუთარ ცხოვრებასაც თვითონვე სჯიდა.

ბატიშევს უცებ თავისი მრავალსიტყვაობისა შერცხვა. პედაგოგის მძიმე ვალია შეეჩვიო იმას, რომ ორი და ოთხი საათიც კი უდრტვინველად გისმინონ...

— მე ძალიან გადაგღალე, ხომ?

— რას ამბობთ! — აღშფოთდა მარინა — მე პირიქით, იმასაც ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, ასე რომ ვხვდებოდეთ ერთმანეთს თუნდაც წელიწადში ერთხელ. როგორც უკაცრიელ კუნძულზე.

— მშვენიერი აზრია! — აიტაცა ბატიშევმა. — მოდი! ბოლოს და ბოლოს ეს ხომ არც ისე რთულია. თუ ერთმანეთის ნახვის მოთხოვნილება გაგვიჩნდება, მაშინვე დეპეშა, ან დარეკვა და მისი ჯანი! მეც ასე მოვიქცევი და შენც ასე მოიქეცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ჩემგან რა უნდა დაგჭირდეთ?

— შენ არც კი იცი, როგორ დამეხმარე. — თქვა ბატიშევმა. — გარშემო ბევრი ჭკვიანი ადამიანია, მაგრამ პირდაპირი... ჰო, მარილა, სად იქნება ჩვენი კუნძული?

— აი აქ, — თქვა მარინამ და ხელით იქაურობა მოხაზა.

— მერე ოლია?

— მერე რა?

— აა, ოლია ხომ კარგი ადამიანია.

— აი ახლა კი ვხედავ, რომ აზრზე მოდიხართ! — შეაქო მარინამ და გაუღიმა.

— შევთანხმდით, — თქვა ბატიშევმა. — კალამი ახლოსა გაქვს?

ისინი ოთახში შევიდნენ და მისამართები გაცვალეს.

ახლა დამშვიდებული და მხიარული ბატიშევი შინაგანად მზად იყო ბედის ნებისმიერი შემოტრიალების შესახვედრად. თუ დილისათვის არ გამოიამინდებს, ჯანდაბას იმისი თავი, არ გაფრინდება და ეგ არის! თუ გამოიამინდებს, არც ის იქნება ურიგო. მოსკოვი მუდამ მოსკოვია. ზურგჩანთაც ისე აღარ აღიზიანებდა... აღარც კი ახსოვს, უკანასკნელად როდის იყო მოსკოვში ყოველგვარი თავსატეხი საქმეებისა და ნერვიული დაძაბულობის გარეშე. ამჯერად ჩავა, ერთ დღეს დაჯდება კონფერენციაზე, ჩასვლას დაამოწმებინებს და მორჩა... რამდენი გამოფენა, ახალი სპექტაკლი და საინტერესო რამ შეიძლება ნახო... რასაც მოასწრებს, ყველაფერს დაესწრება. თავის კარგ ნაცნობსაც შეხვდება. იმას კი არა, სამინისტროში რომ ჰყავს, მეორეს, შესანიშნავ ბიჭს, რომლის ნახვასაც უკვე მეათე წელია, რამდენჯერაც მოსკოვში ჩადის, ვერ ახერხებს.

მარინა სავარძელში იჯდა და მას უყურებდა. ბატიშევიც უფრო მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

— აბა, ახლა რა საკითხი გადავწყვიტოთ? მე მგონი, ის, თუ როგორ უნდა იცხოვრო მომავალში, ხომ?

მარინა ჩუმად იყო. ყურადღებით შესცქეროდა ბატიშევს.

ბატიშევს სულაც არ ეძინებოდა. მშვენიერ გუნებაზე იყო. ფიქრიც ეადვილებოდა და გადაწყვეტილების მიღებაც.

— გამიგონე, — თქვა მან. — შენ თუ გიფიქრია იმაზე, რომ ადრე თუ გვიან, ეს ამბავი უნდა მოთავდეს.

— ბუნებრივია, მიფიქრია.

— მერე რა სჯობს, ადრე თუ გვიან?

— ამიტომაც მივფრინავ მოსკოვში, იქიდან ბალტიისპირეთში...

— ჰოდა, მაშ რალაშია საქმე?

ქალიშვილმა ცხვირი ჩამოუშვა:

— არ ვიცი. არ შემიძლია. ასე მგონია, ადამიანს ვკლავ.

ერთხანს გაჩუმდა და მერე გადაწყვეტით თქვა:

— მე არ შემიძლია უიმისოდ.

ბატიშევს ბოლო ფრაზა არ მოეწონა. მასში რალაც ხელოვნური და თეატრალური იყო. ამიტომ ქალიშვილს წყნარად და მკაცრად შეეპასუხა:

— მაგრამ სვეტასაც ხომ, თუ არ ვცდები, არ შეუძლია უიმისოდ.

— დიახ, დიახ, მე ყველაფერი მესმის! — თქვა მარინამ და თითქოს ერ-დიმს იხდისო, საცოდავად გაიღიმა. — ყველაფერი მესმის: მათ ერთმანეთ-თოდ არ შეუძლიათ და მშვენივრად ძლებენ უჩემოდ.

იგი სავარძელში უფრო ლრმად ჩაჯდა და მამაკაცურად გადაბრიალებულ ფეხზე. თეთრ წინდაში მისი ფეხის გული ტანთან შედარებით პატარა ჩანდა და ბატიშევმა გაიფიქრა იმაზე, რომ არსებითად ეს ყველაფერი სისულელეა; რა ქორფა, აშოლტილი და ალბათ რა სასიამოვნო სხეული აქვს ამ ვილაცის მიერ დაწუნებულ გოგოს... ღმერთო ჩემო, რამდენი ბიჭი ინატრებდა მასთან...

— ყველაფერი მესმის, — იმეორებდა მარინა. — მაგრამ როგორ დავაღ-წიო თავი ამ გრძნობას? როგორ მოვახერხო ის, რომ გამუდმებით მასზე არ ვიფიქრო? ასეთი საშუალება რომ არსებობდეს...

— გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

— ჰო, მაგრამ როგორ?

მარინა ბატიშევს მუდარის თვალებით შესცქეროდა.

ბატიშევმა თავი გადააქნია:

— იცი რა, გენაცვალე, მე მაინც პედაგოგი ვარ, ამიტომ ანტიპედაგოგი-ურ რეცეპტებს ვერ მოგცემ. აი, ბალტიისპირეთში გაფრინდები და...

— ვინმესთან დავწვე? — ჰკითხა მარინამ. — ეს გქონდათ მხედველობაში?

ბატიშევს გაეღიმა:

— აი, ხომ ხედავ, მე ვერ გავბედე ასეთი ენერგიული ფორმულირება.

მარინამ იმედგაცრუებით წარმოთქვა:

— ეს არაფერს მიშველის. მე ეგეც ვცადე. ერთადერთი სურვილი, რაც მერე დამეუფლა, იყო ის, რომ სასწრაფოდ შევმძვრალიყავი შხაპის ქვეშ და საპნით კი არა, ქვიშით გამეხეხა სხეული...

— გასაგებია, — ჩაიბურტყუნა ბატიშევმა. — გასაგებია...

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. გოგოს უკვე ჩაედინა ის, რასაც ბატიშევი სთავაზობდა. მაგრამ იმის გამო, რომ მან თურმე ესეც სცადა, რომ ამ ზღურბლსაც გადააბიჯა, — ბატიშევმა სინანული, ტკივილი და წუთიერი ზიზღიც კი იგრძნო მის მიმართ. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს მის წინ მჯდომ ქალიშვილში უკვე დაწყებული იყო უსიამოვნო და შეუნელებელი პრო-ცესი, რომელიც დამყაყებასა და დაჟანგებას ჰგავდა. ოცნება, იდეალები, პირვე-ლი სიყვარული, გულში ჩირაღდანი, რომელსაც ცხოვრების გულგრილი ნიჩაბი ერთ დროს სადმე შორს გასტყორცნის... ბატიშევმა დადუმებულ მარინას შე-ხედა და უცებ დაინახა არა მხოლოდ ის საფეხური, რომელზეც იგი იჯდა, არა-მედ მთელი კიბე. ერთი-ორი წლის მანძილზე სასოწარკვეთისაგან გამოწვეული კიდევ რამდენიმე ასეთი ექსპერიმენტი და საერთოდ მკვეთრად შეიცვლება სუ-რათი. მის ბაგეებს სიგარეტის სუნი აუვა, სევდის ჩასაკლავად არც თითო-ოროლა ჭიქაზე იტყვის უარს. აბორტსაც ყოველგვარი მელოდრამატიზმის გარეშე გაიკეთებს, არც უწმაწურ სიტყვებს იუკადრისებს და... და გაქრება უბედური, შეყვარებული გოგო. მის ადგილს მორიგი მეძავი დედაკაცი დაიჭერს, რო-მელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა... ასეთი პერსპექტივის მიმართ დაუოკე-ბელი ბრაზი მისამართს თხოულობდა და ბატიშევმა იგი ადვილად მონახა. კი მაგრამ, რას ფიქრობს ის გაძვალტყავებული მოქალაქე, ის სათნო ქმარი, რო-მელიც ცოდვის ჩადენის შემდეგ ასე იტანჯება? ის ხომ თავისი „ჭკვიანი" თა-ვით უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ამ გოგოს მიმართ!

— გამიგონე, — თქვა ბატიშევმა. — სულელური კითხვაა, მაგრამ მიიღე მოწყალება და მიპასუხე: მაინც რისთვის გიყვარს ის კაცი?

— არ ვიცი, უბრალოდ, მიყვარს.

ეს სიტყვები გულწრფელად ითქვა, მაგრამ თავად ფრაზა [illegible]ური. ბატიშევს სხვა დროსაც მოუსმენია ასეთი და ამის მაგვარი [illegible]. ამიტომ იგი ახლა უფრო მეტი გაღიზიანებით ალაპარაკდა:

— უბრალოდ რომ გიყვარს, ეს კარგია. მაგრამ, მოდი, შევეცადოთ ლოგიკურად ვიმსჯელოთ. პრიმიტიულად. მე იმას არ ვიცნობ, მაგრამ შენ კი მშვიდად უნდა გაერკვე საქმის ვითარებაში. იქნებ იგი მართლაც სრულქმნილებაა? მაშინ რა გაეწყობა, შეგიძლია მიაფურთხო საკუთარ ბედსაც, თავმოყვარეობასაც, აწმყოსაც და მომავალსაც და თავი ბედნიერად ჩათვალო, მის მაგივრად ირბინო პურის მოსატანად. რას იზამ, თუკი იგი ასეთი უნიკალური ადამიანია!

მარინა ჩაფიქრდა.

— იგი კეთილია, — გაუბედავად დაიწყო მან.

ბატიშევმა იგი ინტონაციაზე დაიჭირა:

— მაშ რად იგრძნობა ყოყმანი შენს ხმაში?

მარინამ ამოიოხრა:

— მე არ მინდა ამაზე ვიფიქრო, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ იგი ყველაფრის მიმართ გულგრილია. არასოდეს გამოდის წონასწორობიდან. გაზეთს რომ აიღებს, ვიდრე კითხვას არ დაამთავრებს, სახლიც რომ იწვოდეს, თავს არ ასწევს. მაგრამ მეორე მხრივ, რომ დაუკვირდე, იგი მე ხომ ძალიან დამეხმარა.

მარინა თითქოს ეკითხებოდა და ბატიშევმაც კითხვით უპასუხა:

— სხვები ნაკლებად გეხმარებოდნენ?

— ასე არავინ დამხმარებია, — შეეპასუხა იგი მტკიცედ. მაგრამ იქვე მოიხარა და თავი ისე გააქნია, თითქოს რაიმე ავი ფიქრი, ან უსიამოვნო სიზმარი უნდა გამოიბერტყესო: — თუმცა არა, არა! სისულელეს ვამბობ. სხვები ნამდვილად ასჯერ მეტად მეხმარებოდნენ. მაშინაც, მე მგონი, მას ჩემი დახმარება კი არ უნდოდა, არამედ ეშინოდა. იგი, საერთოდ, საკმაოდ მხდალია.

— კი მაგრამ, რით დაგეხმარა? მითხარი ერთი, თუ საიდუმლო არაა.

მარინამ გაოცებით შეხედა:

— მე ხომ გიამბეთ მაშინდელი შემთხვევა აგარაკზე. მე მაშინ ის ამბავი ძალიან მჭირდებოდა! მაგრამ მაინც ვეჭვობ, რომ ტყეში ამიტომ არ წამომყოლია... მას შეეშინდა, რომ მე სისულელეს ჩავიდენდი — საკუთარ თავს ავუტეხავდი რამეს... მას კი მდგომარეობის ასეთი გამძაფრება ხელს არ აძლევდა.

— და მან ორი ბოროტებიდან შედარებით ნაკლები არჩია?

მარინას ჩაეცინა:

— ასე გამოდის. — და იქვე დაამატა: — განწყობილებას იგი ზუსტად გრძნობს. ამას ნამდვილად ვერ წაართმევ. ყველაფერს გრძნობს!

— მერე რა? — ბრაზით შეეპასუხა ბატიშევი. — დავუშვათ, რომ გრძნობს ამ განწყობილებას; ესმის ადამიანისა და ამით სარგებლობს კიდეც. ეს ხომ არცთუ დიდი პლიუსია. რაც შეეხება სიკეთეს, მას ხელს აძლევს ის, რომ კეთილი იყოს. ყველა შემთხვევაში ურჩევნია... აი, შენ ამბობ, მხდალიცაა...

ქალიშვილი სიტყვის ჩაგდებას შეეცადა:

— მე მხედველობაში მქონდა მხოლოდ...

მაგრამ ბატიშევმა იგი აწეული ხელით გააჩერა — მას აზრის განწყვეტისა ეშინოდა:

— იყო კეთილი, ეს ყველაზე უხიფათოა. თუ ადამიანს თავზე ხელს უსვამ, არასოდეს არაფერი გემუქრება. მაგრამ ათასჯერ უფრო სამართლიანი სიტყვის თქმა კი შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, ბატიშევს მით მეტად სძულდა ეს არცთუ უჭკუო, ფრთხილი, როგორც ჩანს, რალაცით მომხიბლავი და ამით უფრო საშიში ეგოისტი. მაინც რად ლუპავს ქალიშვილს? რატომ ასე ავტომატურად, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, ხელში ჰყავს აყვანილი და არ ათავისუფლებს? თუკი ისურვებს, ხომ შეუძლია მოხერხებულად ჩამოიშოროს. მაგრამ არა, არ იშორებს!...

ბატიშევმა უცებ იგრძნო, რომ მარინა მას უყურადღებოდ უსმენდა და მოუთმენლად იკვნეტდა ტუჩებს. იქნებ საერთოდ არც უსმენს და მხოლოდ პაუზას დარაჯობს? და მართლაც, როგორც კი ბატიშევი ერთი წამით შეყოვნდა, მარინამ მაშინვე სხაპასხუპით მიაყარა:

— მე კარგად ვერ აგიხსენით. საერთოდ იგი მხდალი არ არის. მაგალითად, იგი ერთხელ სხვა დაწესებულებაში მუშაობდა და იცით, რატომ წავიდა იქიდან? მის მეგობარს ათავისუფლებდნენ და მხოლოდ მან დაიცვა იგი. ამიტომ თვითონაც იძულებული გახდა, წასულიყო. ზოგიერთ საკითხში ის ნამდვილად გამბედავია...

ბატიშევმა ისევ აღმართა ხელისგული:

— მოიცა, შენ ხომ თქვი, რომ ის კაცი მისი მეგობარი იყო. მეგობარს დაეხმარო — ეს სულაც არ ნიშნავს გამბედაობას. მითხარი, განა მას სხვაგვარად მოქცევა შეეძლო? ასეთ შემთხვევაში ხომ მას ყველა ნაცნობი არამზადად ჩათვლიდა! ეს კი რა ხელს აძლევდა? არა, ეს გამბედაობა კი არა, იძულებითი სიკეთეა.

მარინა საკმაოდ დიდხანს იჭმუხნიდა შუბლს:

— წარმოგიდგენიათ?.. მე კი ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია...

იგი კიდევ ერთხანს იყო გაჩუმებული, მერე გაოცებით მიაჩერდა ბატიშევს:

— რატომ გესმით ყველაფერი ასე კარგად?

ეს ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე, მარინას ჩვეულებრივი პირდაპირობით და უბრალოებით იყო ნათქვამი და ბატიშევი ცოტა დაიბნა კიდეც...

— მაშ, როგორ, გენაცვალე... იმდენს რომ იცხოვრებ, რამდენიც მე, შენც ყველაფერში გაერკვევი. გამოცდილების შედეგია, მეტი არაფერი. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ერთსა და იმავე საფეხურებზე დავდივართ. თუ გინდა, რომ სამყარო შეიცნო, საკუთარი თავი უნდა შეიცნო.

ქალიშვილმა ეჭვით ახედა.

— მაშასადამე, თქვენც ისეთი ხართ, როგორც ის?

ბატიშევი სახტად დარჩა. ასეთი დასკვნა მართლაც რომ მისი საკუთარი სიტყვებიდან გამომდინარეობდა. თავადაც აღარ იცოდა, რა ეპასუხა და ხელები უმწეოდ გაშალა:

— გარკვეულ საკითხებში ალბათ მეც ისეთივე ვარ...

და მარინამ იგი ისევ გააოცა აზრის მოულოდნელი შემოტრიალებით:

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ კარგი ადამიანი ხართ. მაშასადამე, ისიც კარგი ადამიანია. მართალია ნაკლოვანი მხარეებით, მაგრამ მაინც კარგი ადამიანი. ასე არ არის?

მარინა პასუხს ისეთი ინტერესით ელოდა, პირიც კი დააღო. მაგრამ ბატიშევი დუმდა. იგი მაინც დარწმუნებული იყო თავისი აზრის სიმწორეში და ალბათ იმოვიდა კიდეც უფრო ძლიერ და უხეშ არგუმენტებს, მაგ[illegible] ირდებოდა ეს არგუმენტები? ბატიშევს ის, მისთვის უცხო [illegible] ადამიანებს და დარწმუნებულია, რომ იგი მხდალი და არარაობაა. ამ გზებს [illegible] ეს არარაობა და და იმავე კანონების ფხიზელი ლოგიკით მისთვის კარგი ადამიანია. ბატიშევის ლოგიკა მტრულია, მარინას ლოგიკა კი მეხსიერებას ექვემდებარება — ტუჩების, კანის, აცახცახებული მუხლების მეხსიერების ლოგიკას... ეს არის ლოდინით გაწამებული სხეულის გაქნილი და ხარბი ლოგიკა.

— სამწუხაროა, — თქვა ბატიშევმა — სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი მასთან უკვე მოხდა... შენ ახლა ძალიან გაგიჭირდება მისგან განთავისუფლება.

მარინა ჯერ ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ბატიშევი:

— აა, თქვენ იმ შემთხვევაზე ამბობთ? არა, ის ყველაფერი უაზრობა იყო. მაშინ მე არაფერიც არ მიგრძვნია. თანაც კოლოები საშინლად იკბინებოდნენ, ან იქნებ მე საერთოდ ცივი ვარ, რა ვიცი... გაიგებ, ჩემთვის მთავარი იყო ფაქტი, რომ ამას ჩავდიოდი სწორედ მასთან. თქვენ რომ იცოდეთ, ჩემთვის სულ ერთია, თუ ვისთან წევს იგი. მე მხოლოდ ის მინდა, რომ სულ ოდნავ მაინც ვჭირდებოდე რამეში...

— მაპატიე, მაგრამ ძალიან დავიღალე, — თქვა უცებ ბატიშევმა. — მოდი, დავიძინოთ, კარგი?

საუბარი უშედეგო იყო. იგი თითქოს ძაბრში ჩასხმული წყალივით ტრიალებდა და ყოველი ნებისმიერი მობრუნების შემდეგ მაინც ყელში ჩადიოდა — იმ საწყის წერტილს ეხებოდა, საიდანაც გამომდინარეობდა დასკვნა: მას იგი უყვარს და უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

— რამე გაწყენინეთ? — შეშფოთებით იკითხა მარინამ. — ნუ გამიჯავრდებით, სულელი ვარ: მოსმენა არ ვიცი, ამას სხვებიც მეუბნებიან.

— არა, წყენა რა შუაშია. უბრალოდ, ახლა ვერაფრით დაგეხმარები — ხვალ ვილაპარაკოთ, დრო გვექნება. გაშალე ლოგინი და დაწექი. მე კი სავარძელშიც მშვენივრად გამოვიძინებ.

მარინა ლოგინის გაშლას შეუდგა. მის მოძრაობაში შეინიშნებოდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა.

— აი, — თქვა მან. — დაწექით.

— ძალიან გთხოვთ, ნუ გაჯიუტდებით, — თქვა მარინამ და ლამის ნათურა აანთო. — მე სამზარეულოში გავალ. როცა დაწვებით, ცოტა ხანს თქვენთან ვიჯდები, ვიდრე დაიძინებთ. კარგი?

ათი წუთის შემდეგ მარინა შემოვიდა და ტახტის გვერდით, პირდაპირ იატაკზე დაჯდა. იგი სრულიად შეცვლილი იყო, — მის გამოხედვაში უმწეობა და მორჩილება გამოიხატებოდა.

ბატიშევმა თავზე ხელი გადაუსვა და დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა:

— შენ არაფრის ახსნა არ გჭირდება, რადგან ყველაფერი მშვენივრად გესმის. თავი დავანებოთ იმას, რომ ასე მცირდები. მთავარი ისაა, რომ შენ იმ კაცთან ობობას ქსელივით წვრილი ძაფით — მისი ცოლის ხუშტურების წყალობით ხარ დაკავშირებული. იქნებ ის ქალი ერთობა კიდეც იმით, რომ მისი უიღბლო მეტოქე ტუალეტში კაფელს ლამის ენით ულოკავს.

ბატიშევმა იგრძნო, რომ ისევ იმას ამტკიცებდა, რაც მტკიცებას აღარ საჭიროებდა. მან ამოიოხრა და უბრალოდ თქვა:

— გაიქეცი, ვიდრე გაქცევა შეგიძლია.

— ცოტა ადრე გათხოვებაც კი მინდოდა, ნაღვლიანად თქვა მარინამ. მე ეს ახლაც მინდა, მაგრამ ვიდრე მასზე გამუდმებული ფიქრისაგან არ გავთავისუფლდები, განა ჩემგან ცოლი დადგება?

— სრული განთავისუფლებისათვის კიდევ რამდენიმე წელი დაგჭირდებოდეს. ეს ამბავი ასე უცებ არ გაგივლის.

ბიბლიოთეკა

— მისგან რომ შვილი მყავდეს... მაგრამ ის არასოდეს ამაზე არ დამთანხმდება.

— იმ ბიჭს, ვისთანაც ახლა მიფრინავ, უყვარხარ?

— ძალიან. აი, ის კი ნამდვილად კეთილია. ეჭვიც არ შეგეპარება, ისეთი კეთილი.

— ჰოდა, უნდა გაარღვიო ეს წრე... უნდა შეძლო!...

მარინამ თავი დაუქნია.

— მორჩა, გადავწყვიტე. მე უკვე თვითონაც ასე მომინდა. მართლაც და, ეს ჩემი სიყვარული თუ გატაცება, ხომ შეიძლება ათ წელსაც გაგრძელდეს? მერე შვილები როდისღა გავაჩინო? ეჰ, ნეტავ ხვალ ნამდვილად გავფრინდეთ!

— აი ყოჩაღ! — შეაქო ბატიშევმა.

— შეიძლება ლოყაზე გაკოცოთ?

— მე მგონი, საჭიროც კია...

უკვე ჩაძინებულ ბატიშევს ესმოდა, როგორ აშრიალებდა წიგნის ფურცლებს მარინა.

ბატიშევს ორიოდე საათს ეძინა და უცებ ფეხსაცმელების ჭრაჭუნმა გამოაღვიძა. ფანჯრებს მილმა ბინდი იდგა. მარინა თავისი „შიკოტანი“ ლაბადითა და მხარზე გადაკიდული ჩანთით კართან იდგა.

— თქვენი გაღვიძება არ მინდოდა, — თქვა მან. — წერილი დაგიტოვეთ. გასაღები ფეხსაწმენდის ქვეშ შეაგდეთ. სამზარეულოში ყავა აღმოვაჩინე; გამზადებულია, გაზზე დგას. მაღვიძარა მოვმართე; ისე რომ, შეგიძლია წყნარად იძინოთ.

— უკვე დროა? — გაუკვირდა ბატიშევს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო აზრზე. — ჩვენ ხომ რვა საათზე მივფრინავთ?

— მე არ მივფრინავ. ბილეთს ჩავაბარებ. სამხრეთისაკენ გავფრინდები. რეისი შვიდის ოც წუთზეა.

ბატიშევმა თვალები მოისრისა, საბოლოოდ გამოფხიზლდა და მარინას მდუმარედ შეხედა.

— ჰო, — თქვა მარინამ. — უკან ვბრუნდები.

მისი სახე კვლავ დამოუკიდებელი და შეუვალი იყო.

ბატიშევს ხმა აღარ ამოუღია.

მაშინ მარინამ გასვლისას თავაზიანობა გამოჩინა: თავისი საქციელი ცივი, მშრალი ინტონაციით განუმარტა, რომელიც ყოველგვარ დისკუსიას გამორიცხავდა:

— ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ ოცდაერთი წლისა ვარ. სამი წელიც რომ დავკარგო, მერე რა? სხვები ორმოცი წლის ასაკშიც კი აჩენენ...

ყველაფერი ამით დამთავრდა. ბატიშევს იგი აღარ უნახავს. და მათ სენტიმენტალურ მოლაპარაკებას — წელიწადში ერთხელ სულის სახსნელად ერთმანეთს უკაცრიელ კუნძულზე შეხვედროდნენ, — უამრავი ამდაგვარი შეთანხმების ბედი ეწია. მარინას არც წერილი მოუწერია. ბატიშევს კი შერცხვა. რომ

ამ ხნის კაცს გოგოსათვის მიეწერა. თანაც გარდა ცნობისმოყვარეობისა — როგორ წარიმართა ქალიშვილის შემდგომი ცხოვრება, — მას ხომ ფიქტიურად არაფერი აინტერესებდა. მარინას აქტიურობის გარეშე კი ბატიშევმა ვერ გაბედა თავისი ცნობისმოყვარეობის გამომჟღავნება. თავისი [illegible] — ყველაფერი ბოლომდე გაერკვია დ ამოეცნო — ბატიშევი [illegible] ხანს იმტვრევდა თავს ამ უცნაური ბედისა და პიროვნების გამო. ტვინში მაინც ჩვეული ფორმულები ტივტივებდნენ: სიჯიუტე, უნებისყოფობა, ინფანტულობა — „მინდა და მომეცით!“ მაგრამ მოგვიანებით, საიდანღაც, გვერდიდან, უცებ გამოცურდა თითქმის შეუსაბამო, მაგრამ საინტერესო და მოულოდნელად ურყევი აზრი; ყოველ შემთხვევაში, მისი უარყოფა ბატიშევმა ვერ შეძლო, თუმცა ძალიან ცდილობდა. აზრი კი ასეთი იყო: როგორც მარცვალს ნორმალური განვითარებისათვის სჭირდება არა მარტო სითბო, არამედ სიცივეც, ასევე ადამიანს, იმისათვის, რომ გაიზარდოს ჯანმრთელი და სიცოცხლისუნარიანი, — სინორჩის წლებში სჭირდება არა მარტო სიხარულის, — განსაცდელის გამოცდილებაც. ამას გვერდს ვერავინ აუხვევს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძლიერი თავად ირჩევს განსაცდელს, სუსტს კი ეს განსაცდელი ისე ეცემა თავზე, როგორც აგური აივნიდან. არიან გაქნილნიც, რომლებიც ახერხებენ საერთოდ დაალწიონ თავი ყოველგვარ ძლიერ სულიერ ტკივილს, მაგრამ ისინი გამონაკლისები არ არიან: მთელი მათი მტკნარი, ფრთხილი, დაწვრილმანებული სიცოცხლე აღმოჩნდება ხოლმე განვადებით უდარდელობა. განსაცდელი მაინც, ადრე თუ გვიან, მოდის, როდესაც მას ხელოვნურად თავიდან ვიშორებთ, როდესაც სულს პრაქტიკული კეთილდღეობის გამო კალაპოტს ვუცვლით...

ბატიშევს ახსენდებოდა, თუ როგორ მოუწოდებდა უცხო ქალაქში, სხვის ბინაში, უცნობ, პირქუშ ქალიშვილს, რომ გრძნობების დინებას არ დაჰყოლოდა. მოუხმობდა მას სიამაყისაკენ და სიფხიზლისაკენ. მაგრამ იქნებ ყველაფერს პირიქით აკეთებდა — ურჩევდა მას სულმოკლედ გადაეწია გარდაუვალობა?

ქალიშვილი კი არ დაჰყვა და მაინც წავიდა დარდის შესახვედრად, როგორც გაბედული პირველკლასელი — ექიმის დაძალების გარეშე რომ შეუშვერს ბეჭებს ასაცრელ პირველ ნემსს... თავად ბატიშევი მაშინ მაინც გაფრინდა მოსკოვში. სხვათა შორის, ის ორაგული არც დასჭირვებია — როცა ყველაფერი გადაწყდა, მხოლოდ მაშინ აჩუქა მეგობარს. დაწინაურების შედეგად, როგორც თვითონ ვარაუდობდა, მას მოემატა ცოტა ხელფასი და სამაგიეროდ დრო აღარ რჩებოდა ამ ხელფასის დასახარჯავად. ერთი სიტყვით, უფრო ბედნიერი, ან უბედური ბატიშევი ამისაგან არ გამხდარა. ფაკულტეტზე მისი მდგომარეობა უფრო განმტკიცდა. წელიწადნახევარში მოახერხა ჩაეტარებინა ორი საკმაოდ საინტერესო კონფერენცია და გაუადვილდა ასპირანტურაში დახმარებოდა ნამდვილად ნიჭიერ და სიმპატიურ ყმაწვილებს. საერთო ჯამში, ადმინისტრაციული მუშაობა იმაზე სასიამოვნო გამოდგა, ვიდრე ელოდა. და როცა მისმა ქალიშვილმა სკოლა დაამთავრა და ფილოლოგიურზე აბარებდა, ბატიშევს დახმარებისათვის არავისათვის მიუმართავს — ყველაფერი თავისთავად აეწყო...

ხაბაროვსკ-მოსკოვურმა დღეებმა ერთი ამოსუნთქვით გაირბინეს უკანასკნელი მკვეთრი მოსახვევი მისი ცხოვრების გზაზე. უფრო ადვილი იყო ეფიქრა იმაზე, რომ კალაპოტი, რაშიც იგი ჩადგა, იმ მოსახვევს სჯობდა. ამიტომ ბატიშევი სწორედ ასე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, სურვილი ჰქონდა გაეგო, თუ რა დარჩა იმ მოსახვევს იქით და გული სწყდებოდა, რომ ის სხვა შესაძლებლობა მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო. მაგრამ ბატიშევი, როგორც ჭკვიანი კაცი, თავს იმით ინუგეშებდა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების სამი მეოთხედი, სამწუხაროდ, დანაკარგებისაგან შედგება.

ვზია გაქრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანსუა ვიიონი და მისი ქართული თარგმანი

„ყველა ქარში და ყველა ავდარში
მე მხოლოდ სიტყვამ გადამარჩინა".

ფ. ვიიონი

ახატვრული თარგმანის გარეშე ალბათ ვერც ერთი კულტურული ერი ვერ იარსებებს, რადგან მსოფლიო ლიტერატურის შედევრების თარგმნა ამაღლებს და ამდიდრებს ყოველი ერის კულტურულ და სულიერ საგანძურს: „თანამედროვე ერი წინ ვერ წავა, თუ მან მონაწილეობა არ მიიღო დიდ გონებრივ ალებმიცემობაში, რომელშიც ყველაზე ძვირფას საქონელს კლასიკური მწერლობის და ბელოვნების ნიმუშები წარმოადგენენ.[1] ბატონმა გეორგი ქიქოძემ 1954 წ. საქართველოს მწერალთა IV ყრილობაზე ილაპარაკა იმ საგანგებო მდგომარეობაზე, რომელიც ევროპული ლიტერატურის თარგმანის სფეროში სუფევდა. ფრანგული ლიტერატურის თარგმნილი ავტორებიდან დიუმა, ზოლა და სანდის თითო წიგნი დაახასელა მხოლოდ.

ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ ფრანგულ ლიტერატურას ახლაც, ხასიათოვნოს ვერაფერს დავინახავთ, ვერც თარგმანთა რაოდენობით და ვერც ხარისხით. ცხადია, თარგმანის მაღალი დონის მხრივ არის ბედნიერი გამონაკლისები, როგორც შუასაუკუნეების „ტრისტან და იზოლდა", რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრუელი", პასკალის „აზრები", სტენდალის „წითელი და შავი", „ქრონიკები", მერიმეს „ნოველები", ფლობერის „სალამბო" და სხვა.

ქართულ ენაზე მშვენივრად ათვალიერებული ფრანგული ლიტერატურა, ცხადია, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებით არ ამოიწურება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ საჭიროა მეტი ნაწარმოებების თარგმნა ყველა ენიდან; უპირველეს ყოვლისა საუკეთესო კლასიკური ნაწარმოებებისა, რომლებსაც ყველა კულტურული ერი უნდა იცნობდეს, და არა მხოლოდ მთარგმნელის მიერ შემთხვევით ამორჩეული ნაწარმოების თარგმნა და გამოცემა. სწორედ ამ საქმეს ემსახურება მხატვრული თარგმანის კოლეგია და, საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს ითარგმნა მსოფლიო ლიტერატურის ზოგიერთი შედევრი, მზადდება ავრეთვე დიდი მასალა, მაგრამ კიდევ რამდენია დარჩენილი...

თვითოეული თარგმანი, თუკი ის მაღალ დონეზეა შესრულებული, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მოვლენად უნდა იქცეს (და, ცხადია, მეტი ტირაჟით გამოიცეს).

შენიშნული გვაქვს რომ, როცა თარგმანი ძალიან კარგია, როგორც წესი, კრიტიკა დუმს, ან იშვიათად თუ გამოეხმაურება ხოლმე; თუ თარგმანი ცუდია, იცოცხლე, საბჭოთა-ლიბერალური კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ უარყოფითი რეცენზიის თუ წერილის დაწერა უფრო ადვილია. მახსოვს ჩამოითვლება თარგმანის უზუსტობანი, შეცდომები, აზრობრივი შეუსაბამობანი, ცუდი ქართულის მაგალითების მოყვანაც არ არის ძნელი საქმე, რადგან ყოველივე ეს თვალშისაცემია. რაც შეეხება კარგ ან ძალიან კარგ თარგმანს, ეტყობა უფრო ძნელია მასზე წერა, რადგან მეტ მუშაობას და ჩაღრმავებას მოითხოვს; ადვილია, თქვა, რომ თარგმანი მშვენიერია, მაგრამ დასაბუთებულად აუცილებელია დედანს შეადარო, ნაწარმოების არსი და სპეციფიკა გამოყო და თეორიულად და მაგალითებით დაახასიათო მახი სიკარგე. მოკლედ, ხაჭებარი წერილები თითზე ჩამოსათვლელია, კრიტიკული კი მეტი. ეს უკვეცა იმაზე მიგვითითებს, რომ პირველი: თარგმანის ბარისხი არ დგას სათანადო დონეზე და მეორე — კრიტიკა უფრო გვიხერხება, ვიდრე ქება.

1968 წელს ქართულად გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელის და ლამე გუძაკის ლეგენდა". ამ წიგნის მოყვარულნი ორი წელი

1 გ. ქიქოძე — „მოგონებები, სიტყვები და წერილები". 1955 წ. გვ. 234.

ველოდით რაიმე გამოხმაურებას. წარმოუდგენელი იყო, რომ ამ უზარმაზარ, უძნელეს სათარგმნ, შრომატევად საშუშაოს ასეთ ბრწყინვალე დაგვირგვინებას არავინ გამოეხმაურებოდა. დაბოლოს ... ორი წლის ცდის შემდეგ ამ თარგმანის ორმა თაყვანისმცემელმა მოკრძალებული ქება მივუძღვენით ულენშპიგელის მთარგმნელს, ქ-ნ მაყვალა მრევლიშვილს, რომელმაც დიდი, საამაყოლიშვილო საქმე გააკეთა. ეს იყო და ეს. მეტი წერილი, უფრო ვრცელი და სერიოზული დღემდე არ დაწერილა.

თარგმნილი ნაწარმოების შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობა არის ბოლმე. ხშირად ამა თუ იმ თარგმანზე საუბრისას ძირითადი აქცენტი გადატანილია ხოლმე ქართულზე: თარგმანი აღფრთოვანებას ბრწყინვალე ქართულის გამო იწვევს, სათარგმნი ნაწარმოები კი მხედველობიდან არის გამორჩენილი.

თარგმანის უპირველესი დანიშნულებაა ადექვატურად გადმოსცეს სათარგმნი ნაწარმოების სული, ფორმა და აზრი; დედანს ისე მიუხადაგოს სათარგმნი ენა, რომ იგი თავისი ხიბდიდრით, ელასტიურობით და ბრწყინვალეებით წინა პლანზე არ გამოდიოდეს, თვალში არ ხვდებოდეს მკითხველს. სათარგმნი ენა ხომ ის საშუალებაა, რომლის მეშვეობით უნდა გადმოიცეს ამა თუ იმ შედევრის არსი, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. კარგი თარგმანი ისაა, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემს ნაწარმოების იდეას, შინაარსს, არქიტექტონიკას, ლექსიკურ და სტილისტურ თავისებურებებს და სხვა. დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის გადმოცემა ამბალ ენაზე საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგან „ორი სხვადასხვა ენა სრულიად განსხვავებული საშუალებებით სარგებლობს ერთი და იგივე აზრის გამოსახატავად".1 ფრანგულიდან ქართულად თარგმნისას თვით ენების სტრუქტურებიდან გამომდინარე ბევრ სიძნელეს ვაწყდებით: ქართულში არ არის არტიკლი, სქესი, ძნელდება ხოლმე მიმღეობიანი კონსტრუქციებისა და ზოგიერთი გრამატიკული დროს თარგმნა და სხვა.

ლიტერატურული ჟანრებიდან პოეზიის თარგმნა უფრო ძნელ საქმედ გვეჩვენება, ვიდრე პროზისა. პოეზიისათვის დამახასიათებელი ლექსთწყობის კანონების ერთი ენიდან მეორეში ადექვატურად გადატანა თითქმის შეუძლებელია. ლექსთწყობა ენის ისეთ თვისებებთან არის დაკავშირებული, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან სხვადასხვა ენებში: რიტმი, რითმი, ინტონაცია, სიტყვის სიდიდე, მარცვალთა რაოდენობა, მახვილი და სხვა. „დედნის მსგავსი ინტონაცია რომ შეიქმნეს, დედნის საზომის განმეორება არ არის საკმარისი, არამედ ისეთი საზომის მოძებნა საკუთარ ლექსთწყობაში, რომელიც შეესაბამება დედნის აზრის გამოხატვის საშუალებებს".2

„ლექსის ტექსტის პოეტური თარგმნის სიზუსტე არ არის მექანიკური. სიზუსტე ხელოვნების მხრივ, არც ავტორისეულ — ზუსტი წარმოქმნა გრამატიკულ — ფონეტიკურ, არც ახ. პროცენტიანი ფრაზეოლოგიური სიზუსტე, არც მეცნიერულად დადგენილი ფონეტიკური სიზუსტე — არა, აუცილებელია ზუსტად გადმოიცეს დედნის პოეზია. იმისათვის კი, რათა ის გადმოიცეს, საჭიროა არა მარტო ვთარგმნოთ იგი, არამედ ღრმად ჩავწვდეთ პოეტის განზრახვას და ხავსებით დავეუფლოთ ყველა მის გამომსახველობით საშუალებას. თარგმანის პირველი ჩვენი თეორეტიკოსი ეტიენ დოლე (1509—1546) უკვე ხავსებით ხწორად მსჯელობდა, როცა ამბობდა: მთარგმნელის პირველი კანონია — „ხრულყოფილად გაიგოს სათარგმნი ავტორის აზრი და მატერია".3

ბევრნაირი მთარგმნელი არსებობს: ზოგმა ბრწყინვალედ იცის უცხო ენა, მშობლიური კი ჩვეულებრივად, ხალაპარაკოდ, ამიტომ მთლიანად ან ნაწილობრივ უცხო ენის ფორმების გავლენის ქვეშ იქცევა; მშობლიური ენის ზოგმა ჩინებულმა მცოდნემ უცხო ენა არ იცის და ბწკარედებით თარგმნის, ამიტომ ზუსტად ვერ ივერს მთლიან აზრს ან ნიუანსებს.

იდეალური პირობა ალბათ ის იქნება, რომ მთარგმნელი ჩინებულად ფლობდეს მშობლიურ ენას, ხოლო უცხო ენას კი კარგად. პოეზიის თარგმნისას კიდევ ერთი იდეალური პირობა იქნებოდა ხასურველი: დიდი პოეტი თარგმნოს აუცილებლად პოეტმა, თანაც სათარგმნ მასალას ორიგინალში გაეცნოს და ორიგინალიდან თარგმნოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს მთარგმნელი პოეტი, პოეზიის ფარული ხაშუალებები: პროზოდია, სინტაქსი, რითმა, რიტმი და სხვა ისე აათამაშოს მშობლიურ ენაზე, როგორც სათარგმნი პოეტი აკეთებს ორიგინალში. ერთიც გამოგვრჩა: მთარგმნელი პოეტის თავმდაბლობა, პატიოსნება, მოთმინება, კეთილშობილება და ბოლოხათვის შემოვინახეთ ის, რითაც უნდა დხგვეწყო: ნიჭი.

●

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კარგი თარგმანის გამოხვლა მოვლენად უნდა იქცეს-მეთქი.

ასეთ ლიტერატურულ მოვლენად მიმაჩნია

1, 2 გ. გაჩეჩილაძე — „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები", 1959 წ., გამომც. „საბჭოთა საქართველო", გვ. 80.

3 გ. გაჩეჩილაძე — „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები", 1959 წ. გამომც. „საბჭოთა საქართველო", გვ. 346.

გასულ წელს გამოსული — დავით წერედიანის ქართულად თარგმნილი ფრანსუა ვიიონის პოეზია.

ვიიონის ქართული თარგმანი პირველყოფილი თარგმანია. ალბათ იმიტომ, რომ მთარგმნელი ზემოთ ჩამოთვლილ ბევრ პირობას პასუხობს.

დავით წერედიანის თარგმანი უპირველეს ყოვლისა არის ფრანსუა ვიიონი, ვიიონის პოეზიის სული და არსი, ხისხლი და ხორცი, მისი ლექსთწყობა, რიტმი და ინტონაცია.

დ. წერედიანის თარგმანი ღირსეულად რომ შევაფასოთ, აუცილებელია ვიიონის პოეზია მოკლედ მაინც განვიხილოთ, რათა ნათლად გამოჩნდეს მთარგმნელის ოსტატობა. ვიიონის წაკითხვისას ჩვენ ვეცნობით ნაღდ, დიდ, „თანამედროვე" პოეტს, რომელიც მშვენიერი ქართულით ლექსავს თავის უკუღმართ ცხოვრებას და პირადი თავგადასავალისა და უბედურებების მიღმა ადამიანის ყოფის მარადიულ პრობლემამდე ადის: „იგი მღერის ადამიანის უიმედო მუდმივ ყოფაზე და ამით სევდაშემოხილ სიამოვნებას გვანიჭებს". თარგმანის ციტატებს აზრის დასამოწმებლად კი არ მოვიყვანთ, არამედ იმისათვის, რომ მკითხველმა გზადაგზა შეაფასოს მთარგმნელის დიდი ოსტატობა, ზომიერების შეგრძნება, გემოვნება და ენის ენახთან გათანაბრების საოცარი ალღო.

●

ფრანგული შუასაუკუნეებრივი ლიტერატურა ძალიან მდიდარი, მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესოა. ახლა ჩვენთვის საკვირველია, რომ მე-19 საუკუნემდე მას ბარბაროსულ, ბნელით მოხილ პერიოდად მიიჩნევდნენ. შუასაუკუნეების ნამდვილი რეაბილიტაცია ხომ პირველად რომანტიკოსებმა მოახდინეს, პირველ ყოვლისა შატობრიანმა, ჰიუგომ კი ამ ეპოქას „პოეზიის უკიდეგანო ზღვა" უწოდა.

მაგრამ ამ „ბნელეთში" ერთი პოეტი მაინც აღმოჩნდა, რომელიც რენესანსიდანვე ცნეს. ჯერ კლემან მაროს გამოსცა მისი ბალადები, ბუალომ თავის „პოეტურ ხელოვნებაში" სპეციალური ადგილი დაუთმო, რაბლემ კი თავის უკვდავ „გარგანტიუაში" რამდენჯერმე ახსენა.

ეს პოეტი გახლავთ ამასწინათ ქართულად ამეტყველებული ფრანსუა ვიიონი, რომელსაც უნიკალური ადგილი უჭირავს არა მარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში.

ვიიონი იმ იშვიათი პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელი საუკუნეების შემდეგ დავიწყებას კი არ მიეცა, კი არ გაქრა, არამედ, პირიქით, განდიდდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ, როგორც ვიიონის ერთ-ერთი სპეციალისტი ჟაკ შარპიე ამბობს: „ვიიონი არის ...ველი ნამდვილი პოეტი ფრანგულ ლიტერატურაში... პირველი ჭეშმარიტად რეალისტი პოეტი ფრანგულ ლიტერატურაში... პირველი ჭეშმარიტად შუმანური პოეტი ფრანგულ ლიტერატურაში... დიდი პოეტი, რომლის პოეზიაში შეერწყმულია დიდი ნიჭი, დიდი გემოვნება, დიდი გული და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება".[1]

ამიტომ თვლიან ფრანგები [illegible] ფრანგული პოეზიის პირველ წარმომადგენლად.

ვიიონის სახელი ლეგენდად იქცა, რადგან მის ჭეშმარიტად ნაღდ პოეზიას თან დაერთო დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება, რომელშიც ფატალურობამაც გარკვეული როლი ითამაშა. მართალია თუ შეთხზული, ეს ლეგენდა დღემდე არსებობს.

ვიიონის ბიოგრაფები პოეტის ცხოვრებას და ბიოგრაფიულ ამბებს მისი ლექსებითა და მართლმსაჯულების საბუთების წყალობით გვაცნობენ, რადგან რამდენიმე თარიღისა და ეპიზოდის გარდა მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. დაიბადა პარიზში 1431 წელს. 1449 წ. სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტია. 1452 წ. ხელოვნების მაგისტრია. 1457-60 წწ. ხეტიალის წლებია.

ფრანსუა ვიიონმა მთელი სიცოცხლე ჩხუბსა და შფოთში, ქურდობასა და ლოთობაში გაატარა; ციხეშიაც არა ერთხელ მჯდარა და პარიზიდან გასახლების სიმწარეც იგემა. 1463 წ. სიკვდილიც კი ჰქონდა მიხჯილი ჩამოხრჩობით. მაგრამ პარლამენტის წყალობამ ჩამოხრჩობა გადასახლებით შეუცვალა და 1463 წ. იგი დედაქალაქიდან გასახლებულია ათი წლით. ამ დღიდან ვიიონის კვალი სამუდამოდ იკარგება და მის გარშემო სრული სიბნელე ისადგურებს. იქნებ მაინც სახრჩობელაზე დამთავრა სიცოცხლე, იქნებ ბერად აღიკვეცა? რაბლეს ჰიპოთეზით იგი ან ინგლისში სახლდება ან პუატუში მიხტერიებს დგამს და ნამდვილ ქრისტიანად ამთავრებს თავის ცხოვრებას. დანამდვილებით მისი ბედი არავინ იცის. მოსაზრებათა ხეტვადასხვაობა მის ცხოვრებას კიდევ ერთხელ მოსავს ლეგენდებით.

ვიიონს დაწყევლილ პოეტს უწოდებენ და ბოდლერს, ვერლენსა და რემბოს ადარებენ ხოლმე. იმ პოეტების არქეტიპად მიიჩნევენ, რომლებიც თავისი პოეზიით გვიბიძგებენ, ხოლო პირადი ცხოვრებით გვაშინებენ და ხანდახან გვზარავენ კიდეც.

ვიიონის შემოქმედება დიდი არ არის. მასში შედის „მცირე ანდერძი" (40 ლე), „დიდი ანდერძი („ანდერძი"), სხვადასხვა ლექსთა კრებული და შვიდი ბალადა ჟარგონზე დაწერილი.

---

[1] J. Charpier – François Villo – ed Seghers «Poètes d'hier et d'aujourd'hui. Paris 1958, pp. 64, 76, 80.

უველაფერი, რაც ვიიონმა დაწერა, შვიდ წელს განეკუთვნება (1456-62). ეტყობა ვიიონის გენია უცებ ამოიფრქვა და ამოიწურა, როგორც რემბოსი, რომელმაც ლექსების წერას 18 წლისამ დაანება თავი და ბეტიალი დაიწყო. ვიიონი ისევე უჩინარდება, როგორც ლოტრეამონი; ისევე დაწყევლილია და კანონს გარეშეა, როგორც სადი და ბოდლერი.

როცა ვიიონი ციხეში ჩაჯდომის შიშით 1457 წელს პირველად იძულებულია პარიზი დასტოვოს და თითქოსდა უიმედო სიყვარულის გამო გადაიხვეწოს, იგი სახუმარო ანდერძის სახით სწერს ლე-ებს („მცირე ანდერძი"), რომელშიც ნაცნობ-მეგობრებს ურიგებს, რაც კი რამ აბადია, სიყვარულით თუ ირონიულად. ამ ლე-ების ფორმა და შინაარსი მომავალ „დიდ ანდერძს" შოალწევენს.

„დიდი ანდერძი", რომელშიც ვიიონმა ბალადები და ლირიული ლექსები ჩართო, თავმდაბალი და გულწრფელი აღხარების შთაბეჭდილებას ტოვებს; პოეტი მოსჩანს თავისი სუსტი წხარეებით და კეთილი გულით, სატირული ძარღვით და ადამიანური სითბოთი, ცხოვრების ხიყვარულით და სიკვდილის შიშით. იგი თითქოს არაფერს მალავს, არ მალავს, რომ ნებისყოფა არ ყოფნის ცუდ გავლენებს თავი დაანებოს, ნანობს, მაგრამ ისევ აგრძელებს, ვერლენისა არ იყოს. ვიიონის მთელი პოეზია პირადულია, მაგრამ უდიდესი ხიფრთხილე გვმართებს უველაფერში ვენდოთ მას. მართალია, იგი გულწრფელი გვეჩვენება, მაგრამ როგორც უველა დიდ ხელოვანს მოგონებაც უყვარს და ტყუილიც. (სპეციალისტებმა ამის მაგალითები იპოვეს). ამასთან ერთად მის ანდერძში დიდი ადგილი უჭირავს პაროდიას. ლიტერატურათმცოდნე კოხიკოვს მიაჩნია, რომ ვიიონის მთელი შემოქმედება პაროდია და თვითპაროდიაა, რომ იგი თავის თავის ირონიულ ხატს ქმნის და მხოლოდ აქა-იქ თუ გამოკრთის მისი ნამდვილი მე. ეს საკმაოდ საკამათო დებულებაა და მთლიანად ვერ დავეთანხმებით, რადგან იმ ლექსებთან ერთად, რომლებიც მთლიანად პაროდიაა („ორკესი ბალადა", „ჩემს გულისვარდს", „ეპიტაფია და სხვა), ისეთ ლექსებსაც პაროდიას აკუთვნებს, როგორც მაგ. „ძველი დროის ბანოვანები".

ლიტერატურის სპეციალისტები თვლიან, რომ ვიიონს პოეზიაში ახალი არაფერი შეუქმნია, რომ იგი შუასაუკუნეების ლიტერატურის კლასიკური გამგრძელებელია. ვიიონი შართლაც იმ ხანის პოეტების საუკეთესო ტრადიციების მიმდევარია. იგივე ეანრებს იყენებს: ბალადებს, რონდოებს, ვირლეებს, ლირიკას; იმ დროისათვის დამახასიათებელ ლექსთწყობას და ფორმებსაც. სპეციალისტები რიტმის ოსტატობაში რიუტბეფის მიმდევრად თვლიან, პოეტური სიტყვის მუსიკალურად აღდერებაში ესტაშ დეშანს ამჯობინებენ (დეშანს ანდერძიც აქვს დაწერილი და გულის და სხეულის გამასალებაც), შარლ ორლეანელის ნაზი, დელიკატური ტონალობა — გამოყენებული. ვიიონის პოეზიის [illegible] დინება, სიბერე, სიკვდილი, სიყვარული, ცხოვრების არარაობა და სხვა იმ პერიოდის ყველა პოეტის თემებია, და მიუხედავად ამისა, ვიიონი მხოლოდ შუასაუკუნეებს არ ეკუთვნის. იგი ორი ეპოქის მიჯნაზეა. შუასაუკუნეების სულის მატარებელი ახალი დროების მომასწავებელიცაა. მის პოეზიაში იგრძნობა რენესანსული ქროლვა და დიდი ინდივიდუალობა. შარლ ორლეანელთან შედარებით, რომელიც „ფეოდალური საზოგადოების პოეტთა სიას ამთავრებს, ვიიონი — ნამდვილი ეროვნული პოეტი — მომავალი ფეოდალიზმის ნანგრევებზე იწყებს თავის შემოქმედებას... იგი ორიგინალური ბელოვანია, რომელმაც საშუალო საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციების უბეში ქვებიდან სუფთა ბრილიანტები გამოთალა" (დიუფურნე).

ყოველი დიდი შემოქმედი ახალ სიტყვას ამბობს ხელოვნებაში და ამით საამუდამო სახელსა და ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო კულტურის საგანძურში, თუკი სპეციალისტებს დავუჯერებთ, მაშ რატომ და რითი ცოცხლობს იგი დღემდე? რამ განსაზღვრა მისი ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე? რატომ იკითხება იგი ახლაც, ხუთი საუკუნის შემდეგ დიდი ხიამოვნებით, როგორც ჩვენი თანამედროვე? რატომ არის ვიიონი უველასათვის ასეთი ახლობელი მარადიული და გასაგები?

ამ შეკითხვებზე ბოლოდ პასუხის გაცემა ძნელია, იმდენი ნიშნის ერთიანობა განსაზღვრავს ვიიონის შემოქმედების უკვდავებას. მაგრამ უდაოა, რომ პოეტი ტრადიციული საშუალებებით მაინც ახალს ქმნის; მარადიულ თემებს ახლებურად, თავისებურად აშუქებს. ამ წერილის ფარგლებში აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად ნიშნებს, რომელთა ერთიანობა ვიიონს ყოველი ეპოქისათვის ახლობელ მხატვრად სახავს, იმ ნიშნებს, რომლებიც დროს უძლებენ და ყველა ეპოქისათვის თანადროულია.

უპირველეს ყოვლისა ვიიონის პოეზია ეხება ყველა იმ თემას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანთან, და ყველა იმ გრძნობას, რომელიც ადამიანს განუცდია. მისი პოეზიის ცენტრში ადამიანი დგას: „ვიიონი იყო პირველი ფრანგი პოეტი, რომელმაც პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება ადამიანური ყოფის, ადამიანური არსებობის პრობლემამდე აიყვანა" და ზოგადსაკაცობრიო, მარადიული პრობლემები დასვა.

ვიიონის პოეზიას ახასიათებს აზრის სისავ-

ხე, აზრის ხმარტად გამოხატვის ოსტატობა, ელეგანტურობა, სიხალვე, გემოვნება, სიძლიერე, ფორმაში და შინაარსის სრული ბარმონია; ფორმა, მართალია, ტრადიციულია, მაგრამ გემოვნებით, ზომიერების გრძნობით და ცოდნით არის შექმნილი. XX საუკუნეში ნათქვამი ფრაზა „ფორმას ოქროს ფასი აქვსო" ვიიონმა არამც თუ იცის, არამედ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. რაც შეეხება შინაარსს' — ეს არის „განუმეორებელი და უნიკალური პიროდი თავგადასავალი, დიდი ტკივილით გულის სიღრმიდან ამოკვნესილი, მაგრამ ირონიით შეზავებული. „ვიიონის პოეზია მისი არსებობის ემანაციაა".

ვიიონის პოეზია გამოირჩევა იმით, რომ მის ლექსებში ადამიანის ფიზიკური ყოფნა იგრძნობა, „ადამიანური კონკრეტულობა", „საგნების კონკრეტულობა". ეს ადამიანები განყენებული ადამიანები კი არ არიან, არამედ კონკრეტულად არსებულნი, თითქოს ხელითაც შეეძლება შეეხო. ესენი არიან რეალურად არსებულნი მისი მეგობრები და ნაცნობები, ქურდები და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ეკლესიის მსახურნი და მართლმსაჯულების წარმომადგენლები, სტუდენტები და ციხის დარაჯები, აგრეთვე ოდესღაც ცნობილი ლამაზი ქალები და მეფე-მთავრები, მთავარი პერსონაჟი თვით პოეტია, რომელიც მოგვითხრობს სწორედ ამ ადამიანების შესახებ. იგი ხან ნაზია, ხან მკაცრი, ხან კეთილი, ხან გესლიანი, ხან ბავშვივით მიამიტი. იმის მიხედვით თუ ვისთან როგორი დამოკიდებულება აქვს, ვინ როგორ მოექცა.

ვიიონის პოეზია სავსეა მედიტაციებით თავის თავზე, თავის დროზე, წასულ ამხანაგებზე; იგი მსჯელობს ადამიანზე, დროის დინებაზე, სიკვდილზე და ადამიანურ ყოფაზე საერთოდ. თვითეულ მედიტაციას თუ მოგონებას შესატყვის ტონს უძებნის. მელანქოლიური ლირიზმით იგონებს წარსულს, იმ ადამიანებს, რომლებსაც იგი უყვარდათ; სინაზით და სიბრალულით იხსენებს „საწყალ, საბრალო, ტანჯულ დედას", „მამაზე უტკბეს მამობილს"... მობუც გიოომ ვიიონს":

„ვინც ცხოვრებაში ჩემი წყალობით
ბევრი შხამი და სამსალა შესვა,
და მაინც მუდამ იყო კეთილი
გულს არასოდეს ამატკივებდა
მუხლმოყრილი და ქედმოდრეკილი
ყველაფრის გამო ვთხოვ პატიებას".
(LXXXVII)

ბავშვური სიყვარულით ახსენებს იესო ქრისტეს და ღვთიშობელს, მადლიერებით მოიხსენიებს ლუი XI, ვინც მენის ციხიდან გამოიყვანა:

„ახლა ძე მინდა ვახსენო ღვთისა,
ვისაც ვეკუთვნი სულით და ხორცით,
ვინც ტარტაროზის ხელთაგან მიხსნა
და არ ჩამტოვა ბნელში და შმორში,
კვლავ ღვთიშობელი მინდა ვახსენო
ჩემი საბრალო ლოცვებს შორის
და კვლავ ჭირთაგან ჩემი დამხსნელი
ლუიკ კეთილი ხელმწიფე ჩვენი".

თუკი ვინმეს ოდესმე ვიიონისათვის ხელი გაუწვდენია, ყურადღება მიუქცევია და დახმარება აღმოუჩენია, როგორც წესი მათ არ ივიწყებს:

„თუ ვინმემ მართლა სიკეთე გიქნა
ხამს სიკეთისა არდავიწყება".

ამიტომ ყოველმხრივ ლოცავს და ბედნიერებას უსურვებს კეთილ მეფეს:

ისე განდიდდეს ვით სოლომონი
განითქვას ქვეყნად მისი მეფობა...
. . . . . .
უბოძოს ღმერთმა თორმეტი შვილი
თორმეტი ვაჟი სვეებედნიერი
ვით შარლემანი ქველი და ზრდილი
ვით მარსიალი, მხნე და ძლიერი,
ყველა საქმეში ამინ და ამინ
თან ახლდეს რასაც იღბალი ჰქვია
და ბოლოს როცა დადგება ჟამი
სამოთხის კარი დიუხვდეს ღია".

მიუხედავად უამრავი უბედურებისა და უბედობისა, ვიიონს უყვარს ცხოვრება, სიცილი, ხუმრობა, დროსტარება. ყოველნაირი ხიამოვნების მომხრეა და არაფერი ადამიანური მიხთვის უცხო არ არის. ეს ქურდი და მაჩხუბარა ხშირად ბავშვივით გულუბრყვილოა, მაგრამ მის სიცილსა და ენაწყლიანობას გამუდმებით სევდა და მელანქოლია ხდეს თან. თუმცა რომანტიკოსებივით არ კვნესის, ტკივილს არ გვახვევს თავზე, თავს არ გვაცოდებს, ნარცისივით არ ეფლობა თავის განცდებში და თავისი პიროვნების ესთეტიზაციას არ მიმართავს. პირიქით, როგორც კი ცრემლი ადგება თვალზე, მაშინვე ირონიას იშველიებს, მკაცრდება და შიგადაშიგ ბილწსიტყვაობასაც არ ერიდება. ბუნებით იგი მხიარული არ ჩანს, იგი ცდილობს, თავის სევდას ენამოსწრებულობით და მახვილგონიერებით აჯობოს.

ვიიონი ანდერძებში გულწრფელი ჩანს (ასეთია მკითხველის პირველი შთაბეჭდილება) და თავისი ცხოვრების მწარე გამოცდილებას უზიარებს მკითხველს. კარგად იცის რას წარმოადგენს თვითონ: „არც გიჟი, არც დაწყობილი", „ვაგლახ მე კითხვაში ზარმაცი ვარ", „ვინც იცის, იცის არ მიყვარს ლიქნა" და სხვა. დაბოლოს ერთ-

ერთ სტროფში თავისებური „განაჩენიც" კი გამოაქვს საკუთარი თავისადმი:

„ბრალეული ვარ, სათქმელი რა მაქვს,
ცოდვებს ვიმრავლებ უგზო ფეთებით,
და მაინც მჯერა, ზეციერ მამას,
ჯერ წასაწყმედად არ ვემეტები."

„ვწერ და მხარსუკან დგას სილარიბედ
იმ დროის მთელი ნაცოღლუტარი".

მართალია, პოეტი არ მალავს, რაც ჩაუდენია, მაგრამ თავს უბედურად უფრო თვლის, ვიდრე დამნაშავედ. შიმშილის გამო მოიპარა, შიშის გამო იცრუა, შემთხვევით იჩხუბა და კაცი შემოაკვდა. იგი სოციალური უთანასწორობის მსხვერპლია, რადგან:

„ვერ ეგუება ხშირად ერთმანეთს
მეფის კანონი და სილატაკე".

და სხვა.

ბოროტების წყარო სილატაკე და შიმშილია. ისინი იწვევენ ყველა შეცდომას და დანაშაულს; მოუსმინოთ ალექსანდრეხა და დიომედის საუბარს:

„გაჩენის დღიდან მდევნიდა ბედი,
რაც დამემართა მისი მადლია,
მომადრეკინა შიმშილით ქედი
და საშოვარზე გამომათრია". (XIX)

ვიიონის ირონია და სატირა ყველაზე მეტად გამდიდრებულ ბურჟუებს, ეკლესიის და მართსაჯულების მსახურთ ხვდება. ასწლიანი ომის შემდეგ ბურჟუაზიამ ხმა აიმაღლა; ახალ საზოგადოებაში მთავარი ფულია: სადღაა რაინდობა, ღირსებისა თუ პატივის გრძნობა. არავის აღარაფრად მიაჩნია ქება თუ გაკიცხვა: პატივი, ის დაბერებული წმინდანია, რომელსაც ვეღარ იტანენ. ვიიონი ეკლესიას და მის მსახურებს იხევე დასცინის, როგორც შუასაუკუნეების ბევრი სხვა პოეტი; ბერებს ერეტიკოსებს ადარებს, პორ-რუაიალის მონაზონზე ამბობს, რაღა აქვსო დახაკარგი და სხვა. ოსანას ეუბნება ბერ-მონაზონთა ყოველი ჯურის საძმოსა თუ სადოს, ჩამოთვლის მათ საქმიანობას, მაგრამ ერთი ფრაზით ამ ნეტარნს ბოლოს უღებს:

„მრევლია, უყვართ ცოლიც და ქმარიც
ცოლი, რა მოხდა თუ უფრო უყვართ."

ალარც სამართალი არის მოდაში:

„დამიხსნა, როცა მართალი ვიყავ,
რაც ჩემი რწმენით, სასწაულს უდრის."

ვიიონის დაცინვა ერთი ორი გამონაკლისის გარდა გესლიანი არ არის, თუმცა ეს არ ეხება ტიბო დ ოხინის და მის მსგავსებს.

„დიდ ანდერძში" განსაკუთრებულ ადგილი უჭირავს დროის დინების, ცხოვრების წარმავლობის და სიკვდილის თემებს. ვიიონი ან თვითონ მსჯელობს ან რომელიმე პერსონაჟის პირით ამბობს სათქმელს. მას აინტერესებს გაერკვეს, რა არის დროის ის შეუჩერებელი ულმობელი დინება, რომელიც ყველაფერს ცვლის: სილამაზეს სიმახინჯედ აქცევს, ბედნიერებას უბედურებად, ახალგაზრდობას სიბერედ, რომელიც ყველა ადამიანის ხვედრია, ისევე, როგორც სიკვდილი. ბალადაში „ტურფა მეშუზარადის გოდება" ოდესღაც ულამაზესი ქალი სინანულს გამოსთქვამს და გოდებს იმ გარდახულ დროთა გამო, რომელიც ხამუდამოდ გაქრა. ქალი მელანქოლიურად იხსენებს „ხინორჩის ხანას", როცა მისი „გრძნეული ძალა" პარიზის რჩეულ რაინდებს მის ფეხთა წინაშე აჩოქებდა, როცა მისი ენით აუწერელი სილამაზე უთვალავ მთხოვნელს მაგნიტივით იზიდავდა. ქალი ცდილობს ამ შეუქცევადი დინების შეჩერებას, მის მობრუნებას, მაგრამ სინანულისა და მოგონებების გარდა არა რჩება რა:

„რა იქნა შუბლი გადატკეცილი
წარბები მუქი, თმა ოქროვანი...

სწორი ნაკვთები, რბილი ოვალი
ან ის თვალები? ან ის ლიმილი
ფოსოებით და სინათლით სავსე...

„პატარა მხრები? პატარა მკერდი?
მკლავები გრძელი? ხელები თხელი?
ნაზი მუცელი, გლუვი და თეთრი?
წვრილი, მაღალი, მოქნილი წელი?

გავა-თეძონი, მკვრივად ასხმულნი
სასიყვარულო ბრძოლისთვის მზანი?
გზათშესაყარზე კოხტად ჩასმული
პატარა მტილი, პატარა ფშანი?

„წელს ვხრი და ძვლები იწყებენ ჭრიალს,
მტილს ზიზღისაგან ვეღარც ვებები
ბარკლები ლამის ცალცალკე ყრია
დაჭრეხილები, როგორც ძეხვები...

ჩაჟანგებულა ხმა და იერი
სული მტკივანი, გული მკვნესარი,...

და ასე ხმეულისა და სახის ნაკვთების ცვლილებების ნატურალისტური ხიზუსტით აღწერის შემდეგ ქალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ დროის ამ ხაშინელ დინებას ვერაფერი შეცვლის, რომ სიბერე, დაჩაჩანაკება, სიკვდილი — ცხოვ-

რების აუცილებელი პირობაა და მას უნდა გაუძლო, რადგან ეს „არის ხვედრი ჩემი და სხვათა". ბებერი ქალი სხვა ბებრებთან ერთად ცეცხლთან ჩაცუცქულა, რათა გაყინული ძვლები დაითბოს. მაგრამ უცებ აბრიალებული ცეცხლი სწრაფად ქრება. ცეცხლი — ინთება, აგიზგიზდება, აბრიალდება, ნელ-ნელა ქრება, ქრება და ნაცარიღა რჩება. ცხოვრებაც ცეცხლივითაა: ადამიანი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ცეცხლივით წამიერია ცხოვრებაც და მისგანაც მხოლოდ ნაცარი რჩება. ამ აუცილებელ და შემზარავ გარდუვალობას პოეტი შეკითხვა-დასკვნით ამთავრებს, რომელიც გულსაკლავ კვნესახავით გაისმის...

„ნუთუ, უფალო, ამქვეყნიერი მშვენიერების ბოლო ეს არის?"

ამ ბალადის თარგმანი შინაარსობრივად, აზრითა და ინტონაციით სრულიად ადეკვატურია დედნის. ფრანგულში რამდენჯერმე ნახსენები „კაი დრო" და მისი პერიფრაზები — ბედნიერი, სიყვარულის, სიხარულის ხანა — ქართულში მშვენიერი შესატყვისებით არის გადმოტანილი: „ტიროდა გამქრალ შნოსა და ჯავარს", „ვაგლახ, სინორჩე მსურდა მარადი", „კაი დროს ვნანობ", „ქალმით ნახატნი ვიყავით უწინ", „ჩამადნა ხელში ქალური ეშხის გრძნეული ძალა", „ნეტარი წამი" და სხვა. ფრანგულში აქა-იქ გაბნეული სიტყვა „კაი დრო", „ლამაზი დრო", ოხვრახავით რომ გაისმის, ქართულშიც ასევე აღიქმება.

ხაშუალო საუკუნეების ლიტერატურა ხშირად აბსენებს სიკვდილს, ეშმაკებს, ჯოჯოხეთსა და სამოთხეს. ვიიონს თავისებურად და იმ დროისათვის სრულიად განსხვავებულად ესმის სიკვდილის ცნება. იგი ხან ფილოსოფოსივით მსჯელობს არარას შესახებ. ხან შეძრწუნებულია, რომ უნდა მოკვდეს, მაგრამ მისტიურად არ აღიქვამს. იგი გრძნობს, რომ ყველაფერი იწყება და თავდება აქ, ამქვეყნად: ხილამაზე, დიდება, სიბელი. რა მოხდება სიკვდილის შემდეგ მას არ აინტერესებს. ვიიონისათვის ხაიქიო არც „დანტეს ჯოჯოხეთია, არც ვან-ეიკის ანგელოზები ცაზე, არამედ ეს არის მანტენიას უშველებელი ცარიელი ხივრცე" და აუხსნელი, შეუცნობი მუდმივი მდუმარება.

მაგრამ ადამიანის ცხოვრების ამ ტრაგიკულ მომენტს — სიკვდილს, ვიიონი უმრავლეს შემთხვევაში სრულიად ხადა სიტყვებით გადმოსცემს (იმ პერიოდის სხვა პოეტებისაგან განსხვავებით), მაგრამ სიტყვებს ისე განალაგებს წინადადებაში, ხოლო წინადადებებს ისე აწყობს, რომ ქმნის შესატყვის განწყობილებას და ინტონაციას. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ვიიონის პოეზიის ძირითადი ნაწილი სიკვდილის თემას ეხება. ყველა მათგანში რეფრენივით მეორდება, რომ „სიკვდილი შემუსრავს ყოველს", რომ „ყველა ერთნი ვართ".

ვიიონის — „დიდი ანდერძი" მოლიანად შევადარეთ დედანს. შედარებისას რამდენიმე სტროფის ბწკარედსაც მოვიტანთ.

XXXVIII სტროფის ბწკარედში „ეს ეჭვი" ვიცი, რომ ანგელოზის ძე არა ვარ, რომელიც რომელიმე ვარსკვლავის თუ მნათობის დიადემას ატარებს. მამა მოკვდა, ღმერთთან არის მისი სული, მისი სხეული კი ლოდქვეშაა. ვიცი (ვხვდები), რომ დედაც უნდა მოკვდეს, ხაწყალმა ქალმაც იცის ეს, და შვილიც არ დარჩება (ისე, რომ არ მოკვდეს). მოვუსმინოთ თარგმანს:

„ჩემთვის მარტივად ვაკეთებ დასკვნას,
რომ ანგელოზის ძე არ ვბრძანდები,
ვინც დიადემად ატარებს ვარსკვლავს,
ან თავზე ადგას შარიკანდელი.
მამა ცაშია, წევს თავის ლოდქვეშ,
დედასაც ელის სამარის წილი,
იცის საწყალმა, რომ უნდა მოკვდეს...
ჰოდა სხვა რაღა? მოკვდება შვილიც".

ბწკარედის და თარგმანის შედარებისას ნათელი ხდება, რა აბსოლუტური სიზუსტით არის მოცემული ქართულში შინაარსი და აზრი; ასევეა ინტონაციაც. დედნის სტროფები რვამარცვლიანია; რითმები ჯვარედინი და ქალური. თარგმანი შესრულებულია ათმარცვლიანი ტეტრიკონებით, ჯვარედინი რითმით და ქალურით. ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, XXXIX სტროფის მხოლოდ თარგმანს მოვიყვანთ. ამ სტროფში მცირედი თავისუფლებაა, უფრო სწორად, ჩამოთვლისას აკლია მღვდლები და სამოქალაქო პირნი, დამატებულია „ამაყ ბანოვანს, გოგოს ეშხიანს"; დედნის ბოლო ორი სტრიქონის აზრობრივი დატვირთვა-დასკვნა ქართულ თარგმანში პირველ და ბოლო სტრიქონებშია მოცემული; ლექსთწყობის ელემენტები ისეთივეა, როგორც წინა სტროფში, თარგმანში ქალური და დაქტილური რითმების მონაცვლეობაა:

„წინ გვიდევს ყველას ეგ ზღვარი: ჯვარი!
კეთილს თუ ბოროტს, მაღალს თუ მდაბალს,
ლამაზს თუ უშნოს, მდიდარს თუ ღარიბს,
ჭკვიანს თუ სულელს, მამაცს თუ ჯაბანს,

„ქალებს ატუარით, ქალებს ბურლეთი,
ამაყ ბანოვანს, გოგოს ეშხიანს,
ყველა ერთნი ვართ... ყველა სულერთნი...
მხოლოდ ვალია, მხოლოდ სესხია..."

ცნობილი XI სტროფი აბსოლუტური სიზუსტით არის თარგმნილი. მოგვყავს ბწკარედი: „პარიხი კვდება თუ ელენე, ვინც კი კვდება,

იცეთ ტანჯვაშია, რომ კარგავს სუნთქვას და ბროტინებს, ნაღველი გულში წვეთავს (ხვრიტავს), ოფლიანობს, ღმერთმა იცის, რა ოფლი სდის. მაგრამ არავინ არის გვერდით, რომ ტკივილი დაუყუჩოს, რადგან არც შვილი, არც ძმა და არც და არ ისურვებდნენ თავდებად დაუდგნენ". თარგმანშია:

„კვდება ელენეც, კვდება პარისიც
მივდივართ ტანჯვით, ბროტინით, კრუნჩხვით,
ხშირდება სუნთქვა, მაჯა არ ისმის,
სკდება ნაღველი და წვეთავს გულში,
თან ხვითქი, ღმერთო, როგორი ხვითქი!
რა ელის, კიდევ არ იცის კაცმა
მარტო, პირისპირ შევრჩებით სიკვდილს,
რისი ცოლ-შვილი! რომელი და-ძმა!"

დედნის ქალური და ვაჟური რითმები გადმოტანილია ქალური და დაქტილური რითმებით. რითმები ჯვარედინია. თარგმანი ათმარცვლიანია. ამ პასაჟის ბოლო სტროფის ბოლო სტრიქონები შინაარსობრივი დატვირთვით და ინტონაციით „ტურფა მემუზარადის გოდების" დასკვნას გვახსენებს:

„ქალის სხეულო, ნაზო, სათუთო,
ნუთუ შენც ამას გიმზადებს ბედი?
ჰო, ან არადა სძლიე საწუთროს,
სასუფეველში ცოცხალი შედი..."

ახლა განვიხილოთ ორი ბალადა: „ძველი დროის ბანოვანები" და „ძველი დროის მეფე-მთავრები". ორივეში ერთი თემაა — სიკვდილის თემა. ორივეში ჩამოთვლილნი არიან — პირველში ბევრი ცნობილი და არაცნობილი მანდილოსანი, მათთვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნით, იქნება სილამაზე თუ სხვა. მეორეში ჩამოთვლილია ძველი დროის წარჩინებული პირები, მეფეები და მხედართმთავრები, რომლებიც ოდესღაც შიშის ზარს სცემდნენ გარშემო მყოფ საშეფოებს, განთქმულნი იყვნენ სიმამაცითა და რაინდობით. მაგრამ მშვენიერი ბანოვანები და ამა სოფლის ყოვლადძლიერნი იხევე გაქრნენ, როგორც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი, მდაბიო თუ გლახაკი.

„სად გარდასულან გაუთენებლად,
რომელ მხარეში დაიდეს ბინა?
სად არი ფლორა რომის მშვენება?
არქიპიადა, თაიდა, ფრინა?
დიდმშვენიერი მათი დობილი
სად არი ეკო, ტყის ბინადარი?
ნაკადულებთან ხმაშეწყობილი
ვაი, შარშანდელი თოვლი სად არი?
„ან ელოიზა, ასული ბრძენი,
სიყვარულის და სიშმაგის წერა,
ვინც აბელარი, მოძღვარი ჩვენი
საჭურისყო და აღკვეცა ბერად?
ან დედოფალი, ვინაც ბედკრული
ჟან ბურიდანი, სიბრძნის მადანი,
მდინარეს მისცა ხელფენშეკრული?
ვაი, შარშანდელი თოვლი სად არი?
„სად არი ბლანშე, სოსანი, ველთა,
ხმით სირინოზი, „ხარით" ლამაზი?
ან ბეატრისა, ალისა, ბერტა
ვინ დედოფალი, ვინ სეფექალი?
სად არი ჟანა, ვისაც სამმარედ
ეკცა რუანში ცეცხლი ღადარი?
სად, სად არიან მთელი ამალით?
ვაი, შარშანდელი თოვლი სად არი?
„სად და რომელ ცისქვეშ არი
არტურ ქველი? ალფონს ხელი?
ან კალისტე, რომში მჯდარი
სამი თვე და სამი წელი?
სხვა მეფენი მათგან კიდე
სარდლები და მათი სპანი?
თქვი, სად არი შარლ მეშვიდე?
თქვი, სად არი შარლემანი?
ან ჯეკობი, მეფე სკოტთა,
ვინც პროფილში მწყემსდა თვისტომს
ნახევარი სახე ჰქონდა,
ნახევარი — ამეთვისტო?
მერე რა, თუ მძლეთამძლენი...
მერე რა, თუ ეიდრე სხვანი...
თქვი, სად არი დე კლაკენი?
თქვი, სად არი შარლემანი?
სად წარუძღვა ნეტარ ბედი
ბოჰემიის მეფის კარლოს?
ესპანეთის მეფეს კეთილს
სახელი რომ ალარ მახსოვს?
ვერა ხერხით, ვერა ღონით...
მოთვლილია დრო და ხანი...
თქვი, სად არი დ' ალანსონი?
თქვი სად არი შარლემანი?

ორივე ბალადა დეტალურად შევადარეთ ორიგინალს.

ჩვენ ხელთ გვქონდა აგრეთვე „ძველი დროის ბანოვანების" — შვიდი რუსი პოეტის თარგმანიც: ბრიუსოვის (1918), გუმილევის (1918), პინუხის (1914), ერენბურგის, (1916, მენდელსონის (1988), კორნეევის (1982), დმიტრიევის (1988). ამათგან აზრობრივი დატვირთვით, შინაარსის და ინტონაციის გადმოცემით საუკეთესოებად მივიჩნიეთ ბრიუსოვის და მენდელსონის თარგმანები. გუმილევის თარგმანი ძალიან თავისუფალი მოგვეჩვენა, ინტონაცია არ არის ზუსტად დაჭერილი, ბევრი ზედმეტი სიტყვაა დამატებული, რომელიც ორიგინალის სიტყვებს მიახლოებითაც არ ცვლის. მაგ. ეკოს გული ჩქარა უძგერდა, ბურიდანი სენაში გადაეგდეს, როგორც ქურდი და სხვა. აკლია საკუთარი სახელები — თაიხი, ბეატრისა, სიტყვები — ბერი, საჭურისყო და სხვა. ბრიუსოვის და მენდელსონის

ნის თარგმანები ახლოს დგანან დედანთან. ბრიუსოვს მშვენივრად აქვს გადმოცემული დედნის ინტონაცია, მაგრამ ერთი-ორი გაუმართლებელი უზუსტობა იქაც არის.

ამ ბალადის ქართულ თარგმანში უმნიშვნელო ცვლილებებია. დამატებულია „ხიშმაგის წერა (ელოიზაზე), „ხიბრძნის მადანი" (ბურიდანზე). ეს მცირეოდენი ცვლილებები ხრულიად ბუნებრივად ცვლიან ორიგინალის სიტყვებს და აზრობრივად ემთხვევიან დედანს.

ჩვენი აზრით, „ძველი დროის ბანოვანების" ქართული თარგმანი მაქსიმალურად ადეკვატურია დედნის, როგორც აზრითა და შინაარსით, ასევე ინტონაციით. დედანში ზემოთმოყვანილ ორ ბალადას ხრულიად განსხვავებული ეღერადობა აქვთ. საინტერესოა როგორ და რა საშუალებებით მოახერხა მთარგმნელმა ამ განსხვავებული ინტონაციების შესატყვისის პოვნა.

ორივე ბალადა კომპოზიციურად ერთნაირად არის აგებული, ორივეში არის ჩამოთვლა, ორივე რვამარცვლიანია, ორივეს ახლავს რეფრენი, ორივეში ერთი თემაა, ორივეში ჯვარედინი რითმებია (abababcbc). ინტონაციის განსხვავება კი თვალშისაცემია. ერთში ხევდიან-შელანქოლიურია, მეორეში კი რიხიან-გამოწვევი. მართალია, ორივე ბალადა იწყება შეკითხვით, თუ სად არიან ეს პიროვნებები, მაგრამ უკვე პირველი ფრაზები მიგვანიშნებენ ამ განსხვავებაზე, რომელიც ამ ორ ბალადას ახასიათებს: სწორედ ეს განსხვავებული ინტონაცია ქმნის ამ ბალადების განსხვავებულ განწყობილებას. პირველი ბალადის პირველივე ფრაზა — „სად გარდახულან გაუთენებლად, რომელ მხარეში დაიდეს ბინა?" — მკითხველს ხევდიან განწყობას უქმნის. მეორე ბალადაში კი შეკითხვა რიხიანად გაიხმის:

„სად და რომელ ცისკვეშ არი, ირტყერ ქველი, ალფონს ხელი?

შეკითხვა კი დაისმის, მაგრამ იგი ავტორს თითქოს არც კი აინტერესებს, იგრძნობა ერთგვარი აგდებული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რადგან არაფერი არაფრად ღირს: მესამე და მეოთხე წინადადებები: „ან კალიხტე რომში მჯდარი სამი თვე და სამი წელი" — ამ არახევდიან ტონალობას ირონიულს ამატებს: ჯერ ერთი ახეთი დაზუსტებით ავტორი ან კალიხტეს დასცინის, ან მკითხველს ატყუებს, რადგან არც თვითონ იცის და არც რაიმე მნიშვნელობას ანიჭებს ვინმე კალიხტეს რომში ჯდომის დროს. შემდეგ სტროფებში ხუმრობის ელემენტი ჩნდება: „ესპანეთის მეფეს კეთილს, ხანელი რომ ალარ მახსოვს" ან და შემდეგ „ვგონებ ყანი, ვგონებ ეკი". ყოველი სტროფი რეფრენით თავრდება: „თქვი სად არის შარლემანი?" რომელიც გვიდასტურებს ბალადის ირონიულ-იუმორულ ტონალობას; ხოლო ბოლო სტროფის რეფრენის წინა წინადადება: „ზღაპარია ეს სოფელი" ისევ პირველ შთაბეჭდილებას გვიმტკიცებს: [illegible] ვდავია, არაფერი არაფრად [illegible] ბალადაში ათჯერ იხმარება შეკითხვა „სად", ამ ბალადაში „სად" იხმარება მხოლოდ ორჯერ და იგი შეცვლილია იმპერატიული ტონალობის „თქვი"-თ (7-ჯერ). დედანში ლექსი რვამარცვლიანია, თარგმანიც რვამარცვლიანია. დედნის ჯალური რითმები თარგმანშიც ჯალურითაა გადმოტანილი; ნახმარია ჯვარედინი რითმები.

რაც შეეხება პირველ ბალადას, მისი პირველი მიმართვა-შეკითხვის ხევდიანი ტონალობა ნელ-ნელა ძლიერდება, ხოლო ოთხჯერ გამეორებული რეფრენი ამ განწყობას აგვირგვინებს. ვფიქრობთ, რომ „ბანოვანების" მთლიან ხევდიან ეღერადობას ქმნის შემდეგი კომპონენტების ერთიანობა:

1. პირველივე წინადადება — შეკითხვის ინტონაცია ხევდიანია. იგი ძლიერდება ყოველი სტროფის ბოლოში გამეორებული რეფრენით, რომელიც ბედიხწერასავით გაისმის „ვაი, შარშანდელი თოვლი სად არის" (შევადაროთ „თქვი სად არი შარლემანი?).

2. რეფრენის მინორული ტონალობა.

3. დედნის რვამარცვლიანი სტრიქონი ქართულში ათი მარცვლით არის გადმოტანილი.

4. დედანში ჯალური რითმებია, ქართულში ჯალური და დაჭილური რითმების მონაცვლეობაა.

5 ანაფორად იხმარება დაყენებული, 10-ჯერ გამეორებული შეკითხვა — „სად". მეხამე სტროფის ბოლოსწინა სტრიქონში კი ზედიზედ ორჯერ მეორდება „სად", „სად არიან..." შეკითხვას „სად" ხაშჯერ ცვლის „ან" და ერთხელ „რომელ მხარეში, ე. ი. სულ 14-ჯერ არის დასმული შეკითხვა. დედანში — 12-ჯერ (10-ჯერ „სად", ერთხელ „ან" ერთხელ „რომელ ქვეყანაში").

6. ჩამოთვლის პრინციპი, რაც ნიშნავს ყველას.

7. ბალადაში არ იგრძნობა არც ირონია, არც იუმორი.

ეტყობა ამ ელემენტების ერთიანობა სიტყვების სემანტიკურ დატვირთვასა და ფონეტიკურ ეღერადობასთან ერთად ქმნიან ამ ბალადის მონოტონური ლიტანიის ეღერადობას და მთლიანად ხევდიან ინტონაციას.

როგორც ვნახეთ, ვიიონი სხვადასხვაგვარად მიაგებს „პატივს" ბანოვანებს და მეფე-მთავრებს. ჯერ ერთი ცალ-ცალკე უძღვნის ბალადებს. მართალია, მას „ხაჭალეთი შეაძულეს", მაგრამ მაინც „რაინდივით" ინდობს ჭალებს და ირონიას არ ურევს მათდამი მიძღვნილ ლექ-

ხში. მეფეებსა და მთავრებს კი უფრო აგდებულად მოიხსენიებს.

თუ ბალადათა უმრავლესობაში, თუ სტროფებში სიკვდილის თემა ხევდიან-მელანქოლიური ტონალობისაა, ზოგში ეს ყღერადობა ტრაგიკულამდე აღწევს. პოეტი მხატვრის თვალით იწყებს სიკვდილის ხაშინელი სურათების მოხატვას: თავის ქალებს, დაჩორკნილ თვალებს, მომაკვდავთა აგონიას და ჩამობრჩობილთა ამაზრზენ ცეკვას, იგი კარგი გრაფიკოსივით ხაზსა და მოძრაობას უსვამს ხაზს, რითაც გოიას ოფორტებს გვაგონებს. ვიიონმა არამც თუ წარმოიდგინა სიკვდილი, არამედ ფიზიკურადაც შეიგრძნო იგი, რადგან დღეების განმავლობაში სიკვდილმიხჯილთა საკანში ყოველ წუთს ელოდა სახრჩობელაზე წაყვანას. სიკვდილზე ფიქრმა და ამ შეგრძნებამ შექმნა მისი შედევრი „ჩამობრჩობილთა ბალადა". თარგმანი შესანიშნავად გადმოსცემს ბალადის სახოწარკვეთილ, სამყლოვიარო ყღერადობას და შესაბამის სურათს ხატავს. თარგმანის ინტონაცია დედნის ადეკვატურია:

„ყვავს უხმობს ყვავი, კაჭკაჭების გუნდი
გვეხვევა,
შესვეს თვალები, ამოგვწიწკნეს წარბი
და წვერი,
ვქანაობთ ძელზე, დაჩხვლეტილნი
სათითესავით
ზენა და ქვენა. ბრუნავს ქარი,
ჭრიალებს ძელი,
ზენა და ქვენა. გვაქანავებს. თამაშობს
ქარი.
ზენა და ქვენა და სამარის დახშული კარი.
მზე შავად გვშაშრავს გარესკნელის
ბოლო ბილიკზე,
მზე შავად გვშაშრავს, შავად გვალტობს
წვიმა და თოვლი,
მოყვასის ყულფი არ გვანებებს, მიწად
მივიქცეთ
თქვით მხოლოდ ლოცვა, უფალია
განმსჯელი ყოვლის".

ამ ერსამე სტროფის ბწკარედია: „წვიმამ ჩვენ გადაგვრეცხა; მზემ გაგვაბნო და გაგვაშავა, კაჭკაჭებმა და ყვავებმა თვალები დაგვთხარეს, მოგვაგლიჯეს წვერი და წარბები. არცერთი წამი წყნარად არა ვართ, ქარის ცვალებადობა ხან აქეთ, ხან იქით გვაქანავებს; მისი სიამოვნების მიხედვით გვატრიალებს და გვაბრუნებს; უფრო დაჩხვლეტილები ვართ, ვიდრე ხათითე. ჩვენ ხაძმოს არ შეუერთდეთ; ილოცეთ ღმერთთან, რომ ინებოს ჩვენი შენდობა". დედნის ათმარცვლიანი სტრიქონი თარგმანში 14 მარცვლიანად არის გადმოტანილი. ბალადაში რვა სტრიქონის ნაცვლად ათი სტრიქონია; რითმაც იცვლება; მართალია, ჯვარედინი რითმებია, მაგრამ ასევე განლაგებული: abababcdcd; ქალური და ვაუური რითმების მონაცვლეობაა. პირველ სტროფში არის აბაბბბცდცდ. მეორე სტროფში — ააააბბაბაბ. ჩვენს [illegible] სტროფში: — ბბბბბცბცბ. მეხუთე სტროფს ტრაგიკულ ინტონაციას ქმნის სტრიქონების დაყოფა: „ზენა და ქვენა. ბრუნავს ქარი. ჭრიალებს ძელი", რითმების თავისებური წყობა, სამჯერ გამეორებული „ზენა და ქვენა", ორჯერ გამეორებული „მზე შავად გვშაშრავს", სიტყვების სემანტიკური მნიშვნელობა და ფონეტიკური ყღერადობა.

ვიიონს ხშირად ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ, მოხეტიალე, მაწანწალა პოეტს უწოდებენ. მართალია, ვიიონი იძულებული იყო ხშირად ეცვალა ადგილმდებარეობა, მაგრამ იგი ქალაქელი, პარიზელი პოეტია, თანაც განათლებული: იცის ბიბლია, მითოლოგია, აქვს სორბონის ხელოვნების მაგისტრის წოდება, მშვენივრად ფლობს როგორც ლიტერატურულ, ასევე ხალხურ ენას, უამრავი გამოთქმებითა და იდიომებით, თავის ერუდიციას ხალხურ სულში ატარებს, რომელსაც „ერთდროულად წმენდს და ლესავს", რადგან ხალხური ენისა და ლექსების ძალა და მიმზიდველობა იცის. დაუღლელი სუნთქვა აქვს, ულევი ძალა და ენერგია, მაგრამ ზომიერების გრძნობას არ კარგავს და გემოვნებითაც გამოირჩევა. მისი უნა არის ცოცხალი, სალი, საყოველდღეო, სადა და ნათელი. სწორედ ამ სისადავემ და სინათლემ გადაარჩინა იგი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებული ალეგორიებისა და მაღალფარდოვანებისაგან.

ვიიონის პოეზიის ერთი წაკითხვით შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნეს, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს ფორმის დახვეწილობას, ლექსთწყობის წესებს, არ ეძებს რითმების კომბინაციებს. მაგრამ მისი ლექსების ლაღ / და ბუნებრივ დინების უკან იმალება ლექსთწყობის წესების ღრმა ცოდნა და მათი ხმარების ოსტატობა. ვიიონს ლვთით მომადლებული პოეტური ნიჭი აქვს; იგი ბატონ-პატრონია რითმის, რიტმის, ყღერადობის, თავისუფლად და ლაღად ცვლის მათ იმის მიხედვით, თუ რისი თქმა უნდა: ხან მელოდიურ-გრაციოზულია, ხან ირონიულია, ხან სამგლოვიარო სევლის შემზარავი ყღერადობა ისმის, ხან ძველ ენას მიმართავს, ხან ამაღლებულ ტონს:

„მიწის მფარველო ქალბატონო, ცის
დედოფალო
მეოხ მექმენ და განმარიდე ცოდვილთა
ლიას,

რჩეულთა გვერდით, სადაც უფლის შუქი
მოგვალობს,
მომეც ადგილი შენს უბრალო ქრისტიან
დიაცს".

ვიიონმა ხრულად გამოიყენა რვა და ათმარცვლიანი ლექსთწყობის შესაძლებლობანი, მაგრამ რვამარცვლიან სტრიქონს ანიჭებს უპირატესობას (კრეტიენ დე ტროას დროიდან მოყოლებული ეს ფორმა არის გაბატონებული). რვამარცვლიანი ლექსის რვა სტრიქონად დაწყობაც იმდროინდელია, ასევე რითმების წყობაც. ვიიონი ხანდახან არღვევს სინტაქსს, წინადადებებს ფრჩხილებით გამოჰყოფს, სვამს შეკითხვებს, აქვს წამოძახილები, მიმართვები, მაგრამ ყოველივე ეს პოეზიისათვის უცხო არ არის და ტექსტში სრულიად ბუნებრივად ზის. პოეტი ხმარობს ხალხურ გამოთქმებს, ანდაზებს, კალამბურებს. ბილწსიტყვაობასაც არ ერიდება; აქვს ეკრიხტიბები.

ვიიონის ერთ-ერთი საყვარელი ენობრივი ხაშუალება, როცა დაცინვა უნდა ან პაროდირება არის ანტიფრაზა: ორპირი არის ნადდი ძმობილი, მატყუარა არის ნამდვილი ადამიანი; მსტოვრობა არის სუფთა ხელობა; ავყია — ტკბილმოუბარი, მიჯნური — ჭკუადაწყობილი, როსკიპი —შეუცდენელი, ალალი — ყოველად ცბიერი და სხვა („უკუთქმათა ბალადა"). ხანდახან მთელი სტროფი ან წინადადება შეიძლება გამოცალკევებულად გვეჩვენოს, მაგრამ ესეც პოეტის ერთ-ერთი ხერხია, რომ ინტონაციით ხაზი გაუსვას სულიერ ტკივილს თუ სასოწარკვეთას, ანდა თავიდანვე განაწყოს მკითხველი:

„კვდება ელენე, კვდება პარისიც..." ან „ძმებო ცოცხლებო, თქვენი მზერა თუ წაგვაწყდება, ქვად ნუ იქცევით, შეგვიბრალეთ..." ან ზემოთქმული „ხად გარდახულან გაუთენებლად..." ან და „ვინ არის? — მე ვარ, შენი გული. — ვინ? შენი გული" და სხვა.

ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ვიიონის პოეზიის უმძლავრესი იარაღი, რომელიც ლექსთწყობის ყველა საშუალებებს კრავს და აერთიანებს, არის ინტონაცია. ვიიონი რიტმის და სიტყვათა შეთანხმების ოსტატია, ინტონაციის კი დიდოსტატი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვიიონის პოეზიაში ადამიანის ფიზიკური ყოფნის მძაფრი შეგრძნებაა. ამით კიდევ ერთხელ განსხვავდება ყველა დროის დიდი პოეტისაგან. პოეტი ადამიანებისაგან განცალკევებით არ დგას, ზემოდან მათ არ უყურებს და არც თავის თავშია ჩახურული. პირიქით, თანაუგრძნობს ყველას, ვისაც კი უსამართლობა უგემია. მისთვის სულერთია ანგელოსები არიან ისინი თუ ცოდვილები, ვინ არიან და რას აკეთებენ, თუ რაიმე ნაკლის გამო ვინმეს დასცინის, ამ დაცინვაში თბილი ირონიაა და არა გესლი. მაგ. ადამიანზე, რომელმაც იგი გასცა, ამბობს:

„გადამიწერია მეტრმა ტაბარენელი,
ქაცმა დაღლილმა სიმარტივისა ენერგიანი"

ვიიონის სევდას და ირონიასაც ხიბრალულის და შეცოდების ტონალობა აქვს, ამიტომ მის გარშემო სიცარიელე არ არის, როგორც ბოდლერსა თუ ლოტრეამონის გარშემო. ვიიონს მიაჩნია, რომ იგი „სხვა მიტოვებულ ადამიანებთან ერთად შუა ზღვაში არის ტივზე, რომელიც ყველას ერთად რაღაც გაურკვევლობისაკენ მიაქანებს".

ვიიონი ხრულიად განცალკევებულად დგას მსოფლიო პოეზიის ისტორიაში, იშვიათად თუ მოიძებნება ასე მკვეთრად გამოხატული, პიპიროვნული, ყველასგან განსხვავებული ასე ნატანჯი და ასეთი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პოეტი. პოეტი, ერთდროულად თბილი და ირონიული, კეთილი და ენამწარე, ამაღლებული და მოქილიკე, პოეტი, რომელიც ერთდროულად ადამიანებს აცინებს, სევდას ჰგვრის და ჩაფიქრებს: „ვიცი ცრემლი და ცრემლში სიცილი", ამბობს იგი „წვრილთქმათა ბალადაში".

ვეცადეთ ვიიონის შესახებ მოკლედ ყველაფერი გვეთქვა. გზა და გზა მოვიყვანეთ ქართული თარგმანიდან ადგილები, შევადარეთ რამდენიმე ბალადის და სტროფის დედანი თარგმანს. ვფიქრობთ ციტირება ზედმეტიც მოგვვიდა, მაგრამ საუკეთესოდ თარგმნილი ადგილების შერჩევისას რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, იმდენად ხრულყოფილია ქართული თარგმანი.

თარგმანში უხვად არის ნახმარი გამოთქმები: „იქით ისაო, აქეთ ესაო", „სადაც ალბანა, იქაც ჩალბანა", „ზღაპარია ეს სოფელი", „მშრალზე დამრჩება ხანათესაო", „ეჰა, სიბერე კრულო", „ხამაგიეროდ ეს ერთი რად ღირს", „თავი არ იცის, რა ქვას ახალოს", „ხულს გააფრთხობენ ამ ხიცივეში", „რა მათთვის მცხელა", „კვლა მშრალზე ზიხარ", „დაკა-დაკა", „იწილო-ბიწილო", „ქბილი ცუდად დამახო", „ხიტყვა უჭრის", „არ გაიტეხდა მაინც იხტიბარს", „ყაბულსა ვარ", „უგონ-ულსმენ-უბედური", „გულის სწორი" და სხვა.

ეს გამოთქმები და თითქოსდა უმნიშვნელო სიტყვები მთარგმნელმა იხმარა ქართული ენის მდინარეობისათვის, ცხადია, ეუცილებელი აზრობრივი დატვირთვით. მთლიანობაში, სწორედ ეს სიტყვები და გამოთქმები აძლევენ თარგმანს ქართულ ძარღვს, მაგრამ თვალში არ გვეცემიან და ერთ მთლიან ორგანიზმად კრავენ ვიიონის პოეზიას ქართულად.

მკითხველს თარგმანის კიდევ რამდენიმე ნიმუშს გავაცნობთ: დედნის XXXII სტროფში საუბარია შეძლებულ ხალხზე, ჭამა რომ უყვართ, ჩამოთვლილია რამდენიმე ფრანგული კერძი და ნათქვამია, რომ კარგი ღვინოები აქვთ:

„მე შენ გეტყვი და აკლიათ ლუკმა,
მე შენ გეტყვი და აკლიათ მადა,
ჭამენ საჭმელებს ნუგბარს და ნუგბარს
ზედ აყოლებენ ღვინოს და ბადაგს".

ზოგ სტროფში მთელი წინადადებაა დამატებული, რომელიც დედანში არ არის, მაგრამ აზრი ზუსტად არის გადმოცემული. მაგ. დედანში (სტროფი XVI) არის: „თუ ჩემი სიკვდილი საზოგადოებას რაიმე სარგებლობას მოუტანს, თავს სიკვდილს მივცემდი: ფეხზე ვიქნები თუ კუბოში ვიწვები, მთები ადგილიდან არ დაიძვრებიან, ვიღაც ლატაკის გამო:"

„ჩემი გაქრობა გულხელდაკრეფით
თუკი ქვეყანას მოუტანს შველას,
მზადა ვარ, მაგრამ როცა გავქრები
ვეუბნ სიკეთისკენ მოიქცეს ყველა.
რა ბედენაა, კიდევ ერთ ნამორს
თუ გაჩორკნიან კუბოს ფიცრებად
ვიღაც ლატაკი სქოლარის გამო
ცა და ქვეყანა არ შეიძრება".

X სტროფი ძალიან თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. დედანში ნათქვამია, „ჩემს გულს ვუტოვებ ჩარჩოში ჩასმულს", თარგმანში კი გკითხულობთ:

„...წმინდად ვასრულებ
მიჯნურ რჯინდთა უძველეს ადათს".

აქ, მართალია, ყველა სიტყვა შეცვლილია, მაგრამ აზრი ზუსტი და სრულია: შუასაუკუნეებში კურტუაზულ ლიტერატურაში დალუპული რაინდის გული ლარნაკში ჩასმული, რაინდის მიჯნურ-ჯალბატონს უბრუნდებოდა. XXVIII სტროფი თავისუფალი თარგმანია, მაგრამ აზრი შერწყმული ინტონაციასთან იმდენად ადექვატურად გადმოსცემს დედნის აზრს, რომ ეს სტროფი თარგმანის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია:

„და გაქრნენ დღენი ისევე მალად
როგორც ქრებიან ბეწვები სელის
როცა ქსოვილზე ანთებულ ჩალას
გადაატარებს ფეიქრის ხელი".
„კიდევ ცოტა და გავშლი პერ-მარილს
ერთად დავსხდებით მქებელ-მგმობელი
კარზე მომდგარა დიდი მკურნალი
ყველა ტკივილის გამაქრობელი."

აზრობრივი დატვირთვის და ინტონაციის აბსოლუტური სიზუსტის რამდენიმე მაგალითსაც მოვიყვანთ: ბალადიდან „შეთბუნება ბლუაში, მგოსანთა შეჯიბრზე":

„პატივაყრილი, ვარ ეიმეი ფეხდაფეხ დამდევს უბედობა მე ქუდბედიანს,
ჩემი ნამდვილი მეგობარი მხოლოდ ის არი
ვინც დამარწმუნებს, რომ ყორანი შავი გედია."

ანდა ნაწყვეტს „ორკეცი ბალადიდან":

„ჰეროდემ მთერალმა იხმო მცველები
იხმო და ეგებ არ უწყის ზოგმა
რომ იოანე ნათლისმცემელი
ემსხვერპლა ქალის ვნებიან გოგმანს..."

ანდა ირონიულ LXXVII სტროფს:

„ჩამორიგებას დავიწყებ მყისვე,
რა გავაფრთხილებ ყველა ჩემიანს
ჩემი მდივანი ფრემენიც მისმენს,
თუ რა თქმა უნდა, არ ჩასთვლემია".

აბსოლუტური სიზუსტით არის თარგმნილი სტროფების ბოლოში დასკვნა-ხენტენციების მსგავსი გამონათქვამები:

„თუ ვინმემ მართლა სიკეთე გიქნა
ხამს სიკეთისა არდავიწყება".

„კარგად მომექეცა, კარგით მოგეზღას,
ავად მომექეცა, მოგეზღას ავით".

„რაც მაშინ მისგან სიამე ვნახე
ღმერთმა მიაგოს იმ სიამითვე."

„შიმშილს გამოპყავს ნადირი ტყიდან
კაცს საავკაცოდ შიმშილი გზავნის."
„რი გირჩევნია, დაფიქრდი, ბრიყვო,
იყო ბოგანო, სიპ ქვაზე მჯდარი
თუ სიპქვეშ მწოლი თავადი იყო?"

კიდევ და კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა გვინდა, გვენანება, რომ არც კი ვახსენეთ: „გაბაასება საკუთარ გულთან", „ანდაზების ბალადა", „უკანასკნელი ბალადა", „ბალადა შენდობის თხოვნისა" და სტროფები „დიდი ანდერძისა", ერთიმეორეზე კარგად თარგმნილი სტროფები.

ყოველივე ზემოთქმულით და ქართული თარგმანიდან მოყვანილი პასაჟებით ნათელია, რომ 1. ვიიონის სინტაქსი თარგმანში ხასიათით ქართულია და ბუნებრივად მიედინება. 2. ხალხურია თარგმანის ლექსიკა, ანდაზები, ენაწყლიანობა, სკაბრეზული გამოთქმები და სხვა. 3. თარ-

გმანში ყველა გამოთქმა, ანდაზა, იდიომი თუ სხვა თავის ადგილას ზის ზუსტად, თვალში არ გვეცემა და პირველ პლანზე არა დგას. ფ. ვიიონის ცოცხალი და ძარღვიანი დიალოგები ასევე ეღერს ქართულად. ნ. ერთნაირი ოსტატობით არის თარგმნილი, როგორც ლირიული, ამაღლებული სტილის სტროფები, ასევე ირონიული და ბილწსიტყვაობის შემცველი პასაჟები.

ამასწინათ დალი ფანჯიკიძის წიგნში ამოვიკითხე თომას მანის აზრი თარგმანის შესახებ: „თარგმანში იკარგება მისი ბუნებრიობა, ირღვევა რიტმი, იკარგება ყველა ფაქიზი ნიუანსი". თუკი ამ აზრში არის ჭეშმარიტების მარცვალი, ამ შემთხვევაში იგი მცდარია, რადგან ვიიონის ქართულ თარგმანში არც ბუნებრიობაა დაკარგული, არც რიტმია დარღვეული; ვფიქრობთ, რომ ნიუანსებიც სწორედ და მაღალ დონეზეა გადმოქართულებული.

„საკმაო არაა, რომ მწერალი (მთარგმნელი) უნაკლოდ იცნობდეს დედაენის გრამატიკულ წყობას, მის იდიომებსა და მის ლექსიკას; ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ სინტაქსის და ლექსიკონის საზღვრებს სცილდება და უშუალო კონტაქტს ამყარებს ენის ბუნებასთან, გრძნობს იდუმალ ძალებს, რომლებიც ენაშია დაფარული".[1] ბ.ნ გერონტი ქიქოძის ეს სიტყვები ზუსტად უხდება ვიიონის პოეზიის მთარგმნელს. დ. წერედიანი ეტყობა ბრწყინვალედ ფლობს ქართულს და საოცრად უყვარს ძველ ეტყობა მშობლიური ენის ბუნების იდუმალ ძალებსაც მძაფრად შეიგრძნობს. დედნის სინამდვილე, მისი ფორმა და შინაარსი, ლექსთწყობის თავისებურება მაქსიმალური ადეკვატურობით არის გადმოტანილი ქართულად. მთარგმნელი არა მარტო ჩასწვდა ვიიონის პოეზიის არსსა და ხულს, არამედ გაითავისა და შეისისხლხორცა მისი ყველა პოეტური ხაშუალება. თარგმანის შესავალში მთარგმნელი მოკლედ, მაგრამ ზუსტად ახასიათებს ვიიონის პოეტურ ხერხებს: „ვიიონის ლექსებში პოეტურ ტროპებს იშვიათად წააწყდებით; შედარებებით, მეტაფორებით, დამწყაზრული ეპითეტებით იგი არ გვანებივრებს, ცდილობს ხათქმელი თქვას ხადად, ზოგჯერ ხრულიად შიშვლად, მაგრამ მარტივად არა... ლექსს კი ყოველთვის აქვს მეორე პლანი, ხან ხერიოზული, ხან ირონიული ქვეტექსტი ...მის ყოველ ლექსს, ყოველ სტრიქონს პირადულობის ბეჭედი აზისა... მან იცოდა პოეზიის ერთი უიშვიათესი საიდუმლო — ლექსიკათვის სიცოცხლე მიეცა. მისი ხელიდან მკვდრადშობილი არაფერი გამოსულა... პოეტური ტრიკის მაგივრობას ვიიონთან ინტონაცია ასრულებს. მისი ხმა ძალიან ფართო რეგისტრში სრულიად თავისუფლად მოძრაობს".[2]

თარგმანში მოჩანს ქართული ენის გასაოცარი მოქნილობა და აზრის მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემის უნარი და ალღო. ამიტომ არის, რომ ემოციური ზემოქმედება ორიგინალის ადეკვატურია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ვიიონი ქართულად ისევე ხადად იკითხება და ღრმად აღიქმება, როგორც ფრანგულად. ისევე, როგორც ფრანგულში, ხადაც ლექსების თავისუფალი და უშუალო დინება მეტრის და სტრუქტურის სიმარტივის შთაბეჭდილებას ტოვებს, ასევეა თარგმანში. „ამ უბრალოება-სირთულეში არის ვიიონის კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი". სწორედ ამ ხისადავისა და სირთულის ჰარმონიული შერწყმა არის უდიდესი ოსტატობით გადმოქართულებული.

...ისე რომ, ქართული ენის სიმდიდრემ და მრავალფეროვანებამ ჭიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ის მარადი და ზოგადსაკაცობრიო ვნებანი, შუახაკუნეების მიწურულს ახე დიდებულად რომ გალექსა ფრანსუა ვიიონმა და ახე დიდებულად რომ გადმოაქართულა XX საუკუნის მიწურულს დავით წერედიანმა.

ფრანსუა ვიიონმა ლირსეულად გაიარა ქართულ მიწაზე, რადგან მისი პოეზიის თარგმნას ხელი მოჰკიდა ბრწყინვალე მექართულემ, თავად პოეტმა და ფრანგული ენის მცოდნემ. იმედია, რომ ამ თარგმანის წყალობით ვიიონი ხაპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენში, ისეთივეს, როგორიც მას ფრანგულ და მსოფლიო ლიტერატურაში უკავია.

იმის იმედიც გვაქვს, რომ დავით წერედიანი მომავალში ფრანგული ლიტერატურის არა ერთი შედევრის ქართული თარგმანით ეროვნული კულტურის საგანძურს გაამდიდრებს, ჩვენ, მკითხველებს კი, დიდ ესთეტურ ხიამოვნებას მოგვანიჭებს.

---

[1] გ. ქიქოძე — „მოგონებები" — სიტყვები და წერილები" 1956 წ. გვ. 195.

[2] დ. წერედიანი — „ფრანსუა ვიიონი", გამომც. „მერანი", 1986 წ. გვ. 12—13.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **ლამარა თელიამ**

„საყვარელო სკოტი“...

მამის დარიგებანი ქალიშვილს

„საყვარელო წიწილავ“, „საყვარელო სკოტი“, — ამ სიტყვებით იწყება გამოჩენილი ამერიკელი მწერლის ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის წერილები თავისი ქალიშვილისადმი, რომელიც მისი ერთადერთი ახლობელი ადამიანი იყო. პირველი წერილი გაგზავნილია 1933 წელს, როცა გოგონა 12 წლისა იყო, უკანასკნელი კი — 1940 წელს, როცა მწერალი გარდაიცვალა.

სკოტის დედა სულით ავადმყოფი იყო. გოგონა იზრდებოდა დახურულ პანსიონატებში და სწავლობდა პრივილეგირებულ კოლეჯებში. იქ მის ირგვლივ ტრიალებდნენ შეძლებული ბურჟუაზიული ოჯახების შვილები, რომლებიც მასზე ცუდ გავლენას ახდენდნენ, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ფიცჯერალდი უსაზღვროდ მომთმენი და მზრუნველი მამა იყო. წერილები, რომლებსაც იგი კვირაში ერთხელ წერდა ქალიშვილს, დარჩა, როგორც ძეგლი ხანდახან მომთხოვნი, მაგრამ ყოველთვის ნაზი, ჭეშმარიტი მამობრივი სიყვარულისა. ამ წერილებში ჩანს მწერლის სურვილი, გადასცეს შვილს საკუთარი გამოცდილება, ყველაფერი გააკეთოს, რათა ნახოს იგი უფრო ბედნიერი, ვიდრე თვითონ იყო. ფიცჯერალდის ცხოვრების გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი, თუმცა მისი სამწერლო ბიოგრაფია წარმატებით დაიწყო.

ქალიშვილისადმი მიწერილი წერილები აღსავსეა ნაღველითა და იმედებით. ეს წერილები არ არის მწერლის ბიოგრაფიის ცალკეული ფაქტები; არც ერთი რომელიმე მამის მიერ შვილისადმი მიცემული დარიგებების კრებულია.

ვფიქრობთ, მწერლის აზრები ბევრს დააფიქრებს.

ტოუნსონი, მერილენდი, 1933 წლის 8 აგვისტო.

საყვარელო წიწილავ... ძალიან კარგია, რომ თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობ, მაგრამ, ხომ იცი, მე მაინცდამაინც არ მჭირია ბედნიერებისა, არც უბედურებისა. ერთიცა და მეორეც მარტო სპექტაკლებში, კინოსა და წიგნებში გვხვდება, ცხოვრებაში კი ასეთი არაფერი არსებობს.

მე მწამს, რომ კაცი ისე ცხოვრობს, როგორც იმსახურებს (თავისი ნიჭისა და თვისებების მიხედვით). ხოლო, როცა აკეთებს იმას, რაც საჭირო არ არის, უნდა ზღო, თანაც ცოტათი კი არა, ორმაგად...

ასე და ამგვარად, მიიღე შენი სულელი მამის დარიგებანი.

რას უნდა მიაღწიო?: — ეცადე იყო მამაცი, ფაქიზი, კარგი მშრომელი, ასევე კარგი ცხენოსანი და ასე შემდეგ.

რისი მიღწევა არ არის საჭირო? ნუ ეცდები ყველას მოეწონო, ნურც იმას, რომ შენს თოჯინებს არაფერი ეტკინოთ. ნუ იფიქრებ წარსულზე, ნურც მომავალზე, ნურც იმაზე, რა მოგივა, როცა გაიზრდები, ან იმაზე, წინ არავინ გადაგასწროს, ნუ იფიქრებ საკუთარ წარმატებებზე, ნურც მარცხზე, თუკი ისინი შენი მიზეზით არ მოგსვლია. ნურც იმაზე, რა მწარედ იკბინებიან კოღოები, ან ბუზები და სხვა მწერები. ნუ იფიქრებ მზობლებზე, და ბიჭებზე. ნურც საკუთარი იმედების გაცრუებაზე და სიხარულებზე, ანდა, უბრალოდ, სახიამოვნო განცდებზე.

რაზე უნდა იფიქრო?: — რა მიტაცებს? სხვებზე უკეთესი ვარ თუ უარესი: ა) სწავლაში, ბ) ადამიანის გაგებასა და მასთან ურთიერთობის დამყარებაში, გ) მაქვს თუ არა უნარი ვფლობდე საკუთარ სხეულს.

მიყვარხარ; მამა.

1935 წლის ზაფხული. სკოტი, ცუგრუმელავ... **შენ უკვე გამოდიხარ იმ ასაკიდან, როცა გოგონები საკმაოდ რთულნი ხდებიან ახლობლებისათვის. ეს პერიოდი, ჩვეულებრივ**

გრძელდება თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, შენ კი ჯერ თოთხმეტისა უნდა შესრულდ-ახე რომ, სხვებს გადაუსწარი. ჯერ სადა ბარ, სიმწარე შენ აწი ნახე... მანამდე კი ეი, რას იტყვი:

უკვე მესმის როგორ ენამწარობ: „ოო, მამაჩემმა ისევ დაიწყო წინასწარმეტყველობანას თამაში!“ იმაში, რაც შენ გეხება, მე თითქმის არაფერი შეშლება — ღმერთო, ნეტავი შეშლებოდეს! გახსოვს, „ახალი ამბების“ გამოშვება რომ გამოგიგზავნე? იქ არაფერი ახალი ამბავი არ იყო. შენ თავს იმტვრევდი ამ წერილზე და ვერ მიმხვდარიყავი, რისთვის დამჭირდა სათაური „სკოტის თავგზა აებნა“. იმისთვის, ჩემო კარგო, რომ ვიცოდი ასეც მოხდებოდა; ვიცოდი, რომ გამოჩნდებოდა ორისამი უმაწვილი ბრიყვი, რომლებიც ხელის გულზე დაგისვამდნენ, და შენც, რასაკვირველია, თავს დედოფლად წარმოიდგენდი და, მაშასადამე, თავგზაც აგერეოდა. არ იცოდი მხოლოდ ერთი რამ, — სახელდობრ სად იჩენდა თავს ეს სისულელეები. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს გამოხატულებას იპოვიდა იმ მეტისმეტად გულახდილ წერილებში, რომლებიც შენ გაუგზავნე ბიჭს, ვინც არც საიდუმლოს შენახვა იცის, არც ჭორებს არიდებს თავს; ეს ბიჭი აიღებს და შენს წერილებს აჩვენებს სხვას, ხწორედ იმას, ვისაც არ უნდა აჩვენოს...

თუმცა ყველაფერი სისულელეა. მხოლოდ იმისი მეშინია, რომ სხვა დროს უფრო მწარედ მოგბვდება ცხვირში. მაგრამ არაფერია, გაუძლებ. სამაგიეროდ ისწავლი საკუთარი საქმეების ჭკვიანურად მოგვარებას. ასეთი დარტყმები ადვილად რომ გადაიტანო, ალბათ, მართლა საჭიროა თვითონ დაზარალდე, მაშინ უცებ გაგინათდება გონება და მიხვდები, რომ სხვებს შეუძლიათ თავიანთი თავი შეაფასონ არანაკლებ, ვიდრე შენ აფასებ საკუთარს. ასე რომ, არ ვშიშობ. ოღონდ იცოდე, იმის გამო, რაც მოხდა, საკუთარ თავზე რწმენა არ შეგერყეს. რწმენა საკუთარი თავისადმი მშვენიერია, მომხიბვლელია, თუკი იგი ეყრდნობა ნამდვილ ღირსებებს — შრომის უნარს, სიმამაცეს და კიდევ ბევრ სხვა რამეს. მაგრამ თუ მარტო საკუთარი თავი გიყვარს, მაშინ უმჯობესია რწმენა ახლავე დაიმსხვრეს. ოღონდაც თავკერძა ნუ იქნები, დე მტკიცედ გჯეროდეს საკუთარი თავისა, — მაშინ ყველაფერი ნამდვილად კარგად იქნება. მე თვითონ თხუთმეტ წლამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩემს გარდა კიდევ ვინმე არსებობდა ქვეყანაზე და ეს აზრი საკმაოდ ძვირი დამიჯდა.

...მისის ოუენსმა (მას კი უყვარხარ) მითხრა: ამდენი ხნის მანძილზე სკოტი პირველად იყო კეთილი, თორემ უკვე მომზადებული ვიყავი კიდევ ერთი ხატანჯველისათვის, რა კარგი იყო მასთან ხაუბარი“.

ხედავ, რატომ იყო კარგი? ვფიქრობ, ეს იმიტომ, რომ შენ პირველად შეეცადე გაგებულ ხარ სხვისთვის, იმისთვის, ვინც მოკრძალებული, მძიმე ცხოვრებით ცხოვრობს. [illegible] ხოვია, რომ მათ გაეგოთ შენ[illegible]ში, და მართალიც იყავი — ისინი ამას უბრალოდ ვერც შეხძლებენ, მათ ხომ არ ჰქონიათ „მაღალ საზოგადოებაში“ ცხოვრების საშუალება. ადრე შენ მათ მარტო იმის ნებას აძლევდი, რომ მხოლოდ შენთვის საინტერესო ამბებს ჩაწვდომოდნენ (რა მადლობელი ვარ, რომ ხნობიზმს გადაურჩი — ამას კი მკაცრად ვადევნებდი თვალყურს), — შენ აინუნშიც არ აგდებდი მათს ცხოვრებას, მათს ხამყაროს. ოღონდაც! შენ ხომ გეჩვენებოდა, რომ საკუთარი საქმეების გარდა ყველაფერი უმნიშვნელოა. არც ერთხელ, ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულხარ, რომ იმათაც რაღაც აწუხებთ, იქნებ როგორღაც დახმარებოდი მათ!

ყოველთვის, როცა ხხვების წინაშე გაკეკლუცება, საკუთარი თავის წარმოჩენა მოგინდება, უნდა გახსოვდეს: ერთხელაც იქნება, კისერს მოიტეხ (ეს გარდაუვალია — ძალიან მინდა შეგიმსუბუქო ამ დარტყმით მოყენებული ტკივილი, მაგრამ მაინც გეტკინება, იმიტომ, რომ ჭკუას მხოლოდ გამოცდლებით სწავლობენ). ამაზე უფრო საშიში ის არის, რომ არაფრით არ გინდა გაიგო ერთი რამ: შენა ხარ მთელი საკაცობრიო ოჯახის უმცირესი ნაწილი. ჯერჯერობით კი მხოლოდ ქარაფშუტა ხარ და მეტი არაფერი. (მე მინახავს შენი თანატოლი „პოპულარული გოგონები“, რომლებსაც რაღაც ნახევარ წელიწადში დაუკარგავთ ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ, იმიტომ, რომ არსებითად ეგოისტები იყვნენ). შენ და პერსიკმა (სკოტის მეგობარი — რედ.) რომელიც, ჩემი აზრით, ეგოისტი არ უნდა იყოს, სხვა გოგონებს გადაუსწარით იმიტომ, რომ უფრო ლამაზები ხართ. მაგრამ ამით ნუ გაუოცდებით. გაიცლის კიდევ ორი წელი და მალ-მალე ირწმუნებთ, რომ სხვა გოგონები, არც თუ ისე მიმზიდველები, იპოვიან უფრო ხერიოზულ და ჭკვიან ბიჭებს, ვიდრე თქვენი ბიჭებია. შენ და პერსიკი სულელები არა ხართ, მაგრამ ორივეს გადაგაცდენთ ის უურადღება, რომლითაც ახე ნაადრევად ხართ გარშემორტყმულები.

ძალიან, ძალიან მიყვარხარ,

შენი აბსოლუტურად, აბსოლუტურად ხანიმუშო მამა.

ეშვილი, ჩრდილოეთ კაროლინა, 1938 წლის 17 ნოემბერი.

საყვარელო წიწილავ... ბევრს ჰგონია, რომ სიცოცხლე მხოლოდ სიხარულია და მეტი არაფერი. მე ახე ვფიქრობ, მაგრამ როცა ოცი და მერე ოცდაათი წლისა ვიყავი, შემეძლო სიხარული და ვთვლი, რომ შენ უნდა გამოსცადო, რა არის ხევდა, და მხნედ გადალახანო ამ ხამყაროს ტრაგიკულობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

რაც შეეხება სასკოლო პროგრამას, თქმა არ უნდა, რომ მათემატიკა აუცილებლად უნდა ისწავლო, მე მინდა, შენ აითვისო მათემატიკის მთელი პროგრამა, რომელსაც გასწავლიან. ასევე ფიზიკა და ქიმია. ინგლისურ ლიტერატურასა და ფრანგულში ამჯერად არ მაღელვებს შენი წარმატებები. თუ ჯერ კიდევ არ დაუფლებიხარ ორ ენას და ამა ენებზე გამოთქმულ აზრთა წვდომა არ გისწავლია, ჩემი შვილი არ ყოფილხარ და ეგ არის.

მე მინდა, რომ გესმოდეს მეცნიერების ძირითადი პრინციპები. ეს კი ჩემი აზრით შეუძლებელია, თუ მათემატიკას არ ისწავლი ისე, რომ კოორდინატულ მრუდეებზე არ ვიქნება წარმოდგენა; მე თითონ წერა მხოლოდ იმიტომ ვისწავლე, რომ უამრავი ხაქმით ვიყავი დაკავებული, რომელზეც გული არ მიმდიოდა.

მიყვარხარ: ფ. სკოტ ფიცი.

(უთარიღო).

კარგი, „მაღალი ოჯახების" შვილების წინაშე უხერხულობაში რომ არ ჩავარდე, ვეცდები, ტაქსით აღარ მოგაკითხო; ცოტა ძველმოდურად ხომ არ გეჩვენება „მაღალ ოჯახებად" იმათი მონათვლა, ვინც ქალაქის საუკეთესო რაიონებში ცხოვრობს? დაგენიძლავები, შენი სკოლის გოგონების ორი მესამედის წინაპრები ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და ლონდონის ჟურნალებში ძველმანებით ვაჭრობდნენ. თუ შენ ამ კოსმოპოლიტ მდიდრებს ბაძავ მაშინ, ხიამოვნებით მიგაბარებდი ხამხრეთის სკოლაში. მართალია, იქ სწავლების არც ისე მაღალი დონეა, ხამაგიეროდ „მაღალი ოჯახის" გაგება ჯერ არ ეაშბდარა ასე ხახიცილო. ამ ჟურის ადამიანებს კარგა ხანია ვიცნობ.

ეს არის უხასლკარო ხალხი, რომელხაც რცხვენია, რომ ამერიკელები არიან. მათ არ შეუძლიათ აითვისონ სხვა ხალხის კულტურა. თაკილობენ თავიანთ ქმრებს, ცოლებს, წინაპრებს, არ იციან შვილების აღზრდა, — თუ, რასაკვირველია, გაბედეს და იყოლიეს ახინი, — ისე, რომ შვილებმა იამაყონ, გარდა ამისა ერცხვინებათ თავისივე მსგავსნი და თან ხამკვდრო-ხასიცოცხლოდ ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. ხაშიშნი არიან ხაზოგადოებისათვის, რომელსაც ეკუთვნიან. ხაჭიროა კიდევ დავამატო რამე? ხომ იცი, როგორ ვუყურებთ ასეთ რამეებს? თუ მოგაკითხავ, და არ დამხვდები, ძებნა-ძებნით პარკ-ავენიუში მოგაგნებ, შეგიძლია არც „მიცნო". თქვი, რომ ვილაც უმუშევარი ვარ ჯორჯიიდან ანდა ბანდიტი ჩიკაგოდან.

ჰოლივუდი, კალიფორნია, 1938 წლის 18 აპრილი.

ყველა მასწავლებლის აზრი უკიდურესად ერთნაირი და იმდენად უსიამოვნოა, რომ არც ღირს მათზე შერჩევა. დამიჯერე, არ ვაჭარბებ, როცა გირჩევ საქმე დაიწყო ყველაზე ძნელიდან, იქიდან, რისი დაძლევაც მხოლოდ მაშინ შეგიძლია, როცა ხაკუთარ თავში ნებისმიერი ხამუშაოს შესახრულებელ ძალებს შეიგრძნობ, ხულ ერთია, ეს დილით იქნება, დღით, თუ ხალამოს, — მაშინ არ გაგიჭირდება დაეუფლო გულისყურით აზროვნების ხელოვნებას.

ბედის უკუღმართობის გამო, უკვე კარგა მოზრდილს მომიხდა წიგნების ყიდვა ხასკოლო დისციპლინების დასაუფლებლად; ადრე ისინი ჩემში არავითარ ინტერესს არ იწვევდნენ. ეს კი იმიტომ, რომ ჩამოყალიბდა მაშინ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ასოციაცია: ხამუშაო — ეს რაღაც უსიამოვნო, მოსაწყენი, არასაკალდებულო რამეა. გოგონები ვისაც შენ ჰკუის კოლოფებს უწოდებ, შენზე გონიერები არ არიან, უმეტესად არც შენზე უკეთესად აზროვნებენ, არც მეხსიერება აქვთ, არც მიბვედრილობა. მაგრამ თავი ისე აქვთ მოწყობილი, რომ არ კრთებიან სიტყვა „დავალების" გაგონებაზე. დარწმუნებული ვარ, აქვთ შენი გასაგირი, რადგან შენ ხომ ასე ძალიან მგავხარ. მე კი ეს თვისება ხაფუძვლიანი თვითანალიზის შემდეგ შეუმცდარად აღმოვაჩინე საკუთარ თავში. ანკი რა იდიოტი ვიყავი, როცა თვითონ გავიკეთე დისკვალიფიკაცია, მაშინ, როცა ჩემზე ბევრად სუსტები უშრომლადაც გაცილებით უკეთეს ნიშნებს ღებულობდნენ.

მიყვარხარ,
შენი ნათესავი პირდაპირი ხაზით.

„მეტრო-გოლდვინ-მეიერის" სტუდია, 1938 წლის 7 ივლისი.

საყვარელო სკოტი. ალბათ ძალიან, ძალიან დიდი დრო უნდა გავიდეს, სანამ კიდევ ვინმეს მივწერ წერილს და ამიტომ გთხოვ, რა მწარედაც არ უნდა მოგეჩვენოს, ეს წერილი ორჯერ წაიკითხო. რახაც ახლა წაიკითხავ, იმან შეიძლება გაიძულოს ხელი მკრა, მაგრამ გავა დრო და, როცა ხელმეორედ გადაიკითხავ ამ ხტრიქონებს, მიხვდები, რომ მართალი ვიყავი. შენთვის მე „უფროსი კაცი" ვარ, რომელხაც

უნდა დაუჯერო, ბოლო როცა ჩემს სიგანბუკეზე გიამბობ. ჩემი ამბები დაუჯერებლად გეჩვენება, ახალგაზრდობაში არ სჯერათ, რომ ოდესღაც მამებიც ახალგაზრდები იყვნენ. ამიტომ გადავწყვიტე მოგწერო, იქნებ ახე უფრო გაიგო ის, რისი თქმაც მინდა.

შენს ახაკში უდიდესი ოცნებით ვცხოვრობდი. ეს ოცნება დღითიდღე უფრო გამოკვეთილი ხდებოდა და უკვე ზუსტად შემეძლო მეთქვა, რა მინდოდა და ასევე შემეძლო მეიძულებინა სხვები ყური მიეგდოთ ჩემი სურვილებისათვის. წერე ოცნებების აღსრულებამ გადაიწია — იმ დღემდე, როცა ყველა ჩემი პოკმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მაინც გადავწყვიტე ცოლად შეგერთო დედაშენი... გაჩნდი შენ და წლების მანძილზე ,ბედნიერები ვიყავით. მაგრამ მე გადავიქეცი იმ ადამიანად, ვის ოცნებებსაც შესრულება არ ეწერა. — დედაშენს უნდოდა, რომ მე ძალიან ბევრი მეშუშავა მისთვის და ძალიან ცოტა ჩემი ოცნებისათვის. იგი ძალიან გვიან მიხვდა, რომ ადამიანს ღირსებას ანიჭებს შრომა, მბოლოდ შრომა! მაშინ მან თვითონ მოინდომა მუშაობის დაწყება, მაგრამ უკვე გვიანი იყო. დედაშენმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას და მერე ადარც წამომდგარა ფეხზე...

ძალიან დიდხანს მეზიზღებოდა დედამისი იმისათვის, რომ მან არ აღზარდა შვილში საჭირბოროტო ცხოვრებისეული ჩვევები, ხაერთოდ არაფერი ასწავლა თვითდაჯერებულობისა და იმ რწმენის გარდა, რომ ყველაფერს „რაღაცა ეშველება". ამიტომ ვერ ვიტან უსაქმურობისათვის გაზრდილ ქალებს... ხანდახან მეჩვენება, რომ უსაქმურობა ადამიანთა განსაკუთრებული კატეგორიის თვისებაა. ამ ადამიანებთან, რაც არ უნდა მოინდომო, ვერაფერს გააწყობ. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ ხაერთო მაგიდის გარშემო ხაკუთარ ხკამს ითხოვენ და ამით ამოსწურავენ თავიანთ წვლილს კაცობრიობის წინაშე.

შენ ახლა იმ ასაკში ხარ, როცა მოზრდილი ადამიანი შეგიძლია დაინტერესო მხოლოდ მაშინ, თუ შენში რაღაც მომავალი შეიგრძნობა. ბავშვი მომხიბვლელი იმიტომაა, რომ შეუძლია ჩვეულებრივ ხაგნებს უყუროს ხალი თვალით, მაგრამ თორმეტ წლამდე ეს თვისება ქრება. უფროსზე უკეთესად მიზარდს არც რაიმეს დემონსტრირება, არც ეზროვნება, არც გაკვეთება არ შეუძლია.

გავაკეთოთ დასკვნა: მას შემდეგ, რაც ბანაკში კარგი ყვინთვა ისწავლე, თუ არ ჩავთვლით ,,ჯრილმანებს, ერთხელაც კი არ გაგიბარებიავარ, არაფერი გაგიკეთებია ისეთი, რითაც ვიამაყებდი. ახლა კი ისე აიწყვიტე, როგორც არასდროს. მე ხრულებითაც არ მაინტერესებს შენი წარმატებები როგორც ისეთი ქალიშვილისა, რომელიც „აფრენს ხაზოგადოებისათვის"; ეს 1988 წელს იყო მოდაში. მე არ მჭირდება ამგვარი წარმატებები, ჩემთვის ისინი ისევე მოხაწყენია, როგორც ხასტუმრო „ოფიციის" მფლობელებთან ხადილობა. ჩემ ვერ ,ვგრძნობ, რომ შენ „რაღაციხაკენ" მიდიოდე. მიმძიმს შენს ხაზოგადოებაში ,,ყოფნა". რომ აუტანელია იმის ,,ურება, [illegible] ,,ტანად და ამაზრზენად ფლანგავ დროს. მაგრამ ხამაგიეროდ, როცა თუნდაც იშვიათად, დავიჭერ შენში რაღაც ხერიოზულ მისწრაფებას, ხერიოზული ცხოვრების სურვილს, დედამიწის ზურგზე არ არის ადამიანი, ვისთანაც ყოფნა უფრო მოგინდებოდა, ვიდრე შენთან. რადგან ეჭვი არ მეპარება, შენში რაღაც არის, რომ შენ ცხოვრების ნამდვილი გემო, ნამდვილი ოცნება იცი — და იგი შენი ხაკუთარი ოცნებაა. ჩემი მიზანია, ხანამ გვიან არ არის, ყველაფერი ეს შევადულებო რაღაც მკვიდრთან, ხაფუძვლიანთან. ახლა შენი მოსმენა მოხაწყენია, თითქოს ბოლო ორი წელი ვონებრივად შეზღუდული ბავშვების ,,კოლაში ,,ვიგეტარებინოს, ბოლო ცხოვრებაზე შეხედულებები ამოგეკრიფოს სურათებიანი „ლაიფის" ფურცლებიდან და წიგნების იმ ხერიიდან, „ხიყვარულის რომანები" რომ ,ჰკვია.

ყოველთვის მეყვარები, მაგრამ ჩემთვის ხაინტერესო არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ და მუშაობენ ისე, როგორც მე, და არა მგონია ამ მიმართულებით რაღაც შეიცვალოს ჩემში — უკვე იმ ასაკში ადარა ვარ; შეიცვლები თუ არა შენ? მოიხურვებ, რომ რაიმე შეიცვალოს? ვნახოთ.

მამა.

„მეტრო-გოლდვინ-მეიერის" ხტუდია,
1988 წლის 19 სექტემბერი.

დაიმახსოვრე: რასაც შენ წარმოადგენ, რაც გაღელვებს თხუთმეტიდან თერამეტ წლამდე, ხიცოცხლის ბოლომდე ადარ შეიცვლება. გრძნობ, რომ ეი, გავიდა მხოლოდ ორი წელი და მაჩვენებელი ისრების ნახევარი უკვე ,ხაწინააღმდეგო მიმართულებით მიტრიალებულა, კიდევ ორი წელი და შენ უკვე თავგანწირვით არკვევ, რომელი მათგანია მომავლისაკენ მიმართული. თანაც ხახოწარკვეთილებამდე გეშინია ხწორედ ისინი არ დაგეკარგოს თვალიდან!

შენი მოსიყვარულე მამა.

„მეტრო-გოლდვინ-მეიერის" ხტუდია,
1988 წლის შემოდგომა.

ხაყვარელო ხკოტი. მე და შენ ხრულიად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს ცხოვრებაზე. შენი მიზანია იყო რაც შეიძლება მიმზიდველი და მომხიბვლელი ყოველი შემხ-

ვედრი მაბაკაცისათვის. მათ შორის არიან მუ-ზეუმის ბუმიები, დაბადებით დებილები, მო-ნაზონ-ტაბპლიერების ორდენის მოშავალი წევ-რები, და უბრალოდ, ყველა ნაძირალა. მე კი ვფიქრობ, რომ შენ, თუ მაინცდამაინც, თავს უნდა აწონებდე იმ მცირე რიცხვს ბიჭებისა, რომლებიც აწი გაჩდებიან ჩვენი ქვეყნის გა-მოჩენილი ადამიანები, ანდა, უკიდურეს შემ-თხვევაში, ან ცხოვრებაში ხაფუძვლიანად გარკ-ვევის უნარს მაინც გამოიჩენენ.

ეს ორი შებედულება შეუთანხმებელია! მთლიანად და აბსოლუტურად საწინააღმდეგოა, კონტრასტული და შეურიგებელია! ეს კი შენ არასოდეს არ გესმოდა.

ენსინო, კალიფორნია, 1938 წლის დე-კემბერი.

საყვარელო სკოტი. ერთ რამეში კი მგავხარ — შენი საქმეებიც ვითომ ბრწყინვალედ მიდის, სინამდვილეში კი ყველაფერი ინგრევა, თანაც საბოლოოდ. მაგრამ იცოდე, გასაგრის ეამს, როცა მთელი ძალით იბრძვი და გრძნობ, რომ ვერაფერს აღწევ, როცა სახოწარკვეთილები-საგან იბრჩობი, სწორედ მაშინ მიდიხარ წინ, და თუმცა, ნელ-ნელა, საშაგიეროდ მტკიცედ... სიყვარულით...

მამა

ენსინო, კალიფორნია, 1939 წლის ზამ-თარი.

საყვარელო სკოტი. იმედი მაქვს პრინსტო-ნის მეჯლისზე კარგად იმხიარულეს. მხოლოდ გთხოვ „ძალიან ნუ"... თუმცა გეყოფა გაფრთ-ხილებები. სულერთია შეცდომების გარეშე მაინც ვერაფერს იხეკავლი. მხოლოდ ერთს გეტ-ყვი. — გიხვეწები, ნურაფერში ნუ იქნები „მეტისმეტი", მაგრამ თუ „მეტისმეტი" იქნები, ნუ მაიძულებ მაინც, გამოვიდე მშობლის როლ-ში, რომელმაც უნდა ზღოს შენი შეცდომები...

ენსინო, კალიფორნია, 1940 წლის 25 იანვარი.

საყვარელო სკოტი. ჩვენი მიწერ-მოწერა შე-ნი წყალობით აშკარად ჩაკვდა. აქედან ვახკვ-ნი, რომ შეყვარებული ბარ. ერთი რამ ნუ და-გავიწყდება: 18-20 წლის მიმზიდველი ქალი-შვილები ადვილად ავადდებიან ავადმყოფობით, რომელსაც ჰქვია „გრძნობათა გაცვეთა". იმე-დი მაქვს ეს ავადმყოფობა არ შეგეყრება...

ძალიან მიყვარხარ, მამა

ენსინო, კალიფორნია, 1940 წლის 27 მარტი.

საყვარელო სკოტი. დილით ბალტიმორიდან წერილი მივიღე და ძალიან შევშფოთდი — რა უყავი თმას? ამის შესახებ ერთდროულად ხამ-ბა კაცმა მომწერა. გენაცვალე. ნუთუ არ შე-იძლება ისე მოიქცე, რომ შენი ვარცხნილობა ყველას თვალში არ ეჩხირებოდეს? შენ ისე ეცადე ეფექტური ყოფილიყავი, რომ, ალბათ, თვითონაც ვერ წარმოგიდგენია, რა შთაბეჭ-დილების ახდენ. მესმის, ოცდაათს გადაცილე-ბულმა ქალმა იხმაროს ეს ბეჭდები, მაგრამ შენ რაში გგირდება კინოზიცა — ბოლოს გამო-სული ხტილის მიბაძვა?

წარმატებებს გისურვებ ხაგაზაფხულო ჩვა-მოცდებზე. ვიცი, რომ ისინი ყველაზე ძნელია და შენს მაგივრად ძალიან მეშინია. შეიძლე-ბა კიდევ იმიტომ, რომ შენს წერილებში იგრძ-ნობა თვითდაჯერებულობა და ადგილი და-მოკიდებულება, რომელიც უკვე ერთი წელია ადარ შემიჩნევია. გეკვედრები, ცოტათი მაინც გადაერთე ხერიოზულ განცდებზე.

გეხვეევი მამა.

P. S. მე შემიძლია გავიგო, სადანაა ეს თვითდაჯერებულობა — ღმერთო ჩემო, მე თვითონ მქონდა იგი ყველაზე. მაგრამ საკუ-თარ თავში ძნელი შეხაცნობია. რამდენი რამ გინდა გაკეთო, ჩვენთვის განკუთვნილი დრო კი ახე ცოტაა.

ენსინო, კალიფორნია, 1940 წლის 7 მაისი.

საყვარელო სკოტი. ჩვენ ერთმანეთს ვწერთ და დასმულ შეკითხვებზე კი არ ვპასუხობთ. აბა, ახლა მე ვუპასუხებ შენს შეკითხვას: შენ გაინტერესებს, რა უფრო ძნელია — ხელოვ-ნებაში შექმნა ახალი ფორმა თუ უკვე არსე-ბული გაიუმჯობესო. საუკეთესოა ის პასუხი, რაც გასცა პიკასომ, როცა იგივე შეკითხვა მას ამერიკელმა მწერალმა გერტრუდა სტაინმა დაუსვა: პიკასომ მწარედ თქვა: „შენ რაღაცას ქმნი, მერე კი მოდის სხვა და შენს შექმნილს გა-დააუთოვებს".

...ახლა შენი ჟურნალის თაობაზე. შენგან კიდევ ბევრჯერ აიღებენ ინტერვიუს და კი-დევ ერთხელ გთხოვ, გაზეთის მუშაკებთან ნუ ილაპარაკებ ჩემზე და დედაშენზე. ერთხელ კინა-ღამ გადამრიე, რომ გამოგიცხადე, თქვენი ბი-ოგრაფიები უნდა დავწეროო. ჩემდა თავად ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტე არაფე-რი დავწეროო საკუთარ ცხოვრებაზე. ხანამ ათი წელი მაინც არ გავა მათი გარდაცვალებიდან, და რადგან მე ჯერ მხოლოდ ორმოცდასამი წლისა ვარ, და ალბათ ჯერ ჩემი ხათქმელი მთლიანად არ მითქვამს, შენი გადაწყვეტილება ნაადრევად გამოიყურება. საქმეოდ მოზრდილი ხარ, რომ მიხვდე, რა უგნურებაა ჩვენი ოჯახის ამბების გამოქვეყნება. მაგრამ მაინც გაფრთ-ხილდი, ისინი ეცდებიან ნებისმიერი ხერხებით გამოგტყუონ რაიმე.

გეხვევი, შლეგი ფიცი (წარსულში — სან-ფრანცისკოს რისხვა).

ჰოლივუდი, კალიფორნია. 1940 წლის 12 ივნისი.

სკოტი, პატარავ, მადლობელი ვარ დაწვრილებითი ანგარიშისათვის. ბედნიერი ვარ და ერთი წუთითაც კი არ შეპარებია ეჭვი იმაში, რომ შენ ისე მუშაობ, როგორც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, აწიც ასე იქნება და ეს გულს მიხარებს... ჯობია აირჩიო რაღაც ახალი და რთული ხამეცნიერო დისციპლინა და ეცადო ამითვისო. შეფასების ქულათა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ამისთვის საჭიროა საკუთარ თავს მოექცე პატივისცემით, შენ კი ეს არ შეგიძლია და ამიტომაც ღიზიანდები სისულელეების გამო. შენც ზუსტად ჩემსავით გტანჯავს ეჭვი და ყოყმანი, განიცდი მათ უფრო მეტად, ვიდრე მე განვიცდი ფულის საკითხში ჩემს უცოდინარობასა და წარსულის უგერგილობას. აი, შენი აქილევსის ქუსლი. ჯერ კი არ ყოფილა შემთხვევა აქილევსის ქუსლი თვითონ გამაგრებულიყოს. იგი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მგრძნობიარე ხდება. ის მცირედი, რასაც მივაღწიე, მოპოვებულია ყველაზე მძიმე და ჯიუტი შრომით, ახლა კი ისე ვნანობ, რომ თავს ნებას ვაძლევდი მოეშვებულიყავი, მიმეხედა უკან, განვლილი გზისკენ, მაშინ, როცა „დიდი ფეტხბის" დაწერის შემდეგ მტკიცედ უნდა მეთქვა საკუთარი თავისთვის: „მე ვიპოვე ჩემი ნამდვილი საქმე, დღეიდან და ხამუდამოდ ის ჩემთვის ყველაზე მთავარია. ის ჩემი უმაღლესი მოვალეობაა, უამისოდ მე არარაობა ვარ"...

ჰოლივუდი, 1940 წლის 18 ივლისი.

საყვარელო სკოტი. ხხვა ბევრ რამესთან ერთად ამ ზაფხულმაც დაამტკიცა, რომ შენი განათლება ჯერ მხოლოდ თეორიულია. საერთოდ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და მიმაჩნია, რომ როცა ლიტერატურული ხამუშაოსთვის ემზადები, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ შენი ნიჭი მაინცდამაინც სწრაფად არ უნდა გაიფურჩქნოს, — ბევრი ჩემი თანამედროვე იწყებდა ოცდაორი წლისა კი არა, ოცდაშვიდი-ოცდაათი წლის ასაკში, უფრო გვიანაც. თანაც მანამდე ზოგი გაზეთის მუშაკი იყო, ზოგი მახწავლებელი, ზოგი იმ გემის მეზღვაური, განრიგის გარეშე რომ დადის; ზოგიც ჯარისკაცი იყო ომში. ადრე გაფურჩქნული ნიჭი, თავისი ტიპის მიხედვით, პოეტურია, ბევრ რამეში მეც ასეთი ნიჭი მქონდა. პროზაიკოსის ნიჭი თავისებურად მწიფდება, აქ ბევრს უნდა ხედავდე და უნდა შეგეძლოს გულდასმით ამოირჩიო, ანდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, უნდა გქონდეს სათქმელი და უნდა ისწავლო ეს სათქმელი თქვა საინტერესოდ და ძალიან მარტივად.

არ ვიცი, ამ ზაფხულს რამე წაიკითხე თუ არა, ვგულისხმობ ნამდვილ წიგნებს, ისეთებს, როგორიცაა „ძმები კარამაზოვები", ან „ათი დღე, რომელთაც შესძრეს მსოფლიო" — შენ არასოდეს არ მწერ, რას კითხულობ, თუ არ ჩავთვლით იმ ნაწყვეტებს, რომლებსაც კოლეჯში გადიხართ, უფრო სწორედ, ყლაპავთ, რადგან გაიძულებენ. მახსოვს, წაიკითხე რამდენიმე წიგნი, რომლებიც შარშან გაზაფხულს მოგეცი, მაგრამ ამ თემაზე მეტი შენგან ერთი სიტყვაც აღარ გამიგია. აი, მაგალითად, წაიკითხე თუ არა „მამა გორიო", ან „დანაშაული და სასჯელი", ანდა თუნდაც „თოჯინის სახლი?" კარგ სტილს ვერ მიაღწევ, თუ ყოველ წელიწადს ეჭვს-შვიდ საუკეთესო პროზაიკოსს არ დაამუშავებ. უფრო სწორად, სტილი იბადება, ოღონდ ის იმის გაუცნობიერებელი ნაერთი კი არ არის, რამაც აღგაფრთოვანა, მხოლოდ ანარეკლია იმ ავტორის მანერისა, რომელიც ბოლოს წაიკითხე. ეს ხუხტი ეურნალისტური ნაყენია.

მიყვარხარ, მამა.

ჰოლივუდი, კალიფორნია. 1940 წლის 5 ოქტომბერი.

საყვარელო სკოტი. თავი „ბედნიერებასა და სიტკბოებაზე" ოცნებით კი არა, უფრო ღრმა მონაპოვრით უნდა დაიმშვიდო, რომელიც ბრძოლით მოიპოვება. როცა ეს თეორიულად იცი დიდი ადამიანების გამოცდილებისა და ნაამბრევისაგან, ისწავლი მეტი კარგი რამ გამოარჩიო ყველაფრისაგან, რაც შენს წილად მოდის.

შენ მწერ, რა შესანიშნავი თაობა გყავთ. ნე კი მეჩვენება, რომ თქვენ, ისევე როგორც ჩამოკალაქო ომის დროიდან მოყოლებულ, ყველა ამერიკელს გგონიათ ვითომ სწორედ თქვენ მიიღებთ ყველაფერს. რაც კი ქვეყანაზე მოიპოვება...

ნეტავი ყველაფერი კარგად აეწყოს. შენ არასოდეს არ მპასუხობ სერიოზულ კითხვებზე, რომლებსაც ჩემს წერილებში პოულობ. თვით სწავლის შესახებაც ზოგადად მწერ და არა დაწვრილებით...

მიყვარხარ, მამა.

ჰოლივუდი, კალიფორნია, 1940 წლის 29 ნოემბერი.

„№"-ს არ ვიცნობ, მაგრამ მისი სახე ნაწილ-ნაწილ აღვიდგინე შენი ნაამბობიდან და იმ წერილიდან, რომელიც მაშინ მაჩვენე, ისე

ჩანს, რომ ძალიან გაუოყოჩებული უნდა იყოს.

...როცა ადამიანი 21 ასაკში ცხოვრებისგან დაღლილად გრძნობს თავს, ეს ნიშნავს, რომ იგი დაიღალა იმისგან, რაც თვით მასში ბუდობს. ერთ რამეში მტკიცედ ვარ დარწმუნებული: უამლოეს ორ წელიწადში შენ ნახავ ბევრ შესანიშნავ მამაკაცს.. ისეთი ქალიშვილისათვის, როგორიც შენა ხარ, ერთადერთი საშიშროება ის იყო, რომ უკვე თექვსმეტი წლის ასაკში ადვილად შეიძლებოდა ჩავარდნილიყავი ემოციური დაჩლუნგების მდგომარეობაში. იმედი მაქვს, ამ საშინელებას ჩვენ ასე თუ ისე ვძლიეთ იმით, რომ გადაწყვეტ ბოლო ორ წელიწადში გაიძულე უმთავრესად გეშრომა. ახლა კი ცხოვრება შენთვის სიხარული უნდა იყოს და დროც წინ ბლომად გაქვს. ოღონდ ისეთ კაცს ნუ გაყვები ცოლად. ბრბოში რომ ვერ გამოარჩევ.

გეხვევი. მამა.

(წთარილო)

მიეჩვიე, იდეებს მოეპყრა უფრო ხერიოზულად. ვერც გვერდს აუვლი, ვერც უარყოფ იმ ფაქტს, რომ საშყარობა მიმდინარეობს მკაცრი პროცესები და მათთან შედარებით შენ და შენ, როგორც პიროვნებები, მტვერს ვუტოლდებით, არარაობანი ვართ. ოდესღაც, როცა უსაზღვროდ მაგაცად იგრძნობ თავს და მოგინდება მთელ ქვეყანას გადაუდგე, ანდა როცა კოლეჯში რაღაცაში არაფრად ჩაგაგდებენ, წაიკითხე „კაპიტალიდან" საშინელი ქვეთავი — „ხამუშაო დღე" და ნახავ, რომ შენში ყველაფერი ამოყირავდება, — ერთხელ და სამუდამოდ.

□

მერი ჭელიძე

ერიხ ფრომის „ილუზიების მიღმა მხარე"

„ილუზორული უოფიერება"! ცხადია, იგი მხოლოდ ადამიანის ყოფა შეიძლება იყოს. მაგრამ რას ნიშნავს „ილუზიების ყოფიერება"? როგორ არის შესაძლებელი ილუზიებისგან განთავისუფლება, „ილუზიების მიღმა მყოფობა?"

ამ საკითხების კვლევით ერიხ ფრომმა თანამედროვეობის ყველაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა დააყენა და ილუზიებისგან ხსნის გზა უფრო ნათელი ფერებით დახატა, როდესაც თანამედროვე ადამიანის ყოფის ანუ „ინდუსტრიული საზოგადოების" ძირითადი ტენდენციების ანალიზით აღმოაჩინა ცხოვრების ორი პრინციპი: ერთი უფრო მომძლავრებული, — ფლობის, მოხვეჭის, დაუფლების სტიმულებით განსაზღვრული, და მეორე, შედარებით მცირეთა ცხოვრების წესი, — დაქვემდებარებული ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი ამაღლების, ჭეშმარიტი ადამიანური არსებობისაკენ ლტოლვის, ცხოვრების ნამდვილ ღირებულებათა გაცნობიერებისა და მათი განხორციელებისადმი.

ფროიდის ფსიქოანალიზისა და გერმანული ფილოსოფიის ტრადიციებზე აღზრდილი, ფაშიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, შემდეგ „ამერიკანიზირებული", მაგრამ ბოლოს ფრანკფურტის სკოლასთან მჭიდროდ დაკავშირებული ერიხ ფრომი (1900—1980 წწ.) ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან საკმაოდ აღიარებული პოპულარობით გამოირჩეოდა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა სარტრის ეგზისტენციალისტურმა ნოვაციებმა, მარკუზეხა და საერთოდ ფრანკფურტელების თავისებურმა „რევოლუციურმა" იდეებმა კრახი განიცადეს, ერიხ ფრომის წიგნები კი ბესტსელერების სიაში შეიტანეს და მის ცალკეულ გამოკვლევებს ცხოვრების საზრისის ახსნაში გზის გამკვლევის, სახელმძღვანელოს მნიშვნელობა მიანიჭეს.

ასეთი პოპულარობის მიზეზი ეგებ პირდაპირი და გულახდილი მსჯელობის ის მანერა იყო, რომლითაც ე. ფრომი თანამედროვე ადამიანისათვის ეხოდენ საგირბოროტო პრობლემას აანალიზებდა? მან შესაძლოა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურ ცნებებში ღრმად დაფარული თანამედროვე ცხოვრების შინაარსის ნათლად ჩვენების და პრაქტიკასთან მისადაგების მიხეული უნარი შერწყმული მარტივად გადმოცემის ფორმასთან?

ცხადია, ყოველივე ეს ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა ხპეციალისტთა წრეში ისედაც საკმაოდ

აღიარებული ავტორის ფართო პოპულარობისათვის, მაგრამ ფრომის პოპულარობის მიზეზი სხვა თეორიულ-ფილოსოფიური წყაროებიდან მოედინება და პირველი მათგანი ის არის, რომ ე. ფრომი იყო ფროიდისტი, ფსიქოანალიტიკის სპეციალისტი-პრაქტიკოსი, რომ მან ამ მოძღვრებაში აღმოაჩინა ბევრი „საერთო“ მარქსიზმთან და ნეოფროიდიზმის აღზევებისას ფროიდიზმი სოციოლოგიზირების გზას დაადგა. ფრომის პოპულარობის მეორე მიზეზია უჩვეულო ოპტიმიზმი, მომავალი ცხოვრების გარდაქმნის რეალური გზების დასახვა, და თანამედროვე სოციალურ ვითარებათა გონებამახვილური ანალიზის საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებელი სოციალური პროგნოზების დადგენა.

თანამედროვეობისათვის ე. ფრომის ასე ფართო აღიარების მაუწყებელია მისი უმთავრესი ფილოსოფიური ნაშრომის რუსულ ენაზე გამოცემის ფაქტიც. ეს ნაშრომია „ფლობა ან ყოფნა?!“ რომლის ავტორი შეფასებულია როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ძირეულ ნაკლოვანებათა მამხილებელი, ჰუმანიზმის, სამართლიანობის, თავისუფლების იდეების დამცველი, თანამედროვე „ინდუსტრიული“ საზოგადოების მიერ დანერგილი ფლობის, მომხვეჭელობის ტენდენციების წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი.

თანამედროვე დასავლეთში აღარ უკვირთ ისეთ მოაზროვნეთა პოპულარობა, რომელნიც დაუფარავად ამხელენ ე. წ. ინდუსტრიული ან პოსტინდუსტრიული საზოგადოების წინააღმდეგობებს. თანამედროვე მკვლევარები სიამოვნებით მიუთითებენ ე. ფრომის სოციალურ ოპტიმიზმზე, მის ბრძოლაზე ტოტალიტარიზმის, ადმინისტრაციული ძალადობის წინააღმდეგ, მის „დემოკრატიულ სოციალიზმზე“. განსაკუთრებული აქცენტით მინიშნებულია იმაზეც, რომ ე. ფრომი მარჯვედ იყენებს მარქსის მოძღვრებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახსნისას, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად მიაჩნია მარქსიზმის ფროიდიზმით შევსება იმ მიზეზით, რომ ფსიქოანალიზი პიროვნულ-ინდივიდუალურს მთელი სიღრმით სწვდება, რაც მარქსიზმს გაუთვალისწინებელი დარჩაო.

ე. ფრომის ფილოსოფიური ევოლუციის პირდაპირი კავშირი ფროიდიზმთან, მთელი ბიოგრაფიის მისეული დახასიათება და იმის აღიარება, რომ „მარქსის გარეშე... ჩემი აზროვნება დაკარგავდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულს“, — ნათელს ხდის ე. ფრომის მოძღვრების წარმომავლობას თავდაპირველი ორი უცილობელი წყაროდან: ფროიდიზმიდან და მარქსიზმიდან. ეს დასაწყისი იყო, შემდეგ მან ეგზისტენციალიზმისა და ფრანკფურტის სკოლის დიდი გავლენა განიცადა და ისეთი შუალედური მოძღვრება შექმნა, რომელსაც ნეოფროიდიზმიც შეიძლება ეწოდოს, მოდერნიზებული ეგზისტენციალიზმიც, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური თეორიაც და კიდევ სხვა სახელიც.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ჯაბუკობის ხანა — რეფლექსია ომზე როგორც უსამართლო სოციალურ მოვლენაზე და მისი ირაციონალური მიზეზების ძიება, — აი, ის გზა, რამაც ე. ფრომი ფროიდის მოძღვრებასთან მიიყვანა. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი უკვე ფართო დიაპაზონის ფსიქოანალიტიკოსია: სოციალურ ფსიქოლოგიაში ფროიდის თეორიული პრინციპების დამცველი და ფსიქოანალიტიკოსი პრაქტიკოსი — მედიკი. შემდეგ იწყება ფროიდიზმისადმი მორჩილებისაგან თანდათანობით თავის დახსნის ცდები, რაც ფოიერბახისა, და განსაკუთრებით მარქსის, გაცნობით იყო გაპირობებული, მაგრამ ეს პროცესი უფრო ნეოფროიდიზმისადმი მიმხრობის მანიშნებელი ჩანდა და შერწყმული იყო ეგზისტენციალიზმისა და სოციალური ფილოსოფიისაკენ ორიენტირებული ფრანკფურტის სკოლის იდეების ათვისებასთან.

1933 წლიდან, გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების შემდეგ ე. ფრომიც დაემორჩილა სხვა მრავალი გერმანელი მეცნიერისა და მოაზროვნის ბედს და აშშ-ში იძულებით ემიგრაციაში გადასახლდა. ამ დროიდან იგი ფაშიზმისა და ტოტალური პოლიტიკური დოქტრინის შეურიგებელი მტერი ყურადღებას იქცევს ამ თემებზე დაწერილი მწვავე კრიტიკული გამოკვლევებით, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარული გახდა „თავისუფლებისაგან გაქცევა“ (1941 წ.), ე. ფრომის მოღვაწეობაში მეტი ნაყოფიერებით გამოირჩოდა 80-იანი წლები, რომელიც, მისი განმარტებით, მარქსისა და ფროიდის მოძღვრებისადმი „რეტროსპექტული ორიენტაციისა“ და კრიტიკული გადამუშავების პერიოდი იყო. ამ დროს დაიწერა „ილუზიების მიღმა მხარეს“.[2] მარქსისა და ფროიდის ამ ნაწარმოებში ავტორის მიზანია აღმოაჩინოს საერთო მარქსისა და ფროიდის მოძღვრებათა შორის, რაც, უწინარეს ყოვლისა, მათ მიერ თანამედროვე ადამიანის ილუზორული ყოფიერების აღი-

[1] Erich Fromm, To have or to be? 1962 წ. გერმანულად გამოიცა. Haben oder sein? – 1967 წ. რუსულ ენაზე — Иметь или быть? М. 1986. Прогресс.

[2] Erich Fromm, Senseits der Hlusionen. Die Bedeutung von Marx und Freud, Hamburg, 1985, პირველად გამოიცა ინგლისურ ენაზე 1962 წ., პირველი გერმანული თარგმანი გამოქვეყნდა 1967 წელს.

არებასა და მისი ირაციონალური საწყისის მტკიცებაშია ხაძებნი. ორივეს მიერ ილუზორული ყოფიერება არაცნობიერ მდგომარეობადაა გამოცხადებული. მარქსი მას უწოდებდა „გაუცხოებულ", შინაგანად გაორებულ, არაადამიანურ ყოფიერებას, ფროიდი კი მასში ხედავდა ადამიანის „ავადმყოფურ", არაცნობიერ ფსიქიკურ საწყისს. მათ ადამიანის ამ დგომარეობიდან განთავისუფლების, „განკურნების" გზებიც დასახეს და ის გზები „ილუზიების მიღმა მხარეს" გასვლად, ჭეშმარიტი ყოფიერების გაცნობიერებადაა წარმოდგენილი.

ე. ფრომი ხშირად იმოწმებს მარქსის აზრს იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ადამიანს წაართვა თავისი არსება და იგი ილუზორულ ყოფიერებაში მოაქცია, რომ გაჩნდა „მოთხოვნა თავისი მდგომარეობის შესახებ არსებულ ილუზიებზე ხელის აღებისა, ესაა მოთხოვნა ისეთ მდგომარეობაზე ხელის აღებისა, რომელიც ილუზიებს საჭიროებს" (მარქსი). ე. ფრომის განმარტებით მარქსი ადამიანთა ხსნას საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლას უკავშირებდა, მაშინ როდესაც ფროიდი, ჩვენი ავტორის მიერ „მეცნიერული ფსიქოლოგიის დამფუძნებლად" გამოცხადებული, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურათა ამომხსნელ ძირებს ინდივიდთა „ლიბიდინოზურ ორგანიზაციებში" ეძებდა.

მარქსისა და ფროიდის მოძღვრებათათვის საერთო წინა ისტორიული წანამძღვრების ძიებაში ე. ფრომი შეჩერდა ხამ ძველ ანტიკურ სენტენციაზე: უველაფერში დაეჭვების ანტიკური სკეპტიციზმის პრინციპი; რომაელი ტერენციუსის აღიარება „ჩემთვის ადამიანური არაფერია უცხო" — ქრისტიანობის დოგმატი — „ჭეშმარიტება მოგანიჭებთ თავისუფლებას". პირველი სენტენცია მარქსისა და ფროიდის მოძღვრებებში გამოყენებულია თანამედროვეობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ასპექტით. თუ კრიტიციზმი თანამედროვე მეცნიერებაში კვლევის გაბატონებულ სულისკვეთებად გადაიქცა და მის პროგრესს დიდად შეუწყო ხელი, მარქსთან და ფროიდთან ის ნიშნავს ადამიანის მიერ თავის აბლანდელ მდგომარეობაში ეჭვის შეტანას და იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანი თავისთავზე სხვაგვარ წარმოდგენებს ქმნიდა, ვიდრე იგი ნამდვილად არის, ისინი ამბობდ ფიქრობდნენ, იდეები, რაციონალური მართავს იმ ურთიერთობებსა და საზოგადოებას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ.

მარქსმა ამგვარი სკეპტიციზმი მოიმარჯვა იდეების ბატონობის, „იდეოლოგიური დეტერმინიზმის" დაძლევისათვის, უარყო თავისუფლების, სამართლიანობის, ჭეშმარიტების გაგების ძველი ღირებულებები და კრიტერიუმები.

ამ იდეებს მან რეალური, მატერიალური საფუძველი აღმოუჩინა და შესაბამისად ახალი გაგება და საზომი მიუჩინა. რაც შეეხება ფროიდს, მასთან თანამედროვე ყოფიერებისადმი კრიტიკული განწყობა ფსიქოანალიზის მეთოდში „დაეჭვების ხელოვნებად" ასახა. ფროიდმა დაადგინა, რომ ადამიანი ილუზიების მრავალნაირ ბის ხამყაროში ცხოვრობს, რომ მან „ტრანსის" მდგომარეობაში მოცემული ნამდვილად მიაჩნია, რომ თავისი წარმოდგენების რეალური ძირები, მთელი თავისი სულიერ-ფსიქიკური სინამდვილე არა აქვს გაცნობიერებული.[1]

მარქსი ებრძოდა „ყალბ ცნობიერებას", ადამიანის ილუზორული ყოფიერებისაგან თავის დაღწევა მას ჭეშმარიტებისაკენ სვლად ესახებოდა, მარქსი ამტკიცებდა, რომ იდეოლოგია, პოლიტიკა ჭეშმარიტია მაშინ, როცა იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებს ასახავს. მაგრამ, ე. ფრომის აზრით, მარქსიზმის გამოყენება შემდეგ ამ საზრისით არ განხორციელებულა. მარქსიზმი ისეთ მეთოდად აქციეს, რომლის გამოყენება თანაბრად შეეძლოთ „ბურჟუაზიულ, ფაშისტურ და კომუნისტურ პოლიტიკოსებს". ე. ფრომი იმასაც ფიქრობს, რომ სოციალისტურ სისტემაში მარქსიზმმა ადამიანების მართვის შიმართ თავისი ფუნქცია „დაკარგა", მას თავისი ფუნქციის შესრულება შეეძლო მარტო „ტექნიკური საგნების" მიმართ, პროდუქციის განაწილების, ორგანიზაციის ხფეროში.[2]

მარქსი მოითხოვდა, „პოლიტიკურ წინამძღოლს" სოციალური მეცნიერებანი გამოეყენებინა დირიჟორის კვერთხად; ფროიდი — „თერაპევტია". ფსიქოანალიზური თერაპიის მიზანი იყო ინდივიდუალურის გარდაქმნა, არაცნობიერების დონეზე მხილება და წვდომა. რაციონალურისაგან განთავისუფლების ეს გზა თუმცა გულისხმობს ზოგადი თეორიული პრინციპების გამოყენებას, მაგრამ თავისი არსებით ინდივიდუალურია და არ არსებობს რაიმე „მოდელი" ან ფორმულა, რომელიც ყველა ადამიანის მიმართ თანაბრად შეიძლებოდა გამოყენებულიყო.

ე. ფრომის აზრით, მარქსისა და ფროიდის მოძღვრებათა საერთო სულისკვეთება მათ ჰუმანიზმშიც ჩანს. მარქსის ჰუმანიზმის წინამორბედებია ვოლტერი, ლესინგი, ჰერდერი, ჰეგელი, და გოეთე; — ფროიდი კი ამ მხრივ ტრადიციებ მოკლებულია. იგი ამოდის არაცნობიერი ფსიქიკურის ცნებიდან და ამტკიცებს, რომ ყოველი ადამიანი გამხეკვალულია არაცნობიერი ლტოლვით, ამიტომ მათი ინდივიდუალობისა და ურთიერთობის გაგება ნიშნავს არაცნობიერი ფანტაზიების ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს,

---

[1] Ebda, S. 19.

[2] Ebda, S. 21.

იმ მახალის სიღრმისეულად გამოწვლილვას, რომელიც არაცნობიერად, დაფარულად განხაზღვრავს ჩვენს ოცნებებს, ილუზიებს, იდეალებს.

მარქსსა და ფროიდს აერთიანებს კიდევ ერთი საერთო ლიტმოტივი: სინამდვილის დინამიური და დიალექტიკური ხედვა, საზოგადოებისა და ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობების გამოკვლევა. მარქსისათვის საზოგადოება იყო წინააღმდეგობათა რთული სისტემა, რომელთა შორის განმსაზღვრელი ადგილი კლასთა ბრძოლას ეჭირა. ფროიდი იკვლევდა ინდივიდუალური ადამიანის შინაგან წინააღმდეგობრივ ბუნებას, სწავლობდა პიროვნული სტრუქტურული ძალების თვისობრივობას, ინტენსიობასა და მიმართულებას.

„რადიკალური რევოლუციონერი“ — მარქსი და „ლიბერალური რეფორმატორი“ — ფროიდი, — ჰუმანისტური იდეალებით გამსჭვალულნი ადამიანთა განთავისუფლებაზე ზრუნავდნენ: მათ ჭეშმარიტება მიაჩნდათ ცრურწმენათაგან და ილუზორული უოფიერებისაგან განთავისუფლების პირობად, მოითხოვდნენ ადამიანებს დაეწყვიტათ ილუზიათა ჯაჭვები, ასე რომ ბორკავდა მათ ცნობიერებას და ფიზიკურ არსებობასაც.

ამ საერთო მოტივებისა და იდეების გამოკვლევის შემდეგ ე. ფრომი ხაზგასმით მიუთითებს იმ არსებით განსხვავებაზე, რომელიც ფროიზმს მარქსიზმისაგან მიჯნავს და რაც მას მუდმივ უბდებოდა ქვეტექსტში მიეთითებინა: ფროიდი იცავდა ბუნებრივ ლტოლვათა უფლებიანობას, საზოგადოების მხრიე მათი შეზღუდვისა და ფორმალური უარყოფის წინააღმდეგ მოითხოვდა შინაგანი სექსუალური ლტოლვების გაკეთილშობილებას. მათზე გონების ბატონობის გზით. ე. ფრომის განმარტებით, ფროიდი მექანისტური მატერიალიზმის მსოფლმხედველობის პოზიციიდან ადამიანთა მოთხოვნილებების მხოლოდ სექსუალურ ინტერპრეტაციას იძლეოდა.

ასეთი მკვეთრი განსხვავების მიუხედავად, მარქსისა და ფროიდის მეცნიერული პოზიციების დაახლოების მცდელობას ე. ფრომი ამართლებს ადამიანის შემსწავლელი ორი მეცნიერების, — ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის უცილობელი სინთეზირების მოთხოვნით. მარქსის მიდგომა ადამიანისადმი სოციოლოგიური იყო, ფროიდისა—ფსიქოლოგიური, მათ ორივეს გამორჩათ ადამიანის არსების რაღაც მეორე მხარე. „ჩემი რწმენით, — წერს ე. ფრომი, ადამიანი ბუნებრივი ევოლუციის პროდუქტია, იგი ბუნების ნაწილია და ამის მიუხედავად ტრანსცენდირებულიც არის, რადგან მას თავისთავად ჯილდოდ მიუღია გონება და ცნობიერება“.[1]

სწორედ ეს ის შინაგანი ეგზისტენციალური დიქოტომიაა, წინააღმდეგობა, რომლის გამო ადამიანი არც პასიური შეიძლება იყოს და არც ნეიტრალური. ადამიანის წინაშე მუდმივ ისმის კითხვა: როგორ გადალახოს „განმარტოებულობა“ თავისთავსა და ბუნებას შორის? ბოლოს, თავის საკუთარ უოფიერებასა და [illegible] არსებობას შორის? ამ კითხვებს [illegible] ვერ გადაწყვეტს, მას წყვეტს ადამიანის მოქმედება და ცხოვრება. ეს კითხვები უძველესი დროიდან მოდიან. რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია მათზე პასუხების მთელ სერიალს იძლეოდა და ეს იმას მოწმობს, რომ ადამიანი მუდამ ეძებდა ბუნებასთან და ადამიანებთან უფრო მარმონიული ეგზისტენციის ფორმას.

თანამედროვეობის შეხატყვის პასუხს ეძებს ე. ფრომი იმ ადამიანის ეგზისტენციის შესახებ, რომელმაც თავისი ძალა ბანკნოტების, მანქანების, ატომური იარაღის შექმნაში დახარჯა, ვინც გააყალბა თავისუფლების, ჰუმანიზმის და სოციალიზმის ცნებები. გონებას მაშინ შეეძლო უდიდესი პროგრესი განეხორციელებინა, როცა ადამიანი ბუნების ძალებს იმეცნებდა, მაგრამ ახლა იგი ბუნებას დაუპირისპირდა, ანადგურებს; ადამიანმა თავისი თავიც გასწირა საბედისწეროდ და მუდმივ ისმის ალტერნატიული კითხვა: „გადარჩენა, თუ დაღუპვა“. ამიტომ ახლა მარტო გონებაზე დაყრდნობა აღარ შეიძლება. გონება კვლავ ძალას მოიპოვებს მაშინ, თუკი გაჩნდება მომავლის რწმენა და იმედი, თუკი ახალი „ადამიანურის აღორძინება“ დაიწყება, „ახალი ჰუმანიზმი“ განვითარდება. ამიტომ ფიქრობს ე. ფრომი — ახლა ალტერნატივა „კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი“, „დასავლური კაპიტალიზმი თუ საბჭოური ან ჩინური კომუნიზმი“ უკვე ძალაში აღარ არის, იგი შეცვალა ალტერნატივამ „ბიუროკრატიზმი თუ ჰუმანიზმი“.

ადამიანმა ბუნებაც და საზოგადოებაც უნდა გადაარჩინოს „ბიუროკრატიული კონტროლისაგან“, ე. ი. თვითნებობისაგან. მომავალი ეკუთვნის „დემოკრატიულ დეცენტრალიზებულ სოციალიზმს“, იგი ყველა ძალთა შემჭიდროებით შექმნის პირობებს ადამიანთა უმაღლესი მიზნის განხორციელებისათვის.[2]

არის თუ არა შესაძლებელი მარქსისა და ფროიდის მოძღვრებათა გამოყენებით კაცობრიობის ხსნა? ფრომის აზრით, ცალ-ცალკე ეს თეორიები ნაკლოვანნი არიან, შესაძე გზას ორივე მოძღვრების გამოყენებით თავად მან მიაკვლია და მას „დემოკრატიული სოციალიზმი უწოდა“. ამ გზაზე დადგომისათვის აუცილებელია ცხოვრებაში ორიენტაციის წესის ღრმა მეცნიერული შესწავლა და სწორი ორიენტაციის დადგენა.

[1] Ebda. S. 159.

[2] Ebda. S. 165.

ბოლოს და ბოლოს როგორ უნდა გაანთავისუფლდეს თანამედროვე ადამიანი ილუზიებისაგან? მას ხომ არა მარტო შემორჩა ილუზორული ყოფიერება, არამედ მეტად გაუძლიერდა და გაუბატონდა?

ამ კითხვებზე პასუხობს ე. ფრომის ზემოთ უკვე დახასიათებული ნაშრომი „ფლობა ან ყოფნა". ამ წიგნში ავტორი კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკას, კატეგორიულად გმობს არსებობის იმ წესს, რომელსაც „ფლობა", დაუფლება, მითვისება, ბუნებისა და საზოგადოებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ეწოდება.

XVIII ს-დან დაიწყო „ინდუსტრიული საზოგადოების" ისტორია ბუნებაზე ბატონობით მატერიალური სიუხვის, ბედნიერების მოპოვების დაპირებებით, იმედითა და პროგრესის რწმენით. მანქანური საუკუნის ადამიანს ღმერთის ადგილი უნდა დაეკავებინა. ღმერთმა შექმნა სამყარო, ახლა ადამიანი ახალ სამყაროს ქმნის, რომლისთვისაც შექმნილი ბუნება მხოლოდ საშენი მასალაა. მაგრამ რა მოხდა ბოლოს? — დიდი იმედები და ოცნებანი დამთავრდა იმით, რომ ადამიანი გახდა ბიუროკრატიული მანქანის პატარა ხრახნი, მისი აზრი, გრძნობა, გემოვნება ხახელმწიფოს მანიპულაციებით განისაზღვრა. ტექნიკურმა პროგრესმა გაზარდა უფსკრული მდიდარსა და ღარიბ ერებს შორის, საფრთხე შეექმნა საარსებო გარემოს, ცივილიზაცია მიმართული აღმოჩნდა ბირთვული ომის გაჩაღებისაკენ, სიცოცხლის მოსპობისაკენ.[1]

რატომ განიცადა კრახი დიდმა იმედებმა? ეს მოხდა თვით ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო: 1. ცხოვრების მიზნად იქცა მაქსიმალური ტკბობა, ბედნიერება ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზით, 2. განვითარდა ეგოიზმი, სიხარბე. ამ ფაქტორებმა უსასრულოდ გაზარდა ფლობის, მოხვეჭის ტენდენციები, და რაც მთავარია, ერთმანეთისგან გათიშა ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობანი და მათი სულიერი ღირებულებანი. ეკონომიკა მანქანურ წესს დაქვემდებარებულ ავტონომიურ ორგანიზმად გადაიქცა, თავისთავად ფუნქციონირებადი, კანონების მხრივ ბუნების აუცილებლობას გაუთანაბრდა.[2] მთავარი უურადღება იმას მიექცა, რაც თავად ამგვარი ეკონომიკური სისტემისათვის არის სასარგებლო. აზრი დაკარგა იმან, არის თუ არა ეს სასიკეთო ადამიანისათვის. ადამიანთათვის თანშობილად, ბუნებრივად მოცემულად გამოცხადდა სიხარბე და ეგოიზმი.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში განვითარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: სიძულვილი ყოველივე ბუნებრივისადმი, გაბაცება ხელოვნურით, მანქანების ფლობით. სულ უფრო მეტად ძლიერია მანქანური ტექნიკის დაუფლებით (ახალი მარკის ავტომანქანები, უფრო ხრულყოფილი ტელევიზორები და სხვ.), ამასთან ერთად მტრული დამოკიდებულება ბუნებისადმი განვითარდა ბუნების რესურსების მაქსიმალური ამოქაჩვის ტენდენციად. XIX ს. ადამიანი უფრთხილდებოდა შეძენილს, მოქმედებდა პრინციპით „ყოველი ძველი მშვენიერია!" თანამედროვე ადამიანმა აქცენტი გადაიტანა დაუფლების პროცესზე, ყიდვა, რომ სწრაფად მოიშოროს ძველი, იყიდოს უკანასკნელი მოდელი, რომელიც ასევე სწრაფად ძველდება და მოსაშორებელი ხდება. მომხმარებლური ადამიანის ფსიქოლოგია ასეთ წრეში ვითარდება: შეძენა — დროებითი ფლობა — მოხმარება — გადაგდება — ახლის შეძენა. წინა საუკუნის პრინციპი შეიცვალა საპირისპიროთი: „ყოველი ახალი მშვენიერია!".

მომხმარებლური ფსიქოლოგიის ადამიანისათვის მთავარი ის არის, რომ ახლის შეძენით იგი თავისი „მეს" რაღაც ახალ ნაწილს შემოიმატებს, მისთვის ახლის ფლობა საკუთარი ძალების გაძლიერებაა და რაც უფრო ჩქარი მიმდინარეობს ეს პროცესი, მით უკეთესია მომხმარებლური ინსტინქტების ადამიანისათვის. მისაკუთრებითი გრძნობის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ყოველივეს მოჩემება (ჩემი ექიმი, ჩემი წამალი, ჩემი მუშები, ჩემი ავადმყოფობა) და ეს არ არის დროებითი ან შემთხვევითი, ეს არის თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში პრევალირებული განწყობილების გამომხატველი.

ზემოთ დასახელებული ფსიქოლოგიური ფაქტორები მოქმედებენ არა მარტო რიგითი ადამიანების, არამედ ხახელმწიფოთა ლიდერების ფსიქიკაშიც. ისინი ქმნიან ილუზორული ბედნიერების ეფექტებს, მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილებისათვის აწყობენ გაუთავებელ მოლაპარაკებებს განიარაღებაზე, იღებენ რეზოლუციებს, ნამდვილად კი არავითარ სერიოზულ ცვლილებებს არ ახორციელებენ. ისინი მხოლოდ მოჩვენებითი შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს კარგად იციან გადარჩენის, ხსნის გზა და ამ გზით მიემართებიან, ნამდვილად კი ლიდერებს მათი ეგოიზმი აიძულებს პირადი წარმატებები მათსავე ხაზოგადოებრივ მოვალეობაზე მაღლა დააყენონ.[3] ამიტომ არ არის გასაკვირი წამყვანი პოლიტიკური ლიდერები რატომ იღებენ პირადად მათთვის სასარგებლო გადაწყ-

[1] Э. Фромм, Иметь или быть? Стр. 33.

[2] Ebda, S. 38.

[3] Ebda, S. 41.

ვეტილებებს, რაც ხშირად ესოდენ ხაშიში და მავნეა საზოგადოებისათვის. ამის საფუძველზე იკეთებს ე. ფრომი დასკვნას თანამედროვე საზოგადოებაში პათოგენური მოვლენების უჩვეულო მომძლავრებაზე, მოხვეჭის, ფლობის სტიმულებით დაკავადებულ პიროვნებათა მომრავლებაზე და საერთოდ მთელი საზოგადოების პათოლოგიურობაზე, რომელსაც უცილობელი მკურნალობა სჭირდება. რისთვისაც იგი დეტალურად განიხილავს თანამედროვე ადამიანის წინაშე მდგარ ალტერნატივას: ფლობა თუ ყოფნა, — არსებობა ნამდვილი ადამიანური საზრისით. დასავლეთის ინდუსტრიული საზოგადოება გაიტაცა ფლობის ორიენტაციამ. ცხოვრების საზრისი გახდა ფულის, სახელის, ხელისუფლების დაუფლება. საზოგადოებაში, სადაც საკუთრების დაგროვება ცხოვრების წესად იქცა, ფლობის საგანი გახდა არა მარტო ნივთები, არამედ ყველაფერი, რასთანაც კი ადამიანს ურთიერთობა აქვს. დაგროვების პრინციპს დაექვემდებარა სწავლა, მეხსიერება, სუბარი. წიგნის კითხვა, ხელისუფლება, რწმენა, სიყვარული. რადგან მათ მოაკლდათ ადამიანის აქტივობა, აზროვნების თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა, კრიტიკული განსჯა.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეული ალტერნატივიდან „ფლობა თუ ყოფნა“ რომელი გადასძლევს მომავალში, — სამყაროში ორიენტაციის ის წესი, რომელიც, ამჟამად ესოდენ გაბატონებული, ფლობის ობიექტად აქცევს ყველაფერს და მათ შორის თვით ადამიანის საკუთარ თავსაც, — თუ მისი საპირისპირო, არსებობა პიროვნული აქტივობის პოზიციით, ბუნების, ადამიანისა და საგნების მნიშვნელობისა და ღირებულების აღიარებით. ფლობითი ორიენტაცია აკნინებს სუბიექტს, ის ილუზიების ტყვეა და ყოველივეს დაუფლების ეინით უყურებს, იგი მომხმარებლური ტენდენციის მქონეა და მოქმედებს პრინციპით: „მე ვარ ის, რასაც ვფლობ და რასაც მოვიხმარ“.[1] ჭეშმარიტი ყოფიერების ორიენტაციის ადამიანური ღირებულებათა სხვაგვარ შინაგან კრიტერიუმს აწესებს. მან იცის, რომ რაღაცის ფლობა და მოხმარება აუცილებელია არსებობისათვის, მაგრამ ეს ადამიანისათვის თვითმიზნად არ უნდა იქცეს. ნივთების, ცოდნის, წიგნის და სხვათა „დაუფლების“ ნაცვლად ჭეშმარიტი ყოფიერების ადამიანი კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას მიხდევს, მისთვის საკუთარი მე არ გადაიქცევა ხელისშემშლელად, რადგან ახალი პიროვნება არ არის შებოჭილი ავტორიტეტის, ქონების, თავისი მდგომარეობის დაკარგვის შიშით. მისი მოქმედების, ურთიერთობათა განმსაზღვრელია ჭეშმარიტების მიღწევის მიზანი და ამიტომ კამათს, დიალოგს, მოწინააღმდეგის დაძლევას მისთვის არ მოაქვს არც მარცხის სიხარული და არც გამარჯვების სიამაყე.

ცოდნის დაგროვებასა და „დაუფლებაში“ ფლობის სუბიექტი ინფორმაციათა „ზვავქარებით“ თუ ემგავსება რომელიმე მუზეუმის გიდს, შემოქმედი პიროვნება. ყოფიერი არსებობისაკენ ორიენტირებული მუდამ ახალი ინტერესებით ცხოვრობს. ეს ყოფნაა თავისუფალი, აქტიური სწრაფვა რაღაც ახლისაკენ ყოფიერის შუაგულში (inter – esse), რაც განტვირთულია ფლობისა და სიხარბის ინსტინქტებისაგან.

ე. ფრომი იმედიანად უყურებს მომავალს, რადგან სწამს თანამედროვე საზოგადოების იმ ძალების, ჯგუფების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მოძრაობის მნიშვნელობა, რომელნიც იბრძვიან ფლობის ორიენტაციის წინააღმდეგ და მის შეცვლას ცდილობენ. ავტორმა კარგად იცის, რომ ისინი საზოგადოების უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ მან ისიც იცის, რა ხშირად გაუკვლევია გზა უმცირესობას წინ, მომავლისაკენ.[2] ფილოსოფოსს აქვს ფლობის ინსტინქტების გადალახვის ღრმა რწმენა, თანამედროვე ახალგაზრდობის მხარდაჭერის იმედი. მას მხედველობაში აქვს 60-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც ესოდენ მჭიროდ იყო დაკავშირებული ფრანკფურტის სკოლის იდეებთან, უწინარეს ყოვლისა მარკუზეანელობასთან, რაც მარცხით დამთავრდა არსებითად მომავალი ცხოვრების საზრისის გაურკვევლობის მიზეზით. ე. ფრომი საზოგადოების მომავალი მორალური სრულყოფის საფუძვლად მიიჩნევს ახალგაზრდობის გატაცებას მუსიკით, ხელოვნებით, მოგზაურობით, მათ გულახდილობასა და პოლიტიკურ გულუბრყვილობას, „თავისთავის მაძიებლობისა“ და თვითგაცნობიერებისათვის შემართულობას..

ე. ფრომი თავის მსჯელობაში ხშირად იმარჯვებს ეგზისტენციალიზმის ძირეულ ცნებებს „იმედი“, „რწმენა“, მაგრამ მათ თანამედროვეობის უაღრესად პრაქტიკულ ამოცანებთან აკავშირებს და შინაარსობრივად ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს. აღსანიშნავია, რწმენის როლის თავისებური სოციალურ-პოლიტიკური გაგება: ადამიანს, — წერს ე. ფრომი, მხოლოდ გარეთ გამოვლენილი მოთხოვნილებები კი არ აქვს, არამედ მას აქვს აგრეთვე რაღაც შინაგანი მოთხოვნილება რწმენაზე, თავისებური „რელიგიური“ მოთხოვნილება, რომელშიც იგულისხმება არა უთუოდ ღმერთის რწმენა, არამედ რწმენა პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო მმართველის, საზოგადოებაში გაბატონებუ-

[1] Ebda. S. 56.

[2] Ebda. S. 103.

ლი ყველა იმ კერპისა, რომლის წინაშე ადამიანს შეეძლება ქედი მოიხაროს. ასეთი „რელიგია" ადამიანის „სოციალურ ხასიათში ზის", როგორც მისი ჭცევის ერთ-ერთი ასპექტი; ეს არის ის, რისი ერთგულნიც ვართ ან არა ვართ და ამიტომ იგი „ჩვენი ქცევის მოტივაციის განმსაზღვრელი ხდება".[1]

ე. ფრომს შემოაქვს „ინდუსტრიული რელიგიის" ცნება. ამ ინდუსტრიული საუკუნის, კიბერნეტიკური ეპოქის რელიგიისათვის საფუძველი ძველად ლუთერმა მოამზადა. ლუთერიანელობა იყო ბიურგერების რელიგია, დაფუძნებული პრინციპზე „შრომა შეიქმს სიყვარულსა". მაშინ ქრისტიანული რელიგია გადაიქცა ფასადად, რომლის უკან „საიდუმლო რელიგიამ" დაიწყო განვითარება. სწორედ იმ რელიგიის განვითარების თავისებური ფორმაა თანამედროვე კიბერნეტიკულ-ინდუსტრიული რელიგია, შეუთავსებელი ქრისტიანობასთან, რადგან ადამიანები მანქანებს ემონებიან, ისინი ეკონომიკის მორჩილ მსახურებად განწესდებიან.[2]

ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ადამიანები მაქსიმალურად დაიმორჩილა, ადამიანი საბაზრო საქონლად გადაიქცა, თავისთავში საცვლელი ღირებულების მატარებელი პიროვნება ბაზარზე იყიდება. „ბაზრული ხასიათის" ადამიანს არ აინტერესებს ზოგადი ფილოსოფიური პრობლემები, ის, თუ „რაში მდგომარეობს ადამიანის ცხოვრების საზრისი"; მას დაკარგული აქვს პიროვნული „თვითობის" გრძნობა, მას არ ძალუძს ნამდვილი სიყვარული და სიძულვილი, იგი მოითხოვს მარტო პრესტიჟსა და კომფორტს.

ე. ფრომი მარქსიზმს „ახალი ჰუმანიზმის" საბესხვაობად განიხილავს, რომელიც საპროტესტო მოძრაობად განვითარდა სოციალური მოვლენების დეჰუმანიზაციისა და „ინდუსტრიულ-კიბერნეტიკული რელიგიის" წინააღმდეგ.[3] მარქსმა ეკონომიკური კატეგორიებიდან ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ კატეგორიებზე გადასვლით მკაცრად დაგმო ფლობითი ორიენტაციის ცხოვრების წესი, მიუთითა გაუცხოების ფენომენზე, კერძო საკუთრებაზე როგორც მის ეკონომიკურ საფუძველზე. ე. ფრომის ინტერპრეტაციით, ადამიანის არსებობის მიზანი მარქსთან არც ფუფუნებაა და არც ხილარიბე, ორივე ფლობითი სტიმულებით გამოწვეული ადამიანური ნაკლოვანებანია; ადამიანური არსებობის ნამდვილი მიზანი „თავისი თავის წარმოქმნაა", თვითაქტივობა, გაუცხოებისაგან თავის დაღწევით საკუთარი უნარების სრული რეალიზაციაა. ავტორის აზრით, მარქსიზმის გამოყენებაში მრავალი შეცოდება იყო დაშვებული, არ იყო გათვალისწინებული „ახალი ადამიანის", მისი მოძღვრების ნაადრეობა და დანაშეულოვნებისათვის განსაკუთრებული აქტუალური მნიშვნელობა თანამედროვე ადამიანის მომხმარებლური ფსიქოლოგიის, დაგროვებისა და ეგოცენტრიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.[4]

ე. ფრომი „ახალი ადამიანის" ჩამოყალიბების ძირითად პრინციპებს ბუდიზმის ოთხ „ძეთილშობილ ჭეშმარიტებასთან" აკავშირებს; იგი ცდილობს შორეული კავშირები დაადგინოს ბუდიზმსა, მარქსის კომუნიზმის პრინციპებსა და ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიას შორის. ამავე დროს იგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „ახალი ადამიანის" წარმოქმნა ახალ საზოგადოებაზე გადასვლას ნიშნავს, რისთვისაც უნდა მოხდეს ფლობითი არსებობის წესის ყოველი გამოვლინების უარყოფა, უნდა ჩამოყალიბდეს თავისი თავის რწმენისა და თავისი ძალების იმედის მქონე ადამიანი ყოველი შიშის დამძლევი, ადამიანებთან კომუნიკაციისა და სიყვარულის მომთხოვნი, თავისი თავის სრულყოფის მუდმივი ინტერესით შეპყრობილი. ახალი ადამიანი აღარ იქნება ნივთების მონა, „ვეშჩიზმით" დაავადებული, მას ხიხარულს მიანიჭებს ხალხისადმი სამსახური, განავითარებს კრიტიკულ-რეალისტურ აზროვნებას, განთავისუფლდება ნარცისიზმისაგან და თვითშემეცნებით მოიპოვებს თავისუფლებას .

ყველაფერი, რაც ახლა ითქვა ახალი ადამიანის შესახებ, მეტად დაშორებულია ადამიანის არსებობის კონკრეტულ-ისტორიული მიდგომისაგან. აშკარაა, რომ ფრომის მიერ მომარჯვებული საკმაოდ არჭაული იდეალები და აბსტრაქტული მსჯელობანი მეტად დაშორებულია რეალობას. ავტორის შენიშვნის მიხედვით, თუმცა იგი არ აცხადებს პრეტენზიას მზამზარეული რეცეპტები დაამზადოს მომავალი ცხოვრების წესისათვის, რეკომენდაციები მისცეს ან „არსებობის ხელოვნების" მზა ფორმულებით უზრუნველყოს ადამიანები, მაგრამ ამგვარი უპრეტენზიობა მაინც ვერ შველის საქმის არსს. საერთოდ ე. ფრომი ხშირად საკმაოდ საფუძვლიანად მიმართავს ხოლმე საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ ანალიზს და ცდილობს დასკვნებიც კონკრეტული გააკეთოს. კერძოდ, ეს კარგად ჩანს ახალი საზოგადოების შესახებ მისი მოძღვრებიდან, მაგრამ ახალი ადამიანის მისეული თვალსაზრისი აბსტრაქტულია და საკმაოდ მოძველებული იდეალების ჩარჩოებითაა შეზღუდული.

ე. ფრომის „ახალი საზოგადოების" კონცეფცია თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოე-

[1] Ebda, S. 158.
[2] Ebda, S. 169.
[3] Ebda, S. 176.
[4] Ebda, S. 190.

ბის განვითარების შედეგების საკმაოდ რეალურ ანალიზს ემყარება. იგი აჩვენებს, რომ ინდუსტრიალიზაციის გლობალურმა მასშტაბებმა წარმოების ისეთი ცენტრალიზაცია გამოიწვია, რაც ხაბოლოოდ მიდის ფაშიზმის თავისებური ფორმის, „მომდიმარე სახის ტექნოლოგიური ფაშიზმის" აღორძინებისაკენ. ამგვარი ცენტრალიზაციით საზოგადოება „მეგამანქანას" ემსგავსება, რომელშიც ცხვრის ფარის მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს დაკარგული აქვთ კრიტიკული აზროვნების უნარი. ისინი მოითხოვენ „ლიდერს", რომელმაც „იცის", რა უნდა აკეთოს ხალხმა და საერთოდ იცის ის, რაც ამჯერ არ იციან. ასეთი გიგანტი მანქანის მართვა შეუძლია ყველას, ვინც კი მის საჭესთან მიღწევას შეძლებს, რადგან იგი ავტომატურად ასრულებს მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ძალადობის პოლიტიკას. ბიუროკრატიული აპარატის სწორედ ამგვარი პოლიტიკა იწვევს ცოცხალი, ინდივიდუალური ადამიანური ნება-სურვილების ნიველირებას, ადამიანის გადაქცევას ნივთების და რაოდენობრივ ადრიცხვას დაქვემდებარებულ, დანომრილ არსებებად.

თანამედროვე ბიუროკრატიული მართვის სისტემის მკაცრი კრიტიკული ანალიზით ე. ფრომი ცხადყოფს მის მმართველთა გაორებას, გარეგნული გულითადობის მიღმა დაფარულ სადისტურ მისწრაფებებს, მიუთითებს იმაზეც, რომ ბიუროკრატიის რწმენის კერპია სისტემა, მისი კანონ-წესები მათთვის წმინდათა წმინდაა, ეს ის საცხოვრისია მათთვის, რომელიც უნდა დაიცვან და ირწმუნონ. პიროვნებაზე მიყენებული უდიდესი ზიანი ადმინისტრაციის მხრიც იმაში მდგომარეობს, რომ ბიუროკრატია მიმართავს „ტვინის გამორეცხვის", „გამოსუფთავების" მეთოდებს, რათა შემდეგ მასში ჩადოს პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მოწოდებანი და საწარმოო რეკლამები. — მომხმარებლური ფსიქოლოგიის ადამიანებზე ესოდენ ბიპნოზურ ზემოქმედებას რომ ახდენს.

ახეთი „დაავადებული საზოგადოების" განკურნებისათვის ე. ფრომი საზოგადოებათმცოდნეებს სთავაზობს ფროიდიზმის შესაბამისად საქმის დაწყებას ინდივიდების „მკურნალობით". როგორც ფსიქოანალიზის მეთოდმა უნდა გააცნობიერებინოს ინდივიდს, რისგან იტანჯება, რა არის მისი ავადმყოფობის მიზეზი, ახევე სოციალ-ფსიქოლოგებმა, ფილოსოფოსებმა სოციალური წინააღმდეგობების მიზეზების გამოკვლევით და გაცნობიერებით გამოჯანმრთელების გზაზე უნდა დააყენონ ადამიანის ფსიქო-სოციალური არსება და საერთოდ საზოგადოების სოციალური ურთიერთობანი.

ე. ფრომი დაბეჯითებით მოითხოვს საზოგადოებათმეცნიერების განვითარებას, დასაბუთებულად იცავს ბუნებათმეცნიერების წინაშე საზოგადოებათმცოდნეობის პრიორიტეტს. მისი აზრით, თანამედროვე საზოგადოების ურთიერთული და სახიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ ამ მეცნიერების მისია, რადგან თანამედროვეობამ, „ადამიანი ამოცანად დააყენა ადამიანის ხელოვნური მიზნის შესაბამისად ადამიანის ბუნებაზე გაბატონების ნაცვლად გადასვლა ტექნიკის, ირაციონალური სოციალური ძალების და შესაბამისი ინსტიტუტების გონივრულ დამორჩილებაზე, კაცობრიობასთან ძალუმად დაპირისპირებული ტექნიციზმის შედეგების რაციონალურ მოწესრიგებაზე.

ახალ საზოგადოებაზე გადასასვლელად ფრომის მიერ დასახულ ამოცანებს შორის უპირველესია მითითებანი ეკონომიკურ გარდაქმნათა თაობაზე, კერძოდ იმაზე, რომ ტოტალური ცენტრალიზაცია უნდა შეიცვალოს დეცენტრალიზაციით, უარის თქმა ეკონომიკის განუსაზღვრელ ზრდაზე და ცალმხრივ განვითარებაზე ერთიანი გეგმიანი ეკონომიკის უზრუნველყოფა, მეცნიერული პროგრესის დაჩქარება და ინდუსტრიული საზოგადოების Homo consumens-ის (მომხმარებლური ადამიანი) შეცვლა პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ადამიანით. „ჩვენი ამოცანაა შეექმნათ ჯანსაღი ეკონომიკა ჯანსაღი ადამიანებისათვის".1 ამისათვის კი ადამიანთა ცხოვრების წესად უნდა იქცეს მომხმარებლური ფსიქოლოგიის შეცვლა აქტიური საზოგადოებრივი ინტერესებით, უნდა მოხდეს ინდუსტრიული და პოლიტიკური დემოკრატიის სრული რეალიზაცია, დემოკრატიის პასიური ფორმა, ე. წ. „მეთვალყურეთა" დემოკრატია უნდა შეიცვალოს „მონაწილეთა" დემოკრატიით.

ე. ფრომის აზრით, „პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მოითხოვს მრეწველობისა და პოლიტიკის მაქსიმალურ დეცენტრალიზაციას",2 მაგრამ არა საზოგადოებრივი პროცესების მართვის უარყოფის გზით, არამედ, ჩვენი ავტორის რეცეპტების მიხედვით, უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი ხათათბირო ორგანოები და „უმაღლესი საბჭო", რომელნიც გადაწყვეტენ ეკონომიკის, საგარეო პოლიტიკის, ჯანმრთელობის, განათლების და სხვა საკითხებს. მასში მონაწილეობას მიიღებს შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენციის ელიტა, რომელიც კონტროლს აწესებს მეცნიერულ გამოკვლევებზე ,ადგენს ბირთვული განიარაღების პირობებს, უარს ამბობს თავდაცვისა და ხამხედრო მრეწველობაზე.

---

1 Ebda, S. 198.

2 Ebda, S. 206.

ე. ფრომი თავისი გამოკვლევის „ფლობა თუ ყოფნა?“ ბოლო ნაწილში შეეცადა ერთბელ კიდევ ღრმად ჩაწვდომოდა იმ რეალურ შანსებს, რომლითაც სწორი მიმართულება შეიძლება მისცემოდა თანამედროვე საზოგადოების ალტერნატივას: საკვდილი თუ სიცოცხლე. კაცობრიობის გადარჩენა თუ დაღუპვა. იგი იმედს გამოთქვამს ასეთი ალტერნატიული ვითარების გონივრული გადაწყვეტის რეალურ შესაძლებლობაზე, რომელიც შესაძლოა ჯერჯერობით უმცირეს შანსად ჩანდეს, მაგრამ მისი გაძლიერება უცილობელია მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დაძაბული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით. ე. ფრომი კვლავდაკვლავ მიუთითებს თანამედროვე საზოგადოების პათოლოგიურობაზე და მოუწოდებს საზოგადოებათმცოდნეებს, გამოვიდნენ მკურნალის როლში ,,ეძებონ ავადმყოფის გადარჩენის შანსები, ებრძოლონ „ტექნოკრატიულ ფაშიზმს“ საზოგადოება კატასტროფამდე რომ მიჰყავს. დეჰუმანიზებულ ადამიანს ბირთვული იარაღით კაცობრიობას თვითმკვლელობისაკენ რომ მიმართავს.

ე. ფრომი ავლენს საზოგადოების გადარჩენის რეალურ ფაქტორებს: 1. სულ უფრო მეტად ხდება ხალხის მიერ იმ ჭეშმარიტების გაცნობიერება, რომ დასავლეთის ხამყარო უნდა გადარჩეს მიწის პირისაგან აღგვას, რომ ამისათვის საჭიროა ბუნებასთან ადამიანის გონივრული ახლებური ურთიერთობა, ადამიანთა შორის სოლიდარობა და თანამშრომლობა, ხასიცოცხლო ინტერესების დაცვა მიუხედავად იმისა, რა ძლიერიც არ უნდა იყოს მათ ლიდერთა მიერ ჩანერგილი ცრურწმენანი; 2. სულ უფრო მეტად ძლიერდება უკმაყოფილება ახლანდელი სოციალური სიხტეშეების მიმართ, უფრო და უფრო იგრძნობა „ხაუკუნის ავადმყოფობა“, სულიერი დეპრესია, ადამიანთა არაკომუნიკაბელობა, განმარტოების სიცარიელე, სიცოცხლის უაზრობა, ამის გაცნობიერება ანელებს დასავლეთის ადამიანის „ფლობით“ სტიმულებს. გაჩნდა განწყობა, რომ მომხმარებლური ფსიქოლოგია ალარ არის ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი, დაიწყო „ფლობის“ ტენდენციების მოყირჭებისა და მობეზრების ხანა. დრომ მოიტანა ეგოიზმიდან ალტრუიზმზე გადასვლის მოთხოვნა. უკვე ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, ვისაც ფლობის პრინციპი აკმაყოფილებს, მცირენი დარჩნენ ძველი ილუზიების ტყვეებად, იმ ილუზიისა, რომ ბედნიერება მეტის ფლობაშია. ამას ახლა მხოლოდ ის მისდევს, ვინც მოკლებულია „ბურჟუაზიულ ფუფუნებას“, დასავლეთში მასზე ახლა მარტოდა წვრილი ბურჟუაოცნებობს.[1] 8. დიდი ცვლილებები მოხდა მუშათა კლასში, სოციალისტურ და ლიბერალურ პარტიებში, რაც აგრეთვე არსებული საზოგადოების გარდაქმნის რეალურ ფაქტორს წარმოადგენს.

ამუამად მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებში ბევრი რამ ხანგლის ბეღლისშემწვლელიც არის. თუნდაც ის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიები არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვებისათვის სულ უფრო მეტად კვეცენ თავიანთ პროგრამებს, სოციალისტური იდეებიდან გადადიან ლიბერალურ რეფორმისტულ მოწოდებებზე. ამას გარდა თანამედროვე საზოგადოებაში მრავლად არიან კონსერვატორები, თავისი ძველი ზნეობრივი და რელიგიური იდეალების დამცველნი. მაგრამ თანამედროვე საზოგადოების უცილობელი გარდაქმნის ხანგრძლივ მდგომარეობა სოციალური და პოლიტიკური ძალების მოქმედების მიუხედავად ე. ფრომი ხაკმაოდ რეალისტურად ჭვრეტს იმ ძალებისა და იდეალების მნიშვნელობას, რომელთაც ალმოაჩნდებათ უნარი არსებითი გარდაქმნის მიზნით გადალახონ ძველი ბარიერი. მას ხაიმედო პერსპექტივად ესახება საზოგადოების მოწყობა ახალი პრინციპების მიხედვით, თუკი წარმოება მიიღებს ჯანსაღი და გონიერი მოხმარებისაკენ ორიენტაციის სახეს, თუ უველა აქტიურად განახორციელებს თავის პოლიტიკურ ფუნქციებს, ეკნება პასუხისმგებლობა თავისთავისა და სხვის წინაშე.

როგორც ჩვენში, ისე დასავლეთის ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად გაისმის ე. ფრომის ქება მის მიერ სოციალური მოვლენების ღრმა კრიტიკული ანალიზისათვის, სოციალურ-ისტორიულ, კულტურულ-რელიგიურ, ფსიქოლოგიურ-ბიოლოგიურ სპეკტრებში თანამედროვეობის მწვავე ხაზოგადოებრივი მოვლენების განხილვის და მათი შეფასების ფართო მასშტაბების დასახვისათვის. საკმარია ისიც, რომ ფრომი — ფილოსოფოსი ადვილად გარდაიქმნება ხოლმე ფსიქოლოგად და სოციოლოგად, რაც მას ხაზოგადოებრივი ცხოვრების ხირთულის მრავალმხრივი ასპექტების წვდომის შესაძლებლობას აძლევდა. ხაკმაოდ აგრეთვე მისი საფუძვლიანი მცდელობანი, დაუფარავად ამხილოს ბურჟუაზიული ხამყაროს წინააღმდეგობანი. მის გაორებათა მთელი კალეიდოსკოპი, სოციალურ დიქტომიათა მრავალი ნიუანსი, განსაკუთრებით საკმარია მისი „ჰუმანისტური“ დიალექტიკა, როგორც ადამიანის სოციალური ბუნების და ხაზოგადოებრივი მოვლენების ხაკმაოდ რეალისტური და დამაჯერებელი ახსნის მეთოდოლოგიური ბერხი. ე. ფრომმა მარქსიზმისა და ეგზისტენციალიზმის გავლენებით გაშუალებული რთული თეორიულ-ფილოსოფიური ევოლუციის გზა გაიარა — ფროიდიზმიდან ნე-

[1] Ebda, S. 221.

ოფროიდიზმამდე და მისი თვალთახედვა ყოველთვის წიმარითული იყო თანამედროვე საზოგადოებაში მოქმედი დაპირისპირებების აღმოჩენისაკენ, იმის კვლევისაკენ, თუ როგორ გამოვლინდებიან ეს წინააღმდეგობანი სოციალურსა და ინდივიდუალურში, პოლიტიკურსა და ეთიკურში. სწორედ ამ წინააღმდეგობათა საფუძვლიანი ანალიზით ცდილობდა ფილოსოფიური პოზიტიური გადაწყვეტის გზები აღმოეჩინა და „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების ფაქტორები მოენახა, დასაბუთებულად განესაზღვრა ახალ საზოგადოებაზე გადასვლის პირობები.

ე. ფრომი თავისი კვლევის მიზნის მიხედვით ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა. მას უნდა ეჩვენებინა ილუზორული სოციალური ყოფიერებიდან, ფლობიდან, მომხვეჭელობის, დაგროვების მოტივებიდან ადამიანის ხსნის გზები და საშუალებები. ამისათვის გაითავისა და მოიმარჯვა მოძღვრებანი ფროიდისა და მარქსისა, ეგზისტენციალისტებისა და ფრანკფურტელებისა. იგი თავგამოდებით ეძებდა „ახალი ადამიანის“ და „ახალი საზოგადოების“ დაფუძნებისაკენ მიმავალ გზას. ასეთი მიზნის დასახვით მოაზროვნემ მნიშვნელოვანი თეორიული წარმატებები მოიპოვა, რადგან თავად მიზანი ამაღლებული, თანამედროვეობის სულიერებიანობის გამომხატველი და უაღრესად აქტუალური.

ე. ფრომის დასკვნები და ხელმძღვანელი რეკომენდაციები თუმცა საბოლოოდ თეორიული განსჯის სფეროს ვერ გასცდა, მრავალ შემთხვევაში, ისინი აბსტრაქტული, ფორმალურ-აპრიორულ მსჯელობებად და დასაბუთებებად დარჩნენ. მაგრამ სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკისა და ეკონომიკის თანამედროვე მკვლევართა, ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა, სოციალურ ფსიქოლოგთა და პოლიტოლოგთათვის დიდმნიშვნელოვანია მის მიერ დასახული მიზანი საზოგადოების გარდაქმნის აუცილებლობის პირობებისა და ფაქტორების გამოკვლევის შესახებ; რაც მთავარია, საგულისხმო პრაქტიკული ამოცანების დასახვის შესაძლებლობას იძლევა ფრომის მიერ ახალი ადამიანისა და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების სადღეისო პერსპექტივების პროგრესულობა და აქტუალობა.

□

ირინა სარიშვილი

ადამიანის ფაქტორი უ. ბლეიკის შემოქმედებაში[1]

ბლეიკის პოეზიის მხოფლმხედველობრივ საფუძველს ქმნის ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებათა უხვი არსებობა მის ლექსში, რომელიც ბლეიკისეული ადამიანის ფილოსოფიის გამოხატულებაა — ამ ურთიერთდაპირისპირებულ თვისებათა რთულ კომპლექსში უაღრესად საინტერესოდ მიგვაჩნია ისეთი კონტრასტული ცნებების თანაარსებობა და ურთიერთმიმართება, როგორიცაა **თანდაყოლილი** და **შეძენილი**; **საყოველთაო** და **ინდივიდუალური** ცნებები. „ბლეიკისეულ ადამიანში ისევე როგორც ხხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ესენი ერთი შეორეს არ გამორიცხავს და არც ეწინააღმდეგება. ამდენად ამ ცნებათა ანალიზი ისევ სპეციფიური ბლეიკისეული პრინციპით თუ მიგვიყვანს სწორ დასკვნამდე, ბლეიკისეული პრინციპით და არა ტრადიციული დაპირისპირებით, რომელიც ამ ცნებებს (თანდაყოლილი-შეძენილი; საყოველთაო-ინდივიდუალურის) როგორც ანტითეზისებს განიხილავს. დასაწყისისათვის კი მხოლოდ ვიტყვით, რომ ესენი, ისევე როგორც ნებისმიერი „კონტრა-წყვილი“ ბლეიკისეულ ადამიანში, არათუ არ არღვევენ მის სულიერ მარმონიას, არამედ თავად ქმნიან მას.

1. იხ. „საუნჯე“. 1987, № 1, გვ. 309-312. აქაც და ყველა დანარჩენ შემთხვევაში ჩაკრედილი თარგმანი ავტ.

უ. ბლეიკის ფილოსოფიაში ცნებათა, მოვლენათა სიმრავლე ორ დიდ ნაწილად იყოფა — საყოველთაო და ინდივიდუალურ ცნებებად (თუმცა სიტყვა „იყოფა", ალბათ, პოეტის მსოფლმხედველობას ნაკლებად ეხადაგება). თავისთავად ამ ფაქტში, რასაკვირველია, არაფერი ნოვატორული არ არის. ინტერესს კი იწვევს არა ამ ცნებათა არსებობა, არამედ მათი თანაარსებობა ბლეიკის ფილოსოფიაში, ის, თუ როგორ შეერწყმიან ისინი ერთმანეთს და ბოლოს, ამ ხინთეზის შედეგი. საინტერესოა, აგრეთვე, მათი მიმართება მეორე კონტრაწყვილთან" — შეძენილ და თანდაყოლილ თვისებებთან.

ყველაფერი ის, რაც ბლეიკის მსოფლმხედველობით ინდივიდუალურ ცნებათა თუ მოვლენათა სიმრავლეში შედის, პოეტის აზრით, არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი არსებობს ადამიანის წარმოსახვაში, და იმ ფორმით, როგორც წარმოიდგენს მას ადამიანი (აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება ადამიანი „წარმოსახვის უმაღლესი ჭროლვებით" — ე. ი. ის, ვინც ბლეიკისეული „ხინთეზის" პრინციპით თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია. აქედან გამომდინარე, ბლეიკისათვის სრულიად მიუღებელია ასეთი ცნებების მიმართ რაიმე სახის კანონების, ჩარჩოების წინასწარი დადგენა. ეს ადამიანში თავად მოხდება, მოხდება დამოუკიდებლად, ზოგადი პრინციპების გავლენის გარეშე.

ბლეიკის ფილოსოფიაში ამ პრობლემის, ჩვენი ფიქრით, არასწორმა ანალიზმა ბევრი მკვლევარი მცდარ აზრამდე მიიყვანა როგორც პოეტის შემოქმედების, ისე მისი პიროვნების თაობაზე. უ. ბლეიკს ზოგი თავის დროზე ამორალურობაში სდებს ბრალს (რომ აღარაფერი ვთქვათ პოეტის ათეისტად „მონათვლაზე", რაც ცალკე მსჯელობის საგანია). ამის მიზეზი, ერთი შეხედვით, ნათელია და კომენტარს არ საჭიროებს: „მორალური ზნეობრიობა არ არსებობს" — აცხადებს პოეტი. ალფრედ კაზინი თავის ესსეში, სადაც იგი უ. ბლეიკს ბეთჰოვენს უპირისპირებს, წერს: „ბეთჰოვენს — მორალისტს — ამოწერილი ჰქონდა კანტის ერთი წინადადება, რომელსაც თავის საშუშაო მაგიდაზე ინახავდა — „ვარსკვლავიანი ცა ჩვენს თავზე და მორალური პრინციპი ჩვენს შიგნით. კანტი!" ბლეიკისათვის „მორალური პრინციპი, მომაკვიდინებელი გამოგონება გახლდათ, ხოლო ვარსკვლავები კი იმიტომ იყო ცაზე, რომ ადამიანის წარმოსახვა ხედავდა მათ იქ".

ა. კაზინის ბოლო წინადადება საშუალებას გვაძლევს, მოვხსნათ პოეტს ეს „ბრალდება" და, ამავე დროს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ გაუმართლებელია ნებისმიერი ხელოვანის შემოქმედებისაგან მოშუავეტული ზიზეული ფრაზით სახოლოო დასკვნის გამოტანის მცდელობა. როცა ბლეიკი წერს, ზოგადი არ არსებობსო, გულისხმობს, რომ იგი არ არსებობს თავისთავად, ადამიანის ნების, აღქმის გარეშე (მოყვანილ მაგალითში ცხადია, რომ იგივე შეიძლება ითქვას ისეთ კონკრეტულ, ფიზიკურად არსებულ საგანზე. როგორიცაა ვარსკვლავი, ვარსკვლავები არსებობენ ცაზე, რადგანაც ადამიანის წარმოსახვა აღიქვამს მათ იქ). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მორალი არ არსებობს ადამიანში თავიდანვე ჩამოყალიბებული, „მზამზარეული", და თანაც საყოველთაო ფორმით. იგი ადამიანმა განვითარების ზენიტის მიღწევისას დამოუკიდებლად და ამასთან, რა თქმა უნდა, სრულყოფილად უნდა აღიქვას, გაიცნობიეროს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მორალზე, როგორც რეალურად არსებულ ცნებაზე ლაპარაკი. უარყოფს რა მორალური პრინციპების არსებობას, ბლეიკი ამორალურობისაკენ როდი მოუწოდებს ადამიანს. მისი აზრით, არცერთ ინდივიდუალურ ცნებას, და მათ შორის მორალსაც, არანაირი ფასი არა აქვს, ან, უბრალოდ, არ არსებობს ადამიანის მიერ მის ბოლომდე გაცნობიერების გარეშე. უფრო ქვემოთ, როცა საუბარი გვექნება ადამიანის ჩამოყალიბებაში აღმზრდელის როლსა და მნიშვნელობაზე, ნათელი გახდება, რომ ისეთი ინდივიდუალური ცნებისათვის, როგორიცაა მორალი, პრინციპების წინასწარ დადგენა, განსაზღვრა და შემდეგ „გამზადებული" ფორმით ადამიანისათვის მიწოდება, ზიანის მეტს მის ინტელექტს არაფერს მოუტანს.

მეორე წევრი ამ ოპოზიციისა ბლეიკის ფილოსოფიაში, როგორც უკვე ითქვა, არის „საყოველთაო", რაც პოეტის აზრით, ადამიანის აღქმისაგან, გაცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს — დრო, სივრცე, სიმართლე, სიკეთე, ბოროტება და ა. შ. უარყოფს რა მორალის რეალურად არსებობას განსაზღვრულ მომენტამდე, ბლეიკი პარალელურად ამბობს: „მაგრამ დრო და სივრცე რეალურად არსებობენ — მამაკაცი და ქალი. დრო მამაკაცია, სივრცე — ქალი".

ეს, ერთი შეხედვით, უცნაური პერსონიფიკაცია ბლეიკთან დროისა და სივრცის გარდა, სხვა საყოველთაო ჭეშმარიტებებსა და ცნებებთანაც გვხვდება — სიმართლე, ცდომილება, სიკეთე, ბოროტება და სხვ.: „არ არსებობს შეცდომა ადამიანის — მისი ჩამდენის გარეშე — ე. ი. შეცდომა ადამიანია. „არ არსებობს სიმართლე (ჭეშმარიტება) უადამიანოდ; სიკეთე და ბორო-

ტება ყოველი ადამიანის თვისებაა, იქნება ის კეთილი თუ ბოროტი..."

ეს პერსონიფიკაცია საკმაოდ ვრცელ ჭვეტექსტს ეურდნობა. იგი ავლენს ბლეიკის დამოკიდებულებას ამ ე. წ. საყოველთაო, უნივერსალური თვისებების მიმართ (გარდა ამისა, ამით ამავე დროს პოეტის ფილოსოფიის სხვა კუთხეების სპეციფიკაცია ვლინდება, რაც ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს). ეს ცნებები რეალური ცნებებია, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის აღქმისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. მაგრამ არსებობენ ისევ ადამიანში და მხოლოდ ადამიანში (აქ კვლავ გადაეკვეთ ერთმანეთს ეს ორი ცნება — „საყოველთაო" და „ინდივიდუალური", იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ეს ე. წ. გადაკვეთა პოეტის მიერ დაშვებული იყო მხოლოდ ინტელექტის განვითარების ზენიტს მიღწეული ადამიანის დონეზე). ე. ი. საყოველთაო, უნივერსალური ტენშარიტებანი თითოეულ ადამიანში თავიდანვე „მზა" ფორმითაა მოცემული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბლეიკის ფილოსოფიის მიხედვით ეს ცნებები ადამიანისათვის თანდაყოლილი ცნებებია. აქ უკვე მივედით მეორე „კონტრა-წყვილის" პრობლემასთან — „თანდაყოლილი" და „შეძენილი".

ბლეიკის ფილოსოფიის მიხედვით ადამიანს დაბადების პირველივე დღიდან აქვს თანდაყოლილი ნიჭი, უნარი, განავითაროს საკუთარი ინტელექტი, მაგრამ განავითაროს სხვათა ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად, რადგანაც მხოლოდ ამ გზით მიაღწევს იგი ინტელექტის განვითარების იმ ზენიტს რომელიც მისი ღმერთთან მისვლის ერთადერთი საშუალებაა. აქ ბევრი რამ მოითხოვს უფრო დაწვრილებით ანალიზს.

გონებრივი შესაძლებლობების წინა პლანზე წამოწევა, რასაკვირველია, ახალი სიტყვა არ იყო ფილოსოფიაში. გონების პრობლემის ასეთი სახით გადაწყვეტა პირველი ძირითადი ნიშანია იმ ეპოქის დასავლეთ-ევროპის, და არა მარტო დასავლეთ-ევროპის განმანათლებლური ფილოსოფიისა. მაგრამ, ცხადია, რომ ბლეიკი, უარყოფს რა ყოველგვარი ფიზიკური თუ მორალური ზემოქმედების საჭიროებას ადამიანის ინტელექტის განვითარებაზე, პრინციპულად შორს დგას განმანათლებლური მსოფლაღქმისაგან, რომელიც თვლის, რომ ადამიანის გონების ასეთი უზარმაზარი შესაძლებლობების გამოვლენა, გამოყენება აღმზრდელის აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელია (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ განსხვავებაზე, რომელიც „განმანათლებლურ გონებასა" და „ბლეიკისეულ ინტელექტს" შორის არსებობს).

ბლეიკი უარყოფს არა მარტო ასეთი მისიის საჭიროებას აღმზრდელის მხრიდან, არამედ მის რაიმე სასიკეთო ზეგავლენასაც მოზარდზე.

ჩვენს შეხედულებას ადასტურებს პოეტის მთელი შემოქმედება, მაგალითად ციკლის „ეშმაკებისა და გამოცდილების სიმღერები" — პირველი ნაწილის ერთ-ერთ ლექსში „გადიის სიმღერა", გადიის სიტყვებშიც კი, ეტყობა, აღმზრდელობითი ან ჰეუისდამრიგებლური ტონი არ არის (აქ მხედველობაში გვაქვს იმ სახის რჩევა-დარიგებანი, რომლებიც ბავშვს წინასწარ მოამზადებს მომავალი სიძნელეებისათვის):

„შინისაკენ, ბავშვებო, მზე ჩავიდა,
და ღამის ჩრდილები ამოდიან.
მოდით, მოდით, ნულარ თამაშობთ, წავიდეთ,
სანამ დილა გამოჩნდებოდეს ცაზე".

თვით ციკლის მეორე ნაწილშიც კი, სადაც ადამიანი საცაა უნდა შეეჩეხოს რეალურ ყოფას, გამზრდელის სიტყვებში მხოლოდ მცირედი ქარაგმაა მოსალოდნელზე და არამც და არამც რაიმე სახის კონკრეტული რჩევა ან გაფრთხილება:

„შინისაკენ, ბავშვებო, მზე ჩავიდა,
და ღამის ჩრდილები ამოდიან.
თქვენი გაზაფხული და დღე უქმად დაიხარჯა
თამაშში,
და თქვენი ზამთარი და ღამე კი უხილავ
მომავალშია".

გამზრდელი, რომელიც ბლეიკის მიხედვით უდაოდ ასოცირდება ღმერთთან — ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთთან, პრინციპულად არ ერევა მოზარდის სულიერ ცხოვრებაში თავისი გამოცდილების გაზიარებით, რადგანაც არა თუ უსარგებლოდ, არამედ, უფრო მეტიც — საზიანოდაც კი თვლის ამას ადამიანის ინტელექტის სრულყოფილი განვითარებისათვის.

როგორც ვხედავთ, აშკარაა ბლეიკის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობა განმანათლებლურ ფილოსოფიასთან, პრინციპში იგი ეწინააღმდეგება თვით გერმანულ განმანათლებლობასაც კი, რომელიც, როგორც ცნობილია, თუ მთლიანად არ უარყოფდა, საგრძნობლად მაინც ამცირებდა აღმზრდელის როლს ადამიანის ინტელექტის განვითარებაში.

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბლეიკის ფილოსოფიის მიხედვით დაბადებიდანვე არსებობს საყოველთაო, უნივერსალური თვისებები, მონაცემები — მათ შორის განვითარების — დამოუკიდებელი განვითარების ნიჭი. მას დაბადების პირველივე დღიდან გააჩნია საკუთარი ინტელექტის განვითარების თანდაყოლილი უნარი. ეს უკანასკნელიც უთუოდ მოითხოვს განმარტებას: ბლეიკი უშვებს ადამიანში

თანდაყოლილი ნიჭის, უნარის არსებობას, უნარისა და არავითარ შეშფოთებაში — იდეების. იგი ძალზე შორს დგას, ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, ჯორჯ ბერკლის ფილოსოფიისაგან, რომელიც თვლის (განსაკუთრებით თავის ადრინდელ ფილოსოფიურ ნაშრომებში) რომ ყველაფერი, რაც ადამიანს გააჩნია მისი მოწიფულობის ბანაშიც კი, ყველაფერი ეს თავიდანვე არსებობს მასში, და ამგვარად, ადამიანს არავითარი ძალა ან ნიჭი, უნარი აღარ სჭირდება ინტელექტის განვითარებისათვის, რამეთუ ინტელექტიც თავიდანვე „მზამზარეული" სახით ეძლევა ღვთის მიერ ადამიანს. ამის გამო, ცხადია, ბლეიკისათვის ყოვლად დაუშვებელია ადამიანში თანდაყოლილი იდეების, და აქედან გამომდინარე, თანდაყოლილი განვითარებული ინტელექტის არსებობა. მაშინ ასეთი ადამიანის სიცოცხლე იყინება და ბლეიკის ფილოსოფიის მიხედვით არანაირი აზრი აღარა აქვს: „ენერგიაშია მხოლოდ სიცოცხლე. ენერგია მარადი აღფრთოვანებაა" — ამბობს პოეტი. ასევე შორს დგას ბლეიკი XVIII საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც ადამიანში არაფერი თანდაყოლილი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეს მეორე უკიდურესობაა. მართალია, ბლეიკი გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას იმისას, რომ დაუშვას ადამიანში თავიდანვე არსებობა იმისა, რაც მან მხოლოდ გამოცდილების შეძენის შედეგად უნდა მიიღოს, მაგრამ მას სჯერა ადამიანში თანდაყოლილი უნარის, ნიჭის და აგრეთვე, საყოველთაო, უნივერსალური ცნებების არსებობისა (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი), რომელმაც უნდა უბიძგოს მას განვითარების გზის არჩევისაკენ. გარდა ამისა, ბლეიკის ფილოსოფია თავისებურად ასახავს თავის თავში უკვე გაცვეთილ ფორმულასაც: ინტელექტში არ არის არაფერი, რაც მანამდე ადამიანის შეგრძნებებში არ ყოფილა (ბლეიკთან ეს შეგრძნებები უმეტესად ვიზუალური ბასიათისაა).

აქაც უჩვეულო, ბლეიკისეული სინთეზის მოწმენი ვხდებით. თავისებურად უარყოფს რა ბერკლის სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებს ადამიანში თანდაყოლილი თვისებების თაობაზე, იგი ამავე დროს არც მატერიალისტი ლოკის „სუფთა დაფის" თეორიას ეპუება, თუმცაღა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბლეიკისეული „დაფა" არც ისეთი „დაწერილია", როგორც სუბიექტურ-იდეალისტებთან. მაგრამ აქვე ჩნდება ახალი ნიუანსი — ის ადგილები, რაც, პოეტის აზრით, სუფთა „დაფაზე", თუ შეიძლება ასე ითქვას, თავად პატრონის ხელით უნდა შეიტანოს და არა განზრდელის — ღმერთის, რომელმაც ადამიანს ამ მხრივ სრული თავისუფლება მიანიჭა — თავისუფლება, არჩევანისა, და მითუმეტეს — არა [illegible] მოკვდავი ადმზრდელის მიერ. ახლა კი უკვე ნათელია პრინციპული განსხვავება (ბარისხობრივი და არა რაოდენობრივი, როგორც გერმანულ და ინგლისურ განმანათლებლობას ახასიათებს) განმანათლებლური ფილოსოფიისაგან, და თუ წინა სტატიაში ჩვენი მიზანი იყო დაგვემტკიცებინა, რომ სრულად გამართლებული არ უნდა იყოს ბლეიკის რომანტიკოსად მიჩნევა, წინამდებარე ნაშრომი ანალოგიურად განიხილავს უ. ბლეიკის დამოკიდებულებას მეორე დიდი მიმდინარეობის ფილოსოფიასთან — განმანათლებლობასთან.

ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულებათა ასეთი თავბრუდამხვევი ალრევანი მეტად ორგანულია ბლეიკის შემოქმედებისათვის, უფრო მეტიც, იგი მთლიანად გამსჭვალულია ამ წინააღმდეგობრივი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი დებულებების ერთიანობით. საკმარისია, აღმოვაჩინოთ ფაქიზი, მაგრამ მნიშვნელოვანი მსგავსება მისი ფილოსოფიისა რომელიმე მიმართულებასთან, რომ იქვე ჩნდება არანაკლებ ფაქიზი და მნიშვნელოვანი მსგავსება სრულიად საპირისპირო მსოფლმხედველობასთან, რომელიც თავის თავში პირველის უარყოფას შეიცავს, მაგრამ არა ბლეიკთან, სადაც ყველაფერი უჩვეულო, საოცარ ჰარმონიაშია ერთმანეთთან. ამიტომაც შეუძლებელია ამ უდიდესი მოაზროვნისა და ხელოვანის რომელიმე კონკრეტულ ჩარჩოში მოთავსება, მითუმეტეს, რომ თავად პოეტი ათავისუფლებს ადამიანს ნებისმიერი ჩარჩოსაგან, დოგმატიზმისაგან, ადამიანს, რომელიც, როგორც ა. კაზინი წერს, არის „მისი ძიების ბოლო წერტილში". უ. ბლეიკის შემოქმედებაში ყველაფერი საბოლოოდ ადამიანამდე დაიყვანება, რომლის ინტელექტსაც, პოეტის დრმა რწმენით, უდიდესი შესაძლებლობანი გააჩნია, ინტელექტს, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილსა და მნიშვნელობას სამყაროში. ღმერთი ბლეიკისათვის ის ერთადერთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ფენომენია, რომლისკენაც დაუოკებლად ისწრაფვის ადამიანი, ისწრაფვის თავისი ინტელექტით (ბლეიკისეულ ინტელექტით, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ამ ხატების ტრადიციული გაგებისაგან), რომ მისი განვითარების ზენიტზე შემქმნელს მიუახლოვდეს, ღვთიურს ეზიაროს.

□

მაჰატმა განდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰინდი ენიდან

თარგმნა მერი ასათიანმა

დედაჩემი

მაჰატმა განდი და ინდირა განდი საყოველთაოდ ცნობილი სახელებია. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი ინტერესით წაიკითხავს ამ ორი დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის მოგონებებს თავიანთ დედებზე.

მოჰანდას ქარამჩანდ განდი იყო ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი, რომელსაც ინდოელმა ხალხმა სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით მაჰატმა — დიადი სული შეარქვა. მის სახელთან არის დაკავშირებული ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და მრავალსაუკუნოვანი კოლონიური უღლის დამხობა, რაც 1947 წელს მოხდა.

დიდი პატივისცემითა და მოწიწებით წერს მაჰატმა განდი თავის დედაზე და ამ მოგონებაში ბევრ საინტერესო მომენტს გავეცნობით მისი ცხოვრებიდანაც.

დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი თვით მაჰატმა განდის სიცოცხლეშივე (იგი მოკლეს 1948 წელს) იყო ჯავაჰარლალ ნერუ. უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომლის სახელსაც უკავშირდება ინდოეთის რესპუბლიკის წინსულის მრავალი პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული თუ სხვა ღონისძიებები. მას თავისი ცხოვრების რთულ და მძიმე წუთებში გვერდში ედგა ერთგული მეუღლე, კამალა ნერუ, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მათი ქალიშვილი ინდირა განდი (განდი — მისი მეუღლის გვარია) — ასევე დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1966 წლიდან ინდოეთის პრემიერ-მინისტრი .მაჰატმა განდის მსგავსად ტრაგიკულად დასრულდა ამ შესანიშნავი ქალის ცხოვრება. ინდოეთს დღესაც სათავეში უდგას და, თავისი წინაპრების იდეებითა და გამოცდილებით ხელმძღვანელობს ინდოელ ხალხს ინდირა განდის უფროსი ვაჟი რაჯივ განდი.

მოგონებები თარგმნილია კრებულიდან „წარუშლელი კვალი", რომელშიც შესულია სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ნაწარმოებები. წიგნი გამოცემულია ქ. დელიში ჰინდი ენაზე, ცნობილი ინდოელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სატიავატი მალიკის რედაქტორობით.

ჯაბა განდი ოთხჯერ იყო დაქორწინებული. პირველი ორი ცოლისაგან ორი ქალიშვილი ჰყავდა, ბოლო პუტლიბაისაგან ერთი ქალიშვილი და სამი ვაჟი, რომელთაგანაც ყველაზე უმცროსი მე ვიყავი.

დედა ერთგული მეუღლე და ძალიან მორწმუნე ქალი იყო, ასეთად დარჩა ის ჩემს მეხსიერებაში. ვიდრე არ ილოცებდა, საჭმელს არ მიეკარებოდა. ყოველდღე დადიოდა ვიშნუიტების ტაძარში და, თუ შეხსიერება არ მღალატობს, არახოდეს გამოუტოვებია ჩატურმასი.[1] მკაცრზე მკაცრ მარხვას იცავდა და მორჩილად ახრულებდა მას. ავადმყოფობის დროსაც კი არ დაარღვევდა მარხვას.

მახსენდება ერთი შემთხვევა, რომელიც ჩანდრაიანის[2] მარხვის დროს მოხდა. დედა ძალიან

---

1 ჩატურმასი — დროის მონაკვეთია ასარჰის თვის მეთერთმეტე დღიდან კატიკის თვის მეთერთმეტე დღემდე. ასარჰი და კატიკი ინდური კალენდარის მეოთხე და მერვე თვეებია, ჩვენი ივნის-ივლისი და ოქტომბერ-ნოემბერი;

2 ჩანდრაიანი — მარხვა, რომელსაც მთელი თვე იცავენ.

ავად იყო, მაგრამ ალთქმა მაინც არ დაარღვია. ხალრთოდ, ყოველი ჩატურმახისას იგი დღეში ერთხელ ჭამდა, ერთ-ერთი ჩატურმახისას კი იმ ზომამდე იყო მისული, რომ სამ-სამ დღეს შიმშილობდა. ერთხელ ისეთი ალთქმაც კი ჰქონდა დადებული, რომ სანამ მზეს არ დაინახავდა, საჭმელი არ უნდა ეჭამა. ამჯერად ჩაუმასის[3] დღეები იყო და ჩვენ, ბავშვები, სულ ცას შევყურებდით, რომ მზის ამოსვლა მაშინვე დედასთვის გვეცნობებინა. ჩაუმასის დროს ხომ მზის გამოჩენა იშვიათი მოვლენაა. ის დღეები კარგად მახსოვს, როგორც კი მოვკრავდით მზეს თვალს, ყვირილს ავტეხდით: „დედა, დედა! მზე გამოჩნდა!“ მაგრამ სანამ დედა გამოვიდოდა, მზე ჩასული ხვდებოდა, გამობრუნდებოდა, „არა უშავს, ღმერთმა არ ისურვა, რომ დღეს მეჭამა“, — იტყოდა და თავის ოთახში შეწუხებული შებრუნდებოდა.

დედა ძალიან საქმიანი და პრაქტიკული ჭკუის ქალი იყო. სასახლეში მას ყველა პატივს ცემდა და განსაკუთრებით სასახლის ხაჭალებოში მეტად აფასებდნენ მის ჭკუა-გონებას. პატარაობისას ბშირად დავყვებოდი მას სასახლეში და ახლაც კარგად მახსოვს საპიბის[4] დედასთან მისი მხიარული საუბრები.

1887 წელს მე ხიმწიფის ატესტატი მივიღე. ოჯახის წევრებს სურდათ ატესტატის მიღებისთანავე კოლეჯში გამეგრძელებინა სწავლა. შევედი კოლეჯში, მაგრამ იქ ძალიან ბევრი ხიძნელე შემხვდა.

ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი და მრჩეველი იყო ერთი სწავლული ბრამმანი ჯოშიჯი. მამაჩემის სიკვდილის შემდეგაც იგი ჩვენს ნათესავებთან ახლო ურთიერთობაში იყო, თავისუფალ დროს ხშირად შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან. დედამ და უფროსმა ძმამ მოიალაპარაკეს მისთვის ეთხოვათ რჩევა ჩემი სწავლის შესახებ და გადაწყვიტეს ინგლისში გავეგზავნე ადვოკატობის შესასწავლად, რათა იქიდან დაბრუნებულს შემძლებოდა მამაჩემივით დივანის[5] თანამდებობის დაკავება. ჯოშიჯი მომიბრუნდა და მკითხა: „შენ საზღვარგარეთ წასვლა გირჩევნია, თუ აქ დარჩენა“. მე ამაზე უკეთესს რას მოვისმენდი, მითუმეტეს, რომ კოლეჯიდან წასვლაზე ოცნებობდი და ამიტომ ხასწრაფოდ ვუპასუხე, რომ საზღვარგარეთ გამგზავრება ძალიან კარგი იქნებოდა. მან დედას გახედა და თქვა: „ახლა მე წავალ, თქვენ კი კარგად დაფიქრდით უველაფერზე“.

მე ოცნების კოშკების აგება დავიწყე, ჩემი უფროსი ძმა კი საგონებელში იყო ჩავარდნილი, სად ეშოვნა გასამგზავრებელი ფული და შეიძლებოდა თუ არა ამ სიშორეზე უმაწვილის გაშვება?

დედა ძალიან დაბაღვლიანდა. შორს გასამგზავრებლად ვერ მიმეტებდა და გადაწყვიტა, ვინაიდან ოჯახში ყველაზე უფროსი ბიძა იყო, მისთვის გვეკითხა და როგორც ის გვირჩევდა, ისე მოგვქცეულიყავით.

გავემგზავრე პორბანდარში. ბიძაჩემს ყველაფერი ავუხსენი, იგი დაფიქრდა და თქვა: საზღვარგარეთ შენი რელიგიის ერთგულების დაცვა ძალიან გაგიჭირდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ, ყოველივეში ეჭვი შემოქვს იმიტომ, რომ მე მინახავს ცნობილი ადვოკატების ცხოვრება, მათი და ევროპელების ცხოვრების წესებს შორის განსხვავება ვერ დამინახავს; ჭამა-სმის დროს თავს არაფერზე არ იკავებენ; პირიდან სიგარეტს არ იშორებენ; რაც შეეხება ჩაცმას — მათსავით შიშვლები დადიან. ყოველივე ეს ჩვენი ოჯახის ტრადიციებს არ შეეფერება. მაგრამ შენი იმედი მაქვს. მე დიდხანს სიცოცხლე ალარ დამრჩენია. სიკვდილის წინ კი, როგორ მოგცე საზღვარგარეთ წასვლის, ზღვის გადალახვის უფლება? მაგრამ მე მაინც გზას ვერ გადაგიღობავ. თუ დედაშენი ნებას დაგრთავს, გადაეცი მას, რომ მე შენთვის გზა დამილოცნია. „მე თქვენგან სხვას არაფერს მოველოდი, ახლა კი დედაჩემის დარწმუნებას შევუდგები“.

მაგრამ დედა ჯერ კიდევ უარზე იყო. იგი ყველას ინგლისში ცხოვრების შესახებ ეკითხებოდა. ერთნი ეუბნებოდნენ, რომ იქ ახალგაზრდები იბრწნებიან, მეორენი — რომ იხინი ხორცის ჭამას ეჩვევიან, რომ იქ ხასხელის გარეშე ვერავინ ძლებს და ა. შ. დედამ ეს ყველაფერი მე მომახსენა. მე კი ვუთხარი, რომ თუ კი ჩემი სჯერა, არასოდეს მოვატყუებ მას, ვფიცავ, რომ ყოველივე ამაზე უარს ვამბობ და ნუთუ ჯოშიჯი გამიშვებდა, ჩემი იმედი რომ არ მქონდეს? დედამ თქვა: „ახლა კი მჯერა შენი, მაგრამ შორს რომ იქნები, მაშინ როგორ დაგიჯერო? ალარ ვიცი როგორ მოვიქცე, ბეჩარჯისვამის ვკითხავ“.

ბეჩარჯისვამი ბანიიას[6] კასტის ეკუთვნოდა. ჯოშიჯისავით ისიც ჩვენი ოჯახის მრჩეველი იყო, მე მომემხრო და დედას უთხრა, რომ მე ხამრამეზე დამადებინებდა ალთქმას და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ჩემი გაშვება. ამ ალთქმის მიხედვით მე უარს ვამბობდი ხორცზე, ხასხელზე და ქალებზე. მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ დამრთო დედამ ნება.

გემზე მე ზღვის ავადმყოფობას არ შევუწუხებივარ, მაგრამ დღითიდღე მემატებოდა მღელვარება. ინგლისურად ლაპარაკს შეუჩვეველი ვიყავი, გემზე კი თითქმის ყველა ინგლისელი

3 ჩაუმასი — წვიმების სეზონი.
4 საპიბი — ბატონი
5 დივანი — მრჩეველი.
6 ბანიიას კასტა — ვაჭართა კასტა.

იყო. კი მეხმოდა მათი როდესაც დამელაპარაკებოდნენ, მაგრამ პასუხის გაცემას ვერ ვახერხებდი. გარდა ამისა, არ ვიცოდი დანა-ჩანგლის ხმარება და ამასთანავე მეშინოდა მეკითხა, თუ რომელი კერძი იყო ხორცით დამზადებული. ამის გამო მაგიდასთან დაჯდომას ვერიდებოდი, ვჭამდი მხოლოდ ჩემს კაიუტაში და ისიც შინიდან წამოღებულ ხილსა და ტკბილეულს.

ერთმა თანამგზავრმა ინგლისელმა მოინდომა გამომლაპარაკებოდა. ცგი ჩემზე ბევრად უფროსი იყო. მკითხა, რას ჭამ, ვინა ხარ, სად მიემგზავრები და რატომ ხარ ასე მორიდებულიო? მირჩია საერთო მაგიდასთან მესადილა, დამცინოდა კიდეც ხორცის ჭამაზე უარს რომ ვამბობდი და მეუბნებოდა: „ახლა კარგი, მაგრამ პორტ-საიდში რაღას იზამ? იქ უარს იტყვი შენს გადაწყვეტილებაზე .ინგლისში კი ისეთი ყინვებია, რომ ხორცის გარეშე შეუძლებელი იქნება ცხოვრება. მე ღვინის სმაზე ხომ არაფერს გეუბნები, მაგრამ, ჩემის აზრით, ხორცის ჭამის გარეშე ნამდვილად გაგიჭირდება“.

მე ვუთხარი, რომ ძალიან მადლობელი ვარ რჩევა-დარიგებისათვის, მაგრამ მე დედას პირობა მივეცი, რომ ხორცს არ შევჭამ და, თუკი ინგლისში უმისობას ვერ შევძლებ, ალბათ მოგიწევს ინდოეთში უკან დაბრუნება.

ამგვარი ტანჯვა-წამებით ჩვენი მოგზაურობა დამთავრდა. მახსოვს, შაბათი დღე იყო. გემზე მე ჩვეულებრივ შავი ტანსაცმელი მეცვა. მეგობრების მოცემული თეთრი ტანსაცმელი კი ამ დღისათვის შემოვინახე და გადაწყვეტილი მქონდა ნაპირზე იმით გადავსულიყავი, რადგან მეგონა, ის ყველაზე უფრო მეტად მიბდებოდა. ასე გამოწყობილი გადავედი გემიდან და აღმოჩნდა, რომ თეთრები მხოლოდ მე მეცვა, რადგან უკვე სექტემბრის ბოლო იყო, ბარგი და გასაღებები კი უკვე გრინდალიან კომპანიის წარმომადგენლებისთვის მქონდა მიბარებული ხხვების მიბაძვით.

მე ოთხი სარეკომენდაციო წერილი მქონდა, რომელთაგანაც ერთი დოქტორ პრანაჯივან მეჰტას სახელზე იყო. მე მას გზიდან გავუგზავნე დეპეშა. გემზე ჩვენ გვირჩიეს ლონდონში, სასტუმრო „ვიქტორიაში“ გაჩერება..

სასტუმროში მისვლისას გვითხრეს, რომ ჩვენი ბარგი გრინდალიდან მხოლოდ მეორე დღეს მოვიდოდა. ჩემი თეთრი ტანსაცმლის გამო ისედაც ძალიან დარცხვენილი ვიყავი და ახლა ხულ დავიბენი, ვინაიდან დოქტორ მეჰტასთან ვიყავი წასასვლელი .რაღას ვიზამდი?!

შვიდ-რვა საათზე უკვე მასთან ვიყავი. დოქტორმა მეჰტამ ძალიან კარგად მიმიღო, მაგრამ მაინც თავი ვერ შეიკავა და ბევრი იცინა ჩემს ჩაცმულობაზე. საუბრის დროს უნებლიეთ მე მის ველურის შლიაპას შევეხე და ხელი გადავუსვი. მასპინძელმა რომ შენიშნა, გამაჩერა, ეს იყო ჩემი ევროპული ეტიკეტის პირველი გაკვეთილი. დოქტორ მეჰტამ ეს ბუმბერაზში ჩაიტარა და მითხრა: „სხვის ნივთებს ხელი არასოდეს ახლო; გაცნობისთანავე ნუ მიაყრი კაცს შეკითხვებს; ნუ ილაპარაკებ ბმაგალლა, არავის მიმართო ხიტყვით „სერ“, რაც ამას ინდოეთში ვაკეთებთ. აქ ხიტყვა „სერს“ ხმარობენ მხოლოდ მოსამსახურეები, როდესაც თავიანთ პატრონს მიმართავენ. სასტუმროშიც დიდი ხარჯები გექნება, უმჯობესია, ვინმესთან ოჯახში დადგეო“. ასეთი დარიგებებით გამომიხტუმრა დოქტორმა მეჰტამ.

სასტუმროში ცხოვრება მართლაც მოუხერხებელი იყო. ამასთანავე ძალიან ძვირი ჯდებოდა. სამი ფუნტი სტერლინგი გადავიხადე, მაშინ, როდესაც თითქმის ვშიმშილობდი. ყველაფერი უგემური მეჩვენებოდა. ერთი საჭმელი რომ არ მომეწონებოდა და მეორეთი შევცვლიდი, ორივესი უნდა გადამეხადა. ძირითადად ბომბეიდან ჩამოტანილი პროდუქტებით ვიკვებებოდი.

გავახწორე ანგარიში სასტუმროში და ერთ მეგობართან საზიაროდ ორი ოთახი ვიქირავე. მაგრამ აქაც ვერ ვგრძნობდი თავს კარგად. ძალიან ბევრს ვფიქრობდი სახლზე, საშობლოზე. დედის ალერსი მენატრებოდა. ღამლამობით ვტიროდი, სახლზე ფიქრი არ მაძინებდა. მაგრამ ჩემი დარდი ვისთვის შემეჩივლა, თუნდაც ყოფილიყო ვინმე, რას მიშველიდა? ყველაფერი უცხო იყო: ხალხი, წეს-ჩვეულებები, სახლები; სახმელ-საჭმელსაც ვერ შევეგუე. ისიც კი, რის ჭამაც შეიძლებოდა, უგემური მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, სახლში დაბრუნებაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. რადგან ჩამოვედი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ორი-სამი წელი მაინც უნდა გავძლო.

დოქტორი მეჰტა ორშაბათს გვესტუმრა. ჩემი დაუდევრობის გამო გემზე რაღაც ქანის დაავადება შემეყარა. გემზე ზღვის წყლით ვიბანდით, მასში საპონი არ იხსნება, მე კი მაინც საპონს ვხმარობდი და იმის მაგივრად, რომ ქანი გასუფთავებულიყო, უფრო გავიღიზიანე და ხორხველები გავიჩინე. დოქტორმა მეჰტამ მირჩია ძმრის სიმეავით გამეწმინდა. სიმეავე ქანს მწვავდა და ტკივილებისაგან ვტიროდი. მეჰტამ ჩვენი ოთახები დაათვალიერა და თავი გააქნია: „ეს შენობა არ ვარგა. ამ ქვეყანაში ჩვენ მარტო ხახწაველებლად კი არ ჩამოვდივართ, არამედ იმისთვისაც, რომ აქაურ წეს-ჩვეულებებს გავეცნოთ. ამიტომ თქვენ რომელიმე ინგლისურ ოჯახში უნდა დასახლდეთ, მანამდე კი ერთ ჩემს მეგობართან მოთავსდით, იქ რაღაცას მაინც ისწავლით“. მე დიდი მადლობა გადავუხადე და მის მეგობართან გადავსახლდი. ძალიან სტუმართმოყვარენი ალ-

მოჩნდნენ, მე საკუთარ ძმასავით მეჭცეოდნენ, ინგლისურ წეს-ჩვეულებებსა და ლაპარაკს მაჩვევდნენ.

მაგრამ ჩემი კვება დიდ სიძნელეებს მიქმნიდა. უმარილო და უწიწაკო სანელებლებს ვერ ვეგუებოდი. დიასახლისი საგონებელში იყო ჩავარდნილი. დილის საუზმეზე შვრიის ფაფას მიკეთებდა და კარგად ვნაყრდებოდი, მეორე საუზმისა და სადილის შემდეგ კი მშიერი ვრჩებოდი. მეგობარი ხშირად მირჩევდა ხორცის ჭამაზე გადასვლას, მაგრამ მე ჩემს ფიცს ვახსენებდი და ამ საკითხზე ლაპარაკს ვუკრძალავდი. მეორე საუზმეზე მხოლოდ პურს, ისპანახს და მურაბას გვაძლევდნენ. ხალამოსაც იგივეს. მე მერიდებოდა და პურის ორ-სამ ნაჭერზე მეტს ვერ ვიღებდი და, რასაკვირველია, ეს არ მყოფნიდა; ამასთანავე არც მეორე საუზმეზე და არც სადილზე რძე არ მოჰკონდათ. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეგობარი მოთმინებიდან გამოვიდა და მითხრა: „შენ რომ ჩემი ძმა იყო, უკან მიგაბრძანებდი სახლში. რას ნიშნავს აღთქმა, მიცემული დედისათვის, რომელიც სრულიად ვერ ერკვევა აქაურ პირობებში? ახეთ აღთქმას არავითარი ძალა არა აქვს და მისი დაცვა მე ცრუ რწმენად მიმაჩნია“.

ყოველ დღე მიმეორებდა ჩემი მეგობარი თავის მოსაზრებებს, მაგრამ მე მყოფნიდა ნებისყოფა. რაც უფრო მიტევდა იგი, მით უფრო შეუდრეკელი ვხდებოდი.

დავიწყე ქალაქში ხეტიალი და ვეგეტარიანული რესტორნის ძებნა. დიასახლისმა მითხრა, რომ ქალაქში არის ახეთი სახლებიც. დღეში 10—12 მილს გავდიოდი. შევიდოდი რომელიმე იაფფასიან რესტორანში, პურით გავძღებოდი და მაინც მშიერი ვიყავი. ბოლოს ერთ „ვეგეტარიანულ რესტორანს“ წავაწყდი ფარინგტონ სტრიტზე. ბავშვს რომ გაუხარდება სასურველი ნივთის მიღება, ისე დამემართა მეც.

შესვლისას კარების ფანჯრებთან დავინახე გასაყიდად გამოდებული წიგნები. მათ შორის იყო სოლტის წიგნი ვეგეტარიანობის შესახებ. ვიყიდე ეს წიგნი და შევედი საჭმელად. წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე ვლოცავდი იმ დღეს, როდესაც დედაჩემის წინაშე დავდე აღთქმა და ეხლა განსაკუთრებული სიამოვნებით ვიხსენებდი მას.

ინგლისში ყოფნისას ორ ღვთისმეტყველს დავუმეგობრდი. მათ დამიწყეს „გიტას“ შესახებ საუბარი. წაუკითხავთ გიტას ინგლისური თარგმანი და ახლა მე მთხოვდნენ წამეკითხა „გიტა“ სანსკრიტზე. სირცხვილით დავიწვი, ვინაიდან „გიტა“ არც სანსკრიტზე და არც პრაკრიტზე წაკითხული არ მქონდა. შემრცხვა იმისიც, რომ სანსკრიტი ცუდად ვიცოდი. მაგრამ „გიტას“ კითხვას მაინც შევუდექი. მეორე თავში იკითხებოდა:

„გრძნობის ობიექტზე ფიქრით სწრაფვა
წარმოიქმნება,
სწრაფვისაგან კი სურვილი წარმოიშვება;
სურვილი თანდათან ვნებად იქცევა.
ვნებას კი უგუნურობა მოჰყვება.
უგუნურობის შედეგად [illegible] ცოდნა,
ცოდნა [illegible] ბიბლიოთეკა
მოგონებებით გონება ნადგურდება
და ბოლოს ადამიანი თვითონ იღუპება“.

ამ შლოკებმა ანუ ლექსებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღემდე ყურებში მესმის ეს ხმები. დავრწმუნდი, რომ ბჰაგავადგიტა შეუდარებელი ნაწარმოებია. ეს აზრი თანდათან უფრო მტკიცდებოდა ჩემში და ახლა მიმაჩნია ,რომ სწორედ ეს წიგნი არის ბუშმარიტების შემეცნების ძირითადი წყარო. ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში ხშირად მივმართავდი „გიტას“ და იგი ყოველთვის მშველოდა.

ახლა უკვე ოცი წლის ვიყავი. ინგლისში ყოფნის ბოლო, ანუ 1890 წელს, პორტსმუტში ვეგეტარიანელების კონფერენცია შედგა, რომელზეც მე და ერთი ჩემი ინდოელი მეგობარი ვიყავით მიწვეულნი. ჩვენ ორივენი გავემგზავრეთ. კომიტეტმა კარგად მიგვიღო და მოგვთავსეს ახეთ სახლში, როგორშიც საეკვო ყოფაქცევის ხალხი ცხოვრობს ხოლმე.

პორტსმუტი საზღვაო პორტია .მოსალამოვდა. ჩვენ სხდომის შემდეგ შინ დავბრუნდით, ვიკამეთ და კარტის სათამაშოდ დავსხედით. ინგლისში კარგ სახლებშიც მიღებულია, რომ დიასახლისი სტუმრებთან ერთად თამაშობს კარტს. ჩვენც შემოგვიერთდა დიასახლისი და თამაშის დროს მან და ჩემმა მეგობარმა უხეირო ხუმრობები წამოიწყეს. მე არ ვიცოდი, თუ ჩემი მეგობარი ამგვარი საქმეების დიდი მცოდნე იყო. მეც კარგად გავერთე და გავერიე მათში, მაგრამ ღმერთმა მიშველა და ჩემი მეგობრის პირით გაფრთხილება მომცა „რა მოგივიდა შენ! ეს ხომ დანაშაულია, ეს შენი საქმე არ არის და აქედან მოუხვიო“.

მე შემრცხვა .მეგობარს გულში მადლობა გადავუხადე. დედისთვის მიცემული აღთქმა გამახსენდა და იქაურობას გავეცალე. კონფერენცია კიდევ ორ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მე მეორე დღესვე წამოვედი პორტსმუტიდან.

გამოცდები ახლოვდებოდა. 1891 წლის 10 ივნისს ადვოკატობა მივიღე. 11 რიცხვით დათარიღდა ინგლისის უმაღლესი სასამართლოს ადვოკატთა სიაში ჩემი სახელის შეტანა. 12 ივნისს კი ინდოეთისაკენ გამოვემგზავრე.

მე ძალიან ვღელავდი, ვინაიდან იურიდიული პრაქტიკისათვის თავს მოუმზადებლად ვთვლიდი. კანონები კი მქონდა დაზეპირებული, მაგრამ

მათი გამოყენება ჯერ არ ვიცოდი. ახალი სასოწარკვეთილი და უიმედო მდგომარეობაში მყოფი გადმოვედი გემ „ახალი"-დან ბომბეიში.

მოუთმენლად ველოდი დედასთან შეხვედრას. ნავმისადგომთან უფროსი ძმა დამხვდა. დედის გარდაცვალების შესახებ მე აქამდე არაფერი ვიცოდი. სახლში რომ მივედით, მხოლოდ მაშინ მითხრეს. ეს ამბავი ჩემი ინგლისში ყოფნის დროს მომხდარა, მაგრამ უფროს ძმას გადაუწყვეტია შინ დაბრუნებამდე არაფერი შეეტყობინებინა ჩემთვის. მე მწუხარებამ შეშფოთა. დედის დაკარგვის შიშის დალუპვაზე მერად გაჭირვებული, ბევრი ფიქრობდი ამ საკითხზე, მახსოვს, როგორ ბიბდოდა გარეგნულად არ გამომემჟღავნებინა, ცრემლებს შეკავებაც შევძელი და ამგვარი ხასიათით ვცდილობდი დედის სიკვდილით გამოწვეული მწუხარების გაქარვებას.

ინდირა განდი

დედაჩემი

დედაჩემი — კამალა ნერუ... რამდენ ძნელია ჩემთვის, მისი ქალიშვილისათვის, ამ თემაზე მცირედის თქმა! ათასი რამ წარმოიდგება თვალწინ...

პირველი მოგონება იმ დროს ეხება, როდესაც განდიმ ინდოეთის გასათავისუფლებლად ხატიაგრაჰას;1 სვადეშისა2 და კხადის3 რევოლუციური იდეები წამოაყენა. ამ იდეებმა მამაჩემზე და დედაზე4 დიდი გავლენა იქონია. წვეულებები და დროსტარება შეწყდა. ბავერდი, სატინა და სხვა ამგვარი ძვირფასი ქსოვილების ტანსაცმელი უბრალო და უხეშმა სამოსმა შეცვალა.

დედასაც ყოველთვის უბრალოდ ეცვა, მაგრამ ამ უბარლო ტანსაცმელშიც მისი სილამაზე და სინაზე ყვავილის მსგავსად იშლებოდა. ბავშვობიდანვე არ აქცევდა ყურადღებას სამოსსა და მორთულობას. ყველაზე უმცროსი დებში, ყოველთვის ძმებთან თამაშობდა. თუმცა მისი უდარდელობა ერთხელ დიდი მწუხარებით შეიცვალა. როდესაც მას ცხრა თუ ათი წელი შეუსრულდა, ოჯახი მცირე ხნით ჭაიპურში გადავიდა. აქ დედას ჩადრი უნდა დაეხურა და, როგორც ბებია ეუბნებოდა, მხოლოდ დოლაში მჯდარს შეეძლო გარეთ გამოსვლა. ლაღად გაზრდილი, ამიერიდან, ქალის მძიმე ბორკილს უნდა შეგუებოდა. დედა ბევრს ტიროდა. ბებიაჩემი, როდესაც ნახა შვილის ასეთი მწუხარება, თვითონაც ძალიან შეწუხდა. მაგრამ მალე გამონახა გამოსავალი: ყოველ დილით ძმის ტანსაცმელს აცმევდა, თმებს კუდში დაუმალავდა და მთელ დღეს ბიჭებთან ერთად ამყოფებდა. ამ ამბავმა დედაზე იმდენად იმოქმედა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ჩადრის ტარების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია.

17 წლის იყო, როდესაც დედ-მამის სახლი დატოვა და ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა. ვინ იცოდა, რა გრძელი და მწუხარებით სავსე გზა უნდა გაევლო! მაშინ დედა უკვე ცნობილი ვექილი იყო და მთელ იმ მხარეში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, იგი დიდი ჭკუისა და დიდი გულის ადამიანი იყო. შემოსავალი ბევრი ჰქონდა და ბევრსაც ხარჯავდა. სახლი ყოველთვის სტუმრებით იყო სავსე. ვინ არ იყრიდა აქ თავს — სამხედრო პირები, მწერლები, პოეტები, ინგლისელები თუ ინდოელები... ქაშმირში, ოჯახში ქალები ჩადრს არ ხმარობდნენ. ბებიაც საზღვარგარეთ იყო ნამყოფი და ეს წესი არ მოსწონდა. ამიტომ, ამ მხრივ, დედაც თავს თავისუფლად გრძნობდა, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ოჯახის მოვლა და მახპინძლობა სულ მას აწვა კისერზე. იგი ახალი წესების მიმდევარი იყო და ყოველმხრივ ცდილობდა ცხოვრების შეცვლას. ამიტომაც იღებდა ასეთ აქტიურ მონაწილეობას კონგრესის1 მუშაობაში. ამ დროისათვის უკვე ათასამდე ქალი ჩაება კონგრესის მოღვაწეობაში. თავიანთი სიმამაცითა და გაშმდეობით ქალები ყოველთვის იქცევდნენ განდის ყურადღებას.

---

1 სატიაგრაჰა — სიტყვასიტყვით ნიშნავს სიმტკიცეს დამყარებულს ჭეშმარიტებაზე. ასე უწოდებდა განდი თავის კამპანიას ინგლისელების წინააღმდეგ.

2 სვადეში — სამშობლოს განთავისუფლება.

3 კხადი — შინნაქსოვი, უხეში ქსოვილი. ეროვნული კონგრესის წევრები ვალდებული იყვნენ ეტარებინათ ამ ქსოვილის ტანსაცმელი.

4 დედა — ბაბუა (მამის მხრივ).

5 დოლი — ტახტრევანი (ქალებისათვის).

1 კონგრესი — ინდოეთის ეროვნული კონგრესი. შეიქმნა 1885 წელს. ახლა ინდოეთის რესპუბლიკის მმართველი პარტიაა.

ამიტომ ის ხავსებით ენდობოდა მათ. დედა ამ დროს ავად იყო, კონგრესში ნებაყოფლობით მუშაობას და ხალხში მოღვაწეობას მაინც განაგრძობდა. როდესაც ხელმძღვანელი პირები დააპატიმრეს, დედა მთელი გატაცებით ჩაება საქმეში. ყველას აოცებდა ის ძალა და ენერგია ,რომლითაც მან ქალაქი ალლაჰაბადი და სხვა რაიონები გააერთიანა. ყველა აქებდა მის ნიჭს. მისი მეუღლე ჯავაჰარლალ ნერუ და მამამთილი მოტილალი აღტაცებული იყვნენ კამალას საქმიანობით, მაგრამ ძალიან აფიქრებდათ მისი სუსტი ჯანმრთელობა. თვითონ კი არაფრად აგდებდა ავადმყოფობას.

1930 წლის დამლევს კონგრესის მუშათა კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დედაც დაპატიმრეს. ის ღამე თეთრად გავათენეთ. მაგრამ მუშაობა იქაც არ შეუწყვეტია დედას, ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ მისი ხიკვდილის შემდეგ სხვებს თავისუფლად ეცხოვრათ.

ამბობენ, ადამიანის ნამდვილი სახე მწუხარებისა და უბედურების დროს გამოჩნდება, სუსტს უბედურება გატეხს, გაანადგურებს. ძლიერს კი მწუხარება ჰკუას ახწავლის და ბრძოლის უნარს კიდევ უფრო გაუძლიერებს. დედაჩემი მშიშარა არასოდეს ყოფილა, არც ხმამაღლა ლაპარაკი იცოდა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა მქონდა და ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ჩვენი პანდიტის[1] ძმისშვილები ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ დედას, მაგრამ ეშინოდათ კიდეც მისი. ყოველთვის მიკვირდა, რატომ ეშინოდათ ასეთი ლამაზი, სუსტი და გამხდარი ქალისა. პანდიტი კი ეუბნებოდა: არ იცი განა, მასში რომ დიდი ძალის ღმერთია. დედას ეცინებოდა მის [illegible] — რასაც ძალა კი ნამდვილად იყო მასში და [illegible] ყველაზე ახდენდა გავლენას. მე ვფიქრობ, მას მამაზეც დიდი გავლენა ჰქონდა.. ეკლესიაში ხიარული არ უყვარდა, მორწმუნე კი იყო. ყოველ დილით რამაიანას და გიტას[2] გვაკითხებდა.

დიდი იყო მასში მოვალეობის გრძნობაც. ცხოველ ინტერესს იჩენდა ღარიბების სწავლა-განათლებისა და მათი კეთილდღეობის საქმისადმი. 1928 წელს დედამ თავისი სახლი აჩუქა კონგრესს და მის ერთ ნაწილში საავადმყოფო გახსნა ღარიბთათვის.

86 წლის იყო, როდესაც სამშობლოსაგან და ხალხისაგან მოშორებული გარდაიცვალა. ხიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღიმებოდა და ჩვენ გვამხნევებდა. მისი უკანასკნელი სურვილი იყო ალლაჰაბადში საავადმყოფოს დაარსება. ეს საავადმყოფო შემდეგ დაარსდა დედის პატივსაცემად და მის საზეიმოდ გახსნას მაჰატმა განდიც დაესწრო...

მე მიხარია — დედაჩემის, კამალა ნერუს სახელს მისი სიკვდილის შემდეგაც პატივისცემით რომ იგონებენ ადამიანები.

□

ნონა გოგეჭიშვილი

ფელიქს ვარლამიშვილი

„ჩემს ყველა ნახატს საქართველოს სიყვარულით ვხატავ"

თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა
უცბოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სისმელად,
ნაღველად აღმოიწებსა.

არჩილი

ქართველ მხატვარს ფელიქს ვარლამიშვილს ბედმა არ არგუნა „შარბათის შესმა"... იგი სევდიანი თვალებით განშორდა წუთისოფელს და დაიფერფლა მამულის დიდ სიყვარულში...

მხატვრის უკანასკნელ ინტერვიუში, ჩაწერილში 1985 წელს, ვკითხულობთ:

„თანამედროვე პარიზელი მხატვარი ფელიქს ვარლა დაიბადა 1903 წ. ქუთაისში. იგი გატაცებული იყო ხატვით, მან დააარსა სამ-

[1] პანდიტი — სწავლული ბრაჰმანი.

[2] ძველი ინდური პოემებია.

ხატვრო სკოლა, რომლის ხელმძღვანელი იყო ორი წელი. სწავლის გასაგრძელებლად წავიდა თურქეთში, შემდეგ პარიზში — დასახლდა მონპარნასზე, სადაც დღესაც ცხოვრობს.

— პარიზში როდის ჩამოხვედით?

— 1928 წელს. ვამზადებ გამოფენებს. ეხლანდელ ქალაქ ტუკეში იქნება ჩემი სურათების გამოფენა. გამოფენები მოვაწყე სხვადასხვა დროს პარიზში, სან-ფრანცისკოში, ტოკიოში, ტუკეში, სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში.

— თქვენ ბევრჯერ იყავით საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკაში, არგენტინაში...

— შემდეგ დავბრუნდი პარიზში, პარიზს ყოველთვის ვთვლიდი მსოფლიოს გულად.

— რა გარკვეული სტილი გაქვთ მხატვრობაში?

— მე ჩემი საკუთარი სტილი შევქმენი. ყველა მეუბნება, რომ ყველა ჩემს სურათში საქართველოა გამოხატული.

— თქვენი სურათები თითქმის ყველა საზღვარგარეთ მყოფი ქართველის ოჯახშია. თუ გახსოვთ საქართველო?

— როგორ არა. ჩემს ყველა ნახატს საქართველოს სიყვარულით ვხატავ.

— მომავალზე რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა. 82 წლისა ვარ და მომავალზე , ვერ ვილაპარაკებ".

ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია, ფელიქს ვარლამიშვილი გარდაიცვალა პარიზში 1986 წლის 6 თებერვალს. ანდერძის თანახმად, მისი ნაშტი დაწვეს და მიაბარეს ლევილის ქართველების სასაფლაოს.

ფელიქს ვარლამიშვილის მამა, გრიგოლ ივანეს ძე ვარლამიშვილი, იყო გამოჩენილი ფინანსისტ-ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი შრომის წიგნაკიდან ვიგებთ, რომ ორმოც წელზე მეტი იკავა საპასუხისმგებლო თანამდებობა ქ. ქუთაისის სახელმწიფო ბანკში და, როგორც თავისი საქმის კარგ სპეციალისტს, კეთილსინდისიერ მუშაკს, ხშირად აგზავნიდნენ ხანგრძლივი მივლინებით სხვადასხვა ქალაქებში საქმის გამოსასწორებლად. გრიგოლ ივანეს ძე ყოფილა მეტად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, არფაზე, კარგად ხატავდა, გატაცებული იყო პოეზიით.

მხატვრის დედა — როზა ფალიაშვილი, მეტად ხათნო და კეთილშობილი ადამიანი, ხელსაქმის კარგი მცოდნე ყოფილა.

ფელიქსი სულ პატარა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. ბიჭი ჯერ დეიდასთან იზრდებოდა ახალციხეში, შემდეგ კი მამამ ქუთაისში ჩაიყვანა და ახლა მისი აღზრდა მამიდამ იტვირთა. გრიგოლ ვარლამიშვილს მეორე ცოლთან ევგენია მირაქოვთან (ზ. ფალიაშვილის დეიდაშვილი) შეეძინა კიდევ სამი შვილი — ორი გოგო და ერთი ვაჟი.

1912 წლის 1 სექტემბერს ფელიქს ვარლამიშვილი შემყავთ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელსაც 1919 წლის 1 იანვარს ამთავრებს. იმავე წლის 1 სექტემბრიდან იგი აგრძელებს სწავლას რეალური სასწავლებლის დამატებით კლასში, რასაც ადასტურებს სახ. წავლებლის დირექციის მიერ გაცემული მოწმობა: „მიეცა ესე ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამატებითი კლასის მოწაფეს ფელიქს გრიგოლის-ძე ვარლამოვს მას შინა, რომ იხ, ვარლამოვი, დაბადებული 1908 წელს, სწავლობდა ამ კლასში 1919 წლის 1 სექტემბრიდან 1920 წლის 18 ივნისამდე. იყო წარჩინებული ყოფაქცევისა და დამატებული კლასის კურსის დასრულებისას გამოიჩინა შემდეგი წარმატება...

ამიტომ მას, ვარლამოვს აქვს უფლება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა იმ წესების დაცვით, რაიცა თვითოეულ მათგანის სათანადო დებულებაშია აღნუსხული.

ქ. ქუთაისი 1920 წლის 29 ივნისი. სასწავლებლის დირექტორი ივ. გაჩეჩილაძე.
სამბჭოს მდივანი მელიქ კანდელაკი".

ცნობისმოყვარე, ბეჯითი ბიჭი განსაკუთრებით გატაცებული ყოფილა გეოგრაფიით და ხატვით. რამდენიმე შემორჩენილ ბარათზე, რომლითაც ფელიქსი ახალციხეში დეიდას ატყობინებდა თავის სწავლის შესახებ, ბავშვური უშუალობით არის შესრულებული პეიზაჟის ჩანახატები.

სწავლასთან ერთად პატარა ბიჭი ბევრს ხატავდა, ძირითადად აკეთებდა ჩანახატებს ნატურიდან. ხატავდა ყველას — მეგობრებს, ნაცნობებს, პედაგოგებს. ფ. ვარლამიშვილის „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოს წინა და ბოლო ფურცელზე შემორჩენილია მის მიერ ფანქრით შესრულებული სხვადასხვა ჩანახატები: შარჟები სემინარიის მასწავლებლებზე და მოსწავლეებზე, ისტორიულ თემაზე შესრულებული და რეპროდუქციიდან გადმოღებული ახალგაზრდა მანდილოსნის ჩანახატი და სხვ. ზოგი მათგანი გამოსახულია მთელი ტანით, ზოგი წელამდე, პროფილში, ანფასში ან ზედა ხედით. თუმცა ყველაფერი ეს შესრულებულია მოსწავლის ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელით, მათში უკვე იგრძნობა მახვილი, ცოცხალი თვალი.

ფელიქს ვარლამიშვილთან რეალურ სასწავლებელში სწავლობდა ვიქტორ კუპრაძე — შემდგომში გამოჩენილი მათემატიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ჩვენ ხელთა გვაქვს ფოტოსურათი, რომელზეც ფ. ვარლამიშვილი და ვ. კუპრაძე გადაღებულნი არიან სასწავლებლის სხვა მოწაფეებთან ერთად.

გადიოდა წლები. მხატვრობისადმი სიყვარული სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. აი, რას იგონებს ქუთაისის აკად. ნ. მუსხელიშვი-

ლის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის დოცენტი პატონი გიორგი ფარნაოზის ძე გაბუნია: „ეს იყო 1920 წელს. ერთ დღეს ფელიქსი და ჩემი ძმა დავითი (ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე. შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც ადრე გარდაიცვალა) მოვიდნენ ჩვენთან სახლში, დასხდნენ სარკის წინ, ერთმანეთს უყურებდნენ და ფურცლებზე რაღაცას ინიშნავდნენ. მე მაშინ პატარა ვიყავი და ვერ მივხვდი, რას აკეთებდნენ. როცა დედას ვკითხე, მან ამიხსნა, რომ ბიჭები ერთმანეთს და თავის თავს ხატავენო.“ გაბუნიების ოჯახში სათუთად შენოუნახავთ პატარა მეგობრების ჩანახატები. ეს არის ფანქრითა და ზეთის საღებავებით შესრულებული ნამუშევრები და მცირე ზომის ეტიუდები. ერთერთ ჩანახატზე გამოსახულია ახალგაზრდა ვაჟი $^{3}/_{4}$-ში, წელამდე. გვერდზე გაკოფილი თმით, გიმნაზიის ფორმის საყელოს ღილი შეხსნილი აქვს. ჩანახატი დაუმთავრებელია, იგი ხელმოწერილი და დათარიღებულია: ფ. ვარლ 1920 წ. 17. VII. ეს უნდა იყოს მისი მეგობრის დავით გაბუნიას პორტრეტი. აქვე წავაწყდით ერთ საინტერესო ფურცელს, რომელზეც იტალიური ფანქრით რამდენიმე ჩანახატია შესრულებული: მამაკაცის გამოსახულება მთელი ტანით პროფილში, რომელსაც აცვია წელზე ქამარშემოკერილი განიერი კუბოკრული პერანგი. ამ ფურცელზევე ცალი ფეხსაცმლის ჩანახატი, ფეხზე მდგომი და მჯდომარე მამაკაცის შიშველი ნატურა. სამწუხაროდ, ფურცელი არც ხელმოწერილია და არც დათარიღებული, მაგრამ ადვილი დასაჯერებელია, რომ ეს ჩანახატებიც შესრულებულია ფელიქს ვარლამიშვილის მიერ. მათი გამომსახველობითი მხარე, ანატომიურად სწორად აგება, ფანქრის გაბედული და მსუბუქი ხმარება გვაფიქრებინებს, რომ ფ. ვარლამიშვილს ეს ჩანახატები შესრულებული უნდა ჰქონდეს აკადემიაში სწავლის პირველ წლებში და შესრულების მანერით უახლოვდება ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ ფ. ვარლამიშვილის ისეთ ნამუშევრებს, როგორიცაა „შიშველი მამაკაცის ნატურა“, „პაპიროსის გამყიდველები“ და სხვა. ამავე პერიოდში (1923 წელს) უნდა იყოს შესრულებული მცირე ზომის ეტიუდი „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები“ (ინახება მხატვრის ძმის ი. გ. ვარლამიშვილის ოჯახში). გადმოცემით ცნობილია, რომ ფელიქს ვარლამიშვილის ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა თბილისის ქუჩაზე მდებარე სახლში, რომლის ფანჯრიდან ბაგრატის ტაძრის საოცარი სილამაზის ხედი იშლებოდა. არდადეგების დროს ჩასულ სტუდენტს ზეთის საღებავებით მუყაოზე დაუხატავს დიდებული ტაძარი.

20-იანი წლები საბჭოთა საქართველოს ალორძინების ხანაა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება საქართველოში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის სხვადასხვა საზოგადოებების გვერდით სამეცნიერო დაწესებულებების გახსნა. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის [illegible] 1918 წლის იანვარში თბილისში [illegible] უნივერსიტეტი, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილის, გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, მოსე თოიძის, ევგენი ლანსერეს და სხვათა მეცადინეობით, 1922 წლის 14 მაისს გაიხსნა საქართველოს სამხატვრო აკადემია — ქართველ მხატვართა საოცნებო კერა.

რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფელიქს ვარლამიშვილი ჩამოდის თბილისში და შედის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რასაც ადასტურებს ცნობა გაცემული საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საქმის მწარმოებლის ე. გველესიანის ხელმოწერით, დათარიღებული 1921 წლის 30 სექტემბრით: „მოწმობა მიეცა ესე ფელიქს გრიგოლის ძე ვარლამოვს მას შინა, რომ ის ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამ.-საბუნებისმეტყვ. ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტად“.

სამხატვრო აკადემიის დაარსებით ფელიქს ვარლამიშვილის ოცნებასაც ფრთები შეესხა. იგი თავს ანებებს უნივერსიტეტს და ერთ-ერთი პირველთაგანი შედის აკადემიაში. სამხატვრო აკადემიას სათავეში ედგნენ ცნობილი მხატვრები: გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ევგენი ლანსერე, ოსკარ შმერლინგი, ბორის ფოგელი, იოსებ შარლემანი და სხვ. აკადემიის პირველი რექტორი იყო გიორგი ჩუბინაშვილი. ფელიქს ვარლამიშვილთან ერთად აკადემიის პირველი მსმენელები იყვნენ: დ. გველესიანი, კ. ძელიშვილი, ვ. ლემონჟავა, ე. მაყაშვილი, დ. წერეთელი, ვ. წილოსანი, გ. ერისთავი, შ. მამალაძე, ა. ქუთათელაძე, ვ. კოტეტიშვილი... რომლებმაც შემდგომში თავისი სიტყვა სთქვეს სამშობლოს ხელოვნების განვითარებაში.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე დიდი ყურადღება მიექცა ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას. განათლების სახალხო კომისარიატში დაარსდა „ხელოვნების განყოფილება“, რომელმაც მაშინვე ხელი მოჰკიდა მხატვრული ცხოვრების მოწესრიგებას, რაც გამოიხატა მრავალი ღონისძიების ჩატარებით, ეწყობოდა სხვადასხვა გამოფენები, სრულდებოდა შეკვეთები თეატრის, კინოს და აგიტ-მატარებლებისათვის; ჩამოყალიბდა ე. წ. დეკორატიული ცენტრი („Декорнс“) — სპეციალური სახელოსნო თეატრალური სამხატვრო სამუშაოებისათვის. („Заря Востока“, 1923).

1923 წელს კავკასიის წითელდროშოვანი ლაშქრის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა სამხატვრო

ინსტიტუტი ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და ხატვის განყოფილებებით. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, როგორც კი გაჩაღდა აგიტაცია — პროპაგანდისტული, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა, ყველაზე უწინ მის დასახმარებლად გამოდის სატირული პლაკატი. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედების დასაწყისი. მხატვრის სტუდენტურ წლებში მოღვაწეობის შესახებ შეტად საინტერესო მასალას გვაწვდის საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგე ქ. ბაგრატიშვილი თავის მოხსენებაში „მხატვარ ფელიქს ვარლამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი", სადაც აღნიშნავს, რომ ამ დროს „...ჩამოყალიბდა „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს" საქართველოს განყოფილება, რომელმაც რუსეთის ქალაქებში გატარებული ღონისძიებების მსგავსად ,თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, მათ შორის ჭუთაისში, გაბნა საბჭოთა სახელოსნოები. ამ სახელოსნოებში მზადდებოდა სატირული ხასიათის პოლიტიკური პლაკატები ე. წ. „ფანჯრებში" გამოსაფენად. "...ფელიქს ვარლამიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც ამ საქმეს ჯერ კიდევ ქუთაისში მოჰკიდა ხელი, ხოლო შემდეგ თბილისში განაგრძო..."

ამავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფ. ვარლამიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ფიროსმანაშვილის სურათების გამოვლინებაში და, რომ მხატვარი იღებდა მონაწილეობას ისეთ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში როგორიც იყო, მაგალითად: „...ყურფიქხები, ე. წ. ინტიმური ხალამოები —სეირნობა — მახკარადები, რომლებზედაც იკითხებოდა მოხსენებები ხელოვნებაზე, იმართებოდა ცეკვები, სრულდებოდა სიმღერები და სხვა მუსიკალური ნაწარმოებები, ტარდებოდა ხატვის სეანსები (ხატვა ნატურიდან, ხატვა შთაბეჭდილებით), იქმნებოდა შარჟები, კარიკატურები." (მოხსენება წაკითხული იყო მიმდინარე წლის მაისში მუზეუმის IX სამეცნიერო სესიაზე).

თავისი არსებობის პირველი წლიდანვე საბჭოთა აკადემია ცხოვრობდა სრული დატვირთვით. ყოველი წლის ბოლოს იგი აწყობდა სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენას. უკვე 1922 წლის ოქტომბერში აქ ეწყობა პირველი გამოფენა. გაზეთ „ლომეხის" № 7-ში ვკითხულობთ: „საბჭოთა აკადემიაში გაიმართა აკადემიის სტუდენტთა ნახატების საერთო გამოფენა. მონაწილეობას ღებულობდა ახამდე მხატვარი. ამავე დროს გამოფენილი იყო ფერადებით ნახატები პროფესორ ფოგელის ფაკულტეტის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 15 მხატვარი. კვირას ოქტომბრის 22 საბჭოთა აკადემიაში გამოფენილი იქნება აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრები".

აკადემიაში სწავლის პირველსავე წლებში ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრებმა ყურადღება მიიქცია. ჯაბუკური [illegible] ცეცხლებული მხატვარი განაგრძობდა [illegible] ბით ძიებას. იგი მუშაობდა, როგორც გრაფიკაში, ისე ფერწერაშიც, ასრულებდა პორტრეტებს, ყოფით სურათებს, გატაცებული იყო დეკორატიული ხელოვნებით, წიგნის გრაფიკით. ფელიქს ვარლამიშვილი მონაწილეობდა ყველა იმ გამოფენებში, რომელსაც საბჭოთა აკადემია აწყობდა.

1923 წლის ივნისში მოწყობილ ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე მხატვარმა გამოიტანა ისეთი ნამუშევრები, როგორიცაა: „შალვა დადიანის პორტრეტი", „ვ. ელსნერის პორტრეტი", „მაწვნის გამყიდველი", „ზენაბშირე", „მუშა", „ფეხსაცმლის მწმენდავები" და „პაპიროსის გამყიდველები". სამწუხაროდ, ამ ორიგინალების ადგილსამყოფელი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია (გარდა უკანასკნელისა, რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ).

ამ გამოფენის შესახებ გაზეთი „ზარია ვოსტოკა" (1923 წ. 8.VI) წერდა: «Небольшая по количеству экспонатов выставка группы молодых художников является, однако интересной из всех выставок последнего периода». წერილში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა მხატვრების უმრავლესობა ჯერ კიდევ იმყოფება სხვადასხვა გავლენის ქვეშ, ხშირად ბაძავენ რომელიმე მხატვარს, მაგრამ ზოგი მათგანი ცდილობს გამოიმუშაოს საკუთარი მანერა. შემდეგ წერილში ნათქვამია: «...Пока же можно отметить у каждого, если не свое художественное «лицо», то по крайней мере, наличие своих вкусов и влечений.

Рисунки Ф. Варламишвили, свидетельствуют о его наблюдательности в изображении тифлисских типов, соединенной с исканием своей формы»...

საბჭოთა აკადემიაში მოწყობილ გამოფენებზე გამოვლენილი იქნენ ნიჭიერი მხატვრები, რომლებსაც აკადემია აძლევდა პრემიას და თავისი ხარჯით ზაფხულის პერიოდში აგზავნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეტიუდებისა და ესკიზების შესასრულებლად. შემდგომ მათი ნამუშევრები იფინებოდა საანგარიშო გამოფენებზე. სწორედ ასეთ საანგარიშო გამოფენაზე 1924 წლის მაისში, რომელშიც მონაწილეობდა აკადემიის ყველა სტუდენტი, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ე. ლანხერეს ხაზვის კლასიდან ფელიქს ვარლამიშვილი. ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ საქართვე-

ლოს ხახალბო კომიხარმა რამდენიმე ათეულ სტუდენტს საუკეთესოდ შესრულებული ნამუშევრებისათვის მისცა პრემია.

ხწავლასთან ერთად ფელიქს ვარლამიშვილი თანამშრომლობდა ჟურნალ „პლამიაში". ეს იყო ილუსტრირებული ლიტერატურულ-მხატვრული და სატირული ჟურნალი (რედაქტორები: ბ. გინდინი, ა. კარინიანი და მაზია ორახელაშვილი), რომელიც თვეში ორჯერ გამოდიოდა როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში, ხარკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ცარიცინში, ივანოვოში და რუხეთის სხვა ქალაქებში. ჟურნალში ყართოდ იყო გაშუქებული არა მარტო საქართველოს და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, არამედ იგი ეხმაურებოდა უცხოეთში მომხდარ ყოველ ლირსშესანიშნავ მოვლენას. აქ იბეჭდებოდა ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, წერილები ხელოვნების შესახებ, რუსული მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმანები, იუმორი, სპორტის ამბები და სხვ. ამ ჟურნალის ფურცლებზე სხვა მხატვრებთან ერთად, ხშირად იბეჭდებოდა ფელიქს ვარლამიშვილის ჩანახატები ძველი თბილისის ტიპების თემაზე. მისი „მემაწვნე", „ფეხსაცმლის მწმენდავები", „მენწალე", „პაპიროსის გამყიდველები" და სხვ. არის სამყაროს პლასტიკური გამოხატვა, დანახული ზუსტი, გამჭრიახი თვალით.

1928 წელს ფელიქს ვარლამიშვილი საქართველო აკადემიის მოწვეთა სურათების გამოფენაზე კვლავ იღებს მონაწილეობას თავისი სურათებით, ეტიუდებითა და ესკიზებით. მხატვრის ძმის გადმოცემით ამავე წლებში (1925—1928) ქ. ქუთაისში, ყოფილ პედაგოგიური ტექნიკუმის საექტო დარბაზში (ახლანდელი სამთო-სამშენებლო ტექნიკუმი), მოწყობილა ფ. ვარლამიშვილის ნამუშევრების გამოფენა. (შემონახულია ფოტო, სადაც ფელიქს ვარლამიშვილი გადაღებულია საგამოფენო დარბაზში თავისი ნამუშევრების ფონზე).

თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების ხუთ წლისთავს მიეძღვნა დიდი გამოფენა, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. 1927 წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" ერთ-ერთი წერილის ავტორი განიხილავს სამხატვრო აკადემიის მუშაობას და აღნიშნავს აკადემიის წინსვლას: „თვითეულ განყოფილებას აქვს თავისი თვალსაჩინო მიღწევები, რაც ნათლად დადასტურდა წარსული წლის განმავლობაში შესრულებულ აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენით". შემდეგ ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ცალკეული ფაკულტეტების სტუდენტთა წარმატებებს. როცა ეხება ფერწერის ფაკულტეტს, იგი აღნიშნავს: „ფერწერის სტუდენტებმაც კარგად გაგვაცნეს თავი უკანასკნელი გამოფენებით. მათ შორის აღსანიშნავია ფ. ვარლამიშვილის, დ. წერეთლის, კ. გძელიშვილის, ვ. ლემანეფვასი და ბევრ სხვათა ნამუშევრები. აქ ჯერ ნათლად ჩანს პოტენცია, უდიდეს ნიჭი".

ამავე წელს ფ. ვარლამიშვილი მონაწილეობს საბჭოთა კავშირის დაარსებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაში თავისი ორი ნამუშევრით „ძველი თბილისი" და „ტუე".

აკადემიაში სწავლის პერიოდში შექმნილი ნამუშევრებიდან (რომლის უმრავლესობა დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში) განსაკუთრებით გამოირჩევა მისი გრაფიკა. მამაკაცის თავის ჩანახატებში, მხატვრების — შალვა მამალაძის და ირაკლი თოიძის, აგრეთვე უცხო პირთა პორტრეტებში მხატვარი გადმოგვცემს თვითოეული პიროვნების შინაგან სამყაროსა და ხასიათს. ფ. ვარლამიშვილის თავისუფალი ჩანახატები გვაძლევს საშუალებას ჩავწვდეთ მხატვრის შინაგან სამყაროს, ვავხდეთ მისი ხელოვნების ქმნილების დაბადების მოწმენი. ნატურიდან შესრულებული ამ ნამუშევრების მომხიბვლელობა ლაპარაკობს არა მარტო იმაზე, თუ რა არის გამოხატული, არამედ თვით მხატვარზეც, მის მლელვარებაზე, სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე, მის შემოქმედების მანერაზე. მხატვრის ფანქარი მოქნილი და დახვეწილია, ხაზი — მსუბუქი და დამაჯერებელი, ტექნიკა — მაღალი. ზუქ-ჩრდილების ოსტატურად განლაგებით ცოცხალი და შთამბეჭდავი სახე შეუქმნია მხატვარს გუაშით შესრულებულ „ავტოპორტრეტში" (1924 წ.). მისი ნიჭის ჭეშმარიტი დასტურია ზეთითა და აკვარელით შექმნილი პორტრეტები და ეტიუდები: „მოხუცი ქალის პორტრეტი", „ტატიანა ბეიერის პორტრეტი", „ძველი თბილისი", „პეიზაჟი" და სხვ. მათ უკვე ატყვია ჩამოყალიბებული მხატვრის ხელი. ამ ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ტატიანა ბეიერის პორტრეტი". ხიმშვიდითა და სინატიფით აღბეჭდილი ახალგაზრდა ქალი გამოხატულია ხავარძელში მჯდომი, მაყურებლისაკენ ნახევრად მობრუნებული, თეთრ კაბაში. მის მეტყველ სახეს ამშვენებს ნუშისებური ცისფერი თვალები. შუაში გაყოფილი შავი თმა უკან აქვს შეკრული. მჭიდროდ მოკუმული ლამაზი ტუჩები ხაზს უსვამს მის მტკიცე ხასიათს. მარჯვენა მხარეს, სარკმელში ვიწრო ზოლად ასახული პეიზაჟით, მხატვარი ქალს წარმოადგენს სამყაროსგან მოუწყვეტლივ, რითაც სურათს უფრო ემოციურს ხდის. (ეს სურათი საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს უსახყიდლოდ გადასცა ირინა ანტონოვის ასულმა ვექილოვამ).

ფელიქს ვარლამიშვილი, როგორც უკვე ვთქვით, წიგნის გრაფიკაშიც მუშაობდა. მას

დაუსურათებია იეთიმ დაბლიშვილის (იეთიმ-გურჯის) „გმირი ანა ქალის (ბაჯის) ლექსები". წიგნში მოთავსებული ექვსი ილუსტრაცია მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. გარეკანზე ლექსის ოთხსტრიქონიანი ტაეპი და ერთ-ერთი ილუსტრაციაა. წიგნი გამოხულა 1927 წელს იოსებ გრიშაშვილის რედაქციით და ყდაზე მისივე ხელით მიწერილია: „სურათები ფელიქს ვარლამიშვილისა". პოეტის ანეთსავე მინაწერს ვკითხულობთ „წიგნის მატიანეს" № 3-ში (1927 წ. გვ. 51): „ჩემის რედაქციით. სურათები ვარლამიშვილისა". სწორედ ჩვენს სასიქადულო პოეტს უნდა ვუმადლოდეთ ამ აღმოჩენას—მისი მადლიანი ხელით მინაწერის საშუალებით საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედების კიდევ ერთი მხარე — იგი გამოჩნდა, როგორც შესანიშნავი ილუსტრატორი, (დიდ მადლობას მოვახსენებ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის მთავარ ბიბლიოთეკარს ნოდარ გრიგორაშვილს ამ საინტერესო მასალის მიკვლევაში გაწეული დახმარებისათვის).

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფელიქს ვარლამიშვილმა თბილისში გახსნა სამხატვრო სკოლა, რომელსაც ორ წელიწადს ხელმძღვანელობდა. მისი ერთ-ერთი მოსწავლე აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძეც ყოფილა.

1928 წელს ფელიქს ვარლამიშვილი მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება.

ქართველი მხატვრის უცხოეთში ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ძირითადად, ვიგებთ საზღვარგარეთ გამოცემული კატალოგებითა და ბუკლეტებით, მისი პირადი ბარათებიდან და იმ პირთა წერილებიდან, ვისაც ხვდა ბედნიერება საფრანგეთში შეხვედროდა ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს (უ. ჯაფარიძე, თ. სანიკიძე, ქ. კინწურაშვილი).

თავდაპირველად ფელიქს ვარლამიშვილი თურქეთში ჩასულა. ცოტა ხნით ხტამბოლში დაუწყია მუშაობა. როგორც კი დაგროვა მგზავრობისათვის საჭირო თანხა, პარიზში წავიდა. დასახლდა ხაჭვეუნოდ განთქმულ მონპარნასზე. იქიდან გამოგზავნილ წერილში არის პატარა ჩანახატი, რომელზეც აღბეჭდილია მისი საცხოვრებელი ბინა. ეს ყარის პარიზის ერთ-ერთი კუთხე. მრავალსართულიანი შენობის წინ — ორსართულიანი სახლი ფარდულებით, სახლის წინ ხამი ხე, მარჯვნივ — ორ ცხენში შებმული ურემი, მარცხვნივ — ქუჩაში მიმავალი ქალი და მამაკაცი. ჩანახატი შესრულებულია ფანქრით და აკვარელით ვარდისფერ, ღია ფერებში.

ბევრი ჰქონდა წაკითხული და გაგონილი ფელიქს ვარლამიშვილს ხელოვნების მეკად აღიარებულ პარიზზე. სადაც თავს იყრიდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოხული მხატვრები. პარიზის რესტორნებსა და კაფეებში, კერძო გალერეებსა და ხალონებში ეწყობოდა მრავალი გამოფენა, როგორც აკადემიტების, ისე სხვადასხვა მიმართულების მხატვრებისა. თავბრუდამხვევი იყო [illegible] ყველაფერი, მაგრამ ფელიქს ვარლამიშვილი [illegible] უკვე ჰქონდა მყარი საფუძველი, მიღებული თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ამიტომ პარიზის ბობემამ და, ვერავითარმა სხვა ცდუნებამ, მასზე უარყოფითად ვერ იმოქმედა.

თავდაპირველად ფ. ვარლამიშვილს მუშაობა დაუწყია ცნობილ სიეტელის ატელიეში, სადაც ქმნიდა დეკორატიულ ნამუშევრებს. აქ მას უმუშავია ერთი-ორი წელიწადი. თუმცა მისი ნამუშევრები დიდი მოწონებით სარგებლობდა, როგორც კი არსებობისათვის საკმარისი თანხა დაუგროვებია, დაუნებებია თავი ატელიეში სამსახურისთვის და დაუწყია დამოუკიდებელი მუშაობა.

1938 წელს „სპერანცას" გალერეაში მოწყობილ ფ. ვარლამიშვილის პირველ გამოფენას დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, ალბათ იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული საკუთარი ორიგინალური სტილი, რის გარეშეც შეუძლებელი იყო ხელოვნებით განებივრებულ პარიზელთა გულების დაპყრობა. რასაკვირველია, ყოველივე ეს ადვილად მისაღწევი არ იყო. მეტად რთული, მრავალი წინააღმდეგობებით აღსავსე წლები გაუვლია მხატვარს. იყო ძნელი, მძიმე წუთებიც, როცა შემოქმედებითი შთაგონება ქრებოდა და იგი იცვლებოდა უმოკმედობით, ხასოწარკვეთილებით, სევდით. მაგრამ გარშემორტყმული ფრანგი და იქ მყოფი ქართველი მეგობრებით, თავის საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული მხატვარი აგრძელებს დაძაბულ მუშაობას...

1984 წელს ფ. ვარლამიშვილს ცოლად მოუყვანია მხატვარი ქალი, წარმოშობით დანიელი — ზირე ბინდერი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი ერთგული მეგობარი იყო. მძიმე მატერიალური პირობები ჰქონდათ, თუმცა ორივენი ბევრს მუშაობდნენ. მათ ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა გაყიდული სურათების თანხა.

1948 წელს ცოლ-ქმარი გაემგზავრა არგენტინაში. ფელიქს ვარლამიშვილს აქაც თავდაპირველად დეკორატიულ დარგში დაუწყია მუშაობა. ძირიდად ხატავდა პანოებს ხალიჩებისათვის, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა. ერთდროულად ბევრს მუშაობდა სურათების შექმნაზე. ამალმა შთაბეჭდილებებმა წარმოშვეს მრავალრიცხოვანი ჩანახატები, სიუჟეტური, დანახული ქუჩებში, პარკებსა და ხეკვერებში. არგენტინაში მას დიდი წარმატება მოუპოვებია, მაგრამ საცხოვრებ-

ლად მაინც პარიზში დაბრუნებულა, იხევ მონპარნასზე დახახლებულა, დაგერის ქუჩაზე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. აი, რას წერდა ფ. ვარლამიშვილი 1960 წელს ერთ წერილში: „...მე და ჩემი ცოლი რამდენიმე წელიწადი სამხრეთ ამერიკაში ვიყავით. ბევრი ვიმოგზაურეთ და ახლა, უკვე 8 წელია იხევ პარიზს დავუბრუნდით. მე ვმუშაობ მხატვრობაში, როგორც ყოველთვის. აქ ვნახე ჩვენი მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ძალიან მეხიამოვნა. გავიხსენეთ ჩვენი ახალგაზრდობა თბილისის აკადემიაში და ძველი მეგობრები.“

სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს მხატვარი, ბუნებრივია, ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად გაცნობოდა ყველა იმ მხარის კულტურას, ხელოვნებას, სადაც უხდებოდა ყოფნა. მიზანი კი ყოველთვის ერთი რჩებოდა — გასაგებად გამოეხატა უბრალო, ცოცხალი, ნამდვილი გრძნობები.

ფ. ვარლამიშვილი ბევრს მუშაობდა და მუშაობის პროცესში პოულობდა თავის გზას, ქმნიდა საკუთარ ტექნიკას, მანერას, სტილს.

1981 წელს გამოგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „...მე ძალიან ბევრს ვმუშაობ, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი 4 წელიწადი. კონტრაქტი მაქვს ერთ სურათების გალერეასთან. უნდა აგიხსნა აქაური პირობები: აქ არის დაახლოებით 80 ათასი მხატვარი და მოქანდაკე და ყველას უნდა იცხოვროს თავისი შემოქმედების საშუალებით, წარმოიდგინე, თუ როგორი ჭიდაობა, რომ კაცმა სურათი გაჰყიდოს! — ამისთვის არიან სურათების ვაჭრები ანუ დილერები; ზოგიერთი მსოფლიოშია ცნობილი და უცხოეთიდან მოდიან მათთან სურათების საყიდლად. მე ბედი მეწვია და მოვხვდი ერთ ცნობილ გალერეაში. ისე რომ ოთხი წლის განმავლობაში ყველა ჩემი სურათი ამ ვაჭარს ეკუთვნის და უფლება არა მაქვს სხვას მივყიდო. სამაგიეროდ მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ. წელიწადში ორჯერ ვმოგზაურობ ცოლით სიუჟეტების ხაძებნელად ან საფრანგეთში, ან მეზობელ ქვეყნებში. ბოლოს და ბოლოს მე არც ერთი სურათი არა მაქვს განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ და არც გავმდიდრდი. მაგრამ მაინც კარგია, რადგან არაფრის დარდი არა მაქვს, გარდა მხატვრობისა. უნდა გითხრა, რომ მე ვაწერ ჩემ გვარს შემოკლებულად — ვარლა (Varla) და ამ გვარით მიცნობენ, როგორც მხატვარს, რადგან ჩემი გვარი ძალიან გრძელია და ხშირად ამახინჯებენ..“

ფელიქს ვარლამიშვილისათვის ყურადღება მიუქცევია „დრუანის“ პატრონს, რომელიც ხშირად ყიდულობდა მის ნამუშევრებს. როგორც არსებული კატალოგებიდან და ბუკლეტებიდან ირკვევა, 1933 წლიდან მოყოლებული მხატვრის სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქების გალერეებში, საგამოფენო დარბაზებსა და სალონებში მოწყობილ ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრების გამოფენები საზოგადოების დიდი მოწონებით სარგებლობდა. საფრანგეთის მთავრობას და, თვით პარიზს, რამდენჯერმე შეუყიდია მისი ნამუშევრები, ბოლო 1956, 1962, 1965 წლებში პარიზის სალონებში გამოფენილი მისი სურათები მთლიანად გაყიდულა. პარიზმა აღიარა მხატვარი და მისი სახელი გასცდა საფრანგეთის საზღვრებს. 1945 წლიდან ფელიქს ვარლა, „ფრანგი მხატვარი“, „შემოდგომის სალონის“ საზოგადოების წევრი ხდება (Sociétare depuis).

სხვადასხვა წლებში ფელიქს ვარლამიშვილის გამოფენები მოწყობილა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ბუენოს-აირესში (1950, 1951 წწ.), სან-ფრანცისკოში (1959, 1960, 1961 წწ.), დეტროიტში (1968 წ.), ტოკიოში, ოსაკოში, იოკოჰამასა და კიოტოში (1970 წ.), მონტე-კარლოში (1976, 1977 წწ.), ბრიუსელში (1977 წ.), მონაკოში (1981 წ.) აგრეთვე ნიუ-იორკში, ბელგიაში, თეირანში და სხვ.

თითქმის ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ფელიქს ვარლამიშვილი ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლომდე ფუნჯი არ გაუშვია ხელიდან.

1973 წლის წერილში ვკითხულობთ „...ამ ბოლო დროს ჯანზე ვერ ვიყავი კარგად, ახლა კი გამოვკეთდი. ისე რომ შემიძლია მუშაობა. ჩემს ნაშრომებს კარგი გასავალი აქვს და მატერიალურად არა მიჭირს რა, მე მგონია, ჩემი ნამუშევრების ხარისხიც გაუმჯობესდა...“

ფელიქს ვარლამიშვილს ქართული გულუხვობით სცოდნია თავისი ნამუშევრების გაცემა. მისი სურათები ბევრ საზღვარგარეთმყოფი ქართველის ოჯახშია. როგორც მხატვრის ნეკროლოგიდან ვიგებთ, პარიზში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველის ოჯახში ფელიქს ვარლამიშვილის თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტობისდროინდელი რამდენიმე სურათიც ყოფილა ძველი თბილისის თემაზე. სამშობლოდან ჩახული და მასთან სტუმრად მისული, არაერთი თანამემამულე დაუსაჩუქრებია მხატვარს თავისი სურათით.

საქართველოსთვის მხატვრს განსაკუთრებულად ჰქონდა გადანახული რამდენიმე ნამუშევარი. სიცოცხლეში, სამწუხაროდ, ვერ შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება. მისმა ერთგულმა მეგობარმა და ცხოვრების თანამგზავრმა ქალბატონმა ზირემ შეასრულა მეუღლის სურვილი, ანდერძი. მან საქართველოს გამოუგზავნა ათი ნამუშევარი — ექვსი ფერწერა და ოთხი გრაფიკა: „მეთევზეები“, „მინდორში მუშაობა“, „მკა“, „ზამთარი“, „მინდორში“,

„საზეიმო დღე, „მაწვნის გამყიდველი", „მოგზაურობა", „ზეიმი სოფლად".

დიდი მადლიერების გრძნობა გვეუფლება ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის მიმართ, კიდევ ერთი მამულიშვილის „გაცოცხლებისათვის". მან არა ერთი საინტერესო სახე უკვდავყო თავისი ბრწყინვალე დოკუმენტური ფილმების მეშვეობით. ფილმში კი „ფურცლები ფრანგული დღიურიდან" გაგვიცოცხლა და ისტორიას შემოუნახა მშობლიურ მიწას მოწყვეტილი, საბჭოთა კავშირში შეყვარებული ფელიქს ვარლამიშვილის დაუვიწყარი სახე.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საფრანგეთიდან თბილისში ძვირფასი ხაჩუქრის ჩამტანის კეთილშობილური მისია შეასრულა სსრ კავშირის ხახალხო მხატვარმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ზურაბ წერეთელმა. მიმდინარე წლის 7 მარტს მან საქართველოს ხელოვნების მუზეუმს საზეიმოდ გადასცა ფელიქს ვარლამიშვილის ეს ნამუშევრები. ამ შენაძენმა გაამდიდრა მხატვრის სათაყვანებელ საქართველოში დაცული ნამუშევრების არც თუ ისე დიდი კოლექცია.

ა. წ. 27 მარტს თბილისში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა, სადაც თავმოყრილი იყო მისი მემკვიდრეობა მუზეუმის ფონდებიდან, საფრანგეთიდან გამოგზავნილი ნამუშევრები, კერძო პირთა კოლექციის სურათები.

გამოფენის გახსნის დღეს მოწმენი გავხდით კიდევ ერთი ფრიად სასიხარულო ფაქტისა: მხატვრის ძმამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა, ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტმა ბატონ ივანე გრიგოლის ძე ვარლამიშვილმა მუზეუმს ხაჩუქრად გადასცა ფელიქსის გრაფიკული ნამუშევარი „პაპიროსის გამყიდველები". ეს სწორედ ის ორიგინალია, რომელიც 1928 წელს წარდგენილი იყო ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე და, რომელიც შემდგომ დაიბეჭდა იმავე წელს ჟურნალ „პლამიაში". ამ დღეს იგი, სხვა სურათებთან ერთად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების ბინადარი გახდა.

თუ აქამდე ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედება საქართველოში მარტო ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, დღეს მას იცნობს არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ მოსკოვის დიდი აუდიტორიაც. მხატვრის ორი ნამუშევარი „დღეობა" და „ძველი თბილისი" წარმოდგენილი იყო მოსკოვში, მხატვრის ცენტრალურ სახლში მიმდინარე წლის 10 აპრილს გახსნილ საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნების გამოფენაზე.

თუ ნაჩუქარი ნამუშევრების, ლია ბარათების და უკვე ხსენებულ ბუკლეტების რეპროდუქციებს დავეყრდნობით, უფლება გვექნება ვიფიქროთ, რომ უცხოეთში მცხოვრები, საბჭოთა მოწყურებული მხატვარი 30-40-იან წლებში კვლავ განაგრძობდა თავისი, ნაყვარელი მიწა-წყლის ტილოებზე ასახვას.

ფელიქს ვარლამიშვილი [illegible] შემოდის, ძირითადად, როგორც ყოფითი ჟანრის ოსტატი. თავის ნამუშევრებში მხატვარს გაუცოცხლებია წარმოსახვაში შემორჩენილი ძველი თბილისის ყოფითი სცენები: ყარაჩოღელებითა და კინტოებით, მემაწვნეებით, სოფლის ისეთი კოლორიტული სურათებით როგორიც არის „კალოობა", „მკა", „მინდვრის სამუშაოები", „დატვირთული ურემი", „შეშის მჭრელები", „სოფლის მოტივი", და სხვა. — ეს მეტად გულწრფელი, ქართული განწყობით შესრულებული ნახატები, თავშეკავებულია, ლაკონური, ბუნებრივი და მიამიტი, მაგრამ არა ხელოვნური, პერსონაჟების სახეები ინდივიდუალურია და ამავე დროს, გვანან ერთმანეთს. ჩვენ მათ მუშაობის პროცესში ვხვდებით: ისინი დაკავებულნი არიან, მაგრამ არ მოძრაობენ, ლაპარაკობენ — თუმცა ტუჩებს არ ამოძრავებენ, ისინი არ პოზირებენ — ისინი ცხოვრობენ. ფუნჯის ფლობის უნარი, შესრულების განსაკუთრებული აკურატულობა, სალებავის სინატიფე, გლუვი ზედაპირის საგულდაგულო დამუშავება ხდის მის ნამუშევარს მეტად მიმზიდველს. უყველაფერი მეტყველებს მხატვრის დიდ ბუნებრივ ნიჭიერებაზე, შინაგან ალღოზე.

საოცარი სიხალვათით არის შესრულებული „მეთევზეები", ხალხი, დაკავებული თავისი საქმით, გამოსახულია მომხიბლავი უშუალობით. მისი ფუნჯი ფაქიზი და სასიამოვნოა, კოლორიტი ცოცხალი და სუფთა, ფიგურების პოზა. მათი დრაპირებული სამოსი, ფერების შერჩევა, შესრულების მანერა ქართული ფრესკის ასოციაციას იწვევს.

განსაკუთრებული სითბოთი და სიფაქიზით ახასიათებს ფელიქს ვარლამიშვილი თავის ნამუშევრებში ცხოველებს: ხარ-კამეჩს, მონადირე ძაღლებს, ცხენებს. იგი ცხოველს უყურებს როგორც არსებას, რომელსაც თავისი საკუთარი სიცოცხლე გააჩნია და არა როგორც ადამიანის დანართს.

პლასტიური ღირსებით გვიზიდავს ფ. ვარლამიშვილის სურათებში სხვადასხვა მოძრაობაში გამოხატული ცხენები: „ფაფარაყრილი ცხენები" „ცხენების თამაში", „გაჭენებული ცხენები", „ნადირობა", „ქალი თეთრი ცხენით", „ცხენები ზღვის პირას", „ჩოგანბურთი", „ცხენები წითელ ფონზე" და სხვ., რომლებშიც თითქოს იგრძნობა მხატვრის ბუნება, სულიერი გუნება-განწყობილება.

ფელიქს ვარლამიშვილის თვითმყოფად ხელოვნებას ქართულ მიწაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები. მაგრამ, როგორც ვთქვით, მხატვარი ნამყოფია ბევრ ქვეყანაში და ამ დაგროვილ შთაბეჭდილებებს მხატვრის შემოქმედებაზე თავისებური გავლენა მოუხდენია. ძირითადად კი მისი შემოქმედება უღალატოა — თავისი არსებით ქართული ყოფის, ხასიათის, ბუნების ამსახველია, თუმცა ყველას, უცხოეთში შექმნილთ, მაინც სევდა დასდევს, რაც სამშობლოსაგან მოშორებულის ნოსტალგიით უნდა იყოს გამოწვეული...

მის პატარა ზომის სურათებში, იქნება მათში ასახული მუშაობა ლია ცის ქვეშ თუ თევზაობა, მოსავლის აღება თუ ნადირობა, თიბვა თუ დასვენება, არაფერი არ არის მეორეხარისხოვანი. არქიტექტურა თუ პეიზაჟი, ადამიანების სახეები თავისი მიმიკით, თუ ტანისაშოსი მიხთვის ჩვეული ნაკეცებით — ყველაფერი მეტად ფერწერული და ლირიულია და ახდენენ დიდ ზემოქმედებას ადამიანის გულსა და გონებაზე. იშვიათად თუ მოიძებნება მინაარსით უფრო მეტად გაჯერებული ასეთი მცირე ზომის სურათები. ამიტომაც [illegible] არ არის, მის ნამუშევრებს კარგ [illegible] ბევრი მყიდველი რომ ყავდა.

ფელიქს ვარლამიშვილის (ვარლას) ნამუშევრები მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მუზეუმებისა და კერძო კოლექციების საკუთრება გახდა, სახელდობრ: საფრანგეთის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, სკანდინავიის ქვეყნების, ბელგიის, ავსტრალიის, ირანის, იაპონიის, შვეიცარიისა და სხვა.

მხატვარს თითქმის ექვსი ათეული წელი სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოუხდა ცხოვრება. მაგრამ მის გულში ერთხელ ანთებული მამულის სიყვარულის ნაპერწკალი სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ ჩამქრალა...

□

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1987 № 6

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

გად. წარმ. 9. 10. 87 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 21. 12. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საალრ. თ. 24,09, სასტ. თ. 28. სალგზავნის გატ. 28,7, ტირაჟი 10 000, შეკვ. № 2447.
ფასი 1 მან. 60 კაპ.
სახ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



ფელიქს ვარლამიშვილი. მკა



ფერიჯა ვარლამიშვილი. ძველ თბილისში

76132